

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ივ. ჭავჭავაძე

ზენის ძირითადი
კავებოერიების ისტორიისათვის
ძველ ქართულში

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	VII
შემოკლებათა განმარტება .	XI
შესავალი	1
§ 1. კატეგორიანაკლ ზმნათა შესწავლის ისტორიისათვის ქართულში	1
I. ღრონაკლი ზმნები	12
§ 2. ღრონაკლი ზმნების ისტორიისათვის	12
§ 3. -ი სუფიქსიანი ზმნები	24
§ 4. -ებ სუფიქსიანი ზმნები	92
§ 5. -ობ სუფიქსიანი ზმნები .	101
§ 6. -ავ სუფიქსიანი ზმნები .	118
§ 7. -ოვ სუფიქსიანი ზმნები	141
§ 8. -ევ სუფიქსიანი ზმნები .	149
§ 9. -ან სუფიქსიანი ზმნები .	152
§ 10. -ელ სუფიქსიანი ზმნები .	168
§ 11. -ალ სუფიქსიანი ზმნები	169
§ 12. -ი-ე ბოლოსართიანი სტატიკური ზმნები	180
§ 13. მარტივფუძიანი ზმნები	192
ნაწილი მეორე: პირნაკლი ზმნები	209
§ 14. მარტივფუძიანი პირნაკლი ზმნები	212
§ 15. -ებ-ი სუფიქსიანი პირნაკლი ზმნები	213
§ 16. -ი სუფიქსიანი პირნაკლი ზმნები	215
§ 17. -ავ სუფიქსიანი პირნაკლი ზმნები	215
ნაწილი მესამე: რიცხვნაკლი ზმნები	216
§ 18. ფუძეთა პარალელური გამოყენების შემთხვევები ორი-ვე რიცხვში	218
§ 19. სუბიექტური პირის რიცხვში მონაცვლე ზმნები .	220
§ 20. ობიექტური პირის რიცხვში მონაცვლე ზმნები .	230
ნაწილი მეოთხე: ქცევანაკლი ზმნები .	245
§ 21. ი- პრეფიქსიანი ზმნები	252
§ 22. ა- პრეფიქსიანი ზმნები	<u>276</u>

§ 23. უ- პრეფიქსიანი ზმნები	285.
ნაწილი მეხუთე: გვარნაკლი ზმნები	297
§ 24. ე- პრეფიქსიანი ზმნები . .	300
§ 25. მონაცვლე გვარნაკლი ფუძეები	312
დასკვნები	322
Резюме . .	328
პირთა საძიებელი	335
ზმნების, სახელების ფუძეთა და ძირთა საძიებელი .	337

წინასიტყვაობა

ცალკეული ენების გრამატიკული წყობის თავისებურებათა შესწავლას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ყოველი კონკრეტული ენის განვითარების შინაგან კანონზომიერებათა გამოვლენა ენათმეცნიერების აქტუალურ პრობლემადაა მიჩნეული. ენის განვითარების შინაგანი კანონები გამოხატულებას პოულობს ენის სტრუქტურული თავისებურებების, მისი თვისებრიობის ხანგრძლივი და თანდათანობითი ცვლის პროცესში. მაშასადამე, ენათა განვითარების ზოგადი ობიექტური კანონების გამოვლენა შესაძლებელია ამა თუ იმ ენის გრამატიკული წყობის ისტორიის შესწავლით.

„ენის გრამატიკული წყობა კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი. ეპოქათა განმავლობაში შემუშავებული გრამატიკული წყობა, რომელიც ენას შეუისხსილხორცდა, კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე ძირითადი ლექსიკური ფონდი. იგი, რა თქმა უნდა, იცვლება დროთა განმავლობაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იძენს ახალ წესებს, მაგრამ გრამატიკული წყობის საფუძვლები რჩება მეტად დიდი ხნის განმავლობაში, რადგან ამ საფუძვლებს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქების მანძილზე“ (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1954, გვ. 23).

ქართული ლიტერატურული ენის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს, რომ იგი, როგორც ყოველი სხვა ენა, იცვლებოდა თავისი განვითარების შინაგანი კანონზომიერების ძალით. საუკუნეთა განმავლობაში იგი იძენდა ახალსა და განვითარებულ გრამატიკულ საშუალებებს, სრულყოფდა და აუმჯობესებდა თავის გრამატიკულ წყობას, უფრო და უფრო მდიდარსა და მოქნილს ხდიდა მას.

ენა როგორც ისტორიული კატეგორია იცვლება და ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ქართული ენა ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ძველი ქართული ზმნის მორფოლოგიის ისტორიული შესწავლით ცხადი ხდება, რომ მან განვლო განვითარების ხანგრძლივი გზა, სანამ შეიძენდა უღვლილების იმ რთულსა და განვითარებულ სისტე-

მას, რაც მას მოეპოვება. საერთო განვითარების მიუხედავად ენის გრამატიკული წყობის ცალკეული ფაქტები დიდ გამძლეობას იჩენენ. ამით აიხსნება, რომ ძველ ქართულ ლიტერატურულ ენაში, ორდინარული მოვლენების გვერდით, მნიშვნელოვანი რაოდენობითაა შემონახული ძველი, წარსული განვითარების მანიშნებელი ფაქტები, ადრინდელი გრამატიკული წყობისათვის ნიშანდობლივი მოვლენების კვალი, რაც ძველი ლიტერატურული ქართულის ნორმების თვალსაზრისით გამონაკლისად მიიჩნევა. ეს არის ზმნის ძირითად გრამატიკულ კატეგორიათა წარმოების თავისებურება რიგი ფუძეების მიხედვით, რომელთა აღნაგობა და გამოყენება ადრინდელ ეპოქაში მოქმედი კანონზომიერების შესაბამისი იყო.

წინამდებარე მონოგრაფიულ შრომაში განხილულია ისეთი ზმნური ფუძეები, რომელთაც ძველი ქართულის ნორმათა მიხედვით აკლიათ ძირითადი გრამატიკული კატეგორიების წარმოების საშუალება. ესენია დროის, პირის, რიცხვის, ქცევის, გვარის კატეგორიები. ასეთ ზმნებს, როგორც ცნობილია, გრამატიკულ ლიტერატურაში ერთისა და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვა სახელწოდებით ნათლავენ, სახელდობრ, მათ ეძახიან უწესო ან უკანონო, დეფექტურ ზმნებს თუ ანომალიებს. შრომაში არის ცდა ამ გამონაკლისების (კატეგორიანაკლი ზმნების) ახსნისა, ნაჩვენებია, თუ რომელ ზმნას რა კატეგორია აკლია, რატომაა გარკვეული რაოდენობის ზმნები კატეგორიანაკლი, რა მასალას იძლევა ეს ზმნები ამ კატეგორიათა ისტორიის შესწავლისათვის.

შრომაში განხილულ ზმნურ ფუძეთა ნაკლულეგანებას ვერ ავხსნით, თუ არ გავითვალისწინებთ სათანადო გრამატიკულ კატეგორიათა განვითარების ისტორიას. ძველი ქართული ზმნის თავისებურებათა გაგება შესაძლებელია მხოლოდ მის ისტორიულ განვითარებაში შესწავლით. ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ ვ. ი. ლენინის მითითებით: „არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში, და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამჟამად“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მეოთხე გამოცემა, ტ. 29, გვ. 556). ასეთი თვალსაზრისით შესწავლა შესაძლებელს ხდის გავიგოთ, თუ რა წესებს ემყარებოდა ზმნის კატეგორიების წარმოება, როგორი აგებულების იყო ზმნის ფუძე. რა ცვლილება და განვითარება

რება განიცადა მან, როგორ თანდათანობით გამდიდრდა და გაუმჯობესდა ენის გრამატიკული წყობა.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ენის მდიდარი მონაცემების შესწავლით ავტორი შეეცადა გამოეველინებინა თავისებური ისტორიის მქონე ზმნები და მათი ანალიზით ზოგადად განესაზღვრა ქართული ზმნის ძირითად გრამატიკულ კატეგორიათა განვითარების ეტაპები.

ივ. ქავთარაძე

25.XII.1954

შემოკლებათა განმარტება

(ტექსტები)

- ადიშ.=ადიშის (ჰადიშის) ოთხთავი, აკაკი შანიძის გამოცემა: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბილისი, 1945.
- ათონ.=ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ალაპებით, საეკლ. მუზეუმის გამოცემა, 1901.
- ანტიოქ.=ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა, კ. კეკელიძის გამოცემა: ენიშკის მოამბე, ტ. VII, 1940.
- არიმათ.=წიგნი, რომელი დაწერა არიმათიელმან...და თბრობად აღშწნებისათვის ეკლესიისა... ნ. მარის გამოც., TP. II, C.-II. 1900.
- ატენის წარწ.=ატენის სიონის წარწერა, ივ. ჯავახიშვილის გამოც.: XB, I₃, C.-II. 1912.
- ბარლ.=ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბარლამ მოლუაწისა, რომელ იყო მთასა კავკასსა, ნ. მარის გამოც.: ЗВОРАО, ტ. XIII, C.-II. 1901.
- ბიბლ. ხელნაწ =ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი, ილ. აბულაძის გამოცემა: სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII.
- ბოლნ.=იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, მ. ჯანაშვილის გამოც., ტფილისი, 1911.
- გამოსლვ.=გამოსლვათა: წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვეთი 1, 1947; ტ. I, ნაკვ. 2, 1948, ა. შანიძის გამოცემა.
- გამოცხ. იოვ.=გამოცხადება იოვანე ღმრთის-მეტყუელისა, 1879.
- დაბად.=დაბადებისა, ნ. გამოსლვ.
- დამასკ.=წამებად წმიდისა ალათანგელსის, დამასკელ კათალიკონისა, კ. კეკელიძის გამოც.: XB, IV₃, C.-II. 1916.
- ებისტ.=კათოლიკე ებისტოლე იაკობ მოციქულისა, 1879.

- ვესტ.=ვესტათე მცხეთელის ცხოვრება, ს. კაკაბაძის გამოც.: სა-ისტორიო კრებული, II, თბილისი, 1928.
- ეკლეს.=თარგმანებად ეკლესიასტისა და მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისა და, კ. კეკელიძის გამოც., ტფილისი, 1920.
- ესაფასი=ნ. გამოსლვ.
- ექუსთა დღეთ.=ექუსთა დღეთა დასილი დიდისა, მ. კახაძის გამოც.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, ტ. 25, 1947.
- ენმ. ფრაგმ.=Н. Я. Марр, Этимологический фрагмент древне-грузинской версии Ветхого завета: XV, II, С.-Пб. 1914.
- ზარზმ.=ცხოვრება და მოქალაქობა სერაპიონ ზარზმელისა და, კ. კეკელიძის გამოც.: აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935.
- ზღაპრ. ელინთ.=ზღაპრობანი, რომელნი საწარმართოთა წიგნთაგან მოუქსენებიან წიგნთა შინა თვსთა წმიდასა და დიდსა ღმრთისმეტყუელსა გრიგოლის, ილ. აბულაძის გამოც.: ენიშკის მოამბე, ტ. X, 1941.
- თეკლ.=მარტულობა თეკლაჲსი, ილ. აბულაძის გამოც.: ენიშკის მოამბე, ტ. VIII, 1941.
- თომას სახარების აპოკრ.=თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები, ა. შანიძის გამოც.: სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941, გვ. 36—39.
- თულთ.=თულთა და, ეპიფანე კვპრელისა თქუმული... ათორმეტთა მათ თულთათვს, მ. ჯანაშვილის გამოც.: СМОНПР, ტ. XXIV, ტფილისი, 1898.
- თხრობა=თხრობა კონსტანტინეპოლის გარემოცვისა სკვთთაგან მ. ჯანაშვილის გამოც.: СМОНПР, ტ. XXVII, ტფილისი, 1900.
- აადგ.=ქილ-ეტრატის იადგარი, ხელნაწ. № 1212.
- იაკობ.=ეამის წირვა და წმიდისა იაკობ მოციქულისა და, კ. კეკელიძის გამოც.: Древне-грузинский Архиператикон, ტფილისი, 1912.
- იერუს. განჩინ.=განჩინება და განწესება მოძღუართა მიერ მართლ-მორწმუნეთა და, რომელსა ჰყოფენ იერუსალმს, კ. კეკელიძის გამოც.: Иерусалимский канонар, ტფილისი, 1912.

- ინგილოური ტექსტები, გამოცემული მ. ჯანაშვილის მიერ: ძველი საქართველო, II, 1911—1913.
- იობ. = იობისი, ნ. გამოსლვ.
- იოვ. დამასკ. = იოანე დამასკელი... კ. კეკელიძის გამოც.: Греческая версия арабского Жития Иоанна Дамаскина: XB, III₂, С.-IIრ. 1915.
- იოვ. ოქრობ. = თქმული წმიდისა იოვანე ოქროპირისა და ბაღეზულ-თათუს და წინააღმდეგ განჩინებულისა, კაცსა ზედა ღმრთისა მიერ კეთილისა და ბოროტისა, ივ. ჯავახიშვილის გამოც.: XB, II₃, С.-IIრ. 1914.
- იპოლ. = იპოლიტე, თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ, ნ. მარის გამოც.: TP. III, С.-IIრ. 1901.
- კიმ. = კინენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კ. კეკელიძის გამოცემები: ტ. I, ტფილისი, 1918; ტ. II, 1946.
- კოლ. წამ. = წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ, რიცხვთ ცხრათაჲ... ნ. მარის გამოც.: TP. V, С.-IIრ. 1903.
- კორინთ. = ებისტოლე კორინთელთა მიმართ, 1879.
- ლევიტ. = ლევიტელთაჲ, ნ. გამოსლვ.
- მოციქ. = საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, ილაბულაძის გამოც., თბილისი, 1949.
- მრავალთ. = მრავალთავი, ილაბულაძის გამოც.: ენიშკის მოამბე, ტ. XIV, თბილისი, 1945.
- პარხ. = პარხლისა და ჯრუჟის ოთხთავი, ნ. ადიშ.
- პეტრიწი = იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, თბილისი, 1937.
- რავახ. = ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა ანტონი რავახისი, ი. ყიფიშვილის გამოც.: XB, II₁, С.-IIრ. 1913.
- რუთ. = რუთისი, ნ. გამოსლვ.
- საბა = ცხორებაჲ საბა ასურისაჲ, სიმ. ჯანაშიას გამოც.: არილი, ტფილისი, 1925.
- სასულ. = ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამოცემა, ტფილისი, 1913.
- სახისმეტყ. = მწეცთათჳს სახისა სიტყუაჲ, ნ. მარის გამოც.: TP. VI, С.-IIრ. 1904.
- სეან. = სეანური მანუსკრიპტი, ხელნაწ. № 19 (ყოფ. საეკლ. მუზეუმის ფონდიდან).
- სინის ხელნაწ. = Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, JL. 1940.

- სომხ.-ქართ. ლიტ. ურთ. = ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, სომხური და ქართული ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკუნეებში, გამოკვლევა და ტექსტები, თბილისი, 1944.
- სპევს. = წამება... სპევსიპსი, ელასიპსი და მელასიპსი, ნ. მარის გამოც.: ЗВОРА(), XVII₂₋₃, С.-Пб. 1906.
- სჯულის კანონი = წესი და განგება და სჯულის კანონი მეექვსისა კრებისა... აღ. ხახანაშვილის გამოც.: Древности восточные, Москва, 1906.
- ტბ. = ტბეთის ოთხთავი (მათეს და მარკოზის თავები), ვლ. ბენე-შევიჩის გამოცემა, С.-Пб. 1909—1911; ლუკას და იოვანეს თავები: ხელნაწ. ლენინგრადის საჯარო ბიბლ. № 212.
- ურპ. = ცხორება და განგება წმიდისა იოანე ურპაელისა კათალიკოსისაჲ, კ. კეკელიძის გამოც.: XV, II₂, С.-Пб. 1913.
- ფერეიდნული კილოს ტექსტები, არნ. ჩიქობავას გამოცემა, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927.
- ფშაური ტექსტები: ი. ხორნაული, ფშაური მილექსებანი, 1940.
- ქ'ც' = ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბილისი, 1942.
- ქრესტ. = ძველი ქართულის ქრესტომათია ა. შანიძისა, ტფილისი, 1935.
- შენიშვ. = Н. Я. Марр, Заметки по текстам св. Писания в древних переводах армян и грузин: XV, II₂, გვ. 163—174; III₁, გვ. 263—274; III₂, გვ. 249—262; IV₃, გვ. 225—245.
- შუშ. = იაკობ ცურტაველი, მარტალობაჲ შუშანიკისი, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1938.
- ცხორ. დანიელ. = Жизнь преп. Даниила Столпника, კ. კეკელიძის გამოც.: XV, II₂, С.-Пб. 1913.
- ცხორ. სუმეონ. = ცხორება და განგება წმიდისა და ნეტარისა... სუმეონისი, საკრველთ-მოქმედისა... კ. კეკელიძის გამოც.: XV, II₂, С.-Пб. 1913.
- წარტყუნ. = წარტყუნება იერუსალშმისაჲ, თქუმული ნეტარისა სტრატეიკი მონაზონისაჲ, ნ. მარის გამოც.: TP. IX, С.-Пб. 1909.
- წელიწდ. = ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდული, I—II, 1922—1923, გვ. 121—252; ბეს. გაბუური, ხევსურული ტექსტები, ა. შანიძის რედაქციით.

- ხანმეტი = ხანმეტი ტექსტები, ივ. ჯავახიშვილის გამოც.: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922—1923.
- ხანმ. ლექც. = ხანმეტი ლექციონარი, ფოტოტიპიური რეპროდუქცია, ა. შანიძის გამოც., თბილისი, 1944.
- ხანძთ. = შრომაჲ და მოლუაწებაჲ... გრიგოლისი... ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ... ნ. მარის გამოც.: TP. VII, C.-II. 1911.
- ხრონოლრ. = ხრონოლრაფი გიორგი მონაზონისაჲ, თბილისი, 1920.
- ჰაბო = წამებაჲ... ჰაბოასი, კ. კეკელიძის გამოც.: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფილისი, 1935.
- ჰაგ. მასალ. = Агиографическiе материалы по грузинским рукописям Ивера, ნ. მარის გამოცემა, ЗВОРАО XIII, C.II. 1901.
- ჰაემეტი = ჰაემეტი ტექსტები, ა. შანიძის გამოც.: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923.
- С = ნ. აღიში.
- ДЕ = ნ. პარხ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

§ 1. კატეგორიანაკლ ზმნათა შესწავლის ისტორიისათვის ქართულში

ძველი ქართული ენის ისეთი ზმნები, რომელთაც რომელიმე გრამატიკული კატეგორიის ფორმა აკლიათ, დღემდე არ ყოფილა საგანგებო აღრიცხვისა და შესწავლის საგანი. ქართული ენის გრამატიკებში მოგვეპოვება ზოგიერთი დაკვირვება, რომელთაც თუმცა ისტორიული მნიშვნელობაა აქვთ, მაგრამ მოვლენის დახასიათებისა და ახსნისათვის საჭიროა მათი გათვალისწინებაც.

ქართული ენის მოვლენათა მიმოხილვის პირველი ცდა ეკუთვნის ზურაბ შანშოვანს. მაგრამ მისი გრამატიკა ყველაზე მეტად ზმნების აღწერაში მოისუსტებს. ამიტომ მასში თითქმის არაა შენიშნული უღლილებში არსებული რაიმე თავისებურებები. თვით არსებით ნაწილშიც არაა იგი თავისუფალი შეცდომებისაგან. ავტორი იძლევა ცუდას-ს მყოფადის ფორმებს: ნეტართუმცა შივიცი, შიიცი, შიიცი¹, რაც ამ სახით ქართულში ცნობილი არაა. ხელოვნურია თქუამ ფუძე ვნებითში: „სავენებო სრული: ვითქმიე, ითქმიე, ითქმიეს“; ასევე ბრძანებითი: ითქვი და მყოფადი ვთქვამ². უკანასკნელი აშკარა არმენიზმია. ასეთი ხასიათის შეცდომები სხვაც არის³.

ზ. შანშოვანის გრამატიკას, როგორც ენის მოვლენათა აღწერის პირველ ცდას, ბევრი ნაკლი ახლავს. ეს გამოწვეული იყო ავტორის ნაკლები კვალიფიკაციითა და სუსტი ალლოთი. იგი ცდილობდა მიღებული შაბლონისათვის დაექვემდებარებინა ისეთი ზმნები, რომელთაც არც ისტორიულად, არც მის დროს საამისო ფორმები არ ჰქონდათ.

ზმნათა უღლილების დაყოფის პირველი ცდა კანონიერად და უკანონოდ ანტონ კათალიკოსის ქართულ გრამატიკაში გვხვდება⁴: „იწვალებიან ზმნანი კანონიერად და არ-კანონიერად“. შენი-

¹ მოკლე ლრამატიკა ქართულისა ენისა, კმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წ., გამოცემული აღ. ცაგარლის მიერ 1881, ს.-პეტერბურგს, გვ. 34.

² იქვე, გვ. 48-49.

³ ილ. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები: 1. ზურაბ შანშოვანი, საქ. მუზეუმის მოამბე, X, 1940, გვ. 157.

⁴ დაიწერა 1753 წ., გადაკეთდა 1767 წ. ესარგებლობთ 1885 წ. გამოცემით.

შნულია, რომ კანონიერი ზმნები უცვალეზლად აწარმოებენ ყველა დროს და არ შეიწყნარებენ პირის დაკლებას, ხოლო ზმნები, რომლებიც კანონთა წინააღმდეგ იქცევიან, არ-კანონიერად ითვლებიან¹. უკანონო ზმნა აწმყო დროის შემდეგ „სხვათა ზმნათა და სქესთაგან აღივსების“².

უკანონო ზმნათა ნიმუშად ოდენობიექტური წყობის ზმნებია აღებული. დახასიათებულია მსურს ზმნის უღლილება პირველ სერიაში და აღნიშნულია, რომ ნამყო სრულს არაკანონიერად აწარმოებს³. იგივეა ნათქვამი მიჯმს, მიღირს ზმნებზე, რომელთაც აკლიათ ნამყო სრული, უსრულესი (=I თურმ.) და უუსრულესი (=II თურმ.). იქვეა შენიშნული მმოსიეს ზმნის დრონაკლობა, ოლონდ, შეცდომით, მასთანაა გათანაბრებული შემიყვარებიე⁴, რომელსაც დროთა წარმოების სხვა წესი აქვს.

ანტონს სწორად აქვს გაგებული სტატიკური ვჰიე ზმნის ბუნება, რომ იგი „შესრულდების სხვისა უღელილებისა უმუშვეობითისაგან, რომელ არს ვეგები“⁵. ასევე სწორადაა მოცემული ძირცვალეზადი დრონაკლი ზმნების დახასიათება: ვჰი შეივსება ვჯდები ზმნისაგან⁶. აქედან ავტორს შესაძლებლად მიაჩნია სხმით-გარდასვლითი (ე. ი. გარდამავალი) ფორმა ვაჯდინებ, თუმცა მის ნაცვლად დავსუამ ზმნა იხმარებო⁷. ვარ ზმნა დანაკლისს შეივსებს ვმყოფობ ზმნისაგან⁸. ვიტყვ ნამყო სრულში ინაცვლებს ვოქ ზმნასო და სხვ.⁹

საინტერესო შენიშვნა მოეპოვება ანტონს ვიქმ ზმნის მეორე სერიის ფუძის შესახებ, რომ აქ იგი „შემოიყვანს ე-ს და განიკიდურებს -ნ: ვჰქმ-ენ“. ფუძის დაშლა სწორია. არაა ნათელი, რას გულისხმობს: „მსურის ზმნა აღივსების მსურ ზმნის უღელილებისაგან“¹⁰. ამას ვარდა, რა თქმა უნდა, მიუღებელია ტიპობრივი დრონაკლი ვესავ და ოდენსაშუალი ვსუფევ ზმნებისათვის ისეთი ფორმების ჩამოთვლა, რომლებიც მათთვის უცნობია და შეუთავსებელი: ვიესვე, ვიესვები, საწყისი ჰსუად¹¹; სხმითგარდასვლითი: ვასუფევებ, ვასუფევებინებ¹².

¹ ანტონი, ქართული ლრამმატიკა, გვ. 158, § 239.

² იქვე, 202, § 278; ³ იქვე, 180, § 261.

⁴ იქვე, 94, § 89; აგრეთვე გვ. 201—202, § 278.

⁵ იქვე, 53, § 51. ⁶ იქვე, გვ. 66, § 64. ⁷ იქვე, 57, § 65.

⁸ გვ. 20, § 22; შდრ. გვ. 155, § 234. ⁹ გვ. 155—156, § 234.

¹⁰ გვ. 61, § 59. ¹¹ გვ. 23, § 25. ¹² გვ. 54, § 52.

პირნაკლი ზმნებიდან დახასიათებულია თენდების. აქვე აღსანიშნავია, რომ ობიექტურპირიანი ფორმები, როგორცაა შემკრავ, შეგკრავ, ავტორს პირნაკლად მიაჩნია იმის გამო, რომ შემკრავ ზმნაში არაა პირველი პირის ფორმა¹. ანტონის ამ, თავისთავად საგულისხმოდ, მოსაზრებას იმეორებს პირველი პერიოდის ქართველი გრამატიკოსების უმეტესობა ისე, რომ საპირო შენიშვნა საქმის ნამდვილი ყითარების შესახებ არა აქვთ მოცემული.

ანტონისათვის ძირითადად უცნობი დარჩა რიცხვნაკლი ზმნები. მიუხედავად იმისა, რომ მას მოეპოვება საინტერესო შენიშვნა მუსკრავს ზმნის შესახებ: „შეიქმნების იდეა არა თუ ერთისა ორად განტეხისათვის, არამედ მრავალთა მრავლად განტეხისა და ესეგუარნი ზმნანი რომელთამე მიერ ღრამმატიკოსთა იწოდებიან ზმნად ხშირობითად“²...

ანტონი გრამატიკის შედგენისას არ გაჰოდიოდა ენის ისტორიული განვითარებიდან და ენაში წარმოქმნილი ფაქტების თავისებურებათა ანალიზიდან, მრავალ შემთხვევაში იგი ენობრივ მოვლენებს თავის გრამატიკულ სქემებს უმორჩილებდა³. ამდენად ზოგი უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა და გამონაკლისები ქართული ზმნის უღლილებაში შეუმჩნეველი დარჩა.

ანტონის შემდეგ პირველი პერიოდის ქართული გრამატიკებიდან საინტერესოა გაიოზის გრამატიკა⁴. გაიოზმა არსებით ნაწილში გაიზიარა ანტონის საერთო სქემა, მაგრამ თავისი გრამატიკა ისე შეკუმშა და იმდენად სხარტი გახადა, რომ ამით მომდევნო გრამატიკოსებზე უეჭველად საგრძნობი გავლენა იქონია.

გაიოზი იძლევა უკანონო ზმნების სამ ჯგუფს: 1. სხვადასხვაგვარად მიმოხრილნი; 2. ნაკლულევანნი და სხვათაგან აღვსებულნი და 3. ნაკლობითნი⁵.

პირველი ჯგუფის უღლილებისათვის ტიპობრივად იგულისხმება ვიქმ ზმნა, რომლის ნამყო და მყოფადი ვქმენ, ვქმნე სხვაობენ აწმყოს წარმოებისაგან⁶, ოღონდ რა ხასიათისაა ეს სხვაობა და რამდენია ასეთი ზმნა, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

მეორე ჯგუფის — სხვათაგან აღვსებული, ე. ი. ძირმონაცვლე, ზმნებიდან ჩამოთვლილია და დახასიათებული: ვარ — ვიყავ, ვაძლევ — ვეც, ვიტყვი — ვუთხრობ. ასევე ნაკლულევანია ვთქვ, რომელ-

¹ ანტონი, ქართული ღრამმატიკა, გვ. 33, § 32.

² იქვე, გვ. 162.

³ А. Гагарелин, О грамматической литературе грузинского языка, С.-Пб. 1873, გვ. 16.

⁴ გაიოზი, ღრამმატიკა, კრემენჩუგი, 1789.

⁵ იქვე, გვ. 66, 68, §§ 139, 141. ⁶ გვ. 45, § 25.

საც არა აქვს აწმყო და ნამყო უსრული, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება შეგვხვდეს ზელოვნური ფორმები ვთქუამ, ვთქუამდი; აწმყოში მას ენაცვლება ვამბობ ზმნა. აქვე მოდის ძირმონაცვლე ზმნები: ვსუამ—დავლიე; ველი, ველოდი—მოვფუცადე და აგრეთვე ოდენობიექტური წყობის ზმნებიდან: მძინავს, მახსოვს (sic), მესმის, მღჟავს.

ნაკლობითია ისეთი ზმნები, რომელნიც ერთ-ერთ დროში იხმარებიან და არ შეივსებიან სხვა ზმნებისაგან. ასეთებია: ვიცი, ვიცოდი; ვზი, ვღგა, დამყავს, ვესაფ. თუ მაინცდამაინც ნამყოსათვის ვინმე იხმარს ვიესვე ფორმას, შენიშნავს ავტორი, იგი არ იქნება ვესაფ ზმნის გაგრძელება, არამედ მას საკუთარი ვნებით მოეპოვებაო: ვიესვეზი¹. მართალია, ენაში ეს უკანასკნელი ფორმა არ იხმარება, მაგრამ ავტორის ასეთი შენიშვნა მაინც საინტერესოა.

პირნაკლი ზმნებიდან დასახელებულია მხოლოდ ჰშუენის ჩემდა, შეჰგავს ჩემდა, ჯერ-არს ჩემდა ზმნები, რომელთაც მესამე პირის გაგება შერჩათ და რომლებიც მრავალ შემთხვევაში აღარ უპირისპირდებიან პირველ ორ პირს². ამავე კატეგორიაში შემოდის ობიექტური წყობით უღლილებისას ზმნები: მეტყვი, გეტყვი³. გაიოზს უთუოდ ესმის, რომ აქ პირნაკლობა ჩვეულებრივი გაგებით არაა, როცა იგი დასძენს: „ყოველნი პიროვანნი ზმნანი შესაძლებელია პირნაკლ ყოფად, გარნა ესე არს ქართულისა ენისადიდი ნიჭი“⁴. ცხადია, მის მიერ წარმოდგენილი ჯგუფები პირნაკლი ზმნებისა (მხატავ — აკლია პირველი პირიო, გხატავ — მეორეო და ა. შ.) ისე უნდა გავიგოთ, რომ რელატიურ ზმნაში შეუძლებელია კომბინაციები პირველი პირისა პირველსავე პირთან და მეორისა — მეორესთან; შეუძლებელია ერთ ფორმაში ერთი და იგივე პირი სუბიექტადაც იყოს წარმოდგენილი და ობიექტადაც⁵.

როგორი ნაკლიც უნდა ჰქონდეს გაიოზის მიერ განხილულ დრონაკლ ზმნათა ჯგუფებს, ერთი უდავოა: ავტორი ამჟღავნებს ენაზე დაკვირვებისა და მოვლენის შენიშვნის უნარს. უკანონო ზმნები აქ თითქმის ამომწურავადაა აღწერილი და დახასიათებული, რამდენადაც ამას თვითონ ამჩნევდა და მისი გრამატიკის მოცულობა მოითხოვდა.

ვარლამ ერისთავი თავის გრამატიკაში⁶ იმით კმაყოფილდება, რომ მოკლედ მიუთითებს უღლილებაში უკანონობის არსე-

¹ გაიოზი, ლრამბატიკა, კრემენჟი, 1789, გვ. 67—68. ² გვ. 69, § 47.

³ გვ. 81, § 99. ⁴ გვ. 76.

⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1942, გვ. 219, § 287, გვ. 220, § 288.

⁶ Краткая грузинская грамматика, С.-Пб, 1802.

ზობას და იცნობს უპირო (მაგ. თოვს) და ნაკლულევან ზმნებს (მაგ. მიყუარ-ხარ) ¹.

გაიოზის გრამატიკის შემდეგ თავისი სიმარტივეთა და მასალის ჯეროვანი დალაგებით გამოირჩევა იოანე ქართველი შვილის გრამატიკა², რომელშიც გაიოზის სქემა უკანონო ზმნებისა კიდევ უფრო დაზუსტებულია. ავტორი უკანონო ზმნებიდან გამოყოფს უპირო ზმნებს. პირველი ჯგუფის უპირო ზმნებს აკლიათ პირველი (სუბიექტური) პირი: მაშენებ, მეორეს — მეორე პირი: ვაშენებ და ა. შ. წინანდელი გაგება აქაც იმავე სახითაა გაზიარებული. მეორე ულლილების (იგულისხმება ოდენობიექტური წყობის) ზმნათა შესახებ, მიყვარს ზმნის მიხედვით, საერთო დასკვნაა მოცემული, რომ მათ აკლიათ ნამყო სრული, უსრულესი და უუსრულესი.

ავტორი ასე წარმოგვიდგენს შემდეგი ზმნების ულლილებას³: ვალ, ვილოდი — ვლე; ვარ — ვიყოფოდი⁴. ამათ მოსდევს ზმნები, რომელთაც ესა თუ ის დრო აკლიათ, მაგრამ სხვა ზმნებით შეივსებენ: ვაძლე — ვსცემ, ვამბობ — ვიტყვი — ვთქვი და მიყვარს — ვიყვარებ⁵. ნაკლულოვანი ზმნები ნაკლის შესავსებად სხვა ზმნებს აღარ მიმართავენ: ვიცო — ვიცოდი, ვესაგ — ვესევდი, ვჰფლობ — ვჰფლობდი⁶.

სოლომონ დოდაშვილს უკანონო ზმნებად მიაჩნია ისეთები, რომელთაც აკლიათ რომელიმე დრო ან პირი, ანდა მიმოიხრიან უჩვეულო სახით⁷. მასალის ამორჩევისა და ახსნის მხრივ ს. დოდაშვილის გრამატიკა არ განსხვავდება გაიოზისა და ი. ქართველი-შვილის გრამატიკებისაგან.

პლატონ იოსელიანი თავის გრამატიკაში⁸, რომელიც გამოირჩევა პირველი პერიოდის ქართული გრამატიკებისაგან რიგი საინტერესო დაკვირვებებითა და მართებული შენიშვნებით, უკანონო ზმნათა დაჯგუფებაში განიციდის გაიოზისა და ს. დოდაშვილის ერთგვარ გავლენას. ამას ადასტურებს ორი ფაქტი: ერთი ვარ ზმნის ულლილება და მეორე — პირნაკლ ზმნათა გადმოცემა: ავტორი აქ თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს წინამორბედთა აზრს⁹.

¹ Краткая грузинская грамматика, С.-Пб. გვ. 28.

² ქართული ლრამატიკა, თბილისი, 1809.

³ გვ. 92. ⁴ გვ. 93. ⁵ გვ. 115, 116. ⁶ გვ. 117.

⁷ შემოკლებული ქართული ლრამატიკა, ტფილისი, 1830, გვ. 43.

⁸ პირუელ-დაწყებითი კანონი ქართულისა ლრამატიკისა, ტფილისი, 1840. ესარგებლობთ მე-3, 1863 წ. გამოცემით.

⁹ საზოგადოდ ქართული ზმნის ულლილების რთული მექანიზმის გაგების მაჩვენებელია ავტორის ერთი შეხედვით უცნაური დებულება: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველივე არიან უკანონონი: თითოეულსა ზმნასა აქვს თვისება გარდაკვ-

პლ. იოსელიანის ცალკეული დაკვირვებებიდან ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა - ი სუფიქსიან ზმნათა დახასიათება: „არიან რომელნიმე ზმნანი აწმდგომსა დროსა შინა ხმარებულნი ხშირობითად, დაშატებითა ბოლოისა ასოთა -ი: მაგ., უფალი მსაჯულ არს, ესე დაამდაბლის და ესე აღამაღლის“¹. - ი სუფიქსიანი ზმნების ბუნების ასეთი გაგება პირველი პერიოდის გრამატიკოსებიდან მხოლოდ პლატონ იოსელიანმა მოგვცა. მეორე პერიოდში მას გაკვირვით პოლ. კვიცარიძე და თედო ყორდანია შეეხნენ (შდრ. აქვე ქვემოთ).

დავით ჩუბინაშვილის გრამატიკაში² პირველად ვხვდებით უპირო ზმნათა სწორ გაგებას. მას უპირო ზმნად სამართლიანად მიაჩნია თოვს, წვიმს; ჯერ-არს³ ტიპის ზმნები. სამაგიეროდ, დრონაკლ ზმნათა შეფასებისას უშვებს შეცდომებს, რაც ქართული ენის განვითარების გაუთვალისწინებლობით აიხსნება.

დ. ჩუბინაშვილს გამოყოფილი აქვს უწესო და ნაკლულევანი ზმნები. პირველის ნიმუშია ხვლა და ყოფნა, მეორისა ვარ, ჯდომა, დება, წოლა, დგომა, ვეცხვი, გება (находиться), გვანა, სვა (жить), კმოლა (купиться), დენა, ჩენა⁴. ჩამოთვლილთა ზმნური ფორმები მეტ-ნაკლებად მართლაც ნაკლულევანია, მაგრამ არა მასდარებით, როგორც ეს ავტორს აქვს წარმოდგენილი. დ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს: მარტო აწმყოსა და ნამყო უსრულში იხმარებიან: სვა: მივის—მივოდა; მახს, მსამს—მხამდა, მიხდა⁵; ვჰსდვა—ვჰსდგიდი⁶, ვჰვიებ—ვჰვიებდი⁷. აქ რამდენი მაგალითიცაა, იმდენი ხელოვნური ფორმაა: უწყვეტლის ფორმები ავტორის მიერაა შეთხზული და სალიტერატურო ქართულთან მათ არათფერი აქვთ საერთო⁸.

დ. ჩუბინაშვილს გაერთიანებული აქვს მესუა და ვესავ ზმნათა მასდარი სვა, უკანასკნელი კი უცნობია. მცდარია ვესავ ზმნის უღლილება: აწმყო: ვესავ, ესავ, ესვა; ნამყო სრულში: ვიესვე⁹, ეს უკანასკნელი არ იხმარება. მოსალოდნელი არაა აგრეთვე „კმოლას“ პირველი და მეორე პირი: ვჰკმო, ვჰკმოდე¹⁰.

თებისა სხუად ზმნად, მიმატებითა რომელთამე მარტულთა; მრავალთა სხუათა სიტყვისა ნაწილთა ძალ-უძთ გარდაქცევა ზმნად. აქედან გამოვალს სიძნელე კანონთა მოღებისა მათოვის და ესცნობთ, რომელ თვისება ესე ენისა არს დიდი სიძნიდრე და უხეუბა ენისა. (გვ. 59—60).

¹ იქვე, გვ. 43, შენიშვნა 1.

² Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, С.-Пб. 1855.

³ გვ. 18, § 13. ⁴ გვ. 39, § 20. ⁵ გვ. 36. ⁶ გვ. 43. ⁷ გვ. 44.

⁸ ძველი ქართულის ვჰვიებ—ვევე ფორმათა უღლილების ასეთი პარადიგმი აქვს მ. ბროსესაც: აწმყო ვჰვიებ, პერფექტი ვჰვიებ (იხ. M. Brosset, L'art libéral ou grammaire géorgienne, Paris, 1834, გვ. 216).

⁹ გვ. 44. ¹⁰ გვ. 45.

პირველი პერიოდის ქართულ გრამატიკებზე შედარებით დაწვრილებითი შეჩერება საჭირო იმიტომ იყო, რომ ეს გრამატიკები ჯერ კიდევ ძველი ქართულის მასალების აღწერა-ანალიზს შეიცავენ. ამ პერიოდის გრამატიკებში ე. წ. უკანონო ზმნათა მიმოხილვას შედარებით უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე მეორე პერიოდისაში.

დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი ს ვ რ ც ე ლ გ რ ა მ ა ტ ი კ ა შ ი ა ლ ნ ი შ ნ უ ლ ი ა მხოლოდ, რომ ვზივარ, ვწევარ, ვდგავარ, მოვდივარ შიგადაშიგ შეიცავენ თავის ულლილებას და ამ მიზეზით ყველა ამისთანა ზმნა უკანონოდ ითვლება¹.

პო ლ ი ე ვ ქ ე ტ კ ვ ი ც ა რ ი ძ ე ს მოკლედ, მაგრამ სწორად აქვს წარმოდგენილი, რომ უკანონობა მდგომარეობს მიმოხრის დროს ზმნის ფესვის დაკლებაში (ხაზი ჩვენია. ი. ქ.). ასეთი ზმნები ქართულში ათეულს არ გადააპარებესო. მათგან ჩამოთვლილია ყველაზე ხშირად ნახმარი: ვარ, ვიტყვი, ვშვრები (—ვქქემენ—ვიზამ) და სხვა². უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი პირველი განასხვავებს რიცხვნაკლი ფუძეების — ვჯედ და ვსხედით — მნიშვნელობას, მაგრამ მას ზოგი დრონაკლი ზმნა, მაგ. მრწამს, კანონიერ ზმნათა ულლილებაში აქვს მოქცეული.

ქართულ ზმნათა სერიოზული შესწავლის საჭიროებას გრძნობდა ს. ლ. ხუნდაძე. იგი ორჯერ შეეხო ვრცლად ამ საკითხს ნაშრომებში: „ქართული ზმნები“, 1891 წ. და „ქართული გრამატიკა“, 1902 წ., მაგრამ მოლოდინის წინააღმდეგ, დეფექტურ ზმნათა აღრიცხვა-დახასიათებამ მის ნაშრომებში ვერ პოვა შესაფერი ადგილი. აქ უსისტემოდ და ახსნა-განმარტების გარეშეა ჩამოთვლილი რამდენიმე დრონაკლი ზმნა (ვზივარ: ვიჯექი, დავჯექი³ და მისთ.).

ნაკლულევან ზმნებს⁴ ცალკე თავი აქვს დათმობილი მოსეჯანაშვილის გრამატიკაში. აქ თითქმის სრულადაა აღწერილი ახალ ქართულში ცნობილი ტიპები: ვარ, მაქვს, დამაქვს, მყავს, დამყავს, ვდგავარ. ავტორი დრონაკლ ზმნათა კატეგორიაში აქცევს ხუმა (მოხემა) და დება ფუძეთა ზმნურ ფორმებს მაშინ, როდესაც დროის ფორმები მათ სრულად მოეპოვებათ, აკლიათ მხოლოდ რიცხვი და ისიც არა ახალ ქართულში, რაც შენიშნული არაა.

¹ დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, ახალი ქართული გრამატიკა, ს.-პეტერბურგი, 1882, გვ. 120.

² პოლ. კ ვ ი ც ა რ ი ძ ე, ქართული სწორმეტყველება, ტფილისი, 1888, გვ. 135—139, § 188.

³ სილ. ხუნდაძე, ქართული ზმნები, ქუთაისი, 1891, გვ. 77—78.

არ არის სწორი ნამყოფი უწყვეტლის ფორმის მოყვანა მაც (← მადს) ზმნისთვის, რომელსაც მართო აორისტი მოეპოვება: მაც — შედვა¹:

მეთოდოლოგიურად სწორ თვალსაზრისზე დგას კ. დოდაშვილი, როცა იგი საჭიროდ რაცხს ქართულ ზმნათა გამოწვლილ-ვით დოკუმენტურ შესწავლას, რათა სრული სურათი გვექნეს უკანონო და კანონიერი ზმნებისაო². თავის ნაკვეთებში მას მიზნად არა ჰქონია მოეცა თავისებური ისტორიის მქონე ზმნათა მიმოხილვა და ანალიზი, მაგრამ მისი შენიშვნა უდავოდ საინტერესოა.

ქართული ზმნის უღლილები გაყოფა ვინისა და მანის რიგად, რომელიც იესე ჩუბინაშვილმა შეჰოილო და შემდეგ განაგრძეს ს. დოდაშვილმა, პლ. იოსელიანმა და დ. ყიფიანმა, კ. დოდაშვილს მიაჩნია წინ გადადგმულ ნაბიჯად ანტონის კლასიფიკაციასთან შედარებით, თუმცა იქვე საკვებით სწორად აღნიშნავს იმ ნაკლსაც, რაც ამ კლასიფიკაციას მოეპოვება: ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა წყობით (მაგ., ვ-წერ და გ-წერ) ორ სხვადასხვა კატეგორიაში უნდა შევიდეს და ამიტომ ეს დაყოფა გამართლებული არააო³.

უკანონო ზმნათა ძირის ცვლის საკითხი სწორად აქვს გაგებ-ბული მ. კელენჯერიძეს: უკანონო ზმნებს ძირი ენგრევაო,— წერდა ის. ასეთებია: ვზივარ—ვიჯექი⁴, ვიქმ—ვშგრები—ვიზამ, ვიზამ—ვისხამ⁵. ამ მოკლე მსჯელობიდან და მცირე მაგალითებიდან ძნელია გავიგოთ, თუ რას გულისხმობდა ავტორი ვიზამ და ვისხამ ზმნების დამოწმებისას. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი რიცხვნაკლობა ახალ ქართულში უცნობი არ იყო გრამატიკოსისათვის.

საკმაო შეუსაბამობებს ეპოულობთ ნ. მარის შრომებში. მის ძირითად ტაბულებში, როგორც თვითონ აღნიშნავს, არ შეიძლე-ბოდა შეტანილიყო გამონაკლისი მოვლენები, როგორიცაა ერთე-ული ზმნების უღლილება: არს, გიეს, ზის, ძევს, ვიტყუ, ვიქმ და ყოფა-ს მაგვარი⁶, მაგრამ მაინცაა აღნიშნული ზოგი ასეთი გამო-

¹ მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, 1906, გვ. 117—120.

² კ. დოდაშვილი, საგრამატიკო ესკიზი: ზოგიერთი მოსახრებები ზმნა-ზე და ზმნის გამო: ივერია, 1887, № 217 (იბეჭდებოდა №№ 214-დან 222-მდე).

³ კ. დოდაშვილი, ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა: მოამბე, 1894, № IV, გვ. 123.

⁴ მ. კელენჯერიძე, ქართული პრაქტიკული გრამატიკა, 1920, გვ. 42

⁵ შდრ. გვ. 54.

⁶ Н. Марр, Основные таблицы к грамматике грузинского языка, С.-Пб. 1908, стр. 10—11.

ნაკლისი: ნ. მარი იძლევა დებ ფუძის აორისტის ობიექტური პირის მრავლობითის ფორმებს: ვსდვ-ენ, ს-დვ-ენ, ს-დვ-ნა¹. აქედან ჩანს, რომ ამ ზმნის ფუძის რიცხვნაკლობა ძველ ქართულში უკულებელყოფილია.

ნ. მარისავე 1925 წელს გამოსულ ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში, მართალია, ზოგი საინტერესო საკითხია აღძრული ზმნების უღლილებასთან დაკავშირებით, მაგრამ ბევრი რამ მცდარია, რაც სათანადო ფუქეთა აღწერა-დახასიათებისას იქნება აღნიშნული.

1925 წლის გრამატიკის ზოგიერთი დასკვნა თითქმის გაბათილებულია 1931 წ. ფრანგულად მოცემულ „ქართულ ენაში“². ამ კაპიტალურ ნაშრომში ზმნებს უპირავეს თითქმის მესამედი, მაგრამ იმდენი შეცდომა და უსაფუძვლოდ აღდგენილი ფორმებია, რომ უფრო ყალბი წარმოდგენა შეიძლება დაგვარჩეს, ვიდრე გავერკვეთ ქართული (მასალები ძირითადად ძველი ქართულიდანაა) ზმნის უღლილების რთულ სისტემაში, კერძოდ აქ განხილული უძველესი სისტემის ზმნათა თავისებურებებშიც.

ხსენებულ ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი დეფექტური, უწესო და უპირო ზმნები, მოცემულია მათი მოკლე, თითქოს პოპულარული დახასიათება. უპირო ზმნები აქ დაყოფილია შინაარსის მიხედვით: ბუნების მოვლენათა გამომხატველნი: წვამს, აორისტში იწვამა (რაც ძველ ქართულში იშვიათია). აუკილებლობისა და საჭიროების აღმნიშვნელნი: ვამს, შუენის³.

დრონაკლ ზმნათაგან გათვალისწინებულია მა-ხ-ს (ავტორთა მიერ მოცემული დანაწევრება ყველგან დაცულია. ი. ქ.), მა-ჰსოვ-ს, მი-ზი-ს, მა-ზი-ს, ვჰამ, ვესავ, ვლამი, ვივლტი, ვიცო, ველი, ვზი ზმნისთვის მრავლობითის ფუძედ იგივეა: ვზით და ა. შ.⁴

გრამატიკას დართულ ვრცელ პარადიგმებში (უპირავეს გვ. გვ. 388 — 540) დეფექტური ზმნების ხსენებაც არაა, ერთადერთია მიდვთან⁵ და ისიც საცილობელი. გრამატიკაში შენიშნულია, რომ ოდენობიექტური წყობის ზმნები ყოველთვის გამოხატავენ საჭიროებას, გრძნობას, აფექტაციას, რომ უმეტესობას მოეპოვება მართო რამდენიმე დრო, სახელდობრ აწმყო და ნამყო უწყვეტელი⁶. ჩამოთვლილია აწმყოსა და აორისტის ფორმები: მრწამს, მრწამდის, მრწამენა, მაგრამ აორისტის ფუძე დახასიათებული არაა. გაუგება-

¹ H. Marr, Основные таблицы... ტაბ. XV.

² N. Marr et M. Brière, Langue géorgienne, Paris, 1931.

³ გვ. 186 — 187. ⁴ გვ. 187. ⁵ გვ. 489, ტაბ. LXXVI. ⁶ გვ. 144.

რია ავტორთა დებულება: ამავე წესით იუღლება მჭირს, მწადს, მსურს, მძაგს, მძულს, მყავს, სძინავს, მნებავს ზმნები¹. ისე გამოდის, თითქოს ყველა ამათგანისათვის თანაბრად შესაძლებელია ნაყოფი უწყვეტის წარმოება და აორისტიც ერთნაირადაა მოსალოდნელი.

მიუყარს ზმნის უღლილებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ამავე წესით აუღლებენ მი-ნა, მი-ც და სხვ.“² მაშასადამე, უნდა გვექნოდნა მიც-და, რაც ძველი ქართულისათვის უცნობია. შემდეგ მოდის მწყურის ზმნის აწმყოფის ფორმები და შენიშნულია: ასევე იუღლება მგონია ზმნაცო! დასასრულ, მიხარის, მიხაროდა არის ნიმუში იმისა, რომ ანალოგიურად იყოს ნაწარმოები: მი-ვი-ხ, მი-ვი-ო-და³, რომელთაგან უკანასკნელს ძველი ქართული არ იცნობს ამ სახით.

ქართული ზმნის სირთულეს საკმაოდ გრძნობდა ყოველი გრამატიკოსი. თითოეული მათგანი ცდილობდა სხედასხვა ნიშნით მოეხდინა მისი კლასიფიკაცია, დაედგინა სისტემა. როგორც ზემოთაც ითქვა, ამ მხრით მეტი დამსახურება პირველი პერიოდის გრამატიკოსებს მიუძღვით. თუმცა საგრძნობია ანტონისა და განსაკუთრებით გაიოზის გავლენა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სიბეჯითე, რომლითაც ისინი საკითხის შესწავლას უდგებოდნენ. მეორე პერიოდის ზოგიერთი გრამატიკოსი სრულებითაც არ აღწერს უკანონო ზმნებს, ან თუ აღწერს, ძალიან მოკლედ და ზოგადად.

კატეგორიანაკლ ზმნათა შესწავლის ისტორია გვიჩვენებს, რომ პრინციპული ხასიათის შენიშვნების ადგილს გრამატიკულ ლიტერატურაში არასრული აღწერითი მომენტი იჭერდა. თუმცა ძველ გრამატიკოსებს თანამედროვე მოთხოვნილებების მიხედვით სრულებითაც ვერ მიუღდებოდათ და ვერც მოვთხოვთ იმაზე მეტს, რისი მოცემაც მათ შეეძლოთ მაშინ. მათი მიზანი მარტივი, პრაქტიკული მოსაზრებებით იყო შეპირობებული. ჩვენ გვიანტერესებდა გვეცოდნოდა, რა და რა ზმნები იყო მჩინეული გამონაკლისად უღლილების საერთო წესიდან და რა ნიშნის მიხედვით, როგორი იყო მისი გაგება და ახსნა.

გადაპარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გაიოზისა და ი. ქართველიშვილის შემდეგ კატეგორიანაკლ ზმნათა რაოდენობას ახალი შენიშნული ზმნები თითქმის აღარ მამატებია. ყველა გრამატიკოსის საერთო ნაკლი (კერძოდ ეს ითქმის დ. ჩუბინაშვილისა,

¹ N. Marr et M. Brière, იქვე, გვ. 116—117. ² გვ. 117—118.

³ გვ. 125.

ნ. მარისა და მ. ბრიერის გრამატიკებზე) ისაა, რომ ენის ისტორიულ განვითარებას, ფორმათა ცვლას დროთაგანმავლობაში სათანადო ანგარიში არ ეწეოდა. ქართული გრამატიკული ლიტერატურის ყველა ავტორისათვის, მათ შორის ნ. მარისთვისაც, შეუმჩნეველი დარჩა ისეთი უმნიშვნელოვანესი მორფოლოგიური ფაქტი, როგორცაა რიცხვნაკლობა ზმნებისა; ასევე გამორჩათ მხედველობიდან ჩვენს გრამატიკოსებს ქართულში ზოგი სხვა კატეგორიის მიხედვით ზმნათა ნაკლულეფანება, აგრეთვე ე. წ. სტატიკური ზმნები, რომელთა წარმოება და მნიშვნელობა სრულად და სწორად აღნიშნული არ ყოფილა.

ახალი ქართულის ნაკლულეფან ზმნურ ფუძეთა ანალიზი ვრცლად აქვს მოცემული ა. შანიძეს „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ (1953 წ.), საიდანაც სათანადო დამოწმება შესაფერისად იქნება ნაჩვენები განხილულ ზმნებთან.

I. დრონაკლი ზმნები

§ 2. დრონაკლი ზმნების ისტორიისათვის

დროის კატეგორია ზმნის ერთ-ერთი არსებითი თვისებაა. მთელ პროცესს დროში აქვს ადგილი და ბუნებრივია, თუ ზმნის ფორმა პროცესს დროში ათავსებდეს¹.

ძველ ქართულში ჩვენ უკვე გვაქვს საბოლოოდ ჩამოყალიბებული სისტემა დროის კატეგორიისა, შეიძლება ითქვას, რომ აქ უკვე „დრო ერთი მთავარი ნიშანთაგანია ზმნისა“².

მაშასადამე, გასაგებია მოთხოვნა, რომ კანონიერი ზმნა დროთა წესიერი წარმოების მთლიან სურათს უნდა იძლეოდეს საერთოდ. ძველი ქართულის ასეულობით ზმნას სრულებით ადვილად შეუძლია გამონახატოს ყველა დრო-კილოს ფორმა ისე, რომ ზმნის ძირს ცვლილება არ მოუვიდეს. მაგრამ, როგორც ითქვა, ძველსავე ქართულში ვხვდებით მნიშვნელოვან რაოდენობას ზმნებისას, რომელნიც ამის შესაძლებლობას მოკლებული არიან. ამ ზმნებს ერთ ან ორ დრო-კილოზე მეტი საერთოდ არ გააჩნიათ და, თუ მოეპოვებათ დამატებით რომელიმე დრო, ფუძე სათანადო ცვლილებას განიცდის.

რა ხასიათისაა ეს ზმნები? როგორია მათი ისტორია? შეიძლება თუ არა რამდენადმე მაინც მივუთითოთ ამ დრონაკლობის მიზეზებზე ძველ ქართულში? აი წყება საკითხებისა, რომლებიც პასუხს საჭიროებენ.

1. დრონაკლი ზმნები ძველ ქართულში პირობით შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად გაიყოს.

ერთი ჯგუფის დრონაკლი ზმნები ძველ ქართულში წარმოადგენენ ენის განვითარების უფრო ძველი პერიოდის გადმონაშთებს. ესენია -ი სუფიქსიანი ზმნები. სპეციალურ ლიტერატურაში ეს ნიშანი პერმანსივის (ხოლმეობითის) ფუძის სუფიქსადაა მიჩნეული.

¹ Ж. Вандриес, Язык, 1937, გვ. 99.

² ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, II, § 245.

პერმანსიული ანუ ხოლმეობითის ფუძე კი ქართული ზნის უძველესი ფორმაციისა უნდა იყოს¹.

ქართული ზნის უღვლილების ამ საფეხურზე გაიჩინა ასპექტები; უღვლილება ასპექტების (და არა დროების!) ცვლაში მდგომარეობდა. ასპექტი იყო ორი: განგრძობითი (დიურატიული) და მოშენტობრივი (წერტილებრივი). ... განგრძობითს ასპექტს გადმოგვეცემს პერმანსივი („ხოლმეობითი“): მან აკეთის, შენ აკეთი, მე ვაკეთი ... მოშენტობრივ ასპექტს — აორისტი (ნამყო ძირითადი): მან აკეთა (-ნ სუფიქსით: მან აკეთენ ... შდრ. აღიდენ მან იგი), შენ აკეთე, მე ვაკეთე ...².

ეს დებულება ემყარება ქართული ენის მდიდარი მასალის ღრმა ანალიზს. როგორც ამავე ავტორს აქვს მითითებული, ქართულის დამახასიათებელი ეს ვითარება შენიშნულა მთელი რიგი ინდოევროპული და სემიტური ენებისათვისაც. ინდოევროპული ენებისთვის ნავარაუდევია პერიოდი, როცა ენა მიდიოდა ზმნური დროის გარეშე. აქ არსებობდა გარკვეული მორფოლოგიური ელემენტები, რომლებიც დროის მაგვირობას ეწეოდნენ³.

ენა მაშინ ცდილობდა ეჩვენებინა არა იმდენად დრო, რამდენადაც განგრძობითობა; ენას აინტერესებდა მოქმედებაში არა ის, რა მოშენტში (აწყყოსა, ნამყოსა თუ მყოჟადში) სრულდება მოქმედება, არამედ როგორ განიხილება ეს მოქმედება: მის განგრძობითობაში თუ მხოლოდ მყისთანადობაში; იყო იგი მოქმედების საწყისი თუ შედეგი, სრულდებოდა იგი ერთხელ, თუ მეორედობოდა რამდენჯერმე⁴.

¹ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზნებში, ტფ. 1920, გვ. 6, შწმ. 2.

არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები: ენიშკის შოამბე, XII, 1942, გვ. 221 — 247; მისივე, სუბიექტის მესამე პირის უძველესი სუფიქსისათვის ქართველურ ენებში: ენიშკის შ., V—VI, გვ. 95; მისივე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასურ ენებში, 1948; ვ. თოფურია, სვანური ენა, ზნა, 1931, გვ. 172; G. Deeters, Das kharthwelische Verbum, 1930, გვ. 11.

² არნ. ჩიქობავა, პერმანსიის („ხოლმეობითი“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზნის უღვლილების სისტემაში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაზრება, IV₁, 1943, გვ. 92.

³ Gustav Herbig, Aktionsart und Zeitstufe: Indogermanische Forschungen, ტ. მე-6, 1896, გვ. 163.

⁴ Ж. Вахрусс, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

რომ პერმანსივის ფუძის ზმნები ბოლოს და ბოლოს აწმყოდ ქცეულიყო. ქართულშიც, მსგავსად ინდოევროპული ენებისა, ის საშუალება, რითაც მორფოლოგიურად ასპექტი გამოიხატებოდა, სისტემის შეცვლის შემდეგ ძირითადად დროის გამოსახატავად იქნა გამოყენებული. ამიერიდან აწმყოს, როგორც დროის კატეგორიის, ჩამოყალიბების შედეგად, როდესაც ზმნის ფუძეში ხდება ცვლილება, უღლილების პრინციპი იცვლება: იგი ასპექტურ სხვაობათა ჩვენებაში კი აღარ მდგომარეობს, არამედ დროის მოდიფიკაციაში, ასპექტი უღლილების კატეგორიიდან გამოდის და სიტყვაწარმოებითი კატეგორია ხდება ისე, რომ იგი ორივე სერიის ფორმებში შეიძლება იყოს წარმოდგენილი¹.

ქართული ზმნის უღლილების სისტემაში მომხდარი ეს ცვლილება ხანგრძლივი და თანდათანობითი, ნელი თვისებრივი ცვლილების შედეგია, გამოწვეული ქართულ ენაში მოქმედი განვითარების შინაგანი კანონების ძალით.

როგორც ი. ბ. სტალინი მიუთითებს, „ენის ერთი თვისებრიობიდან მეორე თვისებრიობაში გადასვლა ხდებოდა არა აფეთქების გზით, არა ძველის ერთბაშად მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ენის ახალი თვისებრიობის, ახალი სტრუქტურის ელემენტების თანდათანობითი და ხანგრძლივი დავროვების გზით, ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობით კვდომის გზით“².

ერთი თვისებრიობიდან მეორეში ასეთ გადასვლას ზმნის ფუძეშიც უნდა მოჰყოლოდა ცვლილება. მართლაც, როგორც ეს სათანადო ადგალასაა აღნიშნული, პერმანსივის -ი სუფიქსიანი ზმნები ამიერიდან შემცირებისაკენ მიდის. აწმყოში შარტივი თემის საწარმოებლად სხვადასხვა სუფიქსი შემოდის ხმარებაში. აწმყოდ ქცეული -ი სუფიქსიანი გარდამავალი ზმნები რადიკალურ სინტაქსურ ცვლილებას განიცდიან: მოთხრობითსუბიექტიანის ნაცვლად საბელობითსუბიექტიანი ხდებიან³.

პირვანდელი პერმანსივის მქონე გარდამავალ ზმნათა დიდმა წილმა და რამდენიმე გარდაუვალმა ზმნამ აწარმოვა პირველი სერიის ნაკვთები და შეიჩინა უძველესი ერთგზისის ფუძეც. მაგრამ

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, II, § 336.

² ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1954 გვ. 24—25.

³ ამის შესახებ არნ. ჩიქობავა, რეცნხია ნ. მარის გრამატიკაზე, ში-მომხილველი, I, 1926, გვ. 318. მისივე, ერგატურული კონტრუქციის პრიბერიულ-კაკასიურ ენებში, I, 1948, და სხვ.

გარკვეული ნაწილი -ი ბოლოსართიანი ზმნებისა ამის შესაძლებლობას მოკლებული აღმოჩნდა. აქ ეხედებით ან იმას, რომ ეს ზმნები აწმყოში მოექცნენ და სავარაუდო ერთგზისის (ახლა უკვე აორისტის) ფუძე დაკარგეს, თუ კი ასეთი ჰქონდათ! ან, პირიქით, ძველი ერთგზისის ფუძით წყვეტილის სერიაში დარჩნენ. ასე წარმოიშვა დრონაკლ ზმნათა ერთი კატეგორია.

ქართული ზმნის უღლილები ასპექტური სისტემის დროს, უნდა ვიფიქროთ, რომ ზმნათა დიდი წილი თავისუფლად აწარმოებდა ორივე ასპექტის ფუძეს. რომელიმე თქვს ზმნა წარმოადგენდა დიურატიული ასპექტის ფუძეს (ძველ ქართულში არის ამის შემთხვევები), ხოლო თქუა — მომენტურს. რამდენადაც ასპექტის კატეგორია უფრო კონკრეტული იყო, ზმნაც ადვილად უპასუხებდა ამ მოთხოვნილებას. მაგრამ დროის კატეგორიაზე გადასვლით ეს ზმნები თავიანთ ფუძეებს ერთბაშად ვეღარ აწყობენ ახალი ვითარების შესაფერისად და დეფექტური ხდებიან. ამგვარად, თანამედროვე ენაში გაბატონებული სისტემის თვალსაზრისით არასწორად, გამონაკლისად მიჩნეული მოვლენა, ისტორიულად აიხსნება, როგორც ენობრივი განვითარების უფრო ადრინდელი პერიოდის კანონზომიერების გადმონაშთი. ასეთია ვითარება ქართულ, რუსულ¹, გერმანულსა² და სხვა ენებში.

მაგრამ თუკი ზმნის ასპექტურ პერიოდში უღლილება წესიერი იყო, ზმნას შეეძლო მრავლგზის-ერთგზისი ანუ დიურატიულ-მომენტობრივი ასპექტი ერთი და იმავე ფუძით წარმოედგინა, რატომ გახდა შეუძლებელი, რომ ეს თვისება აწმყოსა და აორისტის მიმართაც ჰქონოდათ? რატომაა შესაძლებელი, რომ ერთი ჯგუფის ზმნების დრო-კილოთა წარმოებაში არა აქვს ადგილი გამონაკლისს, უწყის, რბის და რიგი სხვა ამ ჯგუფის ზმნები კი ამის შესაძლებლობას მოკლებულია?

ამ კითხვაზე რომ დამაჯერებელი პასუხი გავცეთ, პირველ ყოვლისა, ცნობილი უნდა იყოს ამ ტიპის (ე. ი. -ი ბოლოსართიანი დრონაკლი) ზმნების უღლილება ასპექტურ სხვაობათა ჩვენების პერიოდში. მართალია, არნ. ჩ ი ქ ბ ა ვ ა ქართულისათვის მიიჩნეეს ორ ასპექტს: დიურატიულს, რომელსაც პერმანსივი გადმოგვცემდა, და მომენტობრივს; რომელსაც აორისტი გამოხატავდა,

¹ А. И. Соболевский, Лекции по истории русского языка, М. 1903, гл. 230—262.

² В. М. Жирмунский, История немецкого языка, 1938, гл. 221.

და ეს დასტურდება, მაგრამ არაა ნაგულისხმევი, რომ ყოველ ზმნას შესძლებოდა ეწარმოებინა ორივე ასპექტის ფორმა, ჰქონოდა დიურატიული ასპექტიც და მომენტობრივი ასპექტიც. დიდი წილი ჩვენ მიერ წარმოდგენილი დრონაკლი ზმნებისა ისეთია თავისი სემანტიკით, რომ მათთვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მარტო-ოდენ ერთასპექტიანობა ისე, როგორც ეს არის დადასტურებული გუთური ენის ე. წ. სუსტი ზმნების მიმართ. ერთასპექტიან ზმნებად დაყოფა იმას ნიშნავს, რომ დიურატიული ასპექტით რომელიმე -ი სუფიქსიანი ზმნა გადმოგვემდა იმას, რაც მის შინაარსს შეეფერებოდა, ამის მეტი მას არ სჭიროდა, მას არაფერი არ უპირისპირდებოდა და იგი არც რასმე უპირისპირდებოდა. ქართული უწყის, ძრწის, ქრის, ბორგის... მოკმედების გარკვეული სახის უქონლად და შემდეგ უღროოდ იხმარებოდნენ. მათი სტატიკური შინაარსი ამას იკუთვება. ამ ზმნებს, თუ შეიძლება ითქვას, მარტო განგრობითი ასპექტი ჰქონდა, მარტო მას საჭიროებდა. ასე რომ ერთასპექტიანობა გახდა საფუძველი შემდეგში დრონაკლობისა.

მეორე მხრით, ზმნები, რომელთაც მარტოოდენ აწმყოს ფორმა მოეპოვებათ და აორისტში სხვა ძირის ზმნას იყენებენ, იმაზე უნდა მიუთითებდნენ, რომ ზმნის უღლილების ასპექტურ სხვაობათა პერიოდში იყო ე. წ. ასპექტური ძირები. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ზმნათა გვერდით, რომელთაც ერთი და იმავე ძირით შეეძლოთ გადმოეცათ ორივე ასპექტი ქართულში, არსებობდა გარკვეული სემანტიკის ზმნები, რომლებიც დიურატიულ ასპექტს განსხვავებული ძირებით უპირისპირებდნენ მომენტობრივს. ასპექტის მიხედვით ძირთა ამ მონაცვლეობის ხელშესახები მაგალითია ძველი ქართულის მივის — მესუა. ძველ ქართულში მივის ზმნას აორისტში ენაცვლება მესუა, რითაც „ქონების“ გამოსახატავად სხვადასხვა ასპექტში, როგორც ჩანს, სხვადასხვა ფუძე ყოფილა გამოყენებული. ამის შემდეგ სრულებითაც არაა მოსალოდნელი და შეცდომაცაა ვეძებდეთ ამ ტიპის ზმნათა სხვა დროის ფორმებს.

ამგვარივე ახსნას აძლევენ, სხვათა შორის, ბერძნული ენის რიგ მონაცვლე ზმნებს. საყურადღებოა, რომ გერმანულშიც არის წყება ზმნებისა, რომლებიც გამოხატავენ ერთ ზმნურ ასპექტს: მაგ. იმპერფექტულია suchen, პერფექტულია finden (პონა)¹. ეს შეხედულება ამგვარადაა განვითარებული: „უკვე ინდოგერმანულ

¹ Herman Hirt, Handbuch der griechischen Laut und Formlehre, 1912, გვ. 471.

პირველყოფილ ეპოქაში ზოგი ზმნური ფუძე აღნიშნავდა მხოლოდ ერთ ზმნურ სახეს და ამიტომ ამ ზმნიდან არ შეიძლება წარმოებულყო ყველა სახე. ასეთ შემთხვევაში ხშირად გამოდის სხვა, დამატებითი ფუძეები, რომელთაც შემდეგ გრამატიკა ერთ პარადიგმში აერთიანებს, ფაქტობრივად ფუძეები სრულე-ბითაც არაა ერთი და იგივე¹. აქედან წარმოდგება დროის ფორმათა წარმოების სუბლექტურობა, როგორც მოცემულ ზმნათა სემანტიკის კანონზომიერი შედეგი და სათანადო ზმნურ ფუძეთა ისტორიული განვითარების მაჩვენებელი. ენას ცალკეული კონკრეტული ვითარების გადმოსაცემად მოეპოვება განსხვავებული ნიუანსის შემცველი ცნებები, რომლებიც აბსტრაქტულ აზროვნებაზე გადასვლის შემდეგ ერთ ყალიბში ექცევა, როგორც რამდენადმე ტოლი მნიშვნელობის ერთეულები. ამით ზმნით აღნიშნული მოქმედებისა თუ მდგომარეობის სხვადასხვა დროში ჩვენებას უკვე ჩამოყალიბებული სახე ეძლევა.

ასეთი ჩანს დრონაკლ ზმნათა ერთი ჯგუფის ისტორია.

დრონაკლ ზმნათა მეორე მნიშვნელოვან ჯგუფს ე. წ. ნასახელარი ზმნები (დენომინატივები) წარმოადგენენ. ეს ისეთი ზმნებია, რომლებიც პირველი საჭიროებისთანავე იწარმოებიან სახელადი ფუძეებისაგან: ვმა: ვმ-ობ-ს; პეჩი: პერ-ოვ-ი-ნ; ლაღადი: ლაღად-ებ-ს... ასევე საზიარო სახელადს ფუძეს ეყრდნობა: სუფ-ევ-ს, ოზრ-ი-ს და სხვ.

მართალია, ძველ ქართულში ვადასტურებთ უკვე, როგორც სისტემას, სახელად ფუძეთაგან ნაწარმოები მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა დროისა და კილოს ფორმებს, რომელთაც გამონაკლისი თიოქმის აღარ იციან: დიდი: ადიდებს, დიდების, იდიდების; მდიდარი: განამდიდრებს, განმდიდრდება, მდიდროვინ; ვედრი: შეჰვედრებს, დაჰვედრა; ვორციელი: განავორციელებს, განვორციელდა და ა. შ., რაც ცნობილია ტექსტებიდან. დავსძენთ, რომ ამ წარმოებას გაჰყვა რთული (შედგენილი) სახელებისაგან ნაწარმოები ზმნებიც, როგორიცაა: თავის-უფალი; წინასწარ-მეტყუელი: გან-ა-თავის-უფლებ-ს, წინასწარ-მეტყუელებ-ს.

ორიოდე მაგალითი ძველი ქართული ტექსტებიდან:

განათავისუფლებდა: ძმ... განათავისუფლებდა კაცთა: კიმ. I, 186, 10.

გამოათავისუფლა: რომელ გამოათავისუფლა წმიდამან მან: კიმ. I, 91, 26.

¹ Herman Hirt, იქვე, გვ. 476.

განუთავისუფლებიეს: განუთავისუფლებიეს თავი თჳსი: კიმ. I, 71, 13.

განეთავისუფლნეს: უკუმოეყვანნეს და მონებისაგან განეთავისუფლნეს: წარტყუნ. ჟე 6.

განვთავისუფლდები: უძლურებისაგან განვთავისუფლდები: ხანძთ. ომ 10.

განეთავისუფლდით: ვნებისაგან განვთავისუფლდით: ანტიოქ. 54, 36.

ვწინაწარმეტყუელდით: სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელდებდათ: მთ 7,22.

გვწინაწარმეტყუელდ: ეტყოდეს: გვწინაწარმეტყუელდ ჩუენ: მთ 26, 68.

წინაწარმეტყუელა: კეთილად წინაწარმეტყუელა თქუენთჳს ესაია: მთ 15,7.

აქვე უნდა შევნიშნოთ ის გარდამავალი საფეხური, როცა საბელადი ფუძეებისაგან წარმოებულ ორგანულ ფორმებს ჯერ კიდევ ვერ გაუკაფავს გზა და მის ნაცვლად აღწერა იხმარება¹:

უკუანაესკნელთა მათ ერთი ხოლო ეამი დაყვეს და სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი: DE მთ 20, 12.

შდრ. ამათ უკუანაესკნელთა ეამ ერთ ხოლო ქმნეს და დამახწორენ ჩუენ იგინი: C იქვე.

ძალ გიცა შესუმად სასუმელი? DE მთ 20, 22.

შდრ. გიძლავს შესუმად სასუმელისა მის? C იქვე.

ცნობილია, რომ ამ „გარდამავალ ფორმათაგან“ ძველმა ქართულმა განამტკიცა ორგანული წარმოება და აღწერის გარეშე წავიდა. მაგრამ ზოგჯერ აღწერაა ერთადერთი შესაძლო საშუალება ზმნური ფუძის წარმოების გადმოსაცემად, რადგანაც ყოველგვარი სახელადი ფუძე არ ემორჩილება წარწოქმნის მიღებულ წესს. ამიტომ არის, რომ ძველი ქართულის ამბორს უყოფდა = ეამბორეზოლა:

და ამბორს-უყოფდა ფერქთა მისთა: ლკ 7,35.

შდრ. Καὶ χὰττφ:λεῖ τὸςδ πὸδμ; აბ:თს;

⚭ წამბორქჳ ყითთა ზორა.

ასევე:

¹ ეს საკითხი უფრო ვრცლად განხილული გვაქვს ცალკე ნაშრომში (მოხყენდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების სხდოვა 8.XII, 1953).

განმზადდეთ გზად უფლისაჲ და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი: მთ 3,3 და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულსა და სომხურში ორივეგან აღწერაა ქართულის მსგავსად: *εὐμειὰς παύσε, ἡλύψα ἄρσιν*, იგი, რასაკვირველია, არ შეიძლება წარმოადგენდეს კალკს: ერთი, იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევები არ დასტურდება, მეორე, იმიტომ, რომ „გააწრფელეთ“ ან ამის მაგვარი ფორმა უჩვეულოა ძველი ქართულისათვის.

ჩანს, ძველ ქართულში ერთი და ორი ნასახელარი ზმნის დროთა წესიერი წარმოებით არ შეიძლება საერთო დასკვნის გამოტანა და მისი განზოგადება. როდესაც ნასახელარ ზმნას აწმყოს ფუძე აქვს, ყოველთვის არ უნდა მოველოდეთ ძველ ქართულში აორისტის ფუძესაც და თევი უნდა შევიკავოთ დაუდასტურებელი ფორმების აღდგენისაგან (მაგ., ვიესე, ვასუფევებ და მისთ. შდრ. ზემოთ). მით უფრო, როცა ამის საჭიროება არაა. მაშასადამე, ძველ ქართულში არის იმის მსგავსი ვითარება, რაც რიგი უძველესი ინდოევროპული ენებისათვის არის მითითებული მეიეს მიერ: „მეორეული ზმნური ფორმები, რომლებიც იწარმოებიან ენაში არსებული სიტყვებისაგან და უშუალო კავშირში არ არიან ძირებთან, თავისივე წარმოების ძალით პირველ ხანებში ფლობდნენ მხოლოდ ერთ ფუძეს. მაგალითად, სანსკრ. ნასახელარ (ე. ი. სახელისაგან ნაწარმოებ) ზმნას *namas-ya-ti* (თაყუანს სცემს): აქვს მარტო აწმყო დრო. სრული „უღლილება“ კი, რომელსაც გვიჩვენებენ ბერძნული ნასახელარი ზმნები, როგორცაა *τεμαχ* (ვალიდებ), აორ. *ἐπιμαχ*, პერფ. *τεπιμαχ*, *τεπιμαχαι*, აორ. ვნებითი *ἐπιμαχ* და ა. შ. წარმოადგენენ ბერძნულ სიახლეს. ამიტომ სხვა ფუძეთა წარმოება, გარდა აწმყო დროის ფუძისა, ნასახელარ ზმნებში წარმოადგენს ყოველი ენათაგანის დამოუკიდებელი განვითარების შედეგს...“¹

ვიდრე ნასახელარი ზმნა ყველა ფორმას შეიძენდა, ე. ი. ენაში ასეთი სიახლეები შემოვიდოდა, ძველი ქართული, როგორც ეს სათანადო ფუძეთა აღწერისას იქნება ნაჩვენები, შეუძლებელი ორგანული წარმოების ფორმათა საკომპენსაციოდ ფართოდ იყენებდა ე. წ. აღწერით (პერიფრასტულ) ფორმებს: *ვმოზს*, მაგრამ ნამყო წყვეტილი: *ვმა-ყო*; *ლაღადებს*, ნამყო წყვეტილი: *ლაღად-ყო* და

¹ А. Мейе, Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, 1938, гл. 212 (ხაზი ჩენია. ო. ქ.).

ა. შ. ამას გარდა, იგი არ ერიდებოდა ტოლჯასი სემანტიკის სხვადასხვა ერთეულები ერთ პარადიგმაში გაერთიანებინა, სინონიმები გამოეყენებინა. შდრ. სუფევს, სუფევდა, მაგრამ აორ. ეგო და ა. შ.

მესამე ჯგუფის დრონაკლ ზმნებში შეიძლება განვიხილოთ თავისებური სემანტიკის მქონე გარდაუვალი ზმნები, რომელთაც ერთი ან ორი დროის ფორმაზე მეტი არც შეუძლიათ აწარმოონ და ისედაც არ სჭირიათ იგი. ერთი სერიიდან გადასვლა და მეორე სერიაში მოქცევა იმას ნიშნავს, რომ მოქმედება ან მდგომარეობა შეწყდა, დამთავრდა. კაცმა რომ თქვას, ისეთ სტატიკურ ზმნებს, როგორცაა: მაქუს, არს, ავსოვს, ჰგავს, არ გააჩნიათ ნამყო წყვეტილის ჯგუფი იმიტომ, რომ მათი სემანტიკა ამას ვერ იგუებს და არ მოითხოვს. შეუძლებელი ჩანს, მაგალითად, ქართული ენის მასალების მიხედვით აქუს ზმნა ნამყო წყვეტილში, დასრულებულად წარმოვიდგინოთ. ასევე ავსოვს, არს... არს იმას ნიშნავს, რომ არის საერთოდ, არსებობს მუდამ. წყვეტილი თითქოს ის იქნებოდა, რომ არაა, უკვე აღარ არსებობს, რაც შეუთავსებელი ჩანს ამ ზმნის შინაარსთან. ამიტომ ასეთ ზმნათა ფუძეწარმოების თავისებურებისა და დრონაკლობის გასაგებად სხვადასხვა მომენტის გათვალისწინებაა საჭირო.

ძველ ქართულში მოიპოვება კიდევ ისეთი დრონაკლი ზმნები, რომელთა ჩვენ მიერ დადგენილ ამა თუ იმ ჯგუფში მოსახვედრად ვარკვეული ნიშანი თითქოს არ იძებნება. ასეთია თუნდაც იმ ტიპის ზმნა, როგორცაა ჰზამს. რით უნდა აიხსნებოდეს ასეთ ზმნათა დრონაკლობა?

ეს საკითხი რომ გარკვეული იქნეს, საჭიროა ვიცოდეთ, როგორი იყო ზმნათა ფუძეები მაშინ, როცა ისინი ასპექტს განასხვავებდნენ. არნ. ჩიქობავას დიურატიული ასპექტის უღლილების ტიპად, რომელსაც პერმანსივი გადმოგვეცემდა, -ი სუფიქსიანი ზმნებში აქვს მიჩნეული¹. მაგრამ ის ზმნები, რომელთა -ი სუფიქსიანად მიჩნევისათვის გარკვეული დასაყრდენი არაა და რომლებიც ამავე დროს სრულებით არ შეიძლება ახალი ფორმაციისად ვცნათ, როგორ აწყობდნენ თავიანთ ფუძეს? ვფიქრობთ, ეს საკითხი ფართო მოცულობისაა და ამჟამად ვერ გადაწყდება. ვარაუდის სახით ერთი შესაძლებლობა უნდა დაგუშვათ: ზმნათა ფუძეს, რომელსაც პერმანსივის -ი სუფიქსი არ აწარმოებდა, მოსალოდნელია თავიდანვე დაკავშირებოდა ასპექტური გაგება, ე. ი. აქაც

¹ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

გვექონოდა დიურატიული და მომენტობრივი ასპექტის გამომხატველი ცალკეული ძირები. შდრ. ახალი ქართულის ზმნები: ვშვრებო, ვიზამ, ვქმენ...

დრონაკლ ზმნებში აღწერილია უმეტესი ნაწილი ე. წ. საშუალი და მათთან შინაარსით ახლო მდგომი სტატიკური ზმნებისასტატიკური ზმნები, საერთო წესით, იმ მხრით ითვლებიან დრონაკლად, რომ მათ პირველი სერიიდან მხოლოდ აწმყო მოვებებათ, ხოლო აორისტი — ენებითი გვარის ზმნათა ფუძით აქვთ ნაწარმოები. სხვა საკითხია, როდინდელია ასეთი წარმოება, მაგრამ ამჟამად ფაქტია, რომ ამ ზმნებს აქვთ აწმყო და ნასესხები ნამყო, თანაც ისეთი ნამყო, რომელიც თავისი ხასიათით განუსაზღვრელია. სწორედ ამ ნამყოსათვის არის შესაფერი სახელწოდება აორისტი (a-oristos — განუსაზღვრელი, passé indéfini), რომელიმე ჰგიეს და ეგო, ჰშორავს და ეშორა... ამათგან ეგო, ეშორა, შეიძლება ითქვას, ნამყო წყვეტილიცაა და უწყვეტლის ფუნქციაც შეუძლია იტვირთოს. მაშასადამე, ეს არის საერთო ნამყო, ჰანს ფოგტის შენიშვნით, passé commun¹. ისეთივე მდკომარეობაა ზოგიერთ საშუალი გვარის ზმნასთანაც, რომლებიც მხოლოდ აწმყოში იხმარებიან: ძეს, წევს, ზის, ღვას...

გარდაუვალ ზმნათა ჰეორე წყება თავისი ფუძით მარტო პირველ სერიაშია წარმოდგენილი, აორისტში მოქმედებითი ან ენებითი გვარის ზმნებს სესხულობს. ეს გარდაუვალი ზმნები თავისი ისტორიით უაღრესად ძველსა და დამახასიათებელ მასას ქმნიან ძველ ქართულში. მათი სახით საქმე გვაქვს იმ ეპოქაში წარმოშობილ ზმნებთან, როცა გვარის კატეგორია ენაში შესაძლოა არც კი არსებობდა, ან თუ არსებობდა, ჯერ კიდევ სუსტად იყო იგი განვითარებული².

დასასრულ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის უექველად ანგარიშგასაწევი მოვლენები, რომლებიც აშკარად ზმნათა დრონაკლობითაა გამოწვეული. ეს არის დროთა თანამიმდევრობისა და ბრძანებითის წარმოების ჩვეულებრივად მიღებული წესების დარღვევის შემთხვევები. ეს ორი საკითხი თავისი ისტორიით მეტად საინტერესოა, მაგრამ ჯერ კიდევ შეუსწავლელი. ამიტომ ჩვენ შენიშვნა წინასწარი ხასიათისაა და ამჟერად ფაქტის აღნიშვნით ვკმაყოფილდებით.

¹ Hans V oigt, Esquisse d' une grammaire du géorgien moderne, Oslo, 1936, გვ. 235.

² არნ. ჩიქობავა, ერატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულკავკასიურ ენებში, § 27, გვ. 113 და სხვ.

დროთა თანამიმდევრობის წესები ძველ ქართულში ჯერ კიდევ დადგენილი არაა. მაგრამ a priori შემდეგი შეგვიძლია ვთქვათ: როდესაც ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება ფაქტს გადმოგვცემს, ჩვეულებრივ, შემასმენლები ერთი დროით გადმოიციემა. ზოგადი წარმოდგენისათვის რამდენიმე მაგალითიც კმარა:

ხოლო მათ მეყსეულად დაუთვევს ბაღი იგი და მამა მათი და შეუდგეს მას: DE მთ 4,20.

ორივე ზმნა წყვეტილშია, გადმოგვცემს დასრულებულ მოქმედებას. თუ პროცესი გრძელდება, მაშინ უწყვეტელია ნახმარი:

აღაღო პირი თჳსი, ასწავებდა მათ და ეტყუდა: DE მთ 5,2.

თუ ამ წინადადებებში გამოხატულ დროთა თანამიმდევრობას საერთო კრიტერიუმად მივიღებთ, მაშინ უდავოა, რომ ქვემოთმოყვანილ ფრაზებში ნამყო უწყვეტლის ხმარება არღვევს წესსა და კონტექსტისათვის შეუფერებელია. აქ უმჯობესი და კონტექსტით გამართლებული იქნებოდა ნამყო წყვეტილი, მაგრამ იგი ზმნას არა აქვს და ნამყო უწყვეტელს სჯერდება:

ხოლო იგი მოაკლდა, ვითარცა კუამლი წინაშე ქარსა, და უჩინო იქმნა და ივლტოდა: კიმ. I, 236, 18.

და ვითარცა იხილა იესუ შორით, მირბიოდა და თაყუანის-სცა მას და დაღაღ-ყო ჳმითა დიდითა და თქუა... C მრკ 5,6—7.

ბრძანებითის წარმოების შესახებაც მოკლედ იგივე უნდა შევნიშნოთ. ქართულში ბრძანებითის წარმოების პრინციპი ძირითადად ცნობილია. წართქმითი ბრძანებითი თხრობითის აორისტის ფუძეს ეყრდნობა. ეს უნდა იყოს უძველესი და ტიპობრივი სახე ბრძანებითის წარმოებისა. რაიმე გადახვევა აქედან მეორეული ხასიათისა ჩანს. ეს გადახვევა კი უნდა დაწყებულიყო ისეთ ზმნებთან, რომელთაც აორისტის ფუძე არ გააჩნიათ. ამიტომ გვაქვს, ერთი მხრით:

დაუთვევ შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა მას შენსა და მაშინ მოვედ და შეწირე შესაწირავი შენი: DE მთ 5,24.

აღდეგ და წარიყვანე ყრმაე ეგე და დედაე მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჲლისა: მთ 2,20.

მაგრამ, მეორე მხრით:

აღდეგ და წარიყვანე ყრმაე ეგე და დედაე მაგისი და ივლტოდე ეგჳტედ და იყავ შენი: მთ 2,13.

თუ გვინდა სწორად გავიგოთ ნამყო უწყვეტლისაგან ნაწარმოები ბრძანებითის ფორმათა ისტორია (და მისი განსხვავებული შინაარსის მიღების საფუძველი) განსაკუთრებით ახალ ქართულ-

ში, დრონაკლ ზმნებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

ქვემოთ მოცემული გვაქვს დრონაკლ ზმნათა ფუძის წარმოების დახასიათება ცალკეული საწარმოებლების მიხედვით.

§ 3. -ი სუფიქსიანი ზმნები

ქართულში ერთი ჯგუფის ზმნათა აწმყოს ფუძის საწარმოებლად გამოყენებულია -ი ბოლოსართი. თავისი წარმოშობით იგი უძველესი ფორმაციისაა, როცა ამ სუფიქსით წარმოება საკმაოდ გავრცელებული იყო. ძველ ქართულში, შეიძლება ითქვას, ეს წარმოება შემცირებული ჩანს და სხვა სუფიქსები შემოდის უფრო ფართო ხმარებაში. ეს პროცესი, ალბათ, იმიტაც იყო გამოწვეული, რომ აწმყო და პერმანსივი (ახლა უკვე მეორე სერიის ფუძე) ფუძის აგებულებით ერთმანეთს დაემთხვა, მსგავსად ფრანგული პრეტერიტისა, რომლის ფორმა რიგ ზმნებთან აწმყოს დაემსგავსა და ენა იძულებული გახდა ისინი ახლა სხვადასხვა საშუალებით ეწარმოებინა¹.

ძველ ქართულში ცნობილია ერთი საკმაოდ დიდი ჯგუფის ზმნები, რომლებიც პერმანსივის ფუძით აწმყოში მოექცნენ ისე, რომ მათ მართო სინტაქსური კონსტრუქცია შეიცვალეს: იყო მოთხრობითსუბიექტიანი, გახდა სახელობითსუბიექტიანი. შემდგომ ამას რამდენიმე ზმნაში ფუძის შიგნითაც მოჰყვა ცვლილება: რედუცირებული ფუძე აწმყოში დარჩა, პერმანსივმა კი (მეორე სერიის დრომ) ურედუქციო ფუძე გაიჩინა. მაგ. აწმყო შლ-ი-ს, პერმანსივი — შალ-ი-ს².

ამ ზმნათა სინტაქსურ განსხვავებას აწმყოში მორფოლოგიურიც დაემატა: პირველი სერიის ზმნებმა საკუთარი თემა გაიჩინეს, განსხვავებით აორისტისაგან. საინტერესოა აღინიშნოს ამ მხრით ის გარდამავალი საფეხური, რომელსაც რამდენიმე ზმნის ისტორია გვიჩვენებს.

უბრძან-ი-ს → უბრძან-ებ-ს: არაწმიდათა მათ სულთა უბრძანის და დაემორჩილებიან მას: C მრკ. 1,27.

¹ A. Meillet, Sur la disparition du forme prétérît (იმავე კრებულში), გვ. 152.

² არნ. ჩიქობავა, რეცენზია ნ. მარის წიგნზე — Грамматика древне-литературного грузинского языка, М., 1925, შიმომხილველი, I, 1926, გვ. 318; მისივე, ერგატ. კონსტრუქციის პრობლემა, § 16, გვ. 73 და სხვა.

შდრ. სულთაცა არაწმიდათა უბრძანებს და ერჩიან მას.: DE, იქვე.

ითვლ-ის → ითვალ-ავ-ს: დასაბამითგან წელთა, ვითარ ანტიო-ქიელნი ითვალვენ: კიმ. I, 339, 35...

დაახლოებით ასეთი იყო აწმყოს ფუძის ჩამოყალიბების პროცესი. მაგრამ იგი ყველა ზმნას როდი შეეხო. პერმანსივის ფუძის ზოგი ზმნა კონსტრუქციითაც უცვლელად გადმოვიდა აწმყოში (მან იც-ი-ს...), სამაგიეროდ მას ახლა მეორე სერია თავისი ფუძით აღარა აქვს.

აქ განხილული ზმნებიდან -ი სუფიქსი აწმყოს ფუძის საერკობად მოუდის როგორც გარდამავალ (იცის, უწყის...), ისე გარდაუვალ ზმნებს (ცვის, რბის, ერჩის, ელის...). ეს ის ზმნებია, რომლებიც, როგორც ვთქვით, პირვანდელი პერმანსივის ფუძით გახდნენ აწმყო, აწარმოვეს პირველი სერიის დრო-კილო, მაგრამ მეორე სერიის ნორმალური წარმოების შესაძლებლობას მოკლებული აღმოჩნდნენ. ამიტომ ერთმა წყებამ აღწერით გამოხატა მეორე სერიის დროები: ყზრ-ი-ს — ყზრილ-ყო; მეორემ — აორისტის ფუძე სხვა სუფიქსით აწარმოვა: იც-ი — იც-ან; დანარჩენი ან ნამყო უწყვეტლით კმაყოფილდება ორივე ნამყოს გადმოსაცემად (მაგ. რბის — რბიოდა), ან უძველესი მრავალგზის -ერთგზისის ფუძეთა დაპირისპირებას დრო-კილოების მიხედვითაც ინარჩუნებს (უვის — ესუა, თქვს — თქუა...).

არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ -ი სუფიქსიანი ზმნები ყველა მსგავსი შინაარსის როდია: დიდი განსხვავებაა ივლტ-ი-ს, იტყუ-ი-ს... და ესტვ-ი-ს, კუმ-ი-ს, ოხრ-ი-ს ზმნებს შორის. უკანასკნელთაგან, როგორც ნასახელარ ფუძეთაგან, აორისტის ფორმებს საზოგადოდ ნაკლებად, ან თითქმის სულაც არ უნდა მოველოდეთ.

ამ ნაწილში აღწერილი დრონაკლი ზმნები -ი სუფიქსიანია ყოველთვის. მაგრამ თუ ეს სუფიქსი ზოგჯერ წარმოდგენილი არაა (მაგ., ბორგ-ს, დუმ-ს...), ისტორიულად უეჭველად ივარაუდება ის, რადგანაც შემონახული გვაქვს მასდარები: სი-ბორგ-ი-ლ-ი/ე, დუმ-ი-ლ-ი, ტირ-ი-ლ-ი... რომელთა ფუძეში გამოვლენილი -ი თემატურ ნიშნადაა მიჩნეული¹; თავს იჩენს, თუმცა სპორადულად, ძველი წარმოების ფორმებიც ვლუმ-ი, სტირ-ი... (იხ. მაგალითები

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, § 94, გვ. 222.

სათანადო ადგილას), რომელთა მიხედვით ესენი -ი სუფიქსიანებშია მოქცეული, მიუხედავად ზოგი დაბრკოლებისა (როგორცაა ნამყო უწყვეტლის წარმოება: წუხ-ს ← *წუხ-ი-ს: წუხლა, შდრ. რბ-ი-ს — რბ-ი-ოდ-ა).

აწმყოში -ი სუფიქსის დაკარგვა ან შეცვლა ძალიან ადრე დაწყებულია: ძველ ქართულში პროცესი ბევრ ზმნასთან უკვე დამთავრებულია. ეს გარემოება შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ აღარ უპირისპირდებოდა ერთმანეთს -ი თემიანი დიურატიული და სხვა თემის მომენტური ფუძე. -ი ბოლოსართიან ზმნათა აღწერისას მოცემული გვაქვს პირობითი და ჯგუფება ნამყო წყვეტილის წარმოების რამდენადმე მსგავსი ნიშნების მიხედვით. როგორც ზემოთაც ითქვა, აქ შეინიშნება შემდეგი ფაქტები: ზმნათა ერთ ჯგუფს მარტო აწმყოს წრის ფორმები აქვს, მეორე — ძირმონაცვლეა, დანარჩენი იმავე ძირიდან სუფიქსის დართვით გამოხატავს მეორე სერიის ფორმებს, ან სხვა გვარის (მოქმედებითის, ვნებითის) წარმოებას სესხულობს.

პირველი ჯგუფის ზმნათა საერთო დამახასიათებელია სტატიკური შინაარსი, მდგომარეობის გამოხატვა. ამიტომაც არც ერთი მათგანი არ იგუებს და არც საჭიროებს ზმნისწინის დართვას, აწარმოებს მხოლოდ პირველი სერიის (აწმყოს წყების) ფორმებს.

ყივ-ი-ს

უწყვეტელი

ყი-ოდ-ა: ვითარცა მკეცი მძვნვარჲ ყიოდა და იზახდა: შუშ. 20,17.

საყურადღებოა, რომ დასავლურ კილოებში გავრცელებული ფორმა, სადაც მესამე სუბიექტური -ს სუფიქსი -ა'თია შეცვლილი, ჯერ კიდევ ოთხთავის რედაქციებში დასტურდება:

ყივ-ა: მუნქუესვე ქათამი ყივა: მთ 26,74; ასევე: ი 18,27; ლკ 22,60.

საგულისხმო ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ უკანასკნელი ფორმა (ყივა) აღწერთი ფორმის პარალელურად, ბერძნულ-სომხურის აორისტის გადმოსაცემად გამოუყენებიათ:

ქათამმან ვმა-ყო: DE მრკ 14,68; შდრ. მთ 26,74; ი 18,27.

Ἄλγεωρ ἐφάγηε

հաւ խօսեցաւ

დავძენთ, რომ ძველ ქართულ ტექსტებში ჩვეულებრივ იხმარება ამ ზმნის საშუალი გვარის ფორმები. ამავე ფუძის ვნებითი და მოქმედებითი, როგორც შედარებით ახალი წარმონაქმი, ემყარება მასდარის ყვილი'ს ფუძეს: და მეყსეულად ქათამსან იყვილა: ნაბეჭდი ოთხთ. მთ 26,74 (შდრ. არლა ქათამსა ეყვივოს, C ი 13,38; არლა ეყვივოს ქათამსა დღეს: C ლკ 22,34).

ყუაფ-ი-ს

ნამყო წყვეტილისათვის ვნებითის -ენ || -ელ სუფიქსიანი წარმოების ფუძეა გავრცელებული. სტატიკური ფორმები აქაც მართო აწმყოს წყებაშია:

ა წ მ ყ ო

ჰ-ყუაფ-ი: რომლისათვისცა აწ უმეტეს ჰყუაფი ედემსა შინა: სასულ. რკა 20.

ყუაფ-ი-ს: მუნ ნაყოფი სულისაჲ არა ყუაფის: წარტყუენ. ლბ 9.

ყუაფ-ი-ნ: ვითარცა ყუაფილი ველისაჲ, ეგრე ყუაფინ: ბოლნ. 23.

ყუაფ-ი-ან: ყუაფიან მარადის... სათნოებანი: სასულ. კვ XX; სმგ 87.

საქმენი მართალთანი ბრწყინვენ და ლელებსა ყუაფიან: იპოლ. 17.24.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი პ ი რ ვ ე ლ ი და
ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ჰ ყუა-ოდ-ე: განშიშულდი შენ... და ჰყუაოდე გვრგვინთა: სასულ-რნდ 66.

ყუა-ოდ-ა: წესიერებითა... ყუაოდა: შუშ. 33,25.

ყუა ოდ-ი-ს: უფრახსად ყუაოდის და უფროახსად აღემატოს: ხანძთ. კბ 7.

ვ ნ ე ბ ი თ ი ა წ მ ყ ო

აღ-ყუაფნ-ებ-ი-ს: რომელსა შინა ნუში აღყუაფნების: ეკლეს. 160,10

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

აღ-ჰ-ყუაფ-დ-ი: და აღჰყუაფდი, ვითარცა მცენარეჲ: სასულ. რიზ 55.

საყურადღებოა, რომ მოქმედებითი გვარისათვის საშუალი გვარის ფუძე კი არაა ამოსავალი (ყუ ა ვ - ი - ს — ა - ყ უ ა ვ - ე ბ - ს),

არამედ სახელი ყუავეილი: ვითარცა ვარდი, აღაყუავეილე ნაყოფი უბიწოა: ურკ. 346,3; ასევე: სასულ. ეთ 23; პა 145; ნთ XXI.

ქუგ-ი-ს

იშვიათი ხმარებისაა¹. არაა დადასტურებული მოქმედებითის ფორმები. აორისტიისათვის აქაც ვნებითია ნასესხები.

ა წ მ ყ ო

ქუე-ი-ს: გონებად არა იგლოვს და სული არა ქუვის: წარტყუნ. კთ 26.

ვ ნ ე ბ ი თ ი წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

შე-ქუე-ღ-ა: დაუკრდა პავლეს და შე-ცა-ქუვდა: თეკლ. 121,9.

ჟ ი ვ - ი - ს

დადასტურებულია მარტოოდენ უწყვეტელში. აორისტიისათვის ყივის ზმნისებური წარმოება უნდა ვიგულოთ.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი²

ჟი-ოდ-ეს: ყრმანი, ვითარცა მართუენი მფრინველთან, ჟიოდეს: წარტყუნ. იზ 19.

უ ლ ა ვ - ი - ს

პირველი სერიის ფორმები გამოყენებულ ტექსტებში დადასტურებული არაა, მაგრამ უდავოა, რომ იგი განხილულ ზმნათა ანალოგიური იქნებოდა.

ვ ნ ე ბ ი თ ი წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

აღ-ელავ-ნ-ა: მას ეამსა აღელავნეს, რომელნი იგი გარემოს დგეს: კიმ. I, 137,27.

¹ მნიშვნელობით იგი წუხ-ს ზმნის ბადალია: შექუვენებულ არს სული ჩემი: C მრკ 14,34; შდრ. შეწუხებულ არს სული ჩემი: ტბ. იქვე.

² აქაც და შემდეგაც დაუდასტურებელ ფორმებს, გარდა საგანგებო შემთხვევებისა, არ აღვადგენთ. უწყვეტლის ფუძესთანაა განხილული პირველი კავშირებითი, ბრძანებითი და ხოლმეობითი, რომელთაც ერთი ამოსავალი ფუძე აქვთ. სიმოკლისათვის ვხმარობთ უწყვეტელი, წყვეტილი (გამოვტოვეთ ნაშყო)

მნიშვნელობით ძველ ქართულში ელავილს, როგორც ირ-
კვევა, შფოთი ენაცვლებოდა: იხილა ჟღავილი და მტირალნი:
C მრკ 5,38; შდრ. იხილა მუნ შფოთი და ტირილი: DE, იქვე.

ჟუვ-ი-ს

ამ ზმნის მხოლოდ უწყვეტლის ფორმას ვიცნობთ. საბას მი-
თითებით არსებობდა სახელი ჟუვილი (ჟუილი), მაგრამ მის მიერ
მოცემული განმარტება ('დაბუჟებულის ქორცის ჩხულეტა') ჩვენს
კონტექსტს არ უდგება.

უწყვეტელი

ჟუ-ოდ-ა: მატლი დიდძალი, ვითარცა სიმრავლე ფუტკართაჲ,
ჟუოდა კელთა ზედა მისთა: კიმ. I, 317,26.

ფშუ-ი-ს → ფშ-ს

ტექსტებში გვხვდება მხოლოდ სტატიკური ფორმები.

აწმყო

ფშ-ს: უშორველად ფშს მადლი ნაწილთა მისთაჲ: ზარზმ. 177,31.
ფშ-ან: ნერგნი ედემისანი ორძიან... და ფშან: სასულ. სმგ 87.

უწყვეტელი და ხოლმეობითი პირველი

ფშუ-ოდ-ა: სული საკუმეველისაჲ და ნელსაცხებელისაჲ ფშოოდა:
(sic) მისგან: კიმ. I, 245,13

ფშუ-ოდ-ი-ს: პოვის თხიერი და ფშუოდის, ვითარცა ქური: ბოლნ. 83.

ყზრ-ი-ს

აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსი -ი მესამე პირის
ფორმაში წარმოდგენილი არაა, თუმცა იგი საგულებელია (შდრ.
ყზრ-ი-ლ-ი). აორისტიკისათვის აღწერითი წარმოებაა ძალაში¹, რა-
საც მეორე ხოლმეობითის ხმარება გვიჩვენებს.

აწმყო

ყზრ-ნ: ჯმა-ყო ჯმითა დიდითა, ვითარცა ლომი რაჲ ყზრნ: გამოც-
ხად. იოვ. 10,3.

¹ სათავისო ქცევისაგან ნასესხები ფორმები ჯერ კიდევ ძალიან იშვიათად,
თითო-ოროლა შემთხვევაში გვხვდება: შვიპყრის და იყზრნის მას ზედა: ესაია,
31,4.

მეორე ხოლმეობითი

ყრილ-ყვის: ავაზი იგი აღ-რაჲ-დგის სადგურით თუსით, მესამესა დღესა ყრილ-ყვის: სახისმეტყ. თ 25.

ჯვ-ი-ს¹

ძველ ქართულში მას 'ხმიანობის, აურზაურის, შფოთის' მნიშვნელობა აქვს. საყურადღებოა მიმღეობა მ-ჯვ-ობ-არ-ი: იხილა ელავილი და მტირალნი და მჯვობარნი: C მრკ. 5,38.

ყრ-ი-ს ზმნის აწმყოსა და აღწერთი ფორმების მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ აწმყოს წყების ფორმები: ჯვ-ი; ჯ-ო-ა...

წყვეტილის მნიშვნელობით

ქვ-ყო: ჯვ-ყო დედამან თეკლაჲსმან: თეკლ. 103,30; იქვე, 118,19.

მეორე ჯგუფის ზმნები აორისტის წარმოებისას ძირცვალებადია.

ი-ტყუ-ი-ს → იტყვს

-ი ბოლოსართიანი დრონაკლი ზმნებიდან იტყვს საინტერესო ისტორიის მქონეა. ძველ ქართულში მას აწმყოს მნიშვნელობა აქვს და ამ ფუძითა და მნიშვნელობით აორისტს არ აწარმოებს. ეგვევ ითქმის -ე-ნიანი ვნებითის შესახებაც (იტყვს): დროის წარმოებაში განსხვავებას არც ეს იძლევა. სხვათა შორის, ამ ზმნას კარგად აქვს განვითარებული პირველი სერიის როგორც ერთგზისის, ისე მრავალგზისის ფორმები.

იტყვს ზმნის ისტორიის უკეთ წარმოსადგენად უმჯობესია მოკლედ შევეხოთ ამ ფუძის მოქმედებითი და ვნებითი გვარის დროთა წარმოებას ძველ ქართულში. ორივე გვარისათვის ამ ზმნამ პირველ სერიაში საკუთარი ფუძე გაიჩინა, -ებ სუფიქსით ნაწარმოებმა, სხვადასხვა პრეფერბისა და მაქცევრის დართვით, ნაირგვარი ლექსიკური მნიშვნელობა მიიღო¹.

მოქმედებითი გვარის აწმყო

ა-ტყუ-ებ-ს: ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს: მრკ 7,37.

ცნობაჲ ამისი არამცირედსა სარგებელსა მოატყუებს მსმენელთა: ანტიოქ. 95,26; 107,14; 83,9.

¹ ეტიმოლოგიის ცდა მოცემულია ჩვენს ნარკვევში: „დ და რ თავსართები ქართულ ზმნებში“, უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXX/1B, 1947.

რომელნი სახეტკბილებითა შეიტყუებენ სულთა დაუმტკიცებელთა: სახისმეტყ. ივ 40.

უწყვეტილი

შე-ა-ტყუებ-დ-ა: რომელი არა უხილავთა შეატყუებდა და სცნობდა: ანტიოქ. 71,20.

ჭგულარძნიდა პაელეს და შეიტყუებდა: თეკლ. 108,11.

წყვეტილი, კავშირებითი მეორე

სიტყვთა ალატყუე ყრუ იგი და უტყვ: ზარზმ. 171,8.

მომაკულადებისა მის წილ მოგატყუა უკუდავება: სასულ. რკმ 79.

ზეთი იგი გამოსტყუა და მერმე ნებაჲ მისი აღასრულა: წარტყუნ. კთ 2.

გულის-ხმა ვყოთ და შევატყუათ სიტყუაჲ: ქრესტ. 48,17.

ვნებითი აწმყო

აღ-ი-ტყუებ-ი-ს || აღ-ე-ტყუებ-ი-ს

წყვეტილი და მეორე კავშირებითი

აღ-ი-ტყუ-ა (= 'ამეტყველდა'):

ვითარცა აღიტყუა ყრმაჲ იგი, უმეტეს ხოლო დაუკარდა ყოველთა: კიმ. I, 154, 10; 310,5 (შდრ. *ქარის ჭიასხეულ ყაანისქუ: ქარდ ხდ ქქაკარონიქს*: ფილექტიმონის წამების სომხური ტექსტი, გვ. 466,22).

აღიტყუა უტყვ იგი: ხანძთ. მე 17; ისევე: სასულ. რკმ 17; სუგ 161.

აღ-ე-ტყუ-ა-ს: წარიყუანე ეგე სახიდ შენდა, მუნ აღეტყუას: კიმ. I, 310,30.

რელატიური ვნებითის ფორმები, რომელთაც შე-პრევერბით გარკვეული მნიშვნელობა აქვთ მიღებული (შეე ტყუების = შეპ-გავს, შეენის, შეესატყვისება), აორისტში ამ შინაარსით იშვიათია, ან თითქმის სრულებით არ იხმარება.

აწმყო

შე-ე-ტყუებ-ი-ს: დაწერონ წიგნი მაგიერი, ვითარცა შეეტყუების შურსა მას მისსა: დამასკ. 151,28.

უწყვეტილი

შე-ე-ტყუებ-ოდ-ა: აღიღო მცირედი რაჲმე ევლოგიაჲ, რომელი
შეეტყუებოდა კაცთა მათ: ზარზმ. 156,12; დამასკ. 162,35.

ამგვარად, მოქმედებითისა და ვნებითის ფუძეები ორივე
სერიის დრო-კილოებში გვხვდება.

ეგვივე ითქმის -ი ბოლოსართიანი წარმოების შესახებაც:
ტყუვ-ი-ს:

აწყყო

ვ-ტყუვ-ი: მიმკადენ მე შემატყუებელმან მან, რამეთუ არა ვტყუვი:
კიმ. I, 14,18.

უწყის ქრისტემან, რამეთუ არა ვტყუვი: რავახ. 90,17.

არა მიტყუვის გონებაჲ: კიმ. I, 168,18.

კავშირებითი პირველი, ხოლმეობითი პირველი

ვ-ტყუ-ოდ-ი-თ: თანაგუაც, რაჲთა ქეშმარიტებით ვიტყოდით და
არა ვტყუოდით: ანტიოქ. 36,26.

ტყუ-ოდ-ი-ან: ჯერ არს-ა მსახურთა შენთაჲ, რაჲთა ტყუოდინ
წინაშე შენსა? წარტყუნ. 58 15.

წყვეტილი, კავშირებითი მეორე

ტყუ-ა: ხოლო მან ტყუა და თქუა: კიმ. I, 308,12.

ვ-ტყუ-ო-თ: უკუეთუ ვტყუოთ, ბოროტ არს: წარტყუნ. 60 21.

მაგრამ იტყვის—ეტყვის, როგორც *verbum dicendi*, მართო
პირველი სერიის დროებში იხმარება, აორისტში მას თქუ ენაცვლე-
ბა. იტყვს ზმნა აბსოლუტური აგებულებისაჲ, თუმცა ზოგჯერ შე-
იძლება ჰქონდეს დამატება. იგი იშვიათად (გამოთქვამს ზმნის
ანალოგიით) პრევერბსაც დაირთავს (უპირატესად: გამო-, წარმო-)
ეტყვს კი ყოველთვის უპრევერბოა.

აწყყო

ვ-ი-ტყუ: მე თავით ჩემით ვიტყვ: ი 7,17

ქეშმარიტსა ვიტყვ: ხანძთ. მწ 27; 38 71. ასევე: იაკობ,
თბ 13; სასულ. სჯ 245 და ა. შ.

შეუერდიან მას, ლალადებედ და იტყვედ: C მრკ 3,11.
ასევე 39,28.

წინააღმდეგარ სიბრძნით გამოიყვან იგავთა: იპოლ. 1,24.

თავადი გამოიყვან და აღწერნ მოძღურობათა: კიმ. I, 128,1.

რომელთა თითოეულად ვერ წარმოვიყვანთ აწ: ანტიოქ. 91,33.

ეტყვს: ნურას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვ: შუშ. 14,7

ეტყუ (sic) ძმასა შენსა: მატაღე...: C მთ 7,4

ცრუ მოძღუარნი შევიდიან მის თანა და ეტყვედ: ჰაბო, 70,17.

უწყვეტელი, ხოლმეობითი, კავშირებითი და
ბრძანებითი

ვ-ი-ტყ-ოდ-ე: განვიზრახვედ და ვიტყოდე თავსა შინა ჩემსა: რაევხ. 89,9.

ვ-ი-ტყ-ოდ-ი: აღსასრულსა ხტყოდი ნათესავეთა მიმართ: ქრესტ. 2,25.

ი-ტყ-ოდ-ე: იტყოდე, რადეცა გნებავს: საბა, 8,35.

ი-ტყ-ოდ-ა: გამოიტყოდა შიერ ჟამითგან საკითხავთა: კიმ. I, 232,25; იპოლ. 1,20. იგივე ფუძე გვხვდება სხვადასხვა პირში; DE მთ 13,35; C მრკ 13,11; ანტიოქ. 82,33; 175,3; იაკობ, იწ 18; სპევსიპ. 333,70 და სხვ.

ი-ტყ-ოდ-ის: რომელსა... თვთ წარმოიტყოდის: ზარზმ. 165,1.

ი-ტყ-ოდ-ი-ან: გლახაკისა მის ლაზარეს თანა იხარებდენ და იტყო-
დნან: წარტყუნ. ნწ 26.

ვითარცა შემძლებელ იყვნენ შესხმათა მისთა სიმადლესა,
წარმოიტყოდედ: ანტიოქ. 47,8.

ე-ე-ტყ-ოდ-ი: წინააღმდეგარ უღალადებდი და ვეტყოდი: შუშ. 38,4.

ე-ტყ-ოდ-ეს: ეტყოდეს ძმანი იგი: არიმათ. 47,46. ეგევე ფუძეა
სხადასხვა პირში: სასულ. სპა 337; ტოე XXXII; რაევხ. 103,24...

აღორისტში, როგორც ვთქვით, სხვა ფუძეა გამოყენებული, თუმცა ბრძანებითისათვის იგი უწყვეტელს მიმართავს: იტყოდე! და აქვს ძირითადად თქვი ზმნის მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ჩვეულებრივი გამოთქმა „იწყოს სიტყუად“ არ ნიშნავს ყოველთვის „სიტყვა დაიწყოს“ და არც სიტყვასიტყვითი თარგმანი აქვს უცხო დედანში¹. მაგ.:

¹ სხვა მნიშვნელობისაა აღწერითი ფორმა სიტყუა-ყო: მთ. 25,19 (=გამო-
იძია, შეიტყო).

რატემს იხილით ღრუბელი, აღმომავალი დასავლით, მყე-
სეულად სთქვთ: ლკ 12,54. *εὐμῶδω λέγετε; Ἰσχυρὸν ἄσπε-*
ხოლო თქუენ მთქვთ: მრკ 7,11; მთ 16,2.

ἄμεις δὲ λέγετε; Ἦλ ἰούδ ἄσπε.

რამე უკუე მწიგნობართა თქვან? C მთ 17,10;

შღრ. ვითარ იტყვან მწიგნობარნი იგი? DE იქვე.

Γραμματεῖς λέγετε; Ἰσχυρὸν ἄσπε.

რამდენიმე მაგალითიდანაც აშკარად ჩანს, რომ თქვს აწმყო. თუ მოვიგონებთ ამის გვერდით ფშაურსა და ხევსურულში თხოვნითი იერის შემკველი ბრძანებითის ფორმებს, რომელთაც ნამყო უწყვეტლის ნიშანი მოეპოვებათ: მამიგონილით, სწორებო, შანდობა სთქოდით ჩემია (ი. ხორნაულცი, ფშაური მილექსებანი, გვ. 46); დედასა ეგრე მითქვიდით: (ხალხური პოეზია, I, ხევსურული, გვ. 449), მაშინ ერთი შეხედვით უმკველი გახდება, რომ თქუ ფუძეს სრულად შესძლებია პირველი სერიის დროთა წარმოება და მის დრონაკლობაზე ლაპარაკიც თითქოს გაუგებარი იქნებოდა. მაგრამ სინამდვილეში საქმის ვითარება სხვაგვარია: თქვ-ს თავისი წარმოებით უძველესი პერმანსივის ფუძეა. იგი გარკვეულ შემთხვევებში აწმყოს მაგივრობას ეწევა და ნამყო უსრულის საწარმოებლადაცაა გამოყენებული¹. ფშაურ-ხევსურულში ამ ოდინდელი ვითარების კვალია შემორჩენილი. ამდენად ძველი ქართულის თქვ-ს აწმყოს პარადიგმში ვერ მოექცევა: მისთვის ასეთი მნიშვნელობა სისტემური არაა, იგი ნაშთის სახითა შეგვიძლია დავადასტუროთ. ამიტომ თქუ ფუძეს აორისტის სერიაში ვათავსებთ: თქვ-ს ნამყო მრავალგზისია, თქუ-ა — ერთგზისი. აქვე შევნიშნავთ, რომ ძველ ქართულში ჯ-სა და უ-ს აღრევის გამო კირს ერთგზისისა და მრავალგზისის ერთმანეთისაგან გამოიჯენა.

ხოლმეობითი

ს-თქვ-თ: და განთიად სთქვთ: ზამთარი იყოს: მთ 16,3.

თქვ-ს: ეძიებნ განსუენებასა და არა პოის და თქვს: ლკ 11,24;
5,39; მთ 12,44; მრკ 14,19.

ბენება უწყებად, რომელი იგი თქვს წიგნმან: კიმ. I, 45,9.

¹ არნ. ჩიქობავა, პერმანსივის (ნამყო ხოლმეობითის) ისტორიული ადგილისათვის ქართ. ხმნის უღვლ. სისტემაში, გვ. 94.

თქვ-ან: მოვლენან დღენი, რომელთა შინა თქვან: DE ლკ 23,29.
ვინ ვპგონიე ერსა მას, რაჲ თქვან ჩემთვის: ლკ 9,18; მრკ. 8,27;
9,11. ასევე: ხანძთ. იზ 7,39; სახისმეტყ. კმ 4.

ნ ა მ ყ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

ს-თქუ: ხოლო შენ, რომელი ეგე სთქუ: სპეეს. 333,65.
უფალო, ამისთვის რაჲ ჰსთქუ: DE ი 21,21; ასევე: DE მრკ
12,32; ლკ 20,39.

ს-თქუ-თ: რამეთუ სთქუთ ძმათა თქუენთა სრული საღმრთოჲ სიმ-
დაბლე: ხანძთ. მშ 36,33.

თქუ-ა: აღიხილნა და თქუა: ვხედავ კაცებსა: C მრკ 8,24; 15,28.
რომელთათჳს თქუა ნეტარმან გრიგოლ სიტყუაჲ იგი:
ხანძთ. კგ 31, ლე 18, კ 18, იბ 18, თ 98.

თქუ-ეს: მუნ ვიეთთა მწიგნობართაგანთა თქუეს გულსა თჳსსა: DE
მთ 9,3; ლკ 2,15.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

თქუ: აწ თქუ, რომელ იყოს მოწესედ: ხანძთ. კგ 16; ე 26.
თქუ სიტყუთ და განიკურნოს მონაჲ ჩემი: ლკ. 7,7; 11,2.

თქუ-თ: და მერე თქუთ, ვითარმედ მოცემულ არს იგი ოჯრებად:
წარტყუნ. ია 30

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი მ ე ო რ ე

თქუ-ა-ს: რომელმან ძკრი თქუას მამისათჳს: მთ 15,4.
გამოდის, რომ იტყუ-ს და თქუ-ს ორივე პერმანსიულია.
მაგრამ რა განსხვავებაა მათ შორის ძველ ქართულში, მარტო ის,
რომ ორივე დიალექტური წარმოშობისაა? ეს შეუძლებელი არაა.
მაგრამ იტყუ-ს ზმნის მოქცევა აწმყოში და თქუ ფუძისა—აორის-
ტში შემთხვევითი არ უნდა იყოს. ვფიქრობთ, რომ ამ ორი ზმნით-
საქმე გვაქვს უძველეს ასპექტურ ფუძეებთან: იტყუ-ს მრავალგზი-
სია, თქუ-ა — ერთგზისი, სრული ასპექტი. თქუ-ს ამ ფორმით
შეიძლება მეორეული იყოს: verbum dicendi-ს ბუნება საესეებით
ეგუება ასეთ გაგებას.

ოთხთავის სხვადასხვა რედაქციების ერთმანეთთან შედარება
გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ერთი რედაქცია თუ იტყოდა-ს ხმა-
რობს, მეორე რედაქცია თქუა-ს უპირისპირებს. ფაქტი შეიძლე-

ბა ინტერესმოკლებული არ იყოს უცხო ენის გარკვეული დროის გადმოცემის თვალსაზრისითაც ძველ ქართულში:

იფარვიდა თავსა თვსსა ხუთ თთუე და იტყოდა: DE ლკ 1,24;

შდრ. იმაღვიდა თავსა თვსსა ხუთ თთუე¹ და თქუა: C იქვე. ასევე: ლკ 2,15.

აწმყოს ფუძეს -ამ სუფიქსი აწარმოებს: თქუ-ამ, რომელიც მოქმედებითში უქცევოდ ან უპრევერბოდ არ იხმარება. ამასთანავე დაკავშირებული ის ლექსიკური მრავალფეროვნება, რომელსაც ეს ზმნა გვიჩვენებს. მაგრამ მესამე სერიისათვის სწორედ რომ უპრევერბო ფორმაა ამოსავალი: მ-ი-თქუ ამ-ს.

მოქმედებითი, აწმყო

ვ-ი-თქუ-ამ: აჰა ესერა, სულთ-ვითქუამ და ეკუნესი: ანტიოქ. 120,21 და მე აღგითქუამ თქუნ: ლკ 22,29.

გ-ი-თქუ-ამ-ს: ნუ გული გითქუამს ცოლისათვს მოყუისსა: კიმ. I, 26,34.

გან-ს-თქუ-მ-ედ: ტუფილითა რეცათუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განსთქუმედ ერსა შორის: ჰაბო, 74,11.

თურმეობითი პირველი

მ-ი-თქუ-ამ-ს: არარაჲ მითქუამს ახალი სარწმუნოებაჲ: კიმ. I, 71,24.

გ-ი-თქუ-ამ-ს: იხილე და ნუმცა ვისდა გითქუამს: ანტიოქ. 114,33.

უწყვეტელი

მ-ი-თქუ-მ-ი-დ-ა: გულის სიტყვთ გული მითქუმოდა პასქასა ჭამად: ლკ 22,15.

უ-თქუ-მ-ი-დ-ეს: მაშინ უთქუმოდეს მშობელნი მათნი სამოსელსა კრელსა: კოლ. 59,125.

II სერიის ნაკეთები

-ვ-ქთვ: ესე ამისთვს წარმოვთქვ, რაჲთა უწყოდით: წარტყუნ. U 21

-ს-თქვ: რომელიცა შენ ზაკუევით აღმითქვ: სასულ. სჲთ 252.

¹ ფოტოტიპიურ გამოცემაში არის თვთე.

-თქუ-ა: რომელმანცა გამოთქუა ესე: იპოლ. 1,110.

ესე ვითარცა წართქუა, ვილოდა წინაშე მათსა: ლკ 19,28.

მ-ი-თქუ-ა: გულმან მითქუა ღღესა ერთსა: კიმ. I, 207,24.

უ-თქუ-ა: ღირს იქნა კეთილსა და გულმან უთქუა ქამადისა: იპოლ. 35,16.

ი-თქუ-ნ-ა: სახც პატიოსნისა ჯუარისაჲ გამოსახა და სულთ-ითქუნა: ზარზმ. 155,32.

-თქუ-ეს: კაცთა უკეთურთა და ურწმუნოთა განთქუეს ამბავი: კიმ. I, 319,18

აღთქუნეს ბაგეთა ჩემთა: კიმ. I, 246,19.

ვ ნ ე ბ ი თ ი , ა წ მ ყ ო

ი-თქუმ-ი-ს: ხრქუა მათ ჰებრაელებრ: რაბუნი! რომელი ხითქუმის: მოძღუარ: ქრესტ. 13,11.

დიდი ზრახვაჲ საცხებელისაჲ მის გამოითქუმის: იპოლ. 2,221.

ღღეს განითქუმის სოფელსა უბიწოდ მოქალაქებაჲ: სასულ. ძმ 80.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი დ ა ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

ი-თქუმ-ოდ-ა: მას ქამსა მამაჲ ეპიფანე ითქუმოდა სასწაულთა მოქმედად: ხანძთ. მე 5.

ი-თქუმ-ოდ-ი-ს: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე... ითქუმოდის. საჯსენებელად მაგისა: DE მრკ 14,9.

II ს ე რ ი ის ნ ა კ ვ თ ე ბ ი

-ი-თქუ-ა: სიტყუაჲ იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ: DE ლკ 2,17. ესრეთ მიმოდითქუა დიდი იოანე: დამასკ. 169,27.

-ი-თქუ-ნ-ეს სამნი ესე: წიგნნი... გამოითქუნეს: იპოლ. 1,19.

რომლისა წარწყმედად შეითქუნეს მეფენი: თბრობა, 10. სახარებაჲ... მიმოგანითქუას საჯსენებელად მაგისა: C მრკ 14,9.

-ამ სუფიქსიან ზმნათაგან ძველ ქართულში კაუზატივი ჩვეულებრივ გაუვრცობლად, უსუფიქსოდ არის წარმოდგენილი: ა-რტყ-ამ-ს, ა-სუ-ამ-ს... მაგრამ თქუ-ამ-ს ზმნას -ევ ბოლოსართიც დაერთვის: ა-თქმ-ევ-ს. უდრ.

ოდეს იხილნის ეშმაკმან... მაშინ დააჯერის და ათქუმიის
ესევეთარი: იოვ. ოქროპ. 277.

რადთა ეამობაჲ ათქმიოს ობოლთა: ათონ. 335,254.

თქუ-ამ ფუძისაგან შეგვიძლია ვაწარმოოთ ისეთი ფორმები,
რაც შეუძლებელი იქნებოდა თქუ-საგან (განსთქუამს, შეითქუმის...);
მისი სხვადასხვა მნიშვნელობა აწმყოში გადმოსვლასთან და ახალი
ფუძის გაჩენასთან არის დაკავშირებული.

ჰ-რქუ-ა

ღროთა წარმოების მხრით რაც ითქვა თქუ-ს შესახებ, იგივე
შეიძლება გავიმეოროთ რქუ-ზედაც, იმ განსხვავებით, რომ რქუ
აწმყოში არ იხმარება. მას ტყუ-ს რელატიური ვნებითი ენაცვლე-
ბა: ეტყუს, ეტყოდა — ჰქრუა. ძველ ქართულში აქაც შეინიშ-
ნება პერმანენისეული ჰრქუს აწმყოს მნიშვნელობით:

მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი და ვჰრქვ ამას: წარვედ!
DE მთ 8,9.

Καί λέγει τιντα; *ახხიწ ამა*.

თხრობითის ერთგზისის პირველ-მეორე პირში და ბრძანებითის
მესამე პირში დატულია მაქცევრად ა- პრეფიქსი¹. მრავალგზისის
ფორმებსა, ერთგზისის მესამე პირის ორივე რიცხვში და კავშირე-
ბითში ა- მაქცევარი დაკარგულა მახვილის წყალობით².

ეს ზმნა საერთოდ პრევერბს არ საჭიროებს, თუმცა დასტურ-
დება ერთეული შემთხვევები მი- ან მო- პრევერბის ხმარებისა: მი-
ჰქუა, რაშიც მიმართულების ჩვენება უნდა იგულისხმებოდეს.

ხოლმეობითი

ვ-ჰ-რქვ: ვჰრქვ მე უფალსა: არიმათ. 41,34.

მ-რქვ: ...მრქვ ჩუენ, ვითარმედ ვთხოვოთ სული: იქვე, 36,25.

ჰ-რქვ-ს: მოიყიდა საქმარსა და მოართუმიდა მოძლუარსა და
ჰრქვს: კიმ. I, 166,32.

ჰ-რქვ-ან: განჰაუტნიან იგინი და ჰრქვან მამა-ღედათა თუსთა:
სახისმეტყ. ია 18; იე 9.

¹ ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 46, 76შ. 1.

² არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: მეცნ.
აკად. მოამბე, III, 1942, გვ. :95.

წყვეტილი, ბრძანებითი

- ვ-ა-რქუ: ვაფუტე... და ვარქუ მათ: რაევან. 83,28; 84,2; 91,28; ასევე: არიმათ. 42,36; 38,28; შუშ. 8,11; 21,7.
- ვ-ა-რქუ-თ: რაჟამს მივეცენით ტყუილობასა, ვარქუთ მონაზონთა მათ: წარტყუნ. ია 29.
აწ მარქუ ჩუენ: მრკ 12,14; 23,25; ლკ 4,3; წარტყუნ. მშ 6; ხანძთ ია 7...
- ა-რქუ-ნ: ითხოვენ კურთხევად მისგან და არქუნ: კიმ. I, 230,10.
- რქუ-ა: მან მრქუა მე: ი 1,33; ევსტ. 35,11; შუშ. 8,1.
რამ გრქუა შენ ანგელოზმან: ხანძთ. ნე 56.
უბრძანა უსტამ მოწოდებად მათი... და ესრეთ ჰრქუა: ევსტ. 82,7; ასევე: მრკ 6,50; 6,22; 5,34; ხანძთ. 42, 65, 37, 54; ც 47; ზ 20.
ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრქუა ესრეთ: შუშ. 36,4.
ნეტარმან მან არა ისმინა, არამედ მიჰრქუა: ხანძთ. ნე 61.
მოჰრქუა თჳსითა სიტყვათა და თქუა ჩვენდა მომართ: კიმ. II, 181,18.
- ჰ-რქუ-ეს: ვითარ ესე მრქუეს მე, წარვიდეს: რაევან. 85,2; 89,28; 84, 26; 83, 34.
მაშინ ძმათა მათ ყოველთა ტირილით ჰრქუეს: ხანძთ. ლ 60; გ 67; კგ 1.

მეორე კავშირებითი

- რქუ-ა: მივედ დამასკედ და გრქუა მუნ, რადცა ჯერ იყოს: არი-მათ. 54,61; მრქუათ სამე იჯავი ესე: ლკ 4,23.
რომელმან ჰრქუას მამასა თჳსსა: DE მთ 15,15.
- ჰრქუა სამპირიანი ზმნაა და უპირისპირდება თქუა-ს.
რ-პრეფიქსი მიჩნეულია ისეთ ელემენტად, როგორცაა რ-წმენა, რ-ცხუენის ზმნებში¹ და გამოცხადებულია გრამატიკული კლასის ნიშნად.

ჰ-რქუ-ან

რქუ ფუძისაგანა მიღებული სტატიკური შინაარსის ჰრქუან-ერქუა ზმნაც. ნამყო მრავალგზისის შესამე პირის მრავლობითის ფორმა, იღებს რა სპეციფიკურ მნიშვნელობას, საბოლოოდ აწმყო

¹ ვ. თოფური, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 540.

ზღება. მნიშვნელობის განვითარებისათვის საინტერესოა მისი კონტექსტში გამოყენების ასეთი შემთხვევები: ჰ-რქვ-ან მათ მას იგი: მჯდომი ქედსა მისსა გამოაჯდა, რომელსა კბლი უწოდიან, ხოლო ძუელად ჰრქვან სატალი: ხანძთ. 3ა 3.

რომელსა იგი ბერძენთა ჰრქვან პრასინოს: თუალთ. 28.

არს მფრინველი, რომელსა სახელი ჰრქვან ქალანდროს: სახისმეტყ. 3,2.

აქედან ჩანს, რომ უძველეს ქართულში იხმარებოდა გარდამავალ ზმნათა სამივე პირის ფორმა, შემდეგში იგი სტატიკური ზმნა გახდა; დაკარგა სუბიექტური პირი, შეინარჩუნა მხოლოდ აწმყო, ვერ აწარმოვა თავისი ფუძით დანარჩენი ნაკვეთები. სტატიკური შინაარსით ჰრქვ-ან ძველსავე ქართულში იხმარება და აწმყოს მნიშვნელობა აქვს:

რომელსა ჰრქვან ჰებრაელებრ ბეთეზდა: DE ი 5,2; ლკ 1,61. ანუ შენ არა რაევან გრქვან-ა? რაევან. 95,33.

შევმთხვა ადარნასეს სენი ტეხისაჲ წრდიალი, რომელსა ჰრქვან ნიკრისი: ხანძთ. ნვ 26; თ 76; ლზ 34.

აწმყო დროის ფუძე -ამ სუფიქსით იწარმოება. უზმნისწინო ფორმას იყენებს მეორე სერიისათვის სტატიკური ზმნა, ზმნისწინი საერთოდ ვნებითსაც იშვიათად ერთვის და მოქმედებითსაც.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა წ მ ყ ო

ე-რქუმ-ი-ნ: ნუცა გვრქუმინ თქუნ წინამძღუარ: DE მთ 23,10.

ე-რქუმ-ი-ს: რომელსა ერქუმის ჰებრაელებრ ბეთესდა: C ი 5,2. ასევე: ჰაბო, 61,18; 64,33.

ვ ნ ე ბ ი თ ი, II ს ე რ ი ის ნ ა კ ვ თ ე ბ ი

ე-რქუ-ა: რომელსა ერქუა კადაფა: C მთ 16,14. ასევე: ლკ 1,26; 1,27; 1,36; 1,61; მთ 16,2; 4,18.

წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქუა კუპრა: ხანძთ. ნვ 27; იბ 7 და სხვ.

ე-რქუ-ა-ს: სახლსა ჩემსა სახლ-სალოცველ ერქუას: DE მრკ 11,17.

ე-რქუ-ნ: ერქუნ მაგას იოჰანე: C ლკ 1,60.

ცხადია, რომ ჰრქვან — ერქუა უახლოეს ეტიმოლოგიურ კავშირშია თქუ ძირთან. სემანტიკური განვითარების მხრით საყურადღებოა, რომ თქუმა 'წოდების, ხადილის' მნიშვნელობას იღებს¹:

¹ შდრ. ჩეენი: „დ და რ თავსართებ ქართულ ზმნებში“. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXX/1B, 1947, გვ. 447.

ჰრკუეს მას სახელი იესუ: C ლკ 2,21; შდრ. უწოდეს სახელი მისი იესუ: DE იქვე.

ამისათვის გარკვეულ თქუენ მონად და შეგობრად ქრისტესა: ჰაბო, 57,7.

ხოლო თქუენ ნუ ჰირკუთათ თავთა თქუენთა მოძღუარს: C მთ 23,8; 23,7; შდრ. ხოლო თქუენ ნუ-ვის ჰხადით მოძღურით: DE იქვე. შდრ. ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბი: ნაბეჭდი ოთხთ.

ამავე აზრით გურულში თქუ ფუძეა გამოყენებული. საექვეოა, რომ იგი ნეოლოგიზმს წარმოადგენდეს:

ქალმა დიდი ამბით მონათლა და დაათქუა ამირანი: ს. ელენ-ტი, გურ. კილო, 106,16.

უნცროსს ეთქუა გოგია: კ. კალანდაძე, გურ. ზღაპ. ძე. საქ. IV, 54.

ჰრკვან — ერკუა ეტიმოლოგიურ კავშირშია არა მარტო თქუ verbum dicendi-ს ძირთან, არამედ ქუ ძირთანაც, რომელსაც ქართველურ ენებში „ჩაცმის, დახურვის“ მნიშვნელობა აქვს¹. იგივე ძირია დადასტურებული ერკუან-სა და სარკუელ-შიც². აქედანვეა ზმნა დარკუმა 'დაცმა, დახურვა, დაღება':

ალიჯადა გვრგვნი თვისი ჰერაკლე და დაარკუა მას: თხრობა, 50,8; თხემი ძალისაჲ ზედა დაარკუა მას ყოვლად განთქუმულმან: ზღაპ. ელენ. 37,37.

ხომ არ ნიშნავს სახელი ჰრკვან — ერკუა ამას: სახელი აფარია — ეფარა, სახელი ადევს — ედევა? სხვათა შორის, ძველ ქართულში სისტემებრ იხმარება სახელის - დება 'დარკმევის' მნიშვნელობით:

თუალ-უყოფდეს მამასა მისსა, რადი უნდეს სახელის - დებად მისა: DE ლკ 1,62; შდრ. თუალს უყოფდეს მამასა მისსა, რადმე უნდეს სახელი რკუმად მას: C იქვე.

მერმე შჯულიცა არს ჩემი შემდგომად სამისა თთუსა სახელისა დაღებად: კიმ. I, 154,3.

ა წ მ ყ

სახელს გდებთ, ნეტარო, ძედ ქუხილისა: სასულ. ყზ 197. მართლად იტყვს დავით და ნეტარად სახელს სდებს: სომხ. ქართ. ლიტ. ურთიერთობა, 150,35; 155,18; 170,13; 171,19.

მართალია, გამოთქმა „სახელ-სდვა“ ხშირად უცხო კონტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანია:

¹ არნ. ჩიქობავა, კან.-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 342.

² არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ. ქართვ. ენებში, გვ. 96.

და დასდვა სახელი სიმონს პეტრე: მრკ 3,16; 3,17.

Καὶ ἐπέθηκε τὸν Σίμον ὀνομα Πέτρον;

ხე ხე ანიონ სქინსქ' მსაიოი

ამგვარად, ორიგინალური ძეგლების დიდი წილისათვის ჩვეულებრივია სახელს-სდებს, სახლ-სდვა (აქედანვეა ახალი ქართული სახელდობრ←სახელ-დვებრ) დარქმევვის მნიშვნელობით, ასე რომ სარქუელის ძირის მსგავსება - რქუამს ზმნასთან უეჭველია.

საგულისხმოა, რომ ქართველურ ენებში ამ მხრით სხვა პრინციპია გამოყენებული: სვან. ათუჰხ 'დაარქვა', ხაეხა 'ჰქვია' უახე სახელისგანაა ნაწარმოები; ასევე ზანური მ-ჯოხო-ნ 'მქვიან, ჯოხო სახელს იყენებს.

ძველ ქართულში ზმნა-დაარქუა ნაკლებადაა გავრცელებული და ამ მნიშვნელობით ჩვეულებრივია „წოდება“.

შეეს ძმ და უწოდიან სახელი მისი იესუ: მთ 1,21.

არ-ხ

ძველ ქართულში *verbum subsistendi*-ს შინაარსით უფრო მეტი ზმნები იხმარებოდა, ვიდრე ახალში. არ-ს ზმნის მნიშვნელობით ძველ ქართულში გვხვდება: ჰგიეს, სუფევს, იყოფების || იყოფვის და ზოგჯერ დგას ზმნაც კი. მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც არს იხმარება. იგი დაცულია ჩვენამდე მოღწეულ ყველა უძველეს ძეგლში და შესაძლებლობა გვაქვს სრულად წარმოვიდგინოთ მისი უღლილების ფორმები.

ვ-არ || ვ-არ-ი: მე თქუენთანა ვარ ყოველთა დღეთა: მთ 28, 20.

არა ვარ-ა მოციქულ, არა ვარ-ა აზნაურ: I კორინთ. 9, 1.

მივსენ მე, რამეთუ გლახაკ და დავრდომილ ვარი მე: ქრესტ. 44, 11.

მე დღეს ქრისტეანე ვარი: ურპ. 336, 33. ასევეა ეს ფუძე: დაბად. 24,24; გამოს. 1,22; ლევიტ. 41,44.

ხ-არ || ხ-არ-ი: ყრმა ხარ და შუებით აღზრდილ: საბა 9, 25; 15, 25. შენ ხარ-ა მომავალი, ანუ სხუასა მოველოდეთ? მთ 11, 3; ი 18, 37.

უფალმან მრქუა მე: ძე ჩემი ხარი შენ: იერუს. განჩინ. 43,6. ასევეა: დაბად. 24,60; 29,15.

უმეტეს ხარი შენ ყოველთა: სასულ. 6 97.

არ-ს: არს წყალობაჲ მისი: ხანძთ. 11 51; ია 50

სიმდაბლმ სრული საქმით და არა სიტყვთ არს-ა: ხანძთ. 11 6.

- არ-ნ: ხუცესი მერისაჲ ხანძით არნ: ხანძთ ია 5; პვ 4.
- ვ-არ-თ: დალაცათუ კორცითა მონა ვართ, არამედ ამიერითგან აზნაურ ვართ. სპევს. 333, 66; 330,35.
- ხ-არ-თ: თქუნ ხართ მარილნი ქუყყანისანი: მთ 5,13.
- არ-ი-ან: ესენი არიედ პირველნი იგი ნათესაენი შენნი: ქრესტ. 83,23
- არ-ი-ედ: ფრიად არიედ ფარისეველნი და მწიგნობარნი: არიმათ. 39,28; 32,15; ასევე DE მრკ 4,17; სახისმეტყ. ზ 46.
- არს ზმნა ყველაზე ფართოდ გამოყენებულია შედგენილ შემასმენელში: არა ღირს ვარ წოდებად ძედ შენდა: ბოლნ. 36.
არა ღირს ხარ შენ შესლვად სახლსა: კიმ. I, 6,1.
ხესა ზედა დამკვდრებულ არიედ ტრედნი იგი: სახისმეტყ. ლ 13.
ასეთ შემთხვევაში სახელადს ნაწილთან მეშველი ზმნის შერწყმის მოვლენებიც გვაქვს კანტიკუნტად:
რამეთუ კუარცხლბერკია ფერჯთა მისთაჲ: C მთ 5,35.
შდრ. კუარცხლბერკი არს ფერჯთა მისთაჲ: DE, იქვე.
ჩუენ უესავთ (sic), ვითარმედ იგია, რომელმან იქსნეს იშლი: ხანშ. ლექც. 060,21, ტაბ. 23.
ტიქსტებში მსგავსი შემთხვევები საძებარია, მაგრამ შეუძლებელი არ იყო, რომ ძველი ქართულის სასაუბრო მეტყველებისათვის იგი ჩვეულებრივი ყოფილიყო¹.
არს ზმნა უპიროდ იქცევა, როცა იგი შედგენილ შემასმენელთანაა გამოყენებული სტანდარტულ გამოთქმებში:
კმა არს მოწფისა მის: მთ 10,25.
წეს არს თქუნ მიერ ღირსი პასუხი: ხანძთ. ლბ 18.
ჩუენდა ჯერ არს მისა შევედრებაჲ: ბოლნ. 7.
არს ზმნას ასეთ შემთხვევებში აღარ უპირისპირდება ვარ, ხარ ზმნის მხოლოობითის ან მრავლობითის ფორმები.
არს მხოლოდ აწმყოში იხმარება, ნამყოში მას იყავ ფუძე ენაცვლება.

აორისტი²

- ვ-ი-ყავ: ვიყავ მე პირველად წარმართი. რავახ: 81,2.
ი-ყავ: ჩუენო მოყუარეო, სადა იყავ? სპევს. 330,40.

¹ ეს ფაქტი აუცილებლად ანგარიშგასაწვეია შემასმენლის ისტორიული ადგილის ძიებისას ქართულში.

² უმჯობესად მიგვაჩნია ამ ტიპის ზნებისთვისაც (იყო, ესუა, ეძინა, ეპყრა...) გვეხმარა აორისტი, ე. ი. განუსახლებელი ნამყო.

ი-ყ-ო: იყო იგი შორის წმიდათა მათ: ხანძთ. Ծ 57.

ვ-ი-ყვ-ენ-ი-თ: ჩუენ არათუ წინადასწარმეტყუელნი ვიყვენით: წარტყუენ. იზ 2.

ი-ყვ-ენ-ი-თ: ნათესაენი მართალნი იყვენით თქუენ: ქრესტ. 47,11.

ი-ყვ-ენ-ეს: იყვნეს ოპიზას მამაჲ გრიგოლ და მოყუარენი მისნი: ხანძთ. ვ 53.

ვიდრე არს ზმნის ფუძის ანალიზზე გადავიდოდეთ, შევნიშნავთ, რომ იყავ აორისტში შემთხვევით აღმოჩნდა არს ზმნის პარადიგმაში. თავისთავად იგი წესიერი ზმნაა, რომელსაც მოეპოვება მოქმედებითი და ვნებითი გვარის ყველა ნაკვთის ფორმები. ვნებითის ფორმები აწმყოში ორი ფუძითაა ცნობილი: ი-ყოფ-ებ-ი-ს და ი-ყოფ-ი-ს || ი-ყოფ-ვ-ი-ს (უკანასკნელი მოქმედებითის *ყოფ-ავ ფუძიდან ჩანს ნაწარმოები).

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ვ-ი-ყოფებ-ოდ-ი-თ: რადთა საუკუნოდ... ვიყოფებოდით სავანეთა მათ შინა: ანტიოქ. 123,33.

ა წ მ ყ ო

ი-ყოფ-ი-ნ || ი-ყოფ-ვ-ი-ნ: ხოლო უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ: ხანძთ. ოა 12.

თითოეული მათი მარტოჲ სენაკსა იყოფვინ: კიმ. I, 35,15.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ი-ყოფ-ოდ-ა || ი-ყოფ-ვ-ოდ-ა: და იყოფოდა ნეტარი ჰაბო საპყრობილესა შინა: ჰაბო 70,3.

კრძალულად იყოფვოდა: წარტყუენ. თ 12.

მ ო ქ მ ე ლ ე ბ ი თ ი , ა წ მ ყ ო

ჰ-ყოფ-ს: გონიერ ჰყოფს ჩჩულთა: ხანძთ. კვ 32.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

ჰ-ყავ: შენ კეთილად ჰყავ სმენაჲ ჩემი: იქვე, მზ 59.

ვ-ი-ყავ: მე სათნო ვიყავ [იგი]: DE მთ 17,5.

კონტექსტში ვიყო ერთ შემთხვევაში მოქმედებითია და ნიშნავს: 'გავიკეთო, ავისრულო', მეორე შემთხვევაში ვნებითია, შედგენილი შემასმენლის ნაწილი და ნიშნავს 'ვიქმნე, გარდავიქცე'.

გარდამოვკედ ზეცით არა თუ ვითარმცა ნებაჲ ჩემი ვყავ...:
C ი 6,38.

რომლითა სათნო ვიყო, იგი მინეპს რჩული პყრობად ევსტ.
85,20.

სუბსტანციური მნიშვნელობით ეს ფუძე მოქმედებითშიც იხ-
შარება:

და და ვ ყ ა ვ მე მათ წმიდათა თანა ექუსი წელი: რავაზ.
80,8; 88,92.

და და ყო ჟამი რაოდენიმე მათ თანა: საბა 20,40.

იყო ზმნა პრევერბს არ ირთავს, მაგრამ პრევერბიანი ვენ-
ბითი სულ სხვა შინაარსის გამომხატველია, იმის მიხედვით, თუ
რა პრევერბი აქვს. სანიმუშოდ შე- პრევერბიან ზმნებს მოვიყვანთ:

ა წ მ ყ ო

შე-ი-ყოფ-ვ-ი-ს: შეიყოფვის ჯორცი და სისხლი ქრისტისი: იკობ.
ათ 8.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

შე-ი-ყ-ო: მყის ხოლო შედგა და შეიყო დანახეთქი იგი: ბარლ.
125,28.

უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირის ფორმა თავისებური ში-
ნაარსის მიღებასთან დაკავშირებით უპირო ზმნად არის ქცეული
და გარკვეულ კონტექსტში მას არ შეიძლება დაუპირისპირდეს
არც პირველი, არც მეორე პირი. დასტურდება უპირატესად II
სერიის ნაკეთებში:

და იყო დაყუდება დიდი: C მრკ 4,39. შდრ. და იქმნა დაყუ-
დებაჲ დიდი: DE „—“

ხვალისაგან შფოთი დიდი იყო მონათაჲ: სპეეს. 335,28.

იყო ოდესმე, ჟამსა რომელსამე, ძმანი მოსრულ-იყვნეს: ხანძთ.
მც 4.

იყო მეყსეულად ესევეთარი ნიში და სასწაული: ქრესტ. 53,13.

როგორც ზემოთ დამოწმებული მაგალითებიდანაც ჩანს, არს
ზმნა აწმყოში ორფუძიანია: ერთია არ - ი, რომელიც გვხვდება
ყოველთვის მრავლობითი რიცხვის მესამე პირში და სპორადულად
მხოლოობითის პირველსა და მეორე პირში; მეორეა არ, რომელიც
სისტემებრ იხმარება მხოლოობითი რიცხვის სამსავე პირში და
მრავლობითის პირველ ორ პირში¹.

¹ მესამე პირში არის თითქმის ერთადერთია: რომელი ვალს ოთხითა,
არაწმიდა არის იგი თქუნდა: ლევიტ. 11,27.

რა წარმოშობისაა -ი სუფიქსი?

-ი ბოლოსართს ვარ-ი, ხარ-ი ფორმებში ჰუგო შუხარდტი პერმანსივისეულად მიიჩნევდა¹. მაგრამ გერჰარდ დეეტერსს ასეთი გაგება დაუჯერებლად ეჩვენება, რადგანაც პერმანსივი მარტო აორისტის ფუძისაგან იწარმოება და ეს ფუძე კი აორისტული არააო. შესაძლოა, ხარ-ი და მაგვეარ ფორმებში -ი ნაწილაკი სხვათა სიტყვის ელემენტამდის დადიოდესო. საყურადღებო ახსნა მოგვცა თედო ჟორდანიამ. იგი წერდა: „... ქართულს ენას აქვს აგრეთვე დრო სამარადისო ანუ გახშირებითი, რაისთვისაც დაემატება ასო „ი“. მაგ., ვარ-ი, ხარ-ი (დანაწევრება ავტორისაა. ი. ქ.), ე. ი. მუდამ ვარ, ხარ (და არა მხოლოდ ეხლა)“².

გ. დეეტერსის მოსაზრება დამაჯერებლობას მოკლებულია. პერმანსივი აორისტის ფუძისაგან კი არ გამოდიოდა, არამედ თავისთავადი, დამოუკიდებელი ერთეული იყო³. გ. დეეტერსს მხედველობაში აქვს პერმანსივი ნაგვიანევი, დრო-კილოთა წარმოების შემდგომი ელემენტი. ვარ-ი, ხარ-ი ხმნებში -ი იმავე წარმოშობისა და ფუნქციისა, რაც ქრ-ი-ს, იც-ი-ს, დუმ-ი-ს და რიგ სხვა ხმნებში. თუმცა ვარ-ი, ხარ-ი ფორმებში -ის ოდინდელად მიჩნევის ისეთი საბუთი არ არის, როგორც გვაქვს დუმ-ი-ს → დუმ-ს; ტირ-ი-ს → ტირ-ს ხმნებში (შდრ. დუმ-ი-ლი, ტირ-ი-ლი...). ამ ექვს თითქოს სევანურის ვითარებაც აძლიერებს.

სევანურში აწმყოს უმლაუტიანი ფორმა ხუ-არ-ი, ხ-არ-ი, ვრ-ი ნამყო უწყვეტელში -ის ისე კარგავს, რომ კვალს — უმლაუტს არ ტოვებს: ხუ-არ-დვს, ხ-არ-დვს, არ-და. უგულებელყოფილია -ი აგრეთვე სახედაო ფორმებში: მწარ, ჯწარ, ხწარ.

მაგრამ სევანურის ჩვენება არ შეიძლება ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყოს, მსგავსი მოვლენა, როცა -ი აწმყოში აქვს ზმნას, მაგრამ ნამყო უწყვეტელში მისი დაკარგვა უმლაუტს არ იწვევს, სევანურში სხვაც ვიცით: იზბ-ი ← იზბი ← იზობი: უწყვეტელში იზობდა და სხვა⁴. ამდენად, უუმლაუტობა დამამბრკოლებელი არაა. უნდა შევნიშნოთ, რომ სევანურში ამ ფუძის ასეთი წარმოება იმ დროისა ჩანს, როცა სევანურს საბოლოოდ ჰქონია ჩამოყალიბებუ-

¹ მომყავს დეეტერსის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 118.

² ქართული გრამმატიკა, 1889, გვ. 60, 86შ. 1. ასევე: პოლ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, 1888, გვ. 125—126. შდრ. დ. კარიკაშვილი, ქართული ენის გრამმატიკა. ეტიმოლოგია, 1930, გვ. 97.

³ არნ. ჩიქობავა, პერმანსივის (ნამყო ხოლმეობითის) ადგილისათვის... გვ. 95.

⁴ ვ. თოფურია, სევანური ენა, ზმნა, გვ. 84

ლი დრო, როგორც უღლილები ძირითადი კატეგორია. ამიტომ სევანურს არ გასპირებებია ეს ზმნა ნამყო უსრულსა და პირველ კავშირებითშიც ეულლებინა, ქცევის აფიქსები დაერთო და სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობა მიეცა. ამას ისიც ადასტურებს, რომ სევანურს მოეპოვება უფრო ძველი *verbum subsistendi* ხჟ-ი (ვარ), ხ-ი, (ხარ), ლ-ი || ლი-ზ (არის), რომლის სიძველეს მისი ფუძეცვალებადობაც ადასტურებს.

-ი ფუძის საწარმოებელი სუფიქსია და იგი შემოუნახავს ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის მესამე პირს, რომელიც მხოლოდ ამ სახითაა ცნობილი: არ-ი: არ ი-ან || არ-ი-ე დ. მესამე პირის ჩვენება, მართალია, ყოველთვის გადამწყვეტი არაა (შდრ. დ უ მ-ს, დ უ მ-ან და არა დ უ მ-ი-ან და სხვა), მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მრავლობითი არ ი-ან საზოგადოდ უფრო ძველი ფორმაციისაა, ვიდრე მხოლოდობითი არ-ს¹. მესამე პირის სუფიქსი დართვია არ ფუძეს მაშინ, როცა ენაში (ან მის რომელსამე კილოში) -ი სუფიქსი დაკარგული იყო მახვილის ძალით.

უძველესი -ი ბოლოსართი შემოუნახავს ამ ზმნასთან მრავალი არქაიზმის შემცველ ქართულ კილოებს: ფერეიდნულს (ვ-არ-ი: იმაშინ მე უთხარ: მამუნე ვ არ ი: არნ. ჩიქობავას ჩაწერილი: უნივერსიტ. მოამბე, VII, 223), თუშურს (ვარ-ი: ორმოცდ'ათი წლისა ვ არ ი: პ. ხუბუტიას ჩაწერილი; ხ-არ-ი: შენ ვინ ხ არ-ი? იქვე), ხევსურულს (ხ-არ-ი: შეილო, უჯეროდ ხარია: ბ. გაბუურის ტექსტები, წელიწდ. 183, 17). დასასრულ, -ი ბოლოსართის კანონზომიერი შესატყვისია ზანურში -ე: ვ-არ-ე, ორ-ე, ორ-ე [6].

-ი-ს დაკარგვა ამ ზმნაშიც იმავე ტენდენციის შედეგია, რაც ვტირ, ვწუხ, მძულს და სხვებში. ახალ ქართულში ამათ შორის საკმაო განსხვავებაა. ძველი ქართულის -ი სუფიქსმოკვეცილი ვ-ტირ ზმნის ნაცვლად დღეს ყველა პირში -ი გვაქვს (ვტირ-ი, სტირ-ი, ტირ-ი-ს), ვარ, ხარ ზმნებში კი ი დაიკარგა, სამაგიეროდ იგი დაცულია მხოლოდობითის მესამე პირში: არ-ი-ს. ამაში არ შეიძლება თავისი წილი არ ედოთ დიალექტურ მონაცემებს.

არ-ს ზმნის ძირად რ-ს გამოჰყოფენ². მართლაც, -ი პერმანსივის ბოლოსართია წარმოშობით. ა- რომ ძირეული არაა, ჩანს სევანური სასხვისო ფორმებიდან: მ-ი-რ-ი, ჯ-ი-რ-ი, ხ-ო-რ-ი. მეგ-

¹ არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიშკის მოამბე, V—VI, გვ. 16.

² ვ. თოფურიძე, სევანური ენა, ზმნა, გვ. 250, 268. 2.

რულში მისი შესატყვისია რ: ო-რ-ე-ნ¹, თუმცა არაიშვიათია უპრე-ფიქსო რ-ე-ნ¹, რომელიც ჩვეულებრივ აღწერით წარმოებაშია გამოყენებული¹. ამ რ- ძირიდანვეა ნაწარმოები მასდარი რ-ინ-ა.

არ-ს ზმნას, ქართულისათვის ძირითადას და უძველესს, საერთო ჰქონია თაბასარანულის, დარგუულის, წოვეურის², ლაკური-სა და ჩერქეზული³ ენების ამავე მნიშვნელობის ზმნის ძირებთან, რაც მეტად საინტერესო მოვლენაა.

უ-ვ-ი-ს

ეს ზმნა ქართულში ყველაზე ძველი ფორმაციისა ჩანს. საგულისხმოა, რომ არაა აქედან ცნობილი არც ერთი ნაწარმოები ფორმა. იგი ერთ-ერთი ყველაზე ტაობრივი ნიმუშია ერთასპექტიანი უძველესი ზმნური ფუძისა. სტატიკური შინაარსით მას ერთ-გზისში ესუა ენაცვლება: უვის—ესუა.

აწმყო

მვის მე მამაჲ: კიმ. I, 218,36

აორისტი

მესუა მე მამაჲ: მრავალთ. 122,6

ზ-ი-ს

სტატიკური ზმნაა. მის მონაცვლედ გამოყენებულია დიალექტურ ნიადაგზე ფონეტიკურად სახეცვლილი ზმნა ჯდ-ვბ-ი-ს.

აწმყო

აწ ესერა ვზი და ვილოცავ: ჰაგ. მას. 28.

აორისტი

ვჯედ და ვიკითხევდ: კიმ. I, 207,27.

¹ И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, გვ. 054; 0101; 301.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 599.

³ E. Dumézil, Recherches comparatives sur le verbe caucasien, Paris, 1933, გვ. 64.

ი-ც-ი-ბ

იცის და უწყის — ეს ორი ყველაზე უფრო თავისებური ისტორიის მქონე ზმნაა ძველ ქართულში. იგინი მორფოლოგიურად პერმანსივია და სინტაქსური კონსტრუქციაც შესაფერისი შერჩათ აწმყოდ ქცევის პირობებში. ნამყო წყვეტილი მათ არა აქვთ. ეს ზმნები არქაული ვითარების გასათვალისწინებლად ძალიან საინტერესოა¹.

იცის პირველ სერიაში მხოლოდ სათავისო ქცევით იხმარება, არ იგუებს არც ერთ პრევერბს. ნამყო უწყვეტლის წარმოებისას ხასიათდება ორი თავისებურებით: უწყვეტლის ნიშანია -ოდ (ნაცვლად მოსალოდნელი -ოდ ფორმისა: *ვიც-ი-დ-ი); ობიექტის მრავლობითობის -ნ სუფიქსი ხან უწყვეტლის ნიშნის წინაა: იც-ნ-ოდ-ა, ხანაც (იშვიათად) შემდეგ: იც-ოდ-ნ-ა. თუმცა იგი წესით წინ უნდა ყოფილიყო საყოველთაოდ.

ა წ მ ყ ო

ვ-ი-ც-ი: არა ვიცო, რასა იტყუ: მთ 26,70.

ვიცნი კიდენი ქუეყანისანი: კიმ. I, 170,7; 101,4.

ესე კაცი ჩუენ ვიცით, ჩუენი მდაბური არს: ევსტ. 84,22.

გიცით შენ, ვინ ხარ: ევსტ. 89,15.

ი-ც-ი: რომელმან იცნი მანქანებანი ყოველსა ადგილსა: კიმ. I, 199,9.

შენცა მიცი, ვინ ვარ მე: ევსტ. 85,13.

პირი სამე ცისაჲ იცით ცნობად: მთ 16,4; მრკ 4,13.

ი-ც-ი-ს: იცის მამამან თქუენმან: მთ 6,8.

მიცის მე მამამან ჩემმან: ი 10,15.

ი-ც-ი-ან: ასპიტთა და მვეცთა იციან წყალობაჲ შეილთაჲ: კოლ. 60,175.

მიციან მე ჩემთა მათ: C ი 10,14.

რომელთა არა გიციან შენ: იპოლ: 15,4.

ი-ც-ი-ედ: რჩული ქრისტეანობისაჲ იციედ კაცთა: ევსტ. 92,20.

უწყვეტელი, კავშირებითი I, ხოლმეობითი

ვ-ი-ც-ოდ-ე: ისმინე ჩემი და მე ზაცოდე: ჰაემ. 388, 42.

რამეთუ ქალაქითვე ჩემით ვიცოდე მოწაფენი მისნი: კიმ. I, 25,3.

¹ არნ. ჩიქობავა, ვრგატ. კონსტრუქციის პრობლემა... § 12—15.

ვ-ი-ც-ოდ-ი-თ: რაჲთა გხადოდით შენ და ვიცოდით სიმდიდრჲ შე-
ნი: კიმ. I, 199,24.

ი-ც-ოდ-ე: იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი: ლკ 19,22.

ი-ც-ოდ-ი: ადგილიცა იგი იცოდი შენ: ქრესტ. 49,25.

ი-ც-ოდ-ა: იცოდა ჟამი განსლებისა თვისისაჲ: ზარზმ. 168,18.

ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი: ლკ 6,8.

დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა: ხანძთ. ლგ 13.

ი-ც-ოდ-ეს: რომელთა არა იცოდეს, მიუწყებულ იქმნეს: იპოლ.
15,5.

ი-ც-ოდ-ი-ან: რომელთა კეთილად იცოდიან შჯული: ქრესტ. 47,17.

აორისტის ფუძეა ც-ან. ვ-ი-ც-ან, ვ-ც-ან ზმნებთან დაკავშირე-
ბით ხდება მნიშვნელოვანი შინაარსობრივი დიფერენციაცია. ძველი
ქართული არ წარმოგვიდგენს აწმყოში ცნობასა და ცოდნას ცალკე-
ცალკე ფორმებით: ვცვი იქ თანაბრად გამოხატავს როგორც
ვუწყვი, ისე ვიცნობ მნიშვნელობებს, ოღონდ უკანასკნელი გაგებით
შეიძლება იხპარებოდეს ობიექტურპირიანი ფორმები: მ-იცვი,
გ-იცვი. ძველი ქართულის ძეგლმა — ოთხთავმა ამ მხრით გამოწ-
კლისი არ იცის: იცის = 'უწყის, იცნობს'. განსხვავება წყვეტილის
ფუძეში ისახება: იცან = 'იცანი', ცნა = 'გაიგო, მიხედა, შეიტყო'.
ყველაზე უკეთესია ამ მხრით მისი ფრანგულთან შედარება¹.

აორისტის ცან ფუძე -ობ სუფიქსის დართვით აწმყოშიც იქნა
გამოყენებული და შინაარსშიც შესაფერი ცვლილება მოჰყვა. იგი
გვხვდება როგორც სათავისო, ისე საარვისო ქცევით, დროთა
წარმოებაში მათ შორის განსხვავება არ არის.

ა წ მ ყ ო

ვ-ი-ცნ-ობ-თ: პირსა მისსა ვიცნობთ ძუძულ ეკლესიისა: დამასკ.
168, 20.

უწყვეტელი, კავშირებითი პირველი

ვ-ი-ცნობ-დ-ი: ორთა გალობაჲ მესმოდა და განყოფილებასა ჯმა-
თასა ვიცნობდი: ანტიოქ. 116, 9.

¹ ვიცით რამეთუ ჰეშმარიტ ხარ: მთ 22, 16; 26, 70. შდრ. Nous savons
que tu es sincère.

² არა ვინ იცის ძმ, გარნა მამამან, არცა მამა ვინ იცის, გარნა ძემან:
მთ 11.27; 26,72.

შდრ. Nul ne connaît le Fils que le Père et nul ne connaît le Père
que le Fils.

მ-ი-ცნობ-ღ-ე-ს: მივიღე ქუეყანასა უცხოთა, რომელსა არავენი მიცნობ-
ბდეს: კიმ. I, 203, 27.

თურმეობითი პირველი

მ-ი-ცნობ-ი-ე-ს: მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ
არს შენგან: შუშ. 12, 9.

აჰა ესერა გვცნობიეს და უწყით: კიმ. I, 50, 20.

II სერიის ნაკვეთები

ვ-ი-ც-ან, ე-ც-ან: და ვიცანი აღგილი და კაცები ჩუენი: კიმ. I,
191, 7.

გულის ქმა ვყავ და ვცან ყოველი სამოელ არქილიაკონი-
საგან: ევსტ. 91.23.

ი-ც-ან, ს-ც-ან: წინა საუკუნეთა შობილი იცან: რაეახ. 102, 1.

ზედამიწვენით ცან ძალი საქმისაჲ ამის: ზარზმ. 154, 28.

ი-ც-ნ-ეს, ც-ნ-ეს: ილია აწვე მოვიდა და არა იცნეს იგი: მთ 17,
12; 14; 35.

ცნეს, რამეთუ მათოვს თქუა: DE მთ 21, 45.

ვ-ი-ც-ნ-ათ, ვ-ც-ნ-ა: რაჲთა სწავლითა ამით ვიცნათ: წარტყუნ-
კბ 19.

რაჲთა ზედამიწვენით ვცნა, რაჲ არს იგი: ზარზმ. 162, 22.

ი-ც-ნ-ან, ც-ნ-ან: რაჲთა არა იცნან იგი: C ლკ 24, 16.

ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ: ხანძთ. თბ 58.

ხოლმეობითი

ვ-ც-ნ-ი: ვერაჲ ვცნი, რასა იტყუედ: ევსტ. 85, 10.

ი-ც-ნ-ი-ს: მიერთგან თვისი იცნის მშობელი: სახისმეტყ. კა 32.

ც-ნ-ი-ან: ხილვითა მით... ცნიან თუალი იგი: თუალთ. 30.

თურმეობითი მეორე

მ-ე-ც-ნ-ა: ესელა თუ მეცნა, არამცა შეგიტევე შენ: შუშ. 32, 14.

გ-ე-ც-ნ-ა: უკუეთუმცა გეცნა, რაჲ არს: მთ 2, 7; C ლკ 20, 42.

ე-ც-ნ-ა: ხოლო მას არლა ეცნა ძალი იგი მოწვეულნი: კიმ. I,
298, 36.

პერმანსიეს ამ ზმნასთანაც აწმუოს მნიშვნელობაც შეიძლება
ჰქონდეს; აქაც პარალელური ხმარება შეინიშნება:

შენ ყოველი უწყი და ხცნი: C ი 21, 17; შდრ. შენ ყოველი უწყი და იცი: DE, იქვე.

იგივე ცან ფუძეა გამოყენებული კაუზატივისა და ვნებითი გვარის საწარმოებლად, ოლონდ -ობ ფუძეზე შემდეგ -ებ სუფიქსია დართული: ა-ცნ-ობ-ებ, ი-ცნ-ობ-ებ-ი.

ა წ მ ყ ო

ა-ცნობ-ებ-ს¹: აცნობებს ბერძენთა ამბავსა: ჰაგ. მას. 66.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

ვ-ა-ცნობ-ე: გაცნობე მათ სახელი შენი: C ი 17, 26.

ა-ცნობ-ე: ნუ გეწყინებინ და კეთილად მაცნობე: ეესტ. 85, 19.

ა-ცნობ-ა: მათ აცნობა და მოვიდეს სიხარულით: ხანძთ. ლმ 23; მ% 20.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა წ მ ყ ო

ი-ცნობ-ებ-ი-ს: არცა სული იცნობების, თუ რაა არს იგი: ურკ. 327, 21.

ი-ცნობ-ებ-ი-ან: და იცნობებიან ქვანი იგი ზოგნი რაამე კუთხითა მიერ: ზარზმ. 167, 20.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

ი-ცნობ-ა: განითქუა ამბავი მისი და იცნობა: ქრესტ. 88, 8.

ე-ც-ნობ-ა: ეცნობა გზაეცა მისლვად გრიგოლს: ხანძთ. იდ 19; კიმ. I, 142, 30.

დასასრულ, საექვეო არ უნდა იყოს ამავე ი-ც-ი-ს და მისგან წაწარმოებ ფუძეებს დაუკავშირდეს მ-ცნ-ებ ა, ა-მ-ცნ-ო, რომლებშიც მ- პრეფიქსი იქნებოდა ასახსნელი². თავისებურია ამ

¹ წყვეტილის მაცნო (ვინმცა მაცნო რჩული ჰურიათა: ეესტ. 85, 15) ფორმის მიხედვით საეარაუდოა აწმყოში მაცნ-ობ-ს.

² ძველ ქართულში გვხვდება შედარებით იშვიათი ხმარების ფორმები, რომლებშიც ძირეულ ელემენტად უც, ოც ჩანს:

უყუარ მათ შორის შესაკრებელთა და ურაკპარაკთა თაყუანის-ცემაჲ, რაჲ-თამცა აუცნეს კაცთა: ო მთ 6,5.

და ოდესმე ეტლებითა და შვედრებითა ეუცნებდეს (sic) მას: ბარლ. 120,20. მძინარესაცა ეოცებოდა იგი, ვითარცა ვის ეოცებინ ტრფიალი თვის: საბა, 6,1.

სადიკრებელია, რომ უკანასკნელ მაგალითში ო-ს უ-სთან მონაცვლეობა გექონდეს (შდრ. პური || პორი, შორს || შურს || შოვრს...). მაშასადამე, თუ ამოსავლად უც ფუძეს მივიღებთ, საკითხი დაისმოდა აგრეთვე მისი უწყი ფუძესთან ჭეხტიური ურთიერთობის შესახებ.

ზმნასთან უარყოფითი მიმღობის აგებულება: უ-ცბ-ი || ←
← უ-ც-ებ-ი.

ი-ქმ-ხ ← *ი-ქამ-ი-ხ

ძველ ქართულში ეს ზმნა აწმყოში გაუფრცობელი თემისაა. მაგრამ წარმოშობით იგი რომ -ი ბოლოსართიანი უნდა ყოფილიყო, ამას ნაწილობრივ ნამყო უწყვეტლის -ოდ სუფიქსი¹ და გარდმონაშთის სახით შემონახული ფორმები გვიკარნახებს:

ი-ქმ-ი-ან: ნაყროვანნი სისხლსა დაკლულთა პირუტყუთასა შეჰკრებენ და საქმელად იქმიაან: სჯულის კანონი, 114.

ი-ქმ-ნ ზმნაში ი- პრეფიქსს ნ. მარი ასპექტურ ნიშნად მიიჩნევა², სინამდვილეში იგი სხვა წარმოშობისაა, ასპექტური ნიშანი სუფიქსადაა. ი- პრეფიქსის ისტორია აქ ი-ცის, ი-ვლტის ზმნების ისტორიასთან უნდა შევისწავლოთ... ქამ ფუძის პირველი სერიის პირიელი ფორმები, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ამ ფორმით იხმარება, სხვა პრეფიქსი ან უპრეფიქსო ფუძე უცნობია. თუმცა ძველ ქართულში იშვიათად მეორე სერიაში საარვისო ქცევაც გვხვდება: მ-ა-ქმ-ენ (C ლკ 2,48), აქმნა (მთ. 25. 16) და იგი აწმყოდ ვარაუდობს ა-ქმნ-ი-ს ფორმას, რომელიც დღევანდელ მესხურშია დაცული. ი- პრეფიქსზე წახვილის ხმარების გამო ფუძის ხმოვანი იკუმშება; თავდაპირველი ურედუქციო სახე შემოინახეს მთის კილოებმა — მთიულურმა, ხევსურულმა (გმირი-ორ, ყველაფერს ვიქამ: წელიწდ. 134, 33; 129, 18). იქმ-ს ფუძისაგან მარტო აწმყოს წრეა შესაძლებელი, მეორე სერიის ნაკვთების გამოსახატავად -ენ სუფიქსით ნაწარმოები ფუძეა გამოყენებული: ვ-ქმ-ენ ← *ვ-ქამ-ენ. აქედანვე იწარმოება პირველი თურმეობითი³.

ა წ მ ყ

ვ-ი-ქმ: რომელთა მე ვიქმ, მანცა ქმნეს: ჰაგ. მას. 40.

ი-ქმ: რომლითა კელმწიფებითა ამას იქმ? მთ 21, 23; ასევეა: შუშ-26, 12; კიმ. I, 273, 22; რაეახ. 76, 13.

ი-ქმ-თ: შეილნო ჩემნო, ნუ იქმთ საქმესა მაგას: წარტყუნ. ლთ 28.
ი-ქმ-ს: რომელი ყოვლადვე იქმს დღითი დღე ლარნაკსა ზედა სასწაულსა: ზარზმ. 181, 26.

¹ საგულისხმოა ახალი ქართულის გამოთქმა „რას ი ქ (მ) და“. რომელიც აწმყოს სხვაგვარი ფუძითაც გვაგვარაუდებინებს.

² Грамматика, § 204, გვ. 68.

³ იგივეა შემდეგ გადმოსული აწმყოშიც: ქმნის ← *ქამ-ენ-ი-ს.

საკმელი არა შეაგინებს კაცსა, არამედ შეიქმს გონებისა
სიწლოსა ზრქელად: კიმ. I, 223, 11, 12, 13.

ივსენ იგი წყალსა კვეით და წუნსა უქმნ კვითხურო-
თა: კიმ. I, 18, 2.

ი-ქმ-ან: რასა ეგე იქმან? წარტყუნ. მღ 2.

ი-ქმ-ელ: მიერიოგან იქმელ უჯეროსა მის მიერ: კიმ. I, 230, 20.

უ წყვეტელი, კავშირებითი I, ბრძანებითი

ე-ი-ქმ-ოდ-ი-თ: რამეთუ ამას თუ ვიქმოდით, არა თუ ნეტართა მათ
სარგებელ რაჟმე ვექმნებით: კიმ. I, 60,7.

ი-ქმ-ოდ-ე: რაჟამს იქმოდე ქუელის საქმესა, ნუ ჰქადაგებ: მთ
6, 2; 21, 28.

რაჟ გეგულების ჩემ ზედა, იქმოდე: ჰაბო, 73, 18.

ი-ქმ-ოდ-ი-თ: მსგავსად ძალისა თქუენისა შურებოდეთ და იქმოდით
კეთილსა: წარტყუნ. ჯ 26.

ი-ქმ-ოდ-ა: სხუათაცა სასწაულთა იქმოდა მრავალთა: ხანძთ. მგ 13;
ოა 9.

შეიქმოდა იგი მის თანა ბილწებასა: თეკლ. 110, 28.

ი-ქმ-ოდ-ეს: და რასა უბრძანებდა მათ, მასცა იქმოდეს: ევსტ.
38, 23.

უ-ქმ-ოდ-ა: ესე ნეტარი კაცი... უქმოდა წუნსა ხუროთა: კიმ I,
18, 20.

უ-ქმ-ოდ-ეს: უქმოდეს გვრგვინსა: თუალთ. 38

წყვეტილი

ვ-ქმ-ენ: და მემცა უცონილად ვქმენ ესე: ანტიოქ. 58, 38; 83, 30
განუგებულად ვქმენ: ხანძთ. კვ 7.

გ-ი-ქმ-ენ: მსგავსი ოქროჟსა გიქმენ შენ ქანქართაგან ვეცხლისათა:
იპოლ. 10, 2.

ჰ-ქმ-ენ: რომელმან შეჰქმენ ცაჟ და ქუეყანაჟ: იაკობ. რიდ 16.

ჰ-ქმ-ენ-ი-თ: თქუენ ეგვეითარი საქმს ჰქმენით: სპევს. 329, 23.

ქმ-ნ-ა: მღდელ-მთავარმან ზაქარია ესე სასწაულნი ქმნა: ხანძთ.
ჟდ 2, 8, 35; მბ 108.

რომელმან იგი... ენაჟ შინაგანი შექმნა: სპევს. 333, 71.

ი-ქმ-ნ-ა: რომელმან იქმნა თავისა თვისისა სახლი: იერუს. გან-
ჩინ. 74.

უ-ქმ-ნ-ა: უქმნა მას სერი: თბრობა 50.

და მეყსეულად გამოუქმნა ხატი ნიშისად მის: ქრესტ. 46.
 აღუქმნეს მას მთასა ზედა საკვრველსა სუეტი: ცხოვრ.
 სკმეონ. 192.

კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი II

ვ-ქმ-ნ-ე-თ: თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: მთ 17,4.

ჰ-ქმ-ნ-ე: არა-მე იცი-ა, რაჲ ჰქმნე? ბოლნ. 59.

ქმ-ნ-ე-ს: უკუეთუ ქმნეს კაცმან კეთილი: ოქრობ. 277.

რადთა ისწაოს ქანდაკებაჲ და გამოქმნეს თავები: კიმ. I,
 294, 37.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I

მ-ი-ქმნ-ი-ე-ს: მითხარ მე, რაჲ იგი მიქმნიეს გუშინ: წარტყუენ.
 ნბ 8

აჰა ესერა შემიქმნიეს საკურკლესა შინა წამალი: ურპ.
 333, 32. სამნი ცოდვანი მიქმნიან: რაეახ. 96, 33.

ჩუენ აღთქუმაჲ გვქმნიეს: კიმ. I, 129, 6.

მე გითხარ შენ, რაჲ იგი გიქმნიეს გუშინ: წარტყუენ.
 ნბ 10.

აწ არაჲ სიკუდილის საქმშ უქმნიეს მაგას: C ლქ 23, 15.
 და შუბლი იგი უშუერადრე გამოუქმნიეს ხელოვანთა:
 კიმ. I, 150, 30.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი II

გ-ე-ქმნ-ა: უკუეთუმცა არა შეგექმნა აპოლონი, არა რადმცა იყო
 იგი: კიმ. I, 151, 18.

ე-ქმნ-ა: და იქმნა სლვაჲ მისი გზასა მას, რომელი ექმნა ტროი-
 ანოს მეფესა: კიმ. I, 130, 36.

აწმყოსა და აორისტში წიგნურის გვერდით თავს იჩენს ხალ-
 ხური სასაუბრო მეტყველების ფორმები, როცა ფუძის მ თანხმო-
 ვანი იქარგება.

იქმს → იქს: იქს იგი მას: ოქრობ. 277, 2

შემქმნა → შემქნა: შემქნა და აღმაროდინა: სპევს. 335, 88

აორისტის -ენ ბოლოსართიანი ფუძეა ამოსავალი ვნებითისა
 და კაუზატიურ ფორმათა საწარმოებლად. ვნებითი საერთოდ რა-
 იმე გამონაკლისს არ იძლევა, გარდა იმისა, რომ მეორე კავშირე-
 ბითის ნიშნად თანაბრად მოუღის როგორც -ა, ისე -ე: ვიქმნ-ა ||
 ვიქმნ-ე.

კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი, ა წ მ ყ ო

გ-ა-ქმნ-ევ-ს: შენ თანა არს ეშმაკი, რომელი გაქმნევს შენ მაგას: კიმ. I, 145, 18.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ა-ქმნევ-დ-ა: გარდამოკდა ზეციით უწყალოდ, აქმნევდა თესლსა კაც-თასა... კიმ. I, 45, 12.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

ა-ქმნ-ი-ა: აქმნია ვბოა: კიმ. I, 51, 38.

უბრძანა მეფემან და შეაქმნია ლუსკუმაა: კიმ. I, 165, 10.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა წ მ ყ ო

შე-ი-ქმნ-ებ-ი-ს: ესე მეორედ შეიქმნების ქუვილი და გლოვამ: თეკლ. 111, 23.

ე-ქმნ-ებ-ი-ს: გზა გუექნების ჩუენ შესლვად: სასულ. მე 111.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

შე-ი-ქმნებ-ოდ-ა: სიკუდილი შეიქმნებოდა: წარტყუნ. ით 17.

კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი II

ვ-ი-ქმნ-ა || ვ-ი-ქმნ-ე: რაათა ღირს ვიქმნე მე მიწვენად ადგილსა: თეკლ. 111, 14.

რაათა ამის ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნა: ქრესტ. 92, 9

ი-ქმნ-ე-ს: აღრე იქმნეს განქარვებაა. ზარზმ. 169, 37.

შემდეგი ჯგუფის ზმნები მეორე სერიის ფორმებს ძველ ქართულში მეტად იშვიათად, ან სრულებით არ აწარმოებენ. უმეტეს შემთხვევაში (ნასახელარ ფუძეებთან) იგი არცაა მოსალოდნელი. საერთო დამახასიათებელია ის, რომ ეს ზმნებიც არ იგუებენ ზმნის-წინს, გამოხატავენ მხოლოდ პირველ სერიის ნაკვთებს.

ო ხ რ - ი - ს

მასდარია ოხრა (შდრ. ახალი ქართული ო ხ ვ რ ა : ო ხ რ ა ვ - ს).

ა წ მ ყ ო

ოხრ-ი-ს: ოხრის ვამაღლად ეკლესიასა შინა: სასულ. კვ 52; უმ 220. ესრე ოხრის და იტყვს: იპოლ. 24, 45.

ვითარცა რვალი ოხრის: კიმ. I, 117, 12.

ობრ-ი-ნ: სიტყუაჲ იგი წინაჲსწყლისაჲ ოხრინ შორის მათსა: ჰაპო 59,6.

ობრ-ი-ან: ღუმან მდინარენი და ოხრიან აერნი: სასულ. რჰე 113 რმ 127.

უწყვეტელი

ობრ-ი-დ-ა: ოხრიდა ყოველი იგი ქალაქი მათ ზედა: რუთ. 1,19.

ეჴვნ-ი-ს

გვხვდება ძალიან იშვიათად. ნაწარმოებია ეჴვან სახელისაგან. იხმარება მხოლოდ აწმყოში, შესაძლოა აქედანვე უწყვეტელიც გამოიხატოს.

ეჴვნ-ი-ან: ვითარცა რველნი ოხრიან და ვითარცა წინწილნი ეჴვნიან: თომას სახარ. 38, 86.

კუნეს-ი-ს

თუ ამ ზმნაში მოხერხდება გამოიყოს -ეს, ვითარცა საწარმოებელი სუფიქსი, მაშინ კუნ-ეს-ი-ს ნაწარმოები ფუძე აღმოჩნდება და შეიძლება -ი ბოლოსართის არმქონე ფორმებიც დაეუშვათ: კუნ-ეს-ს. ოხრის ზმნისაგან განსხვავებით, იგი საუარაუდლო იგუებდეს ქცევითს პრეფიქსებს და მოქმედებითი გვარის ფუძედაც იყოს გამოყენებული.

აწმყო

ვ-კუნეს-ი: ვკუნესი ფრიადისა მის მწუხარებისაგან: ანტიოქ. 120, 21.

კუნეს-ი-ს: რომელი იგი სულთ-ითქუამს და ტირს და კუნესის: თეკლ. 106, 17; ასევე: კიმ. I, 136, 12.

კუნეს-ი-ან: კუნესიან თირკმელნი ჩემნი: ბოლნ. 81.

უწყვეტელი

კუნეს-ოდ-ა: უძნდა მას და კუნესოდა და უნდა შეწიენაჲ: ბარლ. 132, 42.

უწყ-ი-ს

ამ ზმნის შესახებ ძირითადად იგივე შეგვეძლო გაგვემეორებინა, რაც იცი-ს ზმნაზე ითქვა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ უწყი ფუძე აორისტს ვერ აწარმოებს. ეს ფაქტი თავისთავად მის დიდ სიძველეზე მეტყველებს¹.

¹ არნ. ჩი ქო ბ ა ვ ა, ერგატ. კონსტრუქციის პრობლემა... § 12—15.

ა წ მ ყ ო

- [ვ]-უწყ-ი: გკითხავ რასმე, რომელი მე არა უწყი: საბა 8, 30.
 უშჯულოებანი ჩემნი მე უწყნი: იაკობ. 14.
- უწყ-ი: შენ უწყი რიცხვ დღეთა და ჟამთა ჩუენთაჲ: სასულ. 37.
 რომელმან უწყნი დაფარულნი კაცოანი: ანტიოქ. 85, 31.
- უწყ-ი-ს: იხილეთ, ნუმცა ვინ უწყეს: DE მთ 9, 30; C მთ 6, 8.
 სათნოებანი მისნი და მოწაფეთა მისთანი უწყნის: ხანძთ. იტ 17.
- უწყ-ი-თ: უწყით სამე, რამეთუ დიდ არს დღე იგი: რაევხ. 82, 6-

უწყვეტილი, კავშირებითი I, ბრძანებითი

- [ვ]-უწყ-ოდ-ე: არა უწყოდე მე, ვიყავ რაჲ საპყრობილესა შინა:
 არიმათ. 29, 11.
- უწყ-ოდ-ე: უკეთუ განდლდეს, უწყოდე ქეშმარიტად, ვითარამედ
 ნაყოფიერებაჲ არს: ზარზმ. 169, 15.
- უწყ-ოდ-ა: უწყოდა სიმრავლე იგი ცოდვისაჲ: წარტყუნ. 1.
 რაჲთა უწყოდი, თუ რასა იტყოდი: ურკ. 336, 30; 325, 32.
- უწყ-ოდ-ი: რაჲთა მე უწყოდი: თეკლ. 98, 29.
- უწყ-ოდ-ე: ესეცა უწყოდე-ვე, ზკაცო: ბოლნ. 83.
 ესე უწყოდეთ, ძმანო: ხანძთ. კგ. 37; თ 85.
- უწყ-ოდ-ეს: არა უწყოდეს, თუ ვინაჲ აღაშინონ: არიმათ. 47, 45.
 წარემართნეს გზასა პას, რომელი არა უწყოდეს: ხანძთ. ვ 19.
- უწყ-ოდ-ი-ნ: რაჲთა ყოველთა უწყოდინ: ზარზმ. 177, 9.
- უწყ-ოდ-ი-ან: რაჲთა უწყოდინ ყოველთა: ჰაბო, 75, 36.
 კაუხატოვისა და ვნებითის ფორმებს -ებ სუფიქსი აწარმოებს.
 ამ ახალი ფორმებით უკვე შესაძლებელია ყველა ძირითადი ღროის-
 გამოხატვა.

ა წ მ ყ ო

- ა-უწყ-ებ-ს: ეს წიგნი აუწყებს დაკლვასა და მოსყრასა კაცთასა:
 წარტყუნ. ბ 3.
 მიაუწყებს მრავალთა წინაჲსწარ განწესებულთა ამათ შე-
 სხმათა: იპოლ. 1, 128.

წყვეტილი

- ა-უწყ-ა: დაწერა არიმათიელმან ჰამბავი და აუწყა მორწმუნეთა:
 არიმათ. 26, 5.

იცის და უწყის ძველ ქართულში თანაბარი ღირებულებისაა და პარალელურად იხმარება (უწყის: C მთ 4, 36; 68 || იცის: DE, იქვე), თუმცა მათ შორის გამოყენების მხრით განსხვავება მაინც შეინიშნება: იცის უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე უწყის. მთელი რიგი მონაცემებით დადასტურებულია აგრეთვე, რომ უწყის ზმნა უფრო ძველია¹.

ნ. მარი ამ ზმნაში ძირად გამოჰყოფდა წყ კომპლექსს და სქანური ცხ-ის (ლი-ციხ: მი-ციხ და ა. შ) სახესხვაობად მიიჩნევდა². საეკვოა, რომ წყ → ცხ, რადგანაც იგივე ცხ, ნ. მარისავე შენიშვნით, უნდა გვექონდეს უ-ცხ-ო, ცხ-ად სიტყვებში. ა. შანიძე ძირად უწყ-ს თვლიდა³. საფიქრებელია, რომ უწყ ძირი წარმოადგენს პარმონიულ ჯგუფს, რომელშიც ყ განვითარებულია, წ ძირი კი იგივე ც არის, რაც ი-ცი-ი-ში გვაქვს (შდრ. წ-ყ-ალ და სვან. ლი-ცი)⁴. თავიღური უ ფუძეს შეხორცებული პრეფიქსი ჩანს⁵.

ი-ვლტ-ი-ს

ვლტ ძირისაგან ივლტის ფორმის გარდა სხვა ფუძეები არ იწარმოება. ვნებითის ორივე ფორმა (რელატიური და აბსოლუტური) ძველ ქართულში მხოლოდ პირველ სერიაში გვხვდება. ახალ ქართულში ეს ზმნა საერთოდ იშვიათია და ისიც შეცვლილი მნიშვნელობით იხმარება. ამიტომ ხელოვნურია დ. კარიკაშვილის მიერ მოცემული პარადიგმი: ვივლტი, ვივლტოდი, ვივლტე⁶.

ძველ ქართულში მასდარია სი-ვლტ-ოლ-ა-ე, ახალ ქართულში გვაქვს ლტოლ-ვ-ა. ვ-ს გამოვლენას ძველი ქართულის მიმღეობაც ადასტურებს: ლტოლ-ვ-ილი (ჰაბო, 64, 35; 65, 3) არნ. ჩიქობავა სივლტოლა და ოტება სახელებს ერთისა და იმავე ძირისაგან წარმოებულად მიიჩნევს⁷. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ნამყო

¹ არნ. ჩიქობავა, ერგატ. კონსტრუქციის პრობლემა... გვ. 70. აგრეთვე: Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, გვ. 265.

² Грамматика, § 236, 203.

³ ა. შანიძე, ქართ. გრამატიკა, 1930 გვ. 182.

⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვე. აგებ. 21.

⁵ დაწვრილებით: დ. მაკავეარიანი, უწყის ზმნის ეტიმოლოგიისათვის: აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, გვ. 124.

⁶ ქართ. გრამატიკა, ეტიმოლ., გვ. 21.

⁷ შედარ. ლექსიკონი, გვ. 320.

წყვეტილის მნიშვნელობით გამოყენებული აღწერითი ფორმები მეორე სერიის ფუძის უქონლობას ავსებს: ერთი მეოთ იქმნა და ორნი დარჩომილ ხართ: კიმ. I, 169, 26; იძლინეს და მეოთ იქმნეს: ზღაპრ. ელენტ. 43, 75.

ივლტის ზმნა სვანურშია გადასული: ნტუ 'გარბის', რაც ძირის გამოყოფისათვის ქართულში უმნიშვნელო არ უნდა იყოს.

ა წ მ ყ ო

მო-ე-ი-ელტ-ი: აწ შენდა მოვივლტი: სასულ ხუწ 242, ხეე 1.

ვევლტი სიცბილსა: რავახ. 96, 17.

ი-ვლ-ტ-ი-თ: რაჲ არს ესე, რომელ ესრეთ ივლტით ჩემგან: ქრესტ. 92, 1.

ი-ვლტ-ი-ს: შუოთი ივლტის ბრძენთაგან: ხანძთ. ოზ 45.

ი-ვლტ-ი-ნ: აჩრდილსაცა მის ხისასა ივლტინ გუელი იგი: სახის-მეტყ. ლ 12; იე 47.

მერმე კუალად გამოვიდის და ივლტინ იგი: ბოლნ. 83.

ი-ვლტ-ი-ან: განიზნინეს მტერნი მისნი და ივლტთან მოძულენი: სასულ. კე 124.

ი-ვლტ-ი-ედ: რომელნი ხორშაკისაგან საგრილთა ადგილთა მიივლტოდ განსუენებისათჳს: იპოლ. 15, 23.

კმობდეს ვაებითა და ივლტოდ: კიმ. I, 237, 10.

გან-ე-ვლტ-ი-ს: იმარხის გუელმან ორმეოც დღს, ვიდრე ტყავი განვევლტის: სახისმეტყ. იდ 12.

ე-ვლტ-ი-ან: რომელნი ევლტთან იწროსა მას: კიმ. I, 227, 4.

უწყვეტელი, კავშირებითი I, ბრძანებითი, ხოლმეობითი

ვი-ვლტ-ოდ-ე: განვეშორე და ვივლტოდე და შთავედ უდაბნოდ: კიმ. I, 19, 13.

ი-ვლტ-ოდ-ე: ესე ყოველი... სიხარულით დაუტევე და ივლტოდე: ანტიოქ. 53, 11.

ი-ვლტ-ოდ-ა: ზღუაჲ ივლტოდა შიშით: სასულ ჳტ LXVII; ასევე: ხანძთ. ნზ 14; ნდ. 96.

რომელმან სძლიე მსაჯულსა მას, რაჟამს იგი შენდა მო-ივლტოდა: კიმ. I, 200, 17; 248, 24.

შეშინდა მეფეჲ იგი და განივლტოდა ადგილისა მისგან: კიმ. I, 135, 10.

- ი-ვლტ-ოდ-ეს: შიშისაგან მონაზონნი ივლტოდეს თუსთა სახლთაგან: ხანძთ. ჯდ 4.
დაუტევეს იგი ყოველთა მელორეთა და ივლტოდეს: მრკ 14, 50; 5, 14.
- ვ-ი-ვლტ-ოდ-ი: შენდა ვივლტოდი ყოვლისაგან ცოდვისა: იაკობ. ოდ 1.
- ი-ვლტ-ოდ-ი-ან: პატიოსნებისა მიმართ მიივლტოდიან: ანტიოქ. 47, 30.
- ი-ვლტ-ოდ-ი-თ: შიში ეუფლოს გულთა თქუენთა და ივლტოდიოცა ზარისა მისგან: წარტყუენ. ნტ 26.
- ე-ვლტ-ოდ-ე: ევლტოდე და განეშოვრძ უშჯულოსა მას კაკაბსა: სახისმეტყ. კა 37.
- ე-ვლტ-ოდ-ი-ს: მოიძულოს ვნებაჲ იგი ყოვლითა გულთა თუსთა და ევლტოდის ყოვლისაგან დაბრკოლებისა: კიმ. I, 228, 35

კუმ-ი-ს

აწმყოს ფორმები დადასტურებული არაა, მაგრამ უწყვეტლის -ოდ ნიშნიანი ფორმა გვევარაუდებინებს აწმყოში -ი სუფიქსს: კუმ-ი-ს. სახელადი ფუძე არის კუამ-ლ-ი¹. აორისტის ფორმები საერთოდ მოსალოდნელი არაა. მოსალოდნელი არაა აგრეთვე, თუ არა გადატანითი აზრით, პირველი და მეორე პირის ფორმები, არც III პ. მრ. რიცხვი, რადგანაც კუმ-ი-ს ← კუამ-ი-ს შეიძლება მხოლოდ კუამლის (ცეცხლის) შესახებ ითქვას.

უწყვეტელი

კუმ-ოდ-ა: და ყოველი მთაჲ კუმოდა და ცეცხლი აღიწეოდა ცად-მდე: კიმ. I, 29, 25; ასევე: გამოსლ. 19,18.

მოქმედებითს -ევ სუფიქსი აწარმოებს და ყველა დროც მოეპოვება; არის უმისოდაც: უკუმ იდეს: კიმ. II, 25,7.

აწმყო

ა-კუმ-ევ-ს

უწყვეტელი

ა-კუმ-ევ-დ: წარიღე ეგე სახედ შენდა და მუნ აკუმევდ: კიმ. I, 322, 33.

¹ საყურადღებოა აგრეთვე ფორმა მ-კუმ-ოდ-ე-არ-ე: გამოსლ. 20,18.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი II

შო-ა-კუმ-ი-ე: აღიღე საკუმეველი ესე და აღდეგ და მოაკუმე ტა-
ძარი ესე: კიმ. I, 217, 12.

ე-ს-რ-ე-ი-ს

ამ ზმნის ხმარების არე ძველ ქართულში, როგორც ცნობი-
ლია, ძალიან შეზღუდულია. იგი უკავშირდება **ე-ს-არ** ფუძეს (საგუ-
ლისხმაოა ამ მხრით გამოთქმა: **ისრითა მისითა ესროდის მტერთა:**
ბიბლ. ხელნაწ. 153, 9) და ამიტომ სემანტიკურად შეუძლებე-
ლი იყო სხვა სახელთან მისი გამოყენება. სახელზმნად ძველ ქარ-
თულში ჩვეულებრივია **სისრაჲ**. ამასთანავე სრევა ფორმაცაა ცნო-
ბილი. უკანასკნელისაგან წარმოებული პირიელი ფორმები აწმყო-
ში ძველ ქართულში არ შეგვხვდრია, მაგრამ ხევსურულის **ე-ს-რ-
-ევ-ს** (წელიწდ. 147, 17) არ შეიძლება ახალი მოვლენა იყოს და
ძველ ქართულთან მას საერთო არა ჰქონდეს. ახალი ქართულის
მასდარი **სრ-ოდ-ა** აწმყოს ფუძეზე -ალ სუფიქსის დართვით მიღე-
ბულად უნდა ვცნოთ: **სრევ-ალ → სრე-ალ → სროლ**, როგორც ესაა
ნაგულისხმევი **ყოლ-ა ← ყავ-ალ-ა** სახელში¹. ცხადია, **სარ** ფუძისა-
გან გამოდის **სრ-ავ-ს** ზმნაც (თავდაპირველად, ალბათ, **სარი** თ
მოწყვეტა)².

ნამყო უწყვეტლის -ოდ სუფიქსის მიხედვით რელატიური
ვნებითი აწმყოში -ი სავრცობით უდა ვივარაუდოთ: **ვ-ე-ს-რ-ე-ი**.
ახალ ქართულს ამ შემთხვევაში ძველი სახე შემორჩენია. პრევერბი
ამ ზმნასთან შეუძლებელია.

უწყვეტელი, კავშირებითი I

ე-ე-სრ-ოდ-ი: იყო სარკუმელი ერთი პირისპირ საკურთხეველსა,
ვინაჲ იგი ვეხროდი: რაეახ. 81, 22.

ე-სრ-ოდ-ე: ვითარცა დავით, ესროდე სიტყვას შურდულითა მწვა-
ლებელთა: სასულ. ს 13.

ე-სრ-ოდ-ეს: და ესროდეს ივინი ურთიერთას ისრითა: კიმ. I,
36, 13.

¹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში: საქ.
სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, გვ. 491.

² ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, სახელთა ხმოვანთავსართიანი წარმოება: უნივ. შრო-
მები, ტ. 29, 1949, გვ. 185.

ესროლეს იგი ფილაკაენითა ძლიერად: წარტყუნენ. ივ 2.

აორისტის ფუძის უქონლობის კომპენსაციას აქ ორი საშუალება ეწევა ძველ ქართულში: ერთი სინონიმური ტყორცა, რომელიც ყველა ნაკვთს აწარმოებს: აღხუტყორცებ: ქრესტ. 16, 21; მოილო ტყაეები და აღტყორცა ზე აერთა: ხანმ. ლექს. 391, 2.

მეორე — მასდარისა და მეშველი ზმნის აღწერითი ფორმები: არა შეიწყნარეს, არამედ სისრა-უყვეს ისრითა მათითა: კიმ. I, 177, 8. ამგვარად: სისრა-უყო = ესროლა.

ე-რჩ-ი-ს

ძველ ქართულში ამ ფუძისაგან არაა ცნობილი მოქმედებითისა და საშუალო გვარის ფორმები. ნათელი არაა, თუ რა სახის იყო მისი მასდარი. ამდენად, აქ საკითხი ისმის - ი ბოლოსართის გამოყენების ისტორიის შესახებ ამ ფუძეში...

განსაკუთრებით თავისებურია ამ ზმნის ნამყო უწყვეტელი. გ. დეეტერსი ვერჩი ტიპის ზმნათა აწმყოს სტატიკურ ზმნათა აწმყოს თანაბარ ოდენობად მიიჩნევდა და ამით ხსნიდა აღრევის შემთხვევებს ნამყო უწყვეტელში ვერჩდი || ვერჩოდი¹. საქმე ისაა, რომ ვერჩოდი და ვერჩდი ფორმების პარალელურ ხმარებას ძველი ქართული არ გვიდასტურებს. დოკუმენტურად შეიძლება დავადგინოთ, რომ ძველ ქართულში ვერჩ-ოდ-ი ფორმა თითქმის არ იხმარება, მის ნაცვლად ყველგან -დ ნიშნიანი წარმოებაა გამოყენებული: ვერჩდი. თანაც, ბოლოკიდური ი ნამყო უწყვეტელში სრულებითაც არაა ფაქულტატიური: ვერჩდ ვარიანტი უცნობია.

ზმნისწინიანი ფორმები აწმყოში არ იხმარება, მაგრამ ნამყო უწყვეტელში იგი შეინიშნება: მი-ერჩდა და, მსგავსად ზემოვანხილული მიმრქუა ზმნისა, მას მხოლოდ სივრცეში მოქმედების ერთგვარი ლოკალიზაციის მნიშვნელობა აქვს.

ა წ მ ყ ო

მ-ე-რჩ-ი: გასწავებ და არა შერჩი: კიმ. I, 153, 1.

ე-რჩ-ი-ს: მუნ დავით გალობს და ყოველი სული ერჩის: იქვე, 54, 14.

ე-რჩ-ი-ნ: ისმინის მისი... და წადიერად ერჩინ მას: C მრკ 6, 20

ე-რჩ-ი-ან: ქარნიცა და ზლუაჲცა ერჩიან მას: მთ 8, 27.

¹ დასახელებული ნაშრომი, გვ. 131.

მ-ე-რჩ-ი-ედ: მუყედრიედ და სიტყვათა მრავლითა მერჩიედ შჯუ-
ლისა მათისათჳს: რაეახ. 93, 18.

უწყვეტილი, კავშირებითი I

ე-რჩ-დ-ი: ვედრებაჲ მივითუალე კაცისა ამისათჳს და ვერჩდი
თხოვასა მათსა: ანტიოქ. 81, 1.

ე-რჩ-დ-ი: მოქცევისა შენისათჳს დრო სცემდა, ვინაჲცა ერჩდი
მას: ანტიოქ. 92, 13; 137, 26. ასევე: ჰაზო 13, 17.

მ-ე-რჩ-დ-ე: არა თუ მერჩდე, ვერ უზნებელ(sic)გყო შენ: კიმ. I,
45, 24; ასევე: ანტიოქ. 72, 27.

ე-რჩ-დ-ა: ხოლო პეტრე ერჩდა ძმათა მათ და განვიდა მარტოჲ:
ქრესტ. 40, 15; ასევე: ანტიოქ. 54, 4; 79, 8.

ხოლო ერი იგი ერჩდა მას: დადგეს და ელოდეს: კიმ. I,
44, 12.

არქუ მთასა: იცვალე ამიერ და მყის გერჩდა მოშიშად:
სასულ. უდ 113.

მათსავე ამაოებისა ზრახეასა მიერჩდა და იყო შუოთი
ეკლესიათა: კიმ. I, 127, 2. ასევე: ანტიოქ. 68, 18.

ე-რჩ-დ-ეს: რომელნი არა ერჩდეს ბილწებით შეგინებასა მათსა:
წარტყუნ. კბ 2; მ 19.

აორისტის გადმოსაცემად ძველ ქართულშივე დაწყებულია მიმ-
ლეობის (მო-რჩ-ილ-ი) პირიელ წარმოებაში გამოყენება. აქედან
ნაწარმოები ზმნური ფორმები ყველა დროსა და გვარში გვხვდებამ.

აწყყო

და-ე-მორჩილ-ებ-ი-ს: ხოლო იგი... ძლიერებასა დაემორჩილები:ს:
ანტიოქ. 141, 26.

ნამყო წყვეტილი, ბრძანებითი

და-ე-მორჩილ-ა: ღმერთი ჯორცითა დაემორჩილა სიკუდილსა: სა-
სულ. რმე 62.

დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ:
ბარლ. 13, 17.

ამავე ძირთან საზიარო უნდა ჩანდეს მიმლეობა და-რჩ-ილ-ი:
დამონებულნი კოდვისაგან და დარჩილნი სიკუდილისაგან: იადგ.
255.

აორისტისავე მნიშვნელობა აქვს აღწერითს ფორმას, რომელიც შეიცავს უარყოფითს მიმღეობასა ურჩი და მეშველ ზმნას: ურჩ ექმნა = არ დაემორჩილა:

უკუეთუ ურჩ-ვექმნე ბრძანებასა თქუენსა, წერილ არს: ზარზმ. 56, 4

სამგზის ესე მეგულეა ყოფად და ურჩ გექმენ: კიმ. I, 200, 27.

ე-ლ-ი-ს და ა-ლ-ოდ-ა ზმნების მსგავსად შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო აქაც გვექონოდა ე-რჩ-ი-ს და ა-რჩ-ოდ-ა. ტექსტებით დამოწმებული აწმყოფს ფორმა ამ გაგებას დაუკერდა მხარს, რომ შინაარსით რადიკალურად არ განსხვავდებოდეს: და-ა-რჩოდ-ებ-ს:

ხუთათანსი იგაენი წართქუნა, ხოლო აქა დაარჩოდებს: იპოლ. 1, 131 (ნ. მარი თარგმნის უменьшает, გვ. 4)¹.

ე-ლ-ი-ს

ძველ ქართულში ლ ძირისაგან ორი ზმნა გვაქვს ნაწარმოები: -ი სუფიქსიანი ვნებითი ე-ლ-ი-ს და -ამ-ი სუფიქსიანები ჰ-ლ-ამ-ი-ს. ამგეარად, ელ-ი-ს და ჰ-ლ-ამ-ი-ს ორი სხვადასხვა წარმოების ფუძეა და არა ერთი ლ ძირის ლიტერატურული და ხალხური სახესხვაობა, როგორც ეს ნ. მარს ეგონა: ლ ← ხალხ. ლმ || ლვ². ვნებითი უფრო ხშირად მო და და ზმნისწინებს დაირთავს.

ა წ მ ყ ო

გ-ე-ლ-ი: აჰა ესერა, გელი შენ, მოვედ ჩემდა: ანტიოქ. 13, 2.

მო-ე-ე-ლ-ი: წყალობასა მოველი: შუშ. 41, 38.

ე-ლ-ი: მოქცეეასა მოელი: ანტიოქ. 128, 10.

ე-ლ-ი-ს: დიდი წარსაწყმედელი ელის ჩემგან აპოლონს: კიმ. I, 141, 18; ასევე: ბოლნ. 37.

და მოელის ყოველთა აღდგომასა სიძესა მას: თეკლ. 124, 12.

ამიერითგან მიმელის მე სიმართლისა იგი გვრგვნი: ზარზმ. 175, 5.

მო-ე-ე-ლ-ი-თ: მოველით აღდგომასა ყოველთასა: ზარზმ. 155, 35; 172, 3.

¹ იმერულში მორჩილ-ი-ა 'მომცროს, პატარას' ნიშნავს.. (ლ. კიკნაძე ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში: უნივ. შრომ. XXVIII, გვ. 175).

² Грамматика, § 242, გვ. 206.

შო-ე-ლ-ი-თ: რაქსალა მოელით? წარტყუნ. ლღ 25.

ე-ლ-ი-ან: მოელიან სრულსა მას სიხარულსა და მხიარულებასა:
ხანძთ. კა 9.

სამ ღღე არს, ვინაჲთჲან მელიან მე: მრკ 8, 2

უწყვეტელი, კავშირებითი I

ვ-ე-ლ-ოდ-ე: ვღღე და ველოღე, რაჲთამცა გამოიღო ყურძენი:
იპოლ. 5, 18.

შენ ხარ-ა მომავალი, ანუ სხუასა მოველოღეთ: მთ 11, 3.
მგებღ მე მცირედ, მომელოღე მე კნინ ერთ: წარტყუნ.
მღ 5.

ე-ლ-ოდ-ა: ჰგებღა და ელოღა წარსლესა ზათსა: ცხოვრ. სკმე-
ონ. 195.

სიკუდილსა ძისა თვისსა მოელოღა და სამარხისათჲს იურ-
ვოღა: ანტიოქ. 105, 34; 105, 20; 130, 13, ასევე: ბოლნ. 37.

ე-ლ-ოდ-ეს: ხოლო ერი იგი ერჩღა მას, დაღგეს და ელოღეს:
კიმ. I, 44, 12.

მოელოღეს მას ყოველნი წარმართნი: საბა 13, 15.

-ოდ სუფიქსიანი ფუძისაგან ნაწარმოები ვნებითი ძველ ქარ-
თულში ძალიან იშვიათია, თუმცა აორისტის ფორმათა მიხედვით
შეიძლება ვივარაუდოთ პირველი სერიის წარმოებაც: ე-ლოღ-ებ-ი-ს,
აორისტი მო-ე-ლოღ-ნ-ეს: და მოელოღნეს იგინი წყალობასა:
თხრობა, 18, 1.

ეგვევე -ოდ სუფიქსიანი ფუძეა მოქმედებითშიც: ა-ლოღ-ებ-ს.
შღრ. კავშირ. II და-ა-ლოღ-ო-ნ: ჰრქუა მოწაფეთა თჲსთა, რაჲთა
ნავი მცირე დაალოღონ მას: C მრკ 3, 9

ჰ-ლამ-ი-ს

საშუალი გვარის ზმნა ლამ-ი-ს ძველ ქართულში იმდენად
იშვიათია, რომ ზუსტი მნიშვნელობის დადგენაც კი ჰირს კონტექ-
სტის მიხედვით. ყოველ შემთხვევაში, შინაარსით მას „ელის“ ზმნას-
თან არაფერი აქვს საერთო: ჰლამის = 'აპირებს' (рассчитывает). ამ
ზმნის უპიროდ, დაბოლოს, უფორმო სიტყვად (ზმნისართად) ქცე-
ვა, როგორც ჩანს, ადრე დაწყებულია. დადასტურებულია ნამყო
უწყვეტელი, აორისტს არ აწარმოებს.

ჰ-ლამ-ოდ-ი-ან: შეიღნი მწვალებელთანი კრებასა ჰლამოღიან:
ხანძთ. ოე 33.

დ-ი-ს

აწარმოებს მარტო პირველი სერიის ნაკეთებს და ისიც მხოლოდ მესამე პირში. იხმარება არაცოცხალი საგნის მოქმედების გადმოსაცემად. რელატიური ფორმები თანაბრად შესაძლებელია სამსავე პირში: მ-დის, გ-დის, ს-დის. არაა ცნობილი მასდარი ძველ ქართულში¹. დ-ი-ს ერთ იმ ზმნათაგანია, რომელსაც პერმანსივის -ი გაჰყვება პირველი სერიის ნაკეთებში.

უწყვეტელი

დ-ი-ოდ-ა: ვითარ იგი მდინარე სისხლისაჲ დიოდა შორის ქალაქსა:

წარტყუნ: ზ 19.

და აღმოდიოდა [წყაროჲ] წინაშე ქაბუკისა მის: საბა 10, 20.

-ს-დ-ი-ოდ-ა: სისხლი წარსდითდა სარცხუნელსა მისსა და ვმობდა.

კმითა უშუერიითა: ზარზმ. 117, 16.

იყო მარცხენე თუალი მისი ვნებულ და დასდიოდა მას წალაჲ: კიმ. I, 304, 4.

ღ-ი-ოდ-ეს: საყოფელთა სიონისათა სისხლთა ნაკადულნი დიოდეს:

იერუს. განჩინ. 255, 14.

თუალთა მისთა გარდამოსდიოდეს ცრემლნი: საბა 10, 20.

აორისტი ამ ზმნას არა აქვს, ახალმა ქართულმა გამოიყენა მოქმედებითის ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები (ი-დ-ენ-ს, ი-დ-ინ-ა), რომელსაც ძველ ქართულში თავისი უღლილება აქვს. -ენ სუფიქსიანი ზმნა აწმყოში გართულებულია -ებ თემატური ნიშნით: ა-დ-ინ-ებ-ს.

უწყვეტელი

ა-დ-ინ-ებ-დ-ა: ქეცნები ყოვლით-კერძო გარდმოადინებდა ლუარათა:

ანტიოქ. 88, 31.

წყვეტილი

ა-დ-ინ-ა: ვითარცა რუჲ სისხლისაჲ, გარდამოადინა მისგან: კიმ. I,

139, 22.

¹ საგულისხმო წარწობაა დადასტურებული იმერულ კილოში: მიდივილ-მოდივილი (=მისელა-მოსელა).

რბ-ი-ს

აწმყოში წარმოდგენილი ფუძისეული -ი ნამყო უწყვეტელში აქაც გადაჰყვება¹, რაც იშვიათი იყო ძველ ქართულში ამ ტიპის ზმნებისათვის. მოქმედებითს აქვს სუფიქსი -ევ: ა-რბ-ევ-ს, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო 'არბენინებს'. როგორც შედარებით ახალი წარმონაქმნი, იგი დრო-კილოებს სრულად აწარმოებს. მაგალითად:

ასპარეზსა ირბევდეთ: სპევს. 33, 47; აღმოსავლეთი მოარბია: თხრობა 48.

ა წ მ ყ ო

მო-რბ-ი-ედ: რომელნი მორბიედ მისა, სიყუარულით შეიტყობს კიმ. I, 14, 36.

უ-რბ-ი-ედ: შეკრბიან სარბიელსა ზედა მზისასა და გარე ურბიედ მას: ექუს. დღეთ. 68, 12.

უწყვეტელი, კავშირებითი I

ჰ-რბ-ი-ოდ-ე: ჰრბიოდე მოძღურისა თანა შენისა: სასულ. რკგ 69. ასევე: რნდ 77, რომ 22.

-რბ-ი-ოდ-ა: ესრეთ ცხონდებოდა და უმჭურვალესად რბიოდა: ანტიოქ. 60, 27; 12, 30.

დედამან მისმან აღიტაცა ძმ თვისი და მირბიოდა წმიდისა მის: ხანძთ. მდ 14.

ვერ იხილა სიმრავლისა მისგან, რამეთუ მცირე ხიყო ჰასაკითა და წარბიოდა ლელუ (...) ზედა: ქრესტ. 8, 25.

და ლომი იგი ძუა შეურბიოდა მას: თეკლ. 114, 24.

და ლომი იგი ძუა შემორბიოდა გარემო თეკლადსა: იქვე.

ჰ-რბ-ი-ოდ-ე-თ: იღუძებდით გონიერად და სიხარულით ბეთლემდ მირბიოდეთ: სასულ. ოდ 143.

რბ-ი-ოდ-ეს: რომელნი იგი შესაკრებელსა მას წყალთასა წინარბიოდეს: ზარზმ. 164, 11.

ე-რბ-ი-ოდ-ი-თ: მოვედით, ერნო, მივრბიოდით ყოველნი სიხარულით გალობად სულიერად: სასულ. რკთ 25.

¹ ნ. მარი ამტკიცებდა, თითქოს ვრბიოდი არქაული წარმოება იმ დროისა, როცა ჯერ კიდევ იტოვებოდა აწმყოში მიმღობის შეკვეცილი ფორმის მქონეობა, რომ -ი აქ შინაგანი ხასიათია ვნებითი გვარის მიმღობისაო: ვრბი-ვრბინ (შდრ. Основные таблицы... გვ. 14).

ამ ზმნასთან შეიძლება იხმარებოდეს თითქმის ყველა პრეფერ-ბი. მათ შორის აღსანიშნავია წარ-, რომელსაც შემორჩენია „წინა“-ზმნისართის მნიშვნელობა, რაც ამ შემთხვევაში აფხაზურსა და მეგრულს ახასიათებს¹: და წარბიოდა წინა: ლკ 19, 4. შდრ. აგრეთვე ზემოთ მაგალითი წინარბიოდეს.

ქრ-ის

აწარმოებს მხოლოდ პირველი სერიის ნაკვთებს, იმასაც მართოდენ მესამე სუბიექტურ პირში. ზმნა წარმოებულა სახელადი ფუძისაგან ქარ-, რომელსაც თემატური სუფიქსის -ის დართვით რედუქცია მოუვიდა. საყურადღებოა, რომ სახელი ქარ-ი ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში არაა შეკუმშული: ქარ-ის. ყურადღებას იქცევს ქართულის მოგვიანო ძეგლში დადასტურებული ხმოვანამოღებელი ფორმა ქრ-ის: დაიცევ ქუეყანა ესე დილომი, იხსენი ყოვლისა კირისაგან, ქრისაგან, გრგვინვისაგან, სეტყვისაგან: საქ. სიძველენი, II, 45,5, სიგელი 32.

სუფიქსი -ი ნაყო უწყვეტელშიც გადაჰყვება და გვაქვს ქრ-ი-ოდ-ა. მოქმედებითი გვარის ფუძე -ებ სუფიქსიანია, მაგრამ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ -ავ სუფიქსიანი ფუძეც უნდა გვქონოდა: ქარ-ავ², საიდანაც არის შემდეგ ნაწარმოები ა-ქარ-ვ-ებ.. -დ სუფიქსიანი ვნებითის ფორმები შეიძლება ირიბიმიართებიანიც იყოს: მო-მ-ქარ-დ-ებ-ი-ს (შდრ. აქვე მოჰქარდა).

აწმყო

ქრ-ი-ნ: რაჟამს სამხრით ქრინ, სთქუთ: ლკ 12, 55.

უწყვეტელი, კავშირებითი I, ხოლმეობითი

ქრ-ოდ-ა: ქარი სასტიკი ჩრდილოდსაჲ ძლიერად ქროდა: რავახ. 90, 13.

¹ არნ. ჩიკობავა, Морфологические встречи абхазского языка с картвельскими языками, გვ. 159-160.

² ასეთი ზმნა, მართლაც, იხმარება ცოცხალ გამოთქმაში: «დაქარავს. (მაგ. დაქარა გასრი).

ძველ ქართულში განსხვავებული შინაარსი აქვს სახელს და მისგან მიღებულ განქრევა ← განქრეა'ს (განანქროს: მთ 24, 44 ნიშნავს 'გააქრობს. მოსაობს'). საინტერესო ფაქტია, რომ -ი და -ავ სუფიქსებს გარდა აქ-ევ სუფიქსიც. აწარმოებს ფუძეს: ანქრევდეს ქარნი და ეცნეს სახლსა მას: C მთ 7, 25; შდრ. ქროდეს ქარნი და ეკუფენეს სახლსა მას: DE, იქვე.

6- თანხმოვანი ა-ნ-ქრევს ზმნაში ისევე არაა ძირისეული, როგორც ა-ნ-ძრევს ზმნაში.

ქრ-ოდ-ი-ს: და იმარხავნ გონებასაცა თვსსა, რაჲთა არა მიმო-
ქროდის: კიმ. I, 16, 4.

-ქრ-ოდ-ე-ს || ქრ-ი-ოდ-ე-ს: მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი: მთ
7, 27; 7, 25.

აღდგეს მდინარენი და ქრიოდეს ქარნი: C მთ. 7, 27.

ენებითი, აწმყო

-ქარ-დ-ებ-ი-ს: მალიად განქარდების სუფევამ მისი: საბა 4, 10.

წყვეტილი

მო-ჰ-ქარ-დ-ა: ჰკითხვიდა ეამისა მისთვს, რომელსა მოჰქარდა: C
ი 4, 52.

გან-მ-ი-ქარ-დ-ა: რაჲმს შევსვ ესე, განმიქარდა და არლარა მწყუ-
რის: ურჰ. 335, 20.

მოკმედებითი

-ა-ქარვ-ებ-ენ: რომელნი განაქარვებენ საცთურს: სასულ. რჲგ 100
და ა. შ.

ქუხ-ს←ქუხ-ი-ს

პირნაკლი და დრონაკლი ზმნაა. პირველ და მეორე სუბიექ-
ტურ პირში იხმარება გადატანითი მნიშვნელობით. საშუალი გვა-
რი მარტო პირველი სერიის ნაკვთებს აწარმოებს.

ქუხ ძველ ქართულში უკვე გაუფრცობელფუძიანია, მაგრამ
წარმოშობით იგი რიგი ზმნების (წუხს, დუმს...) მსგავსად -ი სუ-
ფიქსიანია. აქედან არის ნაწარმოები მასდარი ქუხ-ი-ლ-ი. მიუხე-
დავად ამისა, მესამე პირის მრავლობითსა და ნამყო უწყვეტელში
-ი სუფიქსის კვალი არა ჩანს: ქუხ-და იხმარება, ნაცვლად მოსა-
ლოდნელი ქუხ-ი-დ-ა ფორმისა.

აწმყო

ქუხ-ან: ელვენ აერნი ბრწყინვალედ, ქუხან კმატკბილად ღრუბელ-
ნი: სასულ. რაბ 101.

უწყვეტელი

ჰ-ქუხ-დ-ი: სახელს გდებთ, ნეტარო, ძედ ქუხილისა, რამეთუ ჰქუხ-
დი: სასულ. უზ 200; ხკთ 20.

მოქმედებითი, წყვეტილი

ი-ქუხ-ე: კიდეთა ქუეყანისათა იქუხე შენ სიტყუთა: სასულ. რღგ 153; ს 2

ე-გ-ებ-ი-ს

ძველ ქართულში სპეციფიკური გაგება აქვს და იხმარება მარტო პირველ სერიაში. პრევერბს არ ირთავს. იგი რელატიური ვნებითია, მაგრამ მრავალ შემთხვევაში ერთი პირის გაგება აქვს. ამას გარდა, თავისი დანიშნულების გამო საკირო აღარაა მისი ყველა პირსა და რიცხვში ხმარება და, ამდენად, პირნაკლ და რიცხვნაკლადაც ქცეულა. აორისტში ამ მნიშვნელობით ენაცვლება ჯერ-იუო.

ა წ მ ყ ო

ე-გ-ებ-ი-ს: ნუთუ ეგების შეილთა საქორწინისათა გლოვაჲ: C მთ 9, 15 (შდრ. კელ-მე-ეწიფების-ა ძეთა სიძისათა გლოვაღ? DE, იქვე).

ვერ ეგების განყოფად ნათლისა მათისაჲ: ხანძთ. ოე 48.

ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაჲ: ხანძთ. ნგ 45; კ 48.

სასტიკ არს მკეცი იგი, რამეთუ მონადირეთაგან ვერ ეგების კელთგდებად იგი: სახისმეტყ. გ 5; რაეახ. 84, 30; ანტიოქ. 34, 25; წარტყუნ. ია 24; ზარზმ. 149, 2; 157, 20.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

ე-გებ-ოდ-ა: გარნა ვერ ეგებოლა დაფარვაჲ ესოდენისა მის საკვრეულებისაჲ: დამასკ. 155, 29.

დაფარვაჲ არლარა ეგებოლა: ქრესტ. 88, 2; წარტყუნ. მგ 17; კიმ. I, 170, 38.

ე-გებ-ოდ-ი-ს: უძლურთა შენდობაჲცა რაოდენი რაიმე ეგებოლის: ანტიოქ. 81, 35.

ვ ღ ე ბ ი ს

დრონაკლად მიიჩნევა, როცა ასეთი გაგება აქვს: ვღების იგი მას = 'ეღაფება, ეპაექრება'. ძირი იგივეა, რაც გარდამო-ვღედ, მოუ-ვღა ზმნაში გვაქვს. ნამყო წყვეტილში არ გვხვდება. არ იღებს პრევერბს და არ იცვლის ქცევებს, თუმცა იშვიათად იხმარება ოდენსახვისო ქცევით, მაგრამ მაშინ იგი სრულებით სხვა შინა-

არსისაა: უკლები 'წინააღმდეგობას უწევს': ნუ უკლებით ბოროტ-
სა: C მთ 5, 39; ასევე: სახისმეტყ. ე 7.

აწმყო

ჰ-ვლ-ებ-ი-თ: რასა ჰვლებით ურთიერთას? C მრკ 9, 16.

ჰ-ვლ-ებ-ი-ან: ურთიერთას ჰვლებიან და წინააღმდეგებიან: ანტიოქ.
130, 33.

უწყვეტელი

ჰ-ვლ-ებ-ოდ-ეს: ჰვლებოდეს ურთიერთას ჰურიანი იგი და იტყო-
დეს: C ი 6, 52.

ი-ურ-ვ-ი-ს

სახელია ურვ-ა-ა. აქედანაა მიღებული სხვადასხვა გვარის
ფორმები: ა-ურვ-ებ-ს, ე-ურვ-ი-ს, ი-ურვ-ი-ს და *ურ-ავ-ს (ზღრ.
სახელი ხა-ურ-ავ-ი) ვნებითს მარტო პირველი სერიის ნაკვთები მო-
ეპოვება, მოქმედებითს კი—ყველა. აბსოლუტურსა და რელატიურ
ვნებითს შორის (თუმცა ეს უკანასკნელი იშვიათია: არა რაა მუჟრ-
ვების მე სიქადულთა შენთათჳს: კიმ. II, 34, 12.) უღლილებაში
განსხვავება არაა.

აწმყო

ვ-ი-ურვ-ი: მე ვჰმსახურებ მათ და ვიურვი შესაწირავესა წლითიწ-
ლად: კიმ. I, 209, 31.

ი-ურვ-ი: და აწ რომელსა იურვი, მერე ვითარი გინდეს სამოსელი,
გაქუნდეს: ხანძთ. ჰვ 17.

ვ-ი-ურვ-ი-თ: არას ვიურვით, არცა გუეშინის: ევსტ. 85, 5.

ი-ურვ-ი-ს: კანჯარი განძლების და არავესაგან ჰრცხუენის, გინა
იურვის: კიმ. I, 204, 19.

ი-ურვ-ი-ნ: ნუ იურვინ გული შენი მთავრისა მისთჳს: წარტყუნ.
6 28.

ი-ურვ-ი-თ: ნუ იურვით მისთჳს: კიმ. 265, 28; ასევე: საბა 17, 20.

უწყვეტელი, კავშირებითი I

ი-ურვ-ოდ-ა: და იურვოდა და იშიშვოდა, რაჟამს წარემართა კა-
რად სამეუფოდ: შუშ. 4, 26; ასევე: ზარზმ. 167, 11; კიმ. I,
23, 22; ანტიოქ. 93, 36; 105, 35.

ი-ურვ-ოდ-ე-თ: უფროისლა წუხდით და იურვოდეთ დღისა მის-
თჳს: წარტყუნ. 60 34.

ე-ურვ-ოდ-ეს: და ესრეთ რაჲ ეურვოდეს ამის პირისათჳს, ესმა მას: ქრესტ. 88, 25.

კონტექსტებიდან ჩანს, რომ იურვის ორგვარი სინტაქსური კონსტრუქციისაა: იურვის იგი (=წუხდება: ნუ იურვი=ნუ წუხდები) და იურვის იგი მას ან მისთვის. პირველი შემთხვევისათვის შეუძლებელი არაა აორისტის მნიშვნელობით აღწერითი ფორმა: შეურვებულ იქმნა: რაჲსათჳს დაეცნეს გულნი თქუენნი და ფრიად შეურვებულ იქმნენით: არიმათ. 35, 23 (ნ. მარი თარგმნის: *онеспокоились*); მცირე-მცირედ ტკივილისა მისგან შეურვებულ იქმნა: კიმ. I, 228, 7.

მართალია, ძველ ქართულში ჩვეულებრივია შეიურვა, დაიურვა, მაგრამ იგი, რასაკვირველია, მოქმედებითის ფორმაა, რომელსაც აწმყოში -ებ სუფიქსი ერთვის: შეიურვებ-ებ. მას ყველა ნაკვთი მოეპოვება:

აღგიშფოთებიეს ტაძარი და აურვებ მყოფთა მისთა: რავახ. 85, 17.

შეიურვა [დედოფალმან] და მიაელინა კაცი: ხანძთ. მზ 10.

ვითარცა ჯერ იყო, დაიურვნა ყოველნი კეთილად: იქვე, კთ 49.

ო-კუს-ვ-ი-ს

იშვიათი ხმარების ზმნაა. ძველ ქართულში იგი დეფექტურია, დრონაკლია. დადასტურებულია მხოლოდ ნამყო უწყვეტელი. მასდარი ჩანს კუს-ოლ-ა-ჲ, მიმღეობა მ-კუს-ოლა-რ-ე (იხილა იგი მკუს-ოლარე C მრკ 14, 67) გვაფიქრებინებს, რომ -ოლ ზმნაც სუფიქსიანია. ასეთ ზმნათა დიდ წილს კი მეორე სერიის ფორმები არ მოეპოვება. მნიშვნელობის დასადგენად ოთხთავის რედაქციების შედარებალა შეგვიძლია გამოვიყენოთ. იკუს-ვ-ი-ს ფორმაში (შესაფერისად გვექნებოდა ვ-იკუსვი, იკუსვი) -ვ ← -ავ: *ი-კუს-ავ-ი-ს → ი-კუს ვ-ი-ს.

უწყვეტელი

ჰ-ი-კუს-ოდ-ა: დგეს მუნ მსახური იგი და მონანი და ეგზნა, რამეთუ ყინელ იყო, და ჰიკუსოდეს. დგა მათ თანა პეტრეცა და ჰიკუსოდა: C ი 18, 18; შდრ. ნაკურცხალი აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო, ტფებოდეს etc. DE იქვე.

შემდეგ ჯგუფში წარმოდგენილია ისეთი -ი სუფიქსიანი ზმნები, რომელნიც აორისტის წარმოებაში რამდენადმე ჰგვანან ერთ-

მანეთს, კერძოდ, უმეტეს მათგანს -ე სუფიქსიანი ვნებითი აქვს მონაცვლებული, იგულისხმება მხოლოდ ობიექტური წყობით. აწმყოში თითქმის არც ერთი მათგანი არ იგულებს პრევერბს.

ჰ-მშ-ი-ი-ს

აწმყოში ამ ზმნის უღლილებას ძველი სალიტერატურო ქართული ორი სახით იცნობს: ჰ-მშ-ი-ნ და ჰ-მშ-ი-ი-ს. თუ მოვიგონებთ, რომ მასდარში ერთი ი გვაქვს: სი-მშ-ი-ლ, მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ ჰ-მშ-ი-ი-ს შემთხვევაში თავისებურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ძირად მიჩნეულია მშ-, თუმცა ძველ ქართულში არაა იშვიათი ძირეული მ'ს დაკარგვის შემთხვევა, განსაკუთრებით პირველსა და მეორე პირში, მაგრამ ვნებითის წყვეტილის ფორმაში ყოველთვის დაცულია მშ: შეეშოა¹.

აწმყოს ფუძის წარმოებაში გამოვლენილი ორი -ი'ს ახსნაში მნიშვნელოვან ჩვენებას გვაძლევს ძველივე ქართულისა და თანამედროვე დიალექტების (იმერული და რაჭული) მონაცემები: გშივა: გშივის-ცა და გუწყურისცა: I კორინთ. 4, 11. უდავოა, რომ აქ ოდინდელი -ევ თემატური სუფიქსია წარმოდგენილი, პერმანსივის საწარმოებელი -ი სუფიქსის გავლენით -ივ'ად ქცეული: *ჰ-მშ-ევ-ს (შდრ. ახალი კაუზატ. ა-მშ-ევ-ს...): ჰ-მშ-ივ-ი-ს → ჰ-მშ-ი-ი-ს². ასევე დაიკარგა ვ ხმოვნებს შორის ვნებითის წყვეტილშიც: შეეშოა ← შეემშოვა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ჰ-მშ-ი-ნ ფორმაც (რაჯამს ჰმშინ და არა პოვის ნადირი ქამად: სახისმეტყ. იშ 3), რომელიც იშვიათად გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში. საფიქრებელია, რომ -ი სუფიქსი აქ ფუძეს მანამ დაერთო, ვიდრე იგი -ევ ნიშნით იქნებოდა გართულებული.

ამგვარად, ვეკონია მშ'საგან წარმოებული ფუძეები მშ-ევ-ა და სი-მშ-ი-ლ-ი (შდრ. რბ-ევ-ა, სი-რბ-ი-ლ-ი). მ ძირის კუთვნილება არ უნდა ყოფილიყო ისტორიულად³.

მშევ ზმნის ფუძისაგან არის ნაწარმოები -ე პრეფიქსიანი ვნებითი (ე-მშევ-ი-ს), და რომელიც მხოლოდ ნამყო წყვეტილის ფორმათაა დადასტურებული და უზმნისწინოდ არ იხმარება: შეემშოა: დაი-

¹ ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 73.

² ფაქტი სხვა მხრითაცაა საყურადღებო, კერძოდ, ნამყო უწყვეტილის -ავ -ევ თემიანი ზმნების ისტორიისათვის...

³ შდრ. არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 368.

მარხა ორმეოცი დღე... და უკუანაქსენელ შეემშია: C მთ 4, 2; 12, 1.

გარდამავალი ზმნის მნიშვნელობით, ჩვეულებრივ, გამოყენებული ჩანს მოაყმობს: მოგაყმო შენ, უკუეთუ აღრე არა აღიარო: ქრესტ. 50, 24.

ა წ მ ყ ო, ს ტ ა ტ ი კ უ რ ი

გ-მშ-ი-ი-ს: ნეტარ ხართ, რომელთა გმშის: DE ლკ 6, 21.

გუ-მშ-ი-ი-ს: პრქუა ყრმებმან მან პავლეს: გუმშის: თეკლ. 105, 29.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ I

მში-ოდ-ა: მშიოდა და არა მეცით მე ქამადი: მთ 25, 42.

მში-ოდ-ი-ს: არა მივილო სხუაჲ საზრდელი, რომლითა კუალად მშიოდის: პაბო 72, 23.

ჰ-ში-ოდ-ი-ს: არლარა ამიერიდან ჰშიოდის და არცა მიუპყრას კაცთა ქამადი: იპოლ. 25, 118.

ში-ოდ-ე-ს: რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდეს: C ი 6, 35.

ს-წყურ-ი-ს

სწყურის, ისე როგორც ჰმშის და მისთ. უცვლელ ობიექტურ პირად გულისხმობენ მესამე პირს: მწყურის მე იგი, მაგწყალი. ამიტომ არ შეიძლება ეს ზმნები სუბიექტური წყობით იხმარებოდეს ქართულში¹. მიუხედავად ამისა, ნ. მარს თავის „ძირითად ტაბულებში“ გწყური, მწყური-ხარ, გწყურივარ ფორმები აქვს შეტანილი², რაც არაა შესაძლებელი და, ამდენად, არც აღსადგენი. ახალი ქართულის მსგავსად, სწყურის ძველ ქართულში გადატანითი მნიშვნელობითაც იხმარება.

ა წ მ ყ ო

მწყურ-ი-ს: და თქუა მწყურის: ი 19, 28.

ესე განქარდა და არლარა მწყურის: ურპ. 335, 21.

გწყურ-ი-ს: რომელთა გწყურის, წარვედით წყლად: სასულ. რც 167.

რომელსა იგი სწყურის ცხორებაჲ ჩუენი: ანტიოქ. 142, 25.

სწყურ-ი-ნ: რაჟამს სწყურინ, მივიდის ფისონდ მდინარედ: სახინ-მეტყ. გ 11.

¹ არ ვეხებით საკითხს გენეტურ-ისტორიული თვალსაზრისით.

² Основные таблицы, табл. XX.

უწყვეტელი, ხოლმეობითი

მ-წყურ-ოდ-ა: მწყუროდა და არა მასუთ მე! მთ 25, 35.

უწინა მიხურვიდა გული და მწყუროდაცა: ურპ. 335, 19.

ს-წყურ-ოდ-ა: რომელსა სწყუროდა ყოველთა ცხორებისათჳს: ანტიოქ. 100, 5.

მ-წყურ-ოდ-ი-ს: რომელთა კუალად მწყუროდის: ჰაბო 72, 24.

ვნებითი, II სერია

მო-ე-წყურ-ა: ნებსით შეემშია, ნებსით მოეწყურა: კიმ. I. 89, 9;
ასევე: კიმ. II, 147, 2.

მო-გ-ე-წყურ-ო-ს: უკუეთუ მოგეწყუროს, ნუ აღიმადლებთ ქმასა:
იქვე, 230, 12. -

შეეწყურა ნეტარსა მას: კიმ. II, 157, 10.

ს-წად-ი-ს

უწყვეტლის ნიშნად -ოდ იხმარება, ერთ შემთხვევაში -დ სუფიქსიც შეინიშნება: ს-წად-დ-ა: სწადდა მეუფებასა მათსა: ატენის წარწერა: 286, 6, რაც აწმყოში -ი სუფიქსს დაკარგულად გვაგულისხმებინებს: ს-წად-ს. თუმცა საერთოდ -ი ბოლოსართი ამ ზმნაში იშვიათად იკარგება. აორისტი დადასტურებული არაა, სავარაუდოა აქაც მონაცვლელ იყოს ვნებითი ეწადა.

აწმყო

მ-წად-ს ← მ-წად-ი-ს: მწადს მე ლოცვაჲ: დამასკ. 275, 26.

გუ-წად-ი-ს: გუწადის ხილვად წმიდათა მათ აღვილთა: ანტიოქ. 97, 1.

ჩუენცა გუწადის და გუსურის ხილვად მისი: ბოლნ. 82.

ს-წად-ი-ს: გულისჴმა-ყო, რად იგი სწადის სულსა ჩემსა: ბოლნ. 12, 75.

სწად-ი-ნ: ყოველივე სწადინ ჴამად: მრავალთ. 266, 23.

უწყვეტელი, ხოლმეობითი

მ-წად-ოდ-ა: მეცა, გლახაკსა, მწადოდა ხილვად: ხანძთ. ია 28.

გ-წად-ოდ-ა: გწადოდა ხილვად დღისა მისთჳს: სასულ. ნა 128.

რომლისათჳსცა იგი გწადოდა, მოგეცა: კიმ. I, 137, 27.

ს-წად-ოდ-ა: ხოლო მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდე-
ბაჲ: ხანძთ. ვ 35; ია 27; იზ 8; დ 25.

ს-წად-ოდ-ი-ს: უკუეთუ ვისმე ძმათა სწადოდის ყოფად შატბერდს:
ხანძთ. ოზ 64.

მრავალთა წნწყლთა და მამათმთავართა სწადოდის ხილვის:
ბოლნ. 58.

მ-სურ-ი-ს

აწმყოში ეს ზმნა ზოგჯერ -ი ბრლოსართს ჰქარგავს, ახალ
ქართულში კი საბოლოოდ მარტივფუძიანი გახდა: მსურ-ს. ვნე-
ბითი ე- პრეფიქსიანია, იგი შედარებით იშვიათად იხმარება.

ა წ მ ყ ო

მსურის მე განსლვად: სასულ. რპე 127.

მსურის მე, რადთა მოციქულისაებრ ვიტყოდი: ზარზმ. 175, 3.

ჰ-სურ-ი-ნ: ვითარცა სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყალთაჲსა:
სახისმეტყ. ლდ 2.

მ-სურ-ი-ს: მსურს სულსა ჩემსა შენდამი: საბა 5, 30.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

მ-სურ-ოდ-ა: მოვიღე სული, რამეთუ მცნებათა შენთა მსუროდა:
კიმ. I, 223, 17; ხანძთ. კთ 20.

გ-სურ-ოდ-ა: რადთა ღირს იქმნე აღფრინებად, რომლისა გსუ-
როდა: სასულ. რიკ 13; რაგ 223; რლ 64.

ჰ-სურ-ოდ-ა: მსუროდა მას ხილვად სასწაულთა: ბარლ. 129, 36.

მსუროდა მისლვად უფლისა თჳსისა სანატრელსა მოწამესა:
სასულ. თ 62; ხანძთ. კთ 63.

ვ ნ ე ბ ი თ ი, წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

აღ-ე-სურ-ვ-ა: აღესურვა ხილვად წმიდისა მის: კიმ: II, 144, 12.

მ-რულ-ი-ს

ამ ფუძით აწარმოებს მხოლოდ პირველი სერიის ნაკვთებს.
დასტურდება აქედან ე- პრეფიქსიანი ვნებითი, რომელიც პირველ
სერიაში ძალიან იშვიათია.

აწმყო

ჰ-რულ-ი-ნ: არა ჰრულინ, არცა დაიძინის მცველმან იწლისმან: სახისმეტყ. ლა 30.

უწყვეტელი

ჰ-რულ-ოდ-ა: ხოლო მაკარის ჰრულოდა სარეცელსა ზედა და მი-
ეძინა: ხანძთ. ოე 58.

ვნებითი, წყვეტილი

მი-ე-რულ-ა: მიერულა: ყოველთა და დაიძინეს: მთ 25,5.

დაწვა განსუენებად და ვითარცა მიერულა: ანტიოქ. 89, 32.

მიერულა და საშინელი ჩუენებად იხილა: ხანძთ. ო 22.

მეგრულში ჰ-რულ-ი-ს ზმნის მნიშვნელობაა 'სძინავს': ბ-ლურ-ს = მძინავს¹, ქანურსა და ქართულში კი — 'თვლემს'². ეს უკანასკნელი გაგება უნდა იყოს თავდაპირველი. ქართული რულ ფუძე ძი-
ლებულია ლულ-ისაგან³, რომელიც, სხვათა შორის, შემორჩენილია
ზემოიმერულში: თჳალს ლული არ მღებია (= არ მძინებია).

უ-ხარ-ი-ს

საშუალი გვარის ზმნაა და მარტოოდენ პირველი სერიის
ფორმებს აწარმოებს.

აწმყო

მი-ხარ-ი-ს: ხოლო მე მიხარის თქუენთვს: C ი 11, 15.

უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის: შუშ. 15,4.

გ-ი-ხარ-ი-ს: და გიხარის მართალთა ზედა: სასულ. 46¹⁰.

გ-ი-ხარ-ი-ნ: ნუ გიხარინ ამას ზედა: წარტყუენ. 5²⁹.

უ-ხარ-ი-ნ: რამეთუ უხარინ მას ზედა უფროდს: მთ 18, 13

უწყვეტელი, კავშირებითი I, ხოლმეობითი,
ბრძანებითი

უ-ხარ-ოდ-ა: უხაროდა ძეთათვს კაცთადასა: იერუს. განჩინ. 48, 10.

ხოლო ნეტარსა ამას უხაროდა: ჰაბო, 70,3; ასევე: ხანძთ.
კ 34; ია 60; იდ 6.

¹ И. Кашиндзе, Грамм. гв. 080; შდრ. გვ. 274.

² არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 302.

³ იქვე.

უ-ხარ-ოდ-ი-ნ: უხაროდინ კეთილად ცხორებასა მას ჩუენსა: კიმ. I, 198, 19.

გ-ი-ხარ-ოდ-ე-ნ: ნუ გეშინინ მტერთა ამათგან, არამედ გისაროდენ: რავახ. 92, 17; 98, 14.

გიხაროდენ, მიმადლებულო: იაკობ. ნბ 17.

ამავე ხარ ძირისაგანა ნაწარმოები ე-ხარ-ებ-ი-ს და ა-ხარ-ებ-ს, რომელთაც სამივე სერიის ნაკვთები მოეპოვებათ. დანარჩენ ამ ტიპის ზმნათაგან განსხვავებით (შდრ. მი-ერულა) ზმნისწინს შედარებით იშვიათად დაირთავს:

ა წ მ ყ ო

ე-ხარ-ებ-ი-ს: კირვეულთა ეხარების: მთ 11, 5.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

გუ-ე-ხარ-ა: რომელი გუეხარა, არა გურწამს: ზარზმ. 158, 18.

ე-ხარ-ა: უკუდავება ეხარა სოფელსა: სასულ. როგ 135.

ს-ტკივ-ი-ს

ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში უფრო ხშირად ელმის ზმნა იხმარება, რომელსაც ორივე სერიის ნაკვთები მოეპოვება. სამაგიეროდ ტკივ ფუძისაგან იწარმოება კაუზატივიც. ს-ტკივ-ი-ს და ა-ტკ-ენ-ს ფორმათა შეპირისპირებითაც ცხადია, რომ აქ ძირად ტკ გამოიყოფა, -ივ სუფიქსია, მომდინარე -ევ'ისაგან. საშუალი გვარის ამ ზმნას მეორე სერიის ფორმები არა აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქართული არ განსხვავდებოდა ახლისაგან აქ და, ამდენად, უნდა გვექონოდა ე-ტკინ-ა ფორმაც. უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ნაკვთებში მოსალოდნელია ს-ტკივ-ოდ-ა.

ა წ მ ყ ო

მ-ტკივ-ი-ს: აწ რად ვყო, რამეთუ მტკივის გულში ჩემი: ბოლნ. 81. გ-ტკივ-ი-ს გტკივის ადგილი იგი? ათონ. 346, 7.

ს-ტკივ-ი-ნ: ვითარცა ვის სტკივინ ასოვ ერთი და ელმინ: დამასკ. 264, 18.

აქვე შეეხებით მოქმედებითსაც. იგი ნაწარმოებია -ებ სუფიქსით მ-ტკივ-ან-ი'საგან: ა-მტკივ-ებ-ს: დაო ჩემო, ნულარა... დამამტკივნებ მე: კიმ. I, 150, 8.

ამ ჯგუფში წარმოდგენილია ისეთი -ი სუფიქსიანი ზმნები, რომლებიც აორისტში -ენ || -ედ ნიშნიან ვნებითს ინაცვლებენ. აქ-

ვე განვიხილავთ იმ თითო-ორიოლა ზმნასაც, რომლებიც ხან მოქმედებითს მიჰყვებიან, ხან—ვნებითს. პრევერბს აწმყოში უმეტესობა არ იგუებს.

ღუმ-ს ← ღუმ-ი-ს

კლასიკურ ქართულში ეს ზმნა მარტივფუძიანია, მაგრამ წარმოშობით იგი -ი სუფიქსიანი იყო, რასაც მასდარი ღუმ-ი-ლი გვიჩვენებს. ამდენად, აქა-იქ გამოვლენილი -ი სუფიქსიანი ფორმები უძველესად უნდა ჩავთვალოთ ყველა პირისათვის.

სტატიკურ ზმნათა მსგავსად (შდრ. ზის, ჯდა, მაგრამ დაჯდა), ამ ზმნას ძირითადად ორი ნაკვთი მოეპოვება: აწმყო(ნამყო უწყვეტელი შედარებით იშვიათია) და ვნებითის აორისტი. რამდენიმე მაგალითით წარმოვადგენთ მოქმედებითსა და ვნებითს. უკანასკნელი უზმნისწინაა აორისტში:

მოქმედ. ა-ღუმ-ებ-ს: რომელი დაღუმებს სიტყუათა ვამაღლად ქადაგებულთა: კიმ. I, 79, 32.

ვნებ. და-ღუმ-ნ-ებ-ი-ს: აწ სიტყუაჲ ჩემი დაღუმნების: ხანძთ. მა 10.

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი, ა წ მ ყ ო

ვ-ღუმ-ი: ხოლო უფროდსსა მას ბუნებისასა ვღუმი: მრავალთ. 282,3.

ს-ღუმ-ი: ნუ გეშინინ, არამედ იტყოდე და ნუ სღუმი: მოციქ. 18,9.

ღუმ-ან: ღუმან მდინარენი: სასულ. რპე 113.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

ღუმ-ღ-ენ: არა წარწყმდეს ცხორებაჲ მათი, რომელნი ღუმღენ: კიმ. I, 84, 35.

**ვ ნ ე ბ ი თ ი, წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II,
ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი**

ღუმ-ნ-ა: არას მიუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ? — ხოლო იგი ღუმნა: მრკ 14,60; ასევე: წარტყუნ. ნდ 31; კიმ. I, 49,1; 44,17.

ვ-ღუმ-ნ-ე: დალატათუ მე ვღუმნე, ვერ შეუძლო დაღუმებად სხუათა: კიმ. I, 183, 23.

ღუმ-ენ: ჰრქუა მას დეკანოზმან: ღუმენ, შეილო: ხანძთ. ნ 8.

წუხ-ს ← წუხ-ი-ს

საგებობით ჰგავს ღუმს ზმნას, ოღონდ ვნებითის აორისტში აქ უპრევერბო ფორმა არ იხმარება.

საშუალო გვარი მხოლოდ პირველ სერიას აწარმოებს. თავი-სებურია ნამყო უწყვეტლის ფორმა. აქ არ ჩანს წინანდელი -ისუფიქსის კვალი.

ა წ მ ყ ო

წუხ-ნ: წუხნ იგი: წარტყუნ. ლ 29.

უწყვეტელი, კავშირებითი I, ბრძანებითი

წუხ-დ-ა: ამისთვის წუხდა იგი და ტიროდა: წარტყუნ. ი 22, ასევე: თეკლ. 103, 14.

ვ-წუხ-დ-ი-თ: უკუეთუმა... მიმცნა ჩუენ სატანჯველსა ამას, ვწუხ-დითმცა ჩუენ: წარტყუნ. მთ 4.

ჰ-წუხ-დ-ე-თ: თქუენ ჰწუხდეთ, ხოლო მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გექმნეს: C ი 16, 20.

წუხ-დ-ე-ს: ვინმე არა წუხდეს... დარღუევასა: წარტყუნ. ზმ 1; ზ 17; მ 22.

წუხ-დ-ი-თ: ნუ იქადით, არამედ უფროდსლა წუხდით და იურვოდეთ: წარტყუნ. ნმ 34.

ვნებითი, წყვეტილი, კავშირებითი II

წუხ-ნ-ა: ესმა ესე წმიდასა თეოდოსიას... და წუხნა ფრიად: კიმ. I, 149, 10.

მაშინ ნეტარი საბა შეწუხნა გულსა შინა თვისსა: კიმ. I, 19, 21.

და უფროდსლა დაწუხნა ყოველი იგი დედები: თეკლ. 115, 14; 103, 12; 118, 14.

შე-ვ-წუხ-ნ-ე-თ: არა შევწუხნეთ, არცა სულ-მოკლე ვიქმნეთ: წარტყუნ. მთ 5.

და-ს-წუხ-ნ-ე: ნუ იქმნები იუდასებრ, რადთა არა დასწუხნე: იპოლ. 2, 137.

აწმყოს პირველსა და მეორე პირში ეს ზმნა შეჯერებულ ტექსტებში არ შეგვხვედრია, მაგრამ, რასაკვირველია, იგი ვ-წუხ (← ვ-წუხ-ი) ფორმით ივარაუდება.

საგულისხმოა ახალი ქართულის ვწუხ-ვარ, სწუ-ხარ ← ს-წუხ-ხარ ფორმების ისტორიისათვის ძველი ქართულის აღწერითი გამოთქმები:

ნუ მწუხარე ხარ ამისთვის, შეილო: საბა 18, 20; რაეახ. 88, 20; არიმათ. 68, 91.

წუხ ფუძესთან ნახმარი ორი პრეფერბი მას განსხვავებულ მნიშვნელობას აძლევს: შე-წუხნა = შეწუხდა; და-წუხნა¹ = დახუკა; დაიხურა, თუმცა ძველ ქართულში არც თუ ისე მკაცრია ამ პრეფერბთა გამიჯვნა და ამიტომაც: დაწუხნა მეფე (C მრკ 6,26) || შე-წუხნა... მეფე (DE).

ყოველ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ თავდაპირველი მნიშვნელობა 'დახურვა, დახუკვა' იყოს. აქედანვეა სახელი მ-წუხ-არ-ე, ძველ ქართულში 'ბრმის, თვალვდახუკულის' მნიშვნელობით. სევანურში იგი „გათვალვას“ გამოხატავს, რაც მეორეული ჩანს: ო-წუხ-ჲ 'გათვალე', ა-წუხ-ჲ 'გათვალე', ა-წუხ-ჲ 'გათვალა'². სომხური *ալլխ* 'კვამლი' ქართულ ფუძედ არის მიჩნეული³.

ბორგ-ი-ს

ნაკეთების წარმოების მხრით ძალიან ცოტა რამით განსხვავდება წუხს ზმნისაგან. ფუძის ისტორია სავსებით მისი ანალოგიურია.

ა წ მ ყ ო

ჰ-ბორგ-ი: მათ ჰრქუეს მას: ჰბორგი: მოციქ. 12, 15.

ბორგ-ი-ს: ეშმაკი არს მის თანა და ბორგის: C ი 10, 20.

ჰ-ბორგ-ი-თ: ნუ ჰბორგით თქუენცა სიბორგილისა მავისისა მსგავსად: კიმ. I, 143, 28.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი , კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი I

ვ-ბორგ-დ: და უმეტესად ვბორგდ მათ ზედა და ვსდევნიდი: მოციქ. 26, 11.

ბორგ-დ-ეს: და ცნა, რამეთუ მარონიტელთა წვალებითა ბორგდეს: ანტიოქ. 59, 17.

ვნებითს პარალელურად აწარმოებს -ენ || -[ე]ლ სუფიქსები:

აღ-ჰ-ბორგ-ენ || აღ-ჰ-ბორგ-დ-ი:

¹ ჩვეულებრივია ი- პრეფიქსიანი: თულნი მათნი დაიწუხნეს: მთ 13, 15.

² ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სეაზური ენა, გვ. 145.

³ Անահիտ, „հաբ“, ტ. III, 1930, გვ. 813.

წყვეტილი

აღ-ბორგ-ნ-ა: უფროძსლა აღბორგნა და შესძინა სიბრძე სიბრმე-
სა ზედა: ხანძთ. მთ 24.

აღ-ბორგ-ღ-ა: აღბრვითა ეშმაკისაძთა აღბორგდა კუალად მთავარი:
თბრობა, 22.

აღბორგდა კარაული იგი და გარდამოაგდო იგი ქუეყანად:
კიმ. I, 337, 29.

ძრწ-ი-ს

ამ ფუძით შესაძლებელია პირველი სერიის წარმოება. აო-
რისტისათვის შენაცვლებულია ვნებითი, რომელსაც მოქმედები-
თის ფუძე აქვს გამოყენებული. მოქმედებითს (კაუზატივს) უძველე-
სი ა- — -უნ აფიქსები აწარმოებს: ა-ძრწ-უნ-ებ: სიბრძნე მისი
შეაძრწუნებს ქუეყანასა: დამასკ. 266, 21; ჯამან ქუეყანად
შედრა და ჯოჯოხეთი შეაძრწუნა: სასულ. ტლზ 15.

კაუზატივის სხვაგვარი წარმოებაც დასტურდება ძველ ქარ-
თულში, თუმცა რამდენად გავრცელებული იყო ის, ძნელი სათ-
ქმელია. საწარმოებლად მასდარული ფუძეა აღებული: ძრწოლ:
ა-ძრწოლ-ებ-ს: დააკუეთა იგი ეშმაკმან მან და აძრწოლებ და მას:
DE ლკ 9, 42. საფიქრებელია, რომ ეს ფორმა ძველ ქართულში
დიალექტიზმი იყოს (შდრ. ხევსურული: იმ ქალს რა მამარბოლებ-
ს ავ? წელიწდ. 180, 28; 202,9).

სწორედ ამ ა- — -უნ აფიქსებიანი კაუზატივისაგან მივიღეთ
დ(←ედ) სუფიქსიანი ვნებითი, რომელიც თავისუფლად იწარმოება
ორივე სერიაში:

აწმყო: იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით: DE მთ 24,6.

ნამყო უწყვეტელი: ხოლო იგი... არავისგან შეძრწუნდებოდა:
ჰაბო, 67, 35.

ნამყო წყვეტილი: შეძრწუნდა იგი და ყოველი იწმში: მთ 2, 3.

სტატიკური აწმყო

ვ-ძრწ-ი: ვძრწი, ნუ უკუე გარდავქდე მცნებასა: დამასკ. 161, 14.

ვძრწი რომელთამე მრისხანებისაგან: ანტიოქ. 126, 36.

მე დაედნები და ვძწი (sic) მეუფებისაგან შენისა: კიმ. I,
12, 25.

ს-ძრწ-ი: არა გეშინის-ა და სძრწი შენ? ბარლ. 121, 17.

ძრწ-ი-ან: შენგან ძრწიან უფსკრულნი: სასულ. ვბ 495; სუე 143;
6 199.

შიშით ძწიან (sic) და ვერ იკადრებენ განცდად: კიმ. I, 175,3.

მისგან რწიან (sic) გუნდნი ანგელოზთანი: კიმ. I, 182, 21.

უწყვეტელი

ძრწ-ოდ-ა: ხოლო დედაკაცი იგი შეშინდა და ძრწოდა მისთვის: C მრკ 5,35.

შიშით ძრწოდა იოვანე და გაკვრდა იორდანე: სასულ. სკთ 40.

ძრწ-ოდ-ეს: შიშით ძრწოდეს ცანი: სასულ. რდ 52; ხაგ 165.

ს-ცბ-ი-ს

იხმარება ამ ზმნის აწმყო და ვნებითის მეორე სერია, მსგავსად ძრწის ზმნისა. ძრწის ძველ ქართულში ზმნისწინს არ იგუებებს (ახალი ქართულის დაძრწის მნიშვნელობითაც სხვაა), ცბის კი ზმნისწინით დასტურდება, რაც ახალია. ძველ ქართულში მის სინონიმად იხმარებოდა ბორგის (=ბორგავს).

აწმყო

ს-ცბ-ი: ნუ სცბი, ესე იყოს დიდ: მრავლთ. 256, 29.

ჰგომბ და სცბი მისთვის წვალებით: კიმ. I, 322, 10.

ცბ-ი-ს: ეშმაკეულ არს და ცბის: DE ი 10, 20.

და-ცბ-ი-ნ: თუ ვინმე ტბის ყურძენი ქამის, დაცბინ¹ სიმწარითა მისითა: თუალთ. 24.

უწყვეტელი

ვ-ცბ-ოდ-ე: უმეტესად ვცბოდე მე მათ ზედა და ვსდევნიდ: მოციქ. 26, 11.

ვნებითი, წყვეტილი

შე-ს-ცბ-უნ-დ-ი-თ: რაჟსათჳს ესრტთ შესცბუნდით: არიმათ. 36,23.

შე-ცბ-ონ-და: შეცბონდა (sic!) ევა: კიმ. I, 179,5.

შე-ცბ-უნ-დ-ეს: ყოველმან ერმან იხილა იგი და შეცბუნდეს: C მრკ 9, 15.

აორისტის ასეთი წარმოება არ უნდა იყოს ერთადერთი. გურულ კილოში ცოცხალია გამოთქმა „გავცუფი კაცი“² (=გავოცდი;

¹ აღნაგობით ეს ფორმა წყვეტილს ჰგავს, მაგრამ მნიშვნელობა აწმყოსი აქვს.

² ს. ეღენტი, გურული კილო, გვ. 113,6.

დავიბენი). თუ ვივარაუდებთ, რომ ამის აწმყოს ფუძე ცბ-ებ-ი იქნება, მაშინ შესაძლოა უღლილების აღდგენა: აწმყო ცბ-ებ-ა, უწყვეტილი ცბებ-ოდ-ა, წყვეტილი გა-ცფ-ა ← გა-ცებ-ა.

მაშასადამე, ძველი ქართულისათვის შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ფორმები:

აწმყო: ვ-ცბ-ებ-ი, ს-ცბ-ებ-ი, ცბ-ებ-ი-ს.

ნამყო უწყვეტილი: ვ-ცბებ-ოდ-ე, ს-ცბებ-ოდ-ე, ცბებ-ოდ-ა

აორისტი: გა-ვ-ც-ებ, გა-ს-ც-ებ, გა-ც-ბ-ა.

ივარაუდება, რომ -ებ აქ ძირისეული არაა: იგი ძირთან შეხორცებულ სუფიქსია.

შუენ-ი-ს

როგორც საშუალი გვარის ფუძე მარტო პირველ სერიაში გვევლინება. აქვს ობიექტური წყობის სამივე პირი. მაგრამ სპეციფიკური გაგების შედეგად მესამე პირის ფორმა უპიროდ იქცა და, ამდენად, აღარც ობიექტური პირის პრეფიქსი ესაქიროება¹: შუენის = 'საქიროა, შესაფერია', ძველი ქართულით 'შეჰგავს'. ამ გაგების ძალით სინტაქსური კონსტრუქციაც შეიცვალა: შუენის შას, მათ გამოთქმის პარალელურად შეწყობილი სახელი ნაგენეტივარ ვითარებითშიც გვხვდება: შუენის მისა, ჩუენდა. მაშასადამე, ამიტომაა, რომ გვაქვს, ერთი მხრით, რომლისა შუენის: საბა 21,10, და, მეორე მხრით, რომელსა შუენის: წარტყუნ. ჟგ 28.

შუენ-ი-ს ნასახელარია. სახელის ფუძეს აწარმოებს -ენ, რომელსაც ზანურში შესატყვისად სუფიქსი -ამ მოეპოვება: შუ-ენ — სქვ-ამ². ძირია შუ, რომელიც მეორდება უ-შუ-ერ'შიც.

მაშასადამე, საშუალი გვარისათვის, როგორც ნასახელარი ზმნისათვის, აორისტი არაა მოსალოდნელი. ამ ფუძისაგან ნაწარმოები მოქმედებითი და ვნებითი ორივე სერიის ფორმებს იძლევა: განაშუენეს (კიმ. I, 122, 20); განშუენდების (სასულ. ნბ 153); განშუენდებოდეს (ანტიოქ. 167,6), განშუენდა (სასულ. მთ 67); განშუენდიან (თუალთ. 34) და სხვა.

სტატკური აწმყო

შუენ-ი-ს: ესრე შუენის შენდა აღსრულებად ყოვლისა სიმართლისა: C მთ 3,15; ასევე: კიმ. 37, 24; 173, 20; საბა 21, 10.

¹ ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 118, 267. 1.

² არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 230.

გ-შუენ-ი-ს: გშუენის მანიაკი ეგე: კიმ. 46, 25.

ჰ-შუენ-ი-ს: რაოდენი რაჲ ჰშუენის გონებასა მისსა: დამასკ. 165,34.
ყოველივე კმენ, რომელი ჰშუენის წმიდათა: ანტიოქ. 123, 36.

მ-შუენ-ი-ან: ესოდენ მშუენიან... შარავანდენი: კიმ. I, 46,27.

უწყვეტელი, ხოლმეობითი

ჰ-შუენ-ოდ-ა: რომელ ჰშუენოდავე... ქცევასა მისსა: ხანძთ. 3,51.

შუენ-ოდ-ი-ს: რომელ ქრისტიანობასა შუენოდის: იქვე, მზ 127.

ეს ზმნა პრევერბს არ საჭიროებს, მაგრამ ე. წ. საზედაო ფორმები უპირატესად პრევერბიანია. ა- პრეფიქსის დართვა, როგორც ჩანს სუფიქსისეულ ხმოვანს კუმზავს, რასაც ზოგჯერ სუფიქსის თანხმოვნითი ნაწილის (-ნ'ს) დაკარგვაც მოსდევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საზედაო ფორმაში ეს ზმნა ი ფუძიანი აღარაა:

აწმყო: შე-მ-ა-შუ-ს ←*შე-მ-ა-შუ-ენ-ს ←*შე-მ-ა-შუ-ენ-ი-ს: ¹

ფრიად მთნავს და შემაშუს ცხორებაჲ იგი ².

რომელი იგი შეაშუს სუბუქსა, მბრძოლ იქმნების მძიმისა: ექუს. დღეთ. 13,22.

რომ აქაც -ენ ბოლოსართი უნდა ივარაუდებოდეს, ამას ამტკიცებს ნამყო უწყვეტელი და კავშირებითი I, სადაც ნ დაკულია: ვიცე, არა გაშუნდეს საქმელი ესე: კიმ. II, 172,13.

გამოირჩია ადგილი მარჯ[უ]ლ და მყუდროჲ, რომელი შეაშუნდა სიწმიდესა მისსა: ათონ. 92, 159.

უკუეთუ დიდად მოაშუნდეს სულსა თქუენსა, აჰა ადგილნი იგი: ზარზმ. 157,15.

ორძი-ს

საშუალი გვარისაა, იგი ძეგლებში იშვიათად გვხვდება. დადასტურებულია მარტო აწმყო. ძირითადი მნიშვნელობაა ძველ ქართულში 'ზრდა'.

აწმყო

ორძი-ი-ს: რომლითა ყოველი შენებული, შენაწევრებული ორძის ტაძრად წმიდად: ეფეს. 2,21.

¹ შდრ. ახალი ქართ. შემშვენის || შემშვენდის...

² მაგალითი დამოწმებულია არნ. ჩიქობავას სახელის ფუძის უძველესებზე... მიხედვით, გვ. 83.

ორძ-ი-ან: ნაყოფნი აღმოაცენენ... და ვითარცა ნერგნი ედემისანი
ორძიან... ცუარითა: სასულ. სმგ 87.

დამახასიათებელია, რომ მოქმედებითში ეს ზმნა თითქმის
მარტო აღ- ზმნისწინს დაირთავს (ძალიან იშვიათად გან-‘ს):
აღ-აორძინ-ებ-ს, აღ-აორძინა, და სწორედ ეს გახდა საფუძველი
ზმნისწინის ფუძესთან შეხორცებისა ახალ ქართულში (შდრ. ა-აღ-
ორძინა). მოქმედებითის ფორმები საყოველთაოდ ცნობილია. ამ-
დენად მას აქ არ ვეხებით. ვნებითს ზოგიერთი თავისებურება ახა-
სიათებს, იგი ეღ → დ სუფიქსიანია, მას აწმყოში -ებ-ი მოუდის,
თუმცა უმისოდაც პერმანსივის ფუძით შეიძლება აწმყოს გამობა-
ტავდეს (შდრ. მაგ. აღორძინ-ი-ს: ლქ 12,27).

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა წ მ ყ ო

-ორძინ-დ-ებ-ი-ს: თესლი იგი აღმოცენდის და განორძინდების: DE
მრკ 4,27.

მუნ სამებისა წმიდისა იგი სარწმუნოებად აღორძინდების:
ჰაბო 59, 16.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ორძინდებ-ოდ-ა: ყრმაჲ იგი ორძინდებოდა და განძლიერდებოდა:
C ლქ 1,80.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

აღ-ორძინდ-ა: რაჲსა-მე აღორძინდა ჰასაკი ესე სიყრმითგან: კიმ. I,
142,27.

აღ-ორძინდ-ი: კეთილად აღორძინდი, შატბერდო: ხანძთ. ოგ 16;
ასევე: რაჲახ. 94,14.

მაგალითების წყება გვიჩვენებს, რომ ნამყო წყვეტილში გვაქვს
როგორც აღორძინდა, ისე აღორძინდა. რა წარმოშობისაა ი? ამ
ზმნის მასდარია სი-ორძ-ი-ლ-ი ← *სი-ორძ-ინ-ი. უნდა ვიფიქროთ,
რომ ვნებითს მასდარის ფუძე აქვს ამოსავლად: აღ-ორძინ-ედ-ა →
აღ-ორძინ-დ-ა || → აღორძინდა. უკანასკნელი ფორმა საინტერესოა,
როგორც ის რედუქციის იშვიათი მაგალითი. ვნებითი რომ სა-
ხელს ემყარება, ამის მსგავსი შემთხვევა სხვადასხვა გვაქვს: ყუაფილი:
აღაყუაფილდე: სასულ. ფთ 23; აღყუაფილდი; იქვე, ნთ XXI; ძველ
ქართულში ჩასახული ასეთი ფორმები, როგორც ცნობილია, და-
კანონდა ახალ ქართულში (კივილ-ი: ა-კივილ-დ-ა...). ანალოგიური
მოვლენები შეინიშნება ხეესურულშიაც: ა-დუღილ-ებ-ს (წელიწდ.
195, 21).

მ-ი-ჯურგ-ი-ს

დადასტურებულია სასხვისო ქცევის ნამყო უწყვეტელი. ამის მიხედვით აღდგება აწმყოს ფორმატ. ძველი ქართულის მ-ი-ჯურგ-ი-ს, რომელიც ახალ ქართულში მიხურს სახით იხმარება, ჯურ-ავ ფუძეს ვარაუდობს. ეს ფუძეა გამოყენებული მოქმედებითისა და ვნებითისათვის: ა-ჯურგ-ებ-ს — ი-ჯურგ-ი-ს; მაგალითად:

და აჯურგებდეს იგინი შანფურითა: თეკლ. 118,7.

განმცადენ ჩუენ და გამომაჯურგენ ჩუენ: წარტყუენ. ლა 19.

გამოიჯურგა ბრძმედსა შინა: სასულ. სნა 106.

[მარგალიტნი] გამოიჯურგენ და განწმდენ: ზარზმ. 157, 26.

ვნებითი ჯურ ფუძისაგან (-ედ →)-დ სუფიქსითაც იწარმოება:

ჯურ-დ-ებ-ი-ს: იკითხვიდა წერილთა საღმრთოთა და განჯურდა გულითა: კიმ. I, 202,19.

საშუალი გვარის ფორმა მარტო აწმყოს წრეს აწარმოებს.

უწყვეტელი

მ-ი-ჯურგ-ი-დ-ა: უწინა მიჯურგვიდა გული და მწყუროდაცა: ურპ 325,19.

დულ-ს ← დულ-ი-ს

ძველ ქართულში უკვე საბოლოოდ დადგენილია დულ-ს, დულ-დ-ა ფორმები, თემატური -ი აღარა ჩანს. რამდენადაც იგი შინაარსით შესამე პირის მდგომარეობაზე მიუთითებს, პირველ ორ პირში არ იხმარება, თუ არ გადატანითი მნიშვნელობით.

აწმყო

დულ-ნ: დულნ მუცელი მისი: კიმ. I, 327,10.

უწყვეტელი

დულ-დ-ა: ეშმაკი განმხიარულებული დულდა შესაწირავთა მათ ზე-და: კიმ. 133,1.

აქაც აღსანიშნავია -დ'ს გამოვლენა ვნებითში: და-დულ-დ-ა: განძნდა მჯდომი იგი ფრიად და დადულდა იგი მატლითა საშინელითა: კიმ. I, 316,22.

მ-ძულ-ს ← მ-ძულ-ი-ს

ძულ ფუძისაგან აწმყოში სხვადასხვა ბოლოსართით ორი ზმნა იწარმოება: ძველი — მ-ძულ-ი-ს → მძულ-ს და ახალი — ვ-ძულ-

-ობ. ორივე ეს ზმნა მხოლოდ პირველი სერიის ნაკვეთებს აწარმოებს. ამიტომ მათ ერთად განვიხილავთ.

ა წ მ ყ ო

ა) სუბიექტური წყობით:

ვ-ს-ძულ: ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ვამხილებ მას: ც ი 7,7.

ს-ძულ-ს: მამაცა ჩემი სძულს: ი 15,23.

ვ-ს-ძულ-თ: ამას კაცებსა ვსძულთ ჩუენ: კიმ. I, 116,4.

ს-ძულ-თ: ამისთვის სძულთ თქუენ: ი 15,19.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

ს-ძულ-დ-ა: სძულდა მას კაცობრივი დიდებაჲ: ანტიოქ. 84,27.

ხოლო მოქალაქეთა მისთა ჰსძულდა იგი და მიაველინეს მოციქული: ლკ 19,14.

ა წ მ ყ ო

ბ) ობიექტური წყობით:

მ-ძულ-ს: ვინაჲ უწყი შენ, თუ მეფე მძულს: კიმ. I, 69,3.

გ-ძულ-ს: რადსათვის გძულს მეფე: კიმ. I, 69,3.

გუ-ძულ-ან: გუძულან ეშმაკნი: კიმ. I, 148,32.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

გ-ძულ-დ-ა: გძულდა ფრიად საწუთროჲ ესე წარმავალი: სასულ-რაჲ 76.

გ-ძულ-დ-ეს: მოყუარენი მისნი ქრისტეანენი გძულდეს: ანტიოქ-91,12.

-ობ სუფიქსიანი

ა) სუბიექტური წყობით:

ა წ მ ყ ო

ვ-ს-ძულ-ობ, ს-ძულ-ობ, ს-ძულ-ობ-ს

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ვ-ს-ძულ-ობ-დ და ა. შ.

ბ) ობიექტური წყობით:

აწმყო

გ-ძულ-ობ-ს: უკუეთუ სოფელი გძულობს თქვენ: DE ი 15,18.
 მ-ძულ-ობ-ენ: წარმოთქუა ლოცვა მათთვისცა, რომელნი მძულობენ ჩუნ: კიმ. I, 267,6.

ვ-ტირ ← ვ-ტირ-ი

ძალიან ხშირად ფუძისეული -ი სუფიქსი არა ჩანს, თუმცა, განსხვავებით ბევრი -ი ფუძიანი ზმნისაგან, ამ ზმნას ახალ ქართულში -ი მკვიდრად აქვს შერჩენილი. საშუალ გვარს ერთპირიანსაც და ორპირიანსაც აწმყოს წყება მოეპოვება. ზმნისწინიან ფორმებში მკვეთრად ჩანს მოქმედების მიმართულება.

აწმყო

ვ-ტირ: არა ვტირ ერთისა ხოლო ქალაქისათვის: წარტყუნ. გ 18: დ 9.
 არა ვტირ კედლისა მისთვის ქვიანისა: კიმ. I, 297,25; 232,26.
 ამისთვის ვტირ და მელმის: ანტიოქ. 123,30.
 ს-ტირ: დედაკაცო, რად სტირ? C ი 20,13.
 ნუ სტირ ჩემთვის: შუშ. 21,13.
 კეთილისა ამისათვის სტირ-ა, ხუცეს? იქვე, 32,13.
 ტირ-ნ: უკუეთუ ერთი მათგანი ტირნ, მეორეცა იგი ტირნ: წარტყუნ. მზ 19; ასევე: ბოლნ. 50.
 ჰ-ტირ-ი-თ: რაჟსა აღშფოთებულ ხართ და ჰტირით? ჰაემ. 373,39..

უწყვეტელი, კავშირებითი I, ხოლმეობითი, ბრძანებითი

ვ-ტირ-ოდ-ე: აღუტევე კმა და ვტიროდე: შუშ. 21,12.
 ს-ტირ-ოდ-ა: ტროფიმე... გორჯ-სავესედ და საწყალობელად სტიროდა მას: თეკლ. 112,2; 97,8.
 ვ-ტირ-ოდ-ე-თ: ხოლო ჩუნ აღვივსენით მწუხარებითა დიდითა და ვტიროდეთ: შუშ. 8,7.
 მო-ს-ტირ-ოდ-ეს: სახლეულნი, ნათესავნი და თჳსნი მოსტიროდეს. უკუანა: ევსტ. 84,18.
 ტირ-ოდ-ი-ს: ვინმე არა ტიროდის და ვინმე არა წუხდეს: წარტყუნ. მზ 22; ზ 23-დან 30-მდე.
 ტირ-ოდ-ე-თ: ტიროდეთ ჩემზედა და მე ვლალადებდე თქვენზედა: წარტყუნ. ლზ 4.

წყვეტილში ამ ზმნას მოეპოვება როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი გვარის ფორმები: ი-ტირ-ებ-ს, ა-ტირ-დ-ებ-ს-ს: იტირა ფრიად: ზარზმ. 178, 19; განჭურდა გულითა, აღტირდა და თქუა: კიმ. I, 202, 19.

მ-ცონ-ი-ს

გვხვდება აწმყო, ნამყო უწყვეტილში იშვიათი ხმარების გამო არ დასტურდება. ფონეტიკური ფაქტორის გავლენით -ი უწყვეტილში შეიძლებოდა შემონახული ყოფილიყო: მცონ-ი-დ-ა. სტატიკური ფორმები მარტო აწმყოს წყებას გამოხატავს, მოქმედებითი კი ყველას.

ა წ მ ყო

მ-ცონ-ი-ს: ეგრეთვე მცონის, რამეთუ წუთ ძირსა თანა მთისასა ვიქცევი: ათონ. 318, II აბზ.

გ-ცონ-ი-ს: ნუ გცონის ლოცვად ღმრთისა შენისა: დამასკ. 279, 10.

მოქმედებითი, ა წ მ ყო

და-ი-ცონ-ებ: ნუ დაიცონებ თხოვრებად ჩემდა: ანტიოქ. 63, 32.

კავშირებითი II

და-ი-ცონ-ო-ს: ევედრებოდა, რაათა მივიდეს და არა დაიცონოს: კიმ. I, 2, 21.

§ 4. -ებ სუფიქსიანი ზმნები

-ებ ყველაზე უფრო ცოცხალი სუფიქსია. იგი, სხვათა შორის, ერთი აუცილებელი და გავრცელებული ბოლოსართია სახელთაგან ზმნური ფუძეების საწარმოებლად. მაგრამ ესოდენ დიდი გავრცელება ამ სუფიქსმა ახალ ქართულში პოვა. ძველ ქართულში ისეთი მნიშვნელობა და ფართო გამოყენება მას არა აქვს. ნ. მარს საეკვოდ მიაჩნდა, რომ -ებ სუფიქსიანი ფორმები მეათე საუკუნემდე მოქალაქეობრივი უფლების მქონე ყოფილიყვნენ¹. ძველ ქართულში სახელებშიც არაა იგი საერთოდ ხშირი და გამოხატავს, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული², არა იმდენად

¹ Т. и Р., III, 1910, გვ. XI—III. გამოკლევა: Толкование песни песней.

² К. Дондуа, О двух суффиксах множественности в грузинском: Язык и мышление, № 1, 1933, გვ. 64.

მრავლობითობას, რამდენადაც ნივთთა კლასს, განყენებულ ცნებებს, კრებითობას.

შეუძლებელი სრულებითაც არაა დავუშვათ, რომ -ებ სუფიქსი ზმნებში იგივეა, რაც მრავლობითობის, resp. კრებითობის საწარმოებელი -ებ სახელებში. ანალოგიური მოვლენები ქართულმა იცის, როცა ზმნურ ფუძეს აგებს სახელის დეტერმინანტი¹. ამდენად, -ებ ზმნებში იმავე რიგისა და პერიოდის მოვლენაა, რისაც სახელებში.

-ებ სუფიქსის ისტორია ცალკე შესწავლის საქმეა, თუმცა რამდენიმე მაგალითი უფლებას გვაძლევს წინასწარი დებულება წამოვაცენოთ. ძველ ქართულში საკმაოდაა შემორჩენილი შემთხვევები, როცა ზმნები პირველ სერიაში უძველესი ფუძით იხმარებიან. ასეთებს -ებ ბოლოსართი ჯერ კიდევ არ მოუღიოთ. საინტერესოა დავასახელოთ გარდამავალი საფეხურის რამდენიმე ზმნა, რომლებშიც ებ სუფიქსიანი ზმნების გაგებაა გამოხატული: უბრძან-ი-ს = უბრძან-ებს: არაწმიდათა მათ სულთა უბრძანის: C. მრკ 1,27.

შდრ. სულთაცა არაწმიდათა უბრძანებს: DE, იქვე.

დასდვ-ოდ-ი-ს = დასდებდეს: დასდვოდის კელი სნეულთა ზედა: იაკობ. რლ 13.

მოგივსენ-ოდ-ი = მოგივსენებდი: ღირსად მოგივსენოლი თქუნ: სპევს. 335,81.

ეგვევ ითქმის ვნებითის ფუძეთა შესახებ. -ებ არ იყო აზრით-ლებელი ელემენტი ვნებითი გვარის აწმყოს თემისათვის, იგი შემდეგ ჩნდება (იყო: იმაღვის, იხატვის... მივიღეთ: იმაღების, იხატების... შდრ. იწვის, ისმის...):

იცემ-ებ-ი: მკლავთა ზედა ასულისა დავითისთა პატივ-იცემები: კიმ. I, 175,26.

შდრ. იცემ-ოდ-ა: ანგელოზთა მიერ თავყანის იცემოდა და იღიდებოდა: ბოლნ. 28.

ძველი ქართულის ზმნებმა „მიგავლინებ“ ტიპისა, უდავოა, რომ მოგვიანებით დაირთეს -ებ სუფიქსი. თავდაპირველ და სრულ ფუძეს მიგავლ-ენ წარმოადგენდა. ასე, რომ ძველ ქართულში ეს მოვლენა (-ებ-ის დართვა) შემდეგ ვითარდება. საგულისხმოა, რომ ქართულის ზოგ კილოში შემორჩენილი ამ ტიპის ზმნები -ებ სუფიქსიანია: შეგიყვანებენ, მოიტანებენ (უპირატესად მრავლობითში).

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ. § 27, გვ. 121.

ამგვარად, -ებ სუფიქსი არც ზმნებშია ძველისძველი. იგი სხვა სუფიქსებზე უფრო გვიან გაჩნდა. მისი დამკვიდრების ეტაპზე ზმნის წარმოება და უღლილება თითქმის საბოლოოდ ჩამოყალიბებული იყო. ნაწილობრივ ამითაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ -ებ სუფიქსიანი დეფექტური ზმნები ძველ ქართულში შედარებით მცირეა.

-ებ სუფიქსი ახლავს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს. აქ განხილულთაგან თითქმის ყველა საშუალი გვარის დრონაკლი ზმნებია. დიდი წილი აქედან ნასახელარია და ამიტომ აორისტი არ გააჩნია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ძველ ქართულში ყველა ნასახელარი ზმნა ამ ხასიათისა იყოს. ნასახელარია ზმნები: ჰმონებს (სახელისაგან მონაჰ) და მსახურებს (სახელისაგან მსახური), მაგრამ მათ მოეპოვებათ ირიბი მიმართების ფორმები და თავისუფლად იწარმოებიან ორივე სერიაში:

აწმყო: ვ-ჰ-მონ-ებ-თ: კიმ. I, 7,12; ვ-ჰ-მსახურ-ებ-თ: ქრესტ. 46,8.

ნამყო უწყვეტელი: ვ-ჰ-მონებ-დ-ი: რაეახ. 81,3.

ნამყო წყვეტილი და კავშირებითი II: მ-მსახურ-ე: ჰაგ. მასალ. 40;

ჰ-მონ-ო-ს: დამასკ. 149,28.

მაგრამ თითო-ოროლა ასეთი შემთხვევა ენის განვითარების შემდგომ საფეხურზეა შექმნილი.

ქვე აღწერილი ზმნების საერთო დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, არ დაირთავენ პრეფერბს და არც იცვლებიან ქცევებში. X

X ლაღად-ებ-ს

საშუალი გვარის უქცეო ფორმები მარტო პირველ სერიაში იხმარება, სასხვისო ქცევით კი აორისტშიც გვევლინება და პირველ სერიაშიც: უღაღადებს – უღაღადა (უღაღადა გიხაროდენი: სასულ. რმვ 82). უქცეო ფორმები აორისტში აღწერას მიმართავენ და ორგანული წარმოების უქონლობას ამით ივსებენ. კაცმა რომ თქვას, აორისტის წარმოება მას არც კი უნდა გასძნელებოდა, რადგანაც მსგავსი აგებულების ზმნა, მაგალითად ქაღაგებს აორისტშიც იწარმოება: გქაღაგა წინამორბედმან: სასულ. მ VIII; შდრ. აგრეთვე ბრძანებითი: მივედ ქალაქად ლუდიისა და ქაღაგე მას შინა სახარებაჲ: არიმათ. 38,23. X

მაგრამ თვით ქაღაგებს ზმნისთვისაც დროებითი სიახლე გამოდგა აორისტის წარმოება და ახალმა ქართულმა, როგორც ცნობილია, სხვა გზით წარმართა მისი უღლილება.

ლად ფუძისაგან ნაწარმოები **ლა ლა დ ის ი** (ლაღადისი იყავნ: თეკლ. 110,31), რომელიც წარმოშობით მესამე პირის ფორმა ჩანს (მსგავსი იძრვისი, იქცევისი ფორმებისა), შეუძლებელი არ იქნება -ი პერმანსივის სუფიქსად მივიჩნიოთ და სამივე პირში დავუშვათ: ვ-ლა-ლად-ი, ჰ-ლაღად-ი, ლაღად-ი-ს.

ფსალმუნ-ებ-ს

ახალი წარმოების ზმნაა **ფსალმუნ** სახელისაგან.

ა წ მ ყ ო

ფსალმუნ-ებ-ნ: ხოლო იგა... უღარდილოდ **ფსალმუნებნ** გონებითა თუსითა: ჰაბო 70,26.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ფსალმუნებ-დ-ა: **ფსალმუნებდა** და იტყოდა: კიმ. I, 27.
ფსალმუნებ-დ-ეს: მამაჲ გრიგოლ და ზენონ სიტყუთა მდაბლითა **ფსალმუნებდეს:** ხანძთ. ოვ 1.

ვა ლ ა ლ ა - ე ბ - ს

სახელის ფუძის ხმოვანი -ა (ვაღაღაჲ) -ებ სუფიქსის დართვისას უმეტეს შემთხვევაში იკვეცება. აორისტი ამ ფუძისაგან არა გვაქვს (საბას მითითებული აქვს „ივაღაღა“ 'ვაღაღება ყო'ს მნიშვნელობით).

ა წ მ ყ ო

ვაღაღ-ებ-ენ: და მრავალნი... **ვაღაღებენ** და **გოდებენ:** ეკლეს. 53,30.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ვაღაღა-ებ-დ-ა || **ვაღაღ-ებ-დ-ა:** ხოლო იგი **ვაღაღაებდა** და **კმობდა:** ანტიოქ. 122,31.
ღევნული იგი... საწყალობელად **პეროოდა** და **ვაღაღებდა:** იქვე, 83,19; 127,7; კიმ. I, 323,28.

ს უ ლ გ რ ძ ე ლ - ე ბ - ს

ძველ ქართულში ასეთი წარმოების ზმნა ნეოლოგიზმი ჩანს. ახალმა ქართულმა ამ სახით იგი დაკარგა.

უწყვეტელი

სულგრძელ-ებ-დ-ა: წმიდასა სჯმონს ესმოდა მისი იგი სიბოროდი-
ლე, არამედ სულგრძელებდა მის ზედა მრავალეამ: კიმ. I,
324,10.

ვა-ებ-ს

უწყვეტელი

ვაებ-დ-ა: მოილო შეშაჲ და ვაებდა ძლიერად: კიმ. I, 269,36.
ვაებ-დ-ეს: ხოლო იგინი ღალადებდეს და ვაებდეს: ურპ. 332,21.

ტონტმან-ებ-ს

შესაძლებელია ერთოდეს პრევერბი. მოსალოდნელია ვნები-
თიცი: შიტონტმან-დ-ა. ახალ ქართულში დისიმილირებულია: ტორტ-
მანი.

უწყვეტელი, კავშირებითი I

ე-ტონტმანებ-დ-ი: ვიღრე მე შივტონტმანებდი, სხუაჲ ჩემსა უად-
რეს შთაჯდის: C ი 5,7.

ტონტმანებ-დ-ე-ს: და თუ ვერ პოვოს კედელი, მიდამო ტონტმანე-
ბდეს: ბოლნ. 84.

ულმართ-ებ-ს

აწყეო

ულმართ-ებ: ნუ ულმართებ ფრიად და ნუ იქმნები ფიცხელ: ეკლეს
112,27.

ულონო-ებ-ს

უწყვეტელი, კავშირებითი I

ულონოებ-დ-ა: ვითარ იგი ამას ზედა ულონოებდა მამასახლისი:
დამასკ. 158,23.

ულონოებ-დ-ე-ს: აწ სამე ულონოებდეს ვინმე: ეკლეს. 37,3.

მოქმედ-ებ-ს:

კავშირებითი I

მოქმედებ-დ-ე-ს: რაჯთა თჯითა გამორჩევითა და ბქობითა უღარე-
სისა და უმჯობესისაჲთა მოქმედებდეს: ეკლეს. 21,23.

ურჩულო-ებ-ს:

უწყვეტელი

ურჩულოებ-დ-ეს: პრცხუნოდენ ამპარტავანთა, რამეთუ... ურჩუ-
ლობდეს იგინი ჩემდა მომართ: ქრესტ. 45,4.

ხ-დრო-ებ-ს

საყურადღებოა ამ ზმნის ხმარება ძველ ქართულში. ახალ
ქართულში ნახმარი გამოთქმა „მადროვე“ არაა კალკი, როგორც
ეს შეიძლებოდა კაცს ჰგონებოდა. მართალია, ძველ ქართულში
იგი არა გვხვდება, მაგრამ მისი მნიშვნელობით დადასტურებული
აღწერიითი ფორმები მისი წარმოშობის ხელშემწყობად უნდა დავ-
სახოთ:

დრო მეციით მე და ძმათა ჩემთა, ვიდრე შუადღემდე: ხანძთ.
მთ 48.

ხოლოს ბერმან მან არლარა დრო-უყო: კიმ. I, 199,34.

ამგვარად, დრო მეციით = მადროვეთ; დრო უყო = დაუგვიანა,
ხოლო სდროებს = აყოენებს.

აწმყო

ს-დრო-ებ-თ: განვედით ამიერ და ნულარა სდროებთ: ბარლ. 123,8

ორგულ-ებ-ს

ორგული უძველესი რთული სახელია, საშუალი გვარის
ფუძე არის -ებ ბოლოსართიანიც და -ობ'იანიც. ამავე სახელისა-
გან ვნებითის ფორმები, როგორც რელატიური, ისე აბსოლუტუ-
რი, ფართოდაა გავრცელებული ძველ ქართულში.

ნამყო უწყვეტელი: ნუ შეორგულდები აწ ნებსით ვნებასა ჩემსა:
სასულ. ხაი 355.

ნამყო წყვეტილი: რომელნიმე შეორგულდეს: მთ 28,17.

კავშირებითი II: უკუეაუ ვინმე ეორგულოს ამას: ათონ. 66,126.

საშუალი, აწმყო

ორგულ-ებ: და იოვანწსგან ნათლის-ღებისათჳს რას ორგულებ?
კიმ. I, 12,13; 183,18; 185,18.

უწყვეტელი

ორგულ-ობ-დ-ეს || ორგულ-ებ-დ-ეს: ხოლო სხუანი ორგულობდეს
და იტყოდეს: კიმ. I, 254,35.

შეკრაცხნეს იგინი, ვითარცა ცთომილნი, რომლისათვის ორ-
გულობდეს: იპოლ. 25,128.

გოდ-ებ-ს

მიიავეს „ღალადებს“ ზმნას. მას ვადასტურებთ მარტო პირ-
ველ სერიაში. სასხვისო ქცევის ფორმით შესაძლოა მეორე სერია
აქაც გამოიხატოს (შლრ. გ ი გ ო დ ე ბ დ ი თ: მთ 11,17).

აწმყო

ვ-გოდ-ებ: ვტირ და ვგოდებ ერთისა მორწმუნისათვის: წარტყუნ.

გ 21; ასევე: კიმ. I, 233,26; ანტიოქ. 61,30

ჰ-გოდ-ებ-თ: ნუ ჰგოდებთ, შეილნო ჩემნო: წარტყუნ. კმ 31.

უწყვეტელი, კავშირებითი I, ბრძანებითი

ჰ-გოდებ-დ-ი: აჰა რომელსა მკუდრად ჰგონებდი და ცრემლით
ჰგოდებდი: სასულ. ტი 80.

ჰ-გოდებ-დ-ა: გოდებითა მწართა ჰგოდებდა თავსა თუსსა: ანტიოქ.
78,27; 61,16; 120,9; 126,33.

გოდებ-დ-ი-თ: ისმინეთ, რაჲ იგი შეემთხვა მათ და გოდებლით:
წარტყუნ. მბ 22; ანტიოქ. 61,28.

ვ-გოდებ-დ-ე: ტიროდეთ ჩემზედა და მე ვგოდებდე თქვენ ზედა:
წარტყუნ. იზ 4.

გოდებ-დ-ე-ს: ვინმე არა გოდებდეს... მოწაფეთათვის: წარტყუნ.
ზ 31.

ჰ-გ-ებ-ს

იმავე გ ძირისაგან არის ეს ზმნაც, საიდანაც ეგების და
სხვ. მისი აგებულება ისეთია, რომ თითქოს არ უნდა უჭირდეს
ყველა ნაკეთის გამოხატვა, მაგრამ ძველი ქართული სალიტერატურ-
რო ენა მხოლოდ პირველი სერიის ფორმებს წარმოგვიდგენს. ანგა-
რიშგასაწვეია ისიც, რომ წართქმითი ბრძანებითისათვის ნამყო
უწყვეტელია გამოყენებული.

ძირითადი მნიშვნელობა საშუალი გვარის ფორმას აქვს:
‘უთვალთვალებს, ელოდება; უცდის’. მოქმედებითისა და ვნებითი
გვარის ფორმები ძველ ქართულში ამ მნიშვნელობით არაა.

აწმყო

ჰ-გ-ებ-ს: ჰგებს და მოელის მოქცევასა: წარტყუნ. მმ 23.

უწყვეტილი, კავშირებითი I, ბრძანებითი

ვ-კ-გებ-დ-ი: ვკგებდო აღსრულებასა ლოცვისა მათისასა: რაეახ-
82,34; 82,23.

კ-გებ-დ-ა: და ჰგებდა, რაათა ცნას, რაჲ იგი იქმნეს: ცხოვრ. სკმეონ-
195,11.

მ-გებ-დ-ე: მგებდე მე მცირედ და გიჩუენო შენ: კიმ. I, 277,17.

მ-გებ-დ-ი-თ: მგებლით მე ეამ ერთ: კიმ. 159,28; ეესტ. 93,12.

მ-გებ-დ: მგებდ-რე, რაათა ვიხილო პირი შენი: წარტყუნ. მდ 6;
მდ 4.

უფლ-ებ-ს

მიფლიეს ზმნა ისტორიულად უფრო ძველიცაა და უფრო გავრცელებულიც, ვიდრე უფლებს. სახელადი ფუძე უფალ- გამოყენებულია სამივე გვარის ფორმებში. საშუალ გვარს მარტო პირველდსერია მოეპოვება.

კავშირებითი I

უფლ-ებ-დ-ე-ს: რაათა უფლებდეს იგი, რომელი შენგან შეიქმნესა
იაკობ. ლე 15.

მოქმედებითი, აწმყო

ა-უფლ-ებ-ს: და არა აუფლებს ქალწულთა სუმად: თეკლ. 106,5-

წყვეტილი

ა-უფლ-ა: და არა აუფლა მას შესლვად: კიმ. I, 6,4.

ი-უფლ-ა: მუნქუესეე იუფლა მან ეშმაკი: კიმ. 6,9.

ვნებითი, აწმყო

ე-უფლ-ებ-ი-ს: რომელი ეუფლებიხს ქსულსა წარმართთასა: კიმ. I,
54,16.

წყვეტილი

ე-უფლ-ა: კაცსა ვისმე ორგულებაჲ და ურწმუნოებაჲ ეუფლა: ან-
ტიოქ. 121,7.

მ-ი-ნ-ებ-ს

ფუძის საწარმოებლის მიხედვით ეს ზმნა -ებ სუფიქსიანებში.
უნდა მოვაქციოთ, იგი ძირით და მნიშვნელობით მინა ზმნას.

უკავშირდება. ამავე ფუძისაგან იწარმოება მოქმედებითი ვ-ი-ნებ-ებ, ვ-ა-ნებ-ებ, რომელთაც ყველა ნაკეთის ფორმა მოეპოვებათ, მინებ-ს კი იხმარება მარტო აწმყოში, არ აწარმოებს ნამყო უწყვეტელს, არ ირთავს პრეფერბს. აორისტიის წრეში ამავე ძირის რელატიური ვნებითა გამოყენებული.

ა წ მ ყ ო

- მ-ი-ნ-ებ-ს: ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მინებს: C მთ 21,30.
საქმე ერთი მინებს თხრობად შენდა: თეკლ. 95.
მინებს მე იგი შევიყუარო: ევსტ. 85,15; 92,11; ქრესტ. 50,22.
- გ-ი-ნ-ებ-ს: უკუეთუ არა გინებს, წარვედით, სადაცა გნებავს: კიმ. I, 56,12; ასევე: შუშ. 24,32.
- უ-ნ-ებ-ს: კეთილ ვარ, ვითარ... უნებს: შუშ. 40,6.
- უ-ნ-ებ-ნ: ვის უნებნ გემოჲს ხილვად: სახისმეტყ. იმ 20.

ა ო რ ი ს ტ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II

- მ-ე-ნებ-ა: უკუეთუმცა შენება მე საწუთროჲ ქმარი სუმაღ: თეკლ. 117,11 (var).
- გ-ე-ნებ-ა: და არცა აწა გენება საცნაურ-ყოფაჲ თავისა შენისაჲ: ანტიოქ. 66,27.
- ე-ნებ-ა: და ესე ენება წარკითხვად ერსა ზედა: საბა 20,23; 9,15; 12,25; 17,3; ასევე: ზარზმ. 178,29; 166,2; წარტყუნ. ზ 12; ი 20; ლმ 12.
- გუ-ე-ნებ-ა: ხოლო ჩუენ გუენება, რაჲთა გარეშეწერით შემოვლოთ სიმრავლმ: ზარზმ. 159,8; 160,35; ანტიოქ. 72,6.
- გ-ე-ნებ-ო-ს: ხოლო შემდგომად სიკუდილისა ჩემისა აუწყე, ვისიცა გენებოს: ანტიოქ. 9,5; 118,30.

§ 5. -ობ სუფიქსიანი ზმნები

-ობ სუფიქსი, როგორც საშუალი გეარის ზმნათა აწმყოს თე-შის საწარმოებელი, იმდენად ახლოს დგას -ებ ბოლოსართთან, რომ ძველ ქართულში ორივე ერთსა და იმავე ზმნაშიც კი გვხვდება (ორ-გულ-ობ-|| ორგულ-ებ...) მათი ეს სიახლოვე განსაკუთრებით აშკარად გამოვლინდა ახალ ქართულში, სადაც ბევრგან -ებ სუფიქსს შეენაც-ვლა -ობ (ან პირიქით). სალიტერატურო ენაში ამ მხრით გარკვეული

ნორმა გვაქვს და ტრადიციას მტკიცედ ვიცავთ, მაგრამ დიალექტებში ასეთ შენაცვლებას თავისუფალი გასაქანი ეძლევა.

უფელა აქ წარმოდგენილი -ობ სუფიქსიანი ზმნა, მცირეოდენ გამონაკლისს გარდა, ნასახელარ საშუალო გვარის ზმნას წარმოადგენს: ვმა: ვმოზხ, მადლი: მადლოზხ და მრავალი სხვა. სახელე-ბთან ზათი ასეთი კავშირითაც აიხსნება, რომ ამ ზმნებს მარტო-პირველი სერიის წარმოება შეუძლიათ და აორისტში ან თითქმის-სულ არ იხმარება, ან, საჭიროების მიხედვით, ზოგი მათგანი აღწერას მიმართავს. ეს აღწერა, როგორც ვიცით, ამ შემთხვევაში-დროებითს საშუალებას წარმოადგენდა დანაკლისი ნაკვთების გამოსახატავად, ვიდრე ეს ნასახელარი ზმნები ორივე სერიის ორ-განული წარმოების თვისებას შეიძენდნენ (შდრ. მძლავრო: აწმყო ჰმძლავროზხ, უწვეტელი გმძლავროზხ: მთ. 5,44; ნამყო წყვეტილი ჰმძლავრა მან წმიდასა მას: ხანძთ: ნვ 68 და მისთ.), ანდამოქმედებითის თუ ვნებითის ფორმებს იხესხებდნენ (შდრ. მოგზა-უროზხ: იმოგზაურა; მეფოზხ: იმეფა¹...).

-ობ სუფიქსი საზოგადოდ ფართოდ გავრცელდა ქართულში-და, როგორც ჩანს, ხმარებიდან გამოდევნა -ოვ ბოლოსართი, რომელსაც ძველ ქართულში -ობ'ის ფუნქცია ჰქონდა. გარკვეულ ზმნებში -ობ სუფიქსი პირდაპირ შეენაცვლა -ოვ'ს: შდრ: ლალ-ოვ-ი-ნ და ლალ-ობ-ს...

-ობ'იანი ზმნების საერთო დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ არ დაერთვით პრევერბები და, ორიოდე გამონაკლისს გარდა, არ იცვლიან ქცევებს.

გალ-ობ-ს

ძველ ქართულში გვევლინება ამ ზმნის საშუალო გვარის-უქცეო ან სასხვისო ქცევის ფორმები, ისიც აწმყოს წყებაში. ცნობილია აგრეთვე სახელზმნა. სხვა ანალოგიური ზმნებისაგან განსხვავებით ამას არ უჩანს სახელადი ფუძე.

ა წ მ ყ ო

გალ-ობ-ს: მუნ დავით გალოზხ: კიმ. I, 54,14.

გალ.ობ-ნ: ვითარცა რაჲ იგი გალოზხ მკუდარსა ზედა: სასულ-რომ 32; საბა 5,25.

გალ-ობ-ენ: წმიდანი ვინმე კაცნი გალოზენ: ანტიოქ. 115,36; იაკობ-ლდ 10.

¹ ასეთი „სესხება-შენაცვლების“ ისტორია ცალკე შესწავლას მოითხოვს.

გაგებით ნამყო წყვეტილიც შეიძლება ექნეს. უქცეო ფორმები მეორე სერიის ნაკეთების გამოსახატავად აღწერას იშველიებს.

ა წ მ ყ ო

ვ-ვმ-ობ: უღებებისა და მედგრობისაგან ძლეული ვვმობ სულთქუმით: ხანძთ. № 13.

ჰ-ვმ-ობ: რასა ჰვმობ ჩემდა მიმართ: ანტიოქ. 90,27.

ვმ-ობ-ს: ვმობს ღუაწლთა შენტა სიმენესა: სასულ. რპა 20; კიმ. I, 116,33.

ვმ-ობ-ნ: ანთრაკი იგი, ვითარცა ექუანი, ოხრინ და ვმობნ: სახისმეტყ. კბ 19; წარტყუნ. ივ 30.

ვ-ვმ-ობ-თ: და ვვმობთ: ძალსა შენსა დიდებაჲ: სასულ. უგ 65.

ვმ-ობ-ენ: რომელნი ვმობენ: აღმაღლებულო ღმერთო: სასულ. მგ XXII.

გ-ი-ვმ-ობ-ს: ქეშმარიტად გივმობს მგალობელი დავითს: კიმ. I, 175,33.

უ-ვმ-ობ-ს: ეტყოდეს, აჰა ელიას უვმობს ესე: მთ 27,47.

უ-ვმ-ობ-ედ: და იგინი უვმობედ მშობელთა მათთა: წარტყუნ. ოზ 1.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი . კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი I , ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ,
ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

ჰ-ვმობ-დ-ი: ჰვმობდი ძლიერად: სასულ. რნე 96; ანტი-ოქ. 82,7.

ვმობ-დ-ა: ხოლო ელისე ვმობდა: სასულ. სნდ 121; თეკლ. 10,30; ზარზმ. 177,16; ხანძთ. მდ 14.

ვმობ-დ-ეს: ყრმანი ვმითა ვმობდეს... გალობასა: ხანძთ. ოზ 4.

უ-ვმობ-დ-ა: ხოლო ბერი იგი ტიროდა და უვმობდა ძმათა მათ: კიმ. I, 226,1; წარტყუნ. მდ 2.

უ-ვმობ-დ-ი-თ: ვითა უხმობლით ძლიერად ცრემლითა: წარტყუნ. იდ 5.

ვმობ-დ: ლაღადებდ და ვმობდ: სახისმეტყ. იბ 20.

ვმობ-დ-ი-ედ: ვიდოდიდ იგინი და ვმობდიედ ღღე და ლამე: ჰაგ. მას. 47.

ა ღ წ ე რ ი თ ი ფ ო რ მ ე ბ ი ნ ა მ ყ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ს
მ ნ ი შ ვ ე ნ ე ლ ო ბ ი თ

ვმა-ყო: ხოლო იესუ კუალად ვმა-ყო ვმითა დიდითა და განუტევა სული: მთ 27,50.

შდრ. 'Ο δὲ Ἰησοῦς πάλιν κηράξας φωνῆ μεγάλη etc.
 ს. მ. რიოსი იერაქსაჲ აიყაყასიქსაჲ ἰ ბაჲს ἰხბ...

მეცხრესა ეამსა ვმა-ყო იესუ ჯმითა დიდითა: მრკ 15,34.

შდრ. Καὶ τῆ ἄρα τῆ ἐνάτη ἐβίησεν ὁ Ἰησοῦς;
 ს. კ. ჩინხერერიძე ქაიონს აიყაყასიქსაჲ მ. რიოსი ἰ ბაჲს ἰხბ.

ჯმა-უყავ: ვმა უყავ და ვარქუ მათ: წარტყუნ. იღ 12.

ჰ-მადლ-ობ-ს.

მოქმედებით გვარს თემატურ სუფიქსად -ებ მოეპოვება, სა-
 შუალისას კი -ობ, მაგრამ ერთ შემთხვევაში -ებ სუფიქსიც შეინი-
 შნება: ნეტარსა ამას უხაროდა და ჰმადლებდა უფალსა: ჰაბო, 70,3.
 მოქმედებითა და რელატიურ ვნებითს დაერთვის პრევერბი (უპი-
 რატესად მთ-, მი-) და ორივე სერიაში იწარმოება: მოჰმადლებს
 (სასულ. ოთ 90), მიჰმადლებდა, მივჰმადლო (წარტყუნ. იღ 3. =
 'მივანიჭო, მივსცე, ვუწყალობო'). საშუალი გვარი გვხვდება მხო-
 ლოდ პირველ სერიაში. არც პრევერბი აქვს, არც ქცევებში (ველა
 ახასიათებს).

ა წ მ ყ

ე-ჰ-მადლ-ობ: ვჰმადლობ... მამასა: არიმათ. 52,56.

ვჰმადლობ... რომელი მომიძლუა აქა: ხანძთ. ზ 21; ასევე
 შუშ. 41,35.

ჰ-მადლ-ობ: ჰმადლობ და თავსა შენსა იქებ: ბოლნ. 53.

ჰ-მადლ-ობ-ს: და ჰმადლობს შენთჲს: სასულ. რე 55.

გ-მადლ-ობ: გმადლობ შენ: არიმათ. 49,48; ჰაბო 70,4.

ე-ჰ-მადლ-ობ-თ: ვჰმადლობთ ღმერთსა: ზარზმ. 155,27; ანტიოქ.
 91,9.

უწყვეტელი, კავშირებითი I

ჰ-მადლობ-დ-ა: ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: სასულ. ხნბ 133;
 ზარზმ. 172,25; ხანძთ. ვ 32; იგ 5.

ე-ჰ-მადლობ-დ-ი-თ: მცირედ... გემო იხილა და ვჰმადლობდით:
 შუშ. 36,15.

ჰ-მადლობ-დ-ეს: ვითარცა ილოცეს ლოცუაჲ განგრძობილად და
 შეიტკბნეს ურთიერთას და ჰმადლობდეს ღმერთსა და წარ-
 ვიდეს: არიმათ. 43,38; საბა 18,10.

ვ-ჰ-მადლობ-დ-ე-თ: ჯერ არს, რაჟთა ვჰმადლობდეთ სახარებათა მისთა: ანტიოქ. 110,17.

აღწერი თი ფორმები ნამყო წყვეტილის მნიშვნელობით

მადლი მისცა = 'მადლობა გადაუხადა':

ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა: შუშ. 25,38.

ეზიარნეს ყოველნი... და ერთობით მადლი მისცეს წმიდასა სამებასა: ხანძთ. შპ 38; მგ 41; კბ 14.

ახალ ქართულში იხმარება სასხვისო ქცევის ფორმა -ი სუფიქსით უმადლი: ვუმადლი, ვუმადლოდი. ხელოვნურია -ობ სუფიქსიანისათვის აორისტის ეს ფორმა: ჰმადლა ზენას (ალ. ქავ-ქავაძე, თხზ. 1937, გვ. 24).

ჰ-ყუარ-ობ-ს

ნამყო წყვეტილში შეენაცვლება მოქმედებითი გეარის ფორმებს, რომელთა ფუძე -ებ სუფიქსიანია, მოქმედებითში იშვიათად -ობ სუფიქსიანიც დასტურდება: რაჟთა იყუარობდეთ ურთიერთს: C ი 13,34.

საშუალი, აწმყო

ჰ-ყუარ-ობ: ჰყუარობ... ნათესავსა: წარტყუნ. ი 9; თეკლ. 96,30.

მ-ყუარ-ობ-ენ: რომელნი მყუარობენ ჩუენ: კიმ. I, 67,9.

გ-ყუარ-ობ-ენ: ესე არს ნათესავი ქართველთაჲ, რომელნი გყუარობენ შენ: კიმ. I, 260,32.

ჰ-ყუარ-ობ-ენ: ცოდვილნიცა ჰყუარობენ მოყუარეთა მათთა: ლკ 6,32.

უწყვეტელი, ბრძანებითი

გ-ყუარობ-დ-ა: და გყუარობდა თქუნ: ქრესტ. 47,11.

ჰ-ყუარობ-დ-ა: სოფელიმცა თჯსთა ჰყუარობდა: DE ი 15,19.

ჰ-ყუარობ-დ-ეს: ყოველნი მთავარნი ჰყუარობდეს მას: კიმ. I, 300,11.

ჰ-ყუარობ-დ-ი-თ: ჰყუარობდით მტერთა თქუნთა: მთ 5,44.

ყურადღებას იქცევს ვნებითის პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების პარალელურობა.

ვ ნ ე ბ ი თ ი, უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ი-ყუარებ-ოდ-ი-თ: რაჟთა იყუარებოდით ურთიერთას: DE ი 13,34.
 ე-ყუარებ-ოდ-ეს: და არამცა ეყუარებოდეს ესე სიტყუანი: ბოლნ.
 75.

ნ ა მ ყ ო წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

შე-უ-ყუარ-დ-ა: ფრიად შეუყუარდა კურაპალატსა ადგილი იგი:
 ხანძთ. კვ 34; თ 65; ასევე: საბა 13,5.

ს-წყალ-ობ-ს

ამ ზმნის სახელადი ფუძე წყალ მეორდება მოქმედებითისა.
 და ვნებითის ფორმებში. ვნებითი რელატიურია და თავისი ფუ-
 ძით პერმანსივის უძველესი აგებულების ზმნებს მოგვაგონებს.
 ამდენად, უსუფიქსო ფორმები (მეწყალ-ს) მერძინდელია, ტირ-ს-
 ტიპის ზმნათა ანალოგიური. მოქმედებითის აწმყო ტექსტებში არა
 ჩანს, თუმცა ძველ ქართულში მასაც -ებ სუფიქსი ექნებოდა.

ს ა შ უ ა ლ ი, ა წ მ ყ ო

გ-წყალ-ობ-: მე არა უწყია, რამეთუ გწყალობ შენ?: კიმ. I, 140,7.
 ს-წყალ-ობ-ს: ვითარცა იგი სახიერი ყოველთავე სწყალობს და ფუ-
 ფუნებს: ანტიოქ. 66,37.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ს-წყალობ-დ: სწყალობდ გლახაკთა და ობოლთა: საბა 19,20.
 ს-წყალობ-დ-ა: მონათა განათავისუფლებდა, გლახაკთა სწყალობდა:
 ანტიოქ. 1,9.
 ს-წყალობ-დ-ი-თ: გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით:
 ქრესტ. 87,12.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

მ-ი-წყალ-ე-ნ: ღმერთო, მიწყალენ ჩუენ: იერუს. განჩინ. 45,16.
 შემწყალე ძმ ჩემი: მთ 17,15 (პაემ. 370,1).

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა წ მ ყ ო

მ-ე-წყალ-ი-ს || მ-ე-წყალ-ს: მეწყალის ერი ესე: მთ 15,32.
 სიკუდილდა თავი ჩემი არა მეწყალს: ეესტ. 81,22.
 გ-ე-წყალ-ი: უკეთუ მე არა გეწყალი: სპევს. 330,87.

ნამყო წყვეტილი

შე-ე-წყალ-ა: იხილა რაჲ წმიდამან მან ფრიადი გოდებაჲ მისი, შე-
ეწყალა: ხანძთ. ნბ 8; კიმ. I, 21,24; 155,1.

მლდელ-ობ-ს

უწყვეტელი, კავშირებითი I

მლდელობ-დ-ა: მოიქცა იგი სოფლად თჳსა და მლდელობდა: კიმ. I
335,21.

მლდელობ-დ-ე-ს: რაჲთა არღარა მლდელობდეს: ჰაგ. მასალ. 33.

ტოზიკ-ობ-ს

აწმყო

ვ-ტოზიკ-ობ: მე ქრისტჳს ბეჳედი მომიღებინეს და ქრისტჳს ტო-
ზიკსა¹ ვტოზიკობ: ევსტ. 80,17.

უწყვეტელი

ტოზიკობ-დ-ეს: ტოზიკობდეს და მიაველინეს ნეტარისა ევსტათისა
და ჰრქუეს: ევსტ. 80,14.

სახი-ობ-ს

იმავე სახელადს ფუძეს იყენებს, რასაც სახ-ავ ზმნაში ვხვდებ-
ით: სახ-ე-ობ→სახ-ი-ობ. სახიობ არის წარმოდგენილი მიმღეობა-
შიც მსახიობი, რომელიც თავისებურია ამ ტიპის წარმოებულ სა-
ხელებთან შედარებით (შდრ. გალობს: მგალობელი და სხვ.).

აწმყო

სახი-ობ-ენ: ზღუასა შინა არიან და სახიობენ სახიობასა კეთილსა:
სახისმეტყ. ივ 7.

ს-წუნ-ობ-ს

უწყვეტელი

ს-წუნობ-დ-ეს: დაითმინა ესე ყოველი... და სწუნობდეს მას ყო-
ველნი იგი მყოფნი: კიმ. I, 213,7.

¹ არსებითი სახელია ტოზიკი (დღესასწაული).

ეპისკოპოს-ობ-ს

უწყვეტელი

ეპისკოპოსობ-დ-ა: ესუ ნეტარი ეფრემ ორმოც წელ ეპისკოპოსობ-
და: ხანძთ. მგ 8.

ეპისკოპოსობ-დ-ეს: რომელნი მართლმადიდებლობით ეპისკოპო-
სობდეს: იაკობ. ნდ 13.

კათალიკოზ-ობ-ს

უწყვეტელი

კათალიკოზ-ობ-დ-ა: რომელიცა ოც და შვდ წელ კათალიკოზობდა:
ხანძთ. მბ 170.

ღონიერ-ობ-ს

ზედსართავი სახელისაგან ღონ-ი-ერ იწარმოება საშუალი გვა-
რის ზმნა -ობ სუფიქსით, ხოლო ზედსართავისაგანვე უ-ღონ-ო მი-
ღებულია -ებ ბოლოსართიანი ზმნა უღონობს.

უწყვეტელი

ღონიერობ-დ-ეს: წყლისაგან რასმე ღონიერობდეს და უშუერსა რას-
მე ქვასა მუნით გამოიღებდეს: ზარზმ. 167,5.

მეცადინე-ობ-ს

ხოლმეობითი I

მეცადინეობ-დ-ი-ს: ვითარ იგი მეცადინეობდის ვინმე წარმართება-
სა სიმჭნისასა: ეკლეს. 110,14.

მოგზაურ-ობ-ს

აწმყო

მოგზაურ-ობ-ენ: რომელნი ვრცელთა მათ შინა უფსკრულთა ზღვსა-
თა მოგზაურობენ: ეკლეს. 15,28.

ბჰ-ობ-ს

საშუალი-გვარის -ობ სუფიქსი მოუდის მოქმედებითსაც, რო-
მელსაც ჰვეულებრივ ა-პრეფიქსიც შეიძლება ექნეს: გან-ა-ბჰობ-ს,

ნამყო წყვეტილი განაბჟო (კიმ. I, 120,14). უძველესი წარმოების დამახასიათებელია მიმღეობა ბჟე ← მ-ბჟე (შდრ. ძალ-ი: მ-ძლ-ე).

ა წ მ ყ ო

ვ-ბჟ-ობ: ქეშმარიტად მე ესრეთ ვბჟობ, რაათა შეგიყვანოთ ქალაქად: კიმ. I, 85,3.

ბრძნ-ობ-ს ← ბრძენ-ობ-ს

ამ ფუძისაგან შესაძლებელია ვნებითისა და მოქმედებითის წარმოება ორივე სერიაში: ვნებითი, ნამყო წყვეტილი: ხოლო იგი მყისსა შინა განბრძნდა და მოეგო გონებასა: ანტიოქ. 138,28; მოქმედებითი, ხოლმ. II: მარხევამან ქაბუკნი განაბრძნის: ბოლნ. 5.

ს ა შ უ ა ლ ი, ა წ მ ყ ო

ბრძნ-ობ-ედ: და ყოვლადვე ბრძნობედ სიწმიდესა თანა: ხანძთ. ა 11.

მთავრ-ობ-ს

ა წ მ ყ ო

მთავრ-ობ-ს: იოსებ მთავრობს: კიმ. I, 187,20.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

მთავრობ-დ-ა: რომელი-იგი მათ ჟამთა მთავრობდა ავიდოსს: ქრესტ. 91,19.

მთავრობ-დ: წარვედ... და მთავრობდ სამწყსოთა შენთა ზედა ანტიოქ. 109,9.

დღესასწაულ-ობ-ს

ამ ფორმით საშუალი გვარი პირველ სერიაში იხმარება: წყვეტილში მას ენაცვლება მოქმედებითი გვარის ზმნა (დღესასწაული... დღესასწაულეს: ანტიოქ. 54,34). ზმნა შედგენილობით რთულია. მისი პირველი ნაწილი დღე თავდაპირველად დამატება შეიძლებოდა ყოფილიყო.

ა წ მ ყ ო

დღესასწაულ-ობ-ს: განშუენდების ღირსად განწყობილი მამათმთავრობად და დღესასწაულობს: სასულ. მთ 16.

ვ-დღესასწაულ-ობ-თ: ამისათვის მორწმუნენი ვდღესასწაულობთ
ქსენებასა შენსა: რავახ. 101,6.

დღესასწაულ-ობ-ენ: კაცთა თანა დღესასწაულობენ: სასულ. ტოფ
37; რღვ 5.

უწყვეტელი, კავშირებითი I

ვ-დღესასწაულობ-დ-ი-თ: სიხარულითა დიდითა ვდღესასწაულო-
ბდით: არიმათ. 72,99.

ვ-დღესასწაულობ-დ-ე-თ: მოვედით... და ვდღესასწაულობდეთ ქსე-
ნებასა: ჰაბო 77,3.

ვაკრ-ობ-ს

ვაკარ სახელი საერთო ჩანს ქართულსა და სომხურში. უკან-
ნასკნელში იგი ვაკრობას ნიშნავს. ასეთ ვითარებაში ყურადღებას
იქცევს მისი შინაარსი ქართულში, სადაც მას, ეტყობა, ერთგვარი
ცვლილება განუცდია. საქმე ისაა, რომ ძველ ქართულში მას უფრო
ფართო გამოყენება აქვს და მნიშვნელობაც ამის შესაფერისად —
მეტი. მოქმედებითი გვარის უძველესი ფორმა. -ი სუფიქსიანია და
უქცეო (გან-ჰ-ვაკრ-ი-ს = 'განყიდის'). ვაკრობს — ივაკრა ასეთი შენა-
ცვლება ძველ ქართულშიც შესაძლებელია.

უწყვეტელი, კავშირებითი I

ვაკრობ-დ-ი-თ: ვაკრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდეთ: DE ლქ 19,13.

ვაკრობ-დ-ე-ს: საქმიოთ ჰყოფდეს და არა სიტყვით ვაკრობდეს: ხანძთ.
შბ 136.

ვ-ვაკრობ-დ-ე-თ: ვვაკრობდეთ კეთილად ტალანტსა ჩუენდა მოცე-
მულსა: ანტიოქ. 57,16.

მოქმედებითის ფორმები

გან-ჰ-ვაკრ-ი: ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიკაბუყესა შენსა
განჰვაკრო ქრისტეანელ: ჰაბო 70,18.

ი-ვაკრ-ეს: ბრძანა მოწოდებაჲ მონათაჲ... რაათა უწყოდის, რაჲ-
იგი ივაკრეს: ლქ 19,15.

მეფ-ობ-ს, მეუფ-ებ-ს

აქაც სახელის ფუძეა ამოსავალი. ისტორიულად სახელიც
წარმოებულა: მე-ფ-ე, ძირი ფ იგივეა, რაც მე-უ-ფ-ე-ში¹. ამიტო-

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება... გვ. 225.

მაა, რომ ძველ ქართულში ჭეფე და მეუფე ზოგჯერ პარალელურადაც გვხვდება ისევე, როგორც ზმნები მეუფ-ებ და მეფ-ობ. დამახასიათებელია, რომ ვარდამეალი იმეფა ძველ ქართულში ორპირს შეიწყობს. რადგანაც უკანასკნელი ფორმები უფრო ხშირია, ორივეს აქ წარმოვადგენთ.

ა წ მ ყ ო

მეფ-ობ-ს: არქელაოს მეფობს ჰურიასტანს: მთ 2,22.

მეუფ-ებ ს: იგი მეუფებს მალალთა შინა მამისა თანა: კიმ. I, 186,38.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

მეფობ-დ-ა: მას ჟამსა აღესრულა ჰერაკლე მეფეცა და მეფობდა კონსტანტინე: კიმ. I, 63,17; თხრობა 38; ეესტ. 87,7.

მეფობ-დ-ეს: რომელნი შემდგომად მათსა მეფობდეს: იაკობ. 60 6. ჰ-მეფობ-დ-ე: ამიერითგან ვერლარა ჰმეფობდენ ჩუენ ზელა: კიმ. I, 137,29.

მეუფებ-დ-ე-ს: და მეუფებდეს იგი სახლსა ზელა: კიმ. I, 181,23.

მ ო კ მ ე დ ე ბ ი თ ი, წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

ი მეფ-ეს: და იმეფეს მათ ზელა ძმ მისი ხუასრო: თხრობა 38.

კ ე ლ მ წ ი ფ - ო ბ - ს, კ ე ლ მ წ ი ფ - ე ბ - ს

საშუალ გვარში -ობ სუფიქსია მოსალოდნელი აქაც, მაგრამ მოკმედებითისა და ენებითის -ებ ბოლოსართიანთა გავლენით -ებ აქაც გავრცელებულა. შედგენილობით რთულია: შედგება სახელადი (კელ-) და ზმნური მწიფ-ობ-ს ნაწილებისაგან¹. სხედასხვა ფორმები იწარმოება ერთად: უკელმწიფებიეს: იოვ. ოქროპ. 276-

ს ა შ უ ა ლ ი, ა წ მ ყ ო

კელმწიფ-ობ-ს: და იგი კელმწიფობს ყოველთა ზელა: კიმ. I, 323,26.

¹ ზმნის მეორე ნაწილია მიმღობა მ-წიფ-ე (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართ. გრამ. საფუძვლები, გვ. 47). შეუძლებელი არაა წიფ ფუძეში -იფ საწარმოებელი სუფიქსი იყოს: წ-იფ→წ-იფ და წ ძირი იმავე ერთეულად მივიჩნიოთ, რაც წ-ეფ ფუძეში გვაქვს. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულში მოწეული=‘მწიფეს’, ხოლო მოიწიფა=‘მოიწიფა, ასაკში მოვიდა’: რ’ეს მოიწიფა ყრმა იგი, მისცეს სამოდღუროდ: კიმ. I, 161,17; დაითმინენ მცირედ... რადთა მიეწიფო დასა შენსა: წარტყუნ. 25; ჰაბო 77,9.

ველმწიფ-ებ-ენ: და მის წილ ველმწიფებენ ძენი მისნი: ხანძთ.
იგ 2.

უწყვეტელი

ველმწიფებ-დ-ა: რომელი იგი ველმწიფებდა მას შინა: ანტიოქ.
102,34.

მოქალაქ-ობ-ს ← მოქალაქე-ობ-ს

აწმყო

პ-მოქალაქ-ობ: აწ ღირსად ცათა შინა მართალთა თანა ჰმოქალა-
ქობ: სასულ. კლ XXXV.

უწყვეტელი, კავშირებითი I

პ-მოქალაქობ-დ-ი: სათნოდ ღმრთისა ჰმოქალაქობდი: სასულ. კლ
XXXV.

მოქალაქობ-დ-ა: რომელთა განაგებდა სიმართლით და მოქალა-
ქობდა ცხორებით: იოვ. ოქროპ. 244,32.

მოქალაქობ-დ-ენ: უკუეთუ შეინანონ და კეთილად მოქალაქობდენ:
ანტიოქ. 130,9.

ზუა-ობ-ს

აწმყო

ხ-ზუა-ობ: შენ დიდ რაჟმე გგონიეს თავი და ხზუაობ: ქრესტ. 22,6.
ზუა-ობ-ნ: რაჟამს ვალნ იგი, გინა თუ ზუაობნ: სახისმეტყ. ბ 13.

ვნებითი, წყვეტილი

აღ-ზუაენ-ა: მას ჟამსა აღზუაენა იგი და ამპარტავენ იქმნა: იოვ.
ოქროპ. 277; საბა 20,10.

მწირ-ობ-ს

აწმყო

პ-მწირ-ობ: ქუეყანაჲ ეგე, რომელსა შენ ჰმწირობ: დაბად. 17,8.

უწყვეტელი

მწირობ-დ: და მწირობდ ქუეყანასა ამას: ჰაგ. მას. 265 (var. და
დაემკადრე ქუეყანასა ამას).

ნათ-ობ-ს

საშუალო გვარის ზმნა -ობ ბოლოსართიანია. ამის გვერდით, ან უკეთ, -ობ სუფიქსის გამოყენებამდე, შესაძლოა ყოფილიყო -ოვ ამავე ფუნქციით (შდრ. ფშაური ნათ-ო(ყ)-ის: მთვარე... არ დაგვნათოის თავზედა: ვაჟა, თხზ. 1936, გვ. 24).

ყველა გვარის ზმნისათვის სახელის უდეტერმინანტო ნათ ფუძეა გამოყენებული:

მოკმ. ცეცხლი აღანთეს და თავი შეიწვს: სახისმეტყ. ი 21.

ენებ. კანდელი... უკუდავად ენთებინ წინაშე ხატსა: ხანძთ. ნდ 17.

მაგრამ შემდეგში ნათელ დაედვა ფუძედ ზმნას და -აგ, -ებ სუფიქსების დართვით სპეციფიკური გაგება მიიღო:

მოკმ. ნათლ-აგ-ს: ქეშმარიტთა ქრისტეანთა შვილთა მწვალებელი მღღელი ვერ მოჰნათლავს: ხანძთ. ოე 20.

გან-ა-ნათლ-ებ-ს: რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა: ჰაბო 61,27.

უდავოა, რომ ასეთი წარმოება კლასიკურ ქართულში აშკარა სიახლეა. უძველესი ქართულის ტექსტებზე ერთი გადახედვაც საკმაოა იმაში დასარწმუნებლად, რომ მონათლავს—მონათლა და ინათლებს ან ნათლდების ზმნათა ნაცულად ჩვეულებრივი იყო:

ნათელ-სცა: ნათელ გცემ: მთ 3,11; შდრ. *ჰაჰსაჰა; მქკოსამ*

ნათელ-ილო: ნათელს იღებდეს: მთ 3,6; შდრ. *’ეზჰსა!ღოთი; მქკოსტქს.*

საშუალო გვარის ფორმებს მარტო პირველი სერია მოეპოვეათ. იგი შეიძლება რელატიურადაც იხმარებოდეს.

აწმყო

ჰ-ნათ-ობ: ნათლითა სავსე მარადის ჰნათობ: სასულ. ლა XL.

ჰ-ნათ-ობ-ს: რომელთა ჰნათობს ნათელი პირისა მისისაჲ: სასულ. რნთ 18.

ჰ-ნათ-ობ-ნ: და ჰნათობნ იგი ყოველთა: მთ 5,15.

ჰ-ნათ-ობ-ენ: ვითარცა მთიებნი რაჲ ჰნათობენ სამყაროსა ცათასა: სასულ. რბა 147.

უწყვეტელი, ბრძანებითი

ჰ-ნათობ-დ-ი: სამებისა ნათლითა ჰნათობდი: სასულ. რა 61.

ნათობ-დ-ა: მსხუერპლი ქრისტესი ნათობდა, ვითარცა მზე: სასულ. რაგ 119.

ნათობ-დ-ი-ნ: ეგრე ნათობდინ ნათელი თქუენი: C მთ 5,16.

უ-ნათობ-დ-ა: წმიდაჲ ბასილი... უნათობდა ეკლესიასა: კიმ. I, 1,19.

საშუალი გეარის ფუძისაგან წარმოქმნილია მიმღეობა: მ-ნათ-ობ-ი, ხოლო აქედან მიღებულია ზმნა: მ-ნათ-ობ-ს: მნათობდეს ღელ-ვანი: სასულ. ი 80.

უბნ-ობ-ს

ძველ ქართულში ეს ზმნა ძალიან იშვიათად იხმარება: *verbum dicendi*-ს მნიშვნელობით სხვა ფუძეები გვაქვს გამოყენებული. ზმნა ნასახელარია: უბან: უბან-ობ-ა → უბნ-ობ-ა¹. როგორც საშუალი, ისე რელატიური ვნებითის ფორმებს მარტო პირველი სერია მოეპოვება². აწმყოში არ გვხვდება.

უწყვეტილი

უბნობ-დ-ეს: და მრავალ ჟამ მარტოდ უბნობდეს ნეტარნი: ხანძთ. ნე 51.

ვ-ე-უბნებ-ოდ-ე: ჰრომს ოდესმე ვეუბნებოდე და სიტყუაჲ მოვიღე მეფისათჳს: კიმ. I, 170,29.

კელ-ობ-ს

სახელი კელ-ი, რომლისაგანაც ნაწარმოებია ეს ზმნა, ძველ ქართულში ამ სახით არ გვხვდება³. არ იხმარება არც მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები. დასტურდება კელ-ობ-ს ზმნა და აქედან მიმღეობა მ-კელობ-ელ-ი. მაგრამ თუ აქ დავა-კელ (ხევისურული დავა-კალ: წელიწდ. 121,19) ფუძესთან საზიარო ელემენტს დავინახავდით⁴, მაშინ იგი ქართულიდან შესული აღმოჩნდებოდა სომხურში, სადაც *կաղ* ნ. მარსაც ქართულის შესატყვისად მიაჩნდა.

¹ საინტერესო ანალოგიას ეპოულობთ ამ მხრით ბერძნულთან. სადაც მსგავსი შინაარსის ზმნა *ὀμιλέω* ნასახელარია: შდრ. *ὁ ὀμιλέω* — მოედანი... საგულისხმოა აგრეთვე ლაპარაკი, რომელიც დისიმილაციის გზით მიღებულია სახელისაგან — *ὀμιλέω* მოედანი...

² მეორე სერიის ფორმა მოქმედებითისა და-გ-ი-უბნ-ე (და მინდა, რამეთუცა ესევეთართა პირთათჳს მყოვარჳმ დაგიუბნე: კიმ. 78,16) — ებ სუფიქსს ვარაუდობს აწმყოში, თუმცა შინაარსით დაშორებულია.

³ არის მხოლოდ ზმნური კელობ ფუძისაგან ნაწარმოები მ-კელობ-ელ-ი. ყურადსაღებია სევანური მკალი 'კოკლი'.

⁴ ძირია კ: იხ. ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში. მეცნ. აკადემიის მოამბე, III, გვ. 493.

უწყვეტელი

კელობ-დ-ა: ერთი მათგანი გუემულ იყო ფერკითა ბარკლითგან მისით და კელობდა იგი ფრიად: კიმ. I, 244,30; კიმ. II, 178,3.

თავკედ-ობ-ს

რთული ზმნაა. პირველი ნაწილი ჯედ, ცხადია, იგივეა ჯდებ-ის, გარდამოჭდა ზმნებში რომ გვაქვს. მაშასადამე, თავ-ჯედი 'თავგასული' უკვე ერთ სიტყვადაა გააზრიანებული და საფიქრებელია, რომ პირის ნიშნები თავში მოუდიოდეს: ვ-თავკედ-ობ, ს-თავ-კედ-ობ და ასე შემდეგ (შდრ. წინადაწარმეტყუელი: გვწინაწარმეტყულებდ-მთ 26,68).

კავშირებითი I

თავკედობ-დ-ე-ს: დაეცა სიმაღლე უღმრთოდას, რადთა არა უმეტეს თავკედობდეს: ანტიოქ. 104,32.

წარმდებ-ობ-ს

ზმნური ფუძე მიმღეობას ემყარება: წარ-მ-დ-ებ-ი 'მეტიჩარა'. წარ-პრევერბი ზმნური ფუძის განუყრელ ნაწილად ქცეულა.

კავშირებითი I

წარმდებობ-დ-ე-ს: უკუეთუ კულა სილაღით წარმდებობდეს ერის-კაცი იგი: ხანძთ. შგ 144.

არვე-ობ-ს

მიღებული ჩანს არვე'საგან. ძველ ქართულში თავისებური ნეოლოგიზმია.

უწყვეტელი

არვეობ-დ-ი: ყუავილოვანთა და წყალთა ზედა განსასუნებელთასა მწყსიდი და არვეობდი: ანტიოქ. 100,2.

ძნ-ობ-ს

-ობ ბოლოსართი ჩანს; ძნ სახელის ფუძეში ხმოვანი უნდა ივარაუდებოდეს (ძან-ი?), იხმარება მხოლოდ ძნობი ('შეწყობილი ვმა': საბა).

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

ვ-ძნობ-დ-ე-თ: ვიხარებდეთ გალობათა და ვძნობდეთ მეფსალმუნისა დავეითის თანა: სასულ. ტაზ 11,5.

ს-ჯ-ობ-ს

აქაც გამოიყოფა -ობ სუფიქსი. ჯ სახელის ძირი ჩანს¹. ძველ ქართულში ამ ზმნის ხმარება საზოგადოდ იშვიათია. აწმყოში უფრო ხშირად მიმღეობისაგან ნაწარმოებები უფროობითი ხარისხისა და მეშველი ზმნის საშუალებით მიღებული აღწერითი ფორმები გვაქვს: უმჯობეს არს (შენდა). გარდაუვალი ზმნა იწარმოება მართო პირველ სერიაში, გარდამავალი კი, რომელიც -ებ ბოლოსართიანია, ორივე სერიაში: ა-ჯ-ობ-ებ-ს, თურძ. პირველი უ-ჯ-ობ-ნ-ი-ე-ს: ურპ. 334,14.

ა წ მ ყ ო

ს-ჯ-ობ-ს: სჯობს მეზობლობაჲ ლომისაჲ, ვიდრე გუელისაჲ: კიმ. I, 168,9.

ანჯმნ-ობ-ს

იშვიათი ხმარებისაა. ნაწარმოებია სახელისაგან ანჯმნი ('საჯარო': ს ა ბ ა). მაშასადამე, ან მ ჯ ნ ო ბ ს არის verbum dicendi და უნდა ნიშნავდეს 'საჯაროდ ლაპარაკს'. დადასტურებულ კონტექსტში ოდნავ დაცილებულია ასეთ გაგებას: ანჯმნობდეს ნ. მარის თარგმანით совещались (ხანძთ. გვ. 120,1).

ნ ა მ ყ ო უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ანჯმნობ-დ-ეს: და მართოდ ანჯმნობდეს წესისა წინამძღუარნი იგი არსენი კათალიკოზისათჳს: ხანძთ. მბ 21.

ჟამ-ობ-ს

ა წ მ ყ ო

ჟამ-ობ-ედ: რომელნი ჟამობედ მისთანა და იტყუედ აიწა: კიმ. I, 235,13.

¹ იგივე ძირი (ს-ჯ(ვ)-ობ-ს ← *ს-ჯუ-ობ-ს) გამოყოფილი აქვს მარ-ჯუ-ენაში ა. შ ა ნ ი ძ ე ს: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 432, შდრ. გვ. 574. იგივე უნდა იყოს მეგრული ჯგ-ირ-ი...

მოქმედებითი, წყვეტილი

მ-ი-ჟამ-ე: წინაშე მამისა აღვალ და მიჟამე: ათონ. 54,105.

უკანასკნელი ფორმის მიხედვით აწმყოში -ებ სუფიქსი ივარაუდება: მიჟამ-ებ-ს.

§ 6. -ავ სუფიქსიანი ზმნები

-ავ, როგორც ზმნური ფუძის საწარმოებელი სუფიქსი, ძალიან გავრცელებულია. იგი თითქმის ერთნაირად იხმარება მოქმედებით, საშუალ და, იშვიათად, ვნებით გვარის ზმნებში. ისე, როგორც ყველა ამ ტიპის სუფიქსები, -ავ სუფიქსიც რიგ შემთხვევაში ცვლის ი-ს და ვრცელდება. ამის მაგალითები ძველ ქართულშიცაა დადასტურებული: ბორგ-ი-ს, შდრ. ბორგ-ავს...

დროთა წარმოების მხრით ყველა -ავ სუფიქსიანი დეფექტური ზმნა შეიძლება პირობით ოთხ მთავარ ჯგუფად გავეყოთ.

პირველი და მეორე ჯგუფის ზმნები დროთა წარმოების მიხედვით ძირითადად ერთია: ყველა მათგანი მარტო აწმყოს წყებაში იწარმოება, იშვიათად ვნებითის აორისტშიც შეიძლება გამოვლინდეს; განსხვავებას კი ფუძის აგებულება ქმნის. პირველი ჯგუფის ზმნებს მხოლოდ -ავ სუფიქსი აქვთ (გორ-ავ, როკ-ავ...). მეორე ჯგუფისას -ავ თემატური ნიშნის წინ უძღვის უფრო ძველი -ენ სუფიქსი: ბრწყ-ენ: ბრწყენ + ავ → ბრწყ-ინ-ავ და სხვ.

მესამე ჯგუფის ზმნები ერთმანეთს ჰგვანან მეორე სერიის წარმოებით. რაც შეეხება მეოთხეს, აქ უფრო ერთფეროვან ზმნებთან გვაქვს საქმე. ესაა ჰლჯძავს ტიპის ზმნები, რომლებიც ძალიან ახლოს დგანან სტატიკური აწმყოს ფორმებთან: არც ერთი არ დაირთავს პრევერბს, აწარმოებენ მარტო აწმყოს; აორისტში სათანადო ძირის რელატიურ ვნებითს იყენებენ. მათ შორის წარმოების მხრით არსებული საკმაო განსხვავება სათანადო ადგილას აღინიშნება.

გორ-ავ-ს

ძველ ქართულში ხშირია ამ ზმნის საშუალი და მოქმედებითი გვარის ფორმები. საშუალში შესაძლოა გექონდეს პრევერბი (უპირატესად და-) და მაქცევრებიც. საშუალის ფუძე გამოყენებულია მოქმედებითში, სადაც ფუძისეულ -ავ სუფიქსს კუმშავს -ებ და სხვა ხმოვნით დაწყებული ბოლოსართი: ა-გორ-ავ-ებ → ა-გორ-ვ-ებ; წყვეტილი: შთავორვა ლოდი: მთ 27,60.

ს ა შ უ ა ლ ი, ა წ მ ყ ო

გორ-ავ-ნ: დაეცის იგი ქუეყანასა და გორავნ: კიმ. I, 238,37.

გორ-ვე-ნ: აწცა გორვენ ქვანი პატიოსანნი ქუეყანასა ზედა: კიმ. I, 3,5.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

გორ-ვ-ი-დ-ა: ქუე გორვიდა ურვისა მისთჳს: კიმ. I, 304,22.

ქუეყანასა ზედა გორვიდა და ჳმობდა: ანტიოქ. 83,20.

საშინელთა პეროოდა და გორვიდა: ზარზმ. 170,28.

-ავ სუფიქსი აქაც მეორეული წარმოშობისაა, რადგანაც ამ ჳმნის ასპექტურ ფუძეს -ი ბოლოსართი აწარმოებდა. ძველ ქართულ-ში დასტურდება ამის მაგალითი ინგორის, ანგორვნის ჳმნების სახით, რომლებშიც ნ- განვითარებული ჩანს.

ი-ნ-გო-რ-ი-ს: შეაკოლტის ერთად და ინგორის მარცუალსა მას ჳე-და: სახისმეტყ. იზ 11; იქვე, იშ 7.

ა-ნ-გორვ-ნ-ი-ს: დაასოლვნის ფრთენი თჳსნი წყლითა და მერმე ანგორვნის მტლერსა: ექუს. დღეთ. 97,20.

ღ ე ლ - ა ვ - ს

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

ჰ-ღელ-ევ-დ: ღელვათა მათ შინა ურწმუნოებისათა ჰღელევდ, ღირ-სო: ურპ. 345,28.

ჰ-ღელ-ევ-დ-ი-თ: სიღრმესა მას ჳეცისა უფსკრულთასა ჰღელევდით: სასულ. უბ 34.

ღელ-ვ-ი-დ-ი-ან: წყალნი... კუეთებითა სასტიკით აღუღდიან და ღელვიდიან: ექუს. დღეთ. 78,17.

აქედან ნაწარმოებია ვნებითი ჩვეულებრივი წესით: ი-ღელვ-ებ-ი-ს: და ყოველი სოფელი იღელვების ბოროტითა წვალებითა: კიმ. I, 68,8.

როკ-ავ-ს

დადასტურებულია ამ ჳმნის მართო საშუალი გვარი. საბას თავის ლექსიკონში წარმრდგენილი აქვს ნოქმედებითის ფორმა ი-როკვ-ა, მაგრამ ჳმნას, სამწუხაროდ, დამოწმება არ ახლავს.

ა წ მ ყ ო

როკ-ავ-ს: რომელი როკავს შენ შორის: მრავალთ. 259,4.

უწყვეტელი, კავშირებითი I

ჰ-როკ-ევ-დ-ი-თ: გისტუნევედით და არა ჰროკევდით: მთ 11,7.

როკ-ვი-დ-ა: როკვდა ასული ჰეროდიაჲსი: მთ 14,6.

როკ-ვი-დ-ენ: მუნ ზღვს ქალნი... როკვიდენ და გრძლადნი დაემკვდრნენ: სახისმეტყ. ივ 1.

ცურ-ავ-ს

უწყვეტელი

ცურ ვ-ი-დ-ა: ესე დავრდომილი იყო და ქუეჯდომით ცურვიდა: არიმათ. 55,65

ჯუმილ-ავ-ს

სახელადს ფუძეს იყენებს: ჯუმილ: ჯუმილ-ავ. ამდენად, მეორე სერიაში მოხალოდნელი არაა. სავარაუდებელი თავდაპირველი ფორმა, რომლის ფუძეში -ი სუფიქსი უნდა ყოფილიყო (ჯუმ-ი-ს), აღარ გვხვდება. მიმღეობაში და ზოგჯერ ნამყო უწყვეტელშიც -ავ არა ჩანს: აწმყოს მიმღეობაში მოსალოდნელი იყო მ-ჯუმილ-ავ-ი (შდრ. სა-ჯუმილ-ავ-ი: მეოთხესა საჯუმილავსა: მრკ 6,48), გვაქვს კი მ-ჯუმილ-ი: დამადგინა მე მჯუმილად ვენაჯისა: იპოლ 5,10; ნამყო უწყვეტელში -დ სუფიქსი დაერთვის სახელადს ფუძეს: ჯუმილ-დ-ეს: C ლკ 2,8. ეს მოვლენა ძველი ჩანს.

აწმყო

ჯუმილ-ვი-დ-ედ: რომელ მოსრულ არიედ პოვნად იაკინთისა მის თუა-ლისა, ჯუმილვედ და ხედვედ ადგილსა მას: თუალთ. 42.

უწყვეტელი

ჯუმილ-ვი-ი-დ-ეს: და მწყემსნი... ჯუმილვიდეს ჯუმილვასა ღამისასა სამწყსოსა მათსა: DE ლკ 2,8.

ე-ს-ავ-ს

ერთი და იგივე ს ძირი აქვს ზმნასაც და მისგან ნაწარმოებ სა-ს-ო სახელსაც. დადასტურებულია მხოლოდ ე-პრეფიქსიანი ფორმები და ისიც პირველ სერიაში. ფუძის საწარმოებლად -ავ სუფიქსია გამოყენებული, მაგრამ -ი ბოლოსართი არსადა ჩანს (ე. ი. მოსალოდნელი იყო „ეს(ა)ვ-ი-ს“), რაც ძველ ქართულში ერთადერთი შემთხვევაა. ცნობილი არაა ამ ზმნის სხვაგვარი ფორმები.

სინტაქსური თვისებიდან აღსანიშნავია ის, რომ სახელს ხან მიცემითში მართავს, ხან თანდებულის ნათესაობითში (თუმცა უკანასკნელს იშვიათად).

აწმყო

- ვ-ე-ს-ავ: ვესავ, ძლიერო, უძლეველსა ძალსა შენსა: სასულ. სჯა 108.
 ვესავ ქრისტესა: ხანძთ. ოგ 39; ლზ 13; წარტყუნ. მდ 18.
- გ-ე-ს-ავ: შენ ვესავ: იერუს. განჩინ. 82,7.
- ე-ს-ავ-ს: ნეტარ არს კაცი, რომელი ესავს მას: იაკობ რლე 11.
- ე-ს-ავ-ნ: მისა მიმართ ზოლო ესავნ: ანტიოქ. 62,24.
- ვ-ე-ს-ავ-თ: ვესავთ ღმრთისაგან: ურპ. 334, 12.
- ე-ს-ავ-თ: უკუეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კუალად
 მიღებასა: ლკ 6,34.
 დათრგუნეთ ჯუიარი ესე, რომელსა ესავთ: წარტყუნ: მგ 10.
- ე-ს-ვ-ენ: ესვენ ძალსა შენსა ძლიერსა: სასულ. კვ XVIII.
 ასევე: ევსტ. 93, 17; ხანძთ ომ 38, 9.
- გ-ე-ს-ვ-ენ: თუალნი ყოველნი შენ გესვენ: იაკობ. მთ 16.

უწყვეტელი, ბრძანებითი, კავშირებითი I

- ვ-ე-ს-ევ-დ-ი: ვზრდიდი და ნუგეშინის მცემელად ჩემდა ვესევდი.
 ანტიოქ. 61, 33.
- ე-ს-ევ-დ: იქმენ მორწმუნე და ესევდ ქრისტესა: რაეახ. 85,14; კიმ. 1,
 214,21.
- ე-ს-ევ-დ-ი: მიხედენ ძესა შენსა და ესევდი აწ ძალსა მისსა ძლი-
 ერსა: სასულ. ტომ XXXI.
- ვ-ე-ს-ევ-დ-ით: იგინი, არა ვესევდითო, მიუგებდეს: დამასკ. 163,31.
- ე-ს-ვ-ი-დ-ა: არა სიმართლეთა თუსთა ესვიდა: ხანძთ. ლბ 18; ევსტ.
 87,5.
- ე-ს-ვ-ი-დ-ეს: რომელნი იგი ესვიდეს ღმერთსა ჩუენსა: ქრესტ.
 53,6.
- ე-ს-ვ-ი-დ-ენ: და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ: მთ 12,21.
 აღსანიშნავია, რომ ამ ზმნის ნამყო უწყვეტელი, გარდა იმისა,
 რომ ერთადერთი ფორმაა ბრძანებითის გამოსახატავად, კონტექს-
 ტში ზოგჯერ უცხო ენათა პერფექტსაც ვაღმოსცემს, რაც საერ-
 თოდ შეინიშნება ასეთ შემთხვევებში.

ელ-ავ-ს

თემატურ სუფიქსად -ავ გამოიყოფა¹, მიუხედავად იმისა, რომ
 ელ- ძირი დამოუკიდებლად ან სხვა სიტყვებში ცნობილი არაა.

¹ არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 272, 273.

ხევსურული და-ელ-ნ-ებ-ა (დეელნებას ღვავ ცისასა: წელიწდ. 178,6), ეტყობა, ახალი წარმონაქმი არაა.

პირველი სერიის ფორმები იხმარება მხოლოდ მესამე პირში. მოქმედებითსა და ვნებითს არ აწარმოებს.

ა წ მ ყ

ელ-ავ-ს: რომლისაა პირი ელავს: სპეეს. 334, 73.

ელ-ვ-ენ: იხარებენ დღეს მნათობნი, ელვენ აერნი: სასულ. რაბ 101.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ელვ-ი-დ-ა: და ელვიდა... ოქროდ იგი: სპეეს. 331, 41.

ღრუბელი ელვიდა ნათლისაა მცხინვარედ: კიმ I, 236, 26.

ელვ-ი-დ-ეს: ხოლო საღმრთონი ცხოვრებანი ელვიდეს: სასულ. ტია 114.

ჰ-გ-ავ-ს

ძველ ქართულში მხოლოდ შე- პრევერბს/ილებს და მნიშვნელობაც რამდენადმე ეცვლება, ასეთ შემთხვევაში იგი შეუენის ზმნის სინონიმი: შეჰგავს 'შეფეერება'. ნამყო უწყვეტელში ვლინდება -ან სუფიქსი, რომელსაც აწმყოს მრავლობით რიცხვშიც ვხვდებით ახალ ქართულში. შე- პრევერბით ხმარებისას ეს ზმნა პირნაკლად ქევის ტენდენციას იჩენს და კონსტრუქციაც თავისებური აქვს: შეჰგავს ჩუენდა (DE მთ 3,15).

ა წ მ ყ

ჰ-გ-ავ-ს: ეკალი მისი ჰგავს ზღუსა გრძლახსა: სახისმეტყ. იზ 5.

მართალ არს... ჰგავს მას: მრავალთ. 123,10.

და ვითარცა ღვინის ფერ ჰგავს ამეთვსტონსა თუალსა: თუალთ. 36.

შე-მ-გ-ავ-ს: აწ ღმრთისა მიერ შემგავს მე, რაათა წარვიდე: კიმ I, 204, 21.

შე-ჰ-გ-ავ-ნ: ძუელსა მას ვერ შემგავნ სადგმელი ახლისა სამოსლისა: DE ლკ 5,36; ასევე; მთ 3, 15; კიმ I, 167, 38; ხანძთ. მგ 89, ჯგ 16; ზარზმ. 176, 6; 168, 25 და სხვა.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I,

ჰ-გვ-ან-დ-ა: ვიხილე გზასა, ვითარ ნავსა ჰგვანდა: კიმ I, 211, 4.

შე-ჰ-გვ-ან-დ-ა: ვითარ შემგვანდა, ნუგეშინის სცა: ხანძთ. ნვ 71.

შე-ჰ-გვ-ან-დ-ეს: იგი კაცნი მოსაკლავად შეჰგვანდეს, ხოლო თქუენითა ოხითა განუტევე: ევსტ: 84, 25; 81, 27.

შე-გ-ი-გვ-ან-დ-ა: შეგიგვანდა, უკუეთუმცა გესმინა: ბოლნ. 69.

შე-უ-გვ-ან-დ-ა: არა შეუგვანდა ჯერეთ ქალსა მას მი-ოდენწიფებულსა: კიმ. I, 203,1.

აორისტი არც ამ ზმნას მოეპოვება. მაგრამ ამის გვერდით ძველ ქართულში გვაქვს ამავე ძირის შემცველი სახელი, რომლისაგანაც თავისუფლად იწარმოება მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნის ორივე სერიის ფორმები: მსგავსი: ე-მსგავს-ებ-ის; ა-მსგავს-ებ-ს. ამ მსგავს სახელის გამოყენება აღწერილ ფორმაში ისე გავრცელებულია ძველ ქართულში, რომ ჰგავს ზმნა ნაკლებად-ლა იხმარება.

მაგ.: მსგავს არს სასუფიველი ცათაჲ კაცსა მთესვარსა: C მთ 13, 24 (მსგავს¹ არს=ჰგავს).

ჰ-ყ-ავ-ს

ყავ ფუძის შემცველი სამი ზმნა მოგვეპოვება ძველ ქართულში: ჰ-ყავ-ს, მი-ჰ-ყავ-ს, მი-ი-ყვ-ან-ის || მი-ი-ყვ-ან-ებ-ს. აქედან პირველი ორი მარტო პირველ სერიას აწარმოებს, ფუძის აგებულებითაც სრულებით ერთნაირია; მეორეული -ან სუფიქსი, როპელიც სისტემებრ მრავლობითი რიცხვისა და უწყვეტლის ფორმებში ელინდება, აწმყოშიც ივარაუდება. განსხვავებას მათ შორის მნიშვნელობის მხრით პრევერბის დართვა იწვევს.

¹ მსგავს სახელი, ა. შანიძის ვარაუდით, ეგების მიცემითში დასმული ნაცვალსახელისა და ზმნის მესამე პირის შერწყმის შედეგად იყოს მიღებული: მას გავ-ს → მსგავს (ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტის პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ: ტფ. უნტ-ის მოამბე, II, გვ. 275). არის დაბრკოლებები, რომლებიც ამ გავების დამაჯერებლობას ანელებენ.

დანადვლილებით შეიძლება ითქვას, რომ ობიექტი ამ ზმნას ძალიან იშვიათად უსწრებს წინ, იგი მოსდევს მას (ჰგავს მას) და ამის გამო, ასეთი შერწყმის შესაძლებლობა გამორიცხული უნდა ყოფილიყო, თანაც გაუგებარია, რას უნდა გამოეწვია ა-ს რედუქცია: მას ჰგავს → მსგავს. ამავე დროს ამ ფორმაში, ალბათ, ჰ იკარგება. გვაქვს პირიქითაც, ჰ შემონახულია, ს იკარგება: მსგავსება: რომლითა პირითა შეუძლოთ თქუმად მსგავსებად მისა: სინას ხელნაწ. 14, 13 (ხევიდან). ანგარიშგასაწევი ახალ ქართულში მიღებული წარმოება: ა-მგვანებ, და-ე-მ-გვ-ან-ება, რომელთაც მ-გვ-ან ფუძე აქვთ ამოსაუღლად.

ა წ მ ყ ო

სუბიექტური წყობით

ობიექტური წყობით

მხოლოდობითი

ვ-ჰ-ყ-ავ

მ-ყ-ავ-ს

ჰ-ყ-ავ

გ-ყ-ავ-ს

მრავლობითი

ვ-ჰ-ყ-ავ-თ, ჰ-ყ-ავ-თ

გუ-ყ-ვ-ან-ან: ხოლო რომელ
ვერ ვიპყრენით, ესერა გუყვა-
ნან: ზღაპ. ელენ. 37, 3.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ვ-ჰ-ყ-ვ-ან-დ-ი: და მეცა თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა: შუშ. 8,4.

ჰ-ყ-ვ-ან-დ-ა: და თანა ჰყვანდა ძმ თვისი შვილის წლისაჲ: ხანძთ. მდ
9; წარტყუენ. კვ 20; დამასკ. 164,30.მოუქდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყვანდა მათ თანა
მკელობელები: მთ 15, 30.ჰ-ყ-ვ-ან-დ-ეს: იყენეს იგინი უხენსა ზედა მსხდომარე და ჰყვანდეს
იგინი მტერთა მათ: წარტყუენ. ლგ 19.ძველ სალიტერატურო ქართულში ამ ფუძეს აორისტიც მო-
ეპოვება:ჰ-ყ-ვ-ა: იხილა სძალი თვისი, რომელსა ჰყვა ყრმაჲ იგი წიაღთა
თვსთა: ანტიოქ. 85, 25; 114, 20.ხოლო ჰყვა ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული: ნაბეჭდი
ოთხთ. მთ 27, 16; 15, 30 (1879 წ. გამოც.).

წარემართა... და ჰყვა მის თანა ცოლი თვისი: თხრობა, 48.

ჰ-ყ-ვ-ეს: მსწრაფლ მოვიდა თვისით ძმით-ურთ, რომელსა სხუანიცა
მრავალნი ძმანი ჰყვეს: ზარზმ. 168, 22.ცნობილია, რომ ხევსურულში მყავს ფორმის პარალელურად
იხმარება აგრეთვე მყავ-ი-ს, რომელსაც მრავალგზისის გაგება შერჩე-
ნია: მ-ყავ-ი-ს (წელიწდ. 173,8), გ-ყავ-ი-ს (149,1), ჰ-ყავ-ი-ს (134,17).
ამის მიხედვით ძველ ქართულში პერმანსიის სათანადო ფორმებიც
ამ სახითაა მოსალოდნელი: მ-ყვ-ი-ს, გ-ყვ-ი-ს, ჰ-ყვ-ი-ს. მყვის მრავალ-
გზისის ფორმის საპირისპირო ერთგზისი მ-ყვ-ა იქნებოდა და
ზემომოყვანილ მაგალითებშიც ეს წარმოება შემორჩენილი. მსგავსი
ვითარება ჩანს დატული ვნებითის აბსოლუტურ ფორმაში:მო-ხ-ი-ყვ-ა: რამეთუ ცოცხლებით მოხიყვა იგი: ხანმეტი 384,
II სვეტი.შდრ. 1. რამეთუ ცოცხლებით მოვიდა იგი: ლქ 15,27.
(1879 წლ. გამოც.).

2. რამეთუ ცოცხალი იყო და იპოვა იგი: C 15, 27.

3. რამეთუ ცოცხლებით მოიყვანა იგი: DE 15, 27.

რელატიური ვნებითის ფორმები აორისტში გვიჩვენებს -ევ თემატურ სუფიქსს, რომელიც აწმყოს წრეში საერთო წესის მიხედვით -ებ¹ სუფიქსითაა გართულებული.

უწყვეტილი

პ-ყ-ებ-ოდ-ა: მაშინ მიჰყვებოდა და არა უწყოდა, ე¹ მიიყვანებოდა: კიმ. I, 167, 1.

წყვეტილი, ბრძანებითი

მი-პ-ყ-ევ: შეილო, გზა-ჰყევ¹ წმიდათა ამათ: ზარზმ. 158,20.

მი-პ-ყ-ე-ა: და მიჰყვა მას: თეკლა 106,19; კიმ. I, 96,2.

წარ-პ-ყ-ე-ეს: და თანა ძმანიცა ვინმე წარჰყევს: ხანძთ. ით 4.

ჰყავს ზმნის ფორმებთან შეიძლებოდა მოგვეყვანა საშუალი გვარის მიჰყავს ზმნაც, რომელსაც აგრეთვე მხოლოდ პირველი სერია მოეპოვება. აწმყოში ეგვევი მნიშვნელობა ამ ზმნის გარდამავალ ფორმასაც შეიძლება ჰქონდეს: მოიყვანებს. იგი საშუალ გვარს ენაცვლება აორისტში და უპირატესად სათავეისო ქცევით იხმარება. მნიშვნელობათა შესაღარებლად საგულისხმოა შემდგომი მაგალითები:

ფართო არს ბქ¹ და ვრცელ არს გზად, რომელმან მიიყვანის წარსაწყმედელად: C მთ 7, 13—14.

შდრ. ვრცელ არს ბქ¹ და ფართო არს გზად, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად... იწრო არს ბქ¹ და საქირველ გზად, რომელი მიიყვანებს ცხორებასა: DE 7, 13, 14.

საშუალი, აწმყო

მო-პ-ყ-ავ-ს: მოჰყავს ქორცითა: სასულ. მთ 14.

მო-პ-ყ-ან-ან: მოჰყვანან კრაენი შეტომილნი: სასულ პა 165.

უწყვეტილი

-პ-ყ-ან-დ-ა: რომელსა მიჰყვანდა სული მისი: წარტყუნ. პ 9.

ანგელოზსა წარჰყვანდა სული მისი და აღჰყვანდა ზეცად: კიმ. I, 22, 28.

კათალიკოზთა მირონი მოჰყვანდა: ხანძთ. მგ 3.

¹ გამოთქმა „გზა-ჰყევ“ გაკომპოზირებულია: სახელი ფუძითაა აღებული, ზმნა უპირველობა და ნიშნავს: გზად წაჰყვები.

მოქმედებითი, აწმყო

მო-ვ-ი-ყვან-ებ: და დამბადებელსა... მოვიყვანებ: კიმ. I, 70, 25.
 შე-მ-ი-ყვან-ებ: ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა: მთ 6, 13.

თურმეობითი I

წარმო-უ-ყ-ვ-ან-ებ-ი-ა: მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია:
 ხანძთ. ნე 68.

უწყვეტილი

მი-ი-ყვანებ-დ-ა: ხილვად თვსად მიიყვანებდა მორწმუნეთაცა: ან-
 ტიოქ. 70, 5.

წყვეტილი

წარმო-ა-ყვან-ა: განუტევა იგი და თანა კაცნი წარმოაყვანა: ხანძთ.
 თ 16; თხრობა 48.

ფრ-ინ-ავ-ს¹

ფრინავს ზმნის შედარება ახალ ქართულში აქა-იქ შემორჩე-
 ნილ ფრ-ენ-თან უდავოს ხდის, რომ აქ -ავ სუფიქსი მოგვებოვე-
 ბა: ფრ-ენ-ავ → ფრ-ინ-ავ. ამ ფუძეს ზოგჯერ მესამე (-ებ) ბოლო-
 სართიც ერთვის ხოლმე, რასაც მარტო მასდართ ვიცნობთ: აღ-
 ფრ-ინ-ვ-ებ-ად (სასულ. რიე 13). მოქმედებითის ფორმებში ზოგჯერ
 საშუალი გვარის თემატური სუფიქსიც შემონახულია შეკუმშული
 სახით: აღ-ა-ფრ-ინ-ვ-ა (კიმ. I, 1, 15, 15).

აწმყო

ჰ-ფრ-ინ-ავ: ჰფრინავ ყუავილთ სულნელთა მათ შინა: სასულ. ს 21.
 ფრ-ინ-ავ-ს: რომელი ფრინავს წინაშე მისსა: კიმ. I, 1, 35, 5; 225, 27.
 ფრ-ინ-ვ-ენ: ფრინვენ, ლაღადებენ: იაკობ. ლღ 3.
 უ-ფრ-ინ-ავ-ს: ღმრთებედა თანა უფრინავს: კიმ. I 45, 24.

უწყვეტილი, ბრძანებითი, ხოლმეობითი

ფრინ-ევ-დ-ი-თ: ფრინევდით და მომივსენეთ მე: კიმ. I, 115, 15.

¹ მეორე ჯგუფის -ავ სუფიქსიან დრონაკლ ზმნებს აერთიანებს ფუძეს
 შეზრდილი -ენ სუფიქსი, რომელიც სახელადს ფუძეშიც იხმარება: ფრ-ენ-ა, ბრწყ-
 ენა და მისთ. ბევრ შემთხვევაში ეს ფუძეები -ავ სუფიქსის :გარეშე არ გვხვდება
 ენ იდრიკება: ენ → ან.

ფრინ-ვ-ი-ლ-ა: ჯუარი დასწერა და განცოცხლებული ფრინვიდა: ხანძთ. # ე 3; კიმ. I, 164, 28.

ფრინ-ვ-ი-ლ-ი-ან: საქებელ არს ყორნისა იგი შეალთ-მოყუარებაჲ, რომელი-იგი მისდევენ მათ, ვიდრეცა ფრინვიდიან: ექუსთ. დღეთ. 98, 31.

ფრ-ენ და ფრ-თ-ე (ახალი ქართულით ფრ-თ-ა) ეტყობა, ერთი და იგივეა, ოლონდ ასახსნელია -თ-ე ელემენტის ფუნქცია და გენეზისი. ამავე ძირისა ჩანს სვანური ლი-პერ 'აფრენა', პერ-ნ-ი 'ფრინ-დება'. ამის მიხედვით შესაძლოა ხმოვანი ქართულშიც გვექონოდა: ფრ ← ფარ. სხვა ენებთან ძირის მსგავსებას ხმაბადვით ხსნიან.

ბრწყ-ინ-ავ-ხ

თავდაპირველი ფორმა ბრწყენ არ შემოგვრჩენია. ძველსა და ახალ ქართულში საყოველთაოდ მიღებულია ბრწყ-ინ-ავ-ხ. გარდამავალი ზმნა საშუალის ბრწყინავ ფუძეს იყენებს, ენებითი ღ-ონი-ანია და ბრწყენ ფუძეს ეყრდნობა.

მოქმედებითი, აწმყო

ა-ბრწყ-ინ-ე-ებ-ს: აღმოაბრწყინვებს მზესა: ანტიოქ. 132, 13.

წყვეტილი

გამო-ა-ბრწყინ-ე-ე: გამოაბრწყინვე ბნელისაგან ნათელი: იაკობ. იე 1.

ენებითი

ბრწყინ-დ-ებ-ი-ს: მზე მათ შინა ჯორცითა გამობრწყინდების: სასულ. ტჟგ 25.

საშუალი, აწმყო

ჰ-ბრწყინ-ავ: და სულითა ჰბრწყინავ: სასულ. რიგ 34.

ბრწყინ-ავ ს: ბრწყინავს, ვითარცა მთიები: სასულ. სმ 7; სნ 86.

ბრწყინ-ვ-ენ: საქმენი მართალთანი ბრწყინვენ: იპოლ. 17, 21; სასულ. სნ 86.

უწყვეტელი, ბრძანებითი

ბრწყინ-ევ-დ: მიემსგავსე მას და ბრწყინევდ უდაბნოთა შინა: სასულ. და 1.

ბნელსა მას შინა წვალეღისასა ჰბრწყინეველი ნათლითა: სასულ. უთ 19; რა 61.

ბრწყინ-ე-ი-ღ-ა: კანდელი იგი იოვანსი ბრწყინევიღა: ზარზმ. 166, 15; 150, 27; ხანძთ. ნ 13; მთ 4; ბ 14.

ბრწყინ-ე-ი-ღ-ეს: პირნი მათნი ბრწყინევიღეს, ვითარცა მზს: ურპ. 323, 12.

ბრწყინ-ე-ღ-ი-ნ: ესრეთ ბრწყინევიღინ ნათელი თქუენი: მთ 5, 16.

ლუმ-ინ-ავ-ს

-ენ სუფიქსიანი ფუძე არ დასტურდება, თუმცა ასეთი მოვლევება საბას თავის ლექსიკონში: ვ-ლუმ-ენ 'ტრედისებრ ლულუნი'. ამავე ძირისაგანაა მიღებული მოქმედებითი გვარის ფორმა: ღაი-ლუმინა, ვითარცა მეცმან: კიმ. 1, 115, 28.

უწყვეტელი

ვ-ლუმინ-ე-ღ-დ: ვითარცა ტრედი, ეგრე ვლუმინევიღ: სახისმეტყ. ლგ 4.

კრკ-ინ-ავ-ს

უწყვეტელი

ვ-კრკ-ინ-ე-ღ-დ: ვითარცა მერცხალი, ეგრე ვკრკინევიღ: სახისმეტყ. ლგ 2.

ხურ-ინ-ავ-ს

უწყვეტელი

ხურინ-ე-ი-ღ-ა: დაადლო თავი თუსი საკურთხეველსა და ხურინევიღა: კიმ. I, 314, 17.

კს-ინ-ავ-ს

ძველ ქართულში ამ ზმნის ხმარების ერთადერთი შემთხვევა გვაქვს დადასტურებული აწმყოში. წყვეტილისა და მისგან ნაწარმოები ნაკვთები, აგრეთვე მოქმედებითი ან ვნებითი გვარის ფორმები ცნობილი არაა. იგი პირნაკლი ზმნაა და სათანადო ატმოსფერულ მდგომარეობას გამოხატავს.

ა წ მ ყ

კს-ინ-ავ-ს: განთიად სთქვთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ: მთ 16, 3.

ბრწყ-ინ-ავ-ს და სხვათა მსგავსად კს-ინ-ავ ფუძეც უძველეს-ენ სუფიქსს შეიცავს: კს-ენ-: კს-ინ-ავ. ძველ ქართულში ნახმარა

მიმღობა მ-კს-ინ-ვ-არ-ე და აქედან მ-კს-ინ-ვ-არ-ებ-ა-ა 'სუსხის, მკაცრი სიცივის' გაგებას იძლევა: მაშინ მოსცემდა წყალი იგი მკსინ-ვარებასა სიცივისასა: კოლ. წამ. 57,80; რაეახ. 90, 14. სწორ განმარტებას უნდა იძლეოდეს საბა, როცა მას „ავად ჰაერის აშლილობას“ უწოდებს.

დრტვნ-ავ-ს

-ენ სუფიქსის გამოსაყოფად ხელშესახები საბუთი არაა, მაგრამ ამ ტიპის ზმნათა მსგავსად იგი აქაც ივარაუდება. თავიკიდურ თანხმოვანს, რომელიც წარმოშობით შეიძლება პრეფიქსიც იყოს, ასიმილაცია მოსდის: დრტვნეაჲ → ტრტვნეაჲ (ზღრ. C მთ 20, 11). დასტურდება საშუალი გვარის პირველი სერიის ფორმები, იშვიათად მოქმედებითის წყვეტილის ფორმაც იხმარება: იდრტვნეს: კიმ. II, 81,4.

აწმყო

ს-დრტვნ-ავ-თ: რაესა ხდრტვნავთ ურთიერთას? ი 6, 43.
დრტვნ-ვ-ენ: მრავალი ბრალი აღუწერიეს შენთვს და დრტვნვენ: კიმ. I, 136, 13.

უწყვეტელი

დრტვნ-ი-დ-ეს: და დრტვნვიდეს ფარისეველნი და იტყოდეს: ლკ 15, 2; ასევე: C მთ 20, 11.
უ-დრტვნ-ი-დ-ეს: უდრტვნვიდეს გელასის... და თქუეს: კიმ. II, 212,36.

ზრუნ-ავ-ს

მარტოოდენ პირველ სერიაში იწარმოება. აორისტიისათვის მოქმედებითი და ვნებითია ნასესხები, იმის მიხედვით, თუ რა შინაარსი აქვს ზრუნავ ფუძეს აწმყოში: არის ის ორპირიანი, თუ ერთპირიანია და ნიშნავს წუხვებას. პირველ შემთხვევაში II სერიაში მოქმედებითია მონაცვლებული, მეორეში — ვნებითი. ტექსტში დასტურდება ასეთი ფორმები: ი-ზრუნ-ა; შე-ზრუნ-დ-ა (= „შეწუხდა“). საშუალი უქცეოდა და უპრევერბოდ იხმარება. ამასთან შეწყობილი ობიექტი ხან მიცემითშია მართული, ხან — ნათესაობითში, რომელიც ჩვეულებრივ თანდებულნიანია.

აწმყო

ვ-ზრუნ-ავ: ჰრომთა და ბერძენთა ერთობასა ანუ განწყალებასა არა ვზრუნავ: კიმ. I, 72, 24.

- ჰ.ზრუნ-ავ: ნუ ჰზრუნავთ თავთა თქუენტათუს: C მთ 6, 25.
 ნუ ჰზრუნავთ ხვალისათუს: C მთ 6, 34.
 გუამისა შენისათუს ნუ ჰზრუნავ: ევსტ. 93, 37.

უწყვეტელი, კავშირებითი I, ბრძანებითი

- ზრუნ-ევ-დ-ით: ზრუნევდით ეკლესიისათუს ერთბამად: წარტყუნ.
 ნთ 34.
 ზრუნ-ვ-ი-დ-ა: იურვოდა იგი და ზრუნვიდა ძმათა თუსთათუს:
 ანტიოქ. 64, 22.
 არა ზრუნვიდა შინებისაგან მისისა: წარტყუნ. ნა 21.
 ზრუნ-ვ-ი-დ-ეს: ჯორცთა ზრუნვასა და საურავსა ზრუნვიდეს: ან-
 ტიოქ. 70, 31; ბოლნ. 87.
 ზრუნ-ვ-ი-დ-ეს: ვინმე თქუენგანი ზრუნვიდეს და შემძლებელ არს
 იგი შეძინებად: DE მთ 6, 27.
 ხვალე იგი ზრუნვიდეს თავისა თუსისათუს: C მთ 6, 34.

ს-ც-ავ-ს

ძველ ქართულში ც ძირისაგან ნაწარმოები რამდენიმე ზმნა გვექონდა: სტატიკური სცავს და დინამიკური იცავს, იცვების. დინამიკური ფორმები სხვადასხვა ზმნისწინით ნაირ-ნაირ ლექსიკურ მნიშვნელობას ღებულობდა და ყველა ნაკეთს თავისუფლად აწარმოებდა (დაიცავს, მოიცავს, შეიცავს...). აქ საყურადღებოა მხოლოდ ფუძის ორგვარი წარმოება: ცავ აწმყოში, ცევ კი ნამყო წყვეტილში: დაიცავს, დაიცევი, რაც ამ ტიპის სხვა ზმნებთან უნდა გაირჩეს, როგორც ნამყო წყვეტილის -ევ სუფიქსიანი წარმოება¹. აქვე დაესძინო, რომ უძველესი -ვ სუფიქსის გვერდით მეორე კავშირებითში -ა სუფიქსიც შეინიშნება: სამართალი არა დავიცვე: დამასკ. 264,12. შდრ. დაიცვან სამართალი: ხანძთ. ე 58.
 ს-ცავ-ს ზმნას ახასიათებს სტატიკური ზმნის ყველა ნიშანი: არ მიიღებს ჩვეულებრივ ქცევის პრეფიქსებს, არ იგუებს ზმნისწინს, იხმარება მარტო აწმყოს წყებაში².

¹ ამასთანავეა დაკავშირებული ნამყო უწყვეტლის -ევ სუფიქსის ისტორიაც: ვცავ — ვცევდ...

² ნეოლოგიზმი ჩანს დაცვა ნამყო წყვეტილის გაგებით: რომელმან მცველნი დასცნა და ბეჰედნი დაცნა: სასულ. ტით 35.

აწმყო

ს-ც-ავ-ნ: მკუდარნი სხნის [ლომმან ლეკუნი] და ზინ და სცავნ ლე-
კუთა მათ: სახისმეტყ. ბ 60.

ს-ც-ვ-ედ: შებორკილიან იგი ჯაქვთა და საკრეელითა და სცვიდ:
ლკ 8,29.

უწყვეტელი

ვ-ს-ც-ევ-დ: ოდეს ვიყავ მათ თანა, მე ვჰსცევდ მათ: DE ი 17, 12.

ს-ც-ვ-ი-დ-ა: და ჰსცვიდა მას: DE მრკ 6,20; ასევე: თეკლ. 101,20.
სხდეს და სცვიდეს მას მუნ: მთ 27,36; ასევე წარტყუნ.
იბ 24.

ს-თნ-ავ-ს

სთნავს ტიპობრივი უძველესი დეფექტური ზმნაა. იგი საინ-
ტერესო ისტორიის მქონეა. თნ ძირისაგან არის ნაწარმოები: სა-
-თნ-თ, მო-თნ-ე (აქედან: თავმოთნეობა — 'თავმოყვარეობა'),
მასდარია თნ-ევ-ა-ჲ, რომელიც ძველ ქართულში ძალიან იშვიათად
იხმარება (შდრ. მოსწრაფე იყო სათნო ყოფად მარხვითა: კიმ. I, 16,
24, ე. ი. სათნო ყოფად და არა თნევ-ა-დ!). აწმყოს თემის სუფიქსად
გამოყენებულია -ავ: ს-თნ-ავ-ს. ამგვარი შემთხვევა სხვადა გვაქვს
(კიცხევა: კიცხავს, რაც ცალკე გამოსაყენებელი მასალაა უწყვეტლის
წარმოების გასაგებად -ავ სუფიქსიანი ზმნებში...).

სტატიკური ზმნების მსგავსად ამ ზმნას არ მოეპოვება პირ-
ველი სერიის ყველა ნაკეთი. თავისი ფუძით იგი მხოლოდ აწმყო-
ში იხმარება. გვხვდება -დ სუფიქსიანი ვნებითიც, რაც განსაკუ-
თრებით ყურადღებას იქცევს თავისი უპრევერობით. ცოტაა ძველ
ქართულში -დ (←-ედ) სუფიქსიანი ვნებითი II სერიაში, რომელ-
შიც ზმნა პრევერბს არ ირთავდეს. ეს ზმნა საზოგადოდ უქცეოა.
რელატიური საშუალისა და აგრეთვე მოქმედებითის ფორმების
გამოსახატავად ფართოდაა გამოყენებული აღწერა.

აწმყო

მ-თნ-ავ: შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი, შენ მთნავ: C მრკ 1, 11.

მ-თნ-ავ-ს: ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მთნავს: C მთ
3, 17; 17,5; ხანძთ. თ 99.

ს-თნ-ავ-ს: უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, იქსენინ ეგე, უკუეთუ ჰსთნავს
ეგე: DE მთ 27, 43.

ს-ძინ-ავ-ს

ამოსავალ ფუძეს ძილ (← ძინ) წარმოადგენს. მოქმედებითისა და ვნებითის ფორმებს -ებ სუფიქსი მოჟდის. ეს ზმნა ძალიან ჰგავს სტატიკურ ზმნებს: არ ირთავს პრეფერბს, აქვს მხოლოდ აწმყო, არ იცვლება ქცევებში, იხპარება მხოლოდ ოდენობიექტური წყობით. მოეპოვება ე-პრეფიქსიანი ვნებითი, რომელიც გამოყენებულია აორისტში.

აწმყო

გ-ძინ-ავ-ს: სიმონ, გძინავს-ა? მრკ 14,37.

ს-ძინ-ავ-ს: არა მომკუდარ არს ეგე, არამედ სძინავს: ლკ 8,52; ხანძთ. ნ 4.

ს-ძინ-ავ-ნ: რაემს სძინავნ, მღუძარე არიედ თუალნი მისნი: სახისმეტყ. ბ 44.

აორისტი

მ-ე-ძინ-ა: მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიღრემდის ჩუენ მეძინა: ქრესტ. 5,5.

რომელთა ესე მწუხარებით გუეძინა, განვიფროთხეთ სიხარული: კიმ. I, 11, 4.

გ-ე-ძინ-ა: ვითარცა კაცსა მოკუდავსა, გეძინა საფლავსა შინა: სასულ. სად 182.

ე-ძინ-ა: ხოლო თავადსა ეძინა: DE მრკ 4,38; სახისმეტყ. ბ 53.

აორისტის ეს ფორმები, როგორც ცნობილია, უპრეფერბოა. საერთოდ კი ვნებითი სხვადასხვა პრეფერბიანია: მაგ. მი-ეძინ-ა: ლკ 8, 23...

ჰ-ლუძ-ავ-ს

წარმოებით ისეთივეა, როგორც ს-ძინ-ავ-ს.

აწმყო

ჰ-ლუძ-ავ-ს: მივედ უფლისა და ისმინე: სძინავს-ძი ანუ ჰლუძავს: ხანძთ. ნ 4.

მოქმედებითის ფუძეს აწმყოში -ებ სუფიქსი ერთვის: გან-ა-ლუძ-ებ-ს (წარტყუნ. ბ 15). ვნებითის აორისტი პრეფერბიანია, უპირატესად აქვს გა- და გამო-: გაელუძა (ხანძთ. პე 17).

ჰ-მტერ-ავ-ს

ეს ზმნა საშუალო გვარისაა, აორისტში რელატიური ვნები-
თის უპრევერბო ფორმას იყენებს. დასტურდება ვნებითის აწმყოც-
ე-მტერ-ებ-ი: ფინეზ, რად ემტერები ქრისტეანობასა? ურპ. 330,12.

სა შუა ღი, აწმყო

ჰ-მტერ-ავ-ს: და ჰმტერავს ხესა მას ზედა გუელი დიდი: სახისმეტყ-
ლ 10.

ვნებითი, აორისტი

ე-მტერ-ა: ხოლო ჰეროდე ჰემტერა მას და უნდა მოკლვად მისი:
C მრკ 6, 19.

ჰ-ნ-ებ-ავ-ს

გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს იმავე ნ ძირის (შდრ. მი-ნ-ა,
ში-ნ-ებ-ს) შემცველი -ავ ბოლოსართიანი ნებ-ავ. სტატიკურ ზმნათა-
მსგავსად აქაც შეინიშნება სისტემებრ მარტო აწმყოსა და ვნებითის
აორისტის მონაცვლეობა: -მნებავს—მნება. მაგრამ, როგორც ჩანს,
თანდათან ივითარებს ნამყო უწყვეტელსაც. მეორე სერიის ნაკვთები
აკლია, საკუთარი ფუძე აქ არ ეწარმოება.

მინებს და მნებავს ზმნებს შორის შინაარსით განსხვავება არ-
შეინიშნება და ამიტომაცაა, რომ ერთისა და იმავე უცხო დედნის-
შესატყვისად თანაბრად ხმარობს მათ ოთხთავის რედაქციები:
უნებს || მნებავს: რომელსა უნებს კუალსა შემოდგომად ჩემდა-
ტბ. მთ 16,24; შდრ. აგრეთვე მთ 21,30.

შდრ. რომელსა მნებავს კუალსა ჩემსა შედგომად: C, იქვე.

მეორე სერიაში იშვიათადაა გადაყოლილი აწმყოს თემატურ-
სუფიქსი -ავ შეკუმშული სახით: ე-ნებ-ვ-ა, რადთა წარვიდეს კესა-
რიად: არიმათ. 45, 42; რომლისთჳსა ენებვოს: იქვე, 66, 89.

აწმყო

მ-ნებ-ავ-ს: მნებავს დიდებად და სიმტკიცე მათი: საბა 15, 30;
15, 5; 8, 35; 7, 25; ჰაბო 77, 17; 55, 16; მრკ 1, 41.

გ-ნებ-ავ-ს: უკუეთუ მნებავს სრულყოფად, ერთილა გაკლს შენ:
მრკ 10, 21.

ქელმწიფებაჲ გაქუს, უყავთ რაჲცა გნებაჲს: კოლ. წამ. 59, 140; 56, 45; საბა 8, 35; 18, 20; ხანძთ. ლ 65, კგ 61.

ჰ-ნებ-ავ-ს: რომელსა არა ჰნებაჲს სიკუდილი ცოდვილისაჲ: ხანძთ. 60 31; კგ 6; საბა 8, 15; 17, 20; იპოლ. 8, 18.

ჰ-ნებ-ავ-ნ: განრინებაჲ ჰნებაჲს და ვერ ქელმწიფებინ: სახისმეტყ. გ 24.

გუ-ნებ-ავ-ს: გუნებაჲს ბოროტისა ყოფაჲ მათ ზედა: არიმათ. 64, 84.

უწყვეტელი

ნებ-ვ-ი-დ-ა¹: რაემს ნებვიდა მოციქულთაჲ სოფელსა ზედა ქა-
დაგებად წარვლინებაჲ: სომხ.-ქართ. ლიტ. ურთიერთ.
148, 14.

ა-ხლ-ავ-ს

ეტიმოლოგიურად ახლ-ავ ფუძე ახ-ს ზმნასთანაჲ კავშირში. ამოსავალ სახელად ახ-ალ ფუძეა. ა- პრეფიქსი ფუძის განუყრელ ნაწილადაჲ ქცეული, იგი ვნებითსა და მოქმედებითშიც გადაჰყვება.

მოქმედებითი: ა-ახლ-ი-ან: მიაახლიან თუალი ესე: თუალთ. 42.

ვნებითი: მ-ე-ახლ-ებ-ი-ან: და მე ვერ მომეახლებიან: ბარლ. 123, 25.

მო-ხ-ე-ახლ-ა: და მოხეახლა სახლსა მას: ქრესტ. 8, 13.

მოსალოდნელი ე-ხლ-ებ-ი-ს ფორმა ერთობ იშვიათია: შიშისაგან ვერ მიეხლებოდეს სარკინოზნი: კიმ. I, 22, 11.

საშუალი, აწმყო

მ-ახ-ლ-ავ-ს: არცა ნათესავი ჩემი მახლავს: თეკლ. 112, 25.

უწყვეტელი

მ-ახლ-ე-ი-დ-ა: მწერალი არაეინ მახლვიდა: სინას ხელნაწ. 73, 10.
(ქვევიდან).

ა-ხლ-ე-ი-დ-ეს: არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს მათ: ხანძთ. ზ 44.

ეს ზმნა შემდეგში, როგორც ცნობილია ახალი ქართული-

¹ ნ. მარს თავის ტაბულეზში წარმოდგენილი აქვს მნებაჲს, მნებაჲდა, მნე-
ბავდის, რაც ძველი ქართულის ნორმა არაა (იხ. Основные термины, გვ. 16).

დან¹, ფართოდ გავრცელებულია და ახ- ფუძე (შდრ. ახ-ს) ხმარებიდან გამოვიდა. მისი მნიშვნელობით ძველ ქართულში აქა-იქ და ახალ ქართულში სისტემებზე აღწერილი ფორმები იხმარება: ახლო-არს: მიმცენელი ჩემი ახლო არს: იერუს. განჩინ. 77, 2.

ჰ-ბურ-ავ-ს

ძველ ქართულში არაა ხშირი ამის ხმარება. მოქმედებითის აწმყო დადასტურებული არაა, თუმცა თემატურ სუფიქსად აქაც -ავ შეიძლება ყოფილიყო. იშვიათად იხმარება მოქმედებითის წყვეტილის ფორმა:

და-ჰ-ბურ-ა: დაჰბურა მას ზეწარი თვისი: კიმ. I, 123, 32; 105, 24; საბა 17, 10.

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი, ა წ მ ყ ო

ჰ-ბურ-ავ-ს: არს მუნ შინა დედაკაცი, რომელსა ჰბურავს თავსა ძონძი ძეელი: კიმ. I, 206, 17.

ჰ-შორ-ავ-ს

ცნობილია როგორც მოქმედებითი, ისე ვნებითი და საშუალო გვარის ფორმები. საყურადღებოა, რომ საშუალო გვარის ფუძის -ავ სუფიქსი სხვა შემთხვევებში რომ აუცილებელია (მაგ. გორავ, იხ. ზემოთ), მოქმედებითში არა ჩანს. მოვიყვანთ მოქმედებითისა და ვნებითის თითო-ორი მაგალითს.

მოქმედებითი: ნუ განმაშორებ ჩუენგან შეწვენასა შენსა: იაკობ. 289.

ჩუენ ტურთსა... მასმცა განვიშორებთ: იპოლ. 27,17.

განანათლენ აწ სულნი ჩუენნი და განმაშორე ბნელი ცოდვისაჲ: სასულ. ჯა 50.

ვნებითი, აწმყო: განეშორების იგი წმიდასა მას ქალაქსა: წარტყუნ. ლგ 6.

წყვეტილი: არა განეშორე სუფევასა: სასულ. რუხ 50.

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი, ა წ მ ყ ო

ხ-შორ-ავ-ს: მივიდოდეთ დაბასა მას, რომელი ხშორავს იშმსა მას: ქრესტ. 10, 18; ლკ 24,13.

შატბერდი სხუათა მათ უდაბნოთა დაღაცათუ მცირედ შორავს: ხანძთ. ოზ 18.

¹ ახალ ქართულში ეს ზმნა სხვა მხრითაცა საყურადღებო. აქ ასეთი უღ-ლილებია გვაქვს: გახლავს — გახლ-და. უანასკნელი აწმყოს ფუძისაგან კი არაა ნაწარმოები, არამედ ვნებითის ნამყო წყვეტილია, ესეც უზმნისწინო.

და შორავს გოდოლსა მას... ვითარ ოთხ უტევან: წარ-
ტყუნ. ით 9.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა ო რ ი ს ტ ი

ე-შორ-ა: გულის-ხმა ყო, რამეთუ ეშორა იგი ქუაბსა მას ხუთ მი-
ლიონ: კიმ. 1, 20,31.

ეპითანე ძმათა მათ ეშორა და მივლინებულსა მას არა
უსმინეს: ხანძთ. მზ 10.

ამ ზმნის ფორმათა შეჯგურებით ძველ ქართულში ირკვევა,
რომ ფუძეში ხან ვლინდება -ვ-, ხან — არა. ამის მიხედვით გვაქვს:
შ ო ვ რ || შ ო რ. გამოსარკვევია, -ვ- ანალოგიურ ფუძეებში ფონეტი-
კურ ნიადაგზეა გაჩენილი, თუ მორფოლოგიური ელემენტია.

ჰ-რთ-ავ-ს ('ურევია, შეზავებული')

საშუალსა და მოქმედებითს ერთი ფუძე — რთ-ავ — აქვთ: და-
ჰრთვიდა ტვრთსა: ჰავ. მასალ. 29, შეჰრთო იგი ფქვილსა: მთ 13,33,
ოღონდ საშუალი უპრევერბოა და მარტო აწმყოში იხმარება. აო-
რისტში აქაც ე-ნიანი ვნებითია ნასესხები¹. ამ ფუძისაგანვეა მი-
ღებული მიმღეობა რთ-ულ-ი ('შერეული, შეზავებული, შედგენი-
ლი').

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი, ა წ მ ყ ო

ჰ-რთ-ავ-ს: არაკეთილი თესლი დასთესე აგარაკსა ამას შენსა, აწ
ვინაჲ ჰრთავს ლუარძლი ესე: C მთ 13,27.

რომელსა შინა რადთურთით არა რაჲ ჰრთავს ჩემი, თვნიერ
ცთომილებსა: სინას ხელნაწ. 204,18 ზევ.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა ო რ ი ს ტ ი

ე-რთ-ნ-ეს: ხოლო ქრისტეანენი მათ დღეთა რავდენნი ერთნეს
ერსა მას, ნაზორეველ ჰრქვან მათ: ქრესტ. 46,11.

ს-ტვირთ-ავ-ს

ამ ზმნის აწმყოს შესახებ პირველი თურმეობითის მიხედვით
ემსჯელობთ.

I თურმეობითი: მ-ი-ტვრთ-ავ-ს: მიტვრთავს ჯუარი ქრისტისი:
ზარზმ. 80,15.

¹ შეცდომითა დაბეჭდილი ვნებითის ფორმა გ უ ე თ ე, ნაცვლად სწორისა
გ უ ე რ თ ე შემდეგს ფრაზაში: მოუედ და გუთუე შეუბასა ამას ჩუენსა: ვესტ. 80, 14-
შდრ. აწ უკუე შენცა კათოლიკე ვკლესისა შვილი ხარ, შემოგუერთე: კიმ. I, 76, 5.

გ-ი-ტვრთ-ავ-ს: პირველ ჟამთა შობილი გიტვრთავს: სასულ. იმ 42.
 უ-ტვრთ-ავ-ს: სათხვეველსა ყოველი იგი მოქმნილებაჲ უტვრთავს:
 იპოლ. 16, 7.

მაშასადამე, მოქმედებითი გვარის აწმყოს ფორმები იქნება:
 ვ-ტვრთ-ავ, ვ-ი-ტვრთ-ავ; ეტყობა, ეგ ფუძე კაუზატივშიცაა შენარ-
 ჩუნებული: აწმყო: ა-ტვრთ-ინ-ებ-ს, წყვეტილი: ა-ტვრთ-ი-ეს: ქმნეს
 ლასტი და დადევს მას ზედა და ატვრთვებს პაპრაკთა: კიმ. I,
 94, 4.

ჭრთავს ზმნის მსგავსად ბქაც მოსალოდნელია მოქმედებითსა
 და საშუალს მონაცვლე ფუძე ჰქონდეთ: მ-ტვრთ-ავ-ს, გ-ტვრთავ-ს,
 ს-ტვრთავ-ს ('დატვირთულია').

ენებითი, აორისტი

გ-ე-ტვრთ-ა: გეტვრთა შენ აფრად ჯუბარისად და მოწვევულ იქმენ
 ზეცისა ნავთსადგურსა: ურპ. 345, 31.

ქურად სიწმიდისად გამოსჩნდი, ღირსო, რამეთუ გეტვ-
 რთა შენ საფასეჲ იგი: სასულ. რკჴ 197; რლმ 68; რკ 4.

ე-ტვრთ-ა: ესე აქა გორცითა გამოსახული მგართა ზედა ეტვრთა:
 ზარზმ. 166, 35; 152, 32.

დგა იგი მრავლითა ოფლითა და ეტვრთა მგართა თვსთა-
 ზედა [ლეღუ]: საბა 12, 11; 13, 5; 11, 35.

ჰ-კიდ-ავ-ს

ეს ზმნა აწმყოს თემის საწარმოებლად ორ სუფიქსს იყენებს:
 ერთია -ავ, რომელიც საერთოა მოქმედებითი და საშუალი გვარი-
 სათვის, და მეორეა -ებ მოქმედებითისა და ვნებითის ფუძის სუ-
 ფიქსი, რომელიც საბოლოოდ დამკვიდრდა ამ ზმნაში ახალ სალი-
 ტერატურო ქართულში.

აწმყო: დამო-ჰ-კიდ-ავ-ს, შდრ. I თურმ. დამო-გ-ი-
 კიდ-ავ-ს: შარავანდელნი ეგე... დამოგვიკიდვან: კიმ. I,
 46, 28.

აღ-ი-კიდ-ებ-ს: აღ-ცა-იკიდებდეს [იგინი] სნეულებსა სარეცლებითა:
 არიმათ. 55, 63.

სტატიკური, აწმყო

ჰ-კიდ-ავ-ს: თითოეულსა მათსა შესასწავებლად მგარსა თვსსა ჰკი-
 დავ-(ს) ძუალი ბილოჲსაჲ: ზღაპრ. ელენტ. 31,5; 16,19;
 ექუს. დღ. 33,7.

ჰ-კიდ-ავ-ნ: და გუადრუცი იგი აქუნდა მას და შთასადებელი იგი მას ჰკიდავს: DE მთ 12, 6.

ენებითი, აორისტი

ე-კიდ-ა: და მოჰყვანდა და ეკილა მას თვისი იგი ჯუარი: C ი 19, 17; ასევე: წარტყუნ. კვ 32; იერუს. განჩინ. 85, 28.

ტვრთი დიდი შეშისაჲ ეკილა და სახიდ თვსად მიაქუნდა: ხანძთ. ნვ 33; ასევე: ჰავ. მასალ. 29.

ე-კიდ-ნ-ი-ან: სხუანი ეკიდნაჲნ ცერითა ფერტა მათთაჲთა: კიმ. II, 107, 36.

ჰკიდავს ფორმის გარდა შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო ჰკიდ-ი-ე-ს, მაგრამ ძველ ქართულში იგი არაა გავრცელებული. თანამედროვე დიალექტებიდან ძველი წარმოება ახასიათებს ხევსურულს: მას ფეკებზე ჰკიდავ კვეთა (წელიწოდ. 135, 27).

მ-ი-ძლ-ავ-ს

სახელადს ძალ-ს ემყარება ზმნის ძლ-ავ ფუძე, რომელსაც, სტატიკური ზმნების დარად, მარტო აწმყო და მონაცვლე ენიანი ენებითის აორისტი მოეპოვება. ამ ძალ-ისაგანვეა მიღებული მოქმედებითისა და ენებითის ფორმები -ევ სუფიქსიანი. აქედანვეა ზედსართაული სახელი ძლ-ი-ერ-ი, რომელიც გამოყენებულია ფუძელ მოქმედებითსა (გან-ა-ძლიერ-ებ: წარტყუნ. მწ 28) და ენებითში (გან-ძლიერ-დ-ებ-ი-ს: ხანძთ. ჯა 10).

-ევ სუფიქსიანი ფორმები აორისტში შემდეგს თავისებურებას ამჟღავნებენ: თემატური -ევ სუფიქსი ხან გადაყოლილია დრეკადობის სახით: ვსძლ-ი-ე (← ვსძლ-ი-ე-ე), ვიძლ-ი-ე, ხან მოქმედებითში სრულებით არა ჩანს და ეს უფრო ხშირია. შესაძლოა ამ შემთხვევაში აწმყო სხვა სუფიქსს შეიცავდეს:

აწმყო

მოქმედებითი: ს-ძლ-ევ-ს: სულნელებაჲ სძლევს პორფირსა სამეუფოსა: ანტიოქ. 113, 34.

ენებითი: ე-ი-ძლ-ევ-ი: არა უწყვი, რაჲ მიუგო, რამეთუ ვინაჲთვე კერძო გიძლევ: წარტყუნ. ნვ 10.

წყვეტილი

ს-ძლ-ი-ე: სძლიე მით კეთილითა ბოროტთა: ბოლნ. 25; კიმ. I, 200, 18.

ს-ძლ-ი-ა: სძლია მას დღესა ჯუარით მოქაღულმან მოწაფემან: ურპ. 343, 10.

ი-ძლ-ი-ე: იძლიე და სირცხვლეული დაემკვდრე მათ მიერ: წარ-
ტყუნ. მთ 8.

შდრ. ს-ძლ-ე: ხოლო შენ არაა იძლიე, არამედ სძლე მსაკუფარ-
სა მას: სასულ. სმგ 84; ტიე 225; რლზ 40; რკე 130.

ს-ძლ-ო: მათ ყოველთა სძლო სიმდაბლემან: ხანძთ. 5ზ 9; ასევე:
სახისმეტყ. ბ 21; ჰაბო 74, 7.

საშუალი გვარი სასხვისო ქცევით იხმარება და სხვაგვარად
შეუძლებელიცაა. შემთხვევითი არ არის, რომ ძველ ქართულში
მიძლავს, ამ ორგანული წარმოების ზმნის პარალელურად, აწმყო-
სა და აორისტიში არცთუ იშვიათად გვაქვს აღწერითი ფორმები
ამავე სახელადი ფუძისაგან:

ა წ მ ყ ო

გიძლავს შესუმად სასუმელისა მის?.. — გვძლავს: C მთ 20,22.

შდრ. ძალ-გიც-ა შესუმად სასუმელი?.. — ძალ-გვც: DE იქვე.

ა ო რ ი ს ტ ი

ძალ-ედგ-ა: ვერცა ძალ-ედგა სივლტოლაჲ: ანტიოქ. 64,9.

ს ა შ უ ა ლ ი, ა წ მ ყ ო

გ-ი-ძლ-ავ-ს: გიძლავს შესუმად სასუმელისა მის?—C მთ 20,22.

გიძლავს თუ რაჲმე, შეგუეწიე ჩუენ: C მრკ 9, 22.

უ-ძლ-ავ-ს: შესულებულ არს და მით ვერ უძლავს სიტყუად: კიმ.
I, 144, 24.

ა ო რ ი ს ტ ი, ე ნ ე ბ ი თ ი

ე-ძლ-ო: სნეულებაჲცა შეემთხუა და ვერ ეძლო თავისა თვისისა მსა-
ხურებად: ხანძთ. ლმ 17.

ვერ ეძლო გულის-ჴმის ყოფად; ანტიოქ. 134-21, 111,22;
112, 29.

წმიდაჲ მაქსიმე უძლურებასა შინა დიდსა იყო, ვერ ეძლო
ვერცა კარაულსა ზედა ჯდომაჲ: კიმ. I, 94,2.

პერპანსივის უძველესი -ი სუფიქსიანი ფორმა, რომელიც
ქართულში შემდეგ -ებ სუფიქსიანით შეიცვალა (უძლის → უძლებს),
ძველ ქართულში უკვე იშვიათია: ვინ უძლის სახლსა ძლიერისასა
შესვლად: C მთ 12,29.

ჰ-ხილ-ავ-ს

ძველ ქართულში ხ-ელ → ხ-ილ ფუძისაგან აწმყოს ფორმები შედარებით იშვიათია, ვიდრე მეორე სერიისა. აწმყოში ჩვეულებრივია ხ ე ლ ა ვ ფუძე (საგულისხმოა ამ მხრით თუნდაც გამოთქმა: ხედვით ჰხედავდენ და არა იხილონ... მრკ 4, 12). ხილაჲ სინონიმია ხედავ ფუძისა.

მოქმედებითი გვარიც -ავ სუფიქსიანია, რომელიც, როგორც წესი, კაუზატივშიც და ვნებითშიც გადაჰყვება სათანადო ცვლილებით.

მოქმ. აწმყო: ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ წმიდად გრიგოლ: ხანძთ. ზ 40.

ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან: მთ 11, 5.

კაუზატივი წყვეტილი: განთიად მოახილვა ყოველი სანახები: ხანძთ. ო 64.

ვნებითი აწმყო: წვალებად მათი თუს-თუსად იხილვების: ხანძთ. ოე 24.

წყვეტილი: ვითარცა განთენა, იხილვა დავსებულად კანდელი იგი: ზარზმ. 166,14.

საშუალი გვარის ხილაჲ ფუძისგან სასხვისო ქცევის ფორმაც იწარმოება, ორივე მათგანი მარტო აწმყოს აწარმოებს. ძნელი დასაშვებია, რომ იხმარებოდეს ნამყო უწყვეტელში.

აწმყო

ჰ-ხილ-ავ-ნ: ძოწეულის ფერ არს, ვითარცა ძოწეული...შავად ჰხილავნ თუალი იგი: თუალთ. 32.

ამავე ფუძის სასხვისო ქცევის ფორმას—უ-ხილ-ავ-ს—(‘უხელია, გახელილი აქვს’) სტატიკური ზმნის თვისება აქვს: იხმარება უპრევერბოდ აწმყოში, აორისტში თავისი ფუძის ვნებითი ენაცვლება: ეხილა.

აწმყო

უ-ხილ-ვ-ედ: რაჟამს სძინავნ, მღუძარო არიედ თუალნი მისნი, რამეთუ ზო უხილვედ: სახისმეტყ. ბ 47.

§ 7. -ოვ სუფიქსიანი ზმნები

-ოვ ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული თემატური სუფიქსი უნდა ყოფილიყო. ძველ ქართულში. მაგრამ რიგ შემთხვევებში

ფუძეს შეხორცებია და ამიტომ მეორე სერიის ფორმებშიც გადა-
ყვება: ს-თხ-ოვ-ს, ს-თხოვ-ა; წ-ოვ-ს, წოვ-ა; ქს-ოვ-ს, ქსოვა...

-ოვ ელემენტის გამოყოფას შესაძლებელს ხდის მისი უგულე-
ბელყოფა წარმოებულ ფუძეებში: ქს-ოვ-ს, მაგრამ ქს-ელ-ი; ი-გლ-
ოვ-ს, სვან. ლი-გუნ-ი; მეგრ. ნ-გარ-ა¹.

-ოვ სუფიქსს, ეტყობა, საინტერესო ისტორია აქვს. ძველ
ქართულ სასაუბრო ენაში იგი უთუოდ ცოცხალი იყო და ამიტომ
პეტრიწის ენაში მისი გამოყენებაც შემთხვევითი არაა². ოლონდ
ეს კია, რომ პეტრიწი ცდილობს ამ სუფიქსს ფართო არე მოუპო-
ვოს და უკიდურესობამდე მიდის: მას იქაც ხმარობს, სადაც ის-
ტორიულად არ იყო მოსალოდნელი: ჰ-შუენ-ო-ი-ს (პეტრიწი, II,
87, 12) და სხვა.

სათქმელია, რომ ქონების -ოვან სუფიქსში, რომელიც და-
იშლება -ოვ+ან ელემენტებად, ეგვეე -ოვ გვექონდეს (შდრ. ოს-ან).

-ოვ სუფიქსი რატომღაც საბოლოოდ ვერ დამკვიდრდა ქარ-
თულში და ამდენად ვერც გავრცელდა. მის ბაღლად (და ზოგან
მის ადგილასაც) საყოველთაოდ -ობ ბოლოსართია გამოყენებული
(შდრ. მაგალითად, ძვ. ფიცხ-ოვ-ი-ნ, ფიცხ-ო-ოდ-ის: ტიბიკ. 41,31
და ახალი ფიცხ-ობ-ს).

ეს ეხება როგორც სალიტერატურო ენას, ისე დიალექტებსაც,
თუმცა ფშაურში მის კვალს აქა-იქ კიდევ იპოვის კაცი:

... მთვარე კი ჯერ არსადა ჩანს,

არ და გვნათოის თავზედა, ვაჟა „ღამე მთაში“: დაგ-
ვნათ-ო-ი-ს ← დაგვნათ-ოვ-ი-ს.

-ოვ სუფიქსი აწმყოს თემის საერცობად მოუღის საშუალი გვა-
რის ზმნებს. ზოგ მათგანს, კერძოდ: ნასახელარს, -ოვ სუფიქსი გარ-
თულებული აქვს -ი ბოლოსართით: პერ-ოვ-ი და სხვ. რაც მეორეუ-
ლია. ამას ადასტურებს აჯს-ოვ-ს და ი-გლ-ოვ-ს ზმნები, სადაც -ი
არასოდეს არ ყოფილა.

ყველა აქ განხილული ზმნის საერთო დამახასიათებელია
დრონაკლობა: აწარმოებენ მარტოოდენ პირველი სერიის ნა-
კვთებს, მაგრამ მათ შორის ფუძის წარმოების პრინციპით გან-
სხვავებაცაა: აჯს-ოვ-ს უპირისპირდება -ენ სუფიქსიან ა-ჯს-ენ-ა
ფორმას. ნასახელარ ცრემლ-ოვ-ი და მისთანებთან კი ეს შეუძლე-
ბელია. ამიტომ ყველა -ოვ სუფიქსიანი ზმნა პირობით შეიძლება

¹ ვ. თოფური, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის; ტფ. უნ-ტის
შრ., III, 1936, გვ. 233.

² იოანე პეტრიწი, შრომები, I, 1940, გვ. L V.

ორ ჯგუფად გაიყოს. საერთო მათ შორის ისაა, რომ სუფიქსისე-
ული -ვ- შეიძლება დაიკარგოს, როგორც ხმოვანთა შორის (პერ-
-ოვ-ი-ნ || → პერ-ო-ი-ნ: DE მრკ 9, 18), ისე უმისოდაც: გაჯსოს
(C მთ 16,9) და პრევერბი ერთობ იშვიათად დაერთვიეთ.

პირველ ჯგუფს შეადგენენ ზმნები, რომელთაც ძველ ქარ-
თულში მოქმედებითი და ვნებითი გვარი სხვადასხვა ფუძით აქვთ
ნაწარმოები.

ა-ვს-ოვ-ს

უქცეოა, პირველ სერიაში იწარმოება, ვერ იგუებს პრევერბს.
-არა აქვს აორისტი და არც საჭიროებს მას თავისი განსაკუთრე-
ბული სემანტიკის გამო.

აწმყო

- მ-ა-ვს-ოვ-ს: ვინაჲ შავსოვს გუშინდელი იგი: ზარზმ. 164, 7.
გ-ა-ვს-ოვ-ს: და მემცა გლახაკი მარადის გაჯსოვ: ხანძთ. ობ 62.
გ-ა-ვს-ოვ-ს: გაჯსოვსმცა დღეშ იგი საშინელი: წარტყუენ. ზ 25.
არა გაჯსოვს-ა, რად- იგი წერილ არს: რაეახ. 96, 18;
ქრესტ. 18, 22; კიმ. 37, 11; ანტიოქ. 106, 3.
გ-ა-ვს-ოვ-თ: გაჯსოვთმცა მარადის წმიდათა შინა ლოცვათა შენ-
თა: ხანძთ. ლ 66.

უწყვეტილი

- ა-ვსოვ-დ-ა: რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებელად აჯსოვდა: ხანძთ.
ლგ 9.
ხოლო წმიდამან მაქსიმე მიუთხრა, რაოდენიცა აჯსოვდა:
კიმ. I, 71,21.
მოქმედებითს -ენ აწარმოებს, რომელიც ვნებითშიც გადა-
ყვება. აქ, რასაკვირველია, საერთო წესით სხვადასხვა პრევერბი
და მაქცეუარი შეიძლება იქნეს გამოყენებული. კვლავ ყურადღებას
იქცევს ვნებითის უპრევერბო აორისტი, რაც ორ-სამგან ზემოთაც
შეგვხვდა, მაგრამ ძველ ქართულში საერთოდ ძალიან იშვიათია.

მოქმედებითი, აწმყო

- მო-ა-ვს-ენ-ებ-ს: და მოაჯსენებს მერმისასა: ბოლნ. 41.
მო-ე-ი-ვს-ენ-ებ-თ: აწ მოფიჯსენებთ ვნებათა მისთა: იაკობ. ლთ 10

წყვეტილი

- ა-ვს-ენ-ა: აჯსენა ეგვპტით გამოყვანებაჲ მათი: კიმ. I, 92,15.

ენები თი, აწმყო

ი-ქს-ენ-ებ-ი-ს: რომელი საღმრთოთა წიგნთა იქსენების: სახისმეტყ-
იზ 39.

წყვეტილი

მო-მ-ე-ქს-ენ-ა: ძმანო ჩემნო, მომეტსენა მეცა: სპევს. 331, 44.

მო-ე-ქს-ენ-ა: მოეტსენა სიტყუაჲ პავლე მოციქულისაჲ: საბა 6, 35.

ე-ქს-ენ-ა: ეტსენა ურჩებაჲ და სიშიშულს ადამისი: კიმ. I, 16,23;
105,10; 212,14.

თემატური -ებ სუფიქსის დართვა გვიანდელია. თავდაპირვე-
ლი წარმოებით ფუძე შემონახული გვაქვს პერმანსივში და მისგან
ნაწარმოებ უწყვეტელში¹: მოგი-ქსენ-ოდ-ი²: სპევს. 335,81.

მეორე ჯგუფს შეადგენენ -ოვ სუფიქსიანი ნასახელარი ზმნე-
ბი; რომლებიც ძირითადად საშუალი გვარისანი არიან და აწარ-
მოებენ მარტო პირველ სერიას.

პერ-ოვ-ი-ნ

ნაწარმოებია სახელისაგან პერ-ი 'ქაფი, დორბლი'³. ცნობი-
ლია საშუალი გვარის აბსოლუტური ფორმები. სუბიექტური პირი
ყოველთვის მესამეა. -ოვ სუფიქსი უცვლელადაა დაცული მასდარ-
ში: პერ-ოვ-ა-ჲ: შთაყარნა ზლუად, რომელთაგან იქმნა პეროვაჲ
და პერულისა მისგან იშვა აფროდიტე: ზლაპრ. ელენტ. 46,88.
ხშირად უწყვეტელში სუფიქსისეული -გ- ხმოვნებს შორის იკარ-
გება⁴: პეროოდა: მრკ 9,20.

აწმყოში გამოვლენილი -ი სუფიქსი აქ მეორეულია და იგივე
ოდენობაა, რაც დგებ-ი-ხ და მისთ. ზმნებშია. წარმოშობით იგი
ყოფ-ი-ხ ზმნის -ი არის.

აწმყო

პერ-ოვ-ი-ნ: სადაცა დააპყრის იგი, დააკუეთის და პეროვინ: მრკ 9,18-

¹ ფაქტებზე მიუთითა და ახსნა არნ. ჩიქობავამ: პერმანსივის („ხოლ-
მეობითის“) ისტორიული ადგილისათვის... გვ. 96.

² ნ. მარს უცნაურად ეტყვნებოდა ასეთი ფორმების ხმარება ამ ადგილ-
თ. აღნიშნული ტექსტის გამოცემის წინასიტყვაობა: ВВРАО, XVII, 2, СПБ,
1906, გვ. 316.

³ ახალ ქართულში საშუალი გვარის ფუძე აღარ იხმარება, მოკმედებითი—
ხმარებაშია (შდრ. ზემოიშვრული მოპერავს 'მოქაფავს').

⁴ გინაიდან ძველ ქართულში აწმყოში სხვა ფუძე ცნობილი არაა, ამიტომ
ლატსუსად მიგვაჩნია პეროდა (ათონ. ხელნაწ. 79,143. ასევეა DE მრკ 9,20
ხელნაწერში).

უწყვეტელი

პერო-ოდ-ა: დაეცა იგი ქუეყანასა ზედა, გორვიდა და ბეროოდა:
მრკ 9,20.

გარდამოაგდო ენაჲ განსიეებული, საშინელთა პეროოდა და
გორვიდა: ზარზმ. 170,28; ასევე: ანტიოქ. 83,18.

პერო-ოდ-ეს: მოვიდეს მისა მრავალნი ეშმაკეულნი... რომელნი
პეროოდეს: კიმ. I, 237,8.

ცრემლ-ოვ-ი-ნ

სტატიკური ფუძით ვიცნობთ ამ ზმნასაც. მოეპოვება რო-
გორც სუბიექტური, ისე ობიექტურპირიანი ფორმები. ახალ ქარ-
თულში მის ადგილზე იცრემლებოდა იხმარება.

აწმყო

ვ-ცრემლ-ოვ-ი: ვცრემლოვი შიწითა: იობ. 3.24.

ცრემლ-ოვ-ი-ნ: მოვალნი იგი მისა, თაყუანის სცემნ, ტირს და
ცრემლოვინ: ბოლნ. 50.

უწყვეტელი, ხოლმეობითი I

ცრემლო-ოდ-ა: ქრისტეცა მაშინ ერსა მას ზედა ცრემლოოდა:
იპოლ. 13,29.

ცრემლოვოდა და ეტყოდა: კიმ II. 148,17.

დიდად იგლოვა, ცრემლოოდა ვითარცა მქსნელი: ზარზმ.
172,29.

ძმაჲ იგი ტირილისა მისგან ცრემლოდა (sic) მწარედ:
ათონ. ხელნაწ. 85, 150.

გ-ცრემლო-ოდ-ა: გეგლოვდა შენ და, ვითარცა კაცსა განწირულ-
სა, გცრემლოოდა: სასულ. ხიზ 272.

ცრემლო-ოდ-ი-ს: ვინ-მე არა იგლოვდეს და ცრემლოოდის მიუწუ-
ლოძელსა მას და აღრაცუნელსა ტანჯვასა: წარტყუნ. 1.

როგორც აღვნიშნეთ, ნამყო უწყვეტელში სუფიქსისეული ო
ხმოენის დაკარგვა შემთხვევითია. -ოვ მასდარში აქაც უცვლელა-
დაა დაცული: იწყო ცრემლოვად¹: კიმ. I, 227,24. ერთ შემთხვე-
ვაში გვაქვს შიშობილებითი ბრუნვის ცრემლვად ფორმაც: იწყო
დედაკაცმან მან ცრემლვად¹: კიმ. I, 218,7. მაგრამ აქ შესაძლე-
ბელია -ოვ სუფიქსის დიალექტურ მონაცვლედ -ავ ყოფილიყო გა-
მოყენებული: ცრემლ-ავ-ს. საგულისხმოა, რომ ნამყო უწყვეტელში
ცრემლ-ევ ფუძეა ამოსავალი: ვითარცა იხილა იგი წმიდამან თე-
ოდოსია, ცრემლევოდა იგიცა: კიმ. I, 149,15.

¹ ამის გვერდით ძველ ქართულში შეინიშნება ახალი წარმოქმნილი ერთე-
ულიც ცრემლ-ოვ-ან-ებ-ა: იყო ტირილი დიდი და ცრემლოვანებაჲ: კიმ. II, 82,11.

ამგვარად, ცრემლვად ფორმა შეიძლებოდა მოეცა ცრემლავ ფუძეს. საზოგადოდ, ისიც უნდა შეინიშნოს, რომ -ოვ და -ავ სუფიქსებს შორის გარდაუვალი ზღუდე არ არსებობს და გარკვეულ შემთხვევებში ორივე მათგანი ერთისა და იმავე ძირის საწარმოებლადაც დასტურდება: შდრ. ძველი ქართული ტ-ევ: (დაუ-ტივ-ებ), გურული დაუტ-ი-ა (← დაუტივა) და ახალი ქართული ტ-ოვ: დაუ-ტოვ-ა. ერთი და იმავე ტ ძირისაგანაა წარმოქმნილი სხვადასხვა ფუძეები.

გლ-ოვ-ი-ს

ამ ფუძეში -ოვ სუფიქსის გამოყოფა დღეს იმდენად ნათელი აღარა ჩანს, რამდენადაც, მაგალითად, ჰერ-ოვ-ი-ნ ზმნაში, მაგრამ ქანურ-მეგრულის სათანადო მონაცემებთან მისი შედარება ასეთ გამოყოფას უდავოს ხდის¹.

მნიშვნელობის მხრით ახალ ქართულში ამ ზმნას ძველთან შედარებით ცვლილება თითქმის არ განუცდია. ცვლილება მოხდა ფუძის აგებულებაში: ხმარებიდან გამოვიდა ძველი გლოვ ფუძე, დამკვიდრდა და გავრცელდა მისგან ნაწარმოები გლოვ-ობ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გლ-ოვ-ი-ს → გლ-ობ-ს უკვე ძველ ქართულშიც იშვიათია.

ა წ მ ყ ო

ვ-გლ-ობ-ს: ვტირ და ვგლოვ ქალაქისა მის-თვს: წარტყუნ. დ 9.

ამის ნაცვლად ძველ ქართულში ჩვეულებრივია უკუქცევის მნიშვნელობით ი-გლოვ-ს და აგრეთვე რელატიური ე-გლოვ-ს.

ა წ მ ყ ო

ვ-იგლოვ: ვიგლოვ საწუთოსა ცხორებასა: იოვ. დამასკ. 147,5.

ი-გლოვ-თ: რაჲსა მწუხარე ხართ, მნათობნო, ანუ ვისთვს იგლოვთ? სასულ. სჯბ 130.

ე-გლოვ-ნ: ტირნ და ეგლოვნ მათ-თვს წმიდაჲ: კიმ. I, 105,31.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ი-გლოვ-დ-ა: დედაკაცი... გლოვითა ულხინელითა იგლოვდა მწარედ: ანტიოქ. 127,7.

ე-გლოვ-დ-ა: ეგლოვდა. ძესა თვსსა ჯუარცუმულსა: სასულ. კ VIII. ილოვდა და ეგლოვდა ზმნებში თემატური -ოვ ნიშანი ფუძეს შეეხორცა, იბოლოსართი დაიკარგა. ნაშთის სახით

¹ იხ. არნ. ჩიკობავა, ქან.-მეგრ.-ქართ. შედარ. ლექსიკონი, გვ. 259.

იგი იშვიათად ასეთ ფუძეშიც დასტურდება: *ვ-ი-გლ-ო-ვ-ი→ვ-ი-გლ-ო-ი: ცოდვილ ვარ და ვიგლოი და ვინანი ცოდვათა ჩემათაჲს: კიმ. I, 57,7.

აღწერილი ფუძე ძველ ქართულში მარტო აწმყოს წყებას აწარმოებს. თუმცა ტექსტებში უკვე შეინიშნება, ანალოგიურად სხვა ზმნებისა, მედიოაქტიური ფორმების მონაცვლება-სესხება ნამყო წყვეტილში. გვაქვს ასეთი პარადიგმი: ი გ ლ ო ვ ე ბ ს — ი გ ლ ო ვ ა ¹.

წყვეტილი

ი-გლოვ-ა: იგლოვა იგი ყოველმან ერმან ჰრომისამან: კიმ. I, 132,18.

დიდად იგლოვა, ცრემლოოდა ვითარცა მესნელი: ზარზმ. 172,29.

მალლ-ოვ-ი ნ

ემყარება მალალ სახელს, რომელშიც თავისი მხრით აღ-ზმნისწინი გამოიყოფა ამოსავალ ფუძედ². სტატიკური ფუძე -ოვ სუფიქსით იწარმოება, დინამიკური კი -ებ სუფიქსიანია: ადვამალ-ღ-ებ-თ: სასულ. როვ 204; ვნებითი დ სუფიქსით გამოიხატება: აღ-მალღ-ღ-ებ-ი-ს: სასულ. კე VII.

აწმყო

ჰ-მალღ-ოვ-ი: რაჲსა-თჲს ჰმალღოვი და ჰქადაგებ ამას: ბოლნ. 53.

მალღ-ოვ-ი-ნ: სიყუარულისა არაჲ შურნ, არა მალღოვინ: ბოლნ. 60.
ნუ ვინ ჩუენგანი ქედ მალღოვინ გლახაკისა მიმარა: მრავალთ. 316, 1.

კავშირებითი I

ვ-მალღო-ოდ-ი-თ: არა ვმალღოოდით დღე-კეთილობისათჲს: ექუს. დღ. 77,20.

მალღო-ოდ-ენ: მდიდართა... ამცენ, რაჲთა არა მალღოოდენ: ტიმოთ. I, 6,18.

ძველ ქართულში სტატიკური ფორმები ხშირი აღარაა. საფიქრებელია, რომ იგი გადავარდნის გზას ადგა და აღწერითი ფორმები ვრცელდებოდა. შეინიშნება ასეთი აღწერითი ფორმაც: რომელი წინაშე კაცთა მალღოვ არს, პილწ არს: C ლკ 6,15.

¹ საეკეოა, რომ გავრცელებული ყოფილიყო ძველ ქართულში იგლო ფორმა: შდრ. იყო აღსრულებად მისი თა მარტსა თორმეტსა და იგლო იგი ყნ ერმან: ჰაგ. მასალ. 78.

² არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 26.

მდიდრ-ოვ ი-ნ

ძალიან იშვიათი ხმარებისაა. დადასტურებული გვაქვს ნამყო უწყვეტელში. ახალმა ქართულმა ეს საინტერესო ფორმა დაკარგა. ძველ ქართულში სამივე გვარი ორგანული წარმოებისა იყო: მდიდ-როვინ, ამდიდრებს, მდიდრდება.

უწყვეტელი

მდიდრო-ოდ-ა: არა თუ ქუეყნიერთა და ქუემეთრეეთაგან მდიდ-როოდა, არამედ ... ყოველთა ერეოდა: ზარზმ. 154,7.

ლალ-ოვ-ი-ნ

ეს ზმნაც იშვიათია¹. სტატიკურს გარდა გვხვდება დინამიკუ-რიც განლაღნების; შდრ.: განლაღნა დაბადებულთა თვსთა ზედა: ოქროპ. 278.

აწყყო

ჰ-ლალ-ოვ-ი: ნუ ჰლალოი შენ შორის მყოფისა მაგის სიბრძნისა: დამასკ. 159,4.

ბუტკ-ოვ-ი-ნ

სახელი ბუტკო განმარტებული აქვს საბას: ბუტკო — 'რა დაიყუავილოს და ხილი აღმოჩნდეს'. აქედან ნაწარმოებია ძველ ქართულში ზმნა ბუტკოვინ. ერთვის მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი.

აწყყო

გამო-ბუტკ-ო(ვ)-ი-ნ: რაჟამს რტონი მისნი დაჩიან (sic) და ფურ-ცელი გამობუტკოინ: C მთ 24, 32 (შდრ. DE იქვე: ფურ-ცელი გამოვალნ).

უწყვეტელი

ბუტკო-ოდ-ეს: სამნი რტონი ვარდისანი გამობუტკოოდეს: სპევს. 327,3.

წყარ-ოვ-ი-ნ

მეტაფორულადაა ნახმარი. ზოგჯერ ქცევის ფორმაც აქვს და ზმნისწინიც. მეტაფორული აზრით უხმარია შენდეგში ეს ფორმა პეტრიწს: უწყაროის მას ნათელი: II, 120,20.

¹ -ოვ II -ოზ სუფიქსები ამ ზმნაში ძველსავე ქართულში ყოფილა გამოყენებული, თუ ირიბმიძალთებიანი ფორმა სწორადაა ანოკითაული (ტექსტის ადგილი კარგ-დ არ იკითხებაო, შენიშნავს რედაქტორი): გლალოზდი მე თქვენ, რამეთუ თქვენ დიდებასა აგინებთ: თომას საბარბის აპოკრიფი, 36,75.

უწყვეტელი

აღმო-უ-წყარ-ო-ოდ-ა: ვითარცა მდინარე ედემისაჲ, აღმოუწყარო-
ოდა ოქრონაკადული პირით მისით: ზარზმ. 156,30.

თეს-ლ-ოვ-ი-ნ

ეს ზმნა თავისი წარმოებით ახალია, იყენებს თეს-ლ სახელის ფუძეს. უფრო ძველი ხმარების ზმნაში სახელის დეტერმინანტი სუფიქსი არ გადაყვება: თეს-ლ, მაგრამ თეს-ავ-ს. ასევეა სხვაც: წით-ელ: წით-ს, მაგრამ დასტურდება აქაც ახალი წარმოების წით-ლ-ოვ-ი-ნ.

თესლოვ-ი-ნ სტატიკური ზმნაა, უძველესი საგარაუდებელი ზ-თეს-ი-ე-ს (შდრ. ახალი ს - თეს - ი - ა, უ - თეს - ი - ა...) ფორმის ტოლფარდი ოდენობა. ასეთივეა ყველა ამგვარი ზმნის მნიშვნე-ლობა ძველ ქრთილში.

უწყვეტელი

თესლ-ო-ოდ-ა: ქრთილი წარმოდგომილ იყო და სელი თესლო-
ოდა: გამოსლ. 9,31.

§ 8. -ევ სუფიქსიანი ზმნები

-ევ სუფიქსიანი დრონაკლი ზმნები ძველ ქართულში შედა-რებით მცირეა. ეს სუფიქსი საზოგადოდ უფრო ხშირად მოქმედე-ბითი გვარის ზმნებთან გვხვდება. ძველ ქართულში იგი ერთ-ერთი და საკმარისი ბოლოსართი იყო კაუხატივის ფორმათა საწარმო-კბლად ა- პრეფიქსთან ერთად: ა-თქმ-ევ-ს, ა-რბ-ევ-ს და სხვა. ახალმა ქართულმა იგი გაართულა -ენ → -ინ + ებ ბოლოსარ-თებით: ა-თქმ-ევ-ინ-ებ-ს, ა-ნნ-ევ-ინ-ებ-ს... მაგრამ ზოგმა დიალექტ-მა (ხევსურულმა, გურულმა) კარგად შემოინახა არქაული სახე.

მეორე სერიაში -ევ სუფიქსს შინაგანი ფლექსია მოსდის და ძალიან ხშირად თანხმოვანი ვ იკარგვის, ასე რომ პირვანდელი (-ევ →) -ივ სახე თითო-ოროლა მაგალითშილა გვაქვს: მივეწივე: კიმ. 1, 24,12; დაილივნეს ჟამნი შენნი: ურპ: 322,5; რადთა არა ვიძლივნეთ: წარტყუნ. კთ 15. მაგრამ, მეორე მხრით: მეწინეს მე წყევანი: კიმ. 1, 149,25; ასევე: ხანძთ. მდ 15; თეკლ. 108,17.

ძველი ქართულის ასეთი ფაქტები, საფიქრებელია, დიალექტური სხვადასხვაობის მაჩვენებელი იყოს¹. შდრ. ერთი მხრით:

¹ ჯერჯერობით აქ არ ვხეხვით -ევ და -ავ სუფიქსების ისეთ მონაცვლე-ობას, როგორცაა ნამყო უწყვეტლის ვპრპინ-ევ-დ (შდრ. ვპრპინ-ავ) და ნამყო წყვეტილის დავიც-ევ (შდრ. ესც-ავ)...

არცა მას ვსწყევ: ხანძთ. ნვ 43, წყვეტილში: ვსწყევე მას: კიმ. I, 268,24, მაგრამ მეორე მხრით: დასწყიოს ღმერთმა: ეაჟა, V, 167.

სუფ-ევ-ხ

ეს ზმნა ძველ ქართულში *verbum subsistendi*-ს მნიშვნელობით იხმარება და ერთადერთია, რომ ნამყო უწყვეტლის წარმოება შეუძლია. იგი ნასახელარი ზმნაა, საერთო ძირი აქვს მე-უფ-ე, უფ-ალ სიტყვებთან, სადაც უ ძირს შეხორცებული პრეფიქსია¹. ამავე ძირისაა, როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, სახელი ხე-ფ-ე (სეფე კაცსა: ლკ 12,58).

სუფევს ზმნის გამოყენება პირველი სერიის (აწმყოს წყების) ნაკეთების საბოლოო ჩამოყალიბების პერიოდს განეკუთვნება. მას აორისტის ფუძე არა აქვს და, როგორც ნასახელარს, არც შეიძლება ჰქონდეს. შეუძლებელია და არც დასტურდება ძველ ქართულში ამ ზმნის მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები. ამ ზმნის სახით ძველ ქართულში გვაქვს ოდენსაშუალი ფუძე.

აწმყო

ჰ-სუფ-ევ: ჰსუფევ ზედა ყოველთა ცათა: სასულ. ტიდ 175; უზ 79; სმვ 149; კიმ. I, 285,8; იაკობ. დ 1; რავახ. 99,10.

სუფ-ევ-ს: სუფევს შორის კაცთა დიდებული დღე... სასულ. ტიდ 175; 60 XIV.

ჰ-სუფ-ევ-თ: აწ ქრისტის თანა ჰსუფევთ: სასულ. უზ 46.

სუფ-ევ-ენ: ამის-თვს მათ თანა სუფევენ: სასულ. რლთ 90.

უწყვეტელი, კავშირებითი I, ბრძანებითი

სუფევ-და: ცხორებაჲ ჩუენ შორის სუფევდა: წარტყუნ. ლვ 30. ასევე: სასულ. სოთ 173; რმვ 97.

სუფევ-დე: სუფევდე სასუფეველსა მას შინა: კიმ. I, 39,32.

წ-ევ-ს

რამდენიმე ზმნა, მათ შორის წევს, დრო-კილოთა წარმოების მხრით იმით განსხვავდება სუფევს ზმნისაგან, რომ აორისტისათვის ვნებითის ფორმებს იყენებს: წევს—წვა. წ-ევ-ს ზმნაში ევ თემატურ სუფიქსად მიიჩნევა, თუმცა მისი გამოყოფა ქირს, რადგანაც იგი შეხორცებულია ძირთან, დატულია მასდარის ფუძეში: *წევ + ალ-ა → *წვ-ალ-ა → წოლ-ა, იგივე რჩება მოქმედებითშიც: ა-წვ-ენ-ს.

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ., § 96, გვ. 225.

ამ ზმნის პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმები თითქმის არ გვხვდება. დასაშვებია, რომ პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმები უზმნისწინოდ აორისტში ფორმალურად მსგავსია აწმყოსი: ვწვე — ვწვე(ი). მრავლობითის მესამე პირში გამოვლენილი -ან სუფიქსი სავარაუდოა ძველ ქართულშიც: წვ-ან-ან. სტატიკური ზმნები არც ერთ ნაკვეთში ზმნისწინს არ იკუთვს, დინამიკური ფორმები კი ზმნისწინიანიცაა და უზმნისწინოც.

ა წ მ ყ ო

წ-ევ-ს: ესე არს მამაჲ არსენი და ესევეითარსა ზედა წევს: ჰაგ. მასალ. 30.

წარვედ აღგილსა მას, სადა ლომი წევს: კიმ. I, 305,23.

წ-ევ-ნ: ქუეყანასა ზედა წევნ: ქართ.-სომხ. ლიტ. ურთ. 62,15.

ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

წვ-ი-ს: ბზესა ზედა ინგორის და ზმ უკუნ წვის: სახისმეტყ. იმ 8.

ძ-ევ-ს

-ვე სუფიქსიანი ზმნებში განვიხილავთ ძ (←ღ) ძირისაგან წარმოებულ სამ ერთეულს — ძევს, აძევს, უძევს. ამ ფორმებში სასხვისო ქცევისა და საზედაოს პრეფიქსები თემისეული სუფიქსის ხმოვნის რედუქციას იწვევენ: ა-ძ-ევ-ს → ა-ძ-ე-ს → ა-ძ-ს; უ-ძ-ევ-ს → უ-ძ-ე-ს → უ-ძ-ს; შემდეგ ძს კომპლექსი ც-დ იქცა: ა-ძს → ა-ც, უ-ძს → უ-ც. დღესდღეობით ძველი ვითარება შემონახული ჩანს ქიზიყში, სადაც იხმარება აძე: ქვა და ხვინქა ზედ აძე¹.

ძეს სტატიკური ფორმაა, რომელსაც საზიარო ძირი აქვს ვ-ღ-ებ ზმნასთან. თავდაპირველი ღ გაათრიკატდა ე ხმოვნის წინ². გარდამავალი საფეხური დასტურდება სვანურში: ზი, ზგსღწაღა! 'ძევს, იღვა'.

ძევს ზმნა ჰგავს წევს იმით, რომ ზმნისწინს არ ირთავს, მაგრამ განსხვავდება აორისტის წარმოებით: ძევს პრეფიქსიან ვნებითს იყენებს: ძევს — იღვა; წევს კი უფრო ძველ სახეობას: წევს — წვა (შდრ. ახალი ქართული იწვა). თვით ძეს ზმნისაგან ნაწარმოებ ქცევის პრეფიქსიანი ფორმებშიცაა განსხვავება: აძევს → აც და უძევს → უც იშვიათად დაირთავენ ზმნისწინებს, აორისტში ორივე იყენებს ეღვა ფორმას.

¹ ს. შენ თე შ ა შვი ლ ი, კიზიყური ლექსიკონი, გვ. 294.

² და არა პირიქით, ძ იყოს პირველადი და აქედან ძვ → ღვ, როგორც ამას ნ. მ ა რ ი აღნიშნავდა (I'p'amm., § 188, გვ. 155).

ძეს ძველ ქართულში უფრო ხშირად არაცოცხალი საგნის (მესამე პირის) მიმართ იხმარება¹. იშვიათად დასტურდება პირველ პირში, ამ შემთხვევაში გაგებაც რამდენადმე თავისებური აქვს.

ა) უქცეო ფორმები

აწმყო

ვ-ძ-ე: ვძე მე შიშუელი: იაღვ. 111.

ძ-ე-ს: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ? C მრკ 5,7.

ყრმაჲ, ჩემი ძეს სახლსა შინა ჩემსა დაქსნილი: მთ 8,6.

ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს: მთ 3,10.

ძ-ე-ნ: ბზმ ძენ: სახისმეტყ. იმ 5.

აორისტი

ი-ღ-ვ ა: სიღედრი სიმონისი იღვა სიცხითა: C მრკ 1,30; მთ 9,2.

ბ) მაქცევრიანი ფორმები

აწმყო

ა-ც: სხუჲ სამარადისოჲ სახმ აც [ვაჰანაკრასა]: სახისმეტყ. კ 24.

უ-ც: არა რაჲ სასჯელი უც პირუტყუთა და მფრინველთა თანა: სახისმეტყ. ით 49.

აორისტი

ე-ღ-ვ-ა: ჯაქვ... ეღვა ქელსა მისსა: შუშ. 29,25.

§ 9. -ან სუფიქსიანი ზმნები

-ან სუფიქსი ქართულში ზმნური თემის საწარმოებლად ისე ფართოდ არაა გავრცელებული, როგორც სხვა სუფიქსები. მის ხმარებას რამდენადმე თავისებურებაც ახასიათებს: ის შეიძლება გექონდეს სხვადასხვა ზმნასთან როგორც აორისტის ფუძეში (იც-ან...), ისე აწმყოს ფუძესთანაც.

-ან სუფიქსიანი დრონაკლი ზმნები საერთოდ ცალკე ანალიზის საგანი არ ყოფილა, მაგრამ -ან სუფიქსის შესახებ იყო გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრება. ნ. მარის მიერ -ან სუფიქსი სამთანხმოენიანი ძირის ერთ-ერთ ელემენტად იყო გამოცხადებული ყვწ, ქვწ ფუძეებში (იგულისხმება მიიყვანს, აქუანს ზმნები): ყვ ძირი მესამე ძირეულ ელემენტს იღებს კაუზატივის ნიშნად². -ან ფორმანტის ძირეულ ელემენტად მიჩნევა, რასაკვირველია, არ იყო სწორი.

¹ რიცხვის წარმოების შესახებ ამ ტიპის ზმნებში იხ. აქვე.

² I'paaa., § 216, გვ. 179; § 218, გვ. 182.

-ან გამოყოფილი ჰქონდა ჯერ კიდევ ა. შანიძეს ჰ-გვ-ან-და, ჰ-ქონ-ღ-ა (← ჰ-ქვ-ან-და), ჰ-ყვ-ან-ღ-ა, ჩ-ან-ს ზმნებში¹.

-ან სუფიქსს, როგორც ზმნის უძველეს ბოლოსართს, რამდენიმე ზმნის ფუძის შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოყოფს ვ. თოფურია².

ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებული აქუს ფორმის ვარიანტების ისტორიულ შედარებითი ანალიზით -ან სუფიქსის გამოყოფა შესაძლებლად მიიჩნია არნ. ჩიქობავამ, რომელმაც დაადგინა ამ ზმნის უღლილების ძველი სახეობა³.

-ან სუფიქსიანი გარდაუვალი ზმნების და მათი ვარიანტის შესახებ მსჯელობაა ლ. კიკნაძის ნაშრომში: „ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში“⁴.

აქ აღწერილი დრონაკლი ზმნები, რომელთა ფუძეს -ან სუფიქსი აგებს, შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად. ერთ ჯგუფს შეადგენენ ის ზმნები, რომელთაც მხოლოდ აწმყო მოეპოვებათ და აორისტში ვნებითს ინაცვლებენ, ხოლო მეორე ჯგუფში შედიან ის ზმნები, რომლებიც აწარმოებენ პირველი სერიის ყველა ნაკეთს და მეორე სერიის ნაკეთები ჩვეულებრივ არა აქვთ.

დგ-ა-ს ← დგ-ან-ს

უმეტეს შემთხვევაში -ან ბოლოსართის -ნ ელემენტი აღარ ჩანს. რიგი ძველი ქართულისავე მაგალითებით (უპირატესად მრავლობით რიცხვში, შდრ. დგ-ან-ედ...) და ამავე ძირისაგან ნაწარმოები სხვა ფუძეების (დგ-ამ-ს, ა-დგ-ენ-ს...) შედარებით ირკვევა, რომ იგი ფუძის საწარმოებელ -ან სუფიქსს შეიცავს (დაწვრილებით — ქვემოთ).

ეს ზმნა აწმყოს წყებას ვერ აწარმოებს, ინაცვლებს აორისტში ვნებითის ფორმას. არ ირთავს ზმნისწინს. ქცევიანი ფორმები ცალკეა განხილული.

¹ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1922, გვ. 72; ქართული გრამატიკა, 1930, § 171.5, გვ. 180; შდრ. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 472, გვ. 426, § 559.

² ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, გვ. 490.

³ არნ. ჩიქობავამ, აქუს-ფუძის უცნობი ვარიანტებისათვის ძველ ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXX/1 b, 1947, გვ. 396 (შდრ. გვ. 381, შწე.).

⁴ თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXVIII, 1946, გვ. 163—177.

ა წ მ ყ კ

- ე-დგ-ა: ვდგა წინაშე შენსა: ურპ. 319,11.
 ს-დგ-ა: რასა სდგა, ბერო, უტყუად? კიმ. I, 291,11.
 მტკიცედ სდგა-ა? შუშ. 9,22.
 დგ-ა-ს: რომელი ესე დგას განშიშულებული საქიქებელად: თეკლ. 114; ასევე: სპეესიპ. 334,73; ხანძთ. კზ 12; წარტყუენ. ლდ 18.
 დგ-ა-ნ: დგან იგი ეკლესიასა ყოვლითა მოსწრაფებითა: ათონ. ხელნაწ. 35,68; იქვე, 36,70.
 მრავალქამ დგან ზეთი იგი ქურქერსა: თუალთ. 26; ასევე: წარტყუენ. იშ 2; იპოლ. 2,65; კიმ. I, 18,30; 235,4.
 ე-დგ-ა-თ: სასჯელსა ზედა ვდგათ: სპეეს. 333,66; ჰაბო 57,30.
 ს-დგ-ა-თ: რაჟსათჳს სდგათ თქუენ აქა... DE მთ 20,6.
 დგ-ან-ან: დედაჲ შენი და ძმანი შენნი დგანან გარე: მთ 12,47; ლქ 8,20; ასევე: იაკობ. ძგ 4; რიზ 6; კიმ. I, 27,2; წარტყუენ. გზ 29.
 დგ-ან-ედ: არა აქუნდა უბნობად ურთიერთას, არამედ შიშით დგანედ: ხანძთ. იზ 8; ასევე: თხრობა 30.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

- ე-დევ: ვდევ და ველოდე, რადთამცა გამოილო ყურძენი: იპოლ. 5,18.
 დევ: დევ, ძმაო, და დასცხერ: კიმ. I, 322,6.
 დგ-ა: ხოლო იგი... დგა და მოითმენდა: კიმ. I, 170,23; ასევე: ხანძთ. ხი 5; შუშ. 27; ზარზმ. 179,32; ჰაგ. მასალ. 29.
 ე-დევ-ფ-თ: ჩუენ ვდევით წმიდისა მის თანა: კიმ. I, 317,32.
 ს-დევ-ი-თ: რასა აქა სდევით დღე ყოველ ცუდად? C მთ 20,6.
 დგ-ეს: მათ მოეცვა კლდმ იგი და რომელნიმე დგეს მას ზედა: წარტყუენ. იე 15; ასევე: ევსტ. 88,28; სასულ. რთ 94.

ქ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II

- ე-დგ-ე: ზე ვდგე შენ წინაშე: ურპ. 319,18.
 დგ-ე: განუტყევე ეგე და მტკიცედ დგე: კიმ. I, 153,33.
 დგ-ე-ს: რადთა დგეს წინაშე საკურთხეველსა: იაკობ. რლა 3.

ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

- დგ-ი-ს: რაჟამს დაბერდის... მარხვად დგის: სახისმეტყ. იდ 8.
 დგ-ი-ან: კელ-განწყრობით დგიან დასსა თანა: ზარზმ. 174,23.

ვნებითის ფუძე, რომელიც -ებ სუფიქსით რთულდება, იღებს ყოველნაირ ზმნისწინს და აწარმოებს სხვადასხვა ქცევას, რის გამოც ლექსიკური მნიშვნელობაც ეცვლება. ვნებითსა და მოქმედებითს კავშირებით მეორეში სხვადასხვა სუფიქსები აქვთ, თუმცა შეინიშნება აღრევაც — მოქმედებითის სუფიქსი ჩანს ვნებითთან: რომელნი კუალთა შენთა შეუღგან: წარტყუნ. ლე 32. ასევე: იპოლ. 3,30; ლკ 19,43. ვნებითი, როგორც ცნობილია, -ერ სუფიქსითაც რთულდება და ამდენად მოქმედებითთან შეხვედრის შესაძლებლობა გამოირიცხება: დაადგრების (სასულ. კლ XIII) — და-ვ-ა-დგ-ერ (რავახ. 88,2).

აორისტის ფუძე სამივე პირისათვის არის დეგ. იგი უცვლელადაა წარმოდგენილი პირველსა და მეორე პირში, მესამე პირში საერთო წესით ფუძისეული ხმოვანი შეკუმშულია: დეგ-ა → დგ-ა. ურედუქციო მონაცემი დასტურდება ბრძანებითში: დეგ-ი-ნ. ძირად გამოყოფილია გ, ხოლო დ კლასნიშანია¹. ეგვევ გ ძირი უნდა გვეკონდეს სტატიკურ ზმნაში ჰ-გ-ი-ე-ს.

როგორც ვთქვი, აწმყოში გამოყენებული -ან ბოლოსართი არა ჩანს ორივე რიცხვის პირველსა და მეორე პირში და ნაცვლად მოსალოდნელი ვ-დგ-ან, ვ-დგ-ან-თ, ს-დგ-ან, ს-დგ-ან-თ ფორმებისა, გვაქვს ვ-დგ-ა და ძისთ. მესამე პირი პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს: დგ ან || დგ ა ს და დგ ა ნ ა ნ || დგ ა ნ ე დ.

-ან სუფიქსის სიძველეს მოწმობს: 1. მისი დაცვა მრავლობითის მესამე პირში: დგ-ან-ან || დგ-ან-ედ; 2. აქა-იქ შემონახული ფორმები მხოლოობითის მესამე პირში: დგ-ან-ნ, რომელშიც ბოლოკიდური -ნ მესამე პირის უძველესი ნიშანია; 3. გურულ კილოში შემორჩენილი წარმოება: დგ-ან-ა, უდგ-ან-ა („გარჩემა ჯარი უდგანა: ს. ჟღენტი, გურული კილო, 107,3), სადაც თემატური სუფიქსი თავის ადგილასაა, მესამე პირის ნიშანი კი, ანალოგიით სხვებისა, ცალკეა აღნიშნული; 4. დიალექტთაგან საგულისხმოა ზემოიშვრული კილოკავის დგ-ავ-ს ფორმაც დგ-ან ფუძის ანალიზისათვის; 5 -ან სუფიქსს უნდა ენაცვლებოდეს -ენ შემდეგს მაგა-

¹ ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: აკად. მოამბე, III, გვ. 966, 972; მისივე: დ თავართიანი ხმნები ქართულში: უნივერსიტეტის შრომები, XXV, 1943, გვ. 149.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც არაა ინტერესმოკლებული ნ. მარის მიერ დგ (აორ. ვ-დეგ) ფუძის დაკავშირება სომხურ *սկզի*-სთან (I' PAMM., გვ. 155).

ლითში: სადა ქ^ლ არა იქსენებინ და სახ^ლ ჯუარისაჲ ძისისაჲ (sic) არა ზედა ღგენ¹, იგი ჩუენ საყოფელ არს: კიმ. I, 191,9.

ამგვარად, ღგ-ან ზმნაში -ან სუფიქსი გამოიყოფა. შემდეგში ნ თანხმოვანი მოეკვეცა, მოეკვეცა იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ვერ გასძლო მეგრულ გვარებში², ქანურ ნაცვალსახელებში³, ქართულ დეტერმინანტებში (ძმა ← ძმ-ან)⁴. ამის შემდეგ სხვა არაფერი შეიძლება იყოს -ა ბოლოსართი ვ-ღგ-ა, ს-ღგ-ა ზმნებში, თუ არა -ან სუფიქსის ნაწილი.

ა-ღგ-ს ← *ა-ღგ-ან-ს

ფუძის აგებულებით ზემოგანხილული ზმნის მსგავსია. თემატური ნიშნისეული ხმოვანი აქ პრეფიქსისეული ა ხმოვნის გავლენით შეიკუმშა ისევე, როგორც აძევს → აც, ჯამს — უ-ჯმს და მისთ. შემთხვევებში ხდება⁵.

ნაკვთების წარმოების მხრით საზედაო და სასხვისო ფორმები განსხვავებას არ გვიჩვენებენ: აწმყო საკუთარი ფუძითაა, აორისტ-ში გამოყენებულია პრეფიქსული ვნებითი.

ა წ მ ყ

ა) მ-ა-ღგ-ს: გულსა მადგს და ვიგონებ: საბა 15,3.

ა-ღგ-ს: ... გარემოსლვაჲ გარემო აღგს ზღუდის სახედ: ხანძთ-კბ 20.

ა-ღგ-ნ: დედალსა არა აღგნ მუცელი: სახისმეტყ. იგ 20.

ბ) უ-ღგ-ს: ძალალი ძალი შეუღგს: ანტიოქ. 94,33.

მი-ღგ-ან: მიღგან მე ორნი ზუარაკნი: თეკლ. 117,20.

უ-ღგ ან: რომელსა ჯარნი არა უღგან: სინას ხელნაწ. 185,4.

¹ ამ ფორმით შეიძლება მეორე კავშირებითიც გვქონდეს (შდრ. ვიდრემდის ღგენ ნყოფი იგი ძელსა მას ზედა: იბოლ. 13,23. ღგ-ენ = იღგეს), მაგრამ აქ აწ-ძყოა: შდრ. სომხ. აწმყო; იხ. ქსარე ხ ქსაკაქარსქაქ. გვ. 719,17).

² ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი: ენაშვის მოამბე, I, 1937, გვ. 215.

³ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 72-73.

⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძე. აგებულება. § 45.

⁵ ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართულურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1946, I, გვ. 88.

აორისტი

ა. ე-დგ-ა: ჰეროდისას გულს-ეღვა მისი და უნდა მოკლავ. DE მრკ 6,19.

რომელსა იგი ჯელი განვმელ ეღვა: მრკ 3,3.

კაცი იყო, რომელსა... ეღვა... აგარაკი მცირს: დამასკ. 282,7; კიმ. I, 223,29; 105.21.

ე-დგ-ნ-ეს: ხუროდ თუმცა არა იყო, კაცთამცა ღმერთნი არა ეღვნეს: კიმ. I, 45,90; ასევე საბა 10 20.

ბ. უ-დგ-ა: მამასახლისი უღვა გუერდით მისა: კიმ. I, 38,17.

უ-დგ-ეს: რაქამს ქრისტს ნათელს იღებდა, ანგელოზნი თანა უღვენს: კოლ. წამ. 58,90.

როგორც ზევით აღინიშნა, აწმყოში ქცევის პრეფიქსის დართვისას მახვილმა მასზე გადმოინაცვლა და უმახვილოდ დარჩენილი თემატური სუფიქსის ხმოვანი დაიკარგა¹. რედუქციის გამო თავი მოიყარა რამდენიმე თანხმოვანმა, რასაც შედეგად მოჰყვა მთელი კომპლექსის დაყრუება, ჯერ ს-ს გეზობლად გ-სა, შემდეგ დ-სა: *აღვანს → *აღვნს → ადგს → ადქს → ათქს (კიმ. I, 51,32), ასევე უთქს (დამასკ. 26,15). გ-ს დაყრუება ხმოვანთა შორის სხვა მაგალითებიდანაც დასტურდება: განუდექით მცნებათა მისთა: ანტიოქ. 87,13.

ძველ ქართულში ძირითადად გავრცელებულია ებ სუფიქსიანი ფუძეები, თუმცა არაიშვიათია მარტაევი, არა ებ სუფიქსიანი, მაგრამ მსგავსი შინაარსის ფორმებიც, რაც, ჩანს, უფრო ძველია: განუტვევი ესე, რამეთუ ლალადებს და შეგვადგს ჩუნ: მთ 15,23. ასევე: ლქ 9,49; C ი 12,19.

მო-ს-დგ-ამ-ს

ქართულში საზოგადოდ ძალიან მცირეა -ამ სუფიქსიანი სტატიკური ზმნები. იშვიათია განსაკუთრებით დრონა; ლი -ამ სუფიქსიანი ზმნა. ერთადერთია მოსდგამს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი განხილვა იმავე დგ (← დეგ) ფუძესთან დაკავშირებით. დამახასიათებელია, რომ მოსდგამს სტატიკური წინაა, მაგრამ უზმნისწინოდ არ იხმარება. არაა მოსალოდნელი ამ ზმნის პირველი და მეორე პირი, რადგან სპეციფიკური გავება შეუძენია. ამავე მნიშვნელობით ადგს ზმნაც დასტურდება.

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებულება, გვ. 109.

ა წ მ ყ ო

შო-ს-დგ-ამ-ს: და აღმოსავალით მისა მთაჲ მოსდგამს, ვითარცა კედელი: კიმ. 1, 31,28.

შე-ს-დგ-ამ-ს: რომელი შესდგამს სამეუფოსა სპარსთასა: საბა 4.20. მსგავსი მნიშვნელობითა და წარმოებით ეგევე ზმნა დაცულია ფშაურში: გორი რამ ჩასდგამს შუბის წვრად, მუხა-იფნებით ფარული (ვაჟა, ბახტრიონი, 1936, გვ. 217).

ზემოთ განხილულ -ან სუფიქსიან ზმნებს გარდა, გვაქვს ისეთებიც, რომლებიც აწარმოებენ მარტო პირველი სერიის ნაკვთებს, მეორე სერია ან სულ არა აქვთ, ან ვნები: ის ფუძეებს ინაცვლებენ.

ა-ქუ-ს ← ა-ქუ-ან-ს

გარდაუვალი სტატიკური ზმნაა, არ ირთავს ზმნისწინს, მაგრამ თუ მიიღო, მაშინ სრულებით სხვა მნიშვნელობისაა. როგორც ვთქვი, აქუს ზმნას ნამყო წყვეტილი არ გააჩნია, თუმცა მისი ნამყო უწყვეტელი საკმარისია საერთოდ ნამყოს გადმოსაცემად. მეორეცაადა აორისტში შესუა, შეპყრა, მეგო, მედგა, მედვა... ზმნებს მეტ-ნაკლებად შეუძლიათ გამოხატონ ის მნიშვნელობა, რაც მაქუს ზმნით გადმოიცემა.

ა წ მ ყ ო

მ-ა-ქუ-ს: მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლად შენებაჲ: ხანძთ. კ 36; ლმ 20; ასევე წარტყუნ. მზ 22; ანტიოქ. 52,4.

გ-ა-ქუ-ს: გაქუს თქვენ დასისაგანი: DE მთ 27,65; ასევე: სასულ. სლდ 166.

გ-ა-ქუ-ნ-ს: არლარა გაქუნს¹ სარწმუნოებაჲ: C მრკ 4,40; C მთ 27,65.

ა-ქუ-ნ-ნ: ძირი არა აქუნნ გულსა თვისა: ტბ. მთ 13,21.

ა-ქუ-ნ-ს: არაჲ აქუნს, რადმცა ჭამეს: C მთ 15,32.

ა-ქუ-ნ: ყოველთა მათ უდაბნოთა წამებაჲ არა აქუნ: ხანძთ. ჟგ 10. არიან იგინი ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი: წარტყუნ. კგ 10; ასევე: DE მთ 7,29.

ა-ქუ-ს: ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს: მთ 8.20.

გუ-ა-ქუ-ნ-ს: პური არა გუაქუნს¹: C მთ 16,7.

¹ ფოტოტიპიურ გამოცემაში ასეა (იხ. ტაბ. 34), 1945 წლის გამოცემაში გასწორებულია: გაქუს!

¹ ფოტოტიპიური გამოცემით ასეა.

- მ-ქონ-ან: მქონან მე ჩემ ქუეშე ერისა კაცნი: *ც* ლკ 7,8.
 მქონან მე ჯორცი უხრწნელნი: *სასულ.* სპლ 335.
 გ-ქონ-ან: სიტყუანი საღმრთონი გქონან შენ: *სასულ.* რ 41.
 ჰ-ქონ-ან: რომელსა მრავალ-ხატედნი ჰქონან მიმოქცევანი: *ღამასკ.* 147,7.
 ურიცხუნი ჟამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა: *ხანძთ.* ჟგ 13; *ასევე:* *კიმ.* I, 111,19; *სასულ.* რკვ 153.

უწყვეტელი

- გ-ა-ქუნ-დ-ი: ვითარცა ყრმაჲ ჩჩული, უბეთა გაქუნდი: *სპევს.* 330, 42.
 მ-ა-ქუნ-დ-ა: მაქუნდა სირცხული: *იაკობ.* ობ 7; *რაეახ.* 81,11; 86,1.
 გ-ა-ქუნ-დ-ა: ქრისტე მნათობად სულისა გაქუნდა: *სასულ.* სმზ 57; *ასევე:* რნდ 87; ლ XXXVII.
 გუ-ა-ქუნ-დ-ა: დაღაცათუ ხატი მონაზონებისაჲ გუაქუნდა პირველ მოსლვისა, ხოლო კურთხევაჲ არა მოგვლებიეს: *ხანძთ.* ლ 36.
 ა-ქუნ-დ-ა || ჰ-ქონ-დ-ა: ყრმაჲ ჩჩული აქუნდა კელთა მისთა: *სპევს.* 335, 85.
 აქუნდა მათ მონაგებთა სიმრავლჲ აურაცხელი: *საბა* 4, 10; 11,30; *ასევე:* *იპოლ.* 1,1; *ვესტ.* 83,34; *ხანძთ.* ნბ 2; ია 39; *წარტყუნ.* იგ 14; ნდ 28; *კიმ.* I, 220,1.
 იყო ამბა სოლომონ და ჰქონდა მის-თანა ყრმაჲ თჳსი: *კიმ.* I, 39,30.
 ჰქონდა და ეპყრა მათ კანონი და წესი: *ბოლნ.* 87.
 ა-ქუნ-დ-ეს: ამას აქუნდეს ზოგნი სოფელნი მახლობილად ვანსა: *ხანძთ.* იგ 10; ი 19; კა 5; *ასევე:* ზარზმ. 150,31.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი , კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

- გ-ა-ქუნ-დ-ი-ნ: ესე გაქუნდიან დაფარვად: *კიმ.* I, 314,1.
 ა-ქუნ-დ-ი-ედ: აქუნდიედ მას... მთის თუალნი: *ბარლ.* 115,20.
 ვ-ა-ქუნ-დ-ე: ვინაჲთგან არა მაქუს მე საძიებელი, ვაქუნდე მე საძიებელსა: *ზღაპრ.* ელენთ. 37,34.
 მ-ა-ქუნ-დ-ე-ს: სიტყუაჲ მაქუნდეს მიცემაჲდ: *ურპ.* 335,15.
 გ-ა-ქუნ-დ-ე-ს: ვითარი გინდეს სამოსელი და საგებელი—ვაქუნდეს: *ხანძთ.* პვ 17; *სახისმეტყ.* ლ 57.
 ამგვარად, ჩვენ წარმოვადგინეთ აქუ-ს ზმნის ძველ ქართულ-ში ცნობილი თითქმის ყველა ფორმა. ეს ფუძე გვხვდება აწმყოსა და ნამყო უწყვეტელში, აგრეთვე მისგან ნაწარმოებ კავშირებითსა და

ხოლმეობითში. ძველ ქართულში ჯერ კიდევ ძალიან იშვიათია სხვა-
ნაკვთის ფორმები, როგორიცაა თურმეობითი, ვნებიითის ფორმები
და სხვა. ასე რომ ჯერჯერობით ეს ერთი მაგალითიღა შეგვხვდა:
უკუეთუმცა პირველითგანვე გქონებოდა ესე შიში: ანტიოქ. 103,24.

ამ ზმნის ფუძეა აქუნ ←* აქუ-ან, რომელშიც თემატურ სუფი-
ქსად გამოყოფენ -ან¹: ა-ქუ-ან-ს, ჰ-ქონ-ღ-ა ← ჰ-ქუ-ან-ღ-ა.

აქუნ → აქუნ → აქუ ფორმების განვითარება ინტენსიური
მახვილის გავლენას მიეწერება². რიგ შემთხვევაში აწმყოში თემა-
ტური ბოლოსართი დაცულია, მაგრამ მახვილის მოქმედების ძა-
ლით უმეტესად იკარგვის. მახვილთან დაკავშირებითვე ხდება მაქ-
ცევრების ამოღებაც, მაგრამ ორივე ერთად (მაქცევრისა და სუფიქ-
სისეული ხმოვანი) კი არაა დაკარგული:

მ-ა-ქუ-ან-ღ-ა → მ-ა-ქუ-ნ-ღ-ა: რომელი მაქუნდა მე: რაეახ. 81,11.

მ-ა-ქუ-ან-ან → მ-ა-ქუ-ნ-ან: ხატნი მისნი მაქუნან: ჰაგ. ზასალ. 39.

შდრ. მ-ა-ქუ-ან-ან → მ-ქუ-ან-ან → მ-კონ-ან:

მქონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი. მთ 8,9; ლკ 7,8.

ნაშასადაძე, ამ ზმნაში იგივე პროცესები ხდება, რაც ვ-ა-რქუ
და ჰ-რქუ-ა ზმნებშია შენიშნული³.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ უძველეს ქართულში ამ
ზმნას მოცხოვებოდა ასპექტური ფუძე, -ან ბოლოსართის გარეშე,
-ი ბოლოსართით ნაწარმოები.

სტატიკური შინაარსი დიურატიული ასპექტის ერთ ფუძეს
იგუებდა ისე, რომ მომენტურში საპირისპირო არ ჰქონდა:

მ-ა-ქუ-ი-ს: მაქვს მაგისტვს თქუმული: ქრესტ. 50,19; 53,3.

გ-ა-ქუ-ი-ს: გაქვს გულსა შენსა სარწმუნოებაჲ: იქვე, 84,6.

ა-ქუ-ი-ს: მიეციოთ მას, რომელსა აქვს⁴: DE მთ 25,28.

მაგრამ კითხვა ისმის: ხომ არაა ეს ფორმები ძველ ქართულ-
ში შემთხვევით მიღებული ჯ და უ ნიშნების აღრევის ნიადაგზე?
მართლაც, მათი ერთიგეორის ადგილას ხმარების საკმაო შემთხვე-
ვებია ცნობილი: მღოგუსაჲ (ფოტოტიპ. C მრკ 4,30), შდრ. მღო-

¹ H. Марты, Ураки., § 216, გვ. 179; ა. შანიძე, ქართული გრამატიკა,
1930, § 171, გვ. 180; ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის, გვ.
49C; ლ. კიკნაძე, ძიუგელი და ნასახელარი ზმნები ქართულში: უნივ. შრომე-
ბი, ტ. XXVIII, 1946, გვ. 267.

² არნ. ჩიქობავა, აქუს- ფუძის უცნობი ვარიანტებისათვის ძველ
ქართულში: უნივ. შრ., ტ. XXX/1b, 1947, გვ. 388.

³ არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: აკად.
მოამბე. III, № 2-3, გვ. 195.

⁴ ხელნაწერში ასეა.

გვსაჲ (DE); მოართვს (ფოტოტიპ. C მთ 2,11), შდრ. მოართუეს (DE); გუვის (C მთ 3,9), შდრ. გვვის (DE) და სხვა. მაგრამ მაქვს ამ გზით არ უნდა იყოს მიღებული. თანამედროვე დიალექტებიდან მსგავსი წარმოება დაცულია ხევსურულში, სადაც საზოგადოდ გარჩეულია ხოლმეობითის ფორმები სხვა ნაკეთებისაგან: იარალი არხოტიონს სრუ მუდამ წელზე აქვის: წელიწდ. 124,29; ასევე: 136,25; 152,18.

რიგი მაგალითებით დასტურდება, რომ ძველ ქართულში განურჩეველი იყო აქუს ზმნის ხმარება ცოცხალი და არაცოცხალი საგნის მიმართ, პირისა და ნიეთის მიმართ. ასეთი მაგალითების წარმოქმნის ახსნისას თარგმანის გავლენა, რასაკვირველია, გამოირიცხება: ანალოგიური მდგომარეობაა ორიგინალურ ძეგლებშიც. საკითხის ისტორიის შესწავლისათვის საგულისხმო ჩვენებას იძლევა ქართული დიალექტები: ფშაურსა, ქიზიყურსა და მესხურში ეს ზმნა ძველი ქართულისებურად დღესაც იხმარება; მაგალ.: ხუთი ქათამი მაქ, ცხენი მაქ და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში არა გვხვდება ამ ზმნის (საერთოდ, არც სხვა -ან სუფიქსიანი ზმნების) შესათფერისი მასდარის მიმართულებით ბრუნვაში დასმული ფორმები. მოსალოდნელი ქონ-ა-დ ფორმის ნაცვლად არის ქონ-ებ-ა-დ (იაკობ. ჟა ნ).

აწმყოს პირველი პირის ფორმაა გამოყენებული ფუძედ სიტყვა-წარმოებისათვის შემდეგს მაგალითში: უჩუენებს მამისა ფრიადსა მაქუსიერებასა¹ და მოაქსენებს: ბოლნ. 41.

მი-ა-ქუ-ს

დინამიკურ შინაარსს ეს ზმნა ზმნისწინის დართვით ლებულობს. ისე როგორც აქუს ზმნას, ამასაც თავისი ფუძით მართო პირველი სერიის ნაკეთები მოეპოვება. აორისტის ჯგუფში ლ-ებ || ხუ-ამ ფუძეები ენაცვლება. ამ მნიშვნელობით შეიძლება ქუ ძირიც იხმარებოდეს, მაგრამ აწმყოში იგი -ამ სუფიქსიანია და მოქმედებითი გვარისაა: აღ-ი-ქუ-ამ-ს, აღ-ი-ქუ-ა. ძირით, როგორც შენიშნულია, იგივეა რაც მი-ა-ქუ-ს ზმნა. ასე რომ გარკვეულ შემთხვევებში იგიც შეიძლება მივიჩნიოთ მოაქუს ზმნის ნამყო წყვეტილის გადმომცემად და პარადიგმიც პირობით ასეთი იქნება: მოაქუს, მოჰქონდა — მოილო || მოიქუა. შემთხვევითი არაა, რომ ეს ორი უკანასკნელი ზმნა აწმყოს წრეში ამ მნიშვნელობით ძალიან იშვიათია.

¹ შდრ. ს ა ბ ა: მაქსიერი—მქონებელი.

ლ ძირისაგან ნაწარმოები ფორმების პერმანსივს შეუძლია აქუან ფუძის აწმყოს მაგიერიც იყოს: და მოაქუნდა ოცდაათეული: DE მრკ 4,8, შდრ. და გამოიღის ერთმან ოცდაათი: C იქვე.

ა წ მ ყ ო

მო-გ-ა-ქუ-ს: რადსა მოგაქუს შესამურავი: სასულ. ტა 102.
გამო-ა-ქუ-ს: რომელსა ნაყოფი არა გამოაქუს: ბოლნ. 18.
წარ-ა-ქუ-ს: რომელნი ივასხებენ და წარაქუს: ბოლნ. 13.
წარ-გ-ა-ქუ-ნ: ნუ წარგაქუნ ბალანტი: C ლკ 10,4.
მი-ა-ქუ-ნ: ხატი მონაზონებისაჲ მიაქუნ: ხანძთ. ლე 9.
ალმო-ა-ქუნ: ნუ აღმოაქუნ პინაკისაგან საკმელი: კიმ. I, 230,9.

უ წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

გამო-გ-ქონ-დ-ა: გიხილენ თქუნ, გამო-რაჲ-გქონდა შესაწირავი: რაეახ. 84,4.
მიმო-ა-ქუნ-დ-ეს: ნავნი მიმოაქუნდეს და იწრაფოდეს: თხრობა, 30.
მი-ე-ა-ქუნ-დ-ი: ვითარცა. შეაბრკოლა ნავი იგი... მიუტევეთ და მივაქუნდით: მოციქ. 27,15.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი (სხვა ფუძეები)

წარა-ქუს—წარ-ი-ღ-ო: წარიღო წულმან მან კუართი: თეკლ. 106,7.
მოა-ქუს—მო-ი-ღ-ო: წარვიდა ტყედ და მოიღო შეშაჲ: კიმ. I, 263,36.

მია-ქუს — მი-ი-ქუა: შდრ. მოკუდა გლახაკი იგი და მიიქუეს იგი ან-გელოზთა C ლკ 16,22.

ალა-ქუს — აღიქუა: შდრ. კელთა ზედა აღგიქუან შენ: C მთ 4,6.

ზანურსა და სევანურში ქუან ფუძე არა ჩანს, მის მაგიერ ლ ძირისაგან ნაწარმოები ფორმები იხმარება¹. ძნელი სათქმელია, რატომ არ შემოგვრჩა ქართულში ლ ძირის საშუალი ზმნები. მნი-შენელობითი სიახლოვე უწყობს ხელს მათ შენაცვლებას, რასაც ოთხთავის რედაქციები გვიჩვენებენ:

პური არა გუაქუს: C მთ 16,7; შდრ. პური არა მოვიღეთ: DE, იქვე.

გაქუნდეს საუნჯე: DE მო 19, 21; შდრ. მოიღო საფასე: C, იქვე.

¹ არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 345.

ა-ცუ-ნ-ს ← * ა-ცუ-ან-ს (აცეია)

იგივე -ან 'სუფიქსი გამოიყოფა სტატიკურ აცუნს ზმნაში. ძირეული ნაწილია ცუ, რომელიც სახელშიც მეორდება: სა-ც-ო: განივრცნიან საცონი მათნი: DE მთ 23,5 (შდრ. ფართო იყენიან სამოსელნი მათნი: C, იქვე).

საშუალი გვარის ეს ფორმა იშვიათია, მაგრამ არც -ამ სუფიქსიანი მოქმედებითია ხშირი (შდრ. თურმ. I: კეთილი სამოსელი შთაუცუამს: იპოლ. 25,71). ძველ ქართულში ამ მნიშვნელობით უფრო ხშირად მოს-ფუძეა გამოყენებული. უნდა შევნიშნოთ, რომ ცუ-ამ ფუძეს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. აცუნს შეუძლია აწმყოს ნაკვეთბის წარმოება. აორისტში სტატიკური ვნებითა შენაცვლებული.

უწყვეტელი

ა-ცუნ-დ-ა: რომელსა... მანიაკი ოქროსაჲ ყელსა აცუნდა: ჰაგ. მისალ. 30.

აორისტო

ე-ცუ-ა: პოვა კაცი მკუდარი, რომელსა ეცუა ბექელი: ზლაპრ. ელენტ. 25,5.

ჩ-ან-ს

-ან როგორც თემატური სუფიქსი რელიეფურად ვლინდება ჩ-ან-ს ზმნაში. ჩ ძირისაგან ძველ ქართულში რამდენიმე ზმნაა ნაწარმოები: ა-ჩ-ენ-ს || ა-ჩ-ინ-ებ-ს, შე-ა-ჩუ-ენ-ებ-ს. უ-ჩუ-ენ-ა, უთუოდ ამავე ძირისაა ფშავ-ხევსურული და ინგილოური გა-ჩ-ავ-ებ-ა (გამხელა, გამელავნება). -ან სუფიქსი აქაც ისე იცვლება, როგორც სხვა ზმნებში. შევნიშნავთ, რომ ეს ცვლილება ზოგჯერ წიგნური წარმოშობისაა უნდა იყოს, როცა სუფიქსი -ან მრავლობითის მესამე სუბიექტური პირის ნიშნადაა მიღებული (მაგ. რომელნი-იგი გარე-შე შეუნიერ ჩან: C მთ 23,27), ან კიდევ სუფიქსისეული თანხმოვანი პირის ნიშნად არის გაგებული და მონაცვლეობს მესამე სუბიექტური პირის სუფიქსთან ახალ ერთეულში: ჩან = ჩას¹.

საშუალი გვარის პრევერბიანი ფორმები დადასტურებული არაა (შდრ. ახალი ქართ. გამოჩანს). ზმნა დრონაკლია: მოეპო-

¹ ჩანს (← ჩანს) უფრო ველგარიზმია, ვიდრე არქაიზმი: ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 17, შნშ. 1.

ეება მარტო აწმკოს წყება, აორისტში -ელ სუფიქსიანი ვნებითია, ჩან ფუძისაგან ნაწარმოები: *ჩან-ელ-ა → ჩნდა. სასხვისო ქცევის აწმკოს ფორმებში ფუძე შეკუმშულია და ზოგჯერ სუფიქსისეული -ნ ელემენტიც დაკარგულია.

ა წ მ ყ ო

ს-ჩ-ა-თ → შ-ჩ-ა-თ: შჩათ, რამეთუ ხართ თქვენ წიგნ სამოციქულო: სინას ხელნაწ. 97,3 ქვ.

ჩ-ან-ს: არა ჩანს ნაყოფიერი იგი: კიმ. I, 300,13.

ჩ-ან-ნ: არა თუ დღისი ჩანნ მბრწყინვალეობა მისი, არამედ ღამშ: თუალთ. 30; ასევე: DE მთ 24,27.

ჩ-ან: ოდესმე ეგრე ჩან, ვითარცა კაცი: თეკლ. 92,19.

ჩ-ა-ს: ხოლო ამისა მიზეზი ჩას გამოჩინებისათჳს: იპოლ. 1,172; ასევე: სახისმეტყ. ბ 30; კიმ. I, 13,40; 151,13; სვან. 74, 11.

ჩ-ან-ელ: რომელნი გარეშე ჩანელ კაცთა წინაშე შეუნიერ: DE მთ 23,27.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ჩან ფუძე საგრძნობ ცვლილებას განიცდის მაქცევრიან ფორმებში:

მ-ი-ჩ-ნ-ს: ფრიად მძიმე მიჩნს ჳმად იგი გალობისა მათისაჲ: რაეახ. 81,16; ასევე: ანტიოქ. 118,13.

მ-ი-ჩ: ცთომით ვინმე მიჩ შენ, კაცო: კიმ. I, 152,5.

გ-ი-ჩ-ნ-ს: ყავ ეგრე, ვითარცა შენ ჯერ-გიჩნს: თეკლ. 117,27.

გ-ი-ჩ-ნ: ხუცეს, ნუ მძიმე გიჩნ ესე: შუშ. 39,7.

უ-ჩ-ნ-ს: მელთა ჳურელი უჩნს: C ლკ 9,58.

უ-ჩ-ს: მელთა ჳურელი უჩს: DE, იქვე.

უ-ჩ-თ: თქვენ გარეშე უჩთ კაცთა მმარხველ: C მთ 23,28.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I, ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

ჩან-დ-ა → ჩ-ნ-დ-ა: თავი მისი შეკმული იყო ვნებისა მისგან და ჩნდა ძუალი: ჳაგ. მასალ. 32; ასევე: თეკლ. 116,25; იპოლ. 2,10; ხანძთ. ლ 10; მბ 34; მე 3.

გუ-ი-ჩ-ნ-დ-ა: ჩუენ... ესრეთ ჳერ-გჳჩნდა: ანტიოქ. 101,19.

უ-ჩ-ნ-დ-ა: ოდეს ჳერ-უჩნდა... დამხობაჲ მათი: წარტყუნ. ია 4; მბ 12.

ჩნდ-ე-ს: ...ვიდრემდე ძუალიცა ჩნდეს: სპევსიპ. 334,78.

გ-ი-ჩ-ნ-დ-ი-ნ: გვედრები შენ, ჳერ-გიჩნდინ განტევებაჲ კაცთაჲ: ევსტ. 83,22.

წყვეტილი, ვნებითი

გამო-შ-ჩ-ნ-დ-ი: შენ მხოლოდ გამოშჩნდი: ანტიოქ. 136,24.

გამო-ჩ-ნ-დ-ა: აპა ტრედი იგი კულად გამოჩნდა: რაფა. 83,8.

მოქმედებითი გვარის ფორმებს ძირითადად ა — ენ აფიქსები აწარმოებს. აწმყოს ფუძე აქაც — ებ სუფიქსითაა გართულებული: ა-ჩ-ინ-ებ: წერილიცა აჩინებს: ხანძთ. თე 17. საყურადღებოა, რომ ძალიან იშვიათად ამ ფუძეს ვნებითიც იყენებს ძველ ქართულში: გამოვჩინდე (იაკობ. პე 4), რაც თანამედროვე ხევსურულში ხმარებული ფორმის ანალოგიურია: ჩამომჩინდ: წელიწდ. 196,10.

ჩ ძირი უნდა ვივარაუდოთ უ-ჩუ-ენებს¹, ე-ჩუ-ენების ზმნე-შიც, სადაც ლაბიალიზაციას აქვს ადგილი². ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს — ენ სუფიქსის არადრეკადობა, რაც თითქოს არ იყო მოსალოდნელი.

მ-ი-ნ-ა ← * მ-ი-ნ-ან

ძველ ქართულში „ნდომას“ აღნიშნავს ოთხი ფუძე: მნებაეს, მინებს, ვინებებ და მინა. ყველა მათგანში საზიარო ნ ძირია. მინა ზმნაში, ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი ფუძე გვაქვს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ — ან სუფიქსიან ზმნათა ისტორიას აწმყოში, ძნელი დასაჯერებელი არ უნდა იყოს, რომ აქ თემისეული — ნ თანხმოვანი გვქონდეს დაკარგული. ამას ადასტურებს ჰანური, სადაც ამ ზმნის შესატყვისია მინ-ონ. ცხადია, მინონ იმ პერიოდის მოვლენაა ჰანურში, როცა ქართულში მას მინ-ან უნდა ჰქონოდა შესატყვისად³. — ან სუფიქსს ჩვენ ვიცნობთ როგორც მოქმედებითი, ისე საშუალი გვარის ზმნებში (შდრ. ვი-ც-ან, ჩ-ან-ს...). მისი აქ გამოვლენა შემთხვევითი არაა. უძველესი აწმყოს ფუძე რომ მინა ყოფილიყო, საეჭვოა, რადგანაც რეალური სუბიექტის ნიშნად აწმყოში ა სუფიქსი ჯერ კიდევ არ იხმარებოდა. მაშასადამე, შესაძლებელია მინა ფორმაში — ა-ს ასახსნელად დაეუშვათ ასეთი გზა: *მ-ი-ნ-ან-ნ || *მ-ი-ნ-ან-ს → *მ-ი-ნ-ან → მ-ი-ნ-ა. ამგვარად, — ა ნაშთია — ან სუფიქსისა. შემდეგში ეს ფორმა იმდენად გაიცვითა,

¹ ს. უდენტო, ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში: ენიმიკის მოამბე, ტ. X, გვ. 84.

² უ-ჩუ-ენ-ებ-ს ორმაგსუფიქსიანია. საინტერესოა უჩუებდა (ათონ. ხელნაწ. 169,4), როგორც უფრო მარტივი აღნაგობის ზმნა, თუმცა ძველ ქართულში იგი არ იყო გავრცელებული.

³ ყურადღებას იქცევს მინდ-ან-ან ფორმა, რაც მესხურში იხმარება.

რომ ძველ ქართულში იგი ნაწილაკად იქცა; აწმყოს მნიშვნელობით უფრო მეტად შინებს, მნებავს იხმარება.

შინა ზმნა არ იგუებს ზმნისწინს, აწარმოებს პირველ სერიას, მეორე სერიის ნაკვეთებისათვის ვნებითია გამოყენებული. აწმყოს ფორმებს წარმოვადგენთ კავშირად გამოყენების შემთხვევებით.

ა წ მ ყ ო

გ-ი-ნ-ა: აწ რადცა გნებავს, გამოირჩიე, გინა ცხორებაჲ, გინა სიკუდილი: ქრესტ. 50,7; ასევე: DE მთ 15,4.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

მ-ი-ნ-დ-ა: მრავალგზის შინდა ხილვად შენი, არამედ ვერ ღირს ვიქმენ: ქრესტ. 67,6; 84,17. ასევე: კიმ. I, 35,5; 24,15.

გ-ი-ნ-დ-ა: რაოდენ გინდა თქუენ წარწყმედაჲ ჩუენი: წარტყუენ. კა 10.

უ-ნ-დ-ა: ვითარცა უნდა უფალსა, ეგრეცა ყო: წარტყუენ. მთ 15; თ 29; კლ 20.

რაქელ სტიროდა შეილთა თჯთა და არა უნდა ნუგეშინის ცემის: მთ 2,18; ასევე: სპევს. 328,11; ურპ. 336,6; საბა 11,5...

გ-ი-ნ-დ-ე-ს: უკუეთუ გინდეს, ძალ-გიკ განწმედაჲ: მთ 8,2.

უ-ნ-დ-ე-ს: რომელსა უნდეს ვასხებად შენგან, ნუ გარემიიქცევ პირსა: მთ 5,42; ასევე: ხანძთ. ით 12; ნე 72; ზარზმ. 169, 37...

ძველ ქართულში თუმცა დადასტურებული არა გვაქვს დ სუფიქსიანი ვნებითის აწმყოს ფორმები და საზოგადოდ ნაკლებადაც არის მისი საჭიროება, მაგრამ ახალი ქართულის მო-შინ-დ-ებ-ა ტიპის წარმოება ძველადაც უნდა ვივარაუდოთ, მით უფრო, რომ რომელიღაც ძველ დიალექტში საშუალი გვარის უწყვეტლის ფუძე უკვე აწმყოდ ქცეულა და აქედან ნამყო უწყვეტელი ხელახლად ნაწარმოები:

ხოლო იგი განრ(ისხ)ნა და არა ხუნდოდა შინა შეს(ლ)ვად: ხანმეტი, 384,28 (ლკ 15,28).

შეიძლება ეს წარმოება ნამყო წყვეტილისეულად მიგვეჩნია (მსგავსად ზმნებისა მისცოდა, მოიჯსენოდი...), პერმანსივის ფუძეზე დამყარებულად, მაგრამ დაბრკოლება აქ ისაა, რომ უპრევერბო ვნებითი ასეთ შემთხვევებში ძველ ქართულში ძალიან იშვიათია.

უ-ძნ-ს ← უ-ძ-ან-ს

შინაარსის მხრით მეტი სიახლოვისა და ფუძის ანალოგიური წარმოების გამო აქვე განვიხილავთ საშუალო გვარის სასხვისო ქცევის უძნ ზმნას, რომელიც აწმყოსა და ნამყო უწყვეტლის ნაკვებებს აწარმოებს, მეორე სერიაში დ სუფიქსიან ვნებითს ინაცვლებს.

რა თქმა უნდა, უძნ ზმნაში იმავე რიგის -ან სუფიქსი არაა, რაც დგ-ან-ს ზმნაში, მაგრამ გენეტური თვალსაზრისით მათი ერთ სიბრტყეზე დაყენება მაინც შეიძლება.

უძნ ზმნაში იგივე ძ გამოიყოფა ძირად, რაც ძ-ალ, უ-ძ-ლავს, შევიძ-ელ¹ და სხვა ნაწარმოებ ფუძეებში გვაქვს. სახელის საწარმოებელ სუფიქსად -ან უნდა მივიჩნიოთ: * ძ-ან-ი → ძ-ალ-ი (შდრ. წიხლი ← წიხნი; წიხნა დეზისა; წელი ← ზემოიმერ: წენი...)-ძან (-ძნ) ფუძეა ფინიტურ სახელში ძნ-ელ-ი², ზმნისართში ძნ-ი-ად ← ძნ-ივ-ად³ და ზმნაში უ-ძნ-ს, უ-ძნ-და. მაშასადამე, სახელადი ფუძე ძან ზმნაშიც დასტურდება. მაგრამ ამის გვერდით გვაქვს -ავ ბოლოსართიანი ფორმა: ძნ-ავ-ს: არა დაგპატიეებთ, რომელი იგი ძნავს: ოქროპირი 119⁴. აქედანვეა სახელი სა-ძნა-ური ← * სა ძნა-ვ-ური: განიქიქების ბილწებაა რაიმე საქნაურ აღსაწერელად: ზღაპრ. ელენტ. 44,80.

ა წ მ ყ ო

მ-ი-ძ-ნ-ს, გ-ი-ძ-ნ-ს, უ-ძ-ნ-ს ('ეძნელება').

უწყვეტელი

უ-ძ-ნ-დ-ა: პირველითგანვე უძნდა შურიანობა და შფოთი: ქრესტ. 91,14.

ხოლო გრიგოლის უძნდა ესე და არა ენება: კიმ. I, 125,17; 184,14.

არა თუ სიკუდილი უძნდა, არამედ ეძიებდა იგი ქსნასა ერისასა: წარტყუნ: ი 19.

¹ ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, გვ. 492.

² არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ., გვ. 37.

³ ალბათ ძნენი არის ამოსავალი ძნინად ფორმისათვის (იხ. ხანძთ. პ. ინ-გ ო რ ო ყ ვ ა ს გამოცემის მიხედვით: 178,16).

⁴ ვიმოწმებთ არნ. ჩიქობავას დასახ. გამოკვლევის მიხედვით, გვ. 37.

ენებითი, წყვეტილი /

შე-ხ-უ-ძ-ნ-დ-ა: შეხუძნდა მათ გალობად: ქრესტ. 24,12.

საქმე ესე ფრიად შეუძნდა იოვანეს: ზარზმ. 172,8.

§ 10. -ელ სუფიქსიანი ზმნები

-ელ და -ალ სუფიქსიანი დრონაკლი ზმნები ძველ ქართულ-ში სხვა სუფიქსებთან შედარებით მცირეა. აქ სულ სამი ზმნის შესახებ იქნება მსჯელობა. მათი ფუძის ანალიზი ლიტერატურაში ცნობილია¹. დროთა წარმოებით ეს ზმნები სხვადასხვაგვარია.

ა-კ-ლ-ს — * ა-კ-ელ-ს

აწარმოებს მარტო პირველი სერიის ნაკვთებს. საშუალი გვარის ფორმები ზმნისწინს არ იგუებს. იხმარება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობით, საარვისო და სასხვისო ქცევით. ფუძის საწარმოებელ ბოლოსართად -ელ გამოიყოფა: მო-გ-ა-კ-ელ². მოქმედებითა და ენებითს აწმყოში -ებ სუფიქსი აერცობს. ენებითს დ აწარმოებს: არა, დააკლებს მადლი სულისაჲ... ზარზმ. 148,11; ყუაველი არა სადა მოაკლდების: იპოლ. 16,19.

ახალი ქართულის აკლია (—*აკელის) დიალექტური წარმოშობისაა, ივარაუდება, რომ იგი პერმანსიის ი- სუფიქსით იყო გავრცობილი.

ა წ მ ყ ო

მ-ა-კ-ლ-ს: რაჲ-ლა მაკლს მე? DE მრკ 10,20.

გ-ა-კ-ლ-ს: ერთი-ლა გაკლს შენ: მრკ 10,21; კიმ. I, 45,36.

ა-კ-ლ-ს: არა აკლს მეფესა კაცი: ქრესტ. 56,18.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ო, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

გუ-ა-კლ-დ-ა: არაჲ გუაკლდა: ლკ 22,35.

გ-ა-კლ-დ-ა: ხოლო შენ ცხორებასა ამას... არაჲ გაკლდა: ხანძთ.

კთ 26.

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ., გვ. 89; ვ. თოფური ა, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, გვ. 491-492; ლ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 168—175.

² დამახასიათებელია ხევსურული დავაკალ მოქმედებითის მნიშვნელობით (რაც მე დავაკალ ამ უანას, შენ მამუმატი: წელიწდ. 121,18).

მ-ა-კ-ლ-დ-ე-ს: უფალმან მწყსოს მე და არა მაკლდეს: იერუს. გან-
ჩინ. 43,13.

§ 11. -ალ სუფიქსიანი ზმნები

-ალ სუფიქსიანებს განეკუთვნება ორი ზმნა: სცალს, რომე-
ლიც პირველი სერიის ნაკვთებს აწარმოებს და აორისტის ჯგუფი
არა აქვს, და ვალს, რომელსაც მხოლოდ აწმყო მოეპოვება.

ს-ც-ალ-ს

ეს ზმნა ობიექტური წყობისაა. ძველ ქართულში ნამყო
უწყვეტელი დ სუფიქსიანია: ს-ცალ-დ-ა. საყურადღებოა, რომ ახალ
ქართულში ამ ზმნის ასეთი უღლილება გვაქვს: მ-ცალ-ი-ა, მ-ცალ-
ოდ-ა, მ-ე-ცალ-ა. ამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი
ქართულის რომელიღაც დიალექტში მ-ცალ-ი-ს ფორმები იყო ნი-
შანდობლივი.

სტატიკური ზმნის ფორმებს არ ერთვის არც ზმნისწინი, არც
მაქცევრები. მოკმედებითისა და ვნებითის ფუძე აწმყოში აქაც
-ებ სუფიქსიანია: აცალ-ებ-დ-ე-ს: DE მრკ 6,31; მოგუეცალების:
კიმ. I, 85,24.

ა წ მ ყ ო

ჰ-ც-ალ-ნ: ვერცა პურის ჰამად ჰცალნ: C მრკ 6,31.

ს-ც-ალ-ნ: ვერ სცალნ პურის ჰამადცა: C მრკ 3,20.

უწყვეტელი

ს-ცალ-დ-ა: თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაჲ ვერლარაჲ სცალდა
სიტყუად: შუშ. 28,3.

ვ-ალ-ს

სვლისა და არსობის გამომხატველი ზმნები თითქმის
ყველა ენაში თავისებურებას იჩენენ. მათი ეს თავისებურება მათი-
ვე სიძველის მაუწყებელია.

ვალ ზმნის უღლილებას ეხებოდა ყველა ქართველი გრამატი-
კოსი, მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანი ფუძის აგებულებას არ
არკვევდა და ყველა მექანიკურად იმეორებდა ერთხელ მიღებულ
პარადიგმს: ვ ა ლ, ვ ი დ ო დ ი, ვ ლ ' ე. ნ. მ ა რ ი ს ძველი ქართული

ენის გრამატიკაშიც კი ადგილი აქვს საკმაო გაუგებრობას. მართალია, ნ. მარი სწორად შენიშნავდა, რომ ვალ ფუძისაგან არაა წარმოებული დროებიო¹, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი პარადიგმი სინამდვილეში სხვადასხვა ზმნის ულლილებას წარმოადგენს: ჯერ ერთი, გარდამავალი ზმნის პერმანსივის ფუძე აწმყოს საშუალი გვარის ფორმებთანაა გათანაბრებული²; მეორე, პარადიგმში მოცემულია ისეთი წარმოების ფორმები (მაგ. მყოფადი ვ-ი-ელი³), რომელთაც ძველი სალიტერატურო ქართული არ იცნობს; შემდეგ, ვლი-დ-ი და ვიდ-ო-დ-ი (დაყოფა ნ. მარისაა.—ი. ქ.) ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული, იმ განსხვავებით, რომ პირველი ხალხური ნამყო უწყვეტლის ფორმაა, მეორე — მწიგნობრულისაო⁴.

რომ უფრო სწორი წარმოდგენა გვექნეს ვალ ფუძისაგან ნაწარმოებ ფორმათა შესახებ, აქ მოვიყვანთ თანამიმდევრობით როგორც საშუალი, ისე მოქმედებითი, ვნებითი გვარისა და კაუზატივის ფორმებს.

ვალ ზმნაში ძირად გამოყოფილია ვ-, რომელსაც ზმნურ ფუძედ აწარმოებს -ალ, -ელ აფიქსები: ვ-ალ, ვ-ელ, იშვიათად აგრეთვე -ელ: მო-ვ-ელ⁵. ამათგან ვ-ალ მარტოოდენ აწმყოშია, აორისტში -ელ, -ელ სუფიქსებიანი ფუძეა შენაცვლებული. ვედ ფუძისაგანაა შესაძლებელი ნამყო უწყვეტლის წარმოება.

პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსი ვ ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრის გამო იკარგება: * ვ-ვალ → ვალ; მეორე პირის პრეფიქსია ხ, რის შემდეგაც ძირის ვ იქცა უმარცვლო უ-დ: ხ-ვალ → ხუალ. ამ პრეფიქსის შემონახვისათვის შესაძლოა ფონეტიკურ პოზიციასაც შეეწყოს ხელი. მესამე პირის მხოლოდობით რიცხვში ძველ ქართულში შეინიშნება იშვიათი შემთხვევა ლ თანხმოვნის დაკარგვისა: მონასტერი უწესოდ გავა (var. იქნების): ათონ. ხელნაწ. 38,73. მესამე პირის მრავლობითში -ენ სუფიქსი ფუძეს კუმშავს: ვალ-ენ → ვლ-ენ. ამ პირშივე ვლინდება ახალი ფუძე -ენ სუფიქსით: ვლ-ენ-ან || ვლ-ენ-ელ, რასაც ქვემოთ შევეხებით. ნამყო უწყვეტელში შეინიშნება ვ-ს დაკარგვა ხმოვანთა შორის, რაც ზო-

¹ I'pam., § 165, გვ. 129; § 167, გვ. 132.

² იქვე, § 231, გვ. 196.

³ იქვე, § 231, გვ. 197—198.

⁴ ნ. მარის ამ მდარ ანალიზზე მიუთითებდა არნ. ჩიქობავა თავის რეცენზიაში: მიმოხილველი, I, 1926, გვ. 319.

⁵ არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 273; მისივე, სახელის ფუძის უძვ. აგებულება, გვ. 69.

გიერთ დღევანდელ დიალექტსაც (ინგილოური, კახური, ფშაური...) ახასიათებს: მო-ი-დ-ა; შდრ. ძვ. ქართ. შემოედ: კიმ. I, 38,16; მოედ და შემომიდეგ: C ლკ 18,22.

ა წ მ ყ ო

- ვ-ალ: აჰა ესერა წარვალ მე მოწაფეთა თანა: არიმათ. 32,15.
მე აწ ესერა... საპყრობილით განვალ: ხანძთ. ომ 9,
აღვალ მამისა ჩემისა: სასულ. სპდ 337 და ა. შ.
- მო-უ-ვ-ალ: მოუვალ... ამას... მსახურებასა: იაკობ. ბ 3.
- ხ-უ-ალ: ვიდრე ხუალ? თეკლ. 106,11.
შენ ჩემდა მოხუალ-ა? მთ 3,4; ნუ განხუალ შენ ამიერ:
ჰაბო 67,5 და ა. შ.
- ვ-ალ-ნ: რომელი იგი ვალნ ძრომით: საბა 18,30; სახისმეტყ. ბ 13.
მზე ნუ დავალნ განრისხებასა თქუნსა: ეფეს. 4,26.
მიმოვალნ უდაბნოსა და კრებნ მელაღრიასა: კიმ. I, 20,23.
რტონი მისნი დაჩჩან და ფურცელი გამოვალნ: DI მთ 24,32.
- ვ-ალ-ს: მოძიებად ვალს ჰეროდე: მთ 2,13;
რომელი გარდამოვალს ზეციით: ი 6,33.
განვალს წმიდად იგი ჯორცთაგან: შუშ. 40,18.
ელდომით თანა წარვალს იგი: იპოლ. 21,32.
და ხუალე შემოვალს იგი ჩუენდა: წარტყუნ. 6,21.
- ვ-ლ-ენ: რადსათჳს მოწაფენი შენნი გარდავლენ მოძღურებასა?
მთ 15,2.
რომელნი მოვლენ ჩუენდა: საბა 18,20.
სხუანიცა მრავალნი დედანი შევლენ მისა: თეკლ. 96,14.
- ვ-ლ-ედ: რომელნი შევლედ პავლსა სმენად სიტყუათა: თეკლ. 95,3.
- ვ-ლ-ენ-ან: მრავალნი არიან, რომელნი ვლენან მიერ: მთ 7,13;
ასევე: 11,5; კიმ. I, 46,23.
იგი ნათელს სცემს და ყოველნი მივლენან მისა: ი 3,26.
მრავალნი შევლენან მას შინა: წარტყუნ. კთ 13.
რომელნი ერდოებსა ზედა იყენენ, ნუ გარდამოვლენან: C მთ 24,17.
- ვ-ლ-ენ-ედ: რაჟამს დასკუდვილად ვლენედ, თითოეულსა მარტუა-
ლი მიაქუს: სახისმეტყ. იგ 6.
რომელ ერდოებსა ზედა იყენენ, ნუ გარდამოვლენედ სა-
ხიდ, ნუცა შევლენედ: მრკ 13,15; ასევე: ლკ 21,21.

როგორც სხვადასხვა ძეგლიდან ამოწერილი მაგალითებით ჩანს, აწმყოს მესამე პირის მრავლობითში ორგვარი ფორმაა: ვლ-ენ || ვლ-ედ და ვლ-ენ-ან || ვლ-ენ-ედ. უკანასკნელიც რომ ჩვეულებრივი აწმყოა, ამას ადასტურებს ბერძნულ-სომხური ტექსტის შესაფერისი ადგილების შედარება.

აჰა იგი ნათელს სცემს და ყოველნი მოვლენან მისა: ი 3,26.

*Ἰδὲ οὐρανοῦ παύσει καὶ πάντες ἐρχοῦται πρὸς αὐτόν
ἀνάστασις ἡ αἰχμὴ καὶ ἰσχυρὸς ἡ ἀντιπαύσει ἡ αἰσῶν ἡ αἰσῶν.*

შედარება ბერძნულ-სომხურთან ქართული ოთხთავისა ზოგჯერ საგულისხმო ფაქტს გვიჩვენებს: ირკვევა, რომ მოვლენან ფორმას მყოფადის მნიშვნელობა შეუძენია:

მოვლენან დღენი, ოდეს გული ვითქუმიდეს თქუენ: DE ლკ 17,22; ასევე: მრკ 2,20.

შდრ. მოვიდენ დღენი და გწადოდის თქუენ: C, იქვე.

Ἰλθάσονται ἡμέραι, ὅτε ἐπιπαύσει...

სქსაყის ალიერე ვანსიანსიკე ასი

მოვლენან დღენი შენ ზედა და მოგადგან (sic) შენ: ლკ 19,43; ასევე: 21,6.

ἦξομαι ἡμέραι: ἐπὶ σὲ καὶ παύσει...

სქსაყის ალიერე ქი ქერაჲ დი ხ იათისყისი ექსი

შდრ. აგრეთვე: და ხუალე შემოვალს იგი ჩუენდა: წარტყუენ. 6 21.

მოვლ-ენ-ან ფორმაში -ენ სუფიქსი ფუძის საწარმოებელია¹ ისევე, როგორც სხ-ენ-ან (ლკ 1,79) და მისთანა ზმნებში. საკითხავია ოღონდ ერთი: რითაა გამოწვეული, რომ იგი მარტო მესამე პირის მრავლობითში გამოვლინდა, მაშინ როცა დანარჩენ შემთხვევებში მისი საჭიროება სრულებითაც არ იგრძნობა².

რაც შეეხება მყოფადის მნიშვნელობას, იგი, ჩანს, იმ საერთო ტენდენციის მომასწავებელია, როცა აწმყოს ფორმებისაგან გამოყოფას იწყებდა ზმნისწინიანი ზმნები და გარკვეულ პირობებში მყოფადად ყალიბდებოდა³.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ ზმნის ბრძანებითის ფორმები. დადებითი ბრძანებითისათვის საგანგებო ფორმაა გამო-

¹ ლ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 168.

² საანალოგიოდ წვ-ან-ან, მყვ-ან-ან... გამოდგებოდა.

³ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვ., I, გვ. 145.

ყენებული: გუაღე, რომელიც მნიშვნელობით ვედ ფუძის პარალელურია:

ნუ ვის უთხრობ, არამედ მიგუაღე და უჩუენე თავი შენი მღდელსა: C მრკ 1,44.

შდრ. ნუმცა ვინ უწყის, არამედ მივედ და უჩუენე თავი შენი-მღდელსა: DE, იქვე.

არამედ მოგუაღე, მივიდეთ მისა: DE ი 11,15.

შდრ. ხოლო აწ მო (sic) და მივიდეთ მისა: C, იქვე.

მეგობარო, აღ-რე-გუაღე. ზემო-კერძო: ლკ 14,10.

მიგუაღე მალიად და მოიღე წყალი: კიმ. I, 269,27; ასევე: 166,38.

წარგუაღეთ თვსაგან და გამოარჩიენით კაცნი: ქრესტ. 48,19.

გუაღე, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ: C მრკ 10,52.

ძველ ქართულში, ამგვარად, ბრძანებითის სამი ფორმა იხმარება: გუაღე, მივედ და ვიდოდე. განსხვავება მათ შორის შესრულების სახეში (ასპექტური) ჩანს...

გუაღე სასაუბრო ენაშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რასაც თუნდაც ცნობილი ხალხური ლექსის ერთი ადგილი ადასტურებს:

ამირან, გ ვ ა ლ ე, გ ვ ა ლ ე ო, მუხლად გაქებენ მალეო,
გასწი და უკან მოგდევენ, ომი იციან მწარეო: ამირანიანი.

ქართულში წართქმითი ბრძანებითის ფორმები ნამყო წყვეტილის ფუძეს ეყრდნობა. ეს არის უძველესი და ძირითადი პრინციპი ქართულში იმპერატივის წარმოებისა. ამდენად, ყოველგვარი გადახვევა აქედან შეიძლება მეორეულ, განსაკუთრებული მიზეზებით გამოწვეულ, მოკლენად ჩაითვალოს. გ-უაღ-ე ნამყო წყვეტილის ფუძეა, რომელსაც თავში გ დართვია და მის მეზობლად ვ ქცეულა უმარცვლო უ-ღ¹.

ამგვარად, თუ კი გუაღე წყვეტილის ფუძეა, თავისთავად ირკვევა, რომ ვალ ფუძეს აწმყოს გარდა ნამყო წყვეტილიც ჰქონია, რაც საგულისხმო ფაქტია.

ძველ ქართულში იშვიათად, ხოლო ახალი ქართულის დიალექტებში (ქართლ-კახურში, მთის დიალექტებში) ნამყო წყვეტილ-

¹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართვ. ენებში: ენიშკის. 8. V, გვ. 233; არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: იბერ.-კავკას. ენათმეცნ., I, გვ. 126-127

ში ვალ ზმნის მონაცვლედ, ვ-ელ ფუძის გარდა, ვ-ელ ფუძეც გვხვდება:

ამისთვის მოველ შენდა: კიმ. I, 250,4.

მაგრამ იგი ორივე რიცხვის პირველსა და მეორე პირში იხმარება, მესამეში არა. აწმყოს ვ-ალ და ნამყო წყვეტილის ვ-ელ ფუძის ფლექსია არ არის, იგი არც ვად—ვედ (გარდამო-ვედ) რიგის მოვლენაა. ველ და ველ ერთი მნიშვნელობის დიალექტური წარმონაქმებია.

სახელია სლვაჟ. ამავე სახელადის ფუძეს იყენებს ზმნა¹, რომელსაც შეუძლია არსებითად დროის ერთი მონაკვეთის გამოხატვა. ამიტომ ძველი ქართულის მასალების მიხედვით ტიპიური ჩანს:

აწმყო: მე ვალ	წყვეტილი, მომენტური: მე მო-ვედ
შენ ხ-უალ	შენ მო-ხ-უედ
იგი ვალ-ნ/ს	იგი მო-ვედ-ი-ნ
	(შდრ. მო-ვიდ-ა)

სანამ ნამყო წყვეტილის ფუძეზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითზე ვალ ფუძისაგან ნაწარმოები გარდამავალი ფორმები.

გარდამავალი ზმნის აწმყოს ფუძე -ი სუფიქსიანია და იგი სინტაქსური კონსტრუქციითლა განსხვავდება პერმანსივის ფუძისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ფუძე ეწევა „იარების“ ზმნის მაგიერობას ნამყო უწყვეტელში, ვინაიდან უკანასკნელი ზმნა დღევანდელი აზრით ძველ ქართულში მეტად იშვიათია. ამიტომ ზუსტი არაა ნ. მარის მიერ წარმოდგენილი ვ-ი ა რ-ე, ვ-ი ა რ-ო ფორმების სისტემად მიღება ძველი ქართულისათვის².

ა წ მ ყ ო

-პ-ელ-ი-ს: კლდშ, რომელი განჰვლის აღმოსავალით ქალაქსა: ჰაზო 75,4.

რომელი წარჰვლის... გზასა ზედა: ანტიოქ. 111,20.

ვლ-ი-ან: რომელნი ესრტ ცხოვდებიან, მოვლიან იგინი ც'ცხლსა მას საუკუნესა: სინას ხელნაწ. 62,3.

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ., § 47, გვ. 121—122.

² შდრ. I'pam., § 233, გვ. 200. დანაწევრება აეტორისაა.

უწყვეტელი

- კ-ელი-დ-ა: და მოჰვლიდა იგი ყოველსა სოფლებსა: საბა 18,30;
ასევე: მთ 4,23; კიმ. I, 205,13; ხანძთ. მე 7; ნე 54.
- კ-ელი-დ-ეს: უცონილად მოვჰლიდეს (sic) ყოველთავე: თბრობა
13,3.

წყვეტილი

- გარდა-ვლ-ე: დავადგერ მწუხარე და გარდავლმ ლამმ იგი უძილად:
რაეახ. 85,8.
- გან-კ-ვლ-ე: განჰვლე გზად იგი იწროვ: რაეახ. 102,13.
დღეს განხუედი ქორცთაგან, განჰვლენ ცანი: სასულ-
რამ 116; სმზ 57; პბ 318.
- ვლ-ო: განვლო მან სამ თთუე: პაბო 66,24.
ხოლო პეტრე მოვლნა სამარიტელნი: არიმათ. 54,62.
და მერმე აღვლნა წინა შჯლნი კიბენი: კიმ. I, 231,5; ასევე:
22,2მ.
- ვლ-ეს: ვითარცა მცირედ ვლეს, უბრძანა დადგრომაჲ: ხანძთ.
ლმ 30.
გარდავლეს მთაჲ იგი, არსიან წოდებული: ზარზმ. 171,33.
უმეტეს ოცისა დღისა შევლეს ქუეყანაჲ მათი: ანტიოქ.
133,24; ასევე: 140,28.

კავშირებითი II

- გან-ვლ-ო: რაჲთა მეცა განვლო და მძლე ვექმნე სოფელსა: კიმ. I,
234,16.
- წარ-კ-ვლ-ო-ს: რომელი გზად წარჰვლოს... კიმ. I, 175,10.

ხოლმეობითი II

- გარდა-ვლ-ნ-ი-ს: ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარ-
ხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა: ხაძთ. იმ 12.

ბრძანებითი

- ვლ-ე: მივლე მის თანა ორიცა: DE მთ 5,41.

თურმეობითი I

- მ-ი-ვლ-ი-ე-ს: რომელსა ზღუად გამომივლდეს: კიმ. I, 310,13.
უ-ვლ-ი-ე-ს: არავის უვლიეს უდაბნოდ ესე: საბა 8,35.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი II

ე-ვლ-ო: სამი დღე ევლო უდაბნოსა მას განშორებულსა: საბა-
10,10.

კაუზატივის ფორმები აწმყოში სამგვარია: ა-ვლ-ენ-ს (ძველ ქართულში იშვიათია), ა-ვლ-ებ-ს (წყვეტ. აღ-ა-ვლ-ო) და ა-ვლ-ინ-ებ-ს. შეადარე:

აზრზენს კაცთა და მოუვლენს გულის-სიტყუათა ბოროტთა:
კიმ. I, 225,11.

რომელნი ავლინებდეს ეტლსა: კიმ. I, 283,19.

მაშასადამე, უძველესი ვალ ფუძის გვერდით ძველ ქართულში მოგვეპოვება პერმანსივის ფუძის გარდამავალი -ი სუფიქსიანი ზმნა, რომელიც მნიშვნელობითა და გამოყენებით ხშირად აწმყოს ენაცვლება. აღნიშნული წარმოების ფუძეში, როგორც წესი, ფუძისეული ხმოვანი შეკუმშულია: გან-ვლ-ი-ს ← * გან-ვალ-ი-ს. ასევე შეკუმშულია ფუძე წყვეტილში: გარდა-ვლ-ე ← * გარდა-ვალ-ე. ბრძანებითის უძველესი ფორმა გუალე (← გ-ვალე) აღასტურებს, რომ რომელიღაც დიალექტში, რომლის შემონათანიც ესაა ძველ ქართულში, შეუკუმშავი, სრულხმოვნიანი ვარიანტი ყოფილა გამოყენებული ნაყო წყვეტილშიც, მსგავსად ჯსნის ტიპის ზმნებისა¹. დამახასიათებელია, რომ ასეთი წარმოების ბრძანებითი აღგილს უთმობს ვედ ფუძისაგან აღებულ ფორმებს.

წყვეტილის ფუძე ვ-ედ

ამ ზმნის ფუძით ქართული განსხვავდება ზანურისა და სვანურისაგან, სადაც ჯედ ფუძეა გამოყენებული: ქანური მო-ხო-უ, სვან. ან-ჯად. მაგრამ ცნობილია, რომ არც ძველი ქართულისათვის იყო ჯედ ამ მნიშვნელობით უცხო. როგორც ვედ ფუძის სინონიმი, ნამყო წყვეტილში ისიც იხმარებოდა². სამაგიეროდ ძველ ქართულში აწმყოში ჯედ საკმაოდ იშვიათია, ჩვეულებრივ იგი იხმარება სასხვისო ქცევით. ამას გარდა, შეინიშნება მისი გამოყენება ისეთ კონტექსტში, რომელშიც რამეზე გადასვლა, რაიმეში გამოვლა არის აღწერილი:

გარდამოვჯედ მე ზეცით: ი 6,38.

გარდამოჯედ მაგიერ ჯუარით: მრკ 15,30.

¹ ამ ტიპის ზმნათა შესახებ: არნ. ჩიქობავა, ერგატ. კონსტრუქციის პრობლემა, გვ. 73-76.

² შდრ. ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 66; გვ. 7, შფშ. 3.

სული წმიდაა გარდამოცდა, ვითარცა ტრედი: კოლ. წამ. 58,85.

ვითარ დამწუხრდა... დაჯდა მზე: C მრკ 1,32.

მოუჯდა მას გამომცდელი იგი: DE მთ 4,3; 7,27; 4,11...

ვედ ფუძეს -ედ სუფიქსი აწარმოებს. ეგვევ ფუძეა გამოყენებული ნამყო უწყვეტლისათვის (პირველ სერიაში!): ვედ, ვიდ-ოდ-ა¹. მსგავსი მოვლენები ძველ ქართულში არის (მისკოდა და მისთ. შდრ. ზემოთ), მაგრამ მაინც შეიძლება გვეფიქრა ვედ ფუძის არსებობის შესახებ აწმყოში, resp. პირვანდელ პერმანსიეში, სადაც -ი სუფიქსის დართვით ფუძე დრეკადი ხდებოდა: ვიდ-ი, (ხ-ვიდ-ი →) ხჯდ-ი, ვიდ-ი-ს. საგულისხმოა ამ მხრით ოთხთავის შემდეგი მაგალითი, სადაც იგი აწმყოს მნიშვნელობითაა ნახმარი:

და ეპრქჟ ამას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის: მთ 8,9.

შდრ. *Καὶ λέγει ταύται: πορεύθητι! καὶ πορεύεταί; καὶ ἔλθι: ἔρχου! καὶ ἔρχεταί;*

სა სახამ სამა: სრქ! ხა სრქსაჟ; ხა საყიამ ქს ხქ! ხა ჟსაჟ.

კერძო მოვლენებიდან უნდა აღვნიშნოთ ნამყო წყვეტილის შესამე პირში ფუძის დრეკადობა: ვედ, მაგრამ -ვიდ-ა. ფაქტი ფონეტიკური პროცესის შედეგია; შესამე სუბიექტური პირის ხმოვანი სუფიქსის დართვით მიღებული. -ა სუფიქსის მიერ ე-ს ოდქცევის სხვა შემთხვევატაა ცნობილი როგორც სახელებში, ისე ზმნებში: სახელი სენიანი მიღებულია სენ-ევ-ან'ისაგან. ქართული მწვეარი მეგრულშია წიარი... ეგვევ დრეკადი ფუძეა ნამყო წყვეტილის მრავლობითის შესამე პირში, და კავშირებითი მეორის ყველა პირში. პირვანდელი სახე დაცულია დადებითი ბრძანებითის შესამე პირში: მო-ვედ-ი-ნ².

ამ ზმნას ბრძანებითის ფორმა ორგვარი აქვს: პირველი სერის ნამყო უწყვეტლისაგან ნაწარმოები ვიდ-ოდ-ე, რომელიც

¹ H. Map p, Грамм., § 231, გვ. 198; არნ. ჩიქობავა, ერაგატ. კონსტრუქციის პრობლემა, § 9, გვ. 55 და შემდეგ.

² ა უფუნქციოა: არნ. ჩიქობავა, შესამე პირის სჯბ. უძველესი ნიშანი ქართვ. ენებში: ენიმკის მოამბე, V-VI, გვ. 34-36.

ზშირად უზმნისწინა, და მეორე სერიის ნამყო წყვეტილის ფუძე, რომელიც უზმნისწინოდ შეუძლებელია: მო-ვედ, წარ-ვედ..

სასხვისო ქცევის ფორმები, რომლებიც ძველი ქართულის ძეგლებში იშვიათია, თავისებური ლექსიკური მნიშვნელობისაა: უვიდოდა—უდიოდა, ასდიოდა. დაუდიოდა:

სული სულნელი უვიდოდა: ურპ. 323,13.

თავადი მიხეახლა მათ და თანა ხუვიდოდა: ქრესტ. 10,23.

უწვეტიელი, კავშირებითი I, ხოლმეობითი I

ვიდ-ოდ-ე: ვილოდე რაჲ დღეს შემდგომად შენსა, ვიხილე ვეშაპი: საბა 8,35.

ვიყავ მე ბოსტანსა შინა ჩემსა და ვილოდე: დამასკ. 280,2.

ხ-ვდ-ოდ-ე: ალაგთა საღმრთოთა... ხვდოდე: სასულ. რნთ 19; უბ 48.

-ვიდ-ოდ-ა: დადგა ფერჯთა ზედა და ვილოდა: საბა 18,35.

ვითარ აღმოვიდოდა იგი მიერ წყლით... C მრკ 1,10.

მამაჲ გრიგოლ თჳსით აგარაკით მარტოჲ შთამოვიდოდა: ხანძთ. მთ 1.

ვიდ-ოდ-ე-თ: წარმოვემართენით და ვილოდეთ ქედთა რაჲმე მალათა: ზარზმ. 160,5.

წარ-ვიდ-ოდ-ეს: ხოლო ვნებულნი იგი წარვილოდეს სახიდ თჳსა: კიმ. I. 237,10.

გამო-ვიდ-ოდ-ეს: გამოვილოდეს ნათლისა ისარნი: ხანძთ. ნ 12.

ხ-ვდ-ოდ-ი: შეგიდკე შენ, ვიდრეცა ხვდოდი: თეკლ. 107,19.

გან-ვიდ-ოდ-ი-ს: მცნებაჲ განუწესა მას, რაჲთა არასადა 'განვიდოდის: ანტიოქ. 125,4; იაკობ. ზ 15; უმ 16.

ვიდ-ოდ-ი-თ: ყოველნი შენსა ვიტყოდით მარადღე და მცნებათა... ვილოდით: იაკობ. იმ 19.

მო-ვიდ-ოდ-ი-ნ: მრონიენნი მონაზონნი მოვიდოდინ (sic): ათონ. ხელნაწ. 49,93.

ვიდ-ოდ-ი-ან: არლარა სცოდონ და არლარა ვილოდიან საცთურსა: თეკლ. 101,1.

ვიდ-ოდ-ი-ედ: ვილოდეედ იგინი და ჯმობდიედ: ჰავ. მასალ. 47.

ბრძანებითი I

ვიდ-ოდ-ე: ჰრქუა იესუ: ვილოდე, ეშმაკო: C მთ 4,10.

ვილოდე, სარწმუნოებაჲმან შენმან გაცხოვნა შენ: DE მრკ 10,52.

შე-ვიდ-ოდ-ე-თ: შევიდოდეთ იწროსა მას ბქესა: მთ 7,13.

წყვეტილი

- მო-ე-ედ: ნუ ჰკონებთ, ვითარმედ მოვედ დაქსნად შჯულისა: მთ 5,17; ი 8,14 (ასევეა სხვადასხვა ზმნისწინით ეს ფუძე: რაეახ. 87,30; 87,6; 90,24; 89,1; არიმათ. 32,16; 27,5; 44,40).
- მი-ხ-უ-ედ: წარმართთა თანა მიხუედ: იპოლ. 6,7.
- შემო-ხ-უ-ედ-ი: რადსა შემოხუელი შენ ეკლესიად? ევსტ. 85,15.
(ეგვეე ზმნა სხვადასხვა ზმნისწინით: არიმათ. 30,12; რაეახ. 103,14; სასულ. რძბ 116; რნა 6).
- წარ-ხ-უ-ედ-ი-თ: რაემს-იგი წარხუელით თქუნ: ზარზმ. 163,26.
- აღ-ე-იდ-ა: აღვიდა მთასა და დაჯდა: DE მთ 5,1.
და მშჯლობით შთავიდა იგი იერიქოდ: წარტყუნ. იე 19.
- შე-ვ-იდ-ეს: არა შევიდეს იგინი ქალაქსა: საბა 13,5.
და შთავიდეს აღგილსა მას: ხანძთ. თ 101 (ეგვეე ზმნა სხვა ზმნისწინებით: არიმათ. 68,92; კიმ. I, 4,11; ხანძთ. იდ 5; ოგ 11...).

კავშირებითი II

- წარ-ვ-იდ-ე: წარვიდე და მივიდე კაცისა მის უცხოჲსა: თეკლ. 102,15; ასევე: იქვე, 122,18; ხანძთ. თ 66; ევსტ. 80,35.
- მი-ხ-უ-იდ-ე: და მიხუდე სიმრავლესა მწარეთა სატანჯველთასა: არიმათ. 20,25; ასევე: DE მთ 5,26; ხანძთ. დ 8; ი 20.
- აღ-ე-იდ-ეს: ვინ აღვიდეს მთასა... ხანძთ. დ 2; ასევე: დ 36.
- შე-ვ-იდ-ენ: შემდგომად ჟამისა განტევეებისა საღიაკონოდ შევიდენ: იაკობ. პგ 4.

ხოლმეობითი II

- მი-ე-იდ-ი: მივიდი მე სენაკებსა მათსა ყოველთა დღეთა: კიმ. I, 29,1.
ეკლესიად მივიდი და ვისმენდი ჟამობასა: ევსტ. 85,5.
(ასევე სხვა ზმნისწინებით: ხანძთ. იბ 15; საბა 7,5; 6,15; 14,25; სახისმეტყ. ი 30...).
- აღ-ე-იდ-ი-ან: ეპტებდი ჟამსა მას, რომელსა ქრისტეანენი აღვიდიან იწმდ: რაეახ. 86,33 (ასევე სხვა ზმნისწინებით: სახისმეტყ. გ 27; კლ 15; ხანძთ. მბ 164; ჰაბო 70,17).

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი II

წარ-ვედ: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ენმაკო: DE მთ 4,10.

შე-ვედ-ი-თ შევედით იწროსა მას ბქესა: იქვე, მთ 7,13.

მი-ვედ-ი-ნ: ხოლო ძმაჲ შენი იოვანე შივედინ ადგილსა სხუასა: ზარზმ. 170,7.

მო-ვიდ-ედ: და მოვიდედ მის თანა მცველნიცა: კიმ I, 174,18.

როგორც ცნობილია, ვალს ზმნის მასდარია ძველ სალიტერატურო ქართულში სლვაჲ, რომელშიც ძირისეული ვ თანხმოვანი სუფიქსადაა გაგებული -ავ სუფიქსიანი მასდარების ანალოგიით: წულ-ავს: წულვაჲ და მისთ. უნდა გვეკონოდა კი სვლა. მასდარისაგანვეა მიმღეობა სლული ← * სლვული: მოსლული ძალითა: C მრკ 9,1.

შემდგეში დისიმილაციით მივიღეთ სრული: მოსრულ-ვარ: იქვე, 2,17.

სლვაჲ პრეფიქსიანი მასდარების ტიპს ეკუთვნის, ს და ა აფიქსებია, ფუძეა ვლ ← ვალ, რომელსაც ზანურში შეეფარდება ულ ← ვოლ¹. თუმცა სვანურში ეს ფუძე არა ჩანს, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველურ ენებში იგი უძველესი და ფართოდ გამოყენებული ზმნაა².

§ 12. -ი-ე ბოლოსართიანი სტატიკური ზმნები

ძველ ქართულში -ი-ე დაბოლოებიანი გარდაუვალი ზმნებო სტატიკურის სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ტიპის ზმნები ძველ ქართულში ბევრი არაა. იგი, სხვათა შორის, ძალიან გავრცელდა ახალ ქართულში ისეთ ფუძეებთანაც კი, რომელთაგან ძველ ქართულში მსგავს წარმოებას ვერ ვხვდებით. ახალმა ქართულმა საერთოდ მოახდინა უნდფორმაცია: აწმყოში ერთნაირი დაბოლოება მიიღო ყველა სტატიკურმა ზმნამ და სტატიკური შინაარსის ზოგმა საშუალმა ზმნამ (შდრ. ძველ ჰ-კი დ-ა-ე-ს, ახალი — ჰკიდ-ი-ა...), მოკმედებითის ფუძეებისაგან ნაწარმოებმა ა-გდ-ი-ა, ჰ-ყრ-ი-ა და მისთანებმა. ასეთი წარმოების მასობრივად გავრცელებამ, რო-

¹ არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 273; მისივე, სახელის ფუძის უძვ. აგებულება, § 96, გვ. 284.

² ი. ფრიდრიხის მიერ ეგვეე სემანტიკური ერთეული დადასტურებულია ურარტულში ულას სახით (Einführung ins Urartäische, ლაიფციგი, 1933, გვ. 176).

გორც ცნობილია, ერთგვარი გავლენა იქონია ჰ-შ ი-ა, ჰ-ქ ე-ი-ა, ს-წყურ-ი-ა და მისთანა ფორმათა წარმოქმნაზე¹.

ამ ფორმათა (ე. ი. ჰ-გ-ი-ე-ს ტიპის ზმნების) გენეზისი დღემდის საბოლოოდ არაა გარკვეული. წარმოების მიხედვით სტატიკური შინაარსის ზმნები სხვადასხვაა. ერთი, ძალიან მცირე, ესაა აღწერიითი სტატიკური ზმნები, რომლებშიც ორგანული წარმოება ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრებულა:

აწ ხანძთას წმიდაჲ ეკლესიაჲ შენ არს: ხანძთ². 22,1.

მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა: იქვე, 29,9.

მეორე მხრით, ძველ ქართულში ისახება და თანდათან ვრცელდება მესამე პირში -ი-ა დაბოლოებანი სტატიკური ფორმები სწერია ტიპისა³ (იხ. ქვემოთ), რომლის დამკვიდრება ახალ ქართულში პირველი თურმეობითის სათანადო ფუძეთა პარალელურად დაიწყო.

ძველი ქართულისათვის ტიპობრივია -ი-ე ბოლოსართებით წარმოება — ჰ-მოს-ი-ე-ს, ჰ-გონ-ი-ე-ს... მესამე პირის მრავლობითში ე საერთო წესით იკარგვის: ჰ-გ-ი-ე-ს, მაგრამ: ჰ-გ-ი-ან.

ახალ ქართულში მეშველზმნიანი ფორმების ხმარება პირველ ორ პირში: ვ-ჰ-კიდ-ი-ვარ, ჰ-კიდ-ი-ხარ თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ჰ-კიდ-ი-ა⁴ ში გვაქვს კიდ-ი ფუძე და მესამე პირის მეშველი ა-რს ზმნის თავიიდური ა.

ძველი ქართულის ფორმები კი სხვაგვარი წარმოშობისაა. ნ. მარს შესაძლებლად მიაჩნდა ჰ-გ-ი-ე-ს ფორმაში ეს ელემენტი მთლიანად მიეჩნია როგორც არ (არსობა სახელზმნის) ფუძის ტოლფარდი ერთეული, რომელიც აღწერიტის ან საკუთრივ ზმნურ ფუძეებში აღმოჩნდებაო; აღ-მი-შენები ეს⁴ (დანაწევრება ნ. მარისა ა—ი. ქ.). ჰ-გ-ი-ე-ს (ნ. მართ: გიეს) ზმნის შესახებ ნ. მარ ი შენიშნავდა, რომ ფუძე გი წარმოადგენს ი-ნიანი ვნებითის მიმდროებას გ ← გვ ძირისაგან, რომელსაც თავისი დამოუკიდებელი უღლილება მოეპოვებო:

¹ ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 74, შწმ. 2.

² პ. ინგლორუცვას 1949 წლის გამოცემის მიხედვით.

³ ძველ ქართულში სწერიეს თითქმის სულ არ გვხვდება...

⁴ H. Mapp, Gram., § 211, გვ. 175. ეგვევ აზრი გაატარა აორისტის შესამე პირის დაბოლოების ახსნისას ი. ყიფშიძემ თავის მეგრული ენის გრამატიკაში: § 65, გვ. 054.

აწმყო: ე-გებ-ი-ს

უწყვეტელი: ე-გებ-ო-დე-ს

აორისტი: ე-გო ← ე-გვ-ა

კავშირებითი: ე-გო-ს¹.

პირველ შემთხვევაში ჰგიეს არაა სწორად დანაწევრებული: ს შესამე სუბიექტური პირის სუფიქსია, ე ცალკე ნიშანია. მეორე შემთხვევაში პარადიგმი ხელოვნურია: კლასიკურ ქართულში ამ ზნის უღლილება ამ სახით არ გვხვდება, ჰგიეს სხვა წესს იცავს, ეგების — სხვას. დაბოლოს, თუ გი მიმღეობის ფუძეა, ნამყოს მიმღეობა გილი უნდა ყოფილიყო და არა გებ-ული. ამგვარად, ჰგიეს ტიპის ზმნათა ნ. მარისეული ახსნა მისაღები და გასაზიარებელი ვერ იქნება.

უდავოდ გარკვეულობითა და თანამიმდევრობით ხასიათდება გ. დ ე ე ტ ე რ ს ი ს მოსაზრება. სტატიკური ზმნების აწმყოს შესახებ მას საერთოდ საინტერესო დაკვირვებები აქვს. სტატიკურ ზმნათა ი და პირველი თურმეობითის ი სუფიქსი (შემირაცხ-ი-ე-ს) ჩათვლილია ერთ და იმავე ოდენობად და დაშვებულია ვარაუდი მისი აწმყოს ვნებითის -ი სუფიქსთან დაკავშირების შესახებ².

ამ სუფიქსის ვნებითის -ი' სთან დაკავშირების საწინააღმდეგოდ პრინციპში არაფერი შეიძლება იყოს: აღ-ი-რაცხებ-ი-ს და აღ-ურაცხ-ი-ე-ს, მართლაც, შეიძლება ერთსა და იმავე -ი სუფიქსს შეიცავდნენ, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ვნებითისას?

ვნებითის ნიშანი ქართულმა იცის პრეფიქსად და არა სუფიქსად; შემდეგ, ვნებითის პრეფიქსი ერთი უკვე არის ზმნაში, მეორე, მატერიალურად იგივე, არც საქიროა, არც მოსალოდნელი. უფრო სარწმუნო ის იქნება, თუ — ამ სუფიქსს ჩავთვლით იმავე ოდენობად, რაც აწმყოში ზმნური ფუძის საწარმოებლად გვაქვს რიგ ზმნებში: ი ტ ყ უ - ი - ს, ი ვ ლ ტ - ი - ს, პ ე რ ო ვ - ი - ნ და მისთანებში³. რაც შეეხება ვნებითში მის გამოვლენას, იქ იგი თვისთავად მეორეული მოვლენაა, რამდენადაც მეორეულია თვით აწმყოს თემატური სუფიქსები, განსაკუთრებით -ი ხმოვანსუფიქსის წინ გამოვლენილი.

ამგვარად, -ი სუფიქსი რომ პერმანსივისეული სუფიქსია, ამ გაგებას შეიძლება მხოლოდ აბრკოლებდეს მისი არქონა მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყოში: შე - ს - წ ი რ - ა ვ - ს გა მ ო - თ ქ უ - ა მ - ს; თურმეობითი პირველი: შე - უ - წ ი რ - ა ვ - ს, გა მ ო - უ -

¹ И. М а р р, Грамм., § 215, გვ. 178.

² გ. დ ე ე ტ ე რ ს ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 168 — 169.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ერგატ. კონსტრუქციის პრობლ., გვ. 98 — 101.

თქუ-ამ-ს, მაგრამ: შე-ი-წირ-ვ-ი-ს, გამო-ი-თქუ-მ-ი-ს. თუმცა ამავე მოქმედებითი ნამყო უწყვეტელი — შესწირვ-ი-ღ-ა (← *შესწირ-ავ-ი-ღ-ა) — საკითხს კიდევ სხვაგვარად აყენებს...

მაშასადამე, სტატიკური ზმნების -ი ბოლოსართი იტყუ-ი-ს, ივლტ-ი-ს... ზმნებში გამოყენებული -ი' ს ტოლფარდი ოდენობაა. ამისდა მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ უძველეს პერიოდში პირვანდელი პერმანსივის resp. აწმყოს ფუძე ამ ზმნებში შემდეგი აგებულებისა იყო:

ვ-ჰ-გ-ი	-ვ-ჰ-გ-ი-თ	მ-მოს-ი-ს
ჰ-გ-ი	ჰ-გ-ი-თ	გ-მოს-ი-ს
ჰ-გ-ი-ს	ჰ-გ-ი-ან	ჰ-მოს-ი-ს...

რაც შეეხება მომენტური ასპექტის ფორმას, რომელსაც აორისტის ნაკეთი გამოხატავდა, იგი იმატებდა ჩვეულებრივ -ე დაბოლებას, მაგრამ არა სუფთა ფუძეზე, არამედ უშუალოდ პერმანსივის აღნიშნულ ფორმაზე:

ე-ჰ-გ-ი-ე	ე-ჰ-გ-ი-ე-თ	მ-მოს-ი-ე-ს
ჰ-გ-ი-ე	ჰ-გ-ი-ე-თ	გ-მოს-ი-ე-ს
ჰ-გ-ი-ე-ს	ჰ-გ-ი-ან	ჰ-მოს-ი-ე-ს...

შემდეგში აორისტის ეს ფორმები, ამ ტიპის ზმნათა განსაკუთრებული სემანტიკური თავისებურების გამო (რეზულტატიური შინაარსი), აწმყოდ ქცეულა და აორისტის -ე ნიშანი აწმყოშიც შენარჩუნებულა¹. რადგან აორისტი აღარ დარჩა ძველი სახით, ხოლო საჭირო კი იყო იგი, ენაში ანალოგიით გავრცელდა ვნებითი გვარის ფორმები იმავე ფუძიდან აწმყოს მონაცვლედ: ჰგის — ე-გო...

ზემოთქმულთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ პერმანსივის ფუძის -ი სუფიქსი ნამყო უწყვეტელშიც გადაჰყვება². ამის საუკეთესო დამადასტურებელ მაგალითს ვპოულობთ მასშიეს ზმნის ულლილების სახით. გარდა იმისა, რომ ძველ ქართულში გვაქვს აწმყოში ამ ზმნის აბსოლუტური და რელატიური ვნებითის ფორმები, გვხვდება აგრეთვე მოქმედებითი, რომლის ფუძე ორგვარი აგებულებისაა: ა-სმ-ი-ს და ა-სმ-ენ-ს: ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუ-

¹ მაშასადამე, მასშიეს იგივეა, რაც მესმა. ძველი ქართულის ტექსტების სხვადასხვა რედაქცია ამას გვიდასტურებს: გუასშიეს ჩუენ მაგისი, იტყოდა რაჲ სიტყუასა გმობისასა: მოციქ. 6,11 შდრ. გუესმნეს მაგისგან სიტყუანი გმობიანი, რომელსა იტყოდა: იქვე, გ. ასევე: ი 9,32 C და DE.

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, პერმანსივის (ნ. ხოლმეობითის) ადგილისათვის... გვ. 94-95.

ებს: მრკ 7,37. აქედან უფრო ძველია პირველი, ა-სმ-ენ-ს შედარებით ახალია; პირველი ფუძის უღლილება აწმყოში ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

ვ-ა-სმ-ი (← ვ-ა-სემ-ი: 'ვასმენ, ვაგონებ; ვაგებიანებ')

(b)-ა-სმ-ი (← ხ-ა სემ-ი)

(b)-ა-სმ-ი-ს (← ხ-ა-სემ-ი-ს)

უწყვეტელი

მ-ა-სმ-ი-ოდ-ა¹: არა მეხილვა მამად გრიგოლ, არამედ მასშიოდა: ხანძთ. მზ 86.

ა-სმ-ი-ოდ-ა: მრავალგზის ასშიოდა სახელი საღმრთოდასა მის: კიმ. I, 66,15; 328,2.

ასშიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირედნი...

არიან მუნ: ქრესტ. 91,14.

წყვეტლი (resp. თურმ. I)

მ-ა-სმ-ი-ი-ეს: მასშიეს მე მისი კაცთმოყუარობაჲ: ბოლნ. 11.

მასშიეს მე... მოციქულისაგან: შუშ. 11,1; ასევე: ევსტ. 81,1; კიმ. I, 9,15; 70.25, 116,31.

გ-ა-სმ-ი-ი-ეს: გასშიეს, რამეთუ თქუა: მთ 5,21; 5, 27-33-38-43.

არა გასშიეს-ა წერილისაჲ: ხანძთ. ოვ 6; რავახ. 93,28.

ა-სმ-ი-ი-ეს: საუკუნითგან არავეს ასშიეს: () ი 9,32.

ა-სმ-ი-ა: ვის სად ასშია, ანუ უხილავს: ჰავ. მასალ. 39.

ამგვარად, თუ პერმანსივში უძველეს დინამიკურ ფორმად უ-ჰყრ-ი-ხ, მ-მოს-ი-ს და ა. შ. ზმნებს მივიღებთ, მაშინ მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო შემდეგში ნაწარმოები ნამყო უწყვეტელი ისევე, როგორც ასშიოდა ზმნაში გვაქვს, ან მ-მოს-ი-დ-ა, უ-ჰყრ-ი-დ-ა და მაგვარი სახით. მაგრამ იგი ტექსტებში არა გვხვდება. არა გვხვდება ან იმიტომ, რომ ამ ზმნათა შინაარსი მას არ საკიროვებდა, ან იმიტომ, რომ ეს წარმოება ადრევე შეიცვალა. ასევე გამოვიდა ალბათ ხმარებიდან კიდ-ი ფუძისაგან ნაწარმოები სტატიკური ფორმები და მის ნაცვლად -ავ ბოლოსართით ნაწარმოები ფუძეები გავრცელდა: ჰ-კიდ-ავ ს.

¹ სპორადულად გვხვდება ა-სმ-ოდა (ასმოდა დიდი ესე საკრველებად: ხარხმ. 164, 29), რაც ქროდა—ქროდა'ს რამისაა. იგრძნობა შინაარსობრივი კავშირი თურმ. მეორესთან. იშვიათად დასტურდება აგრეთვე გისშიეს: კიმ. II, 215,22.

ძველი ქართულის სტატიკური ზმნები წარმოადგენენ ქართული ზმნის ულლილების უძველესი საფეხურის ამსახველს აწმყოში. აწმყოში (resp. პერმანსიეში) ამ ზმნებს -ი სუფიქსი ჰქონიათ ფუძის საერცობად. ეს -ი სუფიქსი იმდენად შეხორცებია ფუძეს, რომ გადაჰყოლია ნამყო წყვეტილშიც, სადაც ი-ს აშკარად ემატება ნამყოს ნიშანი -ე. ასეთ ზმნათა სპეციფიკურმა სემანტიკამ ხელი შეუწყო მათ აწმყოდ ქცევას: უპყრ-ი-ს ჯელი — პერმანსიეის ფორმისაგან მივიღეთ უპყრ-ი-ე-ს ჯელი — აორისტი. უპყრ-ი-ე-ს აორისტი აწმყოდ იქცა. მსგავსი მოვლენები იცის ქართულმა, იცის სვანურმა: ზამჯელა 'შეუძლია' მამოტჳ-ა 'მჩვევია' — წარმოებით ნამყოს წარმოადგენენ, ამჟამად აწმყოს გაგება აქვთ¹.

ახალ ქართულში გავრცელებულ ს-წერ-ი-ა, მ-კიდ-ი-ა (ჩანასახი ასეთი ფორმებისა ძველ ქართულშია) პირველსა და მეორე პირში მეშველ ზმნას დაირთავენ სხვა სტატიკური ზმნების ანალოგიით (ვ ზ-ი—ვ-ზ-ი-ვარ, ვ-რბ-ი—ვ-რბ-ი-ვარ...). ამ ტიპის ზმნებში მეშველი ზმნის დართვა ძველი პერმანსიეის ფუძეზე განსაკუთრებით მას შემდეგ მოხდა, რაც ზოგი ძველი ფუძე გარდამავალი-დინამიკური გაგებისაგან დაიცალა: ვ-ჰ-კიდ-ი → ვ-კიდ-ი-ვარ...

ჰ-გ-ი-ე-ს

ძველ ქართულში ჰგიეს *verbum subsistendi*-ს მნიშვნელობით იხმარება. ძირს გ წარმოადგენს. ამავე ძირისაგანაა ნაწარმოები ზმნები ვ-ჰ-გ-ებ და ე-გ-ებ-ი-ს.

აწმყო

ვ-ჰ-გ-ი-ე: და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა: ი 15,10.

ჰ-გ-ი-ე: რომელი იორდანეს იხილვე და ღმრთებით ჰგიე: სასულ. ზბ 484; რტმ 92.

მცნებათა ღმრთისათა... ჰგიე მარადის: ხანძთ. კთ 55.

ჰ-გ-ი-ე-ნ: ეგრეთვე ჰგიენ ზაფხულსა: იპოლ. 16,16.

ჰ-გ-ი-ე-ს: მარგებელი იგი კეთილისაჲ უკუნითი უკუნისადმდე ჰგიეს: რავახ. 95,19; ასევე: სპევს. 329,24; სასულ.

ტგნ 2; წარტყუნ. ლ 3; ე 25; ხანძთ. კვ 90.

ჰ-გ-ი-ე-თ: ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა: DE ი 15,10.

¹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა, სვანური ენა, ზმნა, გვ. 189.

ჰ-გ-ი-ან: აჰა ბექედნი საფლავისანი ჰგიან აღუტეხელად: სასულ-
ტოდ XXI.

უ-გ-ი-ან: თულ უგიან და განჩზრებული ჰხედავს კაცსა: თეკლ-
95, 30.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა ო რ ი ს ტ ი

ე-გ-ე: საღმრთოთა ბუნებითა ეგე უხრწნელად: სასულ. ტოდ VIII.

ე-გ-ო: უენებელად ეგო ქალწული შემდგომად შობისა, ხოლო ადგი-
ლი იგი, ზარზმად წოდებული, ეგო უძრავად ყოვლადვე:
ზარზმ. 174,4. ასევე: ანტიოქ. 76,10; რაეახ. 93,3; საბა
5,5; კიმ. I, 268,13; სასულ. ტოდ 40; 40 10; სჟდ 118.

ე-გ-ენ-ი-თ: კულად ეგენით ადგილსავე თვისსა: ურჰ. 337,10.

ე-გ-ნ-ეს: უგულისხმოებასავე მათსა ზედა ეგნეს და არცა შენდობაჲ
ითხოვეს: ანტიოქ. 76, 21.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი II

ე-გ-ე-ნ: ნაყოფი თქუენი ეგენ: C ი 15,16.

კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი II

ე-გ-ო: რამეთუ ეგო შენ ქალწულებასავე: კიმ. I, 180,14.

ე-გ-ო-ს: მრავალი კეთილი მოგემადლოს, რომელი ეგოს უკუნისად-
მდე: წარტყუენ. ლგ 24; ანტიოქ. 137,28; სასულ. სნზ 152;
ხანძთ. კდ 36; ევსტ. 137,28.

ამ ზმნის აორისტის ფორმა, რომელიც ყოველთვის უპრევერ-
ბოა, ემსგავსება დაეგების ზმნის აორისტს: შდრ. უზორე კეთი-
ლად, რომელნი უკუდავ არიან და ეგე სევეროზ მეფესა: დამასკ.
260,30 (ეგე 'გაუგონე, დაემორჩილე; შეურიგდი').

ჰ-გონ-ი-ე-ს

გონ ფუძისაგან ორი ზმნაა ნაწარმოები: ვჰგონებ და მგონ-
იეს, რომლებიც თითქმის თანაბარი ვნიშვნელობით არის ტექს-
ტებში ნახმარი. განსხვავდება ეს ორი ზმნა აგებულებით და დროთა
წარმოებით. პირველს აქვს ყველა ნაკეთი, მეორეს მართო აწმ-
ყო. უფრო ხშირია ობიექტური წყობის ფორმები.

ა წ მ ყ ო

ე-ჰ-გონ-ი-ე: ვინ ვჰგონიე ერსა მას: ლკ 9,18.

გ-გონ-ი-ე: ნუ გგონიე მე... კაცი მრავალის-მეტყუელი: წარტყუნ-
დ 16.

გ-გონ-ი-ე-ს: და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს: შუშ.
37,25.

ჰ-გონ-ი-ე-ს: მსმენელსა ზემოთქუმული იგი ჰგონიეს კოზმან: იოვ.
დამასკ. 145,11.

ჰ-გონ-ი-ე-ნ: ჰგონიენ მამალსა მას, თუ შეეხო დედალსა: სახისმეტყ-
იგ 12.

ჰ-გონ-ი-ე-დ: რომელმან არა იცინ, ჰგონიედ¹, ვითარმედ უდაბ-
ნოა არს: კიმ. I, 31,29.

გ-გონ-ი-ან: არა გგონიან შენ დაბადებულნი... კიმ. I, 45,7.

ა ო რ ი ს ტ ი

გ-მ-გონ-ე: მგულ გეგონე-ა?... კიმ. I, 44,27.

მ-ე-გონ-ა: მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო: შუშ. 14, 8.
მეგონა გულსა ჩემსა: კიმ. I, 19,25.

ე-გონ-ა: რომელთა-იგი საუცარ ეგონა ქუეყანასა ზედა: ჰაბო 76,
11; ასევე: ანტიოქ. 85,27; წარტყუნ. კდ 24; ქრესტ-
13,17.

კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი II

ე-გონ-ო-ს: იყო-ლა თუ სხუად რად სიჯერკულ^შ ეგონოსვე, არა-
მედ კეთილიცა იპოვის: სახისმეტყ. ვ 60.

ვჰგონებ ზმნას, როგორც შედარებით ახალწარმოებულ ფუ-
ძეს, თავისუფლად შეუძლია ყველა ნაკეთის წარმოება:

¹ ასეთი მაგალითები, როცა მესამე პირის მხოლოდობითში ს || ნ || დ გვაქვს, სხვადაა. იგი თეორიულად მოსალოდნელია. იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ვნის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში: ი ბერ.-კავკას. ვნათმეცნ., V, 1953, გვ. 522, შდრ. გვ. 521, შნშ. 2; დ. გეწაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში: ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953, გვ. 139—147.

აწმყო: მე ვითარ ვჰგონებ, არაკეთილი უყავ ძმასა შენსა ბოლნ. 84.

უწყვეტელი: ვჰგონებდ ცხორებისა ამის დაწერად: ხანძთ. მთ 11.
წყვეტილი: ჰგონა მან ადვილად ჯელთ-გდებად მისა: თხრობა 18.

უ-პყრ-ი-ე-ს

ქონების აღმნიშვნელი ზმნებიდან ეს ერთ-ერთი სტატიკური ზმნაა, რომელსაც თავისი საკუთარი ძირის აორისტი მოეპოვება. ეს ზმნა იხმარება მხოლოდ სასხვისო ქცევიანი სუბიექტური და ობიექტური წყობის ფორმებით:

ა წ მ ყ ო

მ-ი-პყრ-ი-ე-ს: მე გულსმოდგინედ ლოცვაჲ შენი მიპყრიეს: ხანძთ. კდ 32.

ჩუენ ამიერითგან... მსახურებისა წინდი მიპყრიეს: სპევს. 333,66.

გ-ი-პყრ-ი-ე-ს: ვინანი ხართ, ანუ რომელი რჩული გიპყრიეს: ეესტ. 82,13; 81,10.

ნუ ეგვევითარი გონებაჲ გიპყრიეს: შუშ. 14,4.

უ-პყრ-ი-ე-ს: ქუეყანაჲ იგი სარკინოზთა უპყრიეს: ჰაბო 67,6; ეგვეე ზმნა: ხანძთ. მზ 132; წარტყუენ. გ 24; ეესტ. 82,9; C მრკ 7,3.

უ-პყრ-ი-ე-დ: ძიებაჲ რაჲ სასყიდლისაჲ საქმედ უპყრიედ მათ და ყოვლადვე ბრძნობედ: ხანძთ. ა 11.

რომელთა სკან მისგან, მოაჩჩეს მუცელი და ქსნილად უპყრიედ: თუალთ. 22.

გ-უ-ი-პყრ-ი-ე-ს: წესთა მათგანი სულიერთაჲ მცირედ რაიმე გვპყრიეს: ხანძთ. იზ 1.

უ-პყრ-ი-ან: რომელსა უპყრიან ყოველნი: სასულ. რუჲ 28; ოე 67. ჯელთა უპყრიან ყოველნი: ინტიოქ. 97,20.

ა ო რ ი ს ტ ი

ვ-ე-პყარ: იმას ბერსა ჯელითა თჳსითა ზე ვეპყარ: საბა 17,35.

ჰ-ე-პყრ-ა: ვითარცა წინაწარმეტყუელი ჰეპყრა იგი: ჰაემ. მთ 14,6. ჰქონდა და ეპყრა მათ კანონი და წესი სარწმუნოვებისაჲ: ბოლნ. 87; ასევე: ინტიოქ. 129,24; წარტყუენ. დ 14; თხრობა 14.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II

გ-ე-პყრ-ა-ს: ნუ უკუე გეპყრას გზაჲ უცხოჲ: კიმ. I, 76,6.

პ-მოს-ი-ე-ს

მარტივი ფუძეა მოს, რომელსაც ძველ ქართულში აწმყოში თემატური სუფიქსი ჩეიულებრივ არ ერთვის. შესაძლებელია აწმყოს ფუძეში -ი სუფიქსი გვექონოდა და დაკარგულიყო. დინამიკური გარდამავალი ფორმები შემდეგი სახისაა:

ა წ მ ყ ო

შე-პ-მოს-ს: რომელი-იგი წამის-ყოფითა შეჰმოსს შროშანთა: ან-ტიოქ. 113,33; სასულ. ხლგ 134.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ი-მოს-დ-ეს: ამათ ეწოდა სახელი მსგავსად სამოსლისა მათისა, რომელსა იმოსდეს: წარტყუნ. ე 14.

ტექსტებში ვადასტურებთ თითო-ორიოლა შემთხვევას -ებ სუფიქსიანი ფუძის გამოყენებისას, რაც დიალექტური წარმოშობისა არის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შემდეგში ამ ზმნაში სხვა თემატური სუფიქსი დამკვიდრდა (შდრ. ახალი ქართული შემოს-ავ-ს...): შეიმოსებს ქუეყანისაგან ნათელი იგი გუამსა: ურპ. 330, 2.

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი, ა წ მ ყ ო

მ-მოს-ი-ე-ს: ძაძაჲ ესე, რომელი მმოსიეს შე: კიმ. I, 252,8.

მ-მოს-ი-ე-დ: სამოსელი ესე, რომელი მმოსიედ, მრავლისა სასყიდლისაჲ არნ: ჰაგ. მასალ. 28.

გ-მოს-ი-ე-ს: ვითარ შემოხუედ აქა, რომელსა არა გმოსიეს სამოსელი საქორწინს: მთ 22,12.

პ-მოს-ი-ე-ს: ბაგეთა მისთა ჰმოსიეს მეცნიერებაჲ: იოვ. დამასკ. 168,29.

პ-მოს-ი-ე-ნ: დიდად პატიოსანი სამოსელი ჰმოსიენ: ჰაგ. მასალ. 30.

პ-მოს-ი-ე-დ: ჰმოსიედ სამოსლად მისა ქუეშე ძაძაჲ ფიცხელი: ათონ. ხელნაწ. 298,7 ქვევიდან.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა ო რ ი ს ტ ი

გ-ე-მოს-ა: დაეც ძალი... ძალითა საღმრთოჲთა, რომელი გემოსა: ურპ. 343,5.

ე-მოს-ა: და ემოსა იოვანეს სამოსლად თმისაგან აქლემისა: DE მრკ
1,6; მთ 22,11.

სამოსლად მისა იყო შეურაცხი ჩოჯად და ემოსა მას წმი-
დად სქემად: ხანძთ. ნვ 33; გ 35.

შინაგან ძაძად ემოსა: შუშ. 40,16; ჰაბო 73,29.

გარდა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ასეთი წარ-
მოებისა, შეინიშნება ახალი ქართულისათვის ნიშანდობლივი დაბო-
ლოებაც აწმყოსა და პირველ თურმეობითში:

ჰ-მოს-ი-ა: ქეშმარიტისა ნათლისა სამოსელი ჰმოსია: ხანძთ. მწ 29.

შე-უ-მოს-ი-ა: უკირველად შეუშმოსია უბადრუკი ესე გუამი ჩემი:
ანტიოქ. 14,1.

უ-ფლ-ი-ე-ს

ამ ზმნის მასდარია ფლ-ობ-ა-ჲ. ფლ (← ფალ)-ისაგან ნაწარმოებია
უ-ფლ-ებ-ა-ჲ: ყველა მათგანს საერთო ფ ძირი აქვს მე-უ-ფ-ე და
უფ-ალ სიტყვებთან¹.

ფალ ფუძე არის ამოსაიალი, ერთი მხრით, სტატიკური მიფ-
ლიეს და, მეორე მხრით, ისევ სტატიკური, შედარებით იშვიათი
ახალწარმოების, მ-ი-ფლ-ობ-ი-ე-ს და გარდამავალი მ-ი-ფ-ლ-ობ-ს
ზმნებისათვის. გარდამავალი ზმნის ფორმები ასეთია:

ა წ მ ყ ო

მ-ი-ფლ-ობ-ს: ნაკლულებაჲ ჩემი არ მიფლობს დუმილად: ხანძთ.
ა 17.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

უ-ფლ-ო: არამკა უფლო დათხრად სახლისა თვისისა: C ნთ
24,43.

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი, ა წ მ ყ ო

მ-ი-ფლ-ი-ე-ს: მიფლიეს გუამი ჩემი დადებად: სახისმეტყ. ი 1.

სიტყუად არა მიფლიეს მე არაწმიდებისა ჩემისა-თვს:
ბოლნ. 12.

მ-ი-ფლ-ობ-ი-ე-ს: ხედვითუა არა მიფლობიეს ხილვად შენი: წარ-
ტყუენ. მთ 10.

უ-ფლ-ი-ე-ს: მას მხოლოსა უფლიეს, რაჲთა მიჩუენოს მე პირი
შენი: წარტყუენ. მდ 23.

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ., § 96, 225, შდრ. გვ. 317.

უ-ფლ-ი-ე-დ: სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად:
შუშ. 19,3.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა ო რ ი ს ტ ი

მ-ე-ფლ-ო: ვერლარა მეფლო მიცემად ვისსამე სარგებელსა: იოვ-
დამასკ. 147,13.

ე-ფლ-ო: გან-რაჲ-ჰყიდე, ჰელმწიფებასავე შენსა ეფლო: მოციქ. 5,4.

ჰ-ნ-თ-ი-ე-დ

ნათ ფუძე ქართულში ძალიან ფართოდაა გამოყენებული სხვა-
დასხვა წარმოებულ ფორმაში. ძველ ქართულში მის პარალელუ-
რად გვ-ებ ფუძეც იხმარებოდა, მაგრამ უფრო ვიწრო მნიშვნელო-
ბით (ალაგზო ცეცხლი...), სტატიკური ფორმა იშვიათად იხმა-
რება, თუმცა სავსებით მოსალოდნელია სასხვისო ქცევის პრეფიქ-
სებითაც. აორისტში აქაც ვნებითია სავარაუდებელი: ჰ ნ თ ი ე ს —
ე ნ თ ო. აქაც ყურადღებას იქცევს დ სუფიქსი მხოლოობითის შესამე
პირში.

ა წ მ ყ ო

ჰ-ნ-თ-ი-ე-დ: სანთელი ჰნთიედ და... ნაკუერცხალმან მბრწყინვალე-
ბაჲ გამოსცის: თუალთ. 30,8 ქვ.

უ-მტკმ-ი-ე-დ

ძალიან იშვიათი ხმარების ზმნაა. ეტიმოლოგია არაა ნათელი.
მეორე სერიაში ენთო ზმნის ანალოგიურად უნდა ვივარაუდოთ:
*ემტკმო. აწმყოს გარდა სხვა ფუძეები არ დასტურდება.

ა წ მ ყ ო

უ-მტკმ-ი-ე-დ: რაჲამს დაიძინის კორკოდინოს ხუტქმან, პირი ზღ
უმტკმიედ: სახისმეტყ. კმ 7.

ს-წერ-ი-ე-ს

სტატიკური აწმყო ამ სახით ძველ ქართულში თითქმის მო-
შლილი ჩანს და ახალი ქართულისებური წარმოება შეინიშნება აწმ-
ყოსა და გარდამავალი ზმნის პირველ თურმეობითში (დამიწერია:
იერუს. განჩინ. 37,7), თუმცა ხელნაწერ ტექსტებში ერთეული
შემთხვევები შეიძლება შეგვხვდეს ძველი წარმოებისაც.

ა წ მ ყ ო

ს-წერ-ი-ა: რაჲ-იგი წიგნსა ამას სწერია: ათონ. ხელნაწ. 354, 7.
ს-წერ-ი-ან: ვითარ კრებაჲან მოგცეს, უკუანა სწერია: სინას ხელ-
ნაწ. 133,15.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა ო რ ი ს ტ ი

ე-წერ-ა: ბრძანა წარკითხვად განჩინებისად მის და ესრეთ ეწერა:
კიმ. I, 93,12.

რომელი დედას ეწერა, მე იგი დამიწერია: იერუს. განჩინ-
37,7.

არის რამდენიმე მაგალითი, როცა ბერძნულის ორგანულად
გამოხატულ პერფექტს ქართულში აღწერითი ფორმები შეესატყ-
ვისება, მოსალოდნელი კი იყო აწმყოს სტატიკური ფორმა:

Γέγραπται ὁὗτος ἐπὶ ἀποστόλου καὶ ἰστορίας: მთ 4,4.

შდრ. წერილ არს: არა ხოლო პურითა ცხონდების კაცი: მთ 4,4;
ასევე: 4,6; 4,7; 4,10.

აგრეთვე: ვითარ დაგუავიწყდა, რაჲ-იგი წერილ არს მას შინა:
ანტიოქ. 137,25.

უდავოა, რომ უმეტეს შემთხვევაში გამოთქმა წერილ არს =
ს წ ე რ ი ა, ძვ. ქართულით: ს წ ე რ ი ე ს.

§ 13. მარტივფუძიანი ზმნები

აქამდე განხილული იყო ისეთი დრონაკლი ზმნები, რომელ-
თა ფუძის საწარმოებლად გარკვევით გამოიყოფოდა -ი, -ავ, -ოვ-ი,
-ებ, -ობ, -ალ, -ელ, -ან, -ი-ე -თუ სხვა სუფიქსები. ამას გარდა,
ძველ ქართულში მოიპოვება რიგი ზმნა, რომელთა ფუძე გარეგნუ-
ლად რთული აგებულებისა ჩანს, მაგრამ უდავო საბუთი მათი გა-
მოყოფისა და ფუძის სარწმუნო ანალიზისათვის ჯერ კიდევ ყო-
ველთვის არა გვაქვს: ჰჳამს, ვამს, რჳამს, უყუარს, ღირს, ჰირს,
უკუთირს... ფუძეებში თითქოს არა ჩანს ის თემატური სუფიქსები,
რომელთაც დღეს გამოვეყოფთ ზმნაში.

მაგრამ რამდენიმე სხვადასხვა ზმნის ფუძის ერთნაირი დაბო-
ლოება გვაფიქრებინებს, რომ ეს საერთო ელემენტი არაძირისეულია,
ოდინდელი საწარმოებელი ნიშანია. ესეც რომ არ იყოს, ამჟამად

უკვე სარწმუნოა, რომ ქართველურ „ენებში სახელთა ძირში ისტორიულად დასტურდება ცალი თანმოვანი“¹.

ამდენად, საფიქრებელია, რომ ნაწარმოებ ფუძეებთან გვაქვს საქმე რ-წ-აშ-ს, ჯ-აშ-ს, ჴ-აშ-ს; უ-ყუ-არ-ს, ყ-არ-ს; ლ-ირ-ს, ჳ-ირ-ს, უ-კუ-ირ-ს და მისთანა ზმნებში. აღნიშნული ფუძეები ქართული ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვებია, ძველი ქართულის აქტიური სიტყვიერი ფონდის ერთეულებია, მაშასადამე, ყველაზე ძველი და ძირითადი მასაა ქართული ენის ლექსიკაში. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ ზმნებში აფიქსის ფუნქცია ეპოქათა განმავლობაში თანდათან მიიღია და იგი ფუძეს შეუხორცდა. ძველ ქართულში ვპოულობთ მსგავსი ვითარების მაჩვენებელ ფაქტებს: ძველ ქართულში ტ-ევ (|| ტ-ოვ) ფუძეში -ევ ზმნური ფუძის სუფიქსად აღარაა გაგებული და იგი ყოველთვის -ებ სუფიქსითაა გართულებული: ღა-უ-ტევ-ებ-ს...

ჯამს, რწამს ღირს... როგორც ვთქვით, უძველესი წყობის ზმნებია, იმ დროისა, როცა ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული გვარის სხვადასხვა ფორმები. შემდეგში თანდათანობით ასეთ ფორმათა განვითარებამ ფუძის აღნაგობაც სხვაგვარი მოითხოვა და საქიროებისამებრ დაერთო ამ ფუძეებს სხვადასხვა კატეგორიის გამომხატველი აფიქსები: ჯამ-ს, შდრ. ი-ჯმ-ევ-ს; რწამ-ს, შდრ. ა-რწმ-უნ-ებ-ს და ა. შ. (დაწვრილებით იხ. სათანადო ფუძეებთან).

ამგვარად „მარტივფუძიანი“, ყოველ შემთხვევაში აქ განხილულ ზმნათა დიდი წილის მიმართ, უაღრესად პირობითი სახელწოდებაა, იგი ისტორიული თვალსაზრისით გაუმართლებელი იქნებოდა. ასეთ სახელწოდებას მხარს არ დაუჭერდა არც ქართველური ენების მონაცემები. მეგრულ-ქანური ზმნის ფუძის ანალიზით გარკვეულია, მაგალითად, რომ -ირ რიგ შემთხვევებში სუფიქსია და იგი დაუბრკოლებლად გამოიყოფა ზმნებში: შქ-ირ-ენ-ი 'სიმშილი'; ტ-ირ-ა, ქართ. ტ-ევ-ა: ეტევა, დაეტია; თ-ირ-უ-ა: გო-თ-ირ-უ 'გაცულა' და რიგი სხვა².

მართალია, მეგრული -ირ სუფიქსი (კითხ-ირ-ი, ყიდ-ირ-ი ტიპის წარმოებაში) გ. დ ე ე ტ ე რ ს ს ქართული ოლ (← ილ) სუფიქსის შესატყვისად მიაჩნია³, მაგრამ არაა გამორიცხული შესაძლებ-

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ., § 111, გვ. 262.

² არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. გვ. 326, 335, 368.

³ დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

ლობა, რომ ქართულ-ზანურში უძველესი საზიარო ფენის ფუძეები მოგვეპოვებოდეს და ამის მიხედვით ლ-ირ, კ-ირ, უ-კუ-ირ, შ-ურ ნაწარმოებ ფუძეებად მივიჩნოთ.

ამ ტიპის ზმნების სახით საქმე გვაქვს უძველეს ერთასპექტიან (ოდენდიურატიულ) ფუძეებთან, რომელთაგან -ი სუვიქსი ზოგიერთს შეიძლება არც ჰქონოდა (ძველ ქართულში ზოგ ფუძესთან არა ჩანს მისი კვალი). ეს ზმნები საინტერესო ფენას ქმნიან ამ მხრივაც.

აქვე განვიხილავთ ნასახელარ ზმნებსაც (ეჭუ-ს, ჰ-მარჯუ-ს...), რომლებშიც სახელისა და ზმნის ფუძე სავსებით ემთხვევა ერთმანეთს.

ა-ბ-ბ

უმარტივესი და უაქველესი ზმნური ფუძეა, ძირია ბ, რომლისაგანაც დეტერმინანტების დართვით მიღებულია ა-ბ-ალ-ი, ა-ბ-ლ-ო... სახელისაგან შემდეგ მივიღეთ ახალი წარმოების ზმნური ფუძე: (*ა-ბ-ალ-ავ →) ა-ბლ-ავ ისე, რომ ძველი წარმოებაც შემოგვრჩა. -ბ ძირისაგანვეა რელატიური ფორმება ე-ბ-ებ-ი-ს. ა-ბ-ებ-ს.

ძველი ქართულის აწმყოს მიხედვით ეს ზმნა წარმოადგენს სუფთა ძირს, რომელსაც პირის ნიშანი ანიჭებს ზმნის მნიშვნელობას. მაგრამ კლასიკურ ქართულში ნამყო უწყვეტელში სპორადულად გამოვლენილი ფორმების მიხედვით, თითქოს -ან საწარმოებელი გამოიყოფა:

ა წ მ ყ ო

ა-ბ-ს: წუერსი სამწერებელისა თუხისასა ახს თმაჲ იგი დაკონვილად: თუალთ. 38.

...რომელი იგი ახს იორდანესა მდინარესა: რავახ. 87,30. შეიძინეთ ძმაჲ ვინმე მდებარე, რომელი მიახს სიკუდილად: კიმ. I, 300, 2.

ა-ბ-ბნ: იხილეთ ყანობირი ეგე, რამეთუ განთეთრებულ არიან და ახან მკად: C ი 4,35.

უწყვეტელი

მი-ა-ბ-დ-ა: განკურნოს ძმ იგი მისი, რამეთუ მიახდა სიკუდილად: C ი 4,47.

ა-ბ-ნ-დ-ა: ასისთავისა ვისიმე მონაჲ სნეულ იყო და მიახნდა აღს-რულებად: ლკ 7, 2.

მი-ა-ხ-ნ-დ-ა: განკურნოს ძმ იგი მისი, რომელი მიახნდა სიკუდილ:
DE ი 4, 47.

გვაქვს პარალელური წარმოება მიახნდა || მიახნდა. რისაა ნ? ვნებითისა იგი ვერ იქნება, რადგან ამგვარი წარმოება ვნებითის ფუძისა ძველ ქართულში ჯერ კიდევ უცნობია, ცნობილია ამ ფუძის უფრო ძველი, ე-პრეფიქსიანი ფორმა:

მი-პ-ე-ხ-ნ-ბ-ი-ს: მპარავი არა მიჰხვების: ქრესტ. 8,4;

მო-ე-ხ-ო: რაჟამს მოეხო ჟამი ნაყოფისაჲ: C მთ 21,34.

ნ თანხმოვანი აქ ძველი დეტერმინანტი -ან (→ -ალ) სუფიქსის ნარჩენია, რედუცირებული სახით: * მი-ა-ხ-ან-დ-ა → მი-ა-ხ-ნ-დ-ა (შდრ. გ-ა-ხ-ლ-ავ-ს: * გ-ა-ხ-ალ-დ-ა → გ-ა-ხ-ლ-დ-ა).

ჰ-მატ-ს

ზმნურ ფუძელ გვაქვს მატ, სახელში — მეტ. ხმოვანთა ასეთი მონაცვლეობა დღესდღეობით უფუნქციო ჩანს, გასარკვევია, რა ხასიათისა იყო იგი ძველად.

საშუალი გვარის ფუძე აწარმოებს მხოლოდ აწმყოსა და ნამყო უწყვეტლის ნაკეთებს, მოქმედებითსა და ვნებითს -ებ სუფიქსით შეუძლია ყველა ნაკეთის გამოხატვა: გარდაჰმატე ჩემ ზედა მადლი: კიმ. II, 84,2; აღორძინდებოდა და წარემატებოდა ადგილი იგი: ანტიოქ. 173,18...

ს ტ ა ტ ი კ უ რ ი, ა წ მ ყ ო

მ-მატ-ს: არარაჲთ ვინ მმატს სახელსა ამას: დაბ. 39,9.

ჰ-მატ-ს: სასყიდლით დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური: ლკ 15,17.

რომელი ჰმატს საზომსა შენსა: კიმ. I, 232,13.

რაჟამს ბრძენთა დუმილი ჰმატს, მაშინ სიბრძნე მათი...

იქებინ: ხანძთ. ა 9; ობ 75.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

ჰ-მატ-დ-ა: იყო მთავარი დიდი, რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა: ზარზმ. 154,6.

სამართალთა ჰმატდა ფასი ყოველთაჲ: იოვ. დამასკ. 160,15.

მ-მატ-დ-ე: გარნა საყდრითა ხოლო გმატდე: დაბ. 41,40.

რაჲთა ჰმატდეთ უფროჲს: სჯულის კანონი 120.

ექუ-ს

სახელადი ფუძე ექუ დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსებითა იქცევა ზმნად. ამ ფუძისგანვეა მიმღეობა მექუელი (—მე-ექუ-ელ-ი). ვნებითი, ნასახელარ ზმნათა დამახასიათებელი წესისამებრ, -დ სუფიქსიანია: შეექუდა სიტყუასა ანგელოზისასა: კიმ. I, 181, 1.

ა წ მ ყ ო

ექუ-ს: დედაკაცი იგი იტყუნ და აცილობენ, ვითარმედ ცილსა სწამებენ და ექუს: ანტიოქ. 125,15.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

ექუ-დ: თაყუანის-ეც შობილსა, რომლისათჳს ექუდ მიდგომილებასა: მრავალთ. 219,11.

ექუ-დ-ე-ს: უფალმან ბრალთა მისთა ყუედრებაჲ, რომელსა ექუდეს, მოუსპენ: ხანძთ. თ 50.

ჰ-მარჯუ-ს

აქაც სახელადი მარჯუ ფუძეა გამოყენებული. ძველ ქართულში გვხვდება საშუალი გვარის აწმყოს ფუძე, ვნებითი კი ე-პრეფიქსით იწარმოება: ე-მ-ა-რ-ჯ-უ-ე-ბ-ი-ს: შდრ. ყოველივე კეთილად განემარჯუებოდა: ხანძთ. ლგ 20; კტ 27. უკანასკნელი ტიპის წარმოებამ ახალ ქართულში გამოდევნა საშუალი გვარის ზმნა და მისი ადგილი დაიჭირა: ჰმარჯუს — ემარჯვება. ძველ ქართულში განემარჯუა ჰგავს დაებადა, მოემზადა ტიპის ზმნებს; ახალ ქართულში კი ჩვეულებრივი რელატიური ვნებითის შინაარსი აქვს. დიალექტებში მის პარალელურად სასხვისო ქცევის -დ სუფიქსიანი ვნებითის ფორმებიც გვაქვს: გაუმარჯვდა (= გაემარჯვა).

ა წ მ ყ ო

ჰ-მარჯუ-ნ: ვითარცა ვის მოუტლებინ და ვითარცა ვის ჰმარჯუნ: ბოლნ. 2.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ჰ-მარჯუ-დ-ა: სიტყუასა უგებდეს ადგილისათჳს, სადამცა ვისმე ჰმარჯუდა: ხანძთ. ლწ 53.

წ ი თ-ს

ეს ზმნაც ნასახელარ ფუძეთა ერთ-ერთ ადრინდელ ფენას ეკუთვნის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ფუძის სახით საქმე გვაქვს სახელ-

ზმნურ ერთეულთან (წითს = „წითლობს“, სიწითლის მდგომარეობაშია), რომელსაც დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები ანიჭებენ ზმნურობას. ტიპიური სტატიკური ზმნაა და, როგორც უძველესი წარმოების გარდმონაშთს, არ მოეპოვება სხვადასხვა ნაკეთების ფუძე. წით უდეტერმინანტო ფუძეა მოსალოდნელი აგრეთვე წარმოებულ ფორმებში ძველ ქართულში ისევე, როგორც შემოგვრჩა დღემდე ხევსურულში: შდრ. ჯმალს გაუ-წით-უბს ფხასაო: წელიწდ. 218,25; 205, 9. დამახასიათებელია, რომ ამ ფუძეში დეტერმინანტის გაჩენის შემდეგ ისევ სტატიკური ფუძე იწარმოება შესაფერისი -ოვ სუფიქსით: წით-ლ-ო-ი-ს (— „წით-ელ-ოვ-ი-ს), რაც ისტორიული გრამატიკის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა:

უფალმან მასწავა ჩუენ და თქუა, ვითარმედ „ზამთარი იყოს, რამეთუ წუხს და წითლოის ცაჲ“ (მთ 16,3)¹: ექუსთა დღეთაჲ 67,37.

ა წ მ ყ ო

წით-ს: ყუდრო იყოს, რამეთუ წიოს ცაჲ: მთ 16,2.

ა-ბ-ს

აბს და არტყს (აბია, არტყია) ნაკეთების წარმოების თავისებურებათა მიხედვით შეიძლებოდა განგვეხილა -ი-ე ბოლოსართიან სტატიკურ ზმნებთან: ესენიც აწმყოსა და ვნებითის აორისტს იყენებენ. მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარია ფუძის აგებულება: აწმყოს ფუძე აქაც არსებითად ემთხვევა ძირს.

აბს ზმნა ძველ ქართულში იხმარება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წყობით, ირთავს სხვადასხვა მაქცევრებს:

ა წ მ ყ ო

ა-ბ-ს: გეშინოდენ, რამეთუ არა ცუდად ჯმალ აბს: ჰრომ. 13,4.

უ-ბ-ნ: და ამათ ძირი არა უბნ: C ლკ 8,13; მრკ 4,17.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა ო რ ი ს ტ ი

ე-ბ-ნ-ეს: იხილა აჰა ეტლი დიდი ფრიად, რომელსა ებნეს ოთხნი ცხენნი: კიმ. I, 282,17.

ძველი ქართულისებურადაა ფუძე აგებული სვანურში: მწბ, ჯწბ ხწბ — მაბია, გაბია, აბია; ხწწბ, ხწბ, ხწბ — ვაბიყარ, აბიხარ, აბია.

¹ ეს ადგილი ციტირებული აქვს გიორგი მთაწმიდელს ოთხთავის რომელიღაც ძველი ხელნაწერიდან, შესაძლოა მისივე ნარედაქციევი ნუსხიდან

ხვესურულ კილოში ამ ტიპის ზმნათა დამახასიათებელია -ავ-ი სუფიქსი: ჰ-ბ-ავ-ი-ს.

ამ ზმნის რელატიური ვნებითი ზოგ შემთხვევაში შეიწყობს დამატებას: შდრ. ერთი მხრით: კალამი მოების ჯელსა მას: კიმ. I, 94,26 და მეორე მხრით: და მახეთა ამისთა შთაება: ანტიოქ. 102,11.

ძველ ქართულში მოქმედებითის ფუძე, რომელიც -ამ სუფიქსიანია, ხშირად იხმარება სხვადასხვა ქცევით. ორგანულს გარდა, თავისებური აზრით არაიშვიათია აღწერითი ფორმებიც: მოზმა უყავ = მოები: მოზმა უყავ მწუერვალთა მათ, რაათა დაეყენოს: იპოლ. 2,291.

ა-რტყ-ს

აწმყოს საშუალი გვარის ფორმები დადასტურებული არა გვაქვს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია იგი ამ სახით იხმარებოდეს. ფუძედ დღეს რტყ მიგვაჩნია, თუმცა ისტორიულად იგი შედგენილი ჩანს და გამოიყოფა რ ← რა თავსართი. რომელიც იგივე ოდენობა არის, რაც რთხ ← რათხ¹ (გან-ი-რათხ კელი: მრკ 2,5) ფუძეში გვაქვს. საგულისხმოა ძველი ქართულის შემდეგი ფაქტი: წარმოკედ, სარტყელი შე-ი-რატყ და მსახურე: C ლკ 17, 8. სარწმუნოა, რომ მარტივ ძირს წარმოადგენს ტყ, რ ← რა თავსართია მარტივი ტყ ძირი (შეიძლება თავის მხრით ძირი აქ უფრო მარტივი იყოს, ერთთანხმოვნია!) ტყ-ავ სახელთან უნდა იყოს კავშირში. მიმღეობა სა-რტყ-ელ-ი წარმოებით მოგვაგონებს სა-რ-ქუ-ელს. არც ერთ მათგანში რ ძირისა არაა².

ვნებითი, აორისტი

ე-რტყ-ა: სარტყელი ტყავისაჲ ერთყა წელთა მისთა: DE მთ 3,4; C მრკ 1,6.

ათასი მონაჲ ესუა, რომელსა სარტყელი ოქროსსაჲ ერთყა: ჰავ. მასალ. 30.

ჰ-რწამ-ს

ნაკვთების წარმოებით ეს ზმნა ნაწილობრივ ჰგავს სტატტიკურ ზმნებს: გამოყენებულია აწმყოში, ნამყო უწყვეტელში არ გვხვდება,

¹ არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 283.

² ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II: ენიმკის მობაზე, V—VI, გვ. 540.

არ მიიღებს ზმნისწინსა და მაქცევრებს. მეორე სერიის ფუძეს -ენ სუფიქსი აწარმოებს: ჰრწამს — ჰ-რ წმ-ენ-ა. სუფიქსისეული ხმოვანი არ იკუმშება (შდრ. ღუმ-ნ-ა ← ღუმ-ენ-ა; განკაც-ნ-ა ← *განკაც-ენ-ა).

ა წ მ ყ ო

სუბიექტური წყობით:

ვ-ჰ-რწამ: რომელთა ვჰრწამ მე: C მთ 18,6.

ობიექტური წყობით:

მ-რწამ: და მრწამ. შენ: თეკლ. 113,13.

მ-რწამ-ს: ქეშმარიტად მრწამს, ვითარმედ იქმნას იგი დიდ: ანტიოქ. 51,6. ასევე: კიმ. I, 47,21; სპევს. 330,35.

გ-რწამ-ს: შენ გრწამს, ურიაო: ურპ. 325,27.

ჰ-რწამ-ს: რომელთა ჰრწამს სახელი ჩემი: არიმათ. 38,27.

ვინ არიან ივინი, რომელთა არა ჰრწამს: ი 6,64.

გუ-რწამ-ს: ხოლო ჩუენ ღმერთად არა გურწამს იგი: ევსტ. 92,9;

81, 17; ასევე: ზარზმ. 155,34; სასულ. ტობ XVIII.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

მ-რწმ-ენ-ა: მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამოა; ევსტ. 91,26.

ჰ-რწმ-ენ-ა: მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანათაჲ აღიარა და მრწმენა: შუშ. 13,24. ასევე: იპოლ. 5,4; ევსტ. 80,8; 86,1; 89, 13; არიმათ. 33,18; 45,20; 56,63.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II

ვ-ჰ-რწმ-ენ-ე: რაჲთა ვჰრწმენე მე (მათ): ევსტ. 93,36.

მ-რწმ-ენ-ე-ს: რაჲთა ესცნა ძალი იგი ღმრთისაჲ და მრწმენეს შენი: წარტყუნ. ნბ 9; ასევე: კიმ I, 190, 27.

გ-რწმ-ენ-ე-ს: რაჲთა თქუენცა გრწმენეს, ვითარმედ არა ტყუვილ და ამაო არს ესე: ზარზმ. 165, 26; ასევე: თეკლ. 123, 29; სპევს. 333, 65; სახისმეტყ. კბ 40.

ჰ-რწმ-ენ-ე-ს: რომელთა ჰრწმენეს ჩემდა მომართ: არიმათ. 36,23; ასევე: ჰაბო 76,19; იპოლ. 17,7; ურპ. 346,23.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი II

გ-რწმ-ენ-ი-ნ: გრწმენინ ჩემი, შეილო ჩემო: ხანძთ. მც 27; ლც 3; ასევე: ჰაბო 73,23; არიმათ. 30,12; 43,34; კოლ. წამ. 56,45; რაეახ. 84,2; 84,27; 93,13.

გუ-რწმ-ენ-ი-ნ: აღვიართო ქორციტა და გურწმენინ... ყოველთა: სასულ. სპა 255.

მრწამს—მრწმენა ზმნებში გამოიყოფა წამ მარტივი ფუძე. რ-პრეფიქსი სახელისაგან ზმნის საწარმოებელ იმავე ოდენობად არის მიჩნეული, რაც ა-რ-ცხუ-ენ-ს და მისიანა ზმნებში¹. მაგრამ თუ შევადარებთ მრწამს ზმნას და მრცხუენის ერთმანეთს, დავინახავთ, რომ ფუძის აგებულებაში მათ შორის განსხვავებაა: ა-რ-ცხუ-ენ-ს, ჰ-რ-ცხუ-ენ-ი-ს თითქმის ორმაგი აფიქსებით აწარმოებს კაუზატიურ ფორმებს; მ-რ-წამ-ს ზმნასთან კი ასე არაა. აქ მოსალოდნელი იყო ორი რამ: ან სრულებით არა გვექონოდა რ და საშუალი გვარის ფორმები უშუალოდ წამ ფუძიდან ამოსულიყო: მ-წამ-ს, ისე როგორც ამას ვხვდებით მხოლოდ ერთხელ: არა გწამს იგი გულითა კიმ. I, 32, 29. ანდა -ენ სუფიქსი აწმყოშიც უნდა გვექონოდა, როგორც ეს დასტურდება ერთადერთი მაგალითის მიხედვით: ჰ-რწმ-ენ-ს: მოვალს ჟამი და ნათესავი, რომელსა ჰრწმენს ქრისტე... თეკლ. 119, 8 ქვ.

ეს ზმნა ერთ იმ მცირერიცხოვანთაგანია, რომლისაგანაც კაუზატივის ფორმა ძველ ქართულში ა—უნ აფიქსებით იწარმოება: ა-რწმ-უნ-ებ-ს: ამ ფუძისგანვეა შემდეგში ე-პრეფიქსით ნაწარმოები ვნებითი.

ვერ დამარწმუნებთ აღდგომასა ამიერ: ანტიოქ. 123,25.

არაჲ ირწმუნებდეს უღმრთონი... მკსნელსა: სასულ. რა 63.

სიტყვათა დაარწმუნე მაგას: კიმ. I, 71,20.

რაჟამს გერწმუნა სამწყსოჲ: სასულ. უე 127; ოზ 20.

ჰ-წამ-ს

ძველ სალიტერატურო ქართულში იშვიათი ხმარებისაა, აწმყოში ამ მნიშვნელობით უფრო მეტად იქმს, ჰყოფს, შურების ზმნებია გამოყენებული. წამ ფუძე მარტოოდენ პირველი სერიის ნაკვთებში იხმარება, აორისტის წყების ფუძე არა აქვს, ინაცვლებს ზემოხსენებულ ზმნებს.

ძველ ქართულში საკმაოდ ფართო მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ზმნა ← *წამ-ენ-ა, აწმნ-ობ-ს და სხვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ქმ-ენ — ქამ-ენ ფუძის მსგავსად აქ გამოყენებული უნდა ყოფილიყო -ენ სუფიქსი.

¹ ე. თ. ო. ფ. რ. ი. ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II, გვ. 539.

ა წ მ ყ ო .

ჰ-ზამ: შენ სამე უგუნურად ჰზამ და ბასრობ: კიმ. I, 46,27.

რასა ზამ (0: რასა იქმ): შენიშვნ. 27.

ზამ-თ: რასა ზამთ შაბათსა შინა: DE ლკ 6,2; მრკ 11,5.

ზმ-ენ: რასა ზმენ მოწაფენნი შენნი? DE მრკ 2,24.

რასა-იგი ზმენ მწვალებელნი: კიმ. II, 213,26.

ნამყო უწყვეტელში (ალბათ იშვიათი ხმარების გამო) ეს ზმნა არ დასტურდება. ახალი ქართულის ე-ი-ზამ-დ-ი არა ჩანს როდინდელია. ანალოგიით მიღებული ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ზმილი.

ჰ-ჯამ-ს

ამ ფუძისაგან გვაქვს როგორც უქცეო, ისე სასხვისო ქცევიანი ფორმები. უქცეო ფორმამ თავისი შინაარსის შეზღუდულობის გამო დაკარგა პირველი ორი პირის წარმოება, ამდენად პირნაკლად იქცა. ვამ ფუძე იკუმშება ქცევის პრეფიქსების დართვით, აგრეთვე მრ. რიცხვის სუბიექტური პირის სუფიქსებისა და კავშირებითი პირველის ნიშნის დართვით. საფიქრებელია ოდესღაც ურედუქციო ვარიანტიც არსებულებო, თუ ძველ მოვლენად მივიჩნევთ სახელს უ-ჯამ-ს-ი. (შდრ. სარგებელად და ვამსად მონასტრისა: ტიბ. 63,25).

ა წ მ ყ ო

ჰ-ჯამ-ს: რაღლა სხუაჲ სიტყუაჲ ჰჯამს შენდა მომართ: კიმ. I, 149,4.

შენგან ჰჯამს დასაბამი სიტყუსაჲ: ხანძთ. მბ 47.

მ-ი-ჯმ-ს: მე შენგან მიჯმს ნათლის-ღებაჲ: მთ 3,14. ასევე: სასულ.

თ 3; კიმ. I, 197,25.

გ-ი-ჯმ-ს: შენ უკუე ვინ ხარ, ანუ რად გიჯმს... ცნობაჲ: ზარზმ.

154,36; 152,4.

დაივარცხნე წუერი შენი, რამეთუ გიჯმს იგი: ურპ. 335, 23.

გუ-ი-ჯმ-ს: ჩუენ არარაჲ გჯჯმს თქუენი: კოლ. წამ. 59,13.

გუ-ი-ჯმ-ან: რადსალა გჯჯმან მოწამენი? DE მრკ 14,63.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი , კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

ჯმ-დ-ა: განუყო იგი თითოეულსა მონასტერსა, სადა-იგი ვმდა:

კიმ. II, 210, 25; ასევე: სინას ხელნაწ. 35,13 ზევ.

ჯმ-დ-ე-ს: მუნ წარიკითხო, რომელიცა ვმდეს: სინას ხელნაწ. 133,

15 ზევ.

უ-კმ-დ-ა: რაეცა საკმარი მონასტერსა მისსა უკმდა, ყოველი უბუებით მისცა: ხანძთ. ია 55; კე 29. ასევე: კიმ. I, 209, 27; შუშ. 34,3; სასულ. რპა 6.

უ-კმ-დ-ეს: განუჩინა ყოველნი, რაოდენნი უკმდეს მენნი: ზარზმ. 176,14; 160,30.

გუ-ი-კმ-დ-ე-ს: რომლითა იგი ვიძლეოდით, გინათუ გკმდეს: ანტიოქ. 75, 33.

უ-კმ-დ-ე-ს: უკუეთუ ვისმე უკმდეს, წარიკითხევდინ თქუმულთა მისთა: დამასკ. 166, 21; ასევე: არიმათ. 55,52.

ვამ ფუძის აგებულებისა და ეტიმოლოგიის საკითხი ჯერ კიდევ არაა ნათელი, მიუხედავად ნ. მარის დარწმუნებული მტკიცებისა — ვამ და ველ საერთო ძირს შეიცავენო¹. შინაარსობრივი-სიახლოვე იმის უფლებას მაინც გვაძლევს, რომ ვმ-არ (ი-კმ-არ-ღებ-ს) და ვმ-ევ (ი-კმ-ევ-ს) ერთი ვამ ფუძისაგან წარმოებულად მივიჩნიოთ. საგულისხმოა ამ მხრით თუნდაც აღწერითი ფორმა: გუაუწყებდი ჩუენ, რაეცა იგი საკმარ არს შენდა: ანტიოქ. 109,13. ხაკმარ არს შენდა მნიშვნელობით იგივეა, რაც გიკმს.

ი-კმ-არ-ებ-დ-ეს: პურსა ხოლო და წყალსა იკმარებდეს: ათონ. ხელნ. 37,71.

ე-კმ-არ-ებ-ი-ს: ცხორებად არლარა მეკმარების: შუშ. 24,28.

ძველ ქართულში პარალელურად იხმარება ვმ-ევ და ვუშ-ევ. რაშიც თანხმობის ლაბილიზაციასთან უნდა გვეკონდეს საქმე (მღრ. ჩ-ან-ს. უ-ჩუ-ენ-ა) და დიალექტური წარმოშობით აიხსნება.

ი-კუშ-ევ-დ-ეს: არა სუმიდეს ღვინოსა ყოვლადვე -და, რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იკუშევდეს: ხანძთ. იქ 7.

ი-კუშ-ი-ა: სახლით თვსით სივლტოლაე იკუშია: ზარზმ. 178,34.

ი-კმ-ი-ა: იკმია მოთმინება იოსებ: კიმ. I, 193,10.

უ-ყუ-არ-ს

ყუარ ფუძისაგან ნაწარმოებ ფორმებში -არ ყველგან სუფიქსადაა მიჩნეული². აწმყოში აქედან მიღებულია ორი ფუძე — უყუ-არს და ჳ-ყუარ-ობ-ს, ორივე დრონაკლია, აწარმოებს მხოლოდ პირველი სერიის ნაკვთებს.

¹ Gram., § 277, გვ. 209.

² ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ზნის უძველესი სუფიქსაციისათვის, გვ. 493.

ა წ მ ყ ო

სუბიექტური წყობით

უ-ყუ-არ: უყუარ მე მამასა ჩემსა: C ი 10, 17.

ობიექტური წყობით.

მ-ი-ყუ-არ: შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ: ი 21,16.

გ-ი-ყუ-არ: სიმონ იონაძესო, გიყუარ-მეა? ი 21,16.

გ-ი-ყუ-არ-ს: ესე რჩული არა გიყუარს: ევსტ. 85, 1; ასევე: სასულ-კგ X; საბა 16, 5.

უ-ყუ-არ-ს: ვითარცა ღმერთსა უყუარს, ეგრე უძლოდა: იოვ. და-მასკ. 166,28.

უ-ყუ-არ-ან: გურიტსა მარტოდ სლვად უყუარს: სახისმეტყ. ლბ 18.

უ-ყუ-არ-ან: უყუარან მას ხილვად დღენი კეთილისანი: ბოლნ. 25; ასევე: წარტყუნ. თ 9; საბა 16,10; სასულ. ტდ XI.

უწყვეტელი, კავშირებითი I, ბრძანებითი I

მ-ი-ყუარ-დ-ა: ხოლო მე მამული რჩული არა მიყუარდა: ევსტ. 85,1.

გ-ი-ყუარ-დ-ა: გძულდა ფრიად საწუთროდ ესე წარმავალი და გი-ყუარდა საუკუნოდ: სასულ. რაა 76.

უ-ყუარ-დ-ა: ხოლო შრომად დიდად უყუარდა: ხანძთ. თა 8; ასევე: კოლ. წამ. 56,26; საბა 15,35; 9,5; 7,35; 9,30.

გ-ი-ყუარ-დ-ე-ს: უკუეთუ ოქროდ გიყუარდეს, მიცემულ არს შენდა: თეკლ. 123,27.

უ-ყუარ-დ-ე-ს: რომელსა უყუარდეს მამად ანუ დედად: მთ 10,30.

უ-ყუარ-დ-ე-ს: რომელნი იყვნეს მოწაფენი წმიდისა საბაძსნი და ფრიად უყუარდეს: საბა 15,10.

გ-ი-ყუარ-დ-ედ: გიყუარდელ მტერნი თქვენნი: DE მთ 5,44.

სიტყვაწარმოების თვალსაზრისით საინტერესო მაგალითს გვიჩვენებს ადიშის ოთხთავი: პირველი პირის აწმყოს ფორმისაგან ნაწარმოებია არსებითი სახელი მ-ა-ყუარ-ი: მიყუარი სიძისად: C ი 3, 29 (შდრ. მეგობარი სიძისად: DE, იქვე). მიყუარი იგივეა მნიშვნელობით, რაც ნამიმღობარი მო-ყუარ-ე (ჩუენო მოყუარეო, სადა იყავ: სპევს. 330,40); აქედანვეა ზმნა ი-მო-ყურ-ნ-ეს: და იმოყურ-ნეს ჰეროდე და პილატე: C ლკ 23,12.

ყარ-ს

ამ ზმნაში -არ ნაწილაკის გამოყოფა ქირს შესადარებელი ერთეულის არარსებობის გამო. მიუხედავად ამისა, პირობით შესაძლებლად ჩავთვალეთ ესეც -არ სუფიქსიან ზმნათა გვერდით განგვეხილა. საშუალო გვარის ფორმები პირველ სერიას აწარმოებს ვნებითისათვის და; უნდა ვიფიქროთ, ძველი ქართულის მოკმედებითისათვისაც საწარმოებლად ყროლა მასდარის ფუძეა გამოყენებული: შდრ. და-ყროლ-დ-ა: დაყროლდა გუამი მისი: ანტიოქ. 80,25; საზრდელი მისი... დაყროლდის: კიმ. II, 175,20 (შდრ. აგრეთვე ახალი ქართული ა-ყროლ-ებ-ს).

ყურადღებას იქცევს ნამყო უწყვეტლის სუფიქსის ცვლილება ახალ ქართულში: ყარს — ყარ-დ-ა, ძველ ქართულშია ყრ-ოდ-ა. შესაძლოა ამ ზმნას უძველეს ქართულში ი სუფიქსი ჰქონდა პერმანსივის ფუძის საწარმოებლად¹ და ფონეტიკური ცვლილების შედეგად დაიკარგა იგი. დადასტურებული არაა აწმყო, გვხვდება პირველი კავშირებითი.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

ყრ-ოდ-ი-ს: უფალო, აწ ყროდის, რამეთუ ოთხისა დლისაჲ არს: ი 11,39.

ღირ-ს

ძველი სალიტერატურო ენის ტექსტებში ვადასტურებთ ამ ზმნის მხოლოდ საშუალო გვარის ფორმას, რომელსაც შეიძლება სასხვისო ქცევის პრეფიქსიც ჰქონდეს. სხვა გვარის ფორმები, ორგანული წარმოების ჯერ კიდევ განუფიქრებლობის გამო, გადმოიცემა აღწერით: აღწერითი ფორმა წარმოშობით მესამე სუბიექტური პირის ღირ-ს ზმნითა და მეშველი ყოფ-ს ფუძით გამოიხატება²: ღირს-მყო = მაღირსა: ღირს-მყო მე თაყუანისცემად კუალსა: ხანძთ. № 22; ღირს-იქმნა = ეღირსა: ღირს-იქმნა იგი მოღებად ფიცართა: ბოლნ. 5; შდრ. არცა აღირსებს საზომთა ცნობისათა: პეტრიწი, I, 42,4.

¹ არნ. ჩიქობავა, ერგატ. კონსტრუქციის პრობლემა, § 23, გვ. 105.

² თითქოს უფრო ძველი ვითარების დამახასიათებელია სუფთა ფუძე ღირ: ღირ-მყენა ჩუენ საქსენებელსა: სინას ხელნაწ. 21, 10 ხევ. ღირნი გიორგი მაწყურელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბეფარი: ხანძთ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს გამ. 100 21. მაგრამ ასეთი ფორმები ძალიან იშვიათია.

ა წ მ ყ ო

- ღირ-ს: თქუნდაცა უმეტეს ხოლო ღირს სიმართლისა თქუმაღ: კიმ. I, 151,10.
 ღირ-ნ: სამოსელი, რომელი მმოსიედ, მრავალ სასყიდლისად ღირნ: ჰაგ. მასალ. 28.
 გ-ი-ღირ-ს: გიღირს თქუნ... დამორჩილებად: კიმ. I, 110,8.
 არა გიღირს უღებ-ყოფად საქმეს ესე: საბა 16,10.
 გუ-ი-ღირ-ს: ჩუენცა გვღირს ყოველთა გულს-მოდგინებად: ხანძთ. კბ 14; ასევე: ანტიოქ. 57,4.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

- ღირ-ღ-ა: ღირდა სამასის დრაჰენის განსყიდად: იპოლ. 2, 253.
 არამე ღირდა შენდაცა შეწყალებად მოყუსისა მის?: მთ 18,33.
 გ-ი-ღირ-ღ-ა: ესე გიღირდა ყოფად: C მთ 23, 23.

უ-კვრ-ს

საშუალი გვარი მხოლოდ სასხვისო ქცევით იხმარება, აწარმოებს პირველ სერიას, ვნებითის ფორმები -დ სუფიქსიანია, შეიძლება იყოს ქცევიანიც და უქცეოც. ძველ ქართულში თანაბარი მნიშვნელობით იხმარება ამ ფუძესთან და-, (ხშირად) გა- (შედარებით იშვიათად) ზმნისწინები: მე დამიკვრდა: შუშ. 25,32; განჰკვრდო: სასულ. ლღ XI.

ა წ მ ყ ო

- მ-ი-კვრ-ს: მიკვრს, თუ რაჲსათჳს მკითხავთ: კიმ. I, 78,32.
 გ-ი-კვრ-ს: რაჲსა გიკვრს ხილვად ესე? ხანძთ. ოვ 5.
 გ-ი-კვრ-ნ: ნუ გიკვრნ ესე, ძმანო ჩემნო: წარტყუნ. კა 25.
 უ-კვრ-ნ: ნუ ვის უკვრნ ესე: კიმ. I, 17,33.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

- გუ-ი-კვრ-ღ-ა: გკვრდა ფრიადი სიმენე თქუენი: ზარზმ. 163,28; 160, 25.
 უ-კვრ-ღ-ა: რომელთა ესმოდა, უკვრდა სიტყუად ესე: ლკ 2,18; ასევე: საბა 13,35.
 გ-ი-კვრ-ღ-ე-ს: გესმოდის რაჲ ესე, გიკვრდეს და აღიღებდეთ ღმერთ-სა: ზარზმ. 174,36.

ს-კირ-ს

საშუალო გვარის ფუძე აქაც პირველ სერიას აწარმოებს; დადასტურებულია მარტო აწმყოში, მოსალოდნელი და შესაძლებელია სასხვისო ქცევის ფორმები. იგივე ჰირ გამოყენებულია სიტყვაწარმოებაში **ჰირ-ე-ეულ-ი** ('გაპირვებული').

ა წ მ ყ ო

მ-კირ-ს: აღმისუბუქენ გუემანი, რამეთუ ფრიად მჰირს მე: კიმ. I, 49,22.

გ-კირ-ს: მოძლუარ, არა გჰირს შენ, რამეთუ წარეწყმდებით? C მრკ 4,38.

ს-კირ-ნ: სასყიდლით დადგინებული არნ და არა რაჲ ჰუსჰირნ: DE ი 10,13.

ნამყო უწყვეტელი ძველ ქართულში მხოლოდ -დ სუფიქსითაა მოსალოდნელი. ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, ეს ფორმები დარჩა, შინაარსი ნაწილობრივ შეიცვალა. ამის გვერდით ახალ ქართულში ასეთი სტატიკური ზმნებიც გვაქვს: ს-კირ-ი-ა, ს-კირ-ოდ-ა, რაც ძველ ქართულშიც არ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი (*მ-კირ-ი-ს). ვნებითისა და კაუზატივის ფორმებზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ძველ ქართულში სტატიკური შინაარსის ს-კირ-ავ-ს ფუძეც უნდა გვექონოდა: შდრ.: ი-კირ-ე-ი-ს (←* ი-კირ-ავ-ი-ს): აღეშენოს მონასტერი, რომელსა ჩუენცა ვეჰირვით: ზარზმ. 172,2; მეორე მხრით: კაუზატივი ა-კირ-ე-ებ-ს (←* ა-კირ-ავ-ე-ებ-ს): შეგაპირვებენ შენ: მრკ 5, 31; მოსლვამან თქუენმან დამაჰირვა: ანტიოქ. 116,31.

ჰ-შურ-ს

სახელადი შურ ფუძეა გამოყენებული საშუალო და სხვა გვარის ფორმებში. ეს ზმნაც პირველ სერიას აწარმოებს, თუმცა უწყვეტელი დადასტურებული არაა ძეგლების მიხედვით (მოსალოდნელია **ჰ-შურ-დ-ა**).

ა წ მ ყ ო

მ-შურ-ს: მე არა მშურს ადგილი ესე: ზარზმ. 157,34.

ჰ-შურ-ნ: სიყუარულსა არაჲ ჰშურნ: ბოლნ. 60.

არცალა ძლით მოუხუნიან მათგან და არცალა შურნ: სახის-მეტყ. იე 13.

ენებითი ამ ზმნისაგან ორგვარად იწარმოება: როგორც ე-პრეფიქსით, ისე -ლ სუფიქსით, რომელიც საბოლოოდ დამკვიდრდა და გამოღვენა ე:

შე-ე-შურ-ა: კაცი ვინმე აღძრვითა ეშმაკისაათა შეეშურა ბერსა ვისმე და აღუდგა მტერად: კიმ. I, 340,11.

შე-მ-შურ-ლ ა: შემშურდა... და შემეშინა თარგმანებად: ქრესტ. 67,16.

საინტერესო ისტორიის მქონეა ამ ზმნის გარდამავალი ფორმები. ძველ ქართულში გვხვდება მისი ორგანული წარმოების რამდენიმე მაგალითი: შე-ი-შურვ-ა: შეიშურვა მისი ეშმაკმან და განაში-შულა იგი: კიმ. I, 13,7; სასულ. ლგ X.

მავრამ იგი ვერ შემორჩა ენას და არ განვითარდა. ცნობილია, რომ დღემდე მისი მნიშვნელობა აღწერთი გამოთქმებით გამოიხატება, რისთვისაც გამოყენებულია სახელი, პლუს გება, ღება, ძიება სახელთა შესაფერისი ზმნური ფორმები გარკვეულ პირში:

შური აღიღეს, რომელნი იგი ურწმუნონი ჰურიანი იყვნეს: მოციქ. 17, 5 (შდრ. *ნაქსარაპსეყარ*) ასევე: ბოლნ. 28; ევსტ. 88, 10.

დაიპყრა საყდარი, რათამცა შური იგო მამისა გრიგოლის ზედა: ხანძთ. ჟთ 45.

თავით ჩემით შური ვიძიო დღეს თქვენ ზედა: სპევს. 333, 69 და სხვ.

ს-ძაგ-ს

აწარმოებს მარტო აწმყოს წყების ნაკვეთებს, არ დაირთავს ზმნისწინსა და მაქცევრებს. საყურადღებო ისაა, რომ გარდამავალ ფორმაშიც არ გვაქვს მოსალოდნელი ა-პრეფიქსი: არა ჯერ არს, რათამცა ვსძაგებლით თევზთა: ექუსთა დღეთაჲ 85,6.

ა წ მ ყ ო

გ-ძაგ: ნურას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ: შუშ. 13,13.

გ-ძაგ-ნ: ნუ გძაგნ მსახურებაჲ მისი: კიმ. I, 230,30.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ს-ძაგ-დ-ა: სახელაცა მათი სძაგდა სმენად: შუშ. 36,17.

არა სძაგდა სიძვითა შესვარული ქელი მისი: ბოლნ. 37;

ასევე: ევსტ. 88,25.

ჰ-შალ-ს

ძალიან იშვიათი ხმარების ზმნაა. ეტიმოლოგია უცნობია. დასტურებული გვაქვს ნამყო უწყვეტლის ფორმა. გადაკრით შეიძლება ითქვას, რომ იგი ძველ ქართულში ობიექტური წყობით იხმარებოდა და თავისი ფუძით შეეძლო მარტოოდენ პირველი სერიის ნაკვთების წარმოება.

უწყვეტელი

ჰ-შალ-დ-ა: რომელთა ესმოდა, ჰშალდა მოძღურებაჲ იგი მისი: C. მრკ 6,
(შდრ. განუკვრდებოდა მოძღურებაჲ მისი: DE).

ყფ-ს

ამ ზმნის ხმარების მაგალითი ძველ ქართულში არაა ბევრი, ახალ ქართულთან შედარებით თითქოს ფიგურალურადაა გამოყენებული (თუმცა შეიძლება დღევანდელი მნიშვნელობაა მეორეული), ფუძის ანალიზი აქაც რთულდება.

უწყვეტელი

ყფ-დ-ეს: იყენეს ყოველნივე დიდსა სიბორგილესა შინა, ყფდეხურთიერთას და იტყოდეს: კიმ. I, 190,37.

ნაწილი მეორე

პირნაკლი ზმნები

ძველი ქართული ზმნის მორფოლოგიის შესწავლა გვარწმუნებს, რომ უძველესი სტრუქტურის ელემენტები ჯერ კიდევ იხმარებოდა და გარკვეულ ადგილს იკერდა ქართული ენის გრამატიკულ ინვენტარში. გარდა დრონაკლი ზმნებისა, რომლებიც ძველ ქართულში წარმოადგენენ ოდესღაც მოქმედი გრამატიკული წესის შესატყერ გადმონაშთებს, გვხვდება აგრეთვე სხვაგვარი „გამონაკლისებიც“, რომელთაგან აქ შევეხებით ეგრეთწოდებულ პირნაკლ ზმნებს.

პირნაკლ ზმნათა კვალიფიკაციის, მათი განვითარების ისტორიისა და გენეზისის შესწავლის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ უპირველეს ყოვლისა ზმნის სემანტიკური მხარე, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი გრამატიკული სტრუქტურის ისტორიის გაგებისათვის. ძველ (და ახალ) სალიტერატურო ქართულში, ცნობილია, რომ თანაბრად შესაძლებელია პირთა ასეთი კომბინაციები: ვ-ხატავ, მ-ხატავ, გ-ხატავ, ჰ-ხატავ-ს და ა. შ. მაგრამ ასევე შესაძლებელი როდია ორივე — სუბიექტური და ობიექტური — წყობით იხმარებოდეს, მაგალითად, ზმნები: ვ-თქვი, ს-თქვი, თქვ-ა, ვ-ბრძანე, ჰ-ბრძანე, ბრძან-ა და ამის გვერდით: გ-თქვი, მ-ბრძანე და მისთ. კომბინაციები. ამგვარ ზმნებს ობიექტად აქვთ მუდამ ერთი და იგივე — მესამე პირი და სხვას არც საჭიროებენ¹. ეს ზმნები პირნაკლ ზმნებად არ ითვლებიან.

რაც შეეხება ე. წ. ოდენობიექტური წყობის (ინვერსიულ) ზმნებს, როგორიცაა ს-ძულ-ს, ს-წყურ-ი-ს, მ-ძინავ-ს... ტიპის ზმნები, რომლებიც ძველ (აგრეთვე ახალ) ქართულში იხმარებიან მხოლოდ სამივე ობიექტურ პირში, სუბიექტური წყობით უცნობია, თუმცა ჩვეულებრივი ტიპის ზმნებთან შედარებით თავისებურება აქაცაა და საკმაოდ დიდი². ამ ტიპის ზმნების ისტორიის შესწავლა გრამატიკული წყობისა და აზროვნების ურთიერთობის თვალ-

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, § 237.

² ძველი ქართული გრამატიკოსები სათანადო კვალიფიკაციის აძლევდნენ ამ ფაქტებს...

საზრისით მეტად საინტერესოა. ამ ტიპის ზმნებში უძველესი სინტაქსური კონსტრუქცია გვაქვს შემორჩენილი¹... ამ ზმნებში პირის კატეგორიის საკითხი ცალკე შესწავლის საკმეა, ამდენად მათ აქ არ შეეხებოთ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული კლასიფიკაცია პირნაკლ ზმნათა ორი ძირითადი ჯგუფის გამოყოფის შესახებ² შესაწყნარებელია ქართული, სინამდვილისთვისაც. ქართულში გაირჩევა ორი ტიპის პირნაკლი ზმნები. ერთი იგივეა, რაც თითქმის ყველა ენაში შეინიშნება: ეს ზმნები გამოხატავენ მეტეოროლოგიურ მოვლენებს, ან გვიჩვენებენ გარკვეულ ატმოსფერულ მდგომარეობას და თავიანთი შინაარსის შეზღუდულობის გამო მარტოოდენ მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობითს რიცხვში იხმარებიან. მაშასადამე, წყმს, ქუხს, ქრის, ელავს, თენდების, თოვს... წარმოადგენენ ტიპიურ პირნაკლ ზმნებს, მათი პირველი და მეორე სუბიექტური პირების ფორმა ლოგიკურად შეუძლებელი ჩანს და საჭირო არაა, ამ ზმნებს იმთავითვე დაუკავშირდა მესამე პირი. ამ პირით თითქოსდა ზუსტდებოდა მოქმედება: წყმა წყმს, ქარი ქრის... „იმპერსონალის მოვლენები და მდგომარეობანი აქვს თავის საგნად ნაგულისხმევი და არა საგნები. ენას მოვლენათა და მდგომარეობათა გამოსახატავად მარტო ზმნის ფორმა აქვს თავის განკარგულებაში... ზმნა კი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ნამდვილ ზმნად ჩაითვალოს, რაც მას პერსონალური ელემენტი დაუკავშირდა... ენა იძულებული ხდება ინფინიტურსა და სხვა ანალოგიურ ფორმებს გვერდი აუხვიოს და, მაშასადამე, გარეშე ზმნის მესამე პირის ხმარებისა, სხვა გზა მას არ რჩება“³.

ამგვარად, პირნაკლ ზმნებში არაა აუცილებელი და საჭირო, რომ გარკვეული ერთი პირისადმი მიმართება ვეძიოთ და მას მხოლოდ მივაწეროთ ზმნით გამოხატული მოქმედება. „როცა რომელიმე ფრანგი დღეს ამბობს — il vente, აღნიშნავს. ა მე მე, — სამართლიანად ლაპარაკობენ „უპირო ზმნაზე“. გამოყენებული ფორმა უბრალოდ აღნიშნავს, რომ „ქარი უბერავს“ და მას აზრი არ გადააქვს არც ერთ პიროვნულად განსაზღვრულ მოქმედებაზე“⁴.

¹ არნ. ჩიქობავა, ერვატ. კონსტრუქციის პრობლემა, § 1, გვ. 5.

² მაგ. ბრუგმანი და სხვ. შდრ. С. Каньяевсон, К генезису номинативного предложения. М., 1936, გვ. 28.

³ დ. უზნაძე, Impersonalia: „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 1, გვ. 14 - 15.

⁴ A. Millel, Sur les caracteres du verbe, გვ. 196; შდრ. მისივე Введение, გვ. 236.

საგულისხმოა, რომ ამ ტიპის ზმნებში ჯერ კიდევ საგრძნობია სახელადი ფუძის გამოყენება, ნასახელარი წარმოების შინაარსი: წჷმ-ა: წჷმ-ს; ქარ-ი: ქარ-ის; წით-ს და სხვა მრავალი, რომლებითაც გადმოცემული მოქმედება იგივე სახელადი ფუძეების მდგომარეობაა (შდრ. კაც-ი: კაც-ობ-ს და ა. შ.). ასეთი პირნაკლი ზმნების უმეტესობა დრონაკლიცაა. ეს ზათი უძველესი ნასახელარი ფუძისაგან წარმოების მაჩვენებელია. ზმნას და სახელს ერთი ფუძე აქვთ და ამდენად არ უნდა იყოს აუცილებელი ზებუნებრივი ძალის მესამე პირის ძიება, როგორც ზოგჯერ მიმართავენ ფორმათა წარმოშობის ახსნისათვის.

ცხადია, ქართული ენის მასალები მხარს არ დაუჭერდა ნ. მარის ვულგარულ-მატერიალისტურ მკითხაობას, თითქოს პირველადი წყარო-- ბუნების სული, საკულტი ობიექტი, ტოტემი შეიცნობა ჩვენ მიერ უპირო და უწესო ზმნათა ფუძეებში¹. ნ. მარის ეს მსჯელობა უშუალო კავშირშია ენის-წარმოშობის შესახებ მის იდეალისტურ მოსაზრებებთან და უპირო ზმნათა გენეზისში სოულეებით არაფერი არ შეაქვს ახალი და მეცნიერულად დამაჯერებელი.

მეორე მხრით, ძველ ქართულში ვადასტურებთ რამდენიმე ზმნას, რომელთაც სპეციფიკური შინაარსის მიღებასთან დაკავშირებით რომელიმე პირის შეწყობის შესაძლებლობა დაუკარგავს და პირნაკლად (რესპ. უპიროდ) ქცეულა. ზმნის სპეციფიკურ გამოყენებასთან, მის შინაარსთან დაკავშირებით პირის დაკარგვის თუ გაუჩინარების შემთხვევები ახალ ქართულშიც გვაქვს: წარმოშობით (გრამატიკული წყობით) ორპირიანი ზმნა მაცციებ-ს ერთპირიანი გახდა, დაკარგა სუბიექტური წყობა: მაცციებ-ს მე (იყო: მაცციებ-ს მე იგი, აღარ იგუებს მესაძე სუბიექტურ პირს და ამდენად ერთპირიანის გაგება აქვს²).

ამის მსგავსი მოვლენები შეინიშნება ძველ ქართულშიც: ჰ-ჯამ-ს, ეგვბ-ის წარმოშობით უდავოდ ისეთი ზმნებია, რომ თანაბრად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მათი სამივე პირის ფორმა: ჰ-ჯამ-ს მას იგი, მ-ჯამ-ს, გ-ჯამ-ს... მაგრამ ძველ ქართულში ესენი მარტო მხოლოობითის მესამე პირში იხმარება, სპეციფიკური შინაარსის გამო, რაც მნიშვნელობის დაეწროების შედეგი ჩანს (ეგვბის—'შეიძლება', ჯამს—'საქიროა'), ეს ზმნები სხვა პიოებს არ აწარმოებენ. ამგვარად ამ ზმნებს პირიც დააკლდათ (იყო: ეგვბის იგი მას, მივიღეთ: ეგვბის იგი) და პირველსა და მეორე პი-

¹ Н. Я. Марр. Бездлинные, недостаточные, существительные и вспомогательные глаголы: რჩეული ნაწერები, ტ. II, 1936, გვ. 314.

² ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, § 735.

რებშიც (სუბიექტურშიც და ობიექტურშიც) მოიშალნენ. ამგვარად, ორივე ჯგუფის ზმნები — წყმს და ვამს — პირნაკლი ზმნებია, მაგრამ საგრძნობი განსხვავებაა მათ შორის როგორც გამოყენების, ისე გენეტური თვალსაზრისით.

რამდენადაც, წყმს ტიპის პირნაკლი ზმნები მეორეულ მოვლენად ჩაითვლება, ამავე დროს ესენი დრონაკლი ზმნებიცაა, მიზანშეწონილად ვცანით მათი განხილვა დრონაკლ ზმნებში. ეს მით უფრო დაეინახეთ საჭიროდ, რომ უმეტესი მათგანი იქ განხილულ ფუძეებთან არის უახლოეს ეტიმოლოგიურ კავშირში.

ბუნების მოვლენათა გამომხატველი ზოგიერთი პირნაკლი ზმნა ძველ ქართულში პოეტურ მეტყველებაში პირველ და მეორე პირშიც კი გვხვდება (მაგალითად ვწყმე), მაგრამ ეს ფიგურალური გამოყენების გვიანდელი შემთხვევაა და საერთო დებულებას არ ცვლის.

პირნაკლ ზმნათა საერთო დამახასიათებელია აგრეთვე ოდენმხოლოობითის ფორმით ხმარება¹.

§ 14. მარტივფუძიანი პირნაკლი ზმნები

წყმ-ს

ეს ზმნა თითქოს გაუფრცობელი ფუძითაა ძველ ქართულში დამკვიდრებული, რამდენადაც აწმყოში საწარმოებელი სუფიქსი ადვილად არ გამოიყოფა. მაგრამ ისტორიულად ესეც წარმოებულ ფუძედაა მიჩნეული და იმავე ძირს შეიცავს, რასაც წუ-ეთ ფუძე: წუ-იმ, წუ-ეთ². ზმნურ ფუძეში საწარმოებელ აფიქსად -ემ არის ცნობილი (შდრ. თელ-ემ-ს — ჩა-თელ-იმ-ა³), ამ შემთხვევაში ასახსნელი იქნებოდა ხმოვნის დრეკა აწმყოში: წუ-იმ-ს; სახელში კი დრეკას გარკვეული მიზეზი აქვს: წუ-იმ-ა.

ტექსტებში ჩვეულებრივია წყმს, იშვიათად გვხვდება აგრეთვე წუმს⁴, რაც დიალექტიზმია. ძველ ქართულში არ დასტურდება ზმნისწინიანი ფორმები და ამ ფუძისაგან მიღებული ვნებითის სუფიქსური წარმოება.

როგორც საშუალი გვარის, ისევე გარდამავალი ზმნის ფუძეებში შესაძლებელია სასხვისო ქცევის გამოხატვა: უ-წყმ-ა მანანაჲ:

¹ „მარტივფუძიანს“ აქაც პირობით ვხმარობთ.

² არნ. ჩიკობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 409.

³ გ. თოფურიძე, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, გვ. 229.

⁴ უკანასკნელი ახლაც ჩვეულებრივია ქვემოიმერულში.

ზარზმ. 157,14. რაც შეეხება ი- პრეფიქსიან ფორმას, იგი ძველ ქართულში არ იხმარება და სრული სახის წარმოება აწმყოს ფუძისაგან ხერხდება: წჷმ-ს — წჷმ-ო-ს. ახალი წარმოშობისაა მოქმედებითის ფორმა, რომელიც, აწმყოში ივარაუდება ა-ებ აფიქსებით: ა-წჷმ-ებ-ს; შდრ. ა-წჷმ-ა ზეცით ცეცხლი: ლკ 17,29.

თავისებური, ფიგურალური შინაარსია გადმოცემული ამ ზმნის ხმარებით პირველ სუბიექტურ პირში. ასეთი ფაქტები ძველი ქართულის ნეოლოგიზმია. წჷმ-ს ზმნის თავდაპირველი და დამახასიათებელი სემანტიკა მარტოოდენ მესამე პირზე (წვიმაზე!) მინიშნებაა: წვიმა წვიმს! (შდრ. გული გულ-ობ-ს...). საგულისხმოა ამ მხრით ქანური გამოთქმა მქიმა მჭიმს.

ა წ მ ყ ო

წჷმ-ნ: მზე მისი აღმოაველინის ბოროტთა ზედა და კეთილთა და წჷმნ¹: ც მთ 5,45.

წჷმ-ს: მხც მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა და წჷმს: ტბ. იქვე; ასევე: ანტიოქ. 132,13.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

წჷმ-დ-ე-ს: რაათა არა წჷმდეს წჷმა დღეთა მათ: გამოცხად. იოვ. 11,6.

წჷმდეს საქუმილი ცეცხლისაჲ: კიმ. I, 178,18.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II

ვ-წჷმე: არა ყოველივე უხუად ვწჷმე, არამედ მცირეღნი ცუარნი: იოვ. დამასკ. 173,3.

წჷმა: არა წჷმა ქუეყანასა ზედა სამ წელ: ებისტ. 5.17.

უკუეთუ სამნი ეს დღენი წარტდენ და არა წჷმოს: კიმ. II, 198,12.

ვამ-ს — იხ. გვ. 201.

წით-ს — იხ. გვ. 196.

§ 15. -ებ -ი სუფიქსიანი პირნაკლი ზმნები

შე-მ-წუხ-რ-დ-ებ-ი-ს

ზმნა იყენებს მ-წუხ-რ სახელის ფუძეს, რომელიც მსგავსად მ-კაც-რ-, მ-ძაფ-რ-, მ-კვდ-რ სახელებისა, ნაწარმოებია მ — რ აფიქ-

¹ ფოტოტიპიურ გამოცემაშია წჷმნ.

სებით წუხ ფუძისაგან: მწუხრი 'სალამო'. უკანასკნელი (წუხ-) ჩვენ განვიხილეთ როგორც პერმანსივის ფუძე -ი სუფიქსიან ზმნებში (წუხ-ს ← წუხ-ი-ს).

ეს ზმნა უფრო ხშირად იხმარება ძველ ქართულში და მნიშვნელობით დაღამების ზმნის სინონიმი არ არის, მათ შორის განსხვავებაა: შემწუხრება უფრო დაღამების დასაწყისია, შეღამებაა, მოსალამოებაა, ვიდრე დაღამება.

შემწუხრლების ვნებითი გვარის პირნაკლი ზმნაა, იხმარება მხოლოდ დღის მიმართ (დღს შემწუხრდა), მაშასადამე, ყოველთვის მესამე სუბიექტურ პირში მხოლოდებითი რიცხვისა.

უწყვეტელი

შე-მწუხრდებ-ოდ-ა: ვითარ შემწუხრდებოდა და მშშ დაჰვიდოდა: DE მრკ 1,32.

წყვეტელი

შე-მწუხრ-დ-ა: დღს იგი შემწუხრდა და ღამს განთენა: ხანძთ. C 63; ოგ 57.

შემწუხრდა და შეკრბეს ლოცვად მწუხრისა ეამსა: საბა 8,30; 16,25, ასევე: შუშ. 19,14; ანტიოქ. 89,31.

დღს იგი დამწუხრდა: ხანძთ. C 61; ასევე: C მრკ 1,32.

გან-თ-ენ-ებ-ი-ს

ზმნის ძირს წარმოადგენს თ, რომელიც შედის ნა-თ-ობ-ს, ჰ-ნ-თ-ი-ე-დ (←*ჰ-ნა-თ-ი-ე-დ), ა-თ-ეგ-ს ზმნებში და აგრეთვე სახელებში მ-თ-ი-ებ-ი, გან-თ-ი-აღ-ი. სახელებს თ-ეგ ფუძე აქვს ამოსავლად: *ა-თ-ეგ-ებ-დ → ა-თ-ი-ებ-ს → ა-თ-ი-ებ-ს¹: აქედან ძველი ოდენპრეფიქსიანი წარმოების ძიძღობაა: მ-თ-ეგ-ებ-ი → მ-თ-ი-ებ-ი → მ-თ-ი-ებ-ი.

ვნებითის ფუძეს აწარმოებს -ენ: თ-ენ: გან-თ-ენ-ა. ეს სუფიქსი შეუხორცდა ძირს, ძირისეულად იქნა გაგებული და ახალ ქართულში მივიღეთ ვნებითის მრჩობლი წარმოება-დ სუფიქსის მინატებით: *გან-თ-ენ-ედ-ა → გა-თენ-დ-ა. გარდამოხალი ზმნის ფორმებს ა-ეგ აფიქსები აწარმოებს:

¹ ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, 1918, გვ. 88; ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვა-წარმოებიდან: ნე-, ნ-ი, ნა- თავსართებისათვის: უნივ. შრომები, VII, 1938, გვ. 85; არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 200, 277.

გან-ვ-ა-თ-ევ-თ: ღამესა მას განვათევთ: თხრობა 34.

გან-ვ-ა-თ-ი-ე-თ: ღამს იგი განვათიეთ: შუშ. 45,12.

უწყვეტელი

გან-თენებ-ოდ-ა: მწუხრი შაბათსა, რომელი განთენებოდა ერთშაბათად: მთ 28, 1.

მწუხრი, რომელი განთენებოდა კვრიაკედ: კიმ. I, 271,3; ასევე: 160,20.

წყვეტილი

გან-თ-ენ-ა: ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს: მთ 27,1.

განთენა მშკლობისა საღგურთა მათ: ხანძთ. ოვ 9; ასევე: ნე 20; კბ 8; მ 63; რაეახ. 94,12; ზარზმ. 155,19.

და-ღამ-ნ-ებ-ი-ს

დადასტურებულია ღამ-ვ სახელის ფუძისაგან ნაწარმოები ენებიტის ფორმები, რომლებისათვისაც თანაბარი გავრცელებით გვხვდება -ენ → -ნ და -ელ → -დ სუფიქსები: და-ღამ-ნ-ა || და-ღამ-დ-ა-საერთოდ ეს ზმნა ძველ ქართულში იშვიათად იხმარებოდა (შდრ. შემწუხრდები ს).

წყვეტილი, კავშირებითი II

და-ღამ-ნ-ა: ოდეს დაღამნა დღს: კიმ. I, 161,24.

და-ღამ-დ-ე-ს: რაქამს დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოა: შუშ. 31,9.

ე-გ-ებ-ი-ს — იხ. გვ. 72.

§ 16. -ი სუფიქსიანი პირნაკლი ზმნები

ქრ-ი-ს — იხ. გვ. 70.

ქუხ-ს ← ქუხ-ი-ს — იხ. გვ. 71.

§ 17. -ავ სუფიქსიანი პირნაკლი ზმნები

კსინ-ავ-ს — იხ. გვ. 128.

ელ-ავ-ს — იხ. გვ. 121.

ნაწილი მესამე

რიცხვანაკლი ზმნები

რიცხვი ქართული ზმნის უღლილების ერთ-ერთი ძირითად კატეგორიათაგანია. მისი აღნიშვნა ქართულ ზმნაში უძველესი და მნიშვნელოვანი ფაქტია. რიცხვის კატეგორიას ზნაში განიხილავენ პირის კატეგორიასთან ორგანულ კავშირში, პირის ნაცვალსახელების ისტორიასთან უმკიდროქს ურთიერთობაში.

ზმნაში რიცხვის აღნიშვნის მხრით ძველი ქართულის სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი არსებითად ერთნაირი ძალის მქონეა, ორივე თანაბარი უფლებით სარგებლობს: სუბიექტი და ობიექტი (გარდამავალ ზმნაში) ყოველთვის თავისი ნიშნებით გამოიხატება¹.

სუბიექტის მრავლობითობა ზმნაში სათანადო აფიქსებითაა წარმოდგენილი, ეს სუფიქსებია: -თ (ვ-ზედავ-თ), -ნ (იხილო-ნ მათ), -ენ (სუმ-ენ ივინი), -ან (იქმ-ან ივინი), -ედ (გალობ-ედ ივინი), -ეს (მოსრ-ეს მათ, მოვიდ-ეს ივინი). ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტური პირიც, როცა იგი მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაშია დასმული და -ნ სუფიქსიანია, რომელი პირიც უნდა იყოს, ზმნაში ყოველთვის გამოიხატება -ენ (→ნ) ბოლოსართით (შენ დაგუწერე-ნ || დამწერე-ნ ჩუენ, მე დაგწერე-ნ თქუენ, მე დავწერე-ნ ივინი, მან დაწერ-ნ-ა ივინი და ა. შ.).

მაგრამ სისტემა ირღვევა და მხოლოდითი რიცხვისა და მრავლობითის პარადიგმათა პარალელურობა აღარა გვაქვს რამდენიმე ზმნის უღლილებაში რიცხვის კატეგორიის წარმოების თავისებურებათა გამო. აქ ჩნდება გამონაკლისები. გამონაკლისობა ზმნური ფუძის შეცვლაში მდგომარეობს: მხოლოდითის ფუძეზე დართული სათანადო აფიქსები მრავლობითის გადმოსაცემად საკმარისი არაა, მრავლობითში როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირისათვის სხვა ფუძეა გამოყენებული. ამგვარად, გვაქვს, ერთი მხრით: მე ვჯედე; მე იგი დავსუ... მეორე მხრივ: ჩუენ ვსხედით; მე ივინი დავსხენ... მაშასადამე, ვჯედე და მისთ. ზმნებს აკლიათ მრავლობითი რიცხვისა, ხოლო ვსხედით და მისთ. ზმნებს — მხოლოდითი რიცხვის ფორმები. მათი სახით საქმე გვაქვს რიცხვის კატეგო-

¹ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში, I: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, II 1-ა, 1941, გვ. 197.

რიის მიხედვით ნაკლულ ფუძეებთან, რამდენადაც განსხვავებული რიცხვის ფორმას სხვა ფუძე გამოხატავს. რიცხვის კატეგორია, როგორც ცნობილია, მკაფიოდაა გამოხატული ქართველური ენების გრამატიკულ სტრუქტურაში. ამავე დროს რამდენადმე თითქოს ხელშესახებია მრავლობითი რიცხვის გამოხატვისათვის მორფოლოგიური საშუალების უკმარობაც. თავს იჩენს ფუძეთა ლექსიკურ-სემანტიკური დიფერენციაცია, რომლის გამოყენება გრამატიკული ფაქტების გასარჩევად ქართულში საკმაოდ ძველი მოვლენა ჩანს.

ამგვარად, რიცხვის მიხედვით მონაცვლე ფუძეები წარმოგვიდგენს ზმნური ფუძეების ლექსიკურ-სემანტიკურ დაყოფას. რიცხვს, მართალია, მორფოლოგიური საშუალება გამოხატავს, მაგრამ მართო მორფოლოგიური საშუალება აქ საკმარისი არაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ზის და სხენან, აგდებს და ჰყრის... ტიპის ზმნებში წარმოდგენილი ფუძეები არ ყოფილან ნეიტრალური რიცხვის გაგების მხრით. უდავოა, რომ მათი სახით ქართულში მოგვეპოვება სუპლექტური წარმოების გადმონაშთი, როცა ძველი სემანტიკური პარალელიზმის შედეგად „ენის ჩვენთვის ცნობილ ყველაზე ძველ მდგომარეობაში ფორმათა სემანტიკურად გაერთიანებული ჯგუფები შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო სხვადასხვა ძირის წარმონაქმებით“¹.

რიცხვის გაგების მიხედვით ქვემოთ განხილული ზმნური ფუძეები ნეიტრალური არ უნდა ყოფილიყვნენ, იყო რალაც საფუძველი, რომლის მიხედვითაც გარკვევით დაისახა ტენდენცია — ძირითადად თანაბარი მნიშვნელობის ფუძეები სემანტიკურად განსხვავებულიყო: ერთი ოდენმხოლოობითის დანიშნულებით ყოფილიყო გამოყენებული, მეორე კი ოდენმრავლობითისა. მეორე მხრით, ჰყრის, განასხამს, დათხევს ტიპის ზმნების არსებობა იძლევა საფუძველს მათი, ასე ვთქვათ, სინეკდოქური გამოყენებისათვის. ისტორიული სტილისტიკის თვალსაზრისით, მაგალითად, მეტად საინტერესოა, რომ წყუედს, მუხსრავს, აწყობს... ზმნები უპირატესად ოდენმრავლობითის (როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია!) გადმოსაცემად არის გამოყენებული. ასეა ეს ახალ ქართულშიც².

¹ Л. А. Булаховский, Исторический комментарий к литературному русскому языку. Киев, 1938, გვ. 174.

² ამ ტიპის ზმნები ახალ ქართულში სხვადაა (ზღრ. დაღწავს, დაამტვრევს...). ძველ ქართულში მათი გამოყენება მართოდენ წმინდა გრამატიკული არაა, უპირატესად სტილისტიკურია. ამ ზმნების გამოყენებაში არაა ის მკაცრი თანმიმდევრობა, რაც სხვა რიცხვნაკლ ზმნებში გვაქვს. ამიტომ მათ აქ გავკრით ვუბნობთ.

ძველ ქართულში ობიექტი შეიძლება ყოველთვის მრავლობითში არ იყოს, მაგრამ ეს ფუძეები ზნეებად მაინც შეგვხვდეს. ამ შემთხვევაშიც მას ინტენსივობის მნიშვნელობა, სინეკლოქური გამოყენება აქვს.

§ 16. ფუძეთა პარალელური გამოყენების შემთხვევები ორივე რიცხვში

ძველ ქართულ ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს რამდენიმე ზნური ფუძის მხოლოდობითსა და მრავლობითს რიცხვში ხმარების თავისებურ შემთხვევას. ქვემოთ ნაჩვენები იქნება, რომ რიგი ფუძის გამოყენებამ მარტოოდენ მხოლოდობითში ან მარტოოდენ მრავლობითში გამოწვეული არ იქნა: რომელიმე დასუა და დასხა და მისთანები ერთმანეთის ადგილზე არასოდეს არ იხმარება, დასუა ზმნაში შეუძლებელია ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსი, დასხა თითქმის სრულებით არ იხმარება მხოლოდობითში დასმული ობიექტის შემთხვევაში. ასევე ითქმის სუბიექტის რიცხვზე ზის, სხედან და ა. შ. ზნებში. აი, ეს მოვლენა არის ძველი და დამახასიათებელი რიცხვნაკლ ზნებში.

მაგრამ არის რამდენიმე ფუძეც, რომლებიც უფრო ხშირად მრავლობითში იხმარება ან, პირიქით, მხოლოდობითშია ჩვეულებრივი, თუმცა საპირისპირო რიცხვის აფიქსებითაც შეიძლება შეგვხვდეს და პარადიგმაში პარალელურ ფორმები გვიჩვენოს. ასეთებია: მოკლა მან იგი, მაგრამ იგინი მან მოწყუნა; იგი განტეხა მან, მაგრამ იგინი დამუსრნა მან; იგი მოკუდა, მაგრამ იგინი მოწყუნა...

საქმე ის არის, რომ აღნიშნული წყვილი ფუძეებიდან თითოეული სპორადულად შეიძლება შეგვხვდეს საპირისპირო რიცხვის ფორმაში: მოწყუნა იგი, მოკლნა იგინი და ა. შ. უდავოა, რომ ასეთი პარალელიზმი მეორეული ხასიათისაა, როდესაც თავდაპირველი, კონკრეტული გააზრების შედეგად წარმოქმნილი, სუბლექტური წარმოების ადგილს თანდათანობით იკერდა აბსტრაქტული ფორმები და ხდებოდა მათი დაქვემდებარება გრამატიკულ კატეგორიათა წარმოების საერთო, ახალი და განვითარებული ყალიბისადმი. ეს წინა პერიოდია ახალი ქართულისა, რომელმაც რიცხვის მიხედვით ფუძეთა ძველი ქართულისებური განსხვავება ან სულ მოშალა (შდრ. გააღო და განახუნა, დადგა და დათხინა—დაიკარგა წყვილის მეორე ცალი), ანდა ნაწილობრივ, შესაბამისად ენის განვი-

თარების შინაგანი კანონზომიერების სპეციფიკისა. დაახლოებით ამგვარად უნდა გავიგოთ ამ ზმნების გამოყენება და განვითარება ძველ ქართულში.

კულების — წყლებიან

სუბიექტ. პირი მხოლოდით ში ა

მო-კულებ-ოდ-ა: ასული მარტოა ესუა მას... და იგი მოკულებოდა: ლკ 8,42.

მო-კუდ-ე-ს: რაათა ერთი კაცი მოკუდეს ერისათჳს: ი 11,50.

მო-კუდ-ა: ნუთუ შენ უდიდეს ხარ... აბრაამისა, რომელი-იგი მოკუდა: C ი 8,53.

მო-კუედ-ი-ნ: რომელმან ბოროტი თქუას მამისათჳს... მოკუედინ: მთ 15,4.

სუბიექტ. პირი მრავლობით ში ა

მო-წყდ-ეს: მოწყდეს, რომელნი იძიებდეს სულსა: მთ 2,20.

და წინააღმართულებნიცა იგი მოწყდეს? ი 8,53.

მო-ს-წყდ-ე-თ: ცოდვათა შინა თქუენთა მოსწყდეთ: ი 8,21.

მო-წყდებ-ოდ-ეს: ჩჩლნიცა და მშობლნიცა ერთბამად მოწყდებოდეს: წარტყუნ. კვ 19.

ობიექტ. პირი მხოლოდით ში ა

მო-კლ-ეს: შეიპყრეს და მოკლეს იგი: მთ 21,39.

მო-კლ-ა-ს: რომელმან მოკლას, თანა-მდებ არს საშჯელისა: C მთ 5,21.

მო-კლ-ე-ა-დ: ხოლო სულსა ვერ კელ-ეწიფების მოკლვად: DE მთ 10,28.

ობიექტ. პირი მრავლობით ში ა

მო-ს-წყვდ-ე-ნ: რომელმან მოსწყვდენ წინაწარმეტყუელნი: მთ 23,37.

მო-წყვდ-ნ-ეს: მოქმედთა მათ... მონანი იგი... მოწყვდნეს: მთ 21,35.

მო-წყუედ-ა-დ: ხოლო სულთა თქუენთა ვერ შემძლებელ იყვნენ მოწყუედად: C, მთ 10,28.

ტიპობრივია ასეთი ხმარება. მაგრამ გვაქვს მათი გამოყენების შემთხვევები რიცხვისდა განურჩევლად. სინეკდოქური მნიშვნელო-

ბით მოწყუედს დასტურდება მხოლოობითში დასმულ ობიექტთან¹,
ხოლო მოკლავს ობიექტის მრავლობითის სუფიქსითაც გვხვდება:

მოწყუედს ჰაბოჲ მახვლითა: სასულ. თ 55.

როპელმან აღიღოს მახვლი, მახვლითაჲა მოწყუედს: C მთ 26,52.

მოკმედთა მათ მონანი ივი... მოკლნეს: C მთ 21,35.

განტეხს — დამუსრავს

ობიექტ. პირი მხოლოობითშია

გან-ვ-ტეხ-ე: ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე: მრკ 8,19.

გან-ტეხ-ა: მოიღო... პური, აკურთხა და განტეხა: მთ 26,26.

ობიექტ. პირი მრავლობითშია

და-ე-მუსრ-ა: მრავალი ბორკილი და ჯაქვ... განეხეთქა და დაე-
მუსრა: C მრკ 5,4.

შთა-უ-მუსრ-ნ-ეს: შთაუმუსრნეს კბილნი მისნი: კიმ. I, 190,20.

რათა დამუსრნენ წვენი მათნი: C ი 19,31.

მაგრამ, როგორც ზემოთაც ითქვა, ამ ფუძეებთანაც ყველაზე მეტად შეინიშნება „აღრვეის“ შემთხვევები: მხოლოობითის ფუძის ხმარება მრავლობითში და პირიქით:

• განტეხნა პურნი: ევსტ. 89,3.

პირველისაჲ მის განუტეხნეს წვენი: C ი 19,32.

დამუსრა პური: მრკ 6,41.

§ 19. სუბიექტური პირის რიცხვში მონაცვლე ზმნები

უ-ვ-ი-ს — ე-სუ-ა

ოდენმხოლოობითში დასმულ სუბიექტთან იხმარება, მრავლობითში სხამ ფუძისაგან ნაწარმოები ფორმები ენაცვლება; რიცხვანაკლია აგრეთვე მისი აორისტში შემცვლელი ფუძე, რომელიც სტატიკურ ზმნათა მსგავსად იწარმოება. აწმყოში მარტო საშუალი გვარის სასხვისო ქცევის ფორმები გვაქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უვი-ს უძველესი და ტიპობრივი ერთასპექტიანი ფუძეა. ამ ზმნის ეტიმოლოგია არაა ცნობილი. დამაჯერებლობას მოკლებულია მისი გაიგივება „სვა“ (იგულისხმება მესუა — ი. ქ.) ძირთან².

¹ ზოგჯერ შეთანხმება -ებ სუფიქსიან სახელთანაცაა: მოწყუედა ყოველი ვრძები: C მთ 2,16; შდრ. ყრმანი იგი მოწყუედნეს: სპევს. 334,16.

² Д. Ч у н и о а, Краткая грузинская грамматика, С.-Пб. 1855, გვ.36.

საერთოდ არ გვხვდება აქედან არც მასდარი, არც მიმღეობა¹. საგულისხმოა, რომ ქართულმა ეს ზმნა, რომელიც თითქმის მხოლოდ სულიერი არსების „ყოლას“ გამოხატავდა, შეადევში დაკარგა.

ა წ მ ყ ო

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

მ-ი-ვ-ი-ს: შივის მე ზამაჲ: კიმ. I, 218, 36.

გუ-ი-ვ-ი-ს: მამაჲ გვვის ჩუენ აბრაჰამი: მთ 3,9; ი 19,15.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

მ-ი-სხ-ენ: მისხენ ხუთნი ძმანი: ლკ 16,28.

ა ო რ ი ს ტ ი, კ ა ვ შ ი რ. II, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

მ-ე სუ-ა: შესუა მე მამაჲ, კეთილის-მოყუარჲ: მრავალთ. 122,6.

გ-ე-სუ-ა: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა შენ იგი ცოლად: მთ 14,4; მრკ 6,18.

მ-ე-სუ-ა-ს: თქუნ-ლა, რაჲთა შესუას შეილი: ათონ. 140,236.

ე-სუ-ა: ესუა მას ცოლი: ხანძთ. ნდ 3.

არა ესუა მას შეილი: კიმ. I, 269,13.

ე-სუ-ი-ნ: კაცად-კაცადსა ოჴსი ცოლი ესჴნ: კორინთ. 7,2.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

მ-ე-სხ-ნ-ეს წარვედ ეგჴტედ მოხილვად თჴსთა ჩემთა, რომელნი შესხნეს მე მუნ: რაეახ. 90,34.

ე-სხ-ნ-ეს: ესხნეს შეილნი: ხანძთ: ნდ 3.

იაკობს ესხნეს ათორმეტნი ძენი: ევსტ: 86,7.

გ-ე-სხ-ნ-ე-ნ: რომელი აწ ძენი გესხნენ, იგუემნენ: ხანძთ. ნვ 19.

ე-სხ-ნ-ი-ან: კაცსა თუ ესხნიან ორნი შეილნი: წარტყუენ. ლ 29.

უ-ე-სხ-ნ-ენს: თუმცა არა გუესხნეს ჴელოვანნი, არამცა ღმერთნი გუესხნეს: კიმ. I, 135,24.

¹ მიუღებელია ნ. მარის ახსნაც, თითქოს შივის ზმნის სპირანტული ფორმა გვიჩვენებდეს ორ სახესხვაობას: ვ←*ჴ||*ჴ (→)→*ნ და უკანასკნელ-თან იყოს ნაწარმოები სვანური მეშველი ზმნა ხჴ-ი, ხ-ი და ლ-ი (ლ. შ. M a p p, I' p a m. , § 212, გვ. 117). ნ. მარის ეს ნარაუდი ინთავიძვე საეპოლ იქნა მიჩნეული (იხ. არნ. ჩიქობავას რეცენზია ნ. მარის გრამატიკაზე: მიმომხილ-ველი, I, 1926, გვ. 303).

ზ-ი-ს — ჯ-ღ-ა * ← ჯ-ედ-ა

ორივე ზმნა რიცხვანაკლია: იხმარება მარტოოდენ მხოლო-ობითის სამსავე პირში, აქედან პირველი აწმყოში, მეორე კი II სერიის ნაკვებში. ზ-ი-ს ზმნის ძირია ზ, რომელიც ზანუ-რი უ ძირის კანონზომიერ შესატყვისადაა ნიჩნეული. უკანასკ-ნელი დღესაც იხმარება გურულ კილოში როგორც საშუალი გვა-რის, ისე კაუზატივის ფორმებში: ე-ი-ს, ა-ე-ენ-ს. მეორე სერიის ნაკვებში უ ძირი, რომელსაც ვნებითის -ედ აქვს დართული, ქცეულა ჯ'ღ: ჯ-ედ¹. ეს ზმნა გაცოცხლებულია ქართულში ვნები-თისათვის ყველა სერიის ნაკვებების მაოლოობითში, მრავლობითში მას ენაცვლება სხ ძირი, რომელსაც იგივე -ედ II-ენ სუფიქსი აწარმოებს: სხ-ენ/სხ-ედ.

ს ა შ უ ა ლ ი, ა წ მ ყ ო

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

ვ-ზ-ი: აწ ესერა ვზი და ვილოცავე: ჰაგ. მასალ. 28.

ჰ-ზ-ი: რომელი ჰზი ზედა ქერობინთა: სასულ. ტ 280.

ზ-ი-ს: ზე ზის იგი ვირსა: მთ 2,15.

ზ-ი-ნ: რომელი-იგი ზინ და ითხოვენ: ი 9,8.

ზინ იგი თანაწარსავალსა გზათასა: ანტიოქ. 62,1.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

ვ-სხ-ენ-თ.

ჰ-სხ-ენ-თ

სხ-ენ-ან: ვითარცა ხატნი მეტყუელნი წინა სხენან: ათონ. 2,6.

რომელნი ბნელსა... სხენან: ლკ 1,79.

სხ-ენ-ედ: რომელნი სხენედ უბანთა ზედა და მოუწოდედ მო-ყუასთა: DE მთ 11,16.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

ვ-ჯ-ედ: ვჯედ და ვიკითხედ: კიმ. I, 207, 27.

ვჯედ რად სახლსა შინა ჩემსა: არიმათ. 33,19.

ს-ჯ-ედ: ოდეს-იგი სჯედ ვესის: კიმ. I, 72,31.

¹ გ. თ ო ჟ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IV: ენიმკის მოამბე, V—VI, გვ. 534.

ჯ-დ-ა: ჯდა მუნ კაცი ერთი დაქსნილი: საბა 18,30.

იხილა ლევი ალფსი, ჯდა რაჲ იგი საზუერესა: DE
მრკ 2,14

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

ე-სხ-ედ-ი-თ: ვსხედით ყოველნივე წინაშე მისსა: ათონ. 329,2.

ვსხედით და ვზრახედით და ვისმენდით: კიმ. I, 166,2;
37,13; 21,2.

სხ-დ-ეს: რომელნი-იგი სხდეს მუნ: იპოლ. 24,51.

ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა: DĒ მთ 20,30.

ვ ნ ე ბ ი თ ი, წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, კ ა ე შ ი რ. II

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

და-ვ-ჯ-ედ: დავჯედ მე, ვითარცა ყორანი, მარტოჲ: სახისმეტყ. ლა 2.

და-შ-ჯ-ედ: დაშჯედ მაღალთა შინა სუფევსა: სასულ. ტი 72.

და-ჯ-დ-ა: დაჯდა მის წილ ძმ მისი მაჰდი: ჰაბო 63,12.

იოვანე გაჯდა საველარსა თუსსა: ურჰ. 321,22.

გარდამოჯდა ნომერიანოს ტაძრად: კიმ. I, 44,18.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

და-ვ-სხ-ედ-ი-თ: მუნ დავსხედით და ვტიროდეთ: წარტყუნ: მჴ 5.

და-სხ-დ-ე-თ: დასხდეთ თქუნცა: მთ 19,28.

და-სხ-დ-ეს: წართქუნეს... ფსალმუნნი... და დასხდეს სერობად:
ზარზმ. 169,5.

ასხდეს ცხენთა და დევნა უყვეს: ჰაგ. მასალ. 35.

მოწაფენი მისნი... შესხდეს ნავსა: ი 6,16.

სხედ ფუძე ძველ ქართულში, სუბიექტის მორფოლოგიური მრავლობითის გარდა, იზმარება (შედარებით იწვიათად) კრებით სახელებთან ან მნიშვნელობით, შინაარსობრივად მრავლობითობის გამომხატველ სახელებთან:

ერი სხდა: ე რ ი, რომელი სხდა ბნელსა: მთ 4,6.

დედები სხდა: დ ე დ ე ბ ი ი გ ი, რომელი სხდა თეატრონსა: თეკლ.
120,15.

ამგვარად, ჴ-ი (აწმყოში) და ჯ-ედ (მეორე სერიის ნაკვთებ-ში) მხოლოლობითის ფუძეებია, მრავლობითში სხ-ენ || სხ-ედ ენა-ცვლება. ძველმა სალიტერატურო ქართულმა ამ მხრით გამონაკ-

ლისი არ იცის. ამდენად, ნ. მარის მიერ აწმყოში წარმოდგენილი მრავლობითის ფორმები ვ-ზი-თ, ჰ-ზი-თ, ზი-ან¹ მხოლოდ დიალექტური მოვლენის ამსახველია არასალიტერატურო ძველი და ახალი ქართულის დამახასიათებელი.

ძ-ე-ს ← ძ-ევ-ს ← დ-ევ-ს

ვ-დ-ებ ზმნის სტატიკური ფორმა ძველი ქართულის აწმყოში მხოლოდ ძეს სახითაა ცნობილი. თავდაპირველი დ გააფრიკატდა ვ ხმოვნის წინ². გარდამავალი საფეხური გვაქვს სვანურში: ზი, ზგსდან¹და¹ 'ძევს, იღვა'. აწმყოში თემატური სუფიქსის თანხმონი ვ თითქმის ყოველთვის იკარგვის: ძ-ევ-ს → ძ-ე-ს.

ძეს მხოლოობითის ფუძეა, მრავლობითში სხ-ენ ენაცვლება. სტატიკურ ზმნათა დარად, ესეც არ იგუებს ზმნისწინს. ძველ ქართულში ეს ფუძე უფრო ხშირად არააცოცხალი საგნის მიმართ იხმარება, ჩვეულებრივ მესამე პირში.

ა წ მ ც ო

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

ვ-ძ-ე: გუამი ჩემი შეძრწუნებულ იქმნა... და ვძე მე შიშუელი: იაღგ. 111.

ძ-ე-ნ: სადა ბზ ძენ, ინგორის: სახისმეტყ. იშ 5.

რად ძეს ჩემი და შენი? C მრკ 5,7; ასევეა: მთ 8,6; 27,19; 3,10.

ძეს ორგან განკუთვნილი მეფე: კიმ. I, 154,37.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

ვ-სხ-ენ-თ

სხ-ენ-ან: რომელსა შინა არა ფიცარნი სხენან მოსეს მიერ გამოქანდაკებულნი: სინას ხელნაწ. 177,4.

სადა-იგი პატრიოსანნი ნაწილნი მისნი სხენან: სვან. 54, სვ. I; 40, სვ. I.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

ი-დ-ვ-ა: სიდედრი სიმონისი იღვა სიცხითა: C მრკ 1,30.

¹ Грамм., § 224, გვ. 208.

² და არა პირიქით, თითქოს ძ იყოს პირველადი და აქედან ძვ → დვ, როგორც ამას ნ. მარი აღნიშნავდა (Грамм., § 186, გვ. 155).

ქუე იღვა იგი სიკუდიდ მიახლებული: საბა 10,10.

ლაზარო მომკუდარიყო... და იღვა სამარესა შინა: ევსტ. 89,20.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი

ი-სხ-ნ-ეს: სადა-იგი ისხნეს ჯორცნი წმიდისა სტეფანოსნი: სვან. 133, სვ. II.

უძღურნი ისხნეს სარეცელთა მათთა ზედა: საბა 19,10.

შევიდა სახლსა მას, სადა ისხნეს მკუდარნი: კიმ. 1, 147,27.

მრავლობითში ფუძის მონაცვლეობა ეხება აწმყოსაც და წყვე-ტილსაც: ი გ ი ძ ე ს — ი; გ ი ნ ი ს ხ ნ ე ნ; ი გ ი ი ღ ვ ა — ი გ ი ნ ი ის ხ ნ ე ს.

(ა-ძ-ევ-ს →) ა-ძ-ს → ა-ც

(უ-ძ-ევ-ს →) უ-ძ-ს → უ-ც

განხილული ღ — ძ ძირისგან იწარმოება აგრეთვე ქცევის ფორმები. სასხვისო ქცევისა და საზედაოს პრეფიქსები იწვევენ თმისეული სუფიქსის ხმოვნის რედუქციას: ა-ძ-ევ-ს — ა-ძ-ე-ს — ა-ძ-ს; უ-ძ-ევ-ს — უ-ძ-ე-ს — უ-ძ-ს. შემდეგ ძს კომპლექსი ც'დ იქცა: აძს → აც; უძს → უ-ც. დღესდღეობით ძველი ვითარება შემონახული ჩანს ქიზიურში, სადაც იხმარება ა-ძე: ქეა და ხეინქა ზედა აძე¹.

პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმები დადასტურებული არაა. ვიდრე ორივე რიცხვის ფორმებს წარმოადგენდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი: სტატიკური ფორმების „საზედაო“ ქცევას სპეციფიკური გაგება აქვს: აც (←ა-ღ-ევ-ს) ნიშნავს უზმნისწინოდ 'აძევს; მართებს. ევალება'... ამის გამო მრავლობითი რიცხვი თითქმის არ გვხვდება, ყოველ შემთხვევაში იგი ძალიან იშვიათია. აქ წარმოდგენილი რამდენიმე ზმნა მრავლობითისა მხოლოდ მაშინაა მხოლოლობითის პარადიგმის შემესები, როდესაც მას მოეპოვება შემდეგი მნიშვნელობა: 'აქვს; აცვია; აბია, ასხია; ადგას'.

ა წ მ ყ ო

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

მ-ა-ც: მეცა თანა-მაც, რაჟთა განუტდე ბრძოლად: ჰაბო 71,36.

თანა-მაც სიყუარული... მამობისა შენისაჲ: ხანძთ. კლ 23.

რომელთაჲ თანა-გუაჲც მცთხრობად მათ: იპოლ. 1, 188.

¹ ს. მენთეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი, გვ. 294.

- გ-ა-ც: თანა-გაც ურთიერთას დაბანაჲ ფერტთაჲ: C ი 13,14.
 შომეც მე, რაჲცა თანა-გაც: DE მთ 18,28.
 (ბ)აც: სხუაჲ... სახც¹ აც [ვაჰანაკრასა]: სახისმეტყ. კ 24.
 ოქროჲს ფერად შოაც გარემო: თუალთ. 44.
 თანა-ხაც... მსახურებად მათა: ქრესტ. 15,23.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

მ-ა-სხ-ენ¹

- გ-ა-სხ-ენ: გშუენის მანიაკი ეგე და რომელნი-ეგე ფერტთა გასხენ:
 კიმ. I, 46,26.
 გასხენ შენ შებილწებულნი კელნი: კიმ. I, 44,14.
 სანდალნიმცა გასხენ და ნუ შეიმოსთ მრჩობლსა კუართსა:
 მრკ 6,9.
 (ბ)ა-სხ-ენ: იგინივე ჯორცნი ასხენ: სევან. 92, სვ. II; 127, სვ. II.
 რომელსა ასხენ ყურნი სმენად: მთ 11,15.

ა ო რ ი ს ტ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

- გუ-ე-დვ-ა: რომელი თანა-გუედვა ყოფად, ვყავთ: ლკ 17,10.
 ზედა მწართა გუედვა სიმძიმე ცოდვათაჲ: იპოლ. 27,17.
 ე-დვ-ა: ჯაქ იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ედვა:
 შუშ. 29,25.
 თანა-ედვა მისი ასი დრაჰკანი: მთ 18, 28.
 ყრმასა მას ზედა მეწამულის ფერი ნიში ედვა: იპოლ. 2, 171.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

გუ-ე-სხ-ნ-ეს

- ხ-ე-სხ-ნ-ეს: ზაქარია... დადგრომილ ხიყო და ურწმუნოებისათჳს
 აღჯრნი ხესხნეს: ქრესტ. 24,5.
 ჯამლად ესხნეს მას ნაკუერცხალნი ცეცხლისანი: კიმ. I,
 55,9.
 ე-სხ-ნ-ე-ნ: რაჲთა ესხნენ სანდალნი: მრკ 6,9.

¹ მრავლობითის სხ ენაცვლება აგრეთვე მხოლოობითის ღვ ფუძესაც, თუმცა ეს მონაცვლეობა არაა სისტემური: თუალ გასხენ და არა ზედავთ და ყურ გაღჯან და არა გესმის: C მრკ 8,18. შდრ. თუალ გასხენ და (არა) ჰხედავთ, ყურ გახხენ და არა გესმის: DE, იქვე.

ა წ მ ყ ო

მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი

მ-ი-ც: ვერ ძალ-შიც გემოხს ხილვად: შუშ. 22,22.

და-მ-ი-ც: რომელსა ზედა აწცა დამიც მე კუერთხი: ჰაგ. მასალ. 40.

გუ-ი-ც: გულის-ხმა ყავთ რად ესე წინა გვც: იპოლ. 15,11.

გ-ი-ც: ყოვლადვე ძალ-გიც შეწვენაჲ ყოველთაჲ: ხანძთ. ომ 37;
ასევე ეს ზმნა: მთ 7,4; 20,22; 16,3; მრკ 9,22.

უ-ც-ნ: მამასახლისსა უცნ (sic) მცირელი პური უცხოთათჳს: კიპ.
I, 29,11.

უ-ც: ვერ ძალ-უც განკურნებაჲ მისი: საბა 18,18.

და-უ-ძ-ს: ამას ვანი დაუძს: მოციქ. 10,32.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

მ-ი-სხ-ენ: ნაშენებნი არა მისხენ მე: სღან. 14.

გ-ი-სხ-ენ: სასწაულნი ჟამთანი ვერ ძალ-გისხენ გულის-ჟმის ყო-
ფად: C მთ 16,3.

უ-სხ-ენ: ღმრთივ წერილნი იგი ფიცარნი ჳელთ უსხენ: ანტიოქ.
94,27.

ამგვარად, აძეს → აც და უძეს → უც ზმნები აორისტში ე-
პრეფიქსიან ვნებითს ინაცვლებენ: აც, უც — ე-დვ-ა. ტექსტებში არ
გვხვდება, თუქცა აორისტი ამგვარად იქნება: მხოლ. ეღვა, მრავ.
ესხნეს.

ვ არ დ-ებ-ი-ს

ეს ზმნა ზოგჯერ შეიწყობს ობიექტურ პირსაც, იხმარება
მხოლოობითი რიცხვის სუბიექტურ პირში, მრავლობითში მას
ჩვეულებრივ ცვვ ფუძე ენაცვლება.

ა წ მ ყ ო

მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი

შთა-ვარდ-ებ-ი-ნ: ნუ ყოველი გუამი შენი შთავარდებინ გეჳენიასა:
C მთ 5,29.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

შთა-ცვ-ი-ან: ორნივე მთხრებლსა შთაცვნიან: მთ 15,14.

შე-ცვ-ი-ან: რომელთა ჳნებაჲს სიმლიდრე, შეცვნიან განსაცდელსა:
კიმ. I, 243, 14.

უწყვეტელი, ხოლო მებოთი

მხოლოდ ბოთი

გამო-ჰ-ვარდ-ებ-ოდ-ა: არა გამოჰვარდებოდა პირსა მისსა სახელა მისი: ანტიოქ. 122,16.

მრავლობითი

ცვ-ოდ-ეს: ჯორცნი მისნი... ქუეყანასა ზედა დასცვოდეს: კიმ. I, 196,13.

და-ცვ-ოდ-ი-ან: და სირცხულეულნი დაცვოდინ პირსა ზედა თქსა: წარტყუნ. ლგ 27.

წყვეტილი, კავშირებითი II

მხოლოდ ბოთი

და-ვარდ-ა: დავარდა წინაჲე წმიდისა: საბა 16,20.

წარ-ჰ-ვარდ-ა: წარჰვარდა ფერჯი მისი: კიმ. I, 149,8.

შთა-ვარდ-ე-ს: შთავარდეს იგი... ჯურღმულსა: მთ 12,11.

მრავლობითი

და-ცვ-ეს: ძმანი იგი დაცვებს ქუეყანასა ზედა: ანტიოქ. 84,22.

წარ-ს-ცვ-ეს: ასოსა მას თესლმცენარესა წარსცვებს ორნი ქვანი: ზარზმ. 177,20.

გარდამო-ცვ-ენ: ვარსკულავნი გარდამოსცვენ ზეციით: მთ 24,29.

ძველ ქართულში ვარდ ფუძის მრავლობითში გამოყენების შემთხვევებიც შეინიშნება, რაც ზემოგანხილულ ზმნათა მსგავსად მეორეული მოვლენაა:

დავვარდიო და თაყუანის ვსციო: სჯულის კანონი, 119; ასევე: არიმათ. 34,21.

ვითარ ესმა მოწაფეთა, დავარდეს პირსა ზედა მათსა: მთ 17,6.

ცვ-ი-ან

ცვ ფუძის ხმარებაში ძველმა ქართულმა გამონაკლისი არ იცის: იგი მხოლოდ მრავლობითში დასმულ სუბიექტთან გვხვდება¹.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ს ლ ბ. პ რ ც ჯ ე ს ი მე ო რ ე პ ი რ ი ს ა და ო ბ. პ რ ე ფ. მ ე ს ა ნ ე პ ი რ ი ს ა, გვ. 67, შ მ შ. 1.

ცვვიან საშუალი გვარის ერთპირიანი ზმნაა, რომელსაც შეიძლება ირიბდამატებიანი ფორმებიც ჰქონდეს. ძველ ქართულში აწმყოში ეს ზმნა -ი სუფიქსიანია და ამ ტიპის ზმნებიდან თავისი ულლი-ლებით მეტად საინტერესო: თავდაპირველი პერმანსივის ფუქით აწარმოებს პირველი სერიის ყველა ნაკვთს და თავისივე ფუქით გამოხატავს მეორე სერიის ფორმებსაც. ძველ ქართულში არ გვხვდება ამ ფუქისაგან ნაწარმოები მოქმედებთი და ენებითი გვარის ზმნები (შდრ. ახალი ქართული ა-ცვ-ენ-ს, ჩამო-ცვივ-დ-ა...).

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ცვვ ფუქე მარტოოდენ მორფოლოგიურად გამოხატული მრავლობითის სუბიექტთან კი არ იხმარება, არამედ იგი გვხვდება აგრეთვე შინაარსით მრავლობითად გაგებულ სუბიექტთანაც (მაგალ. როგორიცაა: თ მ ა ე, ფ უ რ ც ე-ლი, ე რ ი...).

ა წ მ ყ ო

გარდამო-ცვ-ი-ნ: ძალღნიცა ჰამედ ნაბიქევისაგან, რომელ გარდამოცვინ ტაბლისაგან: მთ 15,27.

დამო-ცვ-ი-ნ: გულის-წყრომამა შენი მსგავს არს ფურცლისა... რომელ დამოცვინ ხეთაგან: კიმ. I, 139,33.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ცვ-ო-დ-ა: ოფლი ცვოდა პირთა მათთა: სპევს. 334,79.

მაშინ ყოველი იგი ერი წარმოდგამის წინაშე, დაცვოდეს პირსა ზედა მისსა: წარტყუნ. კზ 9.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

და-ს-ცვ-ა: განაწმო თივად და ყუავილი მისი დასცვა: ებისტ. იაკობ. მოციქ. 1,11.

კეთრი იგი, ვითარცა ფურცელი ხისაგან, ესრეთ დასცვა: ანტიოქ. 128,22.

მო-ს-ცვ-ა: ადგილსა, რომელსა შეახო, მოსცვა თმად მიერ: კიმ. I, 277,33.

და-ვ-ცვ-ი-თ: ვითარცა ჩუენ ყოველნი დავცვით ქუეყანასა ზედა, მესმა ჳმად: მოციქ. 26,14.

შე-ცვ-ეს: შეცვებს ჳელთა ერის კაცთასა: კიმ. II, 32,26.

წარმო-ცვ-ეს: მუნქუესვე წარმოსცვებს თუალნი მას: კიმ. II, 13,36.

ძველ ქართულში დასტურდება ერთი შემთხვევა წყვეტილის ფუძეში -ენ სუფიქსის გამოვლენისა, რაც პრეფიქსული ვნებითის მრავლობითი რიცხვის ანალოგიით შეიძლება აიხსნას.

და-ვ-ცვ-ენ-ი-თ: ჩუენ ყოველნი ქუეყნად დავცვენით: მოციქ. 26,14.

ამ ზმნის მასდარია ამჟამად ცვ-ენ-ა, ზოგიერთ დიალექტში (იმერულში) ისმარება აგრეთვე ცვივ-ი-ლ-ი, რაც არაა შემთხვევითი. ძველ ქართულში მასდარი ნ სუფიქსსაც შეიცავს, შდრ.: განცვენებად: მოციქ. 27,26.

§ 20. ობიექტური პირის რიცხვში მონაცვლე ზმნები სუ-ამ-ს

მნიშვნელობით განსხვავებული ორი ზმნიდან (დასუა იგი და შესუა ღვნოა...) აქ განხილული იქნება პირველი.

ძველ ქართულში სუამს რიცხვანაკლი ზმნაა და იხმარება მაშინ, როცა ობიექტური პირი მხოლოდობით რიცხვშია¹, მრავლობითში კი მას სხ-ამ ფუძე ენაცვლება. პარადიგმები ძველ ქართულში ზოგადად ასეთია:

ა წ მ ყ ო

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

პ-სუ-ამ: ნუ ქურივ-სუამ ცოლსა შენსა: ევსტ. 92,32.

უ წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

უ-სუ-მ-ი-ღ-ა: თავსა ჯელსა უსუმიდა: კიმ. I, 117,5.

წყვეტილი, ხოლმეობითი II

შე-სუ-ა: შესუა იგი საპყრობილესა: C მთ 18,30.

აღ-სუ-ა: აღსუა იგი თვისსა კარაულსა: ლკ 10,34.

უ-სუ-ა: დედაკაცსა... ქმარი უსუა: ხანძთ. კთ 39.

და-სუ-ი-ს: ეპისკოპოსმან საყდარსა იგი დასჯს: ხანძთ. კვ 42.

ა წ მ ყ ო, უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

პ-სხ-ამ

გარემო-ა-სხ-მ-ი-ღ-ა: წმიდათა ჯელთა მისთა გარემოასხმიდა: ბოლნ-37, 23.

¹ ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 34, №შ. 2.

წყვეტილი, ხოლო მობითი II
მრავლობითი

აღ-სხ-ნ-ა: აღსხნა იგინი აქლემებსა: დაბად. 31,17.

და-უ-სხ-ნ-ეს: მრავალნი მზირნი დაუსხნეს: კიმ. I, 195,15.

შე-სხ-ნ-ეს: წინამძღუარნი... შეიპყრნეს და შესხნეს საპყრობილესა:
კიმ. I, 6,16.

სხ-ნ-ის: ძუმან ლომმან ლეკუნი... სხნის: სახისმეტყ. ბ 60.

ვნებითი, წყვეტილი
მხოლოდობითი

შთა-ი-სუ-ა წიალთა აბრაჰამისთა შთაისუა [იგი]: წარტყუნ. კვ 1-

მრავლობითი

და-ი-სხ-ნ-ეს: დაისხნეს მტერნი იგი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა:
სასულ. რნ 195.

სხ-ამ-ბ

ეს ფუძე რამდენიმე ზმნას ენაცვლება, როცა ობიექტი მრავლობითშია მორფოლოგიურად, ან მრავლობითობის გაგებას, კრებითობას გამოხატავს¹. რამდენადაც ობიექტის მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა ძველ ქართულში მეორე სერიის ნაკვთებშია სავალდებულო და გამოიხატება კიდევ მორფოლოგიურად, ამდენად ესა და მსგავსი ფუძეები აწმყოში თითქოს არც კი იყო მოსალოდნელი. სინამდვილეში სხამ ფუძის გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ძველ ქართულში ეს ზმნა ძალიან ფართოდაა გაერცელებული და სხვადასხვა მნიშვნელობაც მოეპოვება. იგი თითქმის აძვეებს ხმარებიდან მრავლობითის სხვა ფუძეებს (მაგ., თხ-ევ და სხვ.) და მათ ადგილს იკერს.

უნდა გაირჩეს ამ ფუძის გამოყენების შემდეგი შემთხვევები:

1. სხამ ფუძეს შე-ზმნისწინით სპეციფიკური გაგება აქვს: 'შეასხამს-აქებს'. ამ შემთხვევაში მას მხოლოდობითში საპირისპირო ფუძე არ მოეპოვება.

ა წ მ ყ ო

რომელნი შენ გალობას შეგასხამთ: სასულ. ლბ 12.

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

უწყვეტილი

შეასხმიდა შესხმასა ახალსა: იპოლ. 1,90.

ზეცისა ერთა ბანაკსა გალობით შევასხმიდეთ: სასულ. სმშ 17.

2. ობიექტი მორფოლოგიურად არაა მრავლობითში, მაგრამ შინაარსით იგი ასეთ გაგებას შეიცავს — დაუთვლელია, ნივთიერებას აღნიშნავს, ან კიდევ კრებითია; მაგ.: მიწა, ნაცარი, ნახშირი, საკმეველი, სითხეები, მარცვლეული, მწერები, ერი და ა. შ. მის საპირისპიროდ მხოლოდობითის ფუძე არც ამ შემთხვევაში ჩანს.

უწყვეტილი

გარდაპრიე ღვნითა და ასხემღი ვითარცა თხიერსა: ბოლნ. 84,5.

შთაასხმიდა ნაცარსა საცეცხურთასა: კიმ. I, 24,14.

დათუნი იგი... შთაასხმიდეს მიწასა მას: კიმ. I, 156,13.

ერი დაესხმოდა მას სმენად: ლკ 5,1.

წყვეტილი, ბრძანებითი, ხოლმეობითი II

დამასხ წამალი სინანულისაჲ: ანტიოქ. 127,10.

საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ: შუშ. 13,17.

აღილო საცეცხური და დაასხა საკუმეველი: კიმ. 217,16.

გარდაესხა ტბორები იგი წყალთაჲ: კიმ. I, 115,21.

არავინ შთაასხის ღვნოჲ ახალი თხიერთა ძუელთა... არამედ ღვნოჲ ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან: მრკ 2, 22.

3. სხამ ფუძეს აშკარად უპირისპირდება სუამ, ღებ (resp. დეგ), განაძებ, ა-გღებ ფუძეები (შღრ. ამ ფუძეებთან), რომლებიც ოდენმხოლოდობითის ფუძეებს წარმოადგენენ. საგულისხმოა, რომ ანგარიში ეწევა სახელის -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმებსაც.

აწყვეტილი

ემმაკთა განასხამ კაცთაგან: დამასკ. 261,22.

უწყვეტილი

ეპიფანე... სულთა უკეთურთა განასხმიდა: ხანძთ. მდ 3.

წყვეტილი, კავშირებითი II

განასხა სულები, იგი უკეთური: DE მთ 8,16.

ჰმსახურეთ მაგათ, ანუ წარვასხნე იგინი: კიმ. I, 191,12.

ს-ს-ამ ფუძე ქართულის გარდა მკვიდრია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. ძირეულია ს, პრეფიქსი ს იგივე ოდენობაა, რაც ს-ყიდვა ტიპის სახელებშია¹. ძირის უპრეფიქსო ვარიანტი იხმარება ზანურის (მეგრულ-ქანურის) სტატიკურ ფორმებში: გე-ს-ე-ნ, ს-ე-(ნ) — აზის, ზის, შესაძლებლად მიიჩნევა ამავე ძირის გამოყოფა მე-ო-ს-ნე'ში (თანამესუფრე)².

დ-ებ-ს

მართოდენ მხოლოობითის ობიექტურ პირთან იხმარება დებს ზმნაც. მრავლობითში მას ენაცვლება სს-ამ, თს-ევ და იშვიათად წყ-ობ ფუძეები. ამავე დებ ფუძეს უკავშირდება ეტიმოლოგიურად ძევ, ძებ (გან-ძ-ებ-ა-ჲ) ფუძეები.

დადვა — დასხა

მხოლოობითი

თურმეობითი I

მ-ი-დებ-ი-ეს: მრავალი თავს მიდებებს მე შენგან: კიმ. II, 10,5.

მრავლობითი

მ-ი-სსმ-ან: რომელსა ესოდენნი კირნი თავს მისხმან: ანტიოქ. 132, 3.

წყვეტილი, ბრძანებითი, კავშირებითი II

მხოლოობითი

და-დვ-ა: რომელი-იგი მამამან დადვა თუსითა ჯელმწიფეებითა: მოციქ. 1,7.

და-დვ-ეს: დადვეს საფუძველი აღდილსა მას: ზარზმ. 167,2.

მოიღეს პატიოსანი იგი გუამი მისი და დადვეს იგი წმიდათა პატრიარქთა თანა: წარტყუნ. ჯვ. 23.

და-მ-დვ-ა: დამდვა ჯელი თავსა: კიმ. I, 212,11.

და-ს-დვ-ა: დასდვა მას ჯელ: DE მრკ 8,23; ასევე: ლევიტ. 1,4.

და-ს-დევ: ჯაქვ დასდევ ქედსა მაგათსა: ეესტ. 52,24.

ი-დვ-ა-თ: რაჲთა თავს იდვათ ყოველი სიტყუაჲ ბოროტი მისთჳს: სასულ. რღვ 18.

და-ი-დვ-ა: დაიდვა იგი საფლაესა: კიმ. I, 234,35.

და-ე-დვ-ა: ძილი საკვრველი დაედვა მას ზედა: კიმ. I, 156,25.

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 422.

² თ. გონია შვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩხურისა ქართველურ ენებთან: ენიშკის მოამბე, V—VI, გვ. 583.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

და-მ-ა-სხ-ენ: დასახენ... ჯელნი შენნი: კიმ. 265,1.

და-სხ-ნ-ა: რომელნი-იგი მამამან დასხნა თუსითა ჯელმწიფეებითა: მოციქ.

დასხნეს ჯელნი მისნი: C მრკ 8, 23; ასევე: ლევიტ. 3,2.

და-სხ-ნ-ეს: დასხნეს საფუძველნი: ხანძთ. ლ 58.

წარმოიხუნეს ნაწილნი... მოწამეთანი და დასხნეს ადგილსა წმიდასა: კიმ. I, 59, 28.

შე-უ-სხ-ენ-ი-თ: ბორკილნი შეუსხენით ფერქთა: ევსტ. 82,24.

ვი-სხ-ნ-ე: ვითარ თავს ვისხნე ყუედრებანი: ანტიოქ. 126,40.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი II

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

და-ე-დვ-ა: დაედვა პირი თუსი მიწასა ზედა და ითხოვდა წყალო-ბასა: ანტიოქ. 129,23.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

და-ე-სხ-ნ-ეს: დაედრიკენეს თავნი მათნი ქუეყანად და დაესხნეს შუბლნი მათნი მიწასა ზედა: ანტიოქ. 84, 25.

და-ი-სხ-ნ-ეს: დაისხნეს მტერნი იგი შენნი: სასულ. რნ 194; ასევე: კიმ. II, 13,36.

და-ე-სხ-ნ-ეს: ავაზაკნი დაესხნეს მას: ბოლნ. 60, 26.

დადვა — დათხია

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

და-დვ-ა: ყოველივე მოილო და წინაშე ძისა მის ჯელმწიფისაჲსა დადვა: ანტიოქ. 107,16.

აღ-უ-დვ-ა: აღური მოწყალებიისა მისისაჲ აღუდვა პირსა მისსა: სომხ.-ქართ. ლიტ. ურთ. 181,17.

წარმო-უ-დვ-ა: საყნოსელთა ძისთა სცა მაგრიად: მსწრაფლ სისხლი წარმოუდვა მას: თეკლ. 109, ქვ. 10.

შთა-დვ-ეს: აღიღეს... პატიოსანი იგი გუამი მისი და შთადევს იგი გუალავსა მას: ჰაბო 74,25.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

და-თხ-ი-ა: მოიხუნა შარავანდნი თუსნი და დასთხია (sic) ქუეყანასა ზედა: კიმ. I, 155,20.

შე-უ-თხ-ი-ნ-ა: დოქსმან მან შეუთხინა წმიდასა ბაბილას ბორკილ-ნი: კიმ. I, 46,18.

და-ს-თხ-ი-ნ-ა: რომელმან დასთხივნა სისხლნი წინასწარმეტყუელ-თანი: ურპ. 318,24.

შთა-თხ-ი-ნ-ა: შეკრნა ეშმაკნი იგი მრჩობილთა ჯაკჯთა და შთა-თხინა ივინი ქუესკენელსა: კიმ. I, 255,20.

დებ გარდამავალი ზნის ზემოთ განხილული ფორმები აწმყოში -ებ სუფიქსიანია, ნამყო წყვეტილში კი თავს იჩენს -ევ სუფიქსი: და-ს-დ-ევ: დასდევ იგი საფლავსა შინა შენსა: არიშათ. 30,12. ჰ-დ-ევ: შეავლინე ღრვად და ჰდევ ბადს: ჰავმ. ლკ 5,4.

და-ს-დ-ევ-ი-ნ: დასდევინ საცოა პირსა თუსსა: კიმ. I, 230,8.

ნ. მარს შესაძლებლად მიაჩნდა დ-ევ, დ-ებ ფორმებში და-ენახა სუსტი თანხმოვნის ვ || მ'ს გადასვლა ბ' ში¹. გ. დეეტე-რსის აზრით დევ || დებ შეიძლება იყოს ძირისეული -ევ' ის მოდიფიკაცია ჩვენთვის უცნობი ფონეტიკური ფაქტორითო².

-ევ რიგ გარდამავალ და გარდაუვალ ზნნათა თემატური სუფიქსია. საინტერესოა მისი გამოვლენა ნამყო წყვეტილში. ამ უკანასკნელის ფუძეს ემყარება ნამყო უწყვეტლის (resp. ხოლმეობითის) ფორმები, რომლებიც სპორადულად გვხვდება ძველ ქართულში:

*და-ს-დ-ევ-ოდ-ი-ს: დასდვოდის ქელი: იაკობ. რლ 13.

სუფიქსისეული -ვ შემონახულია მეგრულშიც: დვალა 'დება': დვანს 'დებს', ბღვი 'დავდევი'³. ანალოგიური სურათი გვაქვს გურულსა და მესხურში: დობს ← დეებს. აწმყოს დებ ფუძეს ემყარება წარმოებული ფორმები: წარმდები (თავხელი), უდები || უდბი (ზარმაცი, მცონარე...), თანამდები (მოვალე).

ამგვარად, დ-ევ ნამყო წყვეტილის ფუძეა, დ-ებ აწმყოსი. წყვეტილის ფუძის ამგვარი წარმოების ფაქტები სხვადასხვა ცნობილი ძველი ქართულიდან და თანამედროვე ქართული დიალექტებიდან.

დ ძირის ის მნიშვნელობა, რომელიც მას ზანურსა და სვანურში აქვს (მაგ., ჩექმა მიბღვი 'ჩექმა ჩავიცივი'⁴; ჰლ-დ-ე 'დაიდვა, ჩაიცვა, მოიხურა'⁵), არ უნდა ყოფილიყო უცხო ქართულისთვისაც. ასეთ გაგებას იძლევა მხილობითის ფუძე შემდეგს კონტექსტში:

¹ Грамм., § 188, გვ. 155.

² დასახ. ნაშრომი, გვ. 109-110.

³ მაგალითები იხ. ი. ყიფშიძის გამოკვლევაში: Грамматика мшигрельского (иверского) языка, С.-Ив., 1914.

მეგრული დვალა უნდა მეორედბოდეს იმერულ ზნაში გადალავს ('გა-სდებს, გააზვერს'...) აქედან: გადალული.

⁴ შემთხვევითი ჩანს ვ'ს გაურინარება რამდენიმე მაგალითში დად=დადვის: არა მიიღის გესლი იგი მის თანა, არამედ მუნ ქუაბსა ანუ ჭურელსა დად: სახის-მეტყ. ილ 25; დაიდა=დაიდვა: საფლავსა დაიდა: სინას ხელნაწ. 41, 21.

⁵ არნ. ჩიკობავა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 270.

⁶ ვ. თოფურიძე, სვანური ენა; გვ. 77, შწმ. 3.

აღმოეცა ქორცი... და მოედვა მას ზედა ტყავი: კიმ. I, 318,11.

ამ გაგების არსებობის სასარგებლოდ უნდა შეტყვევებდეს მრავლობითისათვის სხ-ამ ფუძის გამოყენება:

ქამლად ესხნეს მას ნაკუერცხალნი ცეცხლისანი: კიმ. I, 55,9.

ფერკთ-შესახსმელნი რკინანი შეუხსმან უკეთურსა მას: კიმ. I, 225,13.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მსგავსება, რომელიც ქართულ დ ძირსა და ამავე მნიშვნელობის ინდო-ევროპულ ძირს შორის არსებობს: სომხური *հինք*, აორისტის ფუძეა *h-ḡ*; სანსკრ. *ḍhñāṭ*, ძირია *dhā*; ბერძნ. *ἄμηνυ*, ძირია *μῆ*¹, თუმცა ზოგი მკვლევარი ამგვარ შეხვედრას შემთხვევითად მიიჩნევს².

გან-ა-ძ-ებ-ს

ძველ ქართულში ობიექტური პირის მრავლობითობა ამ ფუძით არ გადმოიცემა: მრავლობითში ისევ სხ-ამ, თხ-ევ არის შენაცვლებული. ეს მონაცვლეობა ვრცელდება აწმყოშიც და მასდარის ფორმებშიც კი; მაგ.:

უკუეთუ მტერთა ამათ მე განმაძეს... იგინიცა განსხმად არიან სოფლისა ამისაგან: წარტყუნ. ლა ნ.

ა წ მ ყ ო

მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ი

გან-მ-ა-ძ-ებ: ნოცა ეზოჲსა შენისაგან განმაძებ, მეუფეო: ბოლნ. 39,4.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი

გან-გუ-ა-სხ-ამ-ს: ჩუენ მრავალნი ვართ კაცისა ამის თანა, ვიღრე განგუასხამს: ურპ. 332,11.

უ წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

გან-ა-ძებ-დ

გან-ა-სხემ-დ: ნელსაცხებელითა განასხემდ ეშმაკთა: კიმ. I, 224,7.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი II

გამო-ა-ძ-ო: შეპრისხა მას და მუნქუესეე გამოაძო იგი: მრკ 1,43.

¹ A. Meillet, *Esquisse d'une grammaire comparée de l'arménien classique*, ვენა, 1936, გვ. 132, შდრ. გვ. 27.

² *U. B. A. S. S. R.*, *ნაქ*, II, 1928.

გან-ა-ძ-ეს: აღდგეს და განაძეს იგი გარეშე ქალაქისა მისგან: ლკ 4,29.

გან-გ-ა-ძ-ო-ნ განგაძონ შენ და შეილნი შენნი გარემოჲს შენსა და-ეცნენ: ლკ 19,44.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

გან-ა-სხ-ა: და განასხა სულები იგი სიტყვით: C მთ 8,16.

შდრ. ვნებ. გან-ი-თხ-ი-ნ-ეს: ბილწნი მწვალებელნი... განითხინეს დიდებისაგან ღმრთისა: სასულ. პლ 24.

გან-გ-ა-სხ-ნ-ენ: კრებულისაგან განგასხნენ თქუენ: DE ი 16,2.

მხოლოდობითსა და მრავლობითში გამოყენებულ ფუძეთა მიხედვით და ძ-ებ ზმნის ანალიზით ცხადი ხდება, რომ ძ-ებ გააფ-რიკატებული დ-ებ უნდა იყოს: დ-ებ → ძ-ებ. საგულისხმო ფაქტია, რომ განაძებს ზმნა ბერძნულის შესაფერის ადგილას (ოთხთავში) თითქმის ყოველთვის ქავლ ზმნით გადმოიცემა და მას, თავისი მხრით, სხვა კონტექსტში 'დება, გდება, ყრა, სხმა, თხევა' შე-ესატყვისება:

არა განვაძო გარე — μ η ἐξείχλω: ი 6,37.

გამოაძო იგი — ἐξείχλην მრკ 1,43.

ამგეარად, განაძო = 'განდვა, გარეთ გასვა, გააძევა'.

ახალ ქართულში ამ ზმნის პირიელი ფორმები და მასდარი ძ-ევ ფუძეზე -ებ სუფიქსის დართვით არის მიღებული: გა-ძე-ვ-ებ-ა, გა-ა-ძე-ვ-ებ-ს, გა-ა-ძე-ვ-ა; შრდ. ძ-ევ-ს ← დ-ევ-ს. ანალოგიურია ბრწყინ-ავ-ს : ა-ბრწყინ-ვ-ებ-ს. რედუქციის ფაქტები დიალექტური თავისებურებებით აიხსნება.

და-თხ-ევ-ს

თხევ ოდენ-მრავლობითის ფუძეა. იგი იმავე წესს ექვემდებარება, რასაც საერთოდ ობიექტის მრავლობითობის გაზოსახატავად ნახმარი ზმნები ძველ ქართულში, — გადმოგვცემს ობიექტის მრავლობითობას, მორფოლოგიურადაა ეს მრავლობითობა გამოხატული თუ შინაარსობრივად გაგებული.

ა წ მ ყ ო

და-ს-თხ-ევ-ედ: მ რ ა ვ ა ლ ს ა სისხლსა დასთხევედ: კიმ. I, 105,26.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

და-ს-თხ-ევ-დ-ეს: დასთხევდეს ცრემლთა მათთა: შუშ. 28,13.

წყვეტილი

და-ს-თხ-ი-ე-ნ: დასთხიენ სისხლნი შენნი: რაეახ. 99,9.

ვარდამო-ს-თხ-ი-ნ-ა: (კრემლნი ვარდამოსთხინა: კიმ. I, 221,22;
ასევე: სპევსიპ. 330,39.

წარმო-ს-თხ-ი-ნ-ა: წარმოსთხინა, რომელნიცა პირველითგან შთანთ-
ქნეს: სასულ. ხათ 327.

ვნები თი, აწმყო

და-ი-თხ-ევ-ი-ს: სისხლი... დაითხევის: იაკობ ლწ 18.

წყვეტილი, კავშირებითი II

გან-ი-თხ-ი-ნ-ეს: განითხინეს [ჰურიანი] ღმრთისაგან: ევსტ. 88,9.

ინიშენელობით, როგორც საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს, თხევ ძალიან ახლოს დგას სხამ ფუძესთან: ორივეს, რომელსაც თითქმის ყოველთვის პაღ-ა ზნა შეესატყვისება ბერძნულის სათანადო ტექსტებში:

და დავასხნე თითონი ჩემნი აღვილსა მას სამშქულათასა და დავს-
დვა ქელი ჩემი გუერდსა მისსა: ი 20,25. შდრ. პაღა თონ ბაჟასღონ
მოს ეზ: თონ თნპონ თონ წიღა, ჯა: პაღა თი ქეიჰა მოს ეზ თი პლეს-
რან ანთონ.

როგორი შეუარდებაცა პაღა ზნისა დასდებს — დასხამს
ზნებთან, ისეთივეა დასთხევს ზნასთანაც:

არამედ გარე განდვან იგი: ლკ 14,35; შდრ. ეჯა პაღაღოს-
თი ანთონ.

ხოლო ჯერკუალი იგი გარე განსთხიან: DE მთ 13,48
(შდრ. 13,47); შდრ. თა ბე თაჰაჰა ეჯა ეპაღონ.

და შესთხინეს იგინი შორის საკუმილსა მას ცეცხლისასა
DE მთ 13,42 (შდრ. 13,50); შდრ. ჯაჰ პაღაღოსთი ანთონს ეზ თი
ჯაჰ:თონ თონ პარბჰ.

ხოლო ძენი იგი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას
გარესკნელსა: მთ 8,12; შდრ. თი ბე სი: თი პათაჰი:აჰ ეჰჰლემიჰთონ-
თაჰ ეზ თბ თაბთაჰ etc.

შდრ. ყოველნი მართლმადიდებელნი, რომელნი იყვნეს ქა-
ლაქსა შინა დიდსა ანტიოქიასა, განისხნენ არიოზეანთაგან: საბა
14,22.

ამგვარად, დევ, თხევ, სხამ ფუძეებს შორის უეკველი სემან-

ტიკური სიახლოვეა¹, ოღონდ ესაა, რომ დევ ფუძის მონაცვლედ მრავლობითში უფრო ხშირად სხამ იხმარება, თხევის გავრცელება შედარებით შეზღუდულია. თხ-ევ-აში -ევ თემატური სუფიქსია, რომელიც II სერიაში იდრიკება, ხოლო თანხპოვანი ვ უმეტესად იკარგება: დათხ-ევ-ს — დათხ-იე-ა → დათხ-ი-ა (შდრ. ცრემლნი გარდამოსთხივნა: კიმ. II, 167,15). ძველი ქართულის ფუძეა, მნიშვნელობით რამდენადმე შეცვლილი, ახალი ქართულის ამონთხევა, სადაც ნ განვითარებულია. ძალიან იშვიათად იგი ძველ ქართულშიც დასტურდება: მგედრები და ჰუნები შთანთხია ზლუასა: იერუს. განჩინ. 91,10 (შდრ. ძრავს, იძრვისი: ა-ნ-ძრ-ევ ს).

ა-წყ-ობ-ს

ძველ ქართულში ძალიან იშვიათად იხმარება, ახალ ქართულში კი განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული მრავლობითის შინაარსით (შდრ. დადვა, დაალაგა, დააწყო...). უდავოა, იგიც რიცხვნაკლია: ოდენმრავლობითის ფუძეა, და მხოლოობითში ნახმარი დებ ფუძის მონაცვლე.

მხოლოობითი

აწყო

და-ს-დ-ებ-ს: დასდებს იფქლსა მას საუნჯესა სიხარულისასა: კიმ. 1, 12,7.

წყვეტილი, ხოლმეთბითი

და-ი-დვ-ი-ს: ალიზი ერთი დაიდვის სასთუნალ: შუშ. 38,17.

მრავლობითი

წყვეტილი

და-ი-წყ-ნ-ა: განირთხა თავით თუსით აღმოსავალით კერძო და დაიწყვნა კელნი და ფერწნი თუსნი: კიმ. I, 34, 30.

ა-ღ-ებ-ს

მხოლოობითში დასმულ ობიექტთან გამოყენებული იყო ლ-ებ ფუძე². თუ ობიექტი მრავლობითში იდგა, მონაცვლედ გამო-

¹ ეგების თხევ — სხამ ერთი ხ ძირის დიალექტური ვარიანტებია: თხ-ევ-ა-ღ-ბ-ევ (შდრ. ს-ბ-ამ), დასაც დ II ს ექსპონენტებია... (შდრ. ჩუენი: რიცხვნაკლი ხმნები ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნ., I, 1946, გვ. გვ. 147, 158).

² ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 36, შნშ. 2.

დიოდა ხუ-ამ. ზმნისწინებისა და სხვადასხვა მაქცევრების დართვით ღ-ებ ნაირგვარ ლექსიკურ მნიშვნელობას იძენდა.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

მო-მ-ი-ღ-ებ-ი-ე-ს: ბექელი მომღებებს: ევსტ. 80,17.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

გამო-მ-ი-ხუ-მ-ან: შუდნი ხოლო გამომიხუმან: ქრესტ. 67,26.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი II

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

გან-ა-ღ-ე: კარი იგი სამოთხისაჲ განაღე: ჰაბო 79,3.

აღ-ღ-ო: აღაღო პირი თუხი: მთ 5,2.

მო-ი-ღ-ო მოიღო შუდი იგი პური: DE მრკ 8,6.

გამო-ი-ღ-ო: მან გამოიღო ეკალი: იპოლ. 5,20.

აღ-ი-ღ-ო: განმტკიცნა და აღიღო ქვაჲ: საბა 8,26.

წარ-ი-ღ-ო: წარიღო წულმან მან კუართი იგი: თეკლ. 106,7.

წარმო-ი-ღ-ო: წარმოიღო ნატყუნავი: სასულ. ჯდ XLVIII.

აღ-ი-ღ-ეს: აღიღეს სარეკლითურთ და მოიღეს ადგილსა მას: არიმათ. 56, 68; ასევე: სახისმეტყ. ე 12; ლკ 3,21...

ი-ღ-ე: განახუნ სასმენელნი შენნი და ყურად-იღე: კიმ. II, 9,25.

აღ-ე-ღ-ო: მყის აღეღო თუალი მისი: კიმ. I, 304,11.

გან-ე-ღ-ო: განეღო სამოთხს პირველდაჭშული: სასულ. ტგ 380.

მო-ე-ღ-ო: მოეღო მას ძალი: ბოლნ. 84,11.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

გან-ა-ხუ-ენ: განახუნ გარდამოსაქანელნი ცათანი: ანტიოქ. 88,3.

აღ-ვ-ა-ხუ-ენ: ბაგენი ჩემნი აღვახუნ: იაკობ. კდ 8.

მო-ი-ხუ-ნ-ა: მოიხუნა შუდნი იგი პურნი: C მრკ 8,6.

გამო-ი-ხუ-ენ: სათნოეებისა ტევანნი გამოიხუნ: სასულ. რბ 37.

აღ-ი-ხუ-ნ-ა: წმიდამან შუშანიკ... ჯელთა აღიხუნა დავითნი: შუშ. 35,2.

წარ-ი-ხუ-ენ-ი-თ: წარიხუნით ჯორცნი მისნი ქალაქსა გარე: ევსტ. 93,5.

წარმო-ი-ხუ-ნ-ი-ან: წარმოიხუნიან სიტყუანი იგი ცხორებისანი: ჰაბო ლზ 37.

აღვიხუნით პატროსანი ძუალნი და გამოვიხუნით: შუშ.
45,9; ასევე: სასულ. სოა 396; კიმ. I, 59,28; სახისმეტყ.
იე 12.

ი-ხუ-ენ-ი-თ: ყურად-იხუნით სიტყუანი ჩემნი: მოციქ. 2,14.

აღ-ე-ხუ-ენ-ეს: აღეხუნეს თუალნი ბრმასა მას: ეესტ. 88,5.

გან-მ-ე-ხუ-ენ-ეს: ბქენი პირველ-დაჯშულნი... განმეხუნეს: სასულ.
სიგ 35.

მო-ე-ხუ-ენ-ეს: და მოეხუნეს მას ჯელნიცა და ფერჯნიცა: ბოლნ.
84,11.

როგორც ვნახეთ, ძველ ქართულში ფართოდაა გავრცელებულ
ლი და ნახმარი ლ ძირისაგან ნაწარმოები გარდამავალი და გარ-
დაუვალი დინამიკური ფორმები, არაა ამავე ძირის სტატიკური
ფორმები. უფრო ძველი ვითარება ჩანს შემონახული ზანურსა (და
აქედან სვანურში), სადაც ეგვევ ძირი სტატიკურ აწმყოში იწარ-
მოება: უ-ლ-უ-ნ, ხუ-ლ-ჟ-ე¹ 'აქვს'.

ი-ხუ-ამ-ს

შემოგანხილულ მხოლოობითის ლ ფუძესთან შეპირისპირებით
სარწმუნოა, რომ ხუ-ამ მრავლობითში დასმულ ობიექტს შეიწყობს.
დამახასიათებელია, რომ აქ აღარც კი აქვს გადამწყვეტი მნიშვნე-
ლობა იმას, ობიექტის მრავლობითს რომელი სუფიქსი გამოხატავს
-ნ თუ -თ: ყველა შემთხვევაში ეს უკანასკნელი იხმარება:

აღ-ი-ხუ-ამ-ს: რომელი აღიხუამს ცოდვათა სოფლისათა: სვან. 105,
სვ. II.

მი-ი-ხუ-ამ-ს: და უუამოღ დღეს მიიხუამს ჯორცთა: სასულ. ზგ 116.
ა-ხუ-მ-ი-ღ-ა: არავის თუალ-ახუმიდა: კიმ. I, 292,15 (შდრ. არავის
თუალთ-აღებ, არამედ ქეშმარიტად ასწავებ: ლკ 20,21).

აღ-ა-ხუ-ენ-ეს: აღახუნეს საუნჯეთა მათთა და მოართუეს ძღუენი:
C მთ 2,11 (შდრ. აღაღეს საუნჯეთა მათთა etc. DE, იქვე).

ხუ-ამ ფუძე ძველ ქართულში მნიშვნელობით ღების სინონი-
მია, აქაც არაა სტატიკური ფორმები ცნობილი, სხვა ფორმე-
ბის (გარდამავალი და დინამიკური გარდაუვალის) ხმარება კი უძვე-
ლეს (ჰაემეტ-ხანმეტ) ტექსტებში ფართოდაა გავრცელებული (მაგ.
აღ-ხ-უ-ხუ-ენ-ეს და მისთ. ქრესტ. 24,21...).

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შედარ. ლექსიკონი, გვ. 345.

უნდა ვიფიქროთ, რომ თავისი დროის გაგებიდან გამოდის საბა ორბელიანი, როცა ლექსიკონში ახმა's განმარტავს როგორც „უსულოთა ზე აღება“-ს. ცნობილია, რომ ძველ ქართულში არა ერთია შემთხვევა, როცა სულიერი და უსულო საგნებისათვის ერთი და იგივე ზმნა იხმარება, თუნდაც აქ:

წმიდამან შუშანიკ... ჯელთა აღიხუნა და ვითნი: შუნ. 35, 2.

აღიხუნა... სკვთთა მთავარმან რჩეულნი მკედარნი: თხრობა 28.

ზუმა და ღება ფუძეთაგან ნაწარმოები პირიელი ფორმები იხმარება აღწერითს კონსტრუქციებში, სადაც სახელადი ნაწილი მიმართულებით ბრუნვაშია:

მ ხ ო ლ ო ბ ი თ ი

ყურად იღე... ლოცვისა ჩემისა: იერუს. განჩინ. 75,2; სასულ. ოც 45.

გულად იღო შიში ღმრთისაჲ: კიმ. I, 63,27.

ჯელად იღო გოდორი და ნიჩაბი: იოვ. დამასყ. 164,10.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

განბოროტებული გული ვერასადა ყურად იხუამს თქუმულთა მათ: ეკლეს. 4, 26.

ასევე: გულად იხუნა... ჯელად იხუნა...

ამასთან დაკავშირებით გვაგონდება ძველი ქართულის გამოთქმა გულისხმა-ყო (|| გულისჯმა-ყო—'გაიგო, შეიტყო, მიხვდა; იფიქრა'), რომელშიც ზუმა (ღება) სიტყვა უნდა შედიოდეს მეორე შემადგენელ ელემენტად, ჯმა კი მერმინდელი გააზრიანების შედეგი ჩანს¹. საგულისხმოა საბას დაკვირვება: „გულის ხმა — ესე არს გონებით ახმა და გულთა შეღება, ვიეთთა გულისჯმად აღუწერიათ; გულსა არა აქუს ჯმაჲ, არამედ ახმა და შეღება, რომელ ითქმის გულის ხმად“: ასეთი გაგების ერთადერთ დაბრკოლებად შეიძლება ფუძისეული უმარცვლო უს გაუჩინარება გვეჩვენოს. მაგრამ მისი დაკარგვა მის წინ დასაშვებია (შდრ. სუმა → სმა; თქუმა → თქმა). არალაბიალური ძირის ხმარების შემთხვევები

¹ შდრ. ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: III, 1 და ხ სიბილანტ აფრიკატებთან მუზობლობაში: საქართველოს არქივი, II, 1927, გვ. 185.

ქველ ქართულში სხვადას: ადვიხენ სული (sic) ჩენი: იერუს. გან-
ჩინ. 73,10; რომელმან აიხნა ცოდვანი სოფლისანი: იადგ, 25.

ხუმა'ს გარდა, ძველ ქართულში სხვა სახელზმნაცაა გამოყუ-
ნებული გულ- სიტყვასთან მრავალნაირი შემეცნებითი პროცესე-
ბის აღსანიშნავად¹, კერძოდ, დგინება, აქედან: გულს იდგინა;
გულს ედგა (მრკ 6,19); დება, აქედან: გულს ედვა (ი 12,4); ისმი-
ნე ჩემი და გულად დაიდევ (ბალავარი, 59) და სხვა.

ზემოთ წარმოდგენილი აღწერითი ფორმები შენდევში თან-
დათანობით მთლიან ერთეულად (კომპოზიტად) იქნა გაგებული
და წარმოებული: ი-გულ-ხუმ-ი-ე: რაჲ გესმნენ, ორ სახედ იგულ-
ხუმიე: პეტრიწი II, 138, 31. ამგვარად, ხუმა ფუძე ქართულში
დღწისათვის შემოიგვრჩა მხოლოდ გულსხმა და მისგან ნაწარმოებ
სიტყვებში. დამოუკიდებელი ერთეულების წარმოების აღგილი
ყველგან, ორივე რიცხვში, დება'მ დაიჭირა.

ღ და ხუ (resp. ხ) ძირები, რომლებიც ძველ ქართულში
ცალ-ცალკეა გამოყენებული მხოლოდობითსა და მრავლობითში,
ღიალექტური წარმოშობის ერთეულებს უნდა წარმოადგენდნენ.
არა ჩანს სარწმუნო, რომ ღგ → ღბ და ხვ (ხვ); როგორც ეს
ნ. მარს ჰქონდა წარმოდგენილი, ერთისა და იმავე ღგ ძირის
მეღერი და საშუალი აფრიკატული სახესხვაობა იყოს².

ა-გ-ღ-ბ-ქ

მართოდენ მხოლოდობითის ფუძეა აგრეთვე აგდებ, მრავლო-
ბითში დასმულ. მორფოლოგიურ ობიექტს სხ-ამ, თხ-ევ, ყარ ფუ-
ძეები შეეფერება³ კონტექსტის მიხედვით:

წყვეტილი, ბრძანებითი, ხოლმეობითი

მხოლოდობითი

ღა-ა-გ-ღ-ო: ძღ თუნი დააგღო წინაშე ფერკთა მის წმიდისათა: ხანძთ,
63 5.

შე-მ-ა-გ-ღ-ეს: მწიგნობართა შემაგდეს მე სახლსა შინა სპყრობი-
ლისასა: არიმათ. 27,5.

¹ ა. თრანგივილი, გულ-სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა
სემანტიკასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ: ფსი-
ქოლოგია, III. 1945, გვ. 469—470.

² Gramm., § 219, გვ. 182.

³ ერთეული შემთხვევები მდგომარეობას არ ცვლის: რომელნიმე მწეცთა
მისცნეს და რომელნიმე მღვმესა შთააგდეს: ევსტ. 87, 22.

გარდამო-ა-გდ-ეს: გარდამოაგდეს იგი ხცსა მისგან: კიმ. I, 255,13.

შთა-ა-გდ-ეს: შთააგდეს იგი საპყრობილესა: ჰაბო 70,2.

მი-უ-გდ-ე: მოიკუეთე იგი და მიუგდე ეშმაქსა: სახისმეტყ. კვ 25.

გან-ა-გდ-ე: განაგდე მწიკულევეანი იგი ცთოპილებად: რაეახ. 99, 23.

და-ა-გდ-ი-ს დააგდის ტყავი იგი მისი ძუელი: სახისმეტყ. იდ 15.

მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ი

შე-სხ-ნ-ეს: წინამძღუარნი... შეიპყრნეს და შესხნეს საპყრობილესა: კიმ. I, 6,16.

გარდამო-ს-თხ-ი-ნ-ა: გარდამოსთხინა ძლიერნი საყდართაგან: ლკ 1,52.

გან-ს-თხ-ი-ე-ნ: განსთხინ ჩემგან ურჩულოებანი ჩემნი: იაკობ. ვ 11.

მი-უ-თხ-ი-ნ-ი-ს: თაქუმან მან მოიკუეთნის სამურველნი იგი და მიუთხინის მონადირესა: სახისმეტყ. კვ 9.

და-ყარ-ნ-ეს: დაყარნეს ჩჩვლნი მათნი წინაშე წმიდისა მის: ანტიოქ. 87,19.

შე-ყარ-ნ-ეს: დაიყვნეს იგინი... და საპყრობილესა შეყარნეს: ეესტ. 83, 4.

და-ჰ-ყარ-ი-ს: დაჰყარის ნაწლევნი მფრინველთა: სახისმეტყ. იმ 15.

ჰ-ყარ-ი-ს

ქართულში დამკვიდრდა ამ ზმნის გამოყენება, როცა პირდაპირი ობიექტური პირი მრავლობით რიცხვშია¹, ან კრებითობის გაგებას შეიცავს საზოგადოდ:

ა-ჰ-ყარ-ი-დ-ა: ჯელითა თვსითა აჰყრიდა კორძსა მას: კიმ. I, 317,9.

და-ჰ-ყარ-ე: დაჰყარე მტერსა კრავი: სასულ. ფგ 91.

და-ი-ყარ-ე-თ დაიყარეთ მტუერი, რომელ იყოს ქუეშე¹ ფერჯთა თქუენთა: მრკ 6,11; მთ 10,14.

და-უ-ყარ-ი-ს: გარემოჲს მისა დაუყარის მარცუალი: საბა 6,12.

როცა განუყარა ძველ ქართულში 'გაუწოდებს' ზმნის მნიშვნელობითა ნახმარი, მხოლოდობითში იგი საპირისპირო ფუძეს არ ვარაუდობს:

ნეტარმან ზაქარია... განუყარა მათ ჯელი: წარტყუნ. კმ 21.

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამატიკა, 1930, § 170, გვ. 176—178.

ნაწილი მეოთხე

ქცევანაკლი ზმნები

ქცევა ქართული ზმნის არსებითი კატეგორიაა. იგი „ძირითად შოვლენათაგანია ქართული ენისა“¹. ქართული ზმნის სიტყვაწარმოებაში² მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ასეა ეს არა მარტო თანამედროვე ქართული ენის მიხედვით, არამედ ძველი ქართულის პირვანდელი წერილობითი ძეგლების მიხედვითაც. ჯერ კიდევ მეხუთე-მეშვიდე საუკუნეების ლიტერატურული ენის მონაცემებითაც იჩვენება, რომ ქართულში ქცევა, როგორც ზმნის გრამატიკული კატეგორია, უკვე დასრულებულსა და ჩამოყალიბებულ სისტემას წარმოადგენდა.

ძველ ქართულში ერთისა და იმავე ზმნური ფუძისაგან სხვადასხვა პრეფიქსის საშუალებით თავისუფლად შეიძლებოდა ქცევათა წარმოება და ამგვარ საპირისპირო ფორმათა მიღება: ა-ლებს, ი-ლებს, წარ-უ-ლებს; გან-ა-ჩინებს, გან-ი-ჩინებს (შდრ. ჯერ-იჩინა), გან-უ-ჩინებს; მი-ა-გებს, მო-ი-გებს, მი-უ-გებს; გან-ძარცუავს, გან-ი-ძარცუავს გან-უ-ძარცუავს და ა. შ. ფორმათა ასეთი დაპირისპირება, როგორც ცნობილია, ზმნურ ფუძეებს ხდის უალტერნატივო მოქნილსა და შინაარსით მდიდარს.

მიუხედავად იმისა, რომ ქცევის კატეგორია ფორმითაც და შინაარსობრივადაც ასეთი გამოკვეთილი სახისაა ქართულში, გრამატიკულ ლიტერატურაში იგი გვიანდლამდე არ ყოფილა აღნიშნული და სათანადოდ შეფასებული. ეს შოვლენა ნაწილობრივ, რასაკვირველია, გრამატიკული ტრადიციის დაცვით უნდა იხსნას: კლასიკურ ენათა გრამატიკულ წყობაში ქცევის კატეგორია არ არის და ამდენად მათი გრამატიკა ბიძგს არ იძლეოდა, რათა ზოგიერთ ძველ ავტორს იგი ქართულში შეენიშნა და დაეხასიათებინა.

ქცევა ანუ, ძველი გრამატიკოსების ტერმინით, მიჩენება შენიშნა და თავის დროისათვის რამდენადმე სრული აღწერა პირველად

¹ ა. შანიძე, ქართული ზმნის საკცევი: თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926, გვ. 312.

² არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას: ჟურნ. „ახალი სკოლისაკენ“, № 11—12, 1929, გვ. 89.

მხოლოდ პლ. იოსელიანი მოგვცა: „პიროვანნი ზმნანი დაიწყებიან ასოთა ვ; ხოლო მიჩემებითა სხუათა პირთადმი შეიცუალეზიან სხუად და სხუად, რომელთაცა მნიშვნელობა სხუათა ენაზედა ცხად-იქმნების მხოლოდ შეწვენითა ნაცუალსახელისა, (მაგალ. ოდეს მოქმედება მიჩემება თვთ-მოქმედსა პირსა, ვიტყვთ ვაშენებ, ვჰსწერ (строю, пишу); ოდეს მოქმედება მიჩემება პირტელსა პირსა და მისთხვე არს მოქმედება, ითქმის ვიშენებ, ვიწერ (строю себе или для себя, пишу себе или для себя); ოდეს მოქმედება არს მესამისა პირისათვის, ითქმის ვუ-შენებ (sic), ვუწერ (строю, пишу ему или для него). მსგავსადვე ვნებითნი ზმნანი იხმარებიან სამთავე პირთა შინა მიჩემებითა რომლისადმი მათგანისა, მაგ. მიშენდების, ვიშენდების, უშენდების (строится для меня, для себя, для него)“¹.

პლ. იოსელიანის დასკვნიდან ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ქცევა (მიჩემება) შესაძლოა გვექონდეს მოქმედებითს ზმნაშიც და ვნებითშიც. მაგრამ ეს დებულება რატომღაც არ იქნა განვითარებული.

დ. ჩუბინაშვილმა თავის გრამატიკაში ქცევა მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნის ქვესახეობად მიიჩნია. ავტორის შეხედულებით, მიჩემებითი ზმნები იწარმოება მოქმედებითისაგან, იცვლება რა ვ, ვჰ, ვა ნაწილაკები ვი, ვუ ან მ, მა, მი ნაწილაკებით. მოქმედება წარმოებს გარკვეული პირის მიერ თავის ან სხვის სასარგებლოდ². ამ საკითხში ნაწილობრივ გარკვეულობა შეიტანა ავტორმა თავის გრამატიკის შემდგომ განოცემაში, სადაც წარმოადგინა საშუალი გვარის სასხვისო ქცევები, მაგრამ სქემის მექანიკურმა გამოდევნებამ გამოიწვია არაბუნებრივი ფორმებიც (მაგ. ვიჩან და მისთ.)³.

დ. ყიფიანი ზმნაში გამოყო პირის ნიშანთა ორი რიგი: ხმოვანელემენტისანი (ვა-, ვმ-, ვი-, ვო-, ვუ-....) და უხმოვნო, ოდენტანხმოვნისანი (პირველ პირში ვ-, მ-; მეორეში გ-, ჰ-, ს- და მესამეში ჰ-, -ს, -ა)⁴. ავტორს, როგორც ვხედავთ, ქცევის

¹ პლ. იოსელიანი, პირტელ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამბატიკისა, ტფილისი, 1840, § 54, გვ. 43.

² Д. Чубинский, Краткая грузинская грамматика, С.-Пб, 1855, § 12, 83-117.

³ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887, გვ. XIII.

⁴ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, ს.-პეტერბურგი. 1882, გვ. 118-119.

(და გვარის) პრეფიქსები პირის ნიშნის კუთვნილებად მიაჩნდა და ამ ხმოვნებით გამოხატული სპეციფიკური შინაარსი არ დაუხასიათებია. მართალია, პირის კატეგორიის თავისებურება ქართულ ზმნაში დ. ყიფიანს ძველ გრამატიკოსებთან შედარებით ყველაზე უკეთ აქვს წარმოდგენილი და გაგებული, მაგრამ ამ საკითხში მან მაინც დაიმსახურა კ. დოდაშვილის სამართლიანი კრიტიკა.

კ. დოდაშვილის სწორი დაკვირვებით, ვა-, ვი-, ვე-, ვუ-, ვო- მარცვლები განუყოფელი არაა: ნმოვანი აქ ზოგჯერ ზმნის ფუძის კუთვნილებაა (დ. ყიფიანის მაგალითში: ვ-ახრავ და არა ვო-ხრავ), უმეტესწილად კი თითოეულ მათგანს—თანხმოვანსა და ხმოვანს—თავ-თავისი ფუნქცია აქვს, რაც მიმართულების (იგულისხმება პირთან მიმართება, რელაცია—ი. ქ.) ჩვენებაში მდგომარეობს: ვიწერ, ვიშენებ, ვინთებ. ვუწერ ნიშნავს, რომელი პირის სასარგებლოდ წარმოებს მოქმედება; ვჰსწერ, ვჰშენდები გამოხატავს საერთოდ მოქმედებას ან მდგომარეობას, ხოლო ვე- პრეფიქსისეული ე მოქმედებითს გვარს გარდაქმნის მდგომარეობითად (ვნები-თად): ვა-კეთე — ვე-კეთე, მა-კეთა - შე-კეთა. მან ზმნის ფუძისა და პირის ნიშნისაგან გამოყო აგრეთვე ა-პრეფიქსი და გა-ა-ადამიანებს ტიპის მაგალითების მიხედვით იგი ბრძანებითი კილოს მკვიდრ პრეფიქსად მიიჩნია¹. აქ ა-'ს გამოყოფის ფაქტია საინტერესო.

ამგვარად, კ. დოდაშვილმა მოგვცა ზმნის პირიელი ფორმის სწორი ანალიზი, ზმნის ფუძისაგან ცალ-ცალკე გამოყო პირის ნიშანი და ქცევის პრეფიქსი. ქცევის პრეფიქსზე მას საგანგებოდ არ მიუთითებია, თუმცა პრეფიქსებით განსხვავებული ფორმების მნიშვნელობა გაკვრით, მაგრამ გასაგებად მაინც აღნიშნა.

ძირითადად დ. ყიფიანის გაგებას იზიარებდა პ. კვიციანიძე², ხოლო ა. ქუთათელაძეს ქცევა (მიჩენება) უღლილების კატეგორიად მიაჩნდა და მას მარტოოდენ სუბიექტურ წყობაში წარმოადგენდა: ვ-სწერ, ვ-იწერ, ვ-აწერ, ვ-უწერ³.

დამახასიათებელია, რომ ამის საპირისპიროდ თ. ქორდანიამ მომდევნო წელს გამოცემულ თავის გრამატიკაში ხაზი გაუსვა იმას, რომ ქცევა არაა უღლილების კატეგორიაში შემავალი

¹ კ. დოდაშვილი, საგრამატიკო ესიხი: ზოგიერთი შოსახრება ზმნაზე და ზმნის გამო: ივერია, 1887, №№ 215, 216, 217.

² პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, თბილისი, 1888, გვ. 129-130.

³ ა. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, თბილისი, 1888, გვ. 85.

ცვლილება: „არის კიდევ ერთი სახე შესმენილთა (ე. ი. ზმნათა— ი. ქ.), რომელიც საზოგადოა ყველა მოხსენებულ ზმნებისათვის, ე. ი. რომელსაც ყოველი სახის შესმენილი მიიღებს. ეს არის მიკუთვნალობითი, რომელიც სხვა სახეთაგან გაირჩევა არა უღლილებით (ხაზი ჩვენია—ი. ქ.), არამედ შემდეგითა ნაკვეთებითა, რომელნიც მუდამ წინ მისდევენ: მი-, გვი-, გი-, უ-, ვი-, ი-; ვნებითსა და ურთიერთობითში: მე-, გვე-, გე-, ვე- და სხვა. ვი-შენებ (მე ჩემთვის), ი-შენებ (შენ შენთვის) ვუ-შენებ (მე მას)“¹.

აქედან ჩანს, რომ ქცევის მიხედვით ზმნის ცვლა არაა უღლილების ფორმა, მას გარკვეული ლექსიკური მნიშვნელობა აქვს, ის თანაბრად შეიძლება ობიექტურ პირებშიც და სუბიექტურშიც.

მოლოდინის წინააღმდეგ ქართული ზმნის ქცევის კატეგორია ძალიან მოკლედ და არასრულად დაახასიათა სილ. ხუნ და ძემ. იგი წერდა: „მოქმედებითი გვარის ზმნას ეკუთვნის აგრეთვე მიჩემებითი ზმნაც; მიჩემებითი ზმნა გვიჩვენებს, რომ მოქმედება რომელიმე პირის სასარგებლოთ არის დანიშნული: მე გიწერ, გი-შენებ; ის მიწერს, მიშენებს; შენ მიწერ, მიშენებ; მე მას ვუწერ, შენ მას უწერ, შენ მათ უწერ, ჩვენ გიწერთ, გიშენებთ და სხვა“². უდავოა, რომ ს. ხუნდაძის გრამატიკულ შეხედულებათაგან ეს ნაწილი ყველაზე ნაკლებად ორიგინალურია.

ეგვევ ითქმის მ. ჯანაშვილის შესახებ: მის ვრცელ და საინტერესო გრამატიკაში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ „მოქმედებითის ნიშანია (ა-კეთებს, ა-შენებს, ა-ღულებს) ი მეშვეობითის (ი-ხანს), უ- პრეფიქსზე სრულებით არაფერია ნათქვამი, ხოლო უღლილების ტაბულებში მოცემულია ფორმები „საურთიერთო ნაწილაკების“ გამოყენებით: მ-ა-წერ, მ-ე-წერები“³.

ამგვარად, ქართული ზმნის ქცევის კატეგორიის შესწავლას ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი (1840—1906 წ.წ.) მოუწია და ამ ხნის განმავლობაში მოხერხდა გამორკვეულიყო, რომ ქცევას გამობატავს ა-, უ-, ი- პრეფიქსები, ისინი მისდევენ სუბიექტური ან ობიექტური პირის ნიშნებს და გვხვდებიან. მოქმედებითში; საშუალოსა და ვნებითი გვარის ზმნებში.

მიუხედავად ამისა, ნ. მარის ცნობილი ძირითადი ტაბულების სათანადო ადგილი არაფრით არ განსხვავდება წინა-

¹ თ. ჟორდანიას, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889, გვ. 51.

² ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1904, გვ. 56.

³ მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 65-66.

მორბედი ქართველი გრამატიკოსების შენიშვნებისაგან: აქაც სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები ქვევის პრეფიქსთაგან გამოუყოფლადაა წარმოდგენილი: მა-, გა-, ვუ-, ვა- და სხვა. სათანადო მნიშვნელობა ზმნის მიმართებითს ფორმებს უკავშირდება¹.

ნ. მარის ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში არის ცდა ქვევის (იორია) ამომწურავი დახასიათებისა. ნ. მარის მსჯელობით, მოქმედებითი გვარის ქართულ ზმნაში გაირჩევა ოთხი ქვევა, ენებითში — სამი. პირველ ქვევას არ გააჩნია რაიმე ნიშანი: ვწერ, ვბრუნავ, ვწუხ; მეორე ქვევას მოეპოვება იპრეფიქსი, რომელიც ზმნას აძლევს უკუქვევითს მნიშვნელობას ან მკვეთრად გამოყოფს მის სუბიექტურ შინაარსს². მესამე ქვევას ახასიათებს ხმოვანი ა- პრეფიქსი, რომელიც ზმნას გარდამავალ მნიშვნელობას ანიჭებს. მეოთხე ქვევაში მითითებულია ორმაგაფიქსიანი წარმოება: ვ-ა-ძრწუნ-ებ, ვ-ა-ბრუნ-ებ, ვ-ა-ხტუნ-ებ, ვ-ა-ბრწყინებ³; მეხუთე ქვევისათვის, რომელიც არ შესულა ძირითად ტაბულებში, დამახასიათებელია ტ: ვკუნ-ეტ და მისთანანი⁴. ამგვარად, ქვევის ფორმათა პარადიგმი ასეთია:

მოქმედებითი

ენებითი

- | | |
|--|--------------------------------|
| I. — ვწერ | I. 0 ეწყურები |
| II. ი ვისმენ | II. ი ვიწყურები, ვიცხადები |
| III. ა ვაჩერებ, ვაცხადებ | III. ლ(ნ) ვჩერდები, ვცხადდები |
| IV. ა-ინ-ებ ვაჩერებინებ, ვაცხადებინებ. | IV. ე ვეცხადები ⁵ . |

როგორც ჩანს, იორია ტერმინით ნაგულისხმევი ცნება ძალიან ფართო მნიშვნელობით იყო ავტორის მიერ ნახმარი, იგი სრულებით სხვადასხვა რიგის მოვლენებს მოიცავდა⁶, თუმცა რა მოვლენებია ეს, გარკვევით არა ჩანს. ერთი კი ცხადია, რომ ნ. მარი ბევრ რამეში ეყრდნობოდა XIX ს. ქართველ გრამატიკოსებს, თუმცა

¹ Н. Я. Марр, Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими, С.-Пб., 1908, ტაბ. VIII—IX.

² Грамм., § 172, გვ. 136. საგულისხმოა, რომ ავტორს იხ გენების ასე აქვს წარმოდგენილი: ი ← პი || → სი (შდრ. გვ. 137.).

³ Грамм., გვ. 139.

⁴ იქვე, გვ. 140.

⁵ იქვე, გვ. 141, შდრ. ტაბულები, ტაბ. XI.

⁶ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 366.

ზოგჯერ სხვაგვარ კვალიფიკაციას აძლევდა ფაქტებს. ძირითადი შინაარსი—კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვა (მიჩნეება რომელიმე პირისადმი), რაც ნიშანდობლივია ქვევის კატეგორიისათვის, ნ. მარის ხსენებულ შრომებში აღნიშნული და დახასიათებული არაა. არაფერია ნათქვამი უ-პრეფიქსის მაქვეერად გამოყენების შემთხვევებზე. ერთი და იმავე ქვევის ფორმები (აცხადებს, წერს) სხვადასხვა ქვევის ჯგუფშია მოქცეული, ქვევაში გათქვეფილია გვარი, არაა ახსნილი მათი გენეტურ-ისტორიული ურთიერთობა და სხვ.

ქვევის კატეგორიის ადგილი ქართული ზმნის წარმოების სისტემაში, ამ კატეგორიის გამოხატველი აფიქსების გამოყენება და მიტ გადმოცემული შინაარსი სათანადო მეცნიერული სისრულით აღწერა ა. შანიძემ. მანვე დაამკვიდრა ამ კატეგორიის შესაფერისი ტერმინები და მისი საერთაშორისო შესატყვისი¹.

ქვევა, როგორც ძველი ქართულის მასალების შესწავლა ადასტურებს, ქართული ზმნის ერთ-ერთი ძველი კატეგორიათაგანია. ძველია ზმნაში უპირველეს ყოვლისა ის აფიქსი, რომლის გამოყენებასთან, სათანადო კუთვნილებითი შინაარსი არის დაკავშირებული. ამდენად ქვევის გენეზისი და ისტორია განხილულ უნდა იქნეს სათანადო მორფემის გენეზისთან დაკავშირებით. ეს მორფემები კი ის ხმოვანი პრეფიქსებია, რომელთაც სახელადს ფუძეებში ვხვდებით ცალკე ან გრამატიკული კლას-კატეგორიის ექსპონენტად მიჩნეულ თანხანოვანპრეფიქსებთან ერთად: ი-ტყუ-ი-ს; ს-ი-ტყუ-ა; ი-ცინ-ი-ს; ს-ი-ცილ-ი-ა* ს-ი-ცინ-ი... ამ ხმოვანპრეფიქსების გამოყენებისა და ურთიერთთან მიმართების შესწავლა დაგვარწმუნებს, რომ ქვევის პრეფიქსებთან უმკიდროეს გენეტურ კავშირშია გვარის კატეგორიის ჩამოყალიბება და განვითარება, რაც შედარებით ახალი მოვლენა ჩანს.

ქვევის კატეგორიის წარმოქმნა-ჩამოყალიბების ისტორიული შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ზმნების გათვალისწინებას, რომელთა ფუძისაგან არ იწარმოება, ან ნაკლებად გამოიხატება ეს კატეგორია. უდავოა, რომ ქვევანაკლი ზმნები ქვევის კატეგორიის ისტორიისათვის ზოგადად ისეთიავე საფუძველს.

¹ ა. შანიძე, ნასახელარო ზმნები ქართულში: ტფილისის უნივერსიტეტის შობაზე, I, 1919, გვ. 88; მისივე, პრეფიქსები, 1920, გვ. 36; მისივე, ქართული ზმნის საქვევი: ტფილისის უნივერსიტეტის შობაზე, VI, 1926; მისივე, ქართული გრამატიკა, I მორფოლოგია, 1930, § 89—96; მისივე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953.

წარმოადგენენ, როგორსაც ბრუნების და ბრუნებათა სისტემის ისტორიისათვის ნაცვალსახელები, -ავ და -ივ სუფიქსიანი ფორმები (კულ-ავ, ქურ-ივ...) ან კიდევ ბრუნების ნიმუში საკუთარი (და მასთან გათანაბრებული სახიერ, ქველისმოქმედ, მოძღუარ... ტიპის) სახელებისა. რომელთაც არ დაერთოდათ ბრუნვის ნიშანი სახელობითსა, წოდებითში და ზოგიერთ მათგანს მოთხრობითშიც. ეგვევ ითქმის ნაცვალსახელთა შესახებაც.

(ქევენაკლი ზნეები (ჰ-შურ-ს, ჰ-ლამ-ი-ს, ი-ც-ი-ს...) ქართული ენის გრამატიკული წყობის განვითარების უძველესი ეტაპის კუთვნილებაა. როცა ჯერ კიდევ არ იყო გრამატიკულ კატეგორიათა ისეთი განვითარებული და როული სისტემა, როგორიც დღესა გვაქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ზნურ ფუძეში არ შეიძლებოდა გამოხატულიყო ის, რისი ლოგიკური აუცილებლობაც არ იგრძნობოდა, ან თუ იყო საჭირო ქევის გამოხატვა, იგი სხვაგვარ პრინციპს ემყარებოდა, ვიდრე დღესაა: გვქონდა გარკვეული სემანტიკის ზნეები, რომლებიც თავდაპირველად ერთ-ერთ ხმოვანპრეფიქსს ირთავდა (ი-ცის, უ-წყის, ა-ქუს). ბოლოს ეს ხმოვანი ფუძის უფუნქციო შენაზარდი აღმოჩნდა. რადგანაც იგი ახალ განვითარებულ სისტემას, რაც მდგომარეობდა ერთი ფუძისაგან სხვადასხვა პრეფიქსის საშუალებით, სხვადასხვაგვარი კუთვნილებითი ურთიერთობის — ქევის — გამოხატვაში. ვერ დაექვემდებარა (შდრ. წერ-ს: ი-წერ-ს, უ-წერ-ს, ა-წერ-ს...).)

ძველ ქართულში ერთისა და იმავე ფუძისაგან იწარმოება ქევის ორივე ფორმა — სასუბიექტოცა (სათავისოც) და საობიექტოც (სასხვისოც). მაგრამ საკმაო რაოდენობით დასტურდება ქევენაკლი ზნეებიც. ძველი ქართულის ნორმის მიხედვით ქევენაკლი ისეთი ზნაა, რომელსაც არ მოეპოვება ერთი ფუძისაგან ქევის ყველა პრეფიქსით ნაწარმოები ფორმა, იხმარება მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი, დაირთავს რა მარტოოდენ ერთ პრეფიქსს — ი-ს, უ-ს ან ა-ს ან არც ერთ მათგანს. საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო ასეთ ზნებს კუთვნილებითი ურთიერთობის გაგება არა აქვთ, ქევის მიხედვით ამგვარი ზნეები ნეიტრალურია. ამით აიხსნება, რომ ძველი ქართული ენის ძეგლთა სხვადასხვა რედაქციების პარალელურ ადგილას ერთმანეთს ენაცვლებიან სხვადასხვა ქევის ზნეები: იცის || უწყის, იქმს ჰყოფს ჰზამს, არქუ || უთხარ, მისდევდა || შეუღდა, ჰხადის || უწყესს, მოჰხადა || მოუწოდა და ა. შ.

ჰხადის || უტმობს

აჰა ელიას ჰხადის: DE მრკ 15,35. აჰა ელიას უტმობს: C, იქვე.

მოჰხადეთ || მოუწოდეთ

მოჰხადეთ ქორწილსა ამას: C მოუწოდეთ ქორწილსა ამას: DE, მთ 22,9. იქვე.

მიავლინა || მიუძღუანა

მიავლინა იგი ანა კრული კაია- მიუძღუანა იგი კრული ანა კაია-
ფაჲსა... DE ი 18,24. ფაჲსა... C, იქვე.

მისდევდეს || შეუდგეს

დაუტევნეს სათხეველნი იგი და დაუტევეს ბადე მათი და შე-
მისდევდეს მას: C მთ 4,20. უდგეს მას: DE, იქვე.

ჰყოფთ || იქმთ

მსგავსსა ამათსა მრავალსა მსგავსსა ესემღევეანსა მრავალ-
ჰყოფთ DE, ნრკ 7,13. სა იქმთ: C, იქვე.

ჰჴამთ || იქმთ

რასა ჰჴამთ... DE მრკ 11,5. რასა იქმთ: C, იქვე.

ვერ ვიტყვი, რომ ამ ზმნების სახით საქმე გვაქვს ქცევის წარმოების ძველ სუპლექტურ ფორმებთან. ასეთი რამ ამ შემთხვევაში არ დასტურდება. ამ ზმნებში რომ აშკარა ყოფილიყო კუთვნილებითი შინაარსი, მაშინ მოყვანილი ფუძეების ამგვარი ტოლი მნიშვნელობით გამოყენება შეუთავსებელი იქნებოდა.

ქცევანაკლი ზმნების წარმოქმნისა და ქცევის კატეგორიის განვითარების ისტორიის გასაგებად საჭიროა შევისწავლოთ გარკვეულ ფუძეთა ისტორია სათანადო მასღარის ანალიზთან დაკავშირებით.

§ 21. ი- პრეფიქსიანი ზმნები

ღრონაკლი ზმნების ისტორიის განხილვასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მასღარის ფუძის ანალიზს საყურადღებო მასალის მოცემა შეუძლია ზმნური ფუძის წარმოების ძველი ვითარების გასაგებად, რამდენადაც მასღარი ზმნის ფუძისაგან ამოდის. მასღარი გარკვეულ საბუთებს იძლევა ქცევანაკლ ზმნათა ისტორიის შესასწავლადაც.

ამემაღ ცნობილია, რომ ქართული ენა თავისი ისტორიის უძველეს პერიოდში სახელებს განარჩევდა გრამატიკული კლას-კატეგორიების მიხედვით. კლას-კატეგორიათა ექსპონენტები და ფუძის დეტერმინანტი სუფიქსები წარმოადგენდა სახელის ფუძის ძირითად საწარმოებელ ერთეულებს ქართული მორფოლოგიის ინვენტარში. სახელებში ვინ (აღამიანის) და რა (ნიეთის, არააღამიანის) ჯგუფების გარჩევა იყო არსებითი გრამატიკული ნიშანი სემასიოლოგიური ერთეულების გამოყოფისათვის. ვინ-კატეგორიის ნიშანი იყო მ-(|| ვ-), რა-კატეგორიისა კი პრეფიქსები: დ-, ნ-(→ ლ), რ-, ზ-, ს.¹

ეს ნიშნები ძალიან ხშირად გართულებულია ხმოვნებით, რომლებიც პრეფიქსად გამოყენებულ თანხმოვანს მოსდევენ, ხოლო დეტერმინანტ სუფიქსებს უძღვიან. ეს ხმოვნები მეტ-ნაკლები გავრცელებულობით იხმარება: ხშირია ა, ე, ი, შედარებით იშვიათია უ და ო. ამგვარად, სახელის საწარმოებელი პრეფიქსებია: ს-ი-, ს-ა-, ს-ე- (ს-უ- და ს-ო) ისევე, როგორც ნ-ი-, ნ-ა-, ნ-ე-... დ-ი-, დ-ა-, დ-ე-... ლ-ი-, ლ-ა-, ლ-ე-... რ-ი-, რა-, რ-ე-... ეს პრეფიქსები ყველგან ნიეთის კატეგორიაზე მიუთითებენ, რა-კატეგორიის სახელებს გულისხმობენ; ეს რა-კატეგორიის სახელი ხან სუბიექტია მასდარში აღნიშნული მოქმედება-მდგომარეობისა (ს-რბა-ე, სიკუდილ-ი...), ხან კიდევ ობიექტი (სყიდა-ე, სახარება-ე...). მასდართან დასმული ნათესაობითი შესაბამისად ან სუბიექტის ნათესაობითია (genetivus subjectivus—„სრბაე ცხენისაე“) ანდა ობიექტის ნათესაობითი (genetivus objectivus—„სყიდაე ცხენისაე“).²

ამგვარად, იმ ზმნებშიც, რომელთაც ქცევის საწარმოებლად ო-პრეფიქსი მოუღოთ, შესაბამისად სათანადო მასდარისა, გამოხატული იქნებოდა სუბიექტისადმი რალაც მიმართება, დამოკიდებულება (გარდაუვალ ზმნებში), ან ობიექტისადმი მიმართება (გარდაუვალ ზმნებში). ძირითადად მანიშნებელი ამ მიმართებაზე, ე. ი. ვისია მოქმედება ან მდგომარეობა—სუბიექტისა თუ ობიექტისა—არის ო-პრეფიქსი³, ამ კუთვნილებითს მიმართებას კი სხვადასხვა

¹ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებ., გვ. 260; მისივე, გრამატიკული კლას-კატეგორია და ზმნის უღლილების ზოგი საკითხი ძველ-ქართულში: იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 52. აგრეთვე მისი სხვა გამოკვლევები.

² არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., გვ. 260.

³ გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ო ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვაში): საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, 1942.

კლას-კატეგორიის სახელთან გვიჩვენებს თანხმოვანი პრეფიქსი: რა-კატეგორიის (არაადამიანის) სახელისათვის გამოყენებულია ტოლმნიშვნელოვანი ს-, დ-, ნ-... ვინ-კატეგორიის სახელისათვის (ადამიანისათვის) კი მ-(|| ვ-) პრეფიქსები¹: ს-ი-ვლტოლ-ა-ე დათჳსა-ე (*ს-ი-ვლტ-ი, *დ-ი-ვლტ-ი, *ნ-ი-ვლტ-ი—დათჳ) და ვ-ი-ვლტ-ი მე (ე. ი. ჩემი, ადამიანის „სირბილი, გაქცევა“).

ზმნა გარდაუვალია, მოქმედება გამოვლენილია სუბიექტის მიერ ობიექტთან მიმართების გარეშე, თვით სუბიექტისთვისვე. ამდენად უდავოა, რომ ამ ტიპის ზმნებში გადმოცემულია რეფლექსური შინაარსი.

გარკვეული ჯგუფის ზმნებში მიმართება შეიძლება გამოიხატოს ობიექტთანაც, ზმნა შეიძლება იწყობდეს ობიექტის გადმოსაცემად დამატებითს ნიშანს. ობიექტთან მიმართების მიხედვით ყალიბდება გარდამავლობის კატეგორია². ამ შემთხვევაშიც ობიექტის კუთვნილებას სუბიექტისადმი იგივე ი ხმოვანი გამოხატავს.

თუ კი ზმნის ფუძის ცვლა ვინ და რა კატეგორიის სახელთა აღმნიშვნელი ნიშნებით ხდებოდა, კლასის კატეგორია პრინციპში ნიშნავდა პირის კატეგორიას, ბუნებრივია დაიხვას საკითხი რა-კატეგორიის შესაბამისად წარმოებული მასდარის პარალელურად არსებულყო ვინ-კატეგორიის მასდარიც³: ს-ი-ყუარ-ულ-ი (ნივთისა) || *მ-ი-ყუარ-ულ-ი (ადამიანისა). თითქოს ამას აღსატურებს მიყუარ (= მოყვარული, მეგობარი) ფუძე ძველ ქართულში: არა მიყუარ ხარ კეისრისა: C ი 19,12 (შდრ. არა ხარ მოყუარე კეისრისა: CE, იქვე). ასეთი ვითარების ნაკვალევი დღესაცაა შემორჩენილი სვანურ ენაში, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება ლ-ი-და მ-ა- პრეფიქსები: ლ-ი-ლაჳ || მ-ა-ლაჳ ('სიყვარული, ყვარება'), ლ-ი-ხალ || მ-ა-ხალ ('ცოდნა')⁴.

ამგვარად, ამოსავალი იყო პრეფიქსული ი-(ან სხვა) ხმოვან-ელემენტით განსაზღვრული ფუძე, რომელიც თავდაპირველად ამით თავისებური მითითებით ხასიათდებოდა, ხოლო შემდეგ ეს გადაზრდილა რეფლექსურ-კუთვნილებით მნიშვნელობაში. ამ ფუძეს სუბიექტის ან ობიექტის მიხედვით ერთოდა ს- თუ მ-(resp. ვ-)

¹ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაწრომი. § 53, გვ. 143. მისივე გრამატ. კლას-კატეგორიისა და ზმნის უღლილების ხოგი საკითხი ძველ-ქართულში, გვ. 52.

² არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის... გვ. 223-224.

³ მისივე, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., § 98, გვ. 235.

⁴ ვ. თოფურია, სვანური ენა, გვ. 217.

პრეფიქსთა რიგის ნიშნები¹. რაც ასეთი დაყოფა მოიშალა, ყველაზე მეტი გავრცელება და გამოყენება მოიპოვა ს- პრეფიქსმა. ანალოგიური ვითარებაა მთის კავკასიურ ენებში, სადაც ნივთის კატეგორიის ნიშანთა განზოგადება და გავრცელება კლას-კატეგორიის მოშლის შემდეგ ფაქტია.

ი- პრეფიქსიანი ქცევანაკლი ზმნებისაგან ნაწარმოები მასდარები, რომელთა ფუძესაც ვიყენებთ ქცევის უძველესი ფორმის გასაგებად, უპირატესად ერთი, -ი- ხმოვანი და ს- თანხმოვანი პრეფიქსით იხმარება: ს-ი-რბ-ი-ლ, ს-ი-კუღ-ი-ლ, ს-ი-ნან-უ-ლ, ს-ი-ც-ი-ლ, ს-ი-ხარ-უ-ლ, ს-ი-ტყუ-ა... ასე რომ ს-ი-ნან-უ-ლ, ს-ი-ტყუ-ა სახელებს იგივე პრეფიქსი აქვთ გამოყენებული, რაც შესაბამის ი-ნან-ი-ს, ი-ტყუ-ს ზმნებში გამოიყოფა.

მაგრამ ხომ დასტურდება ძველ ქართულში სხვა პრეფიქსიანი ზმნური ფუძეებიც: ა-ხარ-ა, ე-ცინ-ი-ს და მისთანები?

როგორც ქვემოთ იქნება აღნიშნული, ამ ტიპის ზმნებში ისტორიულად მარტოოდენ ხმოვანთავსართოვანი წარმოება უნდა გვექონდა საერთოდ. თუ ერთსა და იმავე ფუძესთან სხვადასხვა ხმოვანი გვაქვს (ი-ცინის, ე-ცინის...), მაშინ ან ახალ მოვლენასთან გვაქვს საქმე; როცა ამ პრეფიქსებმა უფრო გარკვეული მნიშვნელობა მიიღეს და აბალი გაგების მქონე კატეგორიების (ქცევა, გვარი) საწარმოებლად იქნენ გამოყენებული, ანდა უნდა დაეუშვათ იმთავითვე ს-ი პრეფიქსის პარალელურად ს-ე, ს-ა... პრეფიქსიანი წარმოებაც ზოგიერთ მასდარში და სახელში. ამგვარად, სახელის

¹ შესაძლოა ზოგიერთი ფუძე, შეზღუდული სემანტიკური გამოყენების გამო, ორივე კლას-კატეგორიის მაჩვენებელს არც ირთავდა. ასეთებად უნდა მივიჩნიოთ ის ზმნები, რომლებიც ა დ ა მ ი ა ნ ი ს სენსორული მოქმედების სფეროს ეკუთვნიან. სხვათა შორის, კლას-კატეგორიის სისტემის მოშლის შემდეგ ადვილი იქნებოდა პრეფიქსები ფუძეს შეხორცებოდა. ამის ნიმუშები უნდა გვეზრდეს ისეთ მაგალითებში. როგორცაა უ-ვ-ი-ცი (ფინიტური ფორმისაგან ვ-ი-ც-ი-ჩემი, ადამიანის ცოდნა), რომელშიც ვ ადამიანის კლასის ექსპონენტი. ამ ფუძის ასეთი (და არა ფონეტიკური!) ანალიზი მით უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს, რომ მის ასახსნელად ს ა ბ ა ს მოცემული აქვს ამგვარი სინონიმები: უფ-ი-ც-ი — უ-ე-ც-ი: შდრ უ-ე-ც-არ-ი — უ-მ-ე-ც-არ-ი.

ამგვარადვე წარმოვიდგება ვ-ა-რცხნა, ვ-ა-რცხნის და ვ-ე-დრი. ვ-ე-დრებს ფუძეთა ანალიზი: ვ-პრეფიქსი ადამიანის ობიექტის მაჩვენებელია, ფუძეს შეხორცებული, რადგანაც ამ ფუძეში მას სხვა პრეფიქსი არ უპირისპირდებოდა, იგი არ იცვლებოდა. ამოსავალი ფუძე ვ-არცხნის ხნისთვის არის რ-ცხ-ი-ს (აქედანვე ზმნები რცხ-ი-ს, ა-რცხ-ი-ე-ბ-დ-ეს: კიმ. I, 307, 37. სახელები ნა-რცხ-ი, სა-რცხ-ელ[ი]). ხოლო ვ-ე-დრებს ფუძეს სახიარო უჩანს უ-დრ-ი-სთან (←*უ-დარ-ი-ს).

ფუძეში არსებული სხვადასხვა პრეფიქსი შესაბამისად გამოჩნდებოდა ზმნაშიც: ე-ცინის, ი-ცინის: *ს-ე-ცინ-ი, ს-ი-ცილ-ი (←*ს-ი-ცინ-ი). უფრო საფიქრებელია ამ შემთხვევაში თანხმოვანიც სხვა ყოფილიყო: სი || ნე || და და ა. შ. მოვლენა, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დიალექტური წყების კუთვნილება იქნებოდა ისევე, როგორც ესაა ნავარაუდები ერთისა და იმავე ფუძის მქონე მასდარისა და მიმღობისათვის სვანურში: ლ-ი-თრ-ე 'სმა', შდრ. ლ-ე-თრ-ე, ლ-ა-თრ-ა; ლ-ი-ლატ და მ-ა-ლატ¹.

გამოდის, თითქოს სახელისა (და ზმნის) ფუძეში შესაძლებელი ყოფილა გვექონოდა იმთავითვე სხვადასხვა ხმოვანპრეფიქსი იმგვარადვე, როგორც ესა გვაქვს სათანადო ფუნქციით ჩვენებითს ნაცვალსახელებში: ე-სე, ი-სი, *ა-სა (შდრ. ა-სერ = აქ; ა-სრე და სხვ.).

მაგრამ ხმოვანპრეფიქსების ასეთი პარალელური ხმარება ძალიან გავრცელებული სრულებითაც არ უნდა ყოფილიყო. ასე რომ არა, მაშინ ქცევანაკლი (მარტოოდენ ერთ ხმოვანპრეფიქსიანი) ზმნებიც აღარ გვექნებოდა. უეჭველია, რომ არსებობდა ცალკეული, განსაზღვრული სემანტიკის მქონე ზმნები, რომლებშიც ისე როგორც შესაბამის მასდარში, მხოლოდ ერთი ხმოვანპრეფიქსი მკვიდრობდა. სხვა მას არ უპირისპირდებოდა ამ ფუძეში. ამ კატეგორიის ზმნების ფუძეები შემორჩა ქართულში ასეთი ძველი წყობით, აღარ დაექვემდებარა შემდეგში სიტყვაწარმოების ახალ წესებს. ასე უნდა აიხსნას ქცევანაკლ ზმნათა ერთი ჯგუფი, რომლებშიც ი- პრეფიქსირეფლექსურ, (უკუქცევის) შინაარსს ითავსებს. ს-ი- პრეფიქსიანი მასდარის ი მეორდება შესატყვის ზმნურ ფუძეში².

ი-ვლტ-ი-ს, შდრ. ს-ი-ვლტ-ო-ლ-ა-მ.

შფოთი ივლტის ბრძენთაგან: ხანძთ. ობ 45.

რომელი ესრით ივლტით ჩუენგან: ქრესტ. 92,1.

ი-ტყუ-ი-ს, შდრ. ს-ი-ტყუ-ა-მ

თავით თვისით დანიელ წნწტყლისა სიტყუასა იტყუხ; ხანძთ. გ 53.

*ი-სრ-ი-ს, შდრ. ს-ი-სრ-ა-მ.

სრ-ოლა, სრ-ევა, ი-სვრ-გ.ს და სხვა ნაწარმოები ფორმები უჩვენებს, რომ ძირია სარ, რომელშიც არ სუფიქსალაა მიჩ-

¹ არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., § 97, გვ. 230; მისივე, მასდარისა და მიმღობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში: იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, V, 1953, გვ. 48.

² არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., § 96.

ნეული¹. ს-ი-სრ-ა, ი-სარ სახელებისა და ი-სრევს ზმნის ი ერთია.

ძველ ქართულში მასდარის ფორმად ჩვეულებრივია სისრაჲ, თუმცა აწმყოს პირის ფორმების მიხედვით (ე-სრ-ვ-ი-ს) ჩანს, რომ სუფიქსიანი მასდარი სრ-ევ-ა-ჲ უფრო გავრცელებულია. აწმყოს ფორმები აღნიშნული სახით ძველ ქართულში აღარ დასტურდება, სავსებით მოსალოდნელი კია ვ-ი-სრ-ი.

ი-ნან-ი-ს, შდრ. ს-ი-ნან-უ-ლ-ი.

ეს ფუძე რიგი თავისებურებით ხასიათდება ძველ ქართულში: აწმყოში ხან -ი სუფიქსით გვხვდება, ხან, თუ ნამყო უწყვეტლის წარმოებას დაეუკვირდებით (შდრ. აქვე ინან-ღ-ა), უსუფიქსოა. ნამყო უწყვეტელში ზოგჯერ -ოდ სუფიქსიც მოუღის². ყველაფერი ეს სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა დიალექტური წყების მოვლენა ჩანს. ახალია -ებ სუფიქსიანი ფორმა შე-ი-ნან-ებ-ს (შე-ი-ნან-ა).

1 აწმყო

ვ-ი-ნან-ი: ვინანი ფრიად გარდასრულთა-თჳს უმეცრებითთა ცოდვითა, ჩემთა: კიმ. I, 52,27; ასევე: C ლკ 17,4.

ი-ნან-ი-ედ: იგლოვდიან და მესამესა დღესა ინანიედ: სახისმეტყ. № 13.

უწყვეტელი, ბრძანებითი

ი-ნან-ოდ-ა: ინანოდა ცემისა მისთჳს: ხრონოლრ. 301,16.

ი-ნან-ღ-ი-თ: ინანღით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ზეცისაჲ: მთ 4,17.

ი-ქად-ი-ს, შდრ. ს-ი-ქად-უ-ლ-ი.

პრეფიქსული წარმოება, უძველესი ქართულის ნიშანდობლივი, აქაც შეიცვალა: სიქადული — დაქადება.

1 აწმყო

ი-ქად-ი-თ: ნუ იქადით და ჰგონებთ: წარტყუნ. № 19.

ი-ქად-ი-ნ: ნუ იქადინ აწ მძღაერი: სასულ. ტლზ X.

¹ ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა, ქართულურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: IV, ხმოვანთა-სართოვანი სახელები: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXX/1n, 1947, გვ. 456.

² -ოდ სუფიქსი უწყვეტელში ხშირად -ულ, -ოდ სუფიქსიან მასდარებთან გვაქვს...

ხოლ მეობითი I, resp. კავშირებითი I

ი-ქად-ოდ-ი-ან: რომელნი იქადოდნიან ჩემდამო; იერუს. განჩინ. 71,3.

ი-ც-ი-ნ-ი-ს, შდრ. ს-ი-ც-ი-ლ-ი (←*სიცი-ი-ნ-ი).

ძველ ქართულში ჩვეულებრივია ი-პრეფიქსიანი ფორმა ი-ცინის. აქვე თითო-ოროლა შემთხვევაში არის ე-პრეფიქსიანიც: ე-ცინის. უფრო გვიანდელია უ-ცინის. ახალი ფუძის ჩამოყალიბებას უკავშირდება სხვადასხვა პრეფიქსიანი (ა-ცინებს, ი-ცინებს, გა-უ-ცინებს) და უპრეფიქსო (და-ს-ცინებს) წარმოება, რაც უძველეს ქართულში არ უნდა ყოფილიყო. ამგვარად, მათ განიცინეს (პაგ. მასალ. 34) ახალია, მისი აწმყო/განიციინებს.

აწმყო

ი-ც-ი-ნ-ი-ნ: უკუეთუ ერთი მათგანი იცინინ, მეორეცა იცინინ: წარტყუნ. მბ 20.

*ი-ჩქურ-ი-ს, შდრ. ს-ი-ჩქურ-ე.

ძველი წარმოების ფუძე (ი-ჩქურ-ი) აღარ შემოგვრჩენია, მის ადგილას უკვე ძველ ქართულში -ებ სუფიქსიანი წარმოებაა, პრეფიქსი ი- წარმოშობით ძველია.

აწმყო

ი-ჩქურ-ებ-ენ: უფროჲს ღმრთისა მეცნიერებასა ზეცისა საქმეთასა იჩქურებენ: ხრონოლორ. 2,33.

ი-ცონ-ი-ს, შდრ. ს-ი-ცონ-ი-ლ-ი.

ამ ზმნაშიც ი-პრეფიქსი წარმოშობით ძველია, მაგრამ ძველ ქართულში იგი ახალ, -ებ სუფიქსით წარმოებულ ფუძეშია გამოყენებული: და-ი-ცონ-ებ-ს — და-ი-ცონ-ა. აღსანიშნავია, რომ ი-პრეფიქსიც თანდათან იკარგება და ყალიბდება უპრეფიქსო ფუძე ს-ცონ-ი-ს.

აწმყო

გ-ცონ-ი-ს: ნუ გცონის ლოცვაჲ: დამასკ. 63,23.

მოქმედებითი, კავშირებითი II

ი-ცონ-ო-ს: წყლითა და ცეცხლითა აღკურა ოდესმე, ვინაჲცა იცონოს გამაგრებასა ზღუდეთასა: თხრობა 20.

უკანასკნელი ზმნა სხვა მხრითაცაა საინტერესო. ეს არის ძველი ქართულის წიალშივე ჩასახული და შემდეგ განვითარებული მოვლენა, რომელსაც ქცევის კატეგორიის ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წინათ შედარებით ფართოდ გავრცელებული პრეფიქსული წარმოების მასდარები მცირდება და სუფიქსური წარმოებისა ხდება; ასეთებია: ს-რბამ, ს-ი-რბილი და შემდეგ რბ-ოლ-ა; ს-ი-ქაღული, შემდეგ ქაღ-ი-ლ-ი, ქაღ-ებ-ა; ს-ი-ბორჯილი, შდრ. ბორჯ-ავ-ს, ს-ი-მშილი — [შო]მშ-ევ-ა და ა. შ. პრეფიქსმა ძველი ძალა და მნიშვნელობა დაკარგა, სიმძიმის ცენტრი სუფიქსზე გადავიდა და შესაბამისად გაფორმდა როგორც ზმნის, ისე სახელის ფუძეები. აუცილებელი და ერთადერთი უნდა ყოფილიყო ი-ცონის, მაგრამ უკვე კლასიკურ ქართულში ჩამოყალიბდა ს-ცონ-ი-ს; ასევე ძველი იყო ი-მღერ-ი-ს და თითქმის პარალელურად განვითარდა მღ-ერ-ი-ს; ი-ნანის, *ი-ბორჯის ტიპის ზმნებისაგან მივიღეთ ნან-ობ-ს, ბორჯ-ავ-ს.

ასეთი ფუძეები შემდეგში ვითარდებიან, გამოდიან ერთქცევიანი (ოდენ ი- პრეფიქსიანი) ზმნების ჯგუფიდან და იძენენ სხვადასხვა პრეფიქსების დართვის შესაძლებლობას: ა-ნან-ებ-ს, ი-ნან-ებ-ს, ე-ნან-ებ-ა, და-უ-ნანებია და მისთანანი. ასე წარმოგვიდგება რიგი ფუძეების ისტორია ძველ ქართულში. მოსალოდნელი ი-პრეფიქსიანი ფორმები აწმყოში უკვე უპრეფიქსო ფორმებითაა შეცვლილი.

ამავე რიგისაა ი-პრეფიქსის დაკარგვა სახელებში: ი-ლლ-ი-ა → ლლ-ი-ა.

* ი-ბორჯ-ი-ს → ბორჯ-ი-ს, შდრ. ს-ი-ბორჯ-ი-ლ-ი¹.

ბორჯ-ი-ს: ეშმაკი არს მის თანა და ბორჯის: C ი 10,20.

* ი-ცბ-ი-ს → ცბ-ი-ს, შდრ. ს-ი-ცბ-ი-ლ-ი.

ს-ცბ-ი: ჰგმობ და სცბი მისთვის: კიმ. I, 322,10.

* ი-რცხუ-ი-ს, შდრ. ს-ი-რცხუ-ი-ლ-ი.

ქართულში ეს ზმნა ორი ფუძითაა ცნობილი: ერთია რცხუ-ენ, რომელსაც იყენებს გარდამავალი დინამიკური (ა-რცხუ-ენ-ს — ა-რცხუ-ინ-ა) და სტატიკური (პ-რცხუ-ენ-ი-ს — პ-რცხუ-ენ-ა: პრცხუენისმცა: ხანძთ. ზ 47; პრცხუენოლა: კიმ. I, 47,16; პრცხუენა: ან-

¹ არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უძგ. აგებ., § 96, გვ. 228.

ტიოქ. 86,16); მეორეა რცხუ-ებ, რომელიც ახალი ქართულიდანაა ცნობილი (შე-რცხვ-ებ-ა — შე-რცხვ-ა). ამგვარად, ძველი *ი-რცხუ-ი-ს → *პრცხუ-ი-ს ქართულში შეცვალა შე-რცხვ-ებ-ი-ს (შე-რცხვ-ა) ფორმებმა:

*ი-მშ-ი-ს → *პ-მშ-ევ-ს → პ-მშ-ი-ი-ს¹, შდრ. ს-ი-მშ-ი-ლ-ი.

პრეფიქსული წარმოება, როგორც ითქვა, ადრე შეცვლილა. ძველ ქართულში ცნობილია მხოლოდ სუფიქსიანი წარმოება: გ-მშ-ი-ი-ს: ნეტარ ხართ, რომელთა გმშის: C ლქ 6,21.

*ი-კუდ-ი-ს, შდრ. ს-ი-კუდ-ი-ლ-ი.

აქაც მთლიანად მოიშალა პრეფიქსული წარმოება, ფუძე უფრო მოქნილი გახდა მისგან ახალი ერთეულების წარმოებისათვის. ძველ ქართულში ერთადერთია -ებ-ი სუფიქსი აწმყოში. მო-კუდ-ებ-ოდ-ა: ასული მარტოა ესუა... და იგი მოკუდებოდა: ლქ 8,42.

ანალოგიური ჩანს ასეთივე წარმოშობის პრეფიქსის დაკარგვა ძველი ქართულის რიგ ფუძეებში, რომლებიც უპირატესად ი-პრეფიქსით იხმარებოდა. საყურადღებოა, რომ უპრეფიქსო ფორმები ძველ ქართულშივე დასტურდება, მაგალითად:

ი-რეკ-ს

ძველ ქართულში ჯერ კიდევ არა ჩანს -ავ სუფიქსი, რომელიც ახალ ქართულში მკვიდრდება: რეკ-ავ-ს. შეინიშნება როგორც ი-პრეფიქსიანი, ისე უპრეფიქსო წარმოება. უკანასკნელი მეორეული ჩანს. ამიტომ, რომ პარალელური ფორმები ერთმანეთისაგან შინაარსის მიხედვით არ განსხვავდება. რეფლექსურ-უკუქცევეთი შინაარსი აუცილებელი აღარაა.

აწმყო

ი-რეკ-ნ: რომელი ირეკნ, განელის: C მთ 7,8.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

ი-რეკ-დ-ი-თ; ირეკდით და განგელოთ თქვენ: მთ 7,7.

ი-რეკ-დ-ე-ს: რომელი ირეკდეს, განელოს მას: მთ 7,8.

¹ ფუძის ანალიზი იხ. პირველ ნაწილში.

წყვეტილი

ი-რეკ-ა: ირეკა კარსა მას ბქისასა: მოციქ. ა 12,13.

ჰ-რეკ-ა: ჰრეკა პეტრე კარსა ბქისასა: იქვე, გ.

ი-ლუაწ-ი-ს

სახელადი ფუძეები ქართულში არის ლუაწ-ლ და ლუწ-ო-ლ-ა-აწმყოსა და უწყვეტლის ფორმები ამათ შესაბამის ფუძეს გეიჩვენებს. ძველი წარმოშობის ფორმებში ი- იკარგება, თუმცა ი-ლუწის გამოყენება ჯერ კიდევ ხშირია. აქაც გვხვდება ახალი, -ებ სუფიქსიანი ფუძე. შდრ. თურმეობითი პირველი: ლუაწლი კეთილი მოგილუაწებიეს: ხანძთ. ომ 30.

აწმყო

ი-ლუწ-ი: ილუწი მათ, ღირსო: სასულ. რლა 95. მაგრამ:

ჰ-ლუწ-ი: მრავალთა მონასტერთა უდაბნოჲსათა ჰლუწი: კიმ. II, 181,6.

უწყვეტელი, ბრძანებითი

ი-ლუწ-ი-დ-ა: ამათცა ორთა მონასტერთა პირველთა წმიდათა მათასა ილუწიდა: კიმ. II, 191,7. მაგრამ:

ლუწი-დ-ა: ლუწიდა მას და თუსითა ჯელითა მსახურებდა: კიმ. II, 206,35.

ჰ-ლუაწ-ოდ-ე: ჰლუაწოდე მაგას: ტბ. 1. ლკ 10,35.

ი-ვაკრ-ობ-ს

თითქმის ერთი და იმავე მნიშვნელობით ზამოიყენება ვაკრ-ობ ფუძის პრეფიქსული და უპრეფიქსო ფორმები. ვაკარ ნასესხები სიტყვა ჩანს, ეტყობა ძველად იგივე საერთოდ მოქმედ წესს ზმორჩილებოდა, აქედან ნაწარმოები ზმნური ფორმები რეფლექსურ-უკუ-ქცევითი შინაარსით იხმარებოდა.

ბრძანებითი, კავშირებითი

ი-ვაკრ-ობ-დ-ე-თ: დაეშინებით, ივაკრობდით მას შინა და მოიგებდით მას ზედა: დაბად. 34,10. °

ი-ვაკრ-ობ-დ-ე-ნ: ივაკრობდენ მას ზედა: იქვე, 34,24. მაგრამ:

ვაკრ-ობ-დ-ი-თ: ვაკრობდით ამას, ვიდრეშდე მოვიდე: ლკ 19,13.

¹ ტბეთის ოთხთავი: ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სა-
ბელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი K 212.

ამგვარად, ი- თავსართის დაკარგვა ზმნაში და ს-ი პრეფიქსი-სა მასდარში ერთი პერიოდის წარმონაქმეზია, ეს მოვლენა ერთ-დროულად ხდება. თანდათანობით დავიწყებთ ეძლევა ი- პრეფიქსით წარმოებული ფუძეები. იკარგება წინანდელი რეფლექსური შინაარსი და ყალიბდება ახალი, უფრო აბსტრაქტული, ზოგადი ფუძე, რომელსაც ძველი, მარტოოდენ ერთი პრეფიქსის ნაცვლად, შეუძლია, დაირთოს ზმნის სიტყვაწარმოების სხვადასხვა პრეფიქსი და უფრო მოქნილი იყოს მრავალფეროვანი შინაარსის გადმოსაცემად. ასეთია შე-უ-რბიოდა (თეკლ. 114,24), უ-ქადებდა (შუშ. 5,1) მო-უ-კუდ-ა (მრკ 12,19) და მისთანანი.

აქამდე განხილულ ზმნებში ი- პრეფიქსი, მცირეოდენ გამო-ნაკლისს გარდა, ადვილად უკავშირდებოდა მასდარის პრეფიქსს, რამდენადაც მასდარის პრეფიქსი იყენებდა ზმნის მასალას და ფუძის განუყოფელ ელემენტს იქ ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა. ძველ ქართულში გვაქვს მეორე ჯგუფი ზმნებისა, რიცხვით მცირე, რომლებიც, პირიქით, უშუალოდ მასდარის ფუძისაგან იწარმოება: მასდარის ს-ი პრეფიქსი ფუძის განუყოფელ ნაწილადაა გაგებული: ს-ი-რცხლი: ი-სირცხლა (ფიქსირებული აქვს საბაბას, წყაროზე მითითება არაა); ს-ი-ძე-ა (შდრ. მ-ე-ძე-ი): ი-სიძე-ა; ს-ი-ტყუა: ი-სიტყუა; ს-ი-მშ-ი-ლ-ი-შიმშილი: ი-შიმშილა და ა. შ. ამასთან ერთად უნდა განვიხილოთ და ავხსნათ ძველი ქართულის მო-ს-ი-კუდ-ი-დ, რომელიც წარმოებითა და მნიშვნელობით ჩვეულებრივ მო-კუდ-ავ, მო-საკლ-ავ სახელთა ტოლფარდია: რომლითა სიკუდილითა მოსიკუდიდ იყო: C ი 12,33 (შდრ. რომლითა სიკუდილითა ეგულებოდა სიკუდილი: DE, იქვე).

ი-ს-ი-ძ-ავ-ს

უკვე ძველ ქართულში აღარ გვხვდება სავარაუდო ი-ძ-ავ-ს ფორმა, რომელსაც ს-ი-ძე-ა სახელი აღვადგენინებდა. ძირად გამოიყოფა ძ, რომელიც იგივე უნდა იყოს, რაც ძ-ე (შვილი), ძ-ე-ობ-ა' ში გვაქვს.

აწმყო

ი-სიძ-ავ-ს: ისიძავს იგი: წარტყუნ. ნდ 21; ასევე: ჰავ. მასალ. 33.

წყვეტილი

ი-სიძ-ე-ა: მუნქუესვე ისიძეა მის თანა გულსა შინა თვსსა: მთ 5,28. ი-სიძ-ეს: ისიძევს შეშითა და ქვითა: სახისმეტყ. ლა 17.

ი-ს-ა-თხ-ევ-ლ-ი-ს

სა-თხევ-ელ, მ-თხევ-ლ-არ, მ-თხევ-არ მიმღეობის ფუძეებია, ნაწარმოები თხ-ევ-ს ('ჰყრის, აგდებს') ზმნისაგან. იგი ძველ ქართულში გასუბსტანტივებულია: შდრ. სათხეველი ბადე—სასროლი ბადე, შემდეგ მარტოოდენ სათხეველი. აქედანაა მასდარი სათხევლობა: წარვიდეთ სათხევლობად: ი 21,3. ანალოგიით ესეც მთლიან ფუძედაა გაგებული და გვხვდება ი-სათხევლ-ი-ს, ან -ებ სუფიქსით ი-სათხევლ-ებ-ს, რაც ნეოლოგიზმია (resp. დიალექტიზმია) ძველ ქართულში; შედარებით უფრო ძველი ვარიანტიც დასტურდება: ითხევლიდეს: DE მრკ 1,16.

უწყვეტელი

ი-სათხევლ-ი-დ-ეს: ისათხევლიდეს რაჲ იგინი ზღუასა მას: C მრკ 1,16.
ი-სათხევლ-ებ-დ-ეს: ისათხევლებდეს სათხველითა, რამეთუ მთხველარ იყვნეს: C მთ 4,18.

ი-შიშ-ვ-ი-ს←*ი-სი-შ-ავ-ი-ს

ამ ზმნას სი-შ-ილ და მშ-ევ ფუძეთა მსგავსად, განვითარება განუცდია. სავარაუდოა შიში მიღებულ იყოს: *ს-ი-შ-ი-ნ¹ და -ავ სუფიქსიანი *შიშ-ავ გამოყენებული იყოს ი-შიშ-ვ-ი-ს←*ი-შიშ-ავ-ი-ს ზმნაში. აქაც ს-ი პრეფიქსი იქცა შ-ი'დ ძირის შ'სთან ასიმილაციით და ფუძეს შეეხორცა: ს-ი-შ-ი→შიში.

ძველია ე-შინ-ი-ს ზმნა, მერმინდელია ი-შიშვ-ი-ს...

უწყვეტელი

ი-შიშ-ვ-ოდ-ა: იურვოდა და იშიშვოდა, რაჲემს წარემართა კარად სამეუფოდ: შუშ. 4,26.

ი-შიშ-ვ-ოდ-ეს: იშიშვოდეს იგინი ძლიერად: თხრობა, 38; ასევეა: კიმ. I, 170,36.

ძველ ქართულში მოგვეპოვება კიდევ ერთი ჯგუფი ი-პრეფიქსიანი ზმნებისა, რომელთა შესაბამის მასდარში ს-პრეფიქსის კვალიც არა ჩანს: ი-ც-ის, ი-ქმ-ს, ი-ყნოს-ს, 'ელ-ი-ძულ-ებ-ი-ს, ი-ღიმ-ი-ს და სხვაჲ როგორ უნდა გავიგოთ ასეთ ზმნებში ი-პრეფიქსის ისტორია, ძველია იგი თუ ახალი? თუ მოვიგონებთ, რომ მიმღეობის ფუძე სა-ქმ-ე←*სა-ქმ-ელ (←*სა-ქმ-ენ-ი) გენეტურ კავშირშია

¹ შდრ. არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძის უძე. აგებ., გვ. 231, 253. 1.

მასდარის ფუძესთან¹. მაშინ შეიძლება დაგვეშვა თანხმოვანთავსართი **ი-ქმ-ზ** ზმნის ფუძის შემცველ მასდარშიც ***ს-ი-ქმ-ენ-**. მაგონებს სრულებითაც არაა აუცილებელი ისევე, როგორც არაა აუცილებელი თანხმოვანთავსართი სახელადს ფუძეებში. „ზმოვანთავსართული წარმოება, სპეციფიკური დღეს ზანურისათვის, დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ქართულისა და სვანურისათვისაც“² ოდენ-ზმოვიანი პრეფიქსული წარმოება უძველეს მოვლენად მიიჩნევა სახელებში **ი-რენჰკა**, **ი-გავი** (შდრ. **ჰ-გავ-ს**), **ი-დაყვი**, **ი-ღუმალი**, **ი-ხარი** (ძირია **ს-არ**, რომელიც ნაწარმოებია არ სუფიქსით: **ს-არ**); **ი-ლლია** და **ლლია** ფორმების პარალელურობა ქართულში და აგრეთვე მეგრული **რ-ლია** უეჭველს ხდის **ი'-ს** თავსართობას³. ამასვე უკერს მხარს სვანური **ნა-ნ-ლლ-აშ** (ზსვ) || **ლა-ლლ-ი-აშ** (ლშხ.). ასევე **ი-ფქლის** შედარება სვანურ **ფქქ** და **ფქ-ავ-ს** ზმნასთან **ი-** პრეფიქსს გამოგვაყოფინებს⁴.

იჩვენება ასევე, რომ **ი-** ძირეული არაა სახელებში: **ი-წონწალი** (შდრ. **წ ა ნ წ ა ლ ა**, საბასთან: ვილი), რომელიც იმერეთში ნიშნავს კიდან წყლის ამოსაღებად გამოყენებულ ბერკეტს, ხის აზარმაცს (იხმარება აგრეთვე **ყ ა ნ თ ა რ ი**), შდრ. **წონწალ-ობ-ს**; **ი-ფხხი**, შდრ. **სა-ი-ფხხი-ი-ო** (ნ. საბა: მახე); **ბედი** და **ი-ბედი**, აქედან **სა-ი-ბედ-ი-ო** ('სარისკო'). **ი-ნაჟ-ი'ს** შედარება იმავე ძირის **მე-ობნ-ი-მ-ჟნ-ე** (შდრ. **შენის-თაობაჟ: C მთ 23,6**) და სხვა ერთეულებთან უდავოს ხდის **ი-** პრეფიქსის (და მასთან ერთად **ნა** პრეფიქსიც!) გამოყოფას და გვარწმუნებს ამ ფუძის მეორეულობაში. დამახასიათებელია, რომ ეს **ი-** პრეფიქსადაა მიჩნეული და გამოყოფილია უძველეს ტომობრივ სახელებში **ი-გერ-ი-ა** შდრ. სომხ. **ქერქ**⁵. იგივე ითქმის სვანური რიცხვითი სახელს **ი-შქჟილ** ('შვიდი') შესახებ, რომელშიც **ი-** საწარმოებელია ქართულთან შედარებით.

თუ დეტერმინანტ სუფიქსს დეიქტური ნაწილაკის ფუნქცია უნდა ჰქონოდა⁶, ეს მით უფრო დაბეჯითებით შეიძლება ითქვას

¹ არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ჯრთიერთობისათვის ქართულში: იბერიულ-კავკას. ენათმეც. V, 1953, გვ. გვ. 42, 47.

² ვ. თოფური, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: IV, ზმოვანთავსართოვანი სახელები: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXX/1947, გვ. 454.

³ იქვე, გვ. 456.

⁴ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 395; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძ. აგებ., გვ. 53-54.

⁵ ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი: ენიშვის მ., I, 1937, გვ. 223 (ი- გამოყოფილია).

⁶ არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძის უძვ. აგებ., გვ. 119.

o- პრეფიქსის შესახებ. უნდა ვიფიქროთ, რომ უძველეს ქართულში სახელი აბსტრაქტულად, ე. ი. რაიმესთან მიმართებისა და კონკრეტულობის გარეშე არ განიაზრებოდა. მაშასადამე, o- აქ ერთგვარ მითითებას, რაიმესადმი მიკუთვნებას გამოხატავდა. ამდენად საფუძველი არსებობს მისი უკუქცევით თუ კუთვნილებით ნაცვალსახელოვან ელემენტად მიჩნევისათვის¹. როგორც სხვა ხმოვნების, ისე o-ს, ამ ნაცვალსახელოვანი ძირის, დართვით სახელზე აღინიშნებოდა საერთოდ კუთვნილება თუ ჩვენება, ხოლო რომელიმე გარკვეულ კატეგორიასთან (ვინ თუ რა კატეგორიასთან) მიმართებას გარკვეულ შემთხვევაში აღნიშნავდა შესაფერისი თანხმოვანი — მ-(ვ-) ან ნ-(ლ-, ღ-, ს-). ასეთი უძველესი წარმოების ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს თანხმოვანპრეფიქსიანი² და უთანხმოვნოპრეფიქსიანი ერთი და იმავე სახელების პარალელური ხმარება: o-გრძ-ივ და ს-ი-გრძივ, o-ბრტყ-ივ და სი-ბრტყივ³ o-წრო და ვ-ი-წრო || მ-ი-წრო, მეგრ. o-წრო, o-ტრია და ნ-ი-ტრია („მოგვიყიდა სურამის პირსა სოფელ ნიტრია: საქ. სიძე., III, 1910, გვ. 126—127, საბ. № 155, 1578 წლ.); o-დაყვი და ნ-ი-დაყვი. ამგვარად, o-პრეფიქსით განსაზღვრული სახელი, რომელიმე o-დაყვი, o-ლლია (შდრ. დიალექტური o კაცი!...) უნდა გავიგოთ, როგორც *იგი დაყვი, ნ-ი-დაყვი კი: *მისი იგი დაყვი... კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ამას სვანური კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმები და მისგან ნაწარმოები ექსკლუზიურ-ინკლუზიური პირები: o-სგჷ-ი (შდრ. სგათქვენ) 'შენი'. o-სგჷ-ე-ე 'თქვენი', მაგრამ ნ-ი-სგჷ-ე-ე || გჷ-ი-სგჷ-ე-ე ფორმას თანხმოვანი დაერთო საქიროებისამებრ!

სახელთა ასეთი დაყოფა ქართულში იმ უძველესი დროის ფაქტია, როცა ბრუნება (თუ ასე ვუწოდებთ) ხასიათდებოდა პრეფიქსაციით, რამდენადაც სახელი და ზმნა ისე მკვეთრად გარჩეული არ იყო, ამდენად იგი იყო ერთგვარი ბრუნებად-უღლილებადი სიტყვა. დადგენილია, რომ სახელში დადასტურებული ბეჭკრი ნიშანი ზმნაშიც იხმარება. ზამიტომაც, ბუნებრივია, ზემოთ განხილულ სახელ-

¹ H. M. М а р р, Грамм., § 216, გვ. 176; გ. როგაეა, კუთვნილებითი აფიქსი o- ქართვ. ვნათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში: მეც. აკად. მ., III, 1942, გვ. 211.

² ვ. თ. ფ. უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 457.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 338; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, სახელის ფუძის უძვ. აგებ. გვ. 131.

მსგავსი ვითარება დადასტურებულია სხვა ენებშიც, მაგ., ურარტულში: გ. წ ი რ თ ე ლ ი, ურარტული ენის ურთიერთობის საკითხისათვის ინბრულოკავასიური ჯგუფის ენებთან: ენათმეცნიერების ინსტიტუტის IV (X) სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეხისები, თბილისი, 1953, გვ. 14—16.

თა ი- პრეფიქსი ზმნებშიც იყოს გამოყენებული: ხ-არ- ისაგან: ი-სარ-ი და ხ-ი-ხ(ა)რ--ა-ღ (*ი-სრ-ი, შდრ. *ი-სრ-ვი ← ი-სვრ-ი)...

სახელთა ხმოვანთავსართიანი წარმოების ისტორიას დაუკავშირდება ი-ქმ-ს, ი-ც-ი-ს ტიპის ზმნების ი- პრეფიქსის ახსნა. ამ ტიპის ზმნებში თანხმოვანთავსართი არა გვექონია. რამდენადაც ეს ზმნები თავისებური (აქტიურ-სენსორული მოქმედების) სემანტიკისაა, ამდენად აქ მარტოოდენ ვ(|| მ) პრეფიქსი უნდა ყოფილიყო საკვიროების და მიხედვით გამოყენებული. სხვაგვარი დაყოფა ამ ფუძეებში, შესაძლოა, არ გვექონდა. ამის შედეგია ის, რომ ქართული ენის ისტორია არ იცნობს ი-ცის გვერდით სხვა პრეფიქსიან ფორმებს. სხვა ზმნებში ასეთი წარმოება მეორეული ჩანს.

ი-ც-ი-ს

ძველი ქართულის -ან სუფიქსიანი ფუძე (ც-ან და მისგან ნაწარმოები ფორმები: ა-ც-ნ-ობ-ებ...) ი-ცის ზმნასთან შედარებით ახალია. ამიტომაც, რომ ძველი ფუძე მეტი თავისებურებებით („დეფექტურობით“) ხასიათდება, ახალი კი მოქნილია, ყველა კატეგორიის გამოსახატავად გამოსადეგია.

აწმყო

ვ-ი-ც-ი: არა ვიცი, რასა იტყვ: მთ 26,70.

ი-ც-ი-ს: არაინ იცის ძმ: მთ 11,27.

ი-ქმ-ს

წინანდელი კონკრეტული ფუნქცია, დაკავშირებული ი-პრეფიქსთან, ამ ზმნაში უკვე ძველ ქართულშივეა გაუჩინარებული. ამიტომ არის, რომ იქმს ზმნის პარალელურად ჰყოფს (და არა ი-ყოფს!) ზმნა გამოიყენება: რაეამს ჰყოფდე ქველის საქმესა: **ⴗⴗ** მთ 6,3, მაგრამ: რაეამს ქველს იქმოდი: C, იქვე.

იცის ზმნასთან შედარებით აქ ახალია სასხვისო ქცევის უ-ქმ-ს ფორმა: უქმოლა წუენსა ხუროთა: კიმ. I, 18,20. უ-პრეფიქსი მაშინდელია, როცა იგი სასხვისო ქცევის საწარმოებელ ელემენტად ჩამოყალიბდა და ი-ქმოლა ზმნა ქცევანაკლად აღარ გაიგებოდა ამ ფუძის განვითარების გამო.

ძველ ქართულში ჩასახულმა ამ ტენდენციამ თანდათან, ხანგრძლივი პროცესის შედეგად, მოგვცა ახალი ქართულის ქნა („ქნა რა?“), სადაც ი-პრეფიქსი აღარ იხმარება. აქ შემონახული ი-, ისევე როგორც სხვაგანაც; ფუნქციაშეცვლილია: ვნებისთს აწარმოებს: ი-ქ(მ)ნ-ა (სხვა ფორმები იხ. I ნაწილში).

აწმყო

ი-ქმ: რომლითა კელმწიფებითა ამას ექმ: ძე მთ 21,23.

კავშირებითი I, ბრძანებითი

ე-ი-ქმ-ოდ-ი-თ: ამას თუ ვიქმოდით: კიმ. I, 60,7.

ი-ქმ-ოდ-ე: იქმოდე ვენაქსა ჩენსა: მთ 21,28.

ი-ხერ-ი-ხ

სახელისაგან ხერ-ი ('ვებშამი') მარტოოდენ სუფიქსით წარმოებულთა ხერ-ობ-ა-ა, მხოლოდ ი- პრეფიქსიანია, სხვა ფორმები ძველ ქართულში არ იწარმოება. ობიექტი ამ გარდამავალ ზმნას, ისე როგორც ბევრ სხვა ამ ტიპის ზმნას, არ ახლავს, მაგრამ ობიექტად აქ იგულისხმება სწორედ ის, რისი წარმომადგენელიც არის პრეფიქსი ი-¹... აწმყოს სავარაუდო ფორმა ხერ-ობ-ხ ძველ ქართულში ჯერ კიდევ არ დასტურდება, რადგან უძველესი წარმოებაა ძალაში.

ხოლმეობითი II

ი-ხერ-ი-ს: ხოლო წმიდამან იხერის გულისაგან ფინიკისა: კიმ. I, 204,13.

კავშირებითი II

ე-ი-ხერ-ო: მზა მიყავ მე, რაათა ვისერო: ლკ 17,8.

*ი-ხთუელ-ი-ხ → ი-ხთულ-ი-ხ

ი-ხთუელ-ი-ხ ნაწარმოებია ხ-თუ-ელ სახელისაგან. ძველ ქართულში -ებ სუფიქსიანი ფორმაც დასტურდება: ფრიადსა სარგებელსა მოისთულელებდეს მისგან: ხრონოლრ. 235,18 (აწმყო უძველესი პერმანსივის ფუძეს იყენებს. ი- თავსართი აქ ახალია: ერთვის და არ მოსდევს ძველ ხ- პრეფიქსს).

ხოლმეობითი II

ი-ხთულ-ი-ან: მო-ნუ-ისთულიან ეკალთაგან ყურძენი: C მთ 7,16.

კავშირებითი II

მო-ე-ი-სთულ-ო-თ: მოფისთულოთ ძელისაგან ნაყოფი: სასულ-რმზ 118.

¹ ამ საკითხზე ცალკე.

მო-ი-სთულ-ო-ს: ტევანი იგი დამწიფ¹ მოხსთულოხ: იპოლ.
10,65; ასევეა: შუშ. 41,33.

ი-ძ-ულ-ი-ს

ამ ზმნის ფუძე ძ-ულ ნაწარმოებია -ულ სუფიქსით, ძირი ძ
მეორდება ძ-ალ სახელში¹ და შე-ვ-ი-ძ-ელ ზმნაში. აღნიშნულ ერთ-
ეულებთან შედარებით ი-ს გამოყოფა ი-ძულებაში უდავოა².

ფუძე, ეტყობა, სხვა პრეფიქსს არ ირთავდა. ი- თავსართი
ფუძეს შეერწყო, სხვადასხვა ქცევის წარმოების განვითარების შემ-
დეგ ქცევის ნიშნები ამ ი- პრეფიქსის წინ შერმე დაერთო და მი-
ვიღეთ: ა-იძულ-ებ-ს, ე-იძულ-ებ-ი-ს. პრეფიქსის ფუძესთან შერ-
წყობის ფაქტი იმდენად ძველია, რომ უკვე ძველ ქართულშია ასე-
თი წარმოება დამკვიდრებული. გარდამავალი ზმნის ფორმად იძუ-
ლებს იშვიათია.

უძველესი ზმნური ფუძე უნდა ყოფილიყო: *ვ-ი-ძულ-ი,
*ი-ძულ-ი-ს, შდრ. ახალი ქართულის ი-ძალ-ა, რომლის მნიშვნე-
ლობითაც არის ნახმარი ეს ზმნა ძველ ქართულში: რომელნი იძუ-
ლებდენ, მათ მიიტაცონ იგი: DE მთ 11,12. იძულებდენ = ძალას
იხმარდნენ, იძალონ, იძალებდნენ.

ვ ნ ე ბ ი თ ი, ა წ მ ყ ო

ი-ი-ძულ-ებ-ი-ს: სასუფეველი ცათაჲ იიძულებიხ: მთ 11,12.
ასევეა: ლკ 16,16.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი

ი-იძულ-ა: იგიცა იიძულა პატრიარქისაგან: იოვ. დამასკ. 167,3; ასე-
ვეა: ანტიოქ. 108,26.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი, უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი I

იძულ-ებ-დ-ენ: რომელნი იძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი: DE
მთ 11,12.

შდრ. ა-იძულ-ებ-დ-ეს: იგინი იიძულებდეს მას: ლკ 24,24.

¹ არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., § 10, გვ. 25.

² ვ. თ. თ. უ. რ. ი. ა, ხმოვანთავსართოვანი სახელები, გვ. 456.

³ ფორტოტიპიურ გამოცემაშია ე-იძულებიხ (ტაბ. 23 ა), ხოლო ჯრუჭ-პა-
რხლის ოთხთავის ხელნაწერში იძულებიხ!

წყვეტილი

ა-იძულ-ა: აიძულა მოწათეთთა შესლვად ნავსა: მთ 14,22; ასევეა: C. მრკ 6,45.

ი-ღმ-ი-ს

მარტოოდენ ი- პრეფიქსიანია ძველ ქართულში ეს ზმნაც. უ-პრეფიქსიანი¹ ფუძე ჯერ კიდევ არაა დადასტურებული. ერთ შემთხვევაში ფუძეში ვლინდება ვ, რაც ანალოგიით უნდა იყოს განვითარებული.

უწყვეტელი

ი-ღიმ-ვ-ოდ-ეს: ხოლო იგინი წარმოდგეს და იღიმვოდეს ურთიერთას: სპევს. 332,59.

ი-ზახ-ი-ს

ზახ ფუძე და- პრეფიქსიანი ჩანს, მისგანაა მიღებული ძველ ქართულში ძახ-ი-ლ ← *და+ხ-ი-ლ (შდრ. დევს→ძევს). მისი შესატყვისია მეგრ. ჯოხ-ო 'ჰქვია' და სევან. უახ-ე 'სახელი'.

ახალი ქართულის ფორმები ე-ძახ-ი-ს, უ-ძახი-ს- ძველ ქართულ ტექსტებში არ დასტურდება. საერთოდ ეს ზმნა შედარებით იშვიათია ძველ ქართულში, მნიშვნელობაც მას სხვა ჰქონდა (იზახის-ყვირის²). აწმყოს ფუძეში, ეტყობა, -ი სუფიქსი იკარგებოდა, რადგანაც უწყვეტელი დ' ონიანია: იზახ-დ-ა. წყვეტილში დადასტურებული აღ-ი-ზახ-ა აწმყოში ვარაუდობს აღ-იზ-ახ-ებ-ს ფორმას.

ი-ზახ-დ-ა: ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი: შუშ. 20,17.

ი-ზახ-დ-ა: ვითარცა ლომნი, იზახდეს იგინი: წარტყუნ. მ 12.

მოკმედებითი, წყვეტილი

აღ-ი-ზახ-ა: რაჲ ესმა მეფესა, აღიზახა, ვითარცა მკეცმან: დამასკ. 275,17.

ი-ყნოს-ს

ეს ზმნა ყველაზე უკეთ იგუებს ი- პრეფიქსით გამოხატულ შინაარსს, თითქმის შეუფერებელია სხვა თავსართები აქ და ამიტომაც, რომ ძველ ქართულში ისინი არც იხმარებიან. იყნოსს ზმნა ძალიან საინტერესოა. ჯერ ერთი, იყნოს აწმყოში რაიმე სუფიქსით გართულებული არაა, მარტივფუძიანია (თუმცა -ოხ შეიძლება

არ იყოს ფუძისეული); ახალ ქართულში ამ ზმნამ ი- პრეფიქსიც დაკარგა, -ავ სუფიქსი დაირთო და უფრო მეტად ზოგადი, აბსტრაქტული შინაარსი მიიღო: ყნოს-ავ-ს. კაუზატივისათვის ძველ ქართულში ა- — ებ აფიქსები იქნა გამოყენებული ა-ყნოს-ებ. ახალი ფუძე მოქნილი და სრულყოფილია ყველა კატეგორიის გამოსახატავად.

ა წ მ ყ ო

ი-ყნოს-ს: სულით ცხონდების და იყნოსს: ურპ. 327,25.

ი-ყნოს-ებ-ს: იყნოსებს კუალად სულითა: იქვე, 323,14.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I

უ-ყნოს-ი-ე-ს: სული არავის უყნოსიეს: იქვე, 327,16.

აქვე უნდა შევეხოთ ორიოდ, ნასახელარ ზმნას და აგრეთვე ისეთ ზმნებსაც, რომელთა ფუძე შედარებით ახალია; ი- პრეფიქსიც მათში ახალია, მაგრამ რამდენადაც ეს პრეფიქსი აქ თითქმის ერთადერთია, ამდენად პრინციპში უძველეს წარმოებას მიჰყვება და ქცევანაკლად მიიჩნევა. დამახასიათებელია, რომ ახალ ქართულში ზოგი მათგანი ან სულ არ იხმარება, ან სხვადასხვა პრეფიქსს იღებენ და სხვადასხვა ქცევით გვევლინებიან.

ი-შუ-ებ-ს

ამ ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა უ- პრეფიქსით (უშუებს) იშვიათად იხმარება. ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში უფრო ხშირია უ-ტყვებს (შდრ. ნუცა მიუშუებ სიტყვს-გებად: ურპ. 322,10; მაშინდა მიუშუა მას და ნათელ-ილო: მთ 3,15). ჩვეულებრივია იშუებს ფორმა.

ა წ მ ყ ო

ი-შუ-ებ-ს: სიონი... იშუებს აღდგომასა ქრესსა: სასულ. რთა 86.

ი-შუ-ებ-ენ: ცანი იშუებენ და ქუეყანანი განსცხრებიან: სასულ. სკ 55.

წყვეტილი

გან-ვ-ი-შუ-ი: ვიხილე ნამუშაქევი მათი... განვშუ და განვიხარე: ზარზმ. 180,34.

ი-ქუ-ამ-ს.

უზმნისწინოდ არ იხმარება. ქუ ძირი ერთი და იგივეა გარდამავალ აღ-ი-ქუ-ამ-ს და სტატიკურ ა-ქუ-(ან)-ს ზმნებში. ძველ ქართულში იგი ხშირად იხმარებოდა მარტოოდენ ი- პრეფიქსით, მნიშვნელობის მიხედვით ქუ-ამ სინონიმია ლ-ებ ფუძისა: კელთა ზედა ალგიქუან შენ: (C მთ 4,6) || კელთა ზედა ალგილონ შენ: (DE, იქვე). იშვიათად ე- პრეფიქსიც შეინიშნება და მნიშვნელობაც სათანადოდ განსხვავებულია: ა-ე-ქუ-ი-ნ: აეკჷნ ენაჲ ჩემი სასასა ჩემსა: წარტყუნ. ლზ 13. მიიქუამს ზმნაშიც რელიეფურად ჩანს თავდაპირველი რეფლექსური, უკუქცევითი შინაარსი.

წყვეტილი, კავშირებითი II, ბრძანებითი

მი-ი-ქუ-ა: და მან მიიქუა იგი მკართა თჯთა: C ლკ 2,28.

მი-ი-ქუ-ეს: მიქუეს იგი ანგელოზთა: C ლკ 16,22.

აღმო-ი-ქუ-ა-ს: უპყრას და აღმოიქუას იგი: DE მთ 12,11.

მი-ი-ქუ: მიიქუ, მამაო, ნაყოფი: ანტიოქ. 139,35.

ი-წყ-ებ-ს

არც ამ ზმნის სასხვისო და საარვისო ქცევის ფორმები დასტურდება. რაც შეეხება პირველი თურმეობითის უ- პრეფიქსიან ფორმას, იგი შედარებით გვიანდელია და მერმე დაუპირისპირდა უძველესი პერმანსივის ი-წყ-ი-ს ფუძეს. საგულისხმოა ძველი ქართული ენის ძეგლებში ნახმარი გამოთქმა იწყო მათდა მიმართ: იწყო ხიტყუად მათდა მიმართ და პრქუა მათ: C მრკ 6,50 (შღრ. მეყსეულად ეტყო და მათ და რქქუა: DE, იქვე).

ა.წყყო

ი-წყ-ებ-ს: იწყებს ამიერიოგან ქებას: იპოლ. 17,1.

უწყვეტილი

და-ი-წყ-ებ-დ-ა: ვითარ დაიწყებდა ეკლესიასა: ხანძთ. ი 6.

წყვეტილი, ხოლმეობითი

ი-წყ-ო: იწყო დაქრად: რაეახ. 87,6.

და-ი-წყ-ეს: დაიწყეს შეწუხებად: თეკლ. 118,21.

ი-წყ-ი-ან: იწყიან გარეგან კართა: იერუს. განჩინ. 62.

თურმეობითი I

უ-წყ-ი-ე-ნ: რომელსა უწყიენ წუერთა გამოსლვაჲ: კიმ. I; 312,29.

ი-მსტრ-ობ-ს

საზიარო ძირი აქვს მსტოვარ, სამსტრო სახელთან. უკანასკნელ სიტყვასა და ზმნაში ორი ხმოვანია ამოღებული, თანხმოვანი გ იკარგვის: სა-მსტოვარ-ო→სა-მსტრ-ო.

ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა 'უთვალთვალეbs, სინჯავს, უღარაჯებს'. ი-პრეფიქსს სრულებითაც არა აქვს მკვეთრად გამოხატული „სათავისო“ ქცევის შინაარსი, ასეთი მნიშვნელობა აქ არა ჩანს. სხვა ფორმები დადასტურებული არაა.

აწმყო

ი-მსტრ-ობ-ს: გოდოლთა იმსტრობს [var. იმსტურობს] გამოღებად: ანტიოქ. 140,14.

ი-მსტრ-ობ-დ-ეს: ადგილითი ადგილად ვილოდეს და იმსტრობდეს. ნადირთა: ანტიოქ. 140,14.

წყვეტილი

გან-ი-მსტურ-ეს: განიმსტურეს რაჲმე და განიცადეს და იხილეს: ზარზმ. 153,3.

ი-ყვან-ებ-ს

ეს ფუძე ძველ სალიტერატურო ქართულში უკვე ჩამოყალიბებულია. მიუხედავად ამისა, ყველა ქცევის ფორმა მკვეთრად ვერ დაუპირისპირდა ერთმანეთს, კერძოდ უცნობია მი-უ-ყვანებს (შდრ. მიაართუამს, მიჰგვრის)¹. თვით წარაყვანა ფორმამ ძველ ქართულში ნეოლოგიზმის სახე მიიღო, იგი ვერ დამკვიდრდა ლიტერატურულ ენაში. ძველ ქართულშიც თითო-ოროლაა მისი ხმარების შემთხვევა (განუტევა და თანა კაცნი წარმოაყვანნა: ხანძთ. თ 16; ასევე: თბრობა, 48). ამგვარად, ძველი, ხშირი ხმარებისაა და თითქმის ერთადერთია ი-პრეფიქსიანი ფორმა, ხოლო ამავე ძირის გარდაუვალ ზმნებში ი-არ გვხვდება: ჰ-ყავ-ს: მი-ჰ-ყავ-ს, მი-ჰ-ყვან-დ-ა.

აწმყო

მი-ი-ყვან-ებ-ს: იწრო არს ბქც... რომელი მიიყვანებს ცხორებასა: მთ 7,14.

კავშირებითი I

მი-გ-ი-ყვან-ებ-დ-ენ: მეფეთა წინაშე და მთავართა მიგიყვანებდენ თქუნენ: C ლქ 21,12.

¹ პირველი თურმეობითის ფორმა გვიანდელია.

წყვეტილი

მი-ი-ყვ-ან-ა: თავადმან... მიიყვანა მამა მის ყრმისად: მრკ 5,40.

მო-ი-ყვ-ან-ა: მოიყვანა ყრმად: მრკ 9,36.

წარ-ი-ყვ-ან-ა: წარიყვანა ყრმად იგი და დედა მისი: C მთ 2,21.

ი-ღრჭ-ენ-ს

ძველ ქართულში მარტოოდენ ი-პრეფიქსით იხმარება, აქვს რეფლექსურ-უკუქცევითი შინაარსი. ახალ ქართულში უფრო ზოგად მნიშვნელობას იძენს, რეფლექსური შინაარსის შესაბამისი ფორმანტის შემკველი ფუძე იცვლება და ყველა მაქცევრის დართვისათვის ხდება შეგუებული: ღრჭ-ენ-ა-ა კბილთად, შდრ. კბილების ღრჭ-ი-ალ-ი, კბილებს აღრჭიანებს (ზემოიმერულში იხმარება უღრჭიანებს ფორმაც). ამგვარად, ძველი გაგება იცვალა, ფუძეც შესაფერისად განვითარდა: ი-ღრჭ-ენ-ს — ა-ღრჭ-ი-ალ-ებ-ს; ი-ყნოს-ს — ყნოს-ავს... მაგრამ ზოგიერთ ზმნაში (ზემოთ: ი-წყებს, მი-ი-ყვანებს...) ძველი გაგება აღარა გვაქვს, ახალი ფუძეც (ი-პრეფიქსი რომ არ ჰქონდეს) ვერ განვითარდა.

აწმყო

ი-ღრჭ-ენ-ნ: პეროგინ და იღრჭენ კბილთა: მრკ 9,18.

ი-ღრჭ-ენ-თ: კბილთა იღრჭენთ ჩუენ ზედა: სპევს. 333,65.

უწყვეტილი

ი-ღრჭენ-დ-ეს: მგეცებრ იღრჭენდეს კბილთა: სასულ. ოდ 104.

განხილულ ერთი წყების ზმნათა მიხედვით უდავოა, რომ ი-პრეფიქსი ძველ ქართულში მოუდიოდა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს. ცხადია ისიც, რომ ი-ქუამს, ი-ყვანებს, ი-წყებს, ი-სერის და მისთ. ზმნებში, ერთი მხრით, ი-ხარის,* ი-ბღრჯის, ი-ვლტის, ი-ტყუხ... ზმნებში, მეორე მხრით, ი-ერთი წარმოშობისაა: ყველგან იგი უძველესი ნაცვალსახელური ძირია, რომელიც თავდაპირველად პრეფიქსად იხმარებოდა სახელსა და ზმნაში და ასრულებდა რაიმესადმი მიკუთვნების ფუნქციას. შემდგომი მას რეფლექსური, უკუქცევითი მნიშვნელობა დაუკავშირდა. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგ ზმნაში მისი გამოყენება არაა ძველი ასაკისა, მაგალითად: მი-ი-ყვანებს ტიპის ზმნებში იგი შედარებით ახალი. უნდა იყოს.

ძველი ქართულის მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ ი-პრეფიქსი სახელებსა და ზმნებში ძალიან ძველია და რომელიმე კატეგორიის (თუნდაც ქცევის) მაჩვენებლად მისი მიჩნევა მიზანშეუწონელი იქნებოდა: ი-პრეფიქსი მანამ იყო, სანამ ეს კატეგორია განვითარდებოდა. სახელებში მისი დადასტურება ამის საწმენო საბუთია. ამ ზმოვნის თავდაპირველი დეიქტური ნაწილაკის ფუნქცია შემდეგში რეფლექსური, უკუქცევითი შინაარსით შეიცვალა.

მაგრამ ამგვარი რეფლექსური სემანტიკა ხომ ყველაზე რელიეფურად უნდა ჩანდეს ისეთ ზმნებში, როგორცაა (*verbum sentiendi*): წუხ(ი)ს, შურს, ტირ(ი)ს, დულ(ი)ს, დუმ(ი)ს, სურ(ი)ს და მისთანანი? აქ არც ს-ი-პრეფიქსი გვაქვს და არც მარტოოდენ ი- და თუ ეს საკითხი მაინც ისმის, იმიტომ რომ პრეფიქსაცია ქართული ენის უძველესი დამახასიათებელი პრინციპია. თანაც შეინიშნება შემთხვევები (არა ყოველთვის), როცა პრეფიქსის ხმოვანი მეორდება სუფიქსში, ისე როგორც ეს გვაქვს ნაცვალსახელებში, *resp.* ზმნისართებში: ე-გ-ე, ი-გ-ი, ა-ქ-ა; ასევე: ი-ლ-ღ-ა, ბ-ა-ტ-ა-ნ-ი, ს-ა-გ-ზ-ა-ლ-ი, ს-ი-კ-უ-ღ-ი-ლ-ი, და ა. შ. ხმოვანპრეფიქსებთან ერთად თანხმოვანსუფიქსებიც ჰომოგენურია. დროთა განმავლობაში, როგორც ზემოთ ითქვა, რიგ ფუძეებში პრეფიქსი დაიკარგა ან დაკარგვის გზას ადგას. არ უნდა იყოს გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ასეთი გზა გაეწოდა ტირის, წუხ(ი)ს ტიპის ზმნებსაც: ხმოვანპრეფიქსი აქაც ჰქონოდა და დაეკარგა¹. ზოგიერთ ფუძეში გვაქვს ამისი დამადასტურებელი ნიშნები: დუმ ძირი მეორდება დუმ-ილ, ი-დუმ-ალ (აქედან სა-ი-დუმ-ლო), დუმ-ი-ს→დუმ-ს ფორმებში. ი-დუმ-ალ შესაძლებელს ხდის *ი-დუმ-ი-ს ზმნა ვივარაუდოთ ძველ ქართულში. გარდა ამისა, ამ ტიპის ზმნებში გარკვეული ნაკეთის საწარმოებლად ვლინდება ი-პრეფიქსი: ი-ტირ-ა, ი-წუხ-ა, ი-დულ-ა, აღ-ი-შურ-გ-ა (მშობელმან შენმან აღიშურვა შური: სასულ. ლგ X), სადაც გამოყენებით იგი, მართალია, ახალია, მაგრამ მაინც საგულისხმო².

¹ ჯერ კიდევ მთლად ნათელი არაა შურ, სურ, ტირ... ტიპის ფუძეთა აგებულება. შეიძლება ზოგჯერ ფუძეს შეზოროცებული აფიქსიც გვექონდეს (როგორცაა ხუფევს...) თუ დამტკიცდება, რომ ეს ფუძეები უფრო ძველია ქართულში, ვიდრე ი-პრეფიქსის (და სხვა პრეფიქსების) გამოყენება, მაშინ ისიც გაირკვევა, რომ ამ ზმნებმა ხსენებული გზის გარეშე მიაღწიეს ძველი ქართულის მდგომარეობას.

² იგივე შეიძლება ითქვას ი-ცხოვრა ტიპის ზმნის შესახებ: ი-გვაქვს და არა სხვა პრეფიქსი.

ი- პრეფიქსის მიხედვით სახელთა და ზმნათა ისეთი რეგლამენტებული დაყოფა, როგორზედაც ზემოთ ვმსჯელობდით, ძველ ქართულში მოქმედი აღარაა, იგი რიგ შემთხვევებში მკედარია. ასეთი ფაქტები გადმონაშთის ხასიათს ატარებს. უკვე ძველ ქართულში ჩანს ახლებური წარმოების ბევრი ნიმუში. უდავოა, რომ ი-მოვ-ი-ს უფრო ძველია, ვიდრე ჰ-პოვ-ი-ბ-ს და მ-ი-პოვ-ნ-ი-ე-ს (C მთ 8,10), მიუხედავად იმისა, რომ პირველი ახალ ქართულში იხმარება, ორი უკანასკნელი კი ძველში. ასევე ჰ-ზამს ფორმა ახალ ქართულში შესცვალა იზამს ფორმამ, მაგრამ უკანასკნელი უფრო დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ძველი ქართულის რომელიმე დიალექტისათვის მაინც. სამაგიეროდ, ძველ ქართულში პარალელურად გვხვდება ი-თხოვ-ს და ს-თხოვ-ს:

ი-თხო-ო-თ: რაჲ ითხოოთ მამისა ჩემისაგან: C ი 15,16. ასევეა: ი 6,23.

ჰ-თხოვ-ო-თ: რაჲ ჰთხოვოთ მამასა ჩემსა: DE, იქვე.

ერთ შემთხვევაში სუბიექტისადმი მიმართული (რეფლექსური, უკუქცევითი) შინაარსი ი- პრეფიქსითაა გამოხატული, მეორე შემთხვევაში იგი ასეთი მიმართების გარეშეა. და, ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი უფრო ახალია, უფრო ზოგადი, აბსტრაქტული.

რაც შეეხება დანარჩენ ზმნათა პრეფიქსის საკითხს, აქ შეიძლება ზოგადად ერთი რამ ითქვას: საკითხის გამორკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ ფუძეთა სემანტიკას: მას შემდეგ, რაც ი- პრეფიქსი გარკვევით ჩამოყალიბებული სათავისო ქცევის მაწარმოებლის ფუნქციით დამკვიდრდა, მან გვიჩვენა სუბიექტის საგანზე (ან მის სხეულის ნაწილზე) მოქმედება¹. ამიტომდა მკვეთრად განსხვავებული მნიშვნელობა გამოხატული ჰამს და ი-ჰამს ზმნებით².

ჰამ-ენ: შეგინებულითა კელითა ჰამენ პურსა: მრკ 7,5; ჰამდა მკალსა და თათლსა ველურსა: მრკ 1,6.

ამო-ი-ჰამ-ნ: ამოიჰამნ კორცთა თუსთა: კიმ. I, 289,14; რომელი მოიჰამდა ენასა თუსსა: კიმ. I, 254,9.

¹ ა. შანიძე, ქართული ზმნის საკიცვი, გვ. 319; უფრო დაწვრილებით ა. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, გვ. 61; მისივე, კანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 105-109.

² ძველ ქართულსა და სვანურში მტკიცდება ასეთი ხმარების მეორეულიობა: ვითარცა ჰა.ი იცოხნიდა: კიმ. 327,7; შდრ. აგრეთვე სვანური ი-ორე და ჯორე 'სვამს'.

§ 22. ა- პრეფიქსიანი ზნნები

მარტოოდენ ა- პრეფიქსს რომ ირთავდეს, ძველ ქართულში ისე თი ფუძეები შედარებით მცირეა. ა- პრეფიქსიან ქვევანაკლ ზნნებთან ერთად შედარებით იშვიათია აგრეთვე ს-ა პრეფიქსით წარმოებული მასდარები; ასეთი ერთი ათეულიც არაა: სა-არ-ება, სა-ღმ-ობ-ა, სა-ხარ-ებ-ა, სა-ხ-ი-ობ-ა... ა- პრეფიქსიან ქვევანაკლ ზნნებად ძველ ქართულში მიიჩნევა ა-რს, ა-ქუს, ა-ვსოვს, ა-ხს, (შე)-ა-შუს, ა-ცად-ებ-ს და სხვები, რომლებშიც ა- ძირისეული არაა, იგი გამოიყოფა, მაგრამ აღნიშნული ზნნები სხვა პრეფიქსს არ დაირთავენ. ეს ზნნებიც, ცხადია, უაღრესად ძველი დროისაა, როცა ფუძეთა წარმოება ისე განვითარებული არ იყო, გრამატიკული წყობა შედარებით მარტივი იყო. ოდენ ა- პრეფიქსიანი ზნნები აქაც იმის მაუწყებელია, რომ პრეფიქსების მიხედვით სახელთა კლასიფიკაცია ქართულში აუცილებელი იყო. როცა ასეთი დაყოფა გარკვეულ კონკრეტულ დანიშნულებას უპასუხებდა და ასეთი წარმოება მოქმედ სისტემას წარმოადგენდა, მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო (ყოველ შემთხვევაში ერთი დიალექტის ფარგლებში) ერთი ტიპის საწარმოებელი პრეფიქსის პარალელურად მეორის გამოყენება. ამიტომაც, რომ ა-ქუს ტიპის ზნნებს არ უპირისპირდებო * ი-ქუს და * უ-ქუს ტიპის ფორმები.

სახელის ფუძის საწარმოებლად ი- ხმოვანპრეფიქსს გარდა დადსტურებულია და გამოყოფილი ა- თავსართიც შემდეგს ერთეულებში: ა-დგილი (შდრ. დგას), ა-ჩრდილი (შდრ. ჩრდილი, ჩერო), ა-ლუდი (შდრ. ლუდი), ა-ბანო¹. ასევეა ა-ლაგ-ი, რომელსაც ი. ყიფშიძე უკავშირებდა ლაჯ (ა-ლაჯ-ებ-ს) ფუძეს². ოდენხმოვნიანი, ა- პრეფიქსის შესატყვისი წარმოების ნიმუშები, ცნობილია მეგრულშიც: ო-ხორ (შდრ. *ს-ა-ხელ), ო-ბიჯგ (შდრ. ს-ა-ბიჯგ-ი, ა-ბიჯგ-ებ-ს).

ი- პრეფიქსიან ფუძეთა მსგავსად ა- პრეფიქსიან სახელებსაც შეიძლება დართოდა საჭიროებისამებრ გრამატიკული კლას-კატეგორიის გარკვეული ექსპონენტი თანხმოვანპრეფიქსის სახით. გადმონაშთის სახით ფუნქციონირებული ასეთი ელემენტიც დასტურდება ძველ ქართულში: ს-ა-გრილ-ი, შდრ. გურული გრილ-ი³; იმერული გრილ-ო.

¹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ხმოვანთავსართოვანი სახელები, გვ. 454; არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., გვ. 194.

² И. Кипишидзе, Грамм. мивгрельского языка, გვ. 192.

³ ი. ი. მნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 1948—1949, გვ. 502.

ასეთსავე ანალიზს ექვემდებარება სახელები: **ს-ა-გან-ი** (შდრ. **გან-ი**), **ს-ა-ცივ-ი** (შდრ. **ა-ცივ-ა**), **ს-ა-მატ-ი** (შდრ. **მ-მატ-ს**), ამავე მნიშვნელობით **საბას** ფიქსირებული აქვს ძველი წარმოების (წარმოშობით დიალექტური) **ი-მანტა** (ნ ფუძისეული არაა). განსაკუთრებით საყურადღებოა **ა- ხმოვნის განმეორება** პრეფიქსში და ზოგჯერ სუფიქსშიც: **ს-ა-გ-ან**, ახალი ქართ. **ნ-ა-მეტ-ა-ნ-ი**, სადაც თანხმოვნებიც ჰომოგენურია.

ყველა ამგვარად ნაწარმოები სახელის შედარება სათანადო ზმნურ ფუძესთან გვარწმუნებს, რომ ზმნასაც იგივე **ა-** პრეფიქსი შემორჩენია, რაც სახელებში შედარების გზით გამოიყოფა: **ა-ღგ-ი-ლ**: **ა-ღგ-ს**: **ს-ა-გრად-ი**: **ლრუბელი** ნათლისაჲ **აგრილობდა** (მთ 17,5) და **ა. შ.** მაგრამ ყველა სახელში ასეთი წარმოება ერთნაირად ძველი არ უნდა იყოს. სხვადასხვა ფუძეს განვითარების სხვადასხვა საფეხური აქვს გავლილი და სხვადასხვა ფორმაციისაა. **ა-ღგილ** ში, მაგალითად, ა მეორეულია: ამ ფუძეს თავისი უძველესი პრეფიქსი ჰქონდა: **ღ-ე-გ**¹. ასეთი მეორეული წარმოშობისაა **ა-** სხვა ზმნებშიც.

საზოგადოდ, **ა-** პრეფიქსიან ქცევანაკლ ფუძეებში თანხმოვან-პრეფიქსის გამოყენების მხრით ძალიან თავისებურებაა. არც ერთი აქ განხილული ზმნის შესაბამისი სახელადი ფუძე თანხმოვანელებნით არ იხმარება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მასდარის ფუძე უცნობია ერთ-ორ გამონაკლისს გარდა: **აღ-ს-ა-არ-ება**: **აღ-ი-არ-ებ-ს**, მაგრამ არს, აქუს, ახს, ავსოვს, აცუს (=აცევა), [შე]-**ა-შუს** და სხვებთან ისეთივე ვითარებაა, როგორიც **ი-ც-ი-ს**, **ი-ქმ-ს** ზმნებთან: მარტოოდენ ხმოვანთავსართოვანი წარმოებაა უძველესი და ერთადერთი. ვინ კატეგორიისა თუ რა კატეგორიის კლას-ნიშანი ერთოდა საქიროებისამებრ.

ფუძეს შეეზარდა ის ნიშანი, რომელიც კლასის მიხედვით უდლილებაში მოქმედს აღარ წარმოადგენდა, რომლის ფუნქციაც მოიშალა. ამის კვალია დადასტურებული თქუა ← ***ღ-ქუ-ა** ზმნაში, რომელსაც საერთო ძირი აკავშირებს **რ-ქ უ-ა**, **ა-ქუ-ს** (←***ა-ქუ-ან-ს**) ზმნებთან².

ა- პრეფიქსიანი ზმნები პირობით შეიძლება გავყოთ სამ ჯგუფად: ერთია **ა-ქუს** ტიპისა, რომელთა ფუძისაგან სხვა პრეფიქსიანი ფორმები სრულებით არ იწარმოება, მეორეა — **აღ-ს-ა-არ-ებ-ა** ტიპის სახელები, რომლებშიც პრეფიქსები ფუძეს შეეხორცა, მესა-

¹ ვ. თოფურია, დ თავსართიანი ზმნები: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXV, გვ. 151.

² ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

მეა—ახალი წარმოების ფუძეები, სადაც ა- უპირისპირდება სხვა-პრეფიქსებს, როგორც ახალი ფუნქციისა და გამოყენების სიტყვა-წარმოებითი ელემენტი.

ა-ქუ-ს ← *ა-ქუ-ან-ს

ძველ ქართულში და დღესაც ზოგიერთ დიალექტში (მთიულურში, ფშაურში, ქიზიყურში, მესხურ-ჯავახურში) აქუს ზმნა თანაბრად იხმარებოდა და იხმარება სულიერი და არასულიერი ობიექტის მიმართ: კაცი არა მაქუს: DE ი 5,7 (კაც არავინ მაქუს: C, იქვე); მქონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი: მთ 8,9; ასევეა: ლკ 7,8; 4,40. ახალ ქართულში კი მარტო უსულო (არაცოცხალ) ობიექტთან გამოიყენება. მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ნივთის კლასის ექსპონენტი. ასეთი მართლაცაა *დ-ქუ → თ-ქუ ფუძის სახით, რომელიც შინაარსობრივად ა-ქუ-ს ხმნას ძალიან დაშორდა. უძველესი ა- პრეფიქსი მახვილის გავლენით იკუმშება: *ა-ქუ-ან-ან → *ჰ-ქუ-ან-ან → ჰ-ქონ-ან (იხ. ნაწ. I).

აწმყო

მ-ა-ქუ-ს: ჩუენ მაქუსცა და ვიკითხავთცა: ქრესტ. 48,16.

კავშირებითი I, უწყვეტელ

გ-ა-ქუნ-დ-ე: ვინაძთგან არა მაქუს მე საძიებელი, ვაქუნდე მე საძიებელ[სა]: ზღაპრ. ელენ. 37,34.

ჰ-ქონ-დ-ა: გორცთა საფარველი სამოსლად არა ჰქონდა: ევსტ. 83,34.

*ა-რქუ-ა → რქუ-ა

თქუ ← *დ-ქუ ფუძის დიალექტური სინონიმი უნდა ყოფილიყო რ-ქუ. ა- პრეფიქსი, რომელიც რ თანხმოვანს მოსდევდა ადგილის მიხედვით, მახვილის ძალით ამოღებულა, თავდაპირველი სახე დაკულია სვანურში: რ-ჰ-ქუ || ლ-ჰ-ქუ¹. ამდენად ქართულ ა-რქუ ზმნაში მეორეული წარმოშობისაა ა- პრეფიქსი. შეიძლება ითქვას, რომ სადაც თანხმოვანპრეფიქსი გამოიყოფა, იქ თანხმლები ხმოვანპრეფიქსიც სავარაუდებელია: თ-ქუ ← *დ-ქუ ← *დ-ა-ქუ (შდრ. ა-ქუ). ამგვარად, პრეფიქსების ფუნქციის დაკარგვისა და ძირთან მისი შეხორცების გამო ერთი ძირის უღლილებადმა ფორმებმა

¹ ვარიანტები ვ. თოფურია სვანურ ენაში, გვ. 254.

წარმოქმნეს სემანტიკურად განსხვავებული სამი ერთეული, რომელთაც ძველი ქართული სხვადასხვაგვარად ეპყრობა და იყენებს. ახალ ლექსიკურ ერთეულად გაგების შედეგად ფუძეს ხელახლა ერთვის ა- პრეფიქსი: ა-რქუ — *ა-რ-ა-ქუ:

ა-რქუთ მოწათეთთა მისთა: DI; მთ 28,7.

ა-რ-ს

ამ ზმნის ძირად რ გამოიყოფა¹. დამახასიათებელია, რომ მეგრულში მასდარი უპრეფიქსოდ იწარმოება: რ-ინ-ა². ამ ძირს საერთო აქვს სათანადო ფუძეებთან რიგს კავკასიურ ენებში³: ჩერქეზულის პიროვნულ ნაცვალსახელთან⁴. რაც მნიშვნელოვანია როგორც ა- პრეფიქსის გამოყოფისათვის, ისე ძირის გენეზისისათვის.

ქართულში ა- პრეფიქსი გამოუყოფელია: იგი უკვე ძველ ქართულშივე შეზრდილი ფუძესთან. ზანურსა და სვანურში კი ახალი წარმოების სასხვისო ქცევის ფორმებია გავრცელებული: ზანური მ-ი-რ-ე და სვან. მ-ი-რ-ი 'მყავს' (იხ. პირველი ნაწილი).

ა-ხ-ს

ხ ძირისაგან ოთხი ზმნაა ნაწარმოები ძველ ქართულში: ა-ხ-ს, შე-ა-ხ-ებ-ს, მი-ე-ხ-ებ-ი-ს და ა-ხ-ლ-ა-ვ-ს. უკანასკნელი -აღ/ელ სუფიქსებით დეტერმინებულ ფუძეს იყენებს: ა-ხ-ა-ლ, ე-ა-ხ-ელ. ყველაზე ძველი ჩანს ა-ხ-ს, ა-ხ-ალ (←*ა-ხ-ან). ა- პრეფიქსის ფუნქცია დაკარგულია და ა-შეზორცებული ფუძე ხელახალი პრეფიქსიანი ფორმების საწარმოებლად გამოყენებული ძველ ქართულში: მი-ა-ახლ-ი-ან თუალი ესე (თუალთ. 42); ვერ მი-ე-ახლ-ნ-ტს ადგილსა მას (ჰაბო 76,8); ერთითა თითითა არა შე-ახ-ით ტჯრთსა მას: ლკ 11,46.

ეს მაგალითები იმაზე მიუთითებენ, რომ ხ ძირი დაირთავდა იმთავითვე მარტოოდენ ა- პრეფიქსს: ახს=ახლოა: რომელი იგი ახს იორდანეს: რაეახ. 87,30.

ახალი ქართლის ა-ხლა და ე-ხლა სიტყვების შეპირისპირება ამტკიცებს ა- პრეფიქსის დეიქტურ ფუნქციას.

¹ ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, გვ. 329, შწ. 1; ვ. თოფურიძე, სვანური ენა, გვ. 250, შწ. 2; არნ. ჩიკობავა, შეფარ. ლექსიკ., გვ. 307.

² И. Кипшидзе, Грамм. мингр. языка, გვ. 054, 0101, 301.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 599, 500, 605.

⁴ მ. ნემიროვსკი, ნაწევარი მთის კავკასიურ ენებში: საქ. სსრ მეცნ. აკად. შ., VII, 1946, გვ. 379.

ა-ცუ-ნ-ს ← *ა-ცუ-ან-ს

უძველესი ა-ცუ-ან ფუძე მხოლოდ ა-პრეფიქსიანი იყო. აქედან უწყვეტელი: აცუნ-დ-ა: მანიაკი ოქრომსაჲ ყელსა აცუნდა: ჰაგ. მასალ. 30.

ძველ ქართულში ახალი, -ამ სუფიქსიანი ფუძეც იხმარება. როგორც შედარებით ახალს, მას ყველა პრეფიქსი შეიძლება ჰქონდეს და მნიშვნელობაც შესაფერისად ნაირ-ნაირი: შე-ა-ცუ-ამ-ს, შდრ. შე-ხ-ა-ცუ-თ: ხანმეტი, 384,1; შთა-ი-ცუ-ამ-ს, შდრ. შთაიცუა: ქრესტ. 44,3; გან-უ-ცუ-ამ-ს, შდრ. განუცუმიდა: კიმ. I, 194,10.

[შე]-ა-შუ-ს ← [შე]*-ა-შუ-ან-ს

უკვე ძველ ქართულში ა-პრეფიქსიანი ფორმები თითო-ოროლიდაა. სავარაუდებელი -ან სუფიქსის გარდა, ფუძეს აწარმოებს -ენ სუფიქსიც, რომელიც კარგავს პრეფიქსისეულ ა-ს: *ა-შუ-ენ-ი-ს → შუ-ენ-ი-ს. ა-შუ-ან-ს ფორმის შესატყვისია მეგრული ო-სქ-უ(ნ).

- აწმყო

შე-მ-ა-შუ-ს: მთნავს და შემაშუს ცხორებაჲ: სვან. 323.

უწყვეტელი, კავშირებითი

შე-ა-შუნ-დ-ა: შეაშუნდა სიწმიდესა მისსა: ათონ. 92,159.

მო-ა-შუნ-დ-ე-ს: მოაშუნდეს სულსა თქუენსა: ზარზმ. 157,15.

აქვე აღვნიშნავთ, როგორც ფაქტს, რომ ძველ ქართულში ხმოვანთავსართს არ იღებდა მთელი რიგი ზმნები; როგორიცაა; ვუშილავს, ჰ-ყავ-ს, ს-თნავ-ს, ჰ-ბაძავს ს-ძინ-ავ-ს ჰ-ლჯ-ავ-ს, ს წყევ-ს, [მი]ს-ღევ-ს, ჰ-რიდებ-ს, ფუცავ-ს, ჰ-ხადი-ს და სხვები. ესენი იმით არიან საინტერესო, რომ ახალ ქართულში ზოგმა მათგანმა განვიითარა სხვადასხვა კატეგორია და შესაბამისი მაქცევრებიც გაიჩინა, ან ზოგი ფუძე ახალმა შესცვალა. ასეთი რიგის ფაქტებში მკაფიოდ ჩანს გრამატიკული წყობის განვითარებისა და სრულყოფის მოვლენები.

ა-ჯს-ოვ-ს

ჯს ძირს -ენ სუფიქსიც აწარმოებს; იგი უფრო მოქნილი და განვითარებულია ქცევის სხვადასხვა პრეფიქსის მისაღებად: მო-ა-ჯს-ენ-ა, მო-ი-ჯს-ენ-ა, მო-უ-ჯსენ-ებ-ი-ე-ს; აჯსოვ კი უფრო ძველი ფუძეა, ოდენ ა-პრეფიქსიანი.

ა წ მ ყ ო

მ-ა-ჯს-ოვ-ს: ვინაჲ მავსოვს გუშინდელი იგი: ზარზმ. 64,7.

გ-ა-ჯს-ოვ-ს: საკვრველთ-მოქმედებაჲ კეთილად გავსოვს: ანტიოქ. 106,3.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

ა-ჯს-ოვ-დ-ა: რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებელად ავსოვდა: ხანძთ. ლგ 9.

როგორც ენახეთ, ა- პრეფიქსიანი ზმნები სხვადასხვა პრეფიქსით გამოხატულ ქცევის ფორმებს არ აწარმოებენ. მაგრამ ძველ ქართულში საჭიროების გამო უკვე ჩამოყალიბებულა ამავე ზმნათა ძირებზე თემატური სუფიქსების დართვით ახალი ზმნური ფუძეები, რომლებიც უფრო მოქნილია ქცევის კატეგორიის გამოსახატავად. ა-ჯსოვს, ა-ქუს, ა-რს ტიპის ზმნები კი უძველესი ერთპრეფიქსიანი კლასიფიკაციის გადმონაშთია ძველ ქართულში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი უძველესი კლასიფიკაცია საგრძნობლად მოშლილია ძველ ქართულში და ფუძეები განვითარებულა. წინათ ასეთი ზმნები უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ამას უნდა ადასტურებდეს ა- პრეფიქსიანი რამდენიმე სახელი, რომელთა შესაბამისად ზმნასაც ა- პრეფიქსი ექნებოდა: ა-კიდ-ო (← *ა-კიდ-ავ-ა); *ა-კიდ-ავ-ს; ა-შორ-ო¹ (← *ა-შორ-ავ-ა); *ა-შორ-ავ-ს და მისთ.

თუ რიგ ზმნებთან ფუძის ხელახალი წარმოება იყო საჭირო სხვადასხვა ქცევის გამოსახატავად (შდრ. ა-ჯს-ოვ, მაგრამ ა-ჯს-ენ-ა, ი-ჯს-ენ-ა, ე-ჯს-ენ-ა, უ-ჯს-ენ-ა), ერთი ჯგუფის ზმნებში ა- ფუძისეულად იქნა გაგებული და მაქცევარი მას დაერთო. მაგალითად, ა-ლ-ს-ა-ა-რ-ებ-ა ხა- პრეფიქსით ნაწარმოები სახელია არ ძირისაგან, რომელშიც ასეთივე ა- გამოიყოფა: ა-რ²: ს-ა-რ-ა — რალაცის აილიარება³. გვაქვს არ ძირისაგან ნაწარმოები სათავისო და სასხვისო ქცევები:

ყოველმან, რომელმან აღზიაროს მე წინაშე კაცთა, DE მთ 10,32; აღუვარებდეს⁴ (C აღუვარებდეს) ცოდვათა მათთა: DE მთ 3,6; ასევე: ლქ 22,6.

¹ ნიშნავს 'აცილებას' და იხმარება XV—XVIII სს. ქართულ ისტორიულ საბუთებში. აშეაქად დაკულია კახურსა და ქიზიყურში.

² არ ← ჰარ: ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძველ., 1953. გვ. 550.

³ სეანური ღვარა (ღმრბეთ ღვარა ღმერთს ვფიცულობ: ლი-ღვრიელ 'ფიცი') იქნებ ვ-არ-ა-ს გულისხმობს ქართულში.

⁴ ვ ვითარდება ხმოვნებს შორის. შდრ. სარწმუნო-ვ-ება.

მაგრამ უპრეფიქსო რ ძირიცა გვაქვს¹: გან-ე-რ-ა (გადარჩა: ვერვინ განერებოდა კელთაგან: ხანძთ. 6 თ 9; ივლტოდა და განერა: წარტყუნ. იდ 20). აქედანვეა ძველი მასდარი გან-რ-ომ-ა-ჲ და ახალი მიმღობა ჩამა-მ-რ-ები (=მოარული სენი, იხმარება იმერეთში).

მაშასადამე, აქ იმის ანალოგიური მდგომარეობაა, რაც ი-იძულ-ა ზმნაში აღინიშნა.

რაც შეეხება ზოგიერთ სხვა ფუძეს, მათში მთლიანად ს-ა-პრეფიქსი იქნა გაგებული ძირის კუთვნილებად და უკვე ძველ ქართულში გვაქვს:

სახ-ი-ობ-ს

ნაწარმოებია ს-ა-ხ-ე სიტყვისაგან, ძირია ხ, რომელიც საერთოა ხ-ედ-ავ, ა-ხ-ელ, შეუ-ხ-ენ-ებ-ავ (ხეესურული), ნა-ხ-ავ ფუძეებში². სახე+ობ-ა → სა-ხი-ობ-ა, სა-ხი-ობ-ს: სახიობდეს სახიობასა კეთილსა: სახისმეტყ. კლ 10.

საზღურ-ებ-ს

ზმნა უნდა გვეჩინოდა ნაწარმოები ზღურ ფუძისაგან, არის კი საზღურ ფუძისაგან: განასაზღურებს: ხრონოლრ. 181,25; ე-საზღურების: საბა, 4,20 და ა. შ.

ძველ ქართულში ფუძეს შეხორცებული ასეთი თანხმოვანპრეფიქსი ხმოვნითურთ სხვაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამჯერად აღვნიშნეთ შედარებით სარწმუნო³.

როგორც ზემოთაც ითქვა, ა-პრეფიქსიან ფუძეებში უნდა გავარჩიოთ ძველი და ახალი ფორმაციის ერთეულები. ძველ ქართულში შედარებით ცოტაა ა, resp. ს-ა პრეფიქსიანი ფუძეები, რადგანაც ასეთი დაყოფა (ა-კლასიანი ზმნები) მოშლილა. მაგრამ გამოყენებით კი ძალიან ფართოდაა გამოყენებული ა-პრეფიქსი, განსაკუთრებით ახალ ქართულში. იგი უპირისპირდება კუთვნილებითი ურთიერთობის გამომხატველ ი- და უ-პრეფიქსებს, ძალიან ხშირადაა ნახმარი⁴, თუმცა კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხა-

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფუძელ., გვ. 549.

² ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, გვ. 492.

³ შემთხვევითი არ უნდა იყოს ხმოვნის გამოვლენა ზარდა, მოვსამ (=მოვსაე)... ზმნებში. საგულისხმოა, რომ ხანურსა და სვანურში ზარდა- ზმნის ზა(←სა?) არაა წარმოდგენილი.

ძველი ქართულის ი-თხველიდეს II ი-სათხველიდეს გვიჩვენებს, რომ ს-ა-თხველობა ფუძე ა-პრეფიქსიანი უნდა ყოფილიყო: *ათხვე-ს, *ათხველ-ებ-ს.

⁴ ა. შანიძე, ქართული ზმნის საქვევი, გვ. 319.

ტვის თვალსაზრისით ნეიტრალურია. ზოგ შემთხვევაში კიდევ ეს ა- პრეფიქსი კაუზატიური წარმოშობისაა¹, სახელთაგან ზმნური ფორმების აუცილებელი საწარმოებელი თავსართია. ძვ. ქართულის „ნულნიშნიან“ (სწყვეს ტიპის ზმნათა) განვითარების ისტორიიდან ჩანს, რომ ა- პრეფიქსი ასეთ შემთხვევებში გამოყენებით მეორეულია. გარდამავალი საფეხური, უპრეფიქსოდან პრეფიქსისაკენ, და კაუზატიური ფორმების წარმოების შემთხვევები ძველ ქართულშიც გვაქვს:

სწავლის → || ა-სწავლის.

მან სწავლიხ² და კუალად ნუგეშინის-სცის: წარტყუნ. იბ 31.

სული წმიდაჲ ახწავლიდა საიდუმლოთა მათ: კიმ. I, 92,25.

ყოვნის → || ა-ყოვნ-ებ-ს.

ყოვნის უფალი ჩემდა მოსლვად: მთ 24,48.

ჰ-უუედრ-ის → || ა-უუედრ-ებ-ს:

ჰგუენმ ქრისტიანეთა და ჰუუედრინ: ანტიოქ. 89,11.

ხოლო ბერი იგი აუუედრებდა მათ: კიმ. I, 226,10.

ჰ-სხურ-ებ-ს → ა-სხურ-ებ-ს.

ჰსხურეს სისხლისა მაგისაგანი სამოსელსა: ლევიტ. 6,27.

ანალოგიურადვე უპირისპირდება ერთმანეთს შე-ხვევ-ს და შე-ა-ხვევ-ს, გზავნი-ს და ა-გზავნი-ს, ტყავებს (ქვემოიმერ.) და ა-ტყავებს. ხოლო კაუზატიურ ფორმებში: სჯს წყალი (სახისმეტყველ 12) მაგრამ: ა-ხუშიდა მათ წყალსა (კიმ. I, 16,9), აწყყო ა-ხუ-ამ-ს.

უფრო ხშირად ა- პრეფიქსი -ებ (resp. -ევ) სუფიქსთან ერთად იხმარება: ფუც-ავ-ს, მაგრამ: გ-ა-ფუც-ებ (რაეახ. 83, 28) და ა. შ.

ყოვნის-აყოვნებს ტიპის ზმნებიდან ჩანს, რომ ფუძეები ქვევის კატეგორიის წარმოების უნარს იძენენ და ახალი ვითარების შესაფერისი ხდებიან.

ნ. მარო აღნიშნავდა, რომ ხმოვანი პრეფიქსი ა- გარდამავალ მნიშვნელობას ანიჭებს ზმნებსო³. ზოგი სტატიკური ზმნა აცვია ტიპისა, რომელსაც ა. შანიძე ნატრანსტივალს უწოდებს⁴, ამას მხარს უჭერს. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არაა. შემდეგ პერი-

¹ ა. შანიძე, ქართული ზმნის საქვევი, გვ. 319.

² ძველ ქართულში ეს ზმნა მეტად საინტერესოა სემანტიკური განვითარების თვალსაზრისით: სწავლის 'ტანჯავს'.

³ Gram., გვ. 139.

⁴ იქვე. ა. შანიძე.

ოდში ქართულმა ენამ ძალიან ფართოდ გამოიყენა ა- სხვადასხვა ფუნქციით და თავდაპირველი კონკრეტული მნიშვნელობის ნაცვლად მრავალნაირი დანიშნულებით აღჭურვა იგი. ყველაზე ხშირად ის ნასახელარ ზმნებში ვლინდება: ა-ბერ-ებ, ა-ხე-ვ-ებ... „შეგვეძლო გვეთქვა, რომ ა'ს დანიშნულება მეორეული ზმნების წარმოებაა საარვისო ქცევითა“¹. ა'ს გამოყენების ასაკი ასეთ შემთხვევაში შეიძლება -ებ სუფიქსის დამკვიდრებასთან (შდრ. ზემოთ ყუედ-რის — ა-ყუედრ-ებ-ს...) დაგვეკავშირებინა.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ა'ს გენეზისი? თუკი დეიქტურმა ი- პრეფიქსმა რეფლექსური, უკუქცევითი მნიშვნელობა შეიძინა და გარკვევით გამოხატული კუთვნილებითი ურთიერთობა აჩვენა, სავარაუდოა, რომ ის გვექონოდა შაქუს (შდრ. მივის), მავსოვს, მრწამს და ასეთ ზმნებში, რომლებშიც თითქოს ყველაზე მეტადაა გადმოცემული სუბიექტური აღქმა მოქმედება-მდგომარეობისა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი თვალსაზრისი თავისუფალი არაა დღევანდელი გაგებისაგან. როდესაც ასეთი დაყოფა იყო, მკვეთრ დაპირისპირებას იმდენად არ უნდა ჰქონოდა ადგილი². ეს ხმოვან-პრეფიქსები დღევანდელი გაგების გამომხატველი არ იყო. მათ ჩვენებით-განსაზღვრებითი ნაწილაკის ფუნქცია ჰქონდათ. არაა შეუძლებელი, რომ ა-ს გარკვეულ შემთხვევაში სუბიექტისადმი ან ობიექტისადმი მიმართული მოქმედება ეჩვენებინა³. ეს უნდა ჩანდეს როგორც ახალი ქართულის დადვა-დაადვა, გზავნის-აგზავნის, ისე ძველი ქართულის დაჰყუეთა-დააკუეთა ფორმებიდან⁴.

მართალია, ასეთ „მიმართულებას“ სივრცესი ძველი ქართულის ყველა ზმნა ვერ უჩვენებდა, მაგრამ სხვადასხვა საშუალებით იგი მაინც გამოიხატებოდა საკირიებისამებრ: შდრ. ახალი ქართული ა-ზის და ძველი ზე ზის: ზე ზის... კიტუსა: ი 12,15...

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლ., გვ. 315.

² შეიძლება ამით აიხსნას, რომ რამდენიმე უქცეო ზმნა შემდეგში ქვეიანი გახდა: ა-გრძნობს: ნუ აგრძნობს მარცხენე შენი: C მთ 6,2; წარწყმედსა თქსა და დაქცევასა აგრძნობდა: თხრობა 24; არა აგრძენ [...E უ წყ ი], რა იქმნა: C ლკ 24, 18; აგრძნო კაცმან მან მხაკუფარებად იგი: ანტიოქ. 131, 35.

შდრ. გრძნობ-ს: რაძთა არა ვგრძნობდე მე წყლულებათა ტანჯვისა შენისათა: კიმ. II, 11,9.

ახალ ქართლში ჩვეულებრივია გარკვეული ქცევის ფორმები: გრძნობს, შდრ. ა-გრძნობს, უ-გრძნობს (გული).

³ საგულისხმოა, რომ ქვეანაკლ ზმნებში ზმნისწინი არ იხმარება.

⁴ შდრ. ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფუძვლ., § 440.

ყურადღება მისაქცევია ის გარემოება, რომ სახელებში სუფიქსად გამოყენებული -ი ნათესაობით-მოქმედებითმა განიკუთვნა¹, ხოლო -ა მიმართულებით-მიცემითს დაუკავშირდა, როცა იგი საბოლოოდ სუფიქსად დამკვიდრდა. ასე ჩამოყალიბდა მიმართულებიანი საბერძნეთ-ა, ჯოჯოხეთ-ა², ნაზართ-ა (← || ნაზარ-ეთ-ა: ტბ. ლკ 2, 39; 2, 51) ტიპის სახელებთან, სადაც -ა სუფიქსს მერე დაერთო თანხმოვანი დეტერმინანტი დ || ნ || ს³: ნაპირ-ა-ს || ნაპირ-ა-დ || * ნაპირ-ა-ნ (შდრ. ინგილოური ნადირობ-ა-ნ = ნადირობ-ა-დ). დამახასიათებელია, რომ ეს უძველესი მიმართულებითი, რესრ. მიცემითი ძველ ქართულში არ დაირთავდა ემფატიკურ ხმოვანს⁴, რომელსაც იგივე წარმოშობა უჩანს, რაც განხილულ ა საწარმოებელს.

ამგვარად ა-ხმოვანი თავდაპირველად გვექონდა პრეფიქსად ერთი კატეგორიის სახელებში და ზმნებში, შემდეგში სუფიქსადაც იქნა გამოყენებული. გენეტურად იგი ნაცვალსახელოვან ძირს უკავშირდება⁵.

ძველი ქართულის ქცევანაკლი ზმნები ნაშთია ოდინდელი, მართლოდენ ა- პრეფიქსით განსაზღვრული ფუძეებისა. ამიტომდა, რომ მათ ქცევის გაგება არა აქვთ. ძველ ქართულში ეს ხმოვანელებენტი უფრო ზოგად მნიშვნელობას იძენს და ფართოდაა გამოყენებული სიტყვაწარმოებაში.

§ 23. უ- პრეფიქსიანი ზმნები

უ- პრეფიქსი ქართულში სასხვისო ანუ საობიექტო ქცევის ნიშანია. სასხვისო ქცევით გამოიხატება სუბიექტის მოქმედება „არა თავისაზე ან თავისთვის, როგორც სათავისოში, არამედ სხვისაზე ან სხვისთვის“⁶. ობიექტის (სხვის) საგანზე ან მისი სხეულის ნაწილზე მოქმედებას გადმოგვცემს უ- პრეფიქსიანი ფორმები ძველი ქართულის მრავალ ზმნაში და ამით ნათლად ჩანს მისი გა-

¹ გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 498.

² არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის წარმოებისა, მნიშვნელობისა და ისტორიისათვის: ენიმკის მოამბე, I. 1937, გვ. 20—23.

³ შდრ. ვ. თოფურია, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში: უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1942, მოხსენებათა თეზისები, გვ. 88.

⁴ შდრ. II. М а р р, Грамм., გვ. 140.

⁵ როგორც ეს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებშია შენიშნული: მ. ნემე-როვსკი, ნაწევარი მთის კავკასიურ ენებში: საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, V. 1946, გვ. 378.

⁶ ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფუძელ., § 390, გვ. 320.

მოყენების თავისებურება როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში:

საუკუნითგან არავის ასმიეს, თუ აღ-ვინმე-უხილნა თუალნი ბრმისანი: ი 9, 32.

დაუტუნა პირნი ლომთანი: ბოლნ. 49.

დაუბნელნა თუალნი მათნი კიმ. I, 242, 13.

შეუპყრნეს ფერჯნი მისნი: C მთ 28, 9.

დაუმუსრნეს წვენი მისნი: ი 19, 32.

შეუკრენით ფერჯნი მაგისნი: C მთ 22, 13.

განუტმეს ორნივე კელნი მისნი: ურპ. 49.

რომელთანი დაუბნელდეს სრულიად გონებისა თუალნი: სასულ: პლ 240.

↳ობიექტის საგანზე მოქმედებაა მიჩნეული უ- პრეფიქსიანი ქცევის თავდაპირველ და დამახასიათებელ მნიშვნელობად¹. აქ კონკრეტულადაა ნაჩვენები: შეუპყრნეს ფერჯნი მისნი — მისი (ობიექტის) ფეხები დაიჭირეს; დაუმუსრნეს წვენი მისნი — მისი წვივები დაამტვრიეს. მისი გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბი ობიექტის (ან სუბიექტის) კუთვნილებათ, მისი ნაწილია. ნათესაობითის გამოყენება დამატებისათვის აქ სავსებით კანონზომიერია.

მაგრამ უ- პრეფიქსის მნიშვნელობა, როგორც ეს ძველი ქართულიდან ჩანს, აღრევე ფართოვდება და მისი შემცველი ფორმები აღნიშნავს სხვისთვის განკუთვნილ მოქმედებასაც:

ულოცევდით მათ, რომელნი [გხ]უეკდენ თქუენ: C მთ 5, 44.

შდრ. ილოცევდით მათოჯს, რომელნი გმძლავრობდენ: DE, იქვე. მიუვლინეს მას და გამოჰხადოდეს: DE მრკ 3, 31.

შდრ. შეავლინეს ხადად მისა: C იქვე.

განურისხნა მას უფალი იგი თჯი: მთ 18, 34.

შრდ. განარისხნეს ორთა მათ ძმათათჯს: მთ 20, 24.

უ- პრეფიქსიანი ფორმების ასეთი გამოყენება იმდენად გავრცელებულია, რომ მან გავლენა იქონია ზემოთ აღწერილ შეუპყრნეს ფერჯნი მისნი ტიპის კონსტრუქციებზე და ნათესაობითიანი დამატება თანდათანობით შეიცვალა მიცემითით: შეუკრენით მაგისნი ფერჯნი და კელნი: C მთ 22, 13 → || შეუკრენით მაგას კელნი და ფერჯნი: DE, იქვე.

უ- პრეფიქსით სასხვისო ქცევის გამოხატვა ძველ ქართულში ძირითადად ჩამოყალიბებული სისტემის სახეს ატარებს. მაგრამ

¹ არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 108.

ძველ ქართულშივე არის ნიშნები იმისა, როცა იგი ჯერ კიდევ არაა ზმნაში მიუხედავად იმისა, რომ შინაარსი მას მოითხოვდა; უ-პრეფიქსი სხვისთვის განკუთვნილი მოქმედებისათვის არაა გამოყენებული:

სასწაული... აჩუენენ¹ ჩუენდა მომართ: ანტიოქ. 137,1.

ბრძოლანი და ძლევანი აჩუენნა მტერთა მიმართ: იქვე, 71,1.

აჩუენებდა ჩუენდა მიმართ ამას: იპოლ. 55.

შდრ. უჩუენნა მათ ყოველნი სუფევანი: მთ 4,8.

მეორე მხრით, უ-პრეფიქსი არაა გამოყენებული ისეთ ზმნებშიც, რომლებითაც ობიექტის სხეულის ნაწილზე, ობიექტის კუთვნილ საგანზე მოქმედებაა გადმოცემული: განაგრილოხ ენასა ჩემსა: C ლქ 6,24; შდრ. განმიგრილოხ ენაჲ ჩემი: DE, იქვე.

სიმრავლე იგი ერისაჲ დაჰფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა: C მთ 21,8; შდრ. უმრავლესი იგი ერი-დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა: DE; იქვე.

რომელთა სჯან მისგან, მოაჩჩხს მუცელი მათი: თუალთ. 22.

დაჰბანნა ფერკნი მათნი: ი 13,2.

წარჰკუეთა ყური მისი: მთ 26,51.

შეშკრნა ძარლუნი ქელთა და გუერდთა მისთანი: კიმ. I, 254,20.

იჩვევა, რომ უ-პრეფიქსი აუცილებელი არ ყოფილა კუთვნილებითი ურთიერთობის გამოსახატავად, ეს ურთიერთობა სხვაგვარადაც შეიძლებოდა გადმოცემულიყო. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ძველ ქართულში უ-პრეფიქსიანი ზმნები e-სთან შედარებით ცოტაა. ძველ ქართულში არის ერთისა და იმავე შინაარსის ზმნათა სხვადასხვა ქცევის ფორმით ხმარების შემთხვევები.

მიუძღუნა იგი კრული ანა კაიაფას მლდელთ მოძღუარსა: C ი 18,24.

შდრ. მიავლინა იგი ანა კრული კაიაფაჲსა მლდელთ მოძღუარისა: DE, იქვე.

უთხართ მოწათეთა მისთა: DE მთ 28,7; 27,64.

შდრ. არქუთ მოწათეთა მისთა: C, იქვე.

ასევე სხვადასხვა პრეფიქსიანია სინონიმური ზმნები უბოძა და მიანიჭა, მიართუა, მიჰგუარა და მიუძღუნა და ა. შ. ამას ისიც ემატება, რომ ზოგიერთ ფუძეში ჯერ კიდევ არაა უ-პრეფიქსი, რომელიც შემდეგში იქ აუცილებელია.

¹ ასეთ შემთხვევაში არ უნდა გამოვრიცხოთ სათარგმნელ ენას თავისებურებას.

წარმძლუვე შენ წინაშე პირსა უფლისას: ლკ 1,76.

ძველ ქართულში უ- პრეფიქსი ზოგჯერ კუთვნილებითს ურთიერთობას იქაც არ გამოხატავს, სადაც იგი მკვიდრი პრეფიქსია, სადაც მას სხვა პრეფიქსი არ ენაცვლება (ასეთებია ოდენ უ-პრეფიქსიანი ზმნები).

უ-წ-ე-ს-ს, უ-წ-ოდ-ს

უ-წ-ეს ფუძის შედარება უ-წ-ოდ ფუძესთან და იმავე მნიშვნელობის უ-წ-უ ('უთხრა') ზმნა მეგრულში უდავოს ხდის, რომ ძირია წ. საყურადღებოა აქ იშვიათი -ეს სუფიქსის გამოვლენა. მოსალოდნელია აგრეთვე და კიდევ დასტურდება -ას: მო-ყუ-ახ, შდრ. მო-ყუ-ა-რე¹, რაც აღნიშნულია ლიტერატურაში. ძველ ქართულში აწმყოში სხვა პრეფიქსი არც ერთ ამ ფუძეს არ ერთვის. რამდენად მკრთალია ამ ზმნაში კუთვნილების გაგება, ამას პარალელური უქცეო ფორმებიც ადასტურებს.

მოუწოდელ მოყუასთა თვსთა: DE მთ 11,16.

შდრ. მოხადიან მოყუასთა მათთა: C, იქვე.

რავდენნიცა ჰპოვნეთ, მოუწოდეთ: C მთ 22,9.

შდრ. რავდენიცია ჰპოვოთ, მოხადეთ: DE, იქვე.

მოუწოდს თქუმულთა ამათ: ეკლეს. 2,21.

ერთეულ შემთხვევებში უწოდ ზმნას აქვს შეუპყრა („შეუპყრა ფერტი მისი“) ზმნისებური სინტაქსური კონსტრუქცია, რაც ანალოგიითაა გაჩენილი: უწოდი სახელი მისი იოვანე: ლკ 1,13.

ამგვარადვე შეიძლება წარმოვიდგინოთ უ-წ-ეს-ს ფუძის მნიშვნელობა.

გიწესს შენ მამა გრიგოლ: ხანძთ. ჯა 7.

რომელი უწესს ერსა მას: იპოლ. 7,3.

კაცად ღმრთისად გიწესდა: კიმ. I, 69,4.

უ-ბრკ-უმ-ი-ს ← *უ-ბერკ-უმ-ი-ს

ფუძეში უდავოდ გამოიყოფა იშვიათი ხმარების -უმ სუფიქსი². მსგავსი სუფიქსი გამოყენებულია ქანურში აწმყოს მოქმედებითი გვარის ზმნებთან³.

იგივე ბრკ სხვა სუფიქსითაცაა ცნობილი: ბრკოლ: [და-ბრკ-ოდ-ებ-ა, საიდანაც ძველ ქართულში ფართოდაა გავრცელებული გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის ფორმები. ძირია ბრკ ← *ბერკ || ბორკ, დასული ნაწარმოებ ერთეულებში: კუარცხლ-ბერკი.

¹ ე. თ. ფ. რ. ი. ა, ზმნის უძვ. სუფიქსაც., გვ. 493.

² -უმ შეიძლება აქ იგივე ომ- იყოს: * ბრკ-ომ — ბრკ-უმ.

³ არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 131.

ბორკ-ილ-ი, შდრ. აგრეთვე შე-ბორკ-ავ-ს. მესამე პირის უ- პრეფიქსიანი ფორმებს გარდა სხვა ფორმა ცნობილი არაა.

უკუეთუ ვინმე ვიდოდის ღამესა, უბრკუმეს მას: ი 11,10;
DE ი 11,9.

უბრკუმა და დაეცა: ჰაბო 78,29.

შეუბრკუმეს სლვანი მათნი: ბოლნ. 87.

ვითარცა იწყის სიტყუად, შეუბრკუმის ენაჲ მისი: კიმ. I, 335,1.

და-უ-თმ-ობ-ს

თმ ძირისაგან ორი ზმნა იწარმოება: -ენ სუფიქსით: და-ი-თმ-ენ-ს, რომელიც ძველ ქართულში მარტოოდენ ი- პრეფიქსიანია, და -ობ სუფიქსით: და-უ-თმ-ობ-ს, რომელიც უ-ის გარდა სხვა პრეფიქსს არ იღებს. მაშასადამე, ძველ ქართულში ერთი და იმავე ფუძისაგან არ იწარმოება ი- პრეფიქსიანი და უ- პრეფიქსიანი ფორმები: და ეს საგულისხმო ფაქტია. ახალ ქართულში კი ეს შესაძლებელია. მნიშვნელობის მიხედვით მათ შორის ძველ ქართულში თითქმის არაა განსხვავება. დამახასიათებელია ის, რომ ამ პრეფიქსების შესაფერისი დღევანდელი შინაარსი ამ ზმნებში ისე-მკვეთრად არა ჩანს.

ი-თმ-ენ-ს: ღმერთი ითმენდა ესოდენსა ზედა კერპობასა: კიმ. I, 45,14 (იგივე ითმენ ფუძე სხვადასხვა ნაკვთსა და პირში: კიმ. I, 204,22; სპევს. 334,79; მთ 10,22; 24,13; მრკ 13,13).

უ-თმ-ობ-ს: ვერ დაუთმობ კირთა და განსაცდელთა: საბა 9,25.

ვერ დაუთმობდი ხილვად კირთა: კიმ. I, 28,6.

დაუთმეთ ამას ყოველსა: წარტყუნ. ლა 11; მ 8.

ვერ ნუ დაუთმო-ა ამას: თეკლ. 104,19.

და-უ-ტ-ევ-ებ-ს

აქაც ორი სუფიქსი აწარმოებს ძირს, გვაქვს ტ-ევ და ტ-ოვ (მეორე ახალ ქართულშია). ორპირიანი გარდამავალი ზმნაა (ახლა სამ პირს შეიწყობს: დაუტოვა მან მას იგი). ძველ ქართულში ეს ზმნა, მართალია, უ- პრეფიქსიანია, მაგრამ იგი ფუძის განუყოფელ ნაწილად არაა გაგებული. ამით აიხსნება და-ე-ტევ-ა, და-მ-იტევ-ა ფორმების ხმარება. კუთვნილებითი ურთიერთობის გაგება არ იგრძნობა.

ესე ვითარცა თქუა, აღმოუტევა სული: ლკ 23,46.

სიტყუხა შენითა გარდაჰუტეო ბადს: ჰაემ. 383,5.

რომელმან განუტეფს ცოლი თჳსი: მთ 5,30.

რომელმან არა უტეფე იგი ჯორცთა შინა ყოფასა: კიმ. I, 200,17.

გამოუტეფებდეს მკეტთა მათ:თეკლ. 113,18.

შე-უ-ძლ-ებ-ს

საპირისპირო ფორმათა და უ- პრეფიქსის შესაფერისი შინა-არსის უქონლობის გამო ეს ზმნაც ქვეანაკლია. ახალ ქართულში იგა ი- პრეფიქსიანმა სუბიექტურმა ფორმებმა შეცვალა: შე-ი-ძლ-ებ-ს, ხოლო სასხვისო ქცევის ობიექტური წყობით გვაქვს სტატიკური შე-უ-ძლ-ი-ა¹. პირველი და მეორე ობიექტური პირის ფორმა ძალიან იშვიათია: და თუ შემოდღონ მე ბოროტის-ყოფად: კიმ. I, 190,27. ჩვეულებრივ მას მიმართულებით ბრუნვაში დასმული ნაცვალსახელი და უ- პრეფიქსიანი ზმნა ცვლის: შეუძლებს ჩემდა.

ვერ შეუძლებს ენაჲ გამოთქუმად: კიმ. I, 174,8.

ღმერთნი ვერ შეუძლებენ აქუენდა წარმოდგინებად: სვან. 231.

იწყო შენებად და ვერ უძლო აღსრულებად: წარტყუნ. ბ 31.

ვინ-მე უკუე შეუძლოს ცხორებად: C მთ 19,25.

ვერ შეუძლოთ ღმრთისა მონებად და მამონაჲსა: C ლკ 16,13.

უ-ძ-ღუ-ი-ს

ძღუ ← ძელუ (წარ-უ-ძელუ: ხანძთ. ზ 30)² ფუძეში ხმოვანი ამოღებულია აფიქსების დართვით. ეს ძირი სხვადასხვა წარმოებულ ფუძეშია გამოყენებული: *ძელუ-აღ-ა → ძღ-აღ-ა: უ-ძღუ-ი-ს || უ-ძღუ-ებ-ი-ს (პირველი უფრო ძველია, მეორე შედარებით ახალი). მეორეულია აგრეთვე -ან და -ავ სუფიქსებიანი ფორმებიც. ძღუ-ან: წარ-გ-ი-ძღუან-ებ-ღ-ე-ს (C მთ. 5, 41); ძველ ქართულში სუფიქსისეული ხმოვანი შემონახულია, მაგრამ რომელიღაც დიალექტში იგი, ეტყობა, იკარგებოდა, შდრ. ახალი ქართული უ-ძღვ-ნ-ი-ს → *უ-ძღუ-ან-ი-ს. რაც შეეხება -ავ სუფიქსს, პირიელ ფორმებში იგი არ დასტურდება, გვაქვს მარტო მასდარში: აძძულა წარძღუანვად (C მრკ 6,45).

ამავე ძღუ←ძელუ ძირს. -ენ სუფიქსიც აწარმოებს; მი-უ-ძღუ-ენ, აქედან სახელი ძღუ-ენ-ი. ნაზმნარი ზედსაზრთავებია, ძველ ქარ-

¹ ისახება ძველ ქართულში: რომელთაჲ ვერლარა ვის მოქსენებაჲ მათი შეუძლია: კიმ. II, 106, 35.

² ვ. თ. ო. ფ. რ. ი. ა, მესამე ტომის ვნებითის წარმოება ქართულში, გვ. 967.

თულშივე გასუბსტანტივებული, მო-ძღუ-არ-ი, (წინა)მ-ძღუ-არ-ი. ვუძის უძველესი აღნაგობისა და საწარმოებელი აფიქსების განო-ყოფის, თვალსაზრისით ეს ყველაზე საინტერესო ძირია.

ახლა, რაც შეეხება პრეფიქსს. უძველესი პირიელი ფორმა უპრეფიქსოა: წარძღუე! (ლკ 1,76). ამავე მნიშვნელობით შემდეგ გამოყენებულია უ- პრეფიქსიანი ფორმა დინამიკურ გარდაუვალ უ-ძღუ-ს, უ-ძღუ-ებ-ი-ს ზმნაშიც და გარდამავალ უ-ძღუანებს ფორმაშიც.

მაგ.: ბრმაჲ ბრმასა თუ წინა უძღუნ: მთ 15, 14.

წარუძღუა მათ იესუ: C მრკ 10, 32.

მიუძღუანა იგი ჰეროდეს: ლკ 23,7.

ამგვარად, უპრეფიქსო ფორმისა და მის სინონიმად პრეფიქ-სიანი, მაგრამ შინაარსით უქცეო, ზმნის გამოყენება იმას ამტკი-ცებს, რომ უ'-ს აქ არ ჰქონდა კუთვნილებითი (სახვითი ქცევის) ფუნქცია.

უ-თხრ-ობ-ს

უ-თხ-არ ფუძეში ძირს შეხორცებული უძველესი კლას-ნიშანი დ თანხმოვანი და -არ სუფიქსი უნდა გვეკონდეს: *დ-ხ-არ → თ-ხ-არ. ამ შემთხვევაში ხ იგივე სემანტიკური ოდენობა ჩანს, რაც ხ-ად-ი-ს ('ეძახის') ზმნაში გვაქვს. თუ ეს ასეა, მაშინ უ- პრეფიქსი მეორეული დანართი აღმოჩნდებოდა: დ → თ თანხმოვანპრეფიქსს უნდა ჰქონოდა მომდევნო ხმოვანპრეფიქსი.

ძველ ქართულში ეს ზმნა ერთი ძირით აწარმოებს პირველი და მეორე სერიის ნაკვთებს, ახალში მოუთხრობს ზმნა პირველ სერიაში იშვიათია, მას ჩვეულებრივ ენაცვლება ეუბნება ზმნა: ეუბნება — უთხრა. ძველი ქართულის სიახლეა ვნებითის ფორმა: მო-გუ-ე-თხრ-ა: ზარზმ. 168, 7.

აწმყო, უწყვეტილი

აწლა მასვე გითხრობ: ბარლ. 122,23.

ნუ ვის უთხრობთ ხილვასა ამას: მთ 17,9.

უთხრობდეს მას სიტყუათა ცხორებისათა: ჰაბო 65,33.

წყვეტილი

ყოველივე წარმოუთხრა: ზარზმ. 164,25.

მოვიდეს მონანი იგი და უთხრეს სახლისა... უფალსა მას: მთ 13,27.

როგორც ზევითაც აღინიშნა, უ-თხარ ზმნის პარალელურად ძველ ქართულში ა-რქუ იხმარება, რაც ქცევის გაგებას იმგვარად-როგორადაც ეს ჩვეულებრივ გვესმის, არ გულისხმობს. უ-პრეფიქსის ქცევის ფუნქციით გამოყენება ჩამოყალიბდა ქართულში მას შემდეგ, რაც საერთოდ ხმოვანპრეფიქსებს კუთვნილებითი ურთიერთობის გაგება დაუკავშირდა.

უძველეს ქართულში უნდა გვექონოდა უ-პრეფიქსიანი სახელები ისევე, როგორც გვექონდა ი- და ა-პრეფიქსიანები. ამის საბუთია: 1. და-პ-ბან-ა ტიპის ზმნების უქცეოდ გამოყენება: დაჰბანა ჯელი მისი და არა დაუბანა ჯელი მისი, რადგანაც ბან-ს ფუძე არ შედიოდა უ-პრეფიქსიან სახელთა კატეგორიაში და აღარც შემდეგ განუფითარდა ეს უ; 2. სხვადასხვაგვარად ნაწარმოები ფუძეების გამოყენება ი- და უ-პრეფიქსიანი ზმნებისათვის იმის მაჩვენებელია, რომ ეს პრეფიქსები ერთსა და იმავე ფუძეში არ მონაცვლეობდნენ: იყო ოდენ ი-პრეფიქსიანი (ი-თმ-ენ) და ოდენ უ-პრეფიქსიანი (უ-თმ-ობ) ფორმები.

უ-პრეფიქსის გამოყოფა ხერხდება რიგ ფუძეებში. ს. ჯ ა ნ ა-შიამ და ა. შ ა ნ ი ძ ე მ ის გამოჰყვეს უ-კუ-ან-ა სახელში, რომელიც ეტიმოლოგიურად უკავშირდება კუ-ალ სიტყვას¹ (შდრ. ფშაური უ-კვ-ენ-ა = უკანა). უ-არაფუძისეულადაა მიჩნეული სვანურ უ-დილ ('და დისათვის') სახელში², ასევე უ-ფალ'ში³. იმავე სვანურ უ-სგუა'ს შედარება ქართულ ე-ქვს' თან და ე-რთისა ქართულშივე თანდებულად გამოყენებულ უ-რთ ფუძესთან უ'ს გამოგვაყოფინებს. უ-რთი'ს სიძველეს მისი თანდებულად ქცევაც მოწმობს, მასში უ'ს გამოყოფას სვანურის იგივე სახელიც მხარს უჭერს: ე-შხუ 'ერთი', მაგრამ: უ-შხუ-დ' ერთად', უ-შხუ-არ 'ერთმანეთს'.

ქართველურ ენებში ცნობილია გ || რ მორფოლოგიური და ძირისეული ელემენტების შენაცვლება⁴, მაშასადამე, ძირი ერთია, საწარმოებლები სხვადასხვა ამ სახელებში: უ-რდ-უ-ლი, ს-ა-გდ-ო-ლი-ი⁵. ამგვარად, უ-კვლავ პრეფიქსია.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე მ, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან, გვ. 340 (სხვათა შორის, უკუან სიტყვაში კუ მიანიშნა ძირად თ. უო რ დ ა ნ ი ა ს: გრამატიკა, 1889, გვ. 15).

² არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., გვ. 9.

³ იქვე, გვ. 225.

⁴ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექს., გვ. 260.

⁵ სხადლოლი—კარის მოგდების (მისაგდებელი, B) გასაყრები; ურდული—კართ წასაყარი კეტი (საბა, ქართული ლექსიკონი, 1928 წ. გამოც.).

ასეთივე შედარება უფლებას იძლევა უ- არაძირისეულად, პრეფიქსად ვცნოთ უ-ბ-ან სახელში და ვ-ე-უ-ბ-ენ ზმნაში. ყველა ამ ფუძეში დადასტურებული უ- პრეფიქსი ზმნებშიც მეორდება. უ- მჯობს ტიპის სახელებში, მართალია, უ- გამოყენებით გვიანდელია, მეორეულია, მაგრამ იმის დადასტურებაა პრინციპული მნიშვნელობისა, რომ აქ ზმნისეული (უკეთ, ზმნასთან საზიარო) უ- პრეფიქსი მეორდება¹. როგორც ზემოთ განხილული სახელებისათვის უნდა ყოფილიყო იგი ერთადერთი (ერთი დიალექტის შიგნით), ისე ერთადერთი იქნებოდა ზმნებშიც. ამას ადასტურებს ოდენ უ- პრეფიქსიანი ზმნები, რომლებშიაც იგი ფუძეს შეხორცებია. სასხვისო ქცევის გაგება ამ ზმნებს არც ოდესმე ჰქონიათ. არც ახლა აქეთ. უ- პრეფიქსის გაჩენა აქ უფრო ძველია, ვიდრე ქცევის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბება-განვითარება.

უ-ბნ-ობ-ს

უ- ფუძესაა შეხორცებული და ამიტომაც, რომ ნაწარმოებ ერთეულებშიც გადაჰყვება:

უ-ბნ-ობ-დ-ეს: მრავალჯამ მარტოდ უბნობდეს ნეტარნი ესმ ხანძთ. ნე 15.

ვ-ე-უ-ბნ-ებ-ოდ-ე: ჰრომს ვეუბნებოდე და სიტყუა მოვიდე მეფეთათჳს: კიმ. I, 70,29.

და-გ-ი-უ-ბნ-ე: დიდად სარგებელ შეყო სიტყუა შენი და მინდა, რაათამცა ესევეითართა პირთათჳს მყოვარეამ დაგიუბნე (sic): კიმ. I, 78,16.

*უ-რ-ავ-ს, შდრ. ურ-ვ-ა

აქაც პრეფიქსია უ-, ძირს შეხორცებული. ამიტომაც, რომ შოქმედებითისა და ენებითი გვარის ზმნურ ფორმებში იგი უცვლელადაა წარმოდგენილი: ი-ურ-ვ-ი, შდრ. აღივსებოდა ნავი იგი და იურვოდეს: ლკ 8,23; ა-ურ-ვ-ებ, შდრ. არა ისმინა მისი, არამედ უფროასლა აურვებდა მას: მთ 18,30. იგივე ითქმის ახალი წარმოების ე-ურ-ვ-ებ-ის შესახებაც: არარაა მეურვების მე სიქადულთა შენთათჳს: კიმ. II, 2,34.

უ-რ-ავ'ში ძირია რ, იგი უნდა მეორდებოდეს წარმოებით დიალექტურ ს-ა-ა-რ-ებ-ა, ი-ა-რ-ებ-ი-ს ('იტანჯება') ფუძეებში²,

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 337.

² შდრ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძე, 1953, გვ. 549—550.

რაც დასტურდება ძველ ქართულ ტექსტებში მათი პარალელური გამოყენებით: იხილნა იგინი, რამეთუ იურვოდეს სლვასა მას ნავისასა: DE მრკ 6,48. შდრ. იხილნა იგინი საარებულნი ლელვისა მისგან ნავისა: C, იქვე.

ასევე: შენ მანდა იარები: C ლკ 16, 95. შდრ. შენ იტანჯები: DE, იქვე

ამგვარად, იურვოდეს—წვალობდნენ, წუხდნენ, იტანჯებოდნენ; საარებულნი — გაწვალებული, შეწუხებული, გატანჯული.

ასე რომ უძველესი უღვლილების ფორმად აქ უნდა გვექონოდა *ვ-უ-რ-ავ, ძირია რ, უ- კი საწარმოებელი ხმოვანპრეფიქსი.

უ-წყ-ი-ს

სპეციალურ ლიტერატურაში ამ ზმნის სიძველე უდავოდაა მიჩნეული¹. ამ სიძველის მაუწყებელი ისიცაა, რომ უძველესი უ-პრეფიქსი ფუძეს შესორცებია ისე, რომ ფუნქციაც აღარ განუვითარებია. გარდამავალი (კაუზატიური) ფორმები ახალი ფუძითაა გამოხატული: ა-უწყ-ებ: აუწყებს უფალსა თვსსა: ხანძთ. კგ 5.

სარწმუნო ჩანს უ-წყ-ის დაკავშირება სევანურ ლი-წ-ედ ('ნახეა') და ქანურ-მეგრულ ო-წყ-ე-(ნ), ო-(რ)-წყ-ე-(ნ) ფუძეებთან². აქ უ- ძველისძველი და პირველადი პრეფიქსია ისევე, როგორც ზემოაღნიშნულ სახელებში. საგულისხმოა, სხვათა შორის, ასეთი დაპირისპირება ამჟამად სხვადასხვა ფუძეში: უ-წყის — ი-ცის.

უ-ფლ-ებ-ს

ფ, ფ-ალ ფუძეებისაგან ქართულში მრავალი სახელია ნაწარმოები³, მათ შორის მ-ე-ფ-ე. ს-ე-ფ-ე (ზეფე კაცი), უ-ფ-ალ-ი⁴. სწორედ ეს უ-ფ-ალ ფუძეა გამოყენებული ზმნურ ფორმაში:

უ-ფლ-ებ-ს: უ-ფლ-ებ-დ-ეს იგინი, რომელნი შენგან შეიქმნნეს: იაკობ. ლე 5.

მოქმედებითისა და ვნებითის ფორმებში ძირისეულად გაგებული უ- რჩება:

¹ არნ. ჩიქობავა, ერგატ. კონსტრუქციის პრობლ., გვ. 70; მისივე, Kartvelische Sprachen, ihr historischer Aufbau und der ursprüngliche morphologische Aufbau, их исторический состав и древний морфологический облик: იბერ.-კავკას. ენათმეცნ., II, გვ. 265.

² დ. მაჭავარიანი, უწყის ზმნის ეტიმოლოგიისათვის: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, XI, 1952-1953, გვ. 124.

³ არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უფ. აგებ., გვ. 225, შდრ. გვ. 317.

⁴ სოფელთან შეპირისპირებით უს გამოჰყოფს ვ. თოფურია: ხმოვანთავსართოვანი სახელები, გვ. 457.

ე-უფლ-ებ-ი-ს: ეუფლებიხ სულსა წარმართთასა: კიმ. I, 54,16.

ე-უფლ-ა: კაცსა ვისმე ორგულებაჲ და ურწმუნობებაჲ ეუფლა: ან-ტიოქ. 181,7.

ა-უფლ-ებ-ს: არა აუფლებს ქალწულთა სუმაღ: თეკლ. 100,5.

ი-უფლ-ა: იუფლა მან ეშმაკი: კიმ. I, 6,9.

მსგავსად **ე-** და **ა-** პრეფიქსიანი სახელებისა, აქაც საძიებელია ოდენხმოვნიან პრეფიქსებთან ერთად რიგ შემთხვევებში თანხმოვანპრეფიქსიც. თანხმოვანპრეფიქსის დართვა იყო, რომ ქმნიდა კლასის შესაფერის უღვლილებას, resp. ბრუნებას.

საბაას თავის ლექსიკონში უღვლის (წყვილის) მნიშვნელობით ფიქსირებული აქვს ჰულელ-ი¹. აქ უნდა გვქონდეს რთული ფონეტიკური სახეცვლილება: ჰულელ ←* ჯულელ ←* დ-უ-ღ-ელ (შდრ. კინკუელი). ამ სიტყვის ძირია **ღ**, რომელიც ინდოევროპულ ენებშიც დასტურდება. მათ შორის საყურადღებოა ბერძნულის ვარიანტი **δ** *δύω* || *δύω*². მაშასადამე, უ-ღ-ელ სიტყვაში შეიძლებოდა გვქონოდა თანხმოვანპრეფიქსი. გაათრიატებული პრეფიქსი რომელიღაც დიალექტში ფუძეს შეჰყინვია.

ექვს აღვიძრავს აგრეთვე მეგრულში გავრცელებული პრეფიქსიანი ფორმა: ქართ. უ-ზე, მეგრ. ლ-უ-ბა, აქ ლ- თავსართი ჩანს³. თანხმოვანპრეფიქსადაა მიჩნეული ნ-უ- სახელში ნ-უ-კრ-ი⁴. რაც შეეხება ს-უ-ფ-ე-ფ-ა ფუძეს, აქ კარგა ხანია ს-უ- პრეფიქსადაა გაგებული⁵.

ფ ძირს დაერთო უ- პრეფიქსი: უ-ფ, აქედან თანხმოვანპრეფიქსისა და დეტერმინანტი სუფიქსის დართვით მივიღეთ ს-უ-ფ-ე-ფ-ა (რა?) და მ-ე-უ-ფ-ე (ვინ?). თანხმოვანპრეფიქსის ძირთან შეხორცების გამო მოიშალა მოსალოდნელი წარმოება, სავარაუდებელი *ვ-უ-ფ-ე-ფ ტიპის უღვლილების ნაცვლად შემოგვრჩა ვ-ხ-უ-ფ-ე ტიპის ფორმები.

ამგვარად, უ- პრეფიქსს იყენებდნენ სახელებიც და ზმნებიც. იგი იმდროინდელია, როცა ქცევის გრამატიკული კატეგორიის წარმოება და გაგება ჯერ კიდევ არ იყო. ფუძესთან მისი შეხორცება და, ამგვარად, ოდენ უ- პრეფიქსიან ზმნათა წარმოქმნა იმის მაუწყ-

¹ თუ აქ სპარსული წარმოშობის და სომხურში ცნობილი *hul* (ქართ. კ ი გ ო, ზემოიშვრული კ ი ღ ვ ა) არა გვაქვს.

² იხ. არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., გვ. 31.

³ შდრ. И. К у п а ш х д з е, დასახ. ნაშრ., გვ. 07; გვ. 364.

⁴ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. და კავკას. ენებ., გვ. 184.

⁵ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 225.ქ

ყებელია, რომ მას არაფერი უპირისპირდებოდა, არსებობდა მხოლოდ უ- ჯგუფის სახელები.

პრეფიქსისეული ეს უ- შემდეგში¹ სუფიქსადაც იქნა გამოყენებული. ის გამოიყოფა მსახ-უ-რ, მდგ-უ-რ², ა-სხ-უ-რ-ა (შდრ. ა-სხ-ამ), უბრკ-უ-მ-ა... ფუძეებში.

მისი თავდაპირველი ფუნქცია სახელებში მითითება, ჩვენებითობა უნდა ყოფილიყო. როდესაც ქვევის კატეგორია ჩამოყალიბდა, ეს მითითებითი ნაწილაკი თავისი სემანტიკით ახლოს აღმოჩნდა სასხვისო ქვევასთან. ოღონდ რატომ სამივე პირში არაა იგი: *მ-უ-ყუარ-ს, *გ-უ-ყუარ-ს, ისე, როგორც სევანურშია: მ-უ-ღვა, ჯ-უ-ღვა, ხ-უ-ღვა? შეიძლება კიდევ იყო ასე და უ- პრეფიქსმა მოგვცა ი. ფაქტები, როცა უ → ი, ცნობილია ქართველური ენებიდანაც და ქართული დიალექტებიდანაც: სუფრა → სიფრო, ულუფა ულიფა, უფრო → იფრო (ფერეიდნული იფო), საბა ს ლექსიკონში: ულუმელი || ულიმელი, უმარული → || უმარილი... მაგრამ ეს ფაქტები ახალია, უძველეს ტექსტებში ასეთი რამ არ დასტურდება.

ობიექტური წყობის ქვევიან ზმნათა პირველ ორ პირში იგივე ი- იქნა გამოყენებული, რაც ი-ც-ი-ს ტიპის ზმნებში (შემდეგ სათავისო ქვევაში) გვაქვს. ეს პრეფიქსი უკეთ გამოხატავდა ამ პირებისადმი რელაციას, მესამე პირში უ დამკვიდრდა, მესამე პირისადმი დამოკიდებულება მან აღნიშნა: ს-ი-ყუარ-უ-ლ-ი: მ-ი-ყუარ-ს (ჩემი სიყუარული), გ-ი-ყუარ-ს (შენი სიყუარული), მაგრამ: უ-ყუარ-ს-არ გვხვდება, მართალია, ს-უ-ყუარ-უ-ლ-ი, მაგრამ სუფიქსში (-უ-ლ)-უ-ს გამოვლენა შაინც საინტერესო და ანგარიშგასაწეია.

ამგვარად, უ ისეთივე დამოუკიდებელი პრეფიქსია, როგორიც ი-, ა-, ე-, მიუხედავად იმისა, რომ ცოტაა ს-უ, ღ-უ, ნ-უ (ლ-უ), რ-უ-პრეფიქსები სახელებში (შდრ. ს-ე, ნ-ე და სხვა...). უ- პრეფიქსს ვერ ჩავთვლით ო-სგან მიღებულად, რადგანაც ეს ძალიან რთული და საეგებიო პროცესია. პირიქით, ო-ს საკითხია შესასწავლი რიგ შემთხვევაში (მაგ. ს-ი-ორძ-ი-ლ-ში, ს-ო-ფელ-ში...).

¹ თუ იმავდროულად!

² არნ. ჩიკობავა, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., § 31, გვ. 74, 80.

ნაწილი მესამე

გვარნაკლი ზმნები

გვარი ქართული ზმნის ერთ-ერთი მკაფიოდ და სხვადასხვა გრამატიკული საშუალებით გამოხატული კატეგორიაა. მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო გვარის მიხედვით უპირისპირდება ერთმანეთს ქართული ზმნის ფუძეთა უმეტესობა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოქმედებითი და ვნებითი¹. აქ გრამატიკული საშუალებით ვლინდება სუბიექტისა და ზმნით გამოხატული მოქმედების ურთიერთობა. სუბიექტი ან აქტიურია ან პასიური, ე. ი. იგი ან მოქმედებს ან განიცდის მოქმედებას. უკვე ძველ სალიტერატურო ქართულში განვითარებულია და ჩამოყალიბებული ვნებითი გვარის წარმოების გრამატიკული სისტემა. გვაქვს, ერთი მხრით, წერს, ფარავს, შვა... მეორე მხრით, ი-წერ-ებ-ი-ს, ე-წერ-ებ-ი-ს; ი-ფარ-ვ-ი-ს, ე-ფარ-ვ-ი-ს; ი-შვა და ა. შ. ზოგიერთი სახელის ფუძისაგან სამივე გვარის ფორმა დასტურდება, რაც ნასახელარ ფუძეთა ახალი წარმოების შედეგი, გრამატიკულ წყობაში მომხდარი ცვლილების შენაძენია: აღამალდა, აღამალდა, მალლოვინ; განამდიდრა, განამდიდრა, მდიდროვინ; ასევე: ჰმოსიეს, იმოსების, შეჰმოსს და სხვები სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენენ მიმართებას სუბიექტსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის.

მაგრამ ფაქტები გვიდასტურებენ, რომ გვარის კატეგორიის გამოხატვას ძველ ქართულში თავიდან ბოლომდე გატარებული სისტემის ხასიათი ჯერ კიდევ არა აქვს, ბევრია გამონაკლისი: რიგი მოქმედებითის ფუძე არაა თითქოს მოქნილი საპირისპირო ვნებითი აწარმოოს. ასე რომ ძველ ქართულში, თანამედროვე გაგების მიხედვით თუ ვიტყვი, საკმაოდაა „ცარგვარიანი“ ზმნური ფუძეები: გარკვეული რაოდენობის ზმნები იხმარება მარტოოდენ მოქმედებითში და თავისი ფუძისაგან ვერ აწარმოებს ვნებითს: უტევენს, სტყორცებს, აგდებს, ყრის, კლავს... ან, პირიქით, ფორ-

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 290.

მის მიხედვით ჰგავს ვნებიითი გვარის ზმნას, მაგრამ მოქმედებითი არა აქვს: მოკულა, დავარდა, დაშთა, ელშის და ა. შ. ამიტომ ასეთ ზმნებში გვარის კატეგორიის გამოხატვას ძველ ქართულში სუპლექტური ხასათი აქვს: სემანტიკურად გაერთიანებული სხვადასხვა ფუძეა გამოყენებული სხვადასხვა გვარისათვის, რადგან გვარის მიხედვით განსხვავების ჩვენება უკვე საკიროა: უტევებს და დაშთა, მოკლა და მოკულა, მელშის და დამამტკივნებ ცალ-ცალკე გვიჩვენებენ მოქმედებითსა და ვნებითს.

გვარის კატეგორიის ისტორიისათვის ამ ტიპის ზმნებს მნიშვნელოვანი ჩვენების მოცემა შეუძლია. ეს არაა შემთხვევითი ხასიათის ზმნები. ისინი ენის ყველაზე ძველ მდგომარეობაში მოქმედი კანონზომიერების უტყუარი გადმონაშთებია. ესენი მომდინარეობენ იმ დროიდან, როცა გვარის გრამატიკული კატეგორია ქართულ ზმნაში, საფიქრებელია, ჯერ კიდევ არ გაირჩეოდა, არ იყო ვნებითი გვარი. გვარის მიხედვით განსხვავების განვითარების შემდეგ რიგი ზმნური ფუძე დაექვემდებარა საერთო წარმოების ყალიბს, მაგრამ გარკვეული რაოდენობის ზმნებმა წინანდელი ფორმა შეინარჩუნა. აი, სწორედ აქ ჩანს გრამატიკული წყობის ნელი ცვლა, მისი გამძლეობა. „ეპოქათა განმავლობაში შემუშავებული გრამატიკული წყობა, რომელიც ენას შეუსისხლხორცდა, კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე ძირითადი ლექსიკური ფონდი“¹.

ამგვარად, ე. წ. გვარნაკლი ზმნები ოდინდელი უგვარო ზმნებია, მათი ისტორია უფრო ძველია, ვიდრე გვარის გრამატიკული კატეგორიისა, მათი ხმარება ამ კატეგორიის ჩამოყალიბებას უსწრებს. ძველისძველად ეს ფუძეები არც მოქმედებითი იყო, არც ვნებითი, იგი წარმოადგენდა ერთგვარად ნეიტრალურ მონაცემს, როგორც, მაგალითად, დღევანდელი ხუნძური ზმნა². ეს ნეიტრალური ზმნა სათანადო კონტექსტში განასხვავებდა გარდამავლობასა და გარდუვალობას უპირატესად სუბიექტის სათანადო ფორმის მიხედვით. ის ფაქტი, რომ გარკვეული რაოდენობის ფუძეები ოდენ-ვნებითი გვარის გამოსახატავად იქნა გამოყენებული, მეორე კი მოქმედებითისათვის, მიუთითებს უძველესი ასეთი დაყოფის შესაძლებლობაზე: ერთი მხრით, უგვარო დინამიკურ-გარდაუვალი ზმნები,

¹ ი. ს. ტაღლიანი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1954, გვ. 23.

² არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის: ამ კონსტრ. სტაბილური და ლაბილური ვარიანტები: ენიმკის მოამბე, XII, გვ. 232.

მეორე მხრით, უგვარო დინამიკურ-გარდამავალი ზმნები¹. გარდამავლობა-გარდაუვალობა მაშინ მარტოოდენ სემანტიკურად, ზმნის შინაარსით გაირჩეოდა: შდრ. კლავს იგი მას და ზის, წევს, ძეს ტიპის ზმნები...

ქნებითი გვარის საწარმოებლად დღეს მიჩნეული აფიქსები ისტორიულად სულ სხვა დანიშნულებით იხმარებოდა: ეს აფიქსები ან ფუძის დეტერმინატებად იყო გამოყენებული (კუ-ედ, ვ-ედ, ქმ-ენ...) ან დეიქტური ნაწილაკების ფუნქცია ჰქონდათ. გვარის კატეგორიის საწარმოებლები გენეტურად უკავშირდება ქცევის კატეგორიის საწარმოებლებს, მათ ერთი წარმოშობა აქვთ. ვნებითი გვარის აფიქსები, როგორც ამ კატეგორიის საწარმოებელი, მეორეულია გამოყენებით და, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე გვიანდელია.

დიდად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არა მარტო ძველი ქართული, არამედ ახალი ქართულიც დღემდე იყენებს ერთსა და იმავე ფორმას მოქმედებითისა და ვნებითი გვარისათვის: კონტექსტს გარეშე, მაგალითად, გაუგებარია მოქმედებითისაა ზმნათუ ვნებითისა: დაეშალა, დაეკარგა, დაეწერა, დაეხატა²...— შეიძლება მოქმედებითი გვარის გარდამავალი ზმნაც იყოს, შეიძლება გარდაუვალი ვნებითაც. ეს არაა შემთხვევითი. ე- პრეფიქსი წარმოშობით არაა გვარის საწარმოებელი ნიშანი, მას თავდაპირველად იგივე ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რაც ი-, ა-, უ- ხმოვანპრეფიქსებს ჰქონდა სახელებსა და ზმნებში.

გვარნაკლი ზმნების შესწავლით შეიძლება აღვადგინოთ ის ეტაპი, რასაც ქართული ენის განვითარების ისტორიაში ჰქონია ადგილი ოდესღაც ისევე, როგორც ამჟამადაა რიგ იბერიულ-კავკასიურ ენებში, კერძოდ აფხაზურ ენაში, რომელმაც დღემდე არ იცის ვნებითი გვარი³. ქართული ენის მიმართ ეს ვითარება ხერხდება დადგინდეს ოდესღაც მოქმედი სისტემის გადმონაშთების, ახალი სისტემის მიხედვით კი გამონაკლისების ისტორიის შესწავლით. ასე რომ ქართულმა სალიტერატურო ენამ ამ მხრით გაიარა გაცილებით უფრო დიდი გზა, ვიდრე სხვა იბერიულ-კავკასიურმა

¹ ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში: იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, ტ. IV, 1953, გვ. 80. შდრ. გვ. 77—79.

² ახალ ქართულში (XII საუკ-დან) დადგინდა აქ განსხვავება -ნ (-ენ) და -ებ სუფიქსების გამოყენებით: შდრ. წაეკითხა და წაეკითხნა-ა.

³ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნაში: ენიმკის მოამბე, XII, გვ. 24.

და რიგმა ინდო-ევროპულმა ენებმა. „მოქმედებითი და ვნებითი გვარის დაპირისპირება ინდო-ევროპულ ენათა უმეტესობაში მოჩვენებითია, რადგან ვნებითი გვარი თითქმის არასოდეს არ უპირისპირდება მოქმედებითსო“¹ — უჩვენებენ ამ ენათა სპეციალისტები. ისეთი მდიდარი ისტორიის ენაშიც კი, როგორცაა რუსული ენა, გვარული ურთიერთობა არაა ისე თანამიმდევრული სისტემით გამოხატული, როგორც სხვა კატეგორიები². გვარის კატეგორია ძველ რუსულში სუსტად იყო განვითარებული³. გვარის მიხედვით განსხვავება რუსულ ზმნაში გვიანდელი შენაძენია⁴.

გვარის კატეგორიის განვითარების ისტორიის შესასწავლად მიემართოთ ცალკეული ტიპის ზმნათა ანალიზს. კრთი მხრითაა ხმოვანპრეფიქსული გვარნაკლი ზნნები, მეორე მხრით წმინდა ფუძეები, რომელთაც ასეთი პრეფიქსი არა აქვთ.

§ 24. ე- პრეფიქსიანი ზმნები

ქართულ ზმნაში გვარის კატეგორიის განვითარების ისტორია განსაკუთრებით ნათლად ჩანს ე- პრეფიქსიანი ზმნათა ანალიზიდან. ეს პრეფიქსი გვევლინება ისეთ ფუძეებშიც, რომელთაც ენებითის მნიშვნელობა სრულებითაც არა აქვთ. ასეთია როგორც ზმნები, ისე სახელები. სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ე- არაა ფუძის კუთვნილება ე- რქუ-ან სიტყვაში, რომელსაც საზიარო ძირი აქვს სა-რქუ-ელ-თან⁵. შესაძლოა ე- აქ მეორეულიც იყოს, თუ კი ვიგულისხმებთ, რომ რ პრეფიქსია და მას ხმოვანი მოსდევდა. თუ სარწმუნოა უ-‘ს პრეფიქსად მიჩნევა და მისი გამოყოფა უ-ბან-ში, მაშინ უდავო იქნება ე-‘ს გამოყოფა ე-ბან სახელშიც, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი შე-ბან-ება და ბან სახელებს უკავშირებდა: „ებანი უძველეს ზნაში მხოლოდ შებანებისათვის იყო განკუთვნილი, მართო შემბანებელი საკრავი იყო და ამიტომ გვებადება აზრი, რომ ბანი, რომელიც თავდაპირველად აგრეთვე მხოლოდ შებანებას ნიშნავდა, და ებანი, რომელსაც ეგვიპტურს ზემომოყვანილს სახელთან (ტებუნი. ი. ქ.), უკველია, კავშირი

¹ Ж. Вандриес, Язык, გვ. 103, შტრ. გვ. 104, 105.

² Грамматика русского языка, издание АН СССР, 1953, გვ. 412.

³ П. С. Кузнецов, Историческая грамматика русского языка, М., 1953, გვ. 200.

⁴ С. П. Обнорский, Очерки по морфологии русского глагола, М., 1953, გვ. 59.

⁵ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვ. აგებულება, §40, გვ. 96.

უნდა ჰქონდეს, ერთი და იმავე წარმოების სიტყვები უნდა იყოს (ხაზი ავტორისაა. ი-ქ.)¹. ამგვარად, ასეთი მიმართება დგინდება: უ-ბან: უ-ბნ-ობ-ს; ე-ბან: ე-ბან-ებ-ა.

ე-პრეფიქსია გამოყოფილი ქართველურ ენებში საერთო ძირის მქონე სახელში ე-ნა (სვან. ნი-ნ, ზან. ნე-ნა)², ქართული ბალ ფუძის სვანურ შესატყვისში ჰ-ე-ბ³ და სხვა. ქართულში ე-რთ და უ-რთ (ერთ+ურთი...) ფუძეთა მონაცვლეობა ცხადს ხდის პრეფიქსის გამოყოფას, მის არაძირისეულობას. იგივე შეიძლება ითქვას რიცხვითი სახელის ე-ქვს-ის შესახებ: სვანური უ-სგვა ადასტურებს, რომ ე- შეიძლება გამოვეყოთ ქართულში.

ე-ქვი და ი-ქვი სახელების არსებობა ე-პრეფიქსის გამოყოფის საბუთადან მიჩნეული⁴.

მაშასადამე, ფაქტია, რომ სახელის ფუძეს ემყარება ზმნა: ე-ჭუ-ი: ე-ჭუ-ს, 'ეკვიანობს'. ასეთი შესადაარებელი სახელადი ფუძეები ზოგჯერ არ დასტურდება, მაგრამ ე- არაფუძისეულად მიიჩნევა ქვემოთ აღწერილ ზმნებშიც.

ე-ჭუ-ს

სპეციფიკური სემანტიკის ზმნაა, იგი უპირატესად ადამიანის სენსორულ მოქმედებას გამოხატავს და ხმოვანპრეფიქსის წინ გარდაუვალ ფორმებში რა-კატეგორიის თანხმოვანპრეფიქსი არ უნდა გვექნოდეს. საგულისხმოა, რომ ხვესურულში დაცულია ვ-ეჭი, რა-შიც ვინ-კატეგორიის პრეფიქსი შეიძლება იყოს ფუძესშებორცებული. ე-პრეფიქსი ამ ზმნის ძირს შეერწყო, მის განუყოფელ ელემენტად იქნა გაგებული და მისი ახალი ფუნქციით გამოყენებაც არ მოხერხდა. ვნებითის საწარმოებლად გამოყენებული ე-პრეფიქსი მთლიან ეჭუ ფუძეს დაერთო:

მ-ე-ეჭვ-ებ-ა, და-ეჭვ-დ-ებ-ა (შდრ. შეეჭუ-დ-ა: კიმ. I, 181,14).

ახალ ქართულში ეს ფუძე უპირატესად ობიექტური წყობით იხმარება (მ-ე-ეჭვება და მისთ.), ძველში კი მარტოოდენ ვ-პრეფიქსით უნდა ყოფილიყო გავრცელებული: ვ-ეჭუ⁵.

ეჭუ-ს ამოდ: ანტიოქ. 125,15.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 289.

² არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 53; ვ. თოფურია, ხმოვანთავსართოვანი სახელები, გვ. 455.

³ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

⁴ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 455.

⁵ „უფუნქციო პრეფიქსი იკარგება ან ფუძეს შეეზარდება“ (არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორიისა და ბრუნვის ნიშანთა გენეზისისათვის

ე-ჟუნ-ი-ს

„ეჟუნთან“ ნასახელარი ზმნაა, ის „ეჟუნ“-ისაგან არის ნაწარმოები და ამას ნიშნავს: ექვანივით ჟღერენ“¹. მაშასადამე, სახელადი ეჟუნ ფუძე მეორდება ზმნაშიც, რომელიც დადასტურებული გვაქვს აწმყოს მიხედვით:

ვითარცა რვალნი ოხრიან და ვითარცა წინწილნი ეჟუნთან: თომას სახარ. აპოკრ. 38,86.

ე-ლ-ავ-ს

მსგავსად ეჟუნ-ი-ს ზმნისა, ერთპირიანი ნასახელარი ზმნაა აგრეთვე ელაგ-ს ზმნაც. ე-ს რომ არა აქვს აქ ის ფუნქცია, რაც მას ძველ და ახალ ქართულში დაუკავშირდა, ნათლად ჩანს ამ ზმნის შინაარსიდან, ამასთანავეა დაკავშირებული ისიც, რომ ამ ზმნაში არა ჩანს -ი სუფიქსი, რომელიც აუცილებელია ამგვარ ზმნებში (შდრ. ე-მალ-ვ-ი-ს ← *ე-მალ-ავ-ი-ს და სხვა):

რომლისაჲ პირი ელაგ-ს: სპეცს. 334,73.

ე-ლმ-ი-ს

ამ ზმნის მასდარია ხ-ა-ლმ-ობ-ა-ჲ. უდავოა, რომ ამის მიხედვით ძველი ზმნა ალმ-ობ-ს, (resp. ა-ლმ-ი-ს) უნდა ყოფილიყო. ე-პრეფიქსით ეს ზმნა თავისებურ შინაარსს იღებს. ისე ჩანს, თითქოს სუბიექტის საგანზე მოქმედება იყოს გამობატული ამ ზმნით: ელმის მისი. ამგვარად, არაა გვაქვს საპირისპირო ფორმები, არა გვაქვს საფუძველი ელმის ზმნა წარმოშობით ენებითად მივიჩნით.

ა წ მ ყ ო

მელმის ძუცელი ჩემი: ბოლნ. 81.

მელმიან წელი ჩემნი: კიმ. I, 145,16.

რმელთა ელმიედ სტომაქნი: თუალთ. 46.

ქართულში: მეცნ. აკადემიის მოამბე, VI₁₋₂, 1945, გვ. 61-62). ვ- თავსართი საერთოდ არა ჩანს, ალბათ, იმიტომ, რომ ვ'ს, როგორც მოქმედი მორფოლოგიური ელემენტის — I პირის სუბიექტური პრეფიქსის, ფუნქცია არც მოშლილა და არც შენელებულა. პირველი პირის აღნიშვნაში რომ სუფიქსაცია დამკვიდრებულიყო ქართულში, ისე როგორც მესამე პირში, ალბათ მრავალი ფუძესმებორცე-ბული ვ-პრეფიქსი აღმოგვჩინდებოდა.

¹ ა. შანიძე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები: უნივერსიტეტის შრ., XVIII, 1941, გვ. 34.

უწყვეტელი

რომელსა სტომაქი მისი ფიცხლად ელმოდა: კიმ. I, 238,35.
 ელმოდა გული მისი: თხრობა, 16.
 ყოველთა გუელმოდა მის-თანა: ზარზმ. 181,22.

წყვეტილი

იელტოდა რაჲ იგი, შეელმნეს ფერქნი მისნი: თხრობა, 44.

ე-ლ-ი-ს

უმარტივესი ფუძე დასტურდება თავდაპირველი პერმანსივის, ფორმაში. შემდეგ ამ ფუძემ ცვლილება განიცადა, გართულდა -ლ სუფიქსით და აწარმოებს -ებ სუფიქსით აწმყოს ფუძეს: ა-ლოდ-ებ-ს, ე-ლოდ-ებ-ი-ს; ნაეი მცირე დაალოდონ მას: C 3,9; შდრ. მოელოდნეს იგინი წყალობასა: თხრობა, 18. ასე, რომ -ე არ იქნა ძირის კუთვნილებად გაგებული. ე-ლოდების ზმნა, როგორც ახალი წარმონაქმი, ა-ლოდებს ზმნის მიმართ ენებითა. მაგრამ ასეთი დაპირისპირება ე-ლის ფუძესთან არაა ცნობილი და არც მოსალოდნელია, რამდენადაც იგი ძველი აღნაგობის ოდენ ე-პრეფიქსიანი ფუძეა:

სამი დღე არს ვინაჲთგან შელიან მე: მრკ 8,2.

• შეგემთხვოს, რომელსა არ მოელი: კიმ. I, 76,7.

ე-რჩ-ი-ს

ამ ზმნას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთია 'ემორჩილება, უსვენს, უჯერებს, უგონებს' (ერჩინ მას: C მრკ 6,20. შდრ. ისმინის მისი: DE, იქვე), რაც უფრო ჩვეულებრივია ძველ ქართულში, და მეორეა 'ედავება', რაც დამახასიათებელია უპირატესად ახალი ქართულისათვის: ხოლო ეგინი დღითი-დღედ მყუდრიედ და სიტყვთა მრავლითა მერჩიედ შჯულისა მათისათჳს: რაეახ. 93,18. შდრ. ერთსა ერჩინ და ერთი შეურაცხ-ყვის: C მთ 6,24; გასწავებ და მე არა მერჩი: კიმ. I, 153,1. სხვაგვარი აგებულებით ეს ფუძე ცნობილი არაა. იგი უძველესი აგებულების პერმანსიული ფუძეა. ძველ ქართულში ვითარდება და-ა-რჩოდ-ებს, ე-მო-რჩილ-ების, მაგრამ ეს გვიანდელია..

ე-ს-ავ-ს

აგებულებით არ განსხვავდება ელის, ერჩის ზმნებისაგან. ამ ფუძისაგან სხვა ფორმები არ განვითარდა, საპირისპირო ფომათა

უქონლობის გამო ე-ს ვერც მივიჩნევთ ვნებითის ნიშნად, წარმოშობით იგი ვნებითი გვარის პრეფიქსი არაა. ესავს ზმნის სინტაქსური კონსტრუქცია თავისებურია: დამატება ხან მიცემითში შეეწყობა, ხან -გან თანდებულთან ნათესაობითში:

რომელი ესავს შას: იაკობ. რლე 11.

სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ: მთ 12,21.

ვესავთ ღმრთისაგან: ურპ. 334,12; ასევე: თხრობა, 26,9.

ე-კიცხ-ევ-ს

ძველ ქართულში ჩვეულებრივია ე-კიცხ-ევ ფუძე, ახალში კი კიცხ-ავ, უკანასკნელი ძალიან იშვიათია ძველ ქართულში (შდრ. რომელნი ეცინოდეს მას პირველად, ჭკიცხვიდეს, რაჟთა აუწყოს. მათ... კიმ. I, 312,32; შდრ. განკიცხეს იგი: ლკ 23,11). ასეთი ისტორიული შენაცვლება იმის შედეგია, რომ მათ შორის განსხვავება არ იყო, ე; ი. ე-კიცხევ ფორმაში არ ჰქონდა ე-პრეფიქსი ვნებითი გვარის საწარმოებლის მნიშვნელობა და ორივე იხმარებოდა სხვადასხვა დიალექტში. დამახასიათებელია, რომ არც აქ გვაქვს ვნებითი გვარის ზმნისათვის ნიშანდობლივი -ი სუფიქსი ფუძის ბოლოს: *ე-კიცხ-ევ-ი-ს, ასეთი ფორმა უცნობია. კიცხავს და ეკიცხევს ზმნებს შორის ისეთივე მიმართებაა, როგორიც ახალი ქართულის ეცინის და დახცინის შორის, რომელთა შინაარსობრივი იგივეობა სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია¹. ერთადერთი განსხვავება ეკიცხევს და კიცხავს შორის შეიძლება ის ყოფილიყო, რომ ეკიცხევს მითითებით, ჩვენებით იყო განსაზღვრული.

მართლიად იქმს, რომელ ეკიცხევს: კიმ. I, 70,19.

ეკიცხევდ მას და ეტყუედ: C მთ 27,29.

ეკიცხევდეს მთავარნი იგი მათ თანა: C ლკ 23,35.

ჰბასრობდეს მსახურებათა მათთა და ეკიცხევდეს მას: კიმ. I, 195,28.

უფრო გვიანდელია და იშვიათადაც გვხვდება ძველ ქართულში ი-კიცხ-ვ-ი-ს ფორმა: ჰეროდე... მოიკიცხა მოგუთა მათგან: მთ 2,16.

*ე-სრ-ევ-ს

ძველ ქართულსა და დღევანდელ ხევსურულში მასდარია სრ-ევ-ა-ჲ, მისასადამე, პირიელი ფორმა ესრევს უნდა ყოფილიყო. თუმცა გამორიცხული არაა ე-სრ-ვ-ი-ს (←ე-სრ-ევ-ი-ს) გვექონოდა,

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 366, გვ. 291.

რადგანაც ძველი პერმანსივის ფუძე შესაძლოა ამ სახით უფრო ყოფილიყო. დასტურდება მარტოოდენ უწყვეტლის ფორმები, რომლებიც -ლ სუფიქსიან ნაზმნარ სახელთა შესაბამისად -ლ სუფიქსს დაირთავს: სრ-ლლ-ა: სრ-ლლ-ა...

როგორც ერთგან აღვნიშნეთ, ს-ი-სრ-ა მასდარი ვარაუდობს ი-სრ(ვ)-ი-ს ზმნის ხმარებას ძველ ქართულში, იხმარება კი მარტოოდენ ე-სრლლ-ა. ე- ძველია ამ ზმნაშიც, მანამდელი, სანამ ვნებითი გვარი ჩამოყალიბდებოდა. იგი აქაც მხოლოდ პირისადმი მიმართებას აჩვენებდა. ამით აიხსნება, რომ იგი დღეს მოქმედებითი გვარის ფუძეშიც გვაქვს: ე-სვრის იგი, ე-სრლლ-ა მან. ძველ ქართულში მეორე სერიას ვერ აწარმოებს.

და ესრლლეს იგინი ურთიერთას ისრითა: კიმ. I, 36,13.

ესრლლეს ფილაკაენითა ძლიერად: წარტყუნ. ივ 2.

ისრითა მისითა ესრლლის მტერთა: ბიბლ. ხელნაწ. 153,9.

ე-ტყ-ებ-ს

ვნებითი გვარის ზმნისათვის სპეციფიკური ფორმა არც ამ ზმნას აქვს. ძველ ქართულში მეორე სერიის ნაკეთები არ დასტურდება, მაგრამ ეს ზმნა დრონაკლი არ უნდა იყოს, ფუძედრეკად ზმნებს ჰგავს და შესაძლოა მათებურადაც იწარმოებოდეს. ახალი ქართულის ტყ-ეჰ-ა იგივე ტყ-ებ-ა ჩანს. უფრო ხშირია ე-პრეფიქსიანი ფორმები, შედარებით იშვიათი ი-ნიანი. შინაარსის მიხედვით მათ შორის არავითარი განსხვავება არაა.

გოდებით ეტყებედ შეილთა თვსთა: წარტყუნ. ივ 2.

გიგოდებდით და არა ეტყებდით: C მთ 11,17.

შდრ. არა იტყებდით: ტბეთი, იქვე.

დედაე განშორებასა შეილთასა ეტყებლა [var. იტყებლა] წარტყუნ. ივ 18.

პსტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს: ლკ 23,27; ასევე: ლკ 8,52; მთ 24,30; ხანძთ. ივ 9.

ხოლო დედაე მისი იტყებლა და აღუტევებლა ჯმასა: ანტიოქ. 86,6.

ე-ძ-ი-ებ-ს

ძველ ქართულში ეს ზმნა ორი ფუძითაა დადასტურებული: ერთია პერმანსივის ძველი ფორმა ი-ძ-ი-ი-ს (იძიის ნაპრალი და პოვის კლდისაჲ იწროჲ: სახისმეტყ. იდ 14), რომელშიც პირველი

ი სუფიქსი მიღებული ჩანს -ივ'ისაგან: ი-ძ-ევ-ი-ს →* ი-ძ-ივ-ი-ს → ი-ძ-ი-ი-ს¹; მეორეა, შედარებით იშვიათად ხმარებული ზმნა ძ-ძ-ნ-ი-ს, რომელიც ახალ ქართულში დამკვიდრდა: ძებნა ევლოგია იგი: ზარზმ. 179,30. ეძიებს ზმნასთან ('ეძებს, ძებნის') ეტიმოლოგიურად საერთოა გამოეძიებს ('გამოძიებას აწარმოებს'), რომელიც ზმნისწინთან ერთად ახალ ლექსიკურ მნიშვნელობას იძენს².

ე-ძიებ ფუძე უპირატესად პირველი სერიის ნაკვთებში იხმარება, მეორეში თითქმის არა. ამ ფუძის ჩამოყალიბება უკავშირდება აწმყოს, როგორც დროის კატეგორიის, ჩამოყალიბებას. ეს საგულისხმოა იმით, რომ ე-პრეფიქსის გამოყენება, როგორც არაენებითის ნიშნისა, ჯერ კიდევ ამ დროისათვის ყოფილა შესაძლებელი. ძველ ქართულში უფრო ხშირია ე-ძიებს, იშვიათია ი-ძიებს³. მნიშვნელობით მათ შორის განსხვავება არაა, ორივე აღნიშნავს 'ძებნის'; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ი-ძიებს მეორე სერიაშიც იხმარება: იძიოს და საჯოს: C ი 8,50.

ამგვარად, ე-ძიებ—ი-ძიებ ფორმებში ე- და ი-პრეფიქსებია.

ე-ენებითი გვარის საწარმოებელი ნიშანი არაა, ზმნა გარდამავალია.

ვეძიებ ნაყოფსა ლეღუსა ამას შინა: ლქ 13,7.

რომელი ხეძიებს, პოვის: ხანმ. 379,2 (მთ 7,8).

ამას ყოველსა წარმართნი ხეძიებედ: ხანმ. 375,22 (მთ 6,32).

ჰეროდე გეძიებს შენ მოკლვად: ლქ 13,31.

ამისთჳს გამოეძიებთ ურთიერთას: DE ი 16,19. შდრ. გამოიძიებთ (ხელნაწ.).

თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა: DE მთ 6,33.

წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი?: DE მთ 18,12.

შდრ. მივიდეს და ეძიებდეს შეცთომილსა მას? C, იქვე.

¹ ეს ძი- ფუძე გადაჰყვა ე-ძიებ ფორმაშიც. ე- — ებ აქ ისეთივე ოდენობა ჩანს, როგორც ა- — ებ გარდამავალ ზმნებში. — ებ სუფიქსის ძველ დიალექტურ მონაცვლედ შეიძლება ეგ სუფიქსიც გეჰონოდა, შდრ. არაფერი მო-ე-ძევ-ება= არაფერი მოეპოვება.

² განხილულ ზმნასთან სახიარო ძირს უნდა შეიცავდეს ი-ძ-ენ-ს (შე-ი-ძ-ინ-ა), რომელიც ზმნისწინებით სხვადასხვა მნიშვნელობისაა: მოსძინა 'მოხედა': მოგუძინეს (|| DE მოხედა) მზემან ჩუენ: C ლქ 1,78; ამავე მნიშვნელობისაა მისი მეგრული ვარიანტი ქო-ძირ-უ 'ნახა, resp. იპოვა'; შესძინა 'დაღმატა': შესძინა ძვრი ძვრსა ზედა: ხანმთ. წგ 9.

³ მხედველობაში არა გვაქვს ენებითი ი-ძიებ-ი-ს, რომელიც გამოყენებით ახალია.

***მი-ე-ც-ემ-ს**

ე- პრეფიქსი გამოიყოფა ამ ზმნაშიც, მაგრამ, განსხვავებით ბევრი ფუძისაგან, აქ იგი რედუქციას განიცდის ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას: ჰ-ე-ც-ა → ჰ-ც-ა.

გ ა რ დ ა მ ა ე ა ლ ი

ზოგი ფასისა ჩემისაჲ მიხუეც გლახაკთა: ხანმ. 386,8.

მეც მე წყალი: ი 4,10.

გუეც ჩუენ პური: C ი 6,34.

მშიოდა და არა მეცით მე ქამადი: მთ 25,42.

რომელმან დაუტეოს ცოლი, ეცინ განსატევებელი წიგნი: მთ 5,31.

მაგრამ: არავინ ჰცის მას [რქაჲ იგი]: ლკ 15,16.

რაჲთა სცენ მას ქამადი: C ლკ 8,55.

რედუცირებული ფორმები ძველია. ეგვევ ეც ფუძეა გამოყენებული შემდგომში ვნებითი გვარისათვის, რომელშიც, როგორც ახალ წარმოებულ ფორმაში, ე- აღარ რედუცირდება და, სხვათა შორის, ესეცაა ვნებითი გვარის განმასხვავებელი მოქმედებითისაგან. ე- პრეფიქსის გამოყენება ვნებითის ნიშნად აქ იმდროინდელია, როცა აწმყოს ფუძეში -ემ-ი სუფიქსები დამკვიდრდა: ე-ც-ემ-ი-ს. ძველი პერმანსიული ფუძეა ე-ც-ი-ს. აქედანაა ნაწარმოები ნამყო უწყვეტლის უძველესი ფორმა: მი-ს-ც-ოდ-ა: შდრ. მიხცოდინან: C მთ 21,41.

გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი

მი-ე-ც-ემ-ი-ს: ძე კაცისაჲ მიეცემის კელთა ცოდვილთასა: C მთ 26,45.

მი-ე-ე-ც-ი: რაჲთამცა არა მივეცე ჰურიათა: C ი 18,36.

მი-ე-ე-ც-ე: რაჲთა არა მივეცე პურიათა: DE, იქვე.

მი-ე-ც-ა: იოვანე საპყრობილესა მიეცა: მთ 4,12.

ე-ც-ე-ს: სასწაული არა-ეცეს მას: მთ 12,39.

ამგვარად, ე- საზიაროა, მოქმედებითის ფუძეშიც გვაქვს, ვნებითშიც. ე-ც-ემ-ი-ს ტიპის ფორმები შედარებით ახალია, მაშასადამე, ვნებითის ნიშნად მისი გამოყენება, რაც ძველ ქართულშია სისტემებრ, მეორეულია. ეს ზმნა თავდაპირველად გვარის მიხედვით ნეიტრალური იყო; ასე რომ ვერ ვიტყვიტ ე- მოქმედებითისაგან მომდინარეობს¹.

¹ შდრ. ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფუძელ., § 418. გვ. 365.

ზემოთ განხილულ ფუძეებში გამოყოფილია ხმოვანპრეფიქსი. გარდა ამისა, ქართულში შემორჩენილია ხმოვანთან ერთად თან-ხმოვანპრეფიქსიც. ასეთი პრეფიქსებია სახელებში ნ-ე-ზვი, ნ-ე-რწყვი, ნ-ე-სტვი¹, ნ-ე-კ-ი². ასეთივე დ-ე პრეფიქსი გამოყოფილია დე-კეულშიც (პარალელურად: დი-ა-კ-ე-ულ-ი, რომლის კ ძირი მეორდება თავდაპირველად ადამიანის კატეგორიის შესაბამის ზედ-სართავში მ-ა-კ-ე, შდრ. ეფემისტური ფეხმძიმე...) და ზმნაში დ-ე-გ.

სახელსა და ზმნაში ამ პრეფიქსების შეხორცება იმ დროის ფაქტია, როცა მათი ფუნქცია მოიშალა. ამიტომ უდავოდ პრეფიქსებია ნე- ზმნებში ნე-რგავს, ნე-რწყუავს და სხვა.

მაშასადამე, ქვემოთ განხილულ ფუძეებში თანხმოვანპრეფიქსი შეხორცებია ფუძეს, უძველესი უთანხმოვნო წარმოება შემოგვრჩა. რგავს, რწყავს ზმნებში, ხმოვანპრეფიქსული (*ე-რგავს, *ე-რწყავს) კი უცნობია. ზმნური ფუძე განვითარდა, მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები ახალი წარმოებული ფუძეებით გამოიხატა.

ნ-ე-რწყუ-ავ-ს

ნაწარმოებია სახელისაგან ნ-ე-რწყუ-ი, საზიარო ძირია რ-წყ-ავ-ს და წყ-ალ სიტყვებთან. როცა ამ პრეფიქსთა სისტემა მოქმედებდა, იგი მიუთითებდა რა-კლასის საგანზე: *ე-რწყუ: რალაცის (ნივთის) აღსანიშნავად: ნ-ე-რწყუ, ნ-ე-რწყუ-ავს— რალაცას (ნივთს, არაადამიანს) „რწყავს“. საგულისხმოა, რომ ნერწყუავს ზმნას არ დაერთვის ხმოვანპრეფიქსი.

ნერწყუთა ბილწებისაგანა ჰნერწყუვდით: ქრესტ. 47,15.

ჰნერწყუვიდეს პირსა მისსა: მთ 26,27.

ჰნერწყუა ყურთა მისთა: მრკ 7,33.

ნ-ე-რგ-ავ-ს

ნერგავს იგივეა, რაც ახალი ქართულის უპრეფიქსო რგავს. უკანასკნელის შემორჩენა ძალიან საინტერესოა. მასშიც გამოიყოფა რ- (← რე?) პრეფიქსი, გ შეიძლება აღ-გ-ილ'ის ძირს დავუკავშიროთ³. ძველ ქართულში დასტურდება ახალწარმოების ვნებითიც.

¹ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ნე || ნი || ნა პრეფიქსებისათვის: უნივერსიტ. შრ., VII, 1938, გვ. 88.

² ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, გვ. 492.

³ შედარებულია სვანურ ლა-ჯ'თან: ვ. თოფურია, ნე || ნი || ნა- პრეფიქსებისათვის, გვ. 87.

ნერგ-ავ-ს: რომელი არა დაჰნერგა მამამან ჩემმან: მთ 15, 13.
ე-ნერგ-ე-ი-ს: აღიფხურ და დაენერგე ზღუასა: ლკ 17, 6.

ჩვენ შევეცადეთ ოდენ ე- პრეფიქსიან ზმნათა ანალიზით გავვეთვალისწინებინა ამ ნიშნის ისტორია და მნიშვნელობა. მასალეზის შესწავლით ირკვევა, რომ ე- პრეფიქსი არაა მიღებული ა' ნიშნისა და ქცევის პრეფიქსის ი' ს შერწყმით, როგორც ამას ნ. მარც ამტკიცებდა: ვაისავ → ვესავ, ვაიძებ → ვეძებ¹.

როგორც ჩანს ე- პრეფიქსი ზმნებსა და სახელებში საზიაროა. როგორც სახელთა დაყოფა არ შეიძლებოდა მოქმედებითისა და ვნებითი გვარის მიხედვით, ისე ე- პრეფიქსი არ უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ვნებითი გვარის საწარმოებელი. ე- პრეფიქსის გამოყენება ზმნებში უსწრებს ვნებითი გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებას. იგი გვარის მიმართ თავდაპირველად სრულებით ინდიფერენტული იყო. ამის კვალი, შორს რომ არ წავიდეთ, ძველ ქართულშიც ჩანს: 1. ზემოთ განხილული ე- პრეფიქსიანი ზმნები ძველ ქართულში არ იწყობენ ვნებითისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციას — მიცემითსა და თანდებულიან ნათესაობითს (იგი ეძიებს, შდრ. მას ე-შინის შისგან...); 2. ესენი აწმყოში არ დაერთავენ პერმანსივისეულ -ი სუფიქსს, რომლის დართვაც შემდეგში ვნებითი ზმნებისათვის აუცილებელი გახდა; 3. უწყვეტლის წარმოებითაც არ განსხვავდებიან სხვა ზმნათაგან, რომელთათვისაც გვარს, როგორც ეს გვიანდელი მაგალითებიდან ჩანს, აქვს სათანადო მნიშვნელობა. ამგვარად, აქ ე- გვაქვს მოქმედებითი გვარის ზმნებშიც — ე-ძიებს, მი-ე-ე-ც, ე-სროლ-ა და მისთანები, რომელთაც ფუნქციაც და ფორმაც აქტივისა აქვთ².

არ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოქმედებითი გვარის ზმნათაგან გადავიდა იგი ვნებითში. თუ ვნებითი მანამდე არ იყო, მაშასადამე, არც მოქმედებითი გვარი იქნებოდა.

ზემოთ განვიხილეთ ე- პრეფიქსიან ზმნებთან ერთად ი- პრეფიქსიანებიც: ე-ტყებს [ი-ტყებ-ს], აგრეთვე ე-ვლტის — ი-ვლტის, ... ი-ცინის, — ე-ცინის, ე-მღერდა — ი-მღერდა...³

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ შესაფერისი მასდარი ს-ი- პრეფიქსიანია მცირეოდენ გამონაკლისს გარდა და ისეთი

¹ Грамм., გვ. გვ. 192, 207; გვ. 131, § 172, გვ. 141, შშშ. 2. (ასეთი ახსნის დაუჯერებლობაზე მითითებული აქვთ: არნ. ჩიქობავას² თავის რეცენზიაში, გვ. 167; ა. შანიძეს: ქართ. გრამატ. საფუძელ. § 418, გვ. 365.

² ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფუძელ., § 366, გვ. 191.

ზმნები კი მარტოოდენ ი- პრეფიქსიანია, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი მათგანი ახალია, მეორეულია. ეს მოვლენა იმ დროისაა, როცა ი-, ე- და სხვა პრეფიქსებს ახალი ფუნქცია — ქცევისა და გვარის წარმოება — დაეკისრა, ძველი ერთპრეფიქსიანი დაყოფა კი მოიშალა. მაგრამ აქ გააზილულ ფუძეთა უმეტესობაში ამგვარი მონაცვლები და ახალი შინაარსის კატეგორიების წარმოება არ შეინიშნება, ი-ტყებს და ე-ტყებს, ი-მღერს და ე-მღერს ესენი იმ რიგისა არ არიან, როგორცაა ი-მალავს — ი-მალება და ე-მალება... მათ შორის ასეთი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო თავიდან. საქმე ისაა, რომ ს-ი პრეფიქსის „ფონეტიკურ-მორფოლოგიურ ეკვივალენტად მეგრულ-ქანურში ე- (სე?) უნდა გვქონოდა და აკი მოგვეპოვება კიდევ: ს-ი-ზმარი — ე-ზმოჯა“¹. პრეფიქსთა მსგავსი მონაცვლებების გამონაკრთომი ჩანს სალიტერატურო ქართულ ენაში გავრცელებული შეშა←*ს-ე-შ-ა და დიალექტური (გურული, ინგილოური...) შიშა←*ს-ი-შ-ა და ა. შ². ამდენად, საკითხი ასეთისმის: ზემოაღნიშნულ ფორმათა წარმოქმნა-დამკვიდრებისათვის შეიძლებოდა ხელი შეეწყო პრეფიქსთა ამგვარ დიალექტურ მონაცვლებას³.

ზემოთქმულიდან იმის გარკვევაც შეიძლება, თუ რა წარმოშობისაა ე- გამოყოფილი ნე-, ნი-, ნა-... პრეფიქსები ნაცვალსახელურ ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ, ე- ხმოვანიც კმნის ასეთ ნაცვალსახელურ კომპლექსებს: სე-, დე-, ნე-, ლე-, რე- — ერთი მხრით, ვე- || შე- — მეორე მხრით. ხმოვანპრეფიქს ე'-ს ერთვის თანხმოვნები.

ირკვევა, რომ ვნებითისა იგი არაა, რადგან გვხვდება მოქმედებითშიც. ესე იგი იმის გამოყენება ზმნურ, resp. სახელადს. ფუძეებში უფრო ძველია, ვიდრე გვარის კატეგორია. რაც შეეხება ვნებითის ღ სუფიქსს, მის შესახებ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ იგი, როგორც გვარის საწარმოებელი, ახალია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სუფიქსია; მეორე, ჩნდება ისეთ ფუძეებში, რომლებიც ძველად ე- პრეფიქსიანი იყო: შე-ე-მშია, მო-ე-წყურა → მო-შივ-ღ-ა, მო-სწყურ-ღ-ა... აღ-ე-შენა, დე-ე-წესა: → აღშენ-ღ-ა, დაწეს-ღ-ა; შე-ე-შინა, გა-ე-ხარა: → შე-ე-შინ-ღ-ა, გა-ე-ხარ-ღ-ა. XI — XVIII სს..

1 ვ. თ. ფ. რ. ი. ა, ნე || ნი || ნა პრეფიქსებისათვის, გვ. 85.

2 ყურადღებას იქცევს დღეს უფუნქციო ხმოვანმონაცვლე ფუძის სიტყვები: ჰ-მატ-ს და მტ-ი, წატრა-ნეტარი... .

3 თარგმნილი მასალის მიუხედავად შევნიშნავეთ, რომ იტყვს და ე-ტყვს პარალელურად იხმარება ოთხთავში: ჰუეტყოლდე: C ი. 12, 48 || ვიტყოლდე: DE, იტყე-

ქართული ისტორიული დოკუმენტების ენა ათეულობით ადასტურებს ასეთ თაქტებს¹. ენებითის საწარმოებლად -ღ სუფიქსის გამოყენება დაახლოებით ისეთივე ისტორიისაა, როგორისაც -ებ სუფიქსის გამოყენება-დამკვიდრება სახელებსა და ზმნების კატეგორიებში.

ე-პრეფიქსი **ე-ა-** და **უ-** პრეფიქსთა სიბრტყეზე დგას. მათი თავდაპირველი ფუნქცია, როგორც თავის ადგილას ითქვა, უუძეზე შინიშნებაა; ესენი ემფატიკური პრეფიქსებია, შაგრამ თუ შემდეგში თითოეულ მათგანს ქცევისა და გვარის წარმოება დაუკავშირდა, ეს გამოდგება იმის გასაგებად, თუ რა მიმართება იყო მათ შორის ძველად...

უნდა აღინიშნოს, რომ ე-პრეფიქსიანი ზმნები ძველ ქართულში სასხვისო ქცევის დამახასიათებელ კონსტრუქციას ქმნიან: ობიექტი ნათესაობითშია (თანდებულებით ან უთანდებულოდ):

თუალნი მათნი განეხუნეს: ლკ 24,31.

ელმოდა გული მისი: თხრობა, 16.

განეგნა კრულებად იგი ენისა მისისაჲ: C მკ 7,35.

შაბათი კაცისათჳს დაებადა: მკ 2,27.

ამგვარივე გაგების უნდა ყოფილიყო ახალ ქართულში შემორჩენილი **მო-ე-მზადა**, **გა-ე-მგზავრა**, **გა-ე-შურა** და მისთ. ზმნები, სადაც ობიექტი resp. უბრალო დამატება დაკარგულია, შდრ. მივედ ჯინქუელისა... და ეშურვე გზათა მისთა: ეკლეს. 8,28; **მო-ე-მზადა** — მისთვის მომზადდა.

რიგი ე-პრეფიქსიანი ზმნა, რომელიც უძველეს ქართულში გარდამავალი უნდა ყოფილიყო, ფორმით ენებიოთის ჯგუფში მოექცა: **ვ-ე-წყვე** ('შეეებრძოლე'), ახალი ქართულის **მო-ე-რია**, **მი-ე-შველა** და სხვა. შინაარსის გაგების ასეთ გადაწვევასთან დაკავშირებით ზმნის წარმოებაც შესაფერისად იცვლება — ე-პრეფიქსიანი რიგი ზმნა სასხვისო ქცევის -ღ (-ნ) სუფიქსიანი ხდება: **გან-ე-მტკიც-ა** → **გან-უ-მტკიც-ნ-ა**; **გა-ე-მკლაფ-ა** → **გა-უ-მკლაფ-ღ-ა**² და ა. შ.

¹ ი. ქავთარაძე, XIII—XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი: ენის ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია, 1949 წ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 8—9-ლ. ნოზაძე, ენებ. გვარის ზმნათა ორგვარად წარმოების ზრთოერთობისათვის ქართულში: მეცნ. აკად. ასპირანტთა V სამეცნ. კონფ., 1954, თეზისები, გვ. 23—25.

² ინტერესმომკლებული არაა ამ თვალსაზრისით აგრეთვე გაურბის—გაეკცა, უკლდა — დიალექტური ეკლდა... ჯგუფის ზმნები.

ეს მოვლენები ჯერ კიდევ ძველ ქართულში ისახება: გან-ე-მტკიც-ნ-ეს: მეყსეულად განემტკიცნეს ფერჯნი მისნი: მო-ციქ. ა 3,7.

გან-უ-მტკიც-ნ-ეს: მეყსეულად განუმტკიცნეს ფერჯნი მისნი: იქვე, ბ. ე-პრეფიქსს შემდეგ დაუკავშირდა პოტენციალისის კატეგორიის გამოხატვა ქართულ ზმნაში: ე-მღერ-ს, ე-მღერ-და, შღრ. ე-მღერ-ებ-ა და სხვა მაგგვარნი.

ეპოქათა განმავლობაში მოიშალა ქართულში ფუძეთა ხმოვან-პრეფიქსული წარმოება. რამდენიმე ფუძე წინანდელი ერთპრეფიქსიანი დაყოფით შემოგვრჩა და გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ ახალ სისტემას არ შეეწყო. აქედან წარმოდგება გვარნაკლი ზმნები, ე. ი. ოდინდელი „უგვარობის“ რელიქტები.

ქცევისა და გვარის კატეგორიის პრეფიქსებს უნდა დაუკავშირდეს ნაცვალსახელთა ისტორიისა და სემანტიკის შესწავლა.

§ 25. მონაცვლე გვარნაკლი ფუძეები

უ-ტ-ევ-ებ-ს

ეს ზმნა ძველ ქართულში ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება: უტევებს იგი მას — 'უშეებს, ათავისუფლებს' და უტევებს იგი მას მას — 'უტოვებს'. ჩვეულებრივია უ-პრეფიქსით, თუმცა სასწვისო ქცევის გაგება არა აქვს. ძველ ქართულში იგი მარტო-ოდენ ორ პირს შეიწყობს: მივიღე ძმათა ჩემთა თანა, ლომელ დაუტევენ მუნ (ხანძთ. თ 66): დაუტევენ — დავტოვე მე ისინი.

აწმყოს ფუძე ძველ ქართულში გართულებულია -ობ, -ებ სუფიქსებით. ძველი—ევ-ის ვ სუფიქსთან შეხვედრისას ზოგჯერ იკარგება: უტ-ევ-ებ ← უტ-ე-ობ (საბა 7,20). თავდაპირველი და საკმარისი სუფიქსი, რომელიც ტ ძირს, აწარმოებდა, აქ იყო -ევ-მის სუფიქსობას ადასტურებს დრეკადობა წყვეტილის ფორმებში დიალექტურ (გურულ) მონაცემთა მიხედვით: და-უ-ტ-ი-ა (← და-უ-ტ-ივ-ა), აგრეთვე შენაცვლებული -ოვ სუფიქსი ახალ ქართულში: უ-ტ-ოვ-ებ-ს. ახალ ქართულში შემოგვრჩა ტ-ევ ფუძეც, მაგრამ სხვა შინაარსით; და-ტ-ევ-ა, უ-ტ-ევ-ს...

უტევებს ქართულში უპირატესად გარდამავალი შინაარსით გვხვდება, ძველ ქართულში გვაქვს დადასტურებული ე-პრეფიქსიანი ვნებითი: და-ე-ტევ-ა: წარემართნეს ქაბუქსა მას თანა სამნი იგი და სამნი დაეტევნეს ადგილსა მას: ზარზმ. 159,7; ერთი იგი წარიყვანოს და ერთი იგი დაეტევოს: DE მთ 24,40 (შღრ. დაუტეონ: C, იქვე);

ასევე: ლკ 17,34. ეს რომ ძველი ქართულის ნეოლოგიზმია, იქიდანაც ჩანს, რომ ქართულში შემდეგ იგი აღარ გვხვდება. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ უტვევებს ქართულში თავისი ფუძისაგან არ აწარმოებს ვნებითი გვარის ფორმებს, იხმარება მარტოოდენ გარდამავალი მნიშვნელობით. ამგვარად ტევ'ის სახით საქმე გვაქვს ერთ-ერთ იმ უძველეს ფუძესთან, რომელმაც გვარული განსხვავება ვერ შეიძინა და უძველესი უგვარო გაგებით დარჩა. მოვიყვანოთ სხვადასხვა ტექსტიდან მისი ხმარების ნიმუშებს.

ა წ მ ყ ო

ში-უ-ტევ-ებ-თ: ჩუენ მიუტევებთ თანანადებთა მათ ჩუენთა: მთ 6,12.
და-უ-ტე-ობ-თ: და დაუტეობთ საყოფელთა ჩუენთა: საბა 7,20.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I

და-გ-ი-ტევ-ებ-ი-ე-ს: დაგიტევებიეს მამული შჯული: ჰაბო 69,4.
და-უ-ტე-ობ-ი-ან: დაუტეობიან ამათ თჳსნი საყოფელნი: რავაბ. 93,33.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი

და-უ-ტევ-ებ-დ-ეს: დაუტევებდეს მრუდსა მას სარწმუნოებასა: საბა 19,5.
და-უ-ტე-ობ-დ-ეს: სიძენი სძალსა დაუტეობდეს: წარტყუნ. იზ 28.

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი, კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი II, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

და-უ-ტევ-ე: დაუტევე მე პირველი იგი... შჯული: ჰაბო 69,24.
და-უ-ტევ-ე-თ: დაუტევეთ ჩუენ ღმერთი: წარტყუნ. კბ 27.
და-უ-ტევ-ნ-ა: წიგნნი, რომელნი აქუნდა, დავეუტევნა მონასტერსა მას: ხანძთ. კა 5.
და-ი-ტევ-ა: არა დაიტევა მისგან ერთიცა სავმარად: კიმ. I, 203,10.
და-მ-ი-ტევ-ა: დამიტევა მისი სამოსელი: ჰაგ. მასალ. 31.
და-გ-უ-ი-ტევ-ე: საჯსენებელი მარტულობისა შენისაჲ ჩუენ დეგვტევე: ჰაბო 80,25.
და-გ-ი-ტევ-ო: არა დაგიტეო, ვიდრემდის შეგიყვანო და შეგავლი-ნო: იპოლ. 25,18.
და-უ-ტევ-ი-ს: დაუტევის კერტი იგი ტეენისაჲ: სახისმეტყ. იზ 16.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი II

და-ე-ტევ-ა: კეთილად წარმატებოდა ყოველი საბრძანებელი მისი, რომელი დაეტევა დისა მისისა: ზარზმ. 173,26; ასევე: კიმ. I, 41,18; 196,2.

შთ-ებ-ი-ს

როგორც ითქვა, უტევებ-ს ზმნის გარდაუვალი ფორმები ძველ ქართულში თითქმის არ გვხვდება. ამ მნიშვნელობით მის მონაცვლელ შთების იხმარება. უკანასკნელს კიდევ მოქმედებითის, გარდამავალი ფორმები არ გააჩნია: დაუტევა. მან იგი — დაშთა იგი-შთ-ებ-ი-ს ზმნის ძირია. შ ← ს¹, რომელსაც ერთვის -ედ საწარმოებელი: ს-ედ → შ-ედ², შდ-ა → შთ-ა. შემდეგში ამ ფუძემ რთული ფონეტიკური 'ცვლილება განიცადა: შთ იცვალა ჩ'დ, თავში განვითარდა პრეფიქსი რ-: რ-ჩ-ებ-ა. უნდა შეინიშნოს, რომ თითო-ოროლა ასეთი ფორმა ჯერ კიდევ ძველმა ქართულმა იცის: დარჩა ბერი იგი... მარტოდ: კიმ. I, 212,17 (ასევე: ურპ. 337,1). ახალ ქართულში, როგორც ცნობილია, აქედან გარდამავალიც არის ნაწარმოები: ა-ჩ-ენ-ს და მისთ.

ძველ ქართულში შთ ფუძისაგან ნაწარმოებია ახალი ფორმები კაუზატივისა: და-ი-შთ-ინ-ა; აქუნდა... საფასჷ და დაიშთინა მცი-რედი რაჲმე, რომელი დღითი-დღედ ეყოფოდა: კიმ. II, 45,5.

ჩვეულებრივია ამ შთ-ებ-ი-ს ზმნის გამოყენება გარდაუვალი მნიშვნელობით, საპირისპირო ფორმები არა აქვს, იგი უ გ ვ ა რ ო ზ მ ნ ა ა .

ა წ მ ყ ო

და-გ-შთ-ებ-ი-ს: დაგშთების თქუენ სახლი თქუენი ოკერი: C მთ. 23,38 (შდრ. დაუტევებთ თქუენ სახლთა თქუენთა: DE, იქვე).

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი, ხ ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

და-უ-შთ-ებ-ოდ-ა: მუტლიცა ერთი არა დაუშთებოდა: კიმ. I, 271,16..
და-უ-შთ-ებ-ოდ-ი-ს: ტრაპეზისაგან რომელ ნეშტი დაუშთებოდის, მით ვიზარდებოდით: კიმ. I, 163,4.

¹ არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 318; ვ. თოფურია, ფონეტ-დაკვირვებანი ქართვ. ენებში, II; უნივერსიტეტის მოამბე, X, გვ. 303.

² ვ. თოფურია, მესამე ტიპის ენებითის წარმოება ქართულში: აკად-შოამბე, III, გვ. 967.

წყვეტილი, კავშირებითი II

და-ვ-შთ-ი: განკეთდა სამოსელი ჩემი და შიშუელი დავშთი ანტიოქ.
113,32.

და-შთ-ი-თ: რომელნიმე თქუენგანი ტყუე იქმნნეს და თქუენ დაშთით:
წარტყუენ. 58 30.

და-ვ-შთ-ი-თ: და ჩუენ დავშთით ადგილსავე მას: ზარზმ. 164,24.

და-შდ-ა: არა დაშდა მათგანი არცა ერთი: ბიბლ. ხელნაწ. 156,65.

და-შთ-ა: ერთი მათგანი დაშთა სამოსელთა შინა მისთა: ჰაგ-
მასალ. 39.

და-შდ-ე-ს: არა დაშდეს აქა ქვაჲ ქვასა ზედა: C მთ 24,2.

და-უ-შთ-ე-ს: არა დაუშთეს შვილი: მთ 22,24.

ხ-ტყორც-ებ-ს

უპირატესად გარდამავალი მნიშვნელობით იხმარება ეს ფუ-
ძეც და გვაქვს თითქოს ასეთი დაპირისპირება: ვსტყორცე მე მას
ისარი—შეცა მე ისარი. ერთხელ ახალი, ე-პრეფიქსიანი წარმოება-
ცაა შენიშნული: ისარი მოყუსისა მიმართ განეტყორცის: სვან.
92, სვ. 1.

ძველ ქართულში ზმნის ფუძეს აწარმოებს -ებ სუფიქსი, რო-
მლის გამოყენება იმავე რიგისა ჩანს, როგორისაც სცვალ-ებს.
თარგმნ-ებ-ს... ზმნებშია. ახალ ქართულში დიალექტური წარმოშო-
ბის ტყორც-ნ-ი-ს ფრმა დამკვიდრდა.

ა წ მ ყ ო

აღ-ხ-უ-ტყორც-ებ: აღხუტყორცებ ტყავებსა ამას ზე აერთა: ქრესტ.
16,21.

წყვეტილი

ვ-ს-ტყორც-შ: ვსტყორცშ ისარი ხუცესსა: რაეახ. 81,30.

ს-ტყორც-ა: სტყორცა ყრმა იგი ზეგარდამო, ვითარცა ქვაჲ: ანტი-
ოქ. 85,3. ასევე: საბა 8,25; ქრესტ. 16,20.

შე-ს-ტყორც-ნ-ა: შესტყორცნა ქვანი იგი და გარდამოაგდო აპო-
ლონ: კიმ. I, 144,37.

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი II

მ-ე-ტყორც-ა: და უწინარშს ამისა შეტყორცა მე ისარი ხატსა წმი-
დისა თვეღორშსსა: რაეახ. 81,38.

ე-ც-ემ-ს

ზემოთ აღინიშნა ე-ც-ემ ფუძის პარალელური გამოყენების გადმონაშთები ძველ ქართულში მოქმედებითისა და ვნებითი გვარის ზმნებში. აქ მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს, როცა იგი გარდაუვალი მნიშვნელობისაა და სტყორცებს ზმნის მონაცვლეა.

უწყვეტელი

ე-ც-ემ-ოდ-ი-ან: ფრთანი მისნი პირსა მისსა ეცემოდიან: კიმ. I, 132,6.

წყვეტილი

მ-ე-ც-ა: მოიქცა ისარი იგი ჩემდავე და შეცა მარჯუენესა ველსა ჩემსა: რაეახ. 81,34.

არასადა ისარი, გინა სხუად საწყლველი მეცა: კიმ. I, 307,7.

ა-გდ-ებ-ს

გვარნაკლად ითვლება, რამდენადაც, ჩვეულებრივ იხმარება გარდამავალი მნიშვნელობით, ენაცვლება გარდაუვალი ვარდების.

გარდამოაგდეს მართალი იგი გოდლისა მისგან... ხოლო იგი გარდამოვარდა სიმაღლისა მისგან და არა მოკუდა: სვან. 102, სვ. II.

უდავოა, რომ ამ ზმნების სახით საქმე გვაქვს უძველეს ნეიტრალურ ფუძეებთან, რომელთაც ასეთი განსხვავებული გამოყენება ძველ ქართულში აქვთ შეძენილი¹.

ძველ ქართულში გდ-ებ ფუძის გამოყენება უფრო ხშირია, ვიდრე ვარდებისა. ამას ადასტურებს სხვადასხვა ტექსტის სათანადო ადგილები, სადაც მოსალოდნელი იყო გარდაუვალი ზმნის ვარდების ფორმები:

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველურ ენებში ვარდების და აგდებს ფუძეები არა ჩანს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ძველ ქართულში აგდებს (და ნაწილობრივ ვარდების) ზმნის მონაცვლედ მრავლობითში სხამ, თხევ ფუძეებიან გამოყენებულ (ეგვიფე ფუძეები ღებ'საც ენაცვლება), საკითხი დაისმის: ხომ არაა აქ ორივეგან ძირისეული დე ე. ი. ხომ არაა ვ-ა- საწარმოებელი ისევე, როგორც ვ-ა-სხება—ს-ე-სხება, ხოლო რდ=გდ? შდრ. და-გ-ზ-ება, მეგრ. დო-რ-ზ-აფ-ა:კარნ. ჩი ქობა ვა, შედარებითი ლექსიკა, გვ. 360. ვარდება ზმნაში ვა- პრეფიქსად მიიჩნია არნ. ჩი ქობა ვა მ ერთ თავის მოხსენებაში: გ. როგა ვა, ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან—მეგრ. რ: ქართ. გ: მეცნ, აკად. მოამბე, X, 1949, გვ. 503—507.

წარ-ჰ-ვარდა: წარჰვარდა ფერკი მისი, შივარდა კედელსა თანა მის
დალიქისასა: კიმ. I, 149,8. ასევე: ხანძთ. მბ 111; ლზ 14;
მმ 21; ჰაბო 78,34; კიმ. I, 230,10; შუშ.5,15.

შე-უ-ვ-რ-დ-ა: შეურდა (sic) წმიდასა საბას: საბა, 9,20.

და-ჰ-ვარდ-ე: დაჰვარდე და თაყუანის-მცე: მთ 4,9.

შთა-ვარდ-ე-ს: რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს
იგი... ჯურღმულსა: მთ 12,11.

შე-უ-ვ-რ-დ-ე-თ: შეუვრდეთ ფერკთა მისთა: სასულ. სჯგ 147.

*ვლდ-ებ-ი-ს

აწმყოს ფორმები არ გვხვდება, მასდარია ვლდ-ომ-ა (იპოლ.
21,32). ძველ ქართულში მხოლოდ გარდაუვალი ფორმებია ნახმარი.

წყვეტილი

-ვლდ-ა: აღვლდა მუცლისაგან წმიდისა ზედა ძელსა მას, ვლდა
ძელისა მისგან ჯოჯოხეთსა: იპოლ. 21,20.

აღშოვლდა მიერ კაცობრივითა ამით ჯორცითა ქუეყნად:
იპოლ. 21,21.

დისწულაკი გარდაშოვლდა ზეცით: იქვე, 21,15; 21,25.

შემდეგში ამ ფუძეში ვ'ს წინ ხ ვითარდება¹, როგორც ეს
დადასტურებულია ქართულში საზოგადოდ ვ სონანტის წინ უკანა-
ენისმიერთა განვითარების ანალოგიური შემთხვევებიდან². თანხმო-
ვანთა შეჯგუფების ნიადაგზე კომპლექსი მარტივდება, ვ იკარგება:
ვლდა → ხვლდა → ხლდა, აქედან ხლდ-ომ-ა, შემდეგ ლ დაიკარგა
და ხლ ასიმილაციის ნიადაგზე იქცა ხტ'დ; ახალ ქართულში გაერ-
ცულდა მასდარი ხტ-ომ-ა.

უწყვეტელი, ხოლმეობითი

ხლდ-ებ-ოდ-ა: დადგა... ფერკთა თჯსთა ზედა, ვიდოდა და ხლდ-
ბოდა: საბა .18,38.

ხლდ-ებ-ოდ-ი-ან: მაშინ ხლდებოდინ მკელობელნი: ბოლნ. 75.

¹ ლ. კიკნაძე, ხ ბგერის განვითარების შემთხვევები ქართულში: უნივერ-
სიტეტის შრომები, ტ. XXII, 1946, გვ. 163—178.

² გ. თოფურია, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა ქართულში:
შიმომხილველი, I, 1927, გვ. 210—211.

წყვეტილი

აღ-ე-ხლდ-ი: აღ-მცა-ვხლდი და... საყდართაგან გარდამცაგამდე:
კიმ. I, 153,5; 277,23.

და ახლდნა საჯდომისაგან თუსისა: ჰაგ. მასალ. 66.

ჰ-ყრ-ი-ს ← * ჰ-ყარ-ი-ს

ეს ფუძეც ჩვეულებრივ გარდამავალი მნიშვნელობით იხმარება, გარდაუვალისათვის ცვვის არის გამოყენებული:

ძუალნი იგი მოიხუნეს და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა:
ჰაბო, 75,10.

შდრ. განცთიან და შთაცვვიან ზლუასა: სახისმეტყ. იგ 15.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ვნებითის საწარმოებლად ი- და ე-
კრეფიქსების გამოყენება გავრცელდა, ამ ფუძემაც შეიძინა ვნები-
თის გამოხატვის თვისება და ძველ ქართულში გვაქვს ასეთი ფორ-
მებიც:

მი-ი-ყარ-ნ-ეს: განიმზადნეს თავნი მათნი ბრძოლად და ზღუთ
კერძო მიიყარნეს: კიმ. I, 41,19.

მო-ე-ყარ-ა: სიმრაველს დიდძალი ნავებისაჲ იგი გარე მოეყარა ქა-
ლაქსა ამას: თხრობა, 60.

მაგრამ ახალ ქართულში ასეთი ფორმების ხმარებას აღარ
შეიმართავენ.

ცვ-ი-ს

ტიპიური უგვარო ზმნაა, არ იწარმოება ამ ფუძისაგან ძველ
ქართულში მოქმედებითი და ვნებითი. საგულისხმოა რომ ახალ
ქართულში ასეთი წარმოება განვითარდა: დიალექტ. ა-ცვ-ენ-ს და
ჩამო-ცვივ-დ-ა (|| ჩამო-ცვ-ინ-დ-ა). ეს ზმნა რიცხვნაკლიცაა — იხმა-
რება, როცა სუბიექტური პირი მრავლობითშია. ყველაფერი ეს
იმას ამტკიცებს, რომ ცვვის ფუძე უფრო ძველია ქართულისათვის,
ვიდრე ეს კატეგორიები...

კლ-ავ-ს ← * კ-ალ-ავ-ს

კლ-ავ ← * კ-ალ-ავ ფუძეში -ალ არაძირისეულადაა მიჩნე-
ული¹. კ ძირისაგან კუ-ედ² ფუძეც გვაქვს.

¹ არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 354.

² გ. თ. ფ. უ. რ. ი., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან: ენიმკის მოამბე, V—VI, გვ. 535; მისივე, რედუქციისათვის ქათველურ ენებში: იბერ.-კავკას. ენათმეცნ., I, 1946, გვ. 73.

მაშასადამე, კ-ალ და კუ-ედ ისეთივე მიმართებაში უნდა ყოფილიყო ერთმანეთთან, როგორშიაც [მო]ვ-ალ და [მო]ვ-ელ ო [მო]ვ-ვ-ელ. ამ რიგის აფიქსები გამოიყოფა სახელებში¹, საზიაროა იგი ზმნებშიც. გვარული განსხვავება მათ შორის თავდაპირველად არ იქნებოდა, ეს ორი ფუძე სხვადასხვა დიალექტური წყების კუთვნილებათა², განსხვავებულმა გამოყენებამ მას შემდეგ იჩინა თავი, რაც ეს ორი ფუძე ლიტერატურულ ენაში დამკვიდრდა და სათანადო კატეგორია ჩამოყალიბდა.

კლავ-ს ზმნა ქართულში საზოგადოდ მარტო გარდამავალი მნიშვნელობით იხმარება. მაგრამ ძველ ლიტერატურულ ძეგლებში ანალოგიით ნაწარმოები ვნებითის ფორმებიც არის გამოყენებული; და-ი-კლ-ვ-ი-ს, მო-ი-კვლ-ი-ს... აქ, სხვათა შორის, ხაზი ესმის იმ კავშირს, რომელიც არსებობს ამ ზმნის სუბიექტსა და რეალურად მოქმედ პირებს შორის. უდავოდ ეს სპეციფიკა აქვს ამ ზმნის ვნებითურ გამოყენებას:

მოქმედებითი

და-კლ-ავ-ნ: მღდელი... კრავსა დაკლავნ: წარტყუნ. იმ 6.

კლ-ვ-ი-და: ისარი იგი კლვიდა ორკერძოვე კაცებსა: კიმ. I, 36, 14.

მო-ჰ-კალ: მავნებელი ჩემი მოჰკალ ჯუარითა: სასულ. იგ XII.

და-კალ-თ: მოიბთ ზუარაკი იგი მსუქანი და დაკალთ: ლკ 15, 23.

1

ვნებითი

და-ი-კლ-ვ-ი-ნ: და იგი მის თანავე დაიკლვინ: წარტყუნ. იმ 7.

მო-ი-კლ-ვ-ოდ-ა: რომელი არა დაემორჩილებოდა ბრძანებასა,

მოიკლვოდა იგი: წარტყუნ. მე 13.

მო-ი-კალ: მათ მიერ მოიკალ, ღირსო ანტონი: რაგაზ. 104, 6.

და-ი-კალ: ჯუარსა ზედა... ნეფსით თვსით დაიკალ: სასულ. საჰ 287.

კუდ-ებ-ი-ს ← * კუ-ედ-ებ-ი-ს'

როგორც ითქვა, გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ კუ-ედ ფუძე ვნებითისათვის იქნა გამოყენებული, თუმცა სათანადო საწარმოებელი: აქ იმ ფუნქციით არ იყო. ხაზი უნდა გაესვას

¹ არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უძვ. აგებ., § 41, გვ. 99.

² ლაბიალური კუ (კუ-ედ, მაგრამ კ-ალ) ძირი ამათ ერთიანობას ხელს არ უშლის. ზოგიერთ ძეგლში არცაა ეს ლაბიალური ვარიანტი: სი-კლ-ილისასა: იადგ. 37.

იმას, რომ ძველ ქართულში ეგ ფუძე გარდამავალ ფორმებშიც არის გამოყენებული: *მო-ა-კუ-ედ-ენ-ებ-ს → მო-ა-კულ-ინ-ებ-ს:

გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი

მო-ა-კულ-ინ-ებ-დ-ა: ურჩთა სიკუდილითა მოაკუდინებდა: ხანძთ. მგ 12.

მო-ა-კულ-ინ-ე: მოაკუდინე სიკუდილი, მკსნელო: სასულ. რმგ 17.

გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი

მო-ვ-კულ-ებ-ი: მარადლქ ქრისტესთჳს მოვკუდები: ხანძთ. ია 57.

მო-კულ-ებ-ოდ-ა: იხილა ვინმე მწოლარქ, რომელი მოკუდებოდა: კიმ. I, 23,27.

მო-ჰ-კულ-ე: მოჰკულედ ჯორცითა, უკულდავო: სასულ. ხაე 241.

ამგვარად, ვნებითის ნიშანი არც აქ აღმოჩნდა. მოკულა ზმნა ისტორიულად არ იყო ვნებითის კატეგორიის გამომხატველი, ისტორიულად იგიც იყო დინამიკური ერთპირიანი ზმნა, რომელიც გვარის მიხედვით არ განსხვავდებოდა¹.

¹ ქ. ლომთათიძე, თბეზა ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში: იბერ.-კავკას. ენათმეცნიერება, IV, გვ. 77.

образование всех времён от деноминативных глаголов, как например: მონა mona 'раб': ჰმონებს hmonებს 'покоряется', ჰმონებდა hmonებდა 'покорялся', ჰმონა hmona 'покорился'; წინასწარმეტყუელი cinasçarmetqweli 'пророк': წინასწარმეტყუელებს cinasçarmetqwelebs 'пророчествует', წინასწარმეტყუელებდა cinasçarmetqwelebda 'пророчествовал', წინასწარმეტყუელა cinasçarmetqwela 'напророчил', однако это не всегда удавалось: некоторые деноминативные глаголы образовали основы первой серии (группы настоящего времени) с помощью суффиксов: ჯმა qma 'голос': ჯმობს qmobs 'кричит', ჯმობდა qmobda 'кричал'; ლალადი ოადი ოადი ოადი 'вопл': ლალადებს ოადებს ოადებს 'кричит', ლალადებდა ოადებდა ოადებდა 'кричал', а формы второй серии (группы аориста) — описательно (аналитически): იმა + вспомогательный глагол: ლალად-ყო ოად-ყო ოად-ყო 'закричал' (досл. «вопл сделал»).

Органическое образование основ отымённых глаголов иногда не удаётся и в группе настоящего времени. Оно компенсируется в древнегрузинском языке описательными формами: ნათელი nateli 'светлый': ნათელს-სცემს natels-scems 'крестит' (кого-то; досл. «свет придаёт он ему»), ნათელს-იღებს natels-იღებს 'крестится' (досл. «свет получает он»); სწორი სწორი სწორი 'равный': სწორ-ჰყოფს სწორ-ჰყოფს 'делает равным'.

С течением времени и здесь выработалась норма: описательные формы оказались палиативными и были заменены органическими формами в настоящем: ნათლავს natlavs 'крестит', ინათლებს inatlebis 'крестится', დაასწორებს daasçorebs 'уравнивает'; в аористе: მოუხმბო მოუხმბო 'позвал', ილაღადა იღადა, ულაღადა იღადა 'вопил'.

Следовательно, вторая группа недостаточных глаголов — это деноминативы, не приспособившие свои основы к новой системе.

8. В древнегрузинском языке недостаточными в отношении лица, т. е. безличными признаны глаголы, обозначающие метеорологические явления: წვეს წვეს წვეს 'дойдет', ქუხს კუხს 'гремит', ქრის კრის 'дует', ელავს ელავს 'сверкает молния', თენდება tendebis 'рассветает', დაღამნებს დაღამნებს 'наступает ночь', შემწუხდება შემწუხდება 'смеркается'. Эти безличные глаголы употребляются только в третьем лице единственного числа, что обусловлено семантикой самих глаголов.

განაძო *ganazo* 'изгнал его'
 განაღო *ganayo* 'открыл'
 შეაგღო *šeagdo* 'загнал,
 бросил'

განასხნა *ganasxna* 'изгнал их'
 განახუნა *ganaxwna* 'открыл их'
 შესხნა *šesxna* || შეთხი(ვ)ნა *še-
 txi(v)na* || შეყარნა *šeqarⁿna* 'за-
 гнал их, бросил их'

10. В древнегрузинском языке имеются зачатки параллельного употребления этих глаголов для обоих чисел. Здесь представлена переходная ступень того нейтрального применения названных глаголов, которое распространено в современном грузинском языке, придавшем глаголам более абстрактное значение.

11. Путём анализа недостаточных глаголов в отношении версии ещё раз подтверждается тот факт, что в грузинском языке как в именах, так и в глаголах выделяются общие формообразующие элементы грамматических категорий.

Характерные гласные префиксы для образования имён *o-* *i-* (*o-*გავი *i-gavi* 'притча', *o-*ფქლი *i-pkli* 'пшеница'...), *a-*, *a-* (*a-*დგილი *adgili* 'место', *a-*ბანო *abano* 'баня'...), *e-* *e-* (*e-*ბანი *e-bani* 'тимпан', сванское ჰ-ე-ბ *h-e-b* 'черешня'...) и *u-* *-u* (*u-*ფალი *u-pali* 'хозяин', сванское უ-დილ *u-dil* 'сестра для сестры'...) подтверждаются как в глаголах, так и в отглагольных именах: *o-* *i-* один и тот же в глаголе *o-*ტყვს *i-tqvs* 'говорит' и в имени ს-*o-*ტყუა *sitqwa* 'слово', также *o-*სარი *i-sari* 'стрела' и *o-*სრვის *i-srvis* (|| *o-*სრევს *i-srevs*) 'стреляет', *o-*ქმს *-kms* 'творит', *o-*ცის *i-cis* 'знает' и другие.

12. В древнегрузинском языке употребляются недостаточные глаголы лишь с одним префиксом—или *o-* *i-*: *o-*ცის *i-cis* 'знает', *o-*ხნის *i-xnis* 'кается', *o-*ქადის *i-kadis* 'хвастается'..., или *u-* *u-*: *u-*წყის *u-çqis* 'ведает', *u-*წყეს *u-çess* 'зовёт', *u-*ბრკუმის *u-brkumis* 'спотыкается'..., или *a-* *a-*: *a-*გსოვს *a-gsovs* 'помнится', *a-*ქვს *a-kvs* 'имеется', *a-*რს *a-rs* 'есть' и др.

13. В глаголах эти префиксы так же древни, как и в именах, часто они сращены с основой. Такие однопредфиксные основы свидетельствуют о том, что глаголы образовались и классифицировались только по одному гласному префиксу, к которому присоединились показатели грамматических классов: მ- *m-* || ვ- *v-* (экспонент категории человека) и დ- *d-*, ბ- *b-*

(→ л- l-), ს- s-, რ- r-, ბ- b- (эксponent категории вещи). Так возникали финитные основы: სარ sar: ი-სარ i-sar 'стрела', ს-ი-სარ-ა s-i-sr-a 'стрельба'.

В ряде случаев, вследствие утраты функции, гласные префиксы срослись с основой, от которой иногда образуются новые формы: ს-ი-ძვ-ა s-i-ḡv-a 'любодеяние': ი-ს-ი-ძვ-ის i-s-i-ḡv-s 'прелюбодействует', ს-ა-თხველ-ობ-ა s-a-txevl-ob-a 'рыболовство': ი-ს-ა-თხველ-ებ-და i-s-a-txevl-eb-d-a 'ловил рыбу'.

14. Первоначально гласные префиксы выражали функцию депиктивных (или эмфатических) частиц. Следовательно, эти префиксы древнее категории версии. Позднее, в связи с развитием версии, форма возвратного значения с префиксом ი- i- преобразовалась в субъективную версию, а форма с префиксом უ- u- — в объективную; большое распространение в глагольных формообразованиях получил префикс ა- a-.

15. В связи с развитием категории версии и применением древнейших гласных префиксов ი- i-, ა- a-, უ- u- для выражения различных версий постепенно нарождаются новые основы от глаголов, имеющих только один префикс: ი-ბორჯის i-borgis → ბორჯ-ავ-ის borg-av-s 'безумствует'; ი-ყნოს-ის i-qnos-s → ყნოს-ავ-ის qnos-av-s 'нюхает', ი-ყნოს-ებ-ის i-qnos-eb-s 'будет нюхать', ა-ყნოს-ებ-ის a-qnos-eb-s 'заставит нюхать' и другие. В древнегрузинском языке засвидетельствовано также параллельное употребление глагольных основ с префиксом ი- i- и без него: ი-რეკ-ის i-rek-s || პ-რეკ-ის h-rek-s 'звонит', ი-თხოვ-ის i-txov-s || ს-თხოვ-ის s-txov-s 'просит'.

Таким образом, недостаточными глаголами в отношении версии оказались те глаголы, основа которых не развивалась, оставшись в древнейшей структуре.

16. Изучение древнегрузинских недостаточных в отношении залога глаголов показывает, что префиксы страдательного залога теснейшим образом связаны с префиксами версии. Префикс страдательного залога ე- e- (так же, как ი- i-) генетически увязывается с префиксом ე- e- в именах (ср. ე-ბან-ი e-ban-i 'тхилан') и ე-ბან-ება e-ban-eb-a 'пост басом'...). Таким образом, как в именах он не мог образовать залога, так первоначально он не различал и глаголов по залогам. Структура древнейших глаголов (ე-ძობ-ის e-ḡieb-s 'ищет', მ-ი-ე-ე-ე m-i-v-e-e

‘и дал’, ე-ტყებ-ს e-tqeb-s ‘рыдает’, ე-კიცხევ-ს e-kičxev-s ‘насмехается’...) показывает, что префикс ე- e- в древнейшую эпоху был совершенно индифферентен к залогам.

17. Употребление ე- e- в качестве словообразовательного префикса древнее, чем развитие категории залога. Переходные и непереходные статические и динамические глаголы в древнейшей стадии развития грузинского языка отличались друг от друга по содержанию (ср. კლავს klav-s ‘убивает’, ზის zis ‘сидит’...) и, быть может, по форме субъекта.

Факты супплетивного образования залогов свидетельствуют об их исконном беззалоговом применении: действительный: სტყორცებს stqorcebs ‘кидает’, უტევებს utvebs ‘оставляет’, აგდებს agdebs ‘бросает’, კლავს klav-s ‘убивает’...; страдательный: ეცემის ecemis ‘попадает’, შთების štebis ‘остаётся’, ვარდების vardebis ‘падает’, კუდების kwdebis ‘умирает’.

В последних примерах не выделяется формант страдательного залога. Позднее, в связи с развитием грамматической категории залога, образуются парные формы от этих глаголов: კუედ kwed: კუდების... kwdebis ‘умирает’ и მოაკუდინებს moakw-dinebs ‘умерщвляет’...

18. Изучение древнегрузинских глаголов, неспособных образовать основные грамматические категории, показывает длительный исторический путь, пройденный грамматическим строем грузинского языка. Историческое изучение глаголов выясняет медленное и постепенное изменение качества грузинского языка. Становится понятным, как по внутренним своим законам развивалась, совершенствовалась и обогащалась структура грузинского глагола и тем самым язык приобретал гибкие формы и их абстрактное значение.

პირთა საძიებელი

- აბულაძე, ილ. 1.
ანტონი, კათალიკოსი 1, 2, 3, 8, 10.
აპარიანი, პ. (*Ապարեան*) 87, 236.
ბრიერი, მ. (Briér) 11, 9.
ბროსე, მ. (Brosset) 6.
ბრუგმანი, კ. (Brugmann) 210.
ბულახოვსკი, ლ. (Булаховский) 217.
გაბუური, ბ. 48.
გაიოზი 3, 4, 5, 10.
გეწაძე, დ. 187.
გონიაშვილი, თ. 233.
დეტერსი, გ. (Deeters) 13, 47, 64, 182, 193, 235.
დამუზილი, ე. (Dumézil) 49.
დოდაშვილი, კ. 8, 247.
დოდაშვილი, ს. 5, 8.
დონდუა, კ. 92.
ერისთავი, ვ. 4.
ვანდრისი, ე. (Vendryes) 12, 13, 300.
თოფურია, ვ. 13, 40, 47, 48, 63, 83, 115, 142, 153, 155, 156, 167, 168, 173, 185, 187, 198, 200, 202, 212, 214, 222, 235, 242, 254, 257, 264, 265, 268, 276, 277, 278, 279, 282, 285, 288, 290, 294, 301, 302, 304, 308, 310, 314, 318, 319.
იმნაიშვილი, ი. 276.
ინგოროყვა, პ. 167, 181, 204.
იოსელიანი, პლ. 5, 6, 8, 246.
კალანდაძე, კ. 42.
კარიკაშვილი, დ. 47, 60.
კაცნელსონი, ს. (Кашельсон) 210.
კელენჯერიძე, მ. 8.
კვიციანიძე, პ. 6, 7, 47, 247.
კიკნაძე, ლ. 66, 153, 168, 172, 318.
კუხნეცოვი, პ. ს. (Кухнецов) 300.
ლომთათიძე, ქ. 299, 321.
მარი, ნ. 8, 9, 11, 24, 54, 60, 66, 76, 92, 115, 117, 144, 151, 152, 169, 170, 174, 177, 181, 202, 211, 221, 224, 235, 245, 248, 249, 265, 283, 285, 309.
მაკეაურიანი, დ. 60, 294.
შეაე, ა. (Millet) 13, 20, 24, 210, 236.
შენთეშაშვილი, ს. 151, 225.
მთაწმიდელი, გ. 197.

- ნემიროვსკი, მ. (Немировский) 279, 285.
 ნოზაძე, ლ. 311.
 ოზნორსკი, ს. პ. (Озборский) 300.
 პეტრიწი, ი. 132, 142, 148, 204.
 შირმუნსკი, ვ. (Ширмунский) 16.
 უორდანი, თ. ნ. 247, 248, 292.
 ულენტი, ს. 42, 85, 155, 165.
 როგავა, გ. 253, 265, 285, 316.
 საბა-სულხან ორბელიანი, 116, 119, 128, 129, 148, 242, 262, 264, 277, 292, 295, 296.
 სობოლევსკი, ა. (Соболевский) 16.
 სტალინი ი. ბ. 15, 398.
 უხაძე, დ. 210.
 ფოგტი, ჰ. (Vogt) 22.
 ფრანგიშვილი, ა. 43.
 ფრიდრიხი, ი. (Friedrich) 180.
 ქავთარაძე, ი. 311.
 ქართველიშვილი, ი. 5, 10.
 ქუთათელაძე, ა. 247.
 ყიფიანი, დ. 7, 8, 246, 247.
 ყიფშიძე, ი. 49, 79, 181, 235, 276, 295.
 შანიძე, ა. 4, 11, 12, 13, 15, 39, 75, 86, 112, 117, 123, 153, 163, 172, 176, 181, 209, 211, 214, 228, 239, 230, 231, 244, 245, 249, 250, 265, 275, 279, 281, 282, 283, 284, 285, 292, 293, 297, 304, 307, 309.
 შანშოვანი, ხ. 1.
 ჩიქობავა, ა. 13, 14, 15, 16, 21, 22, 24, 25, 39, 42, 47, 48, 50, 58, 60, 70, 75, 79, 86, 87, 93, 111, 121, 135, 144, 146, 147, 150, 153, 156, 157, 162, 167, 168, 170, 173, 174, 176, 177, 180, 182, 183, 190, 193, 198, 204, 212, 214, 216, 220, 221, 233, 235, 241, 245, 253, 254, 256, 259, 263, 264, 265, 268, 275, 279, 285, 286, 288, 292, 294, 295, 296, 298, 300, 301, 302, 309, 314, 316, 319, 320.
 ჩუბინაშვილი, დ. 6, 10, 246.
 ჩუბინაშვილი, ი. 8.
 ცაგარელი ა. 1, 5.
 წერეთელი, გ. 265.
 ხორნაული, ი. 35.
 ხუბუტია, პ. 48.
 ხუნდაძე, ს. 7, 248.
 ჯავახიშვილი, ი. 49, 264, 279, 295, 300, 301.
 ჯანაშვილი, მ. 7, 248.
 ჯანაშია, ს. 156, 264, 292.
 ჰერბიგი, გ. (Herbig) 13.
 ჰირტი, ჰ. (Hirt) 17.

დასკვნები

1. ძველი ქართულის დრონაკლი, პირნაკლი, რიცხვნაკლი, გვარნაკლი და ქცევანაკლი ზმნების ფუძეთა ანალიზი მეტად მნიშვნელოვან ჩვენებას იძლევა ქართული ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა განვითარების ისტორიის შესწავლისათვის. ეს ზმნები გადმონაშთია ქართული ენის განვითარების იმ ეტაპისა, როცა უღვლილების დღევანდელი ნორმები ენაში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული, როცა ზმნის უღვლილება სხვაგვარ პრინციპს ემყარებოდა.

2. დრონაკლი ზმნების ფუძის აღნაგობა ამტკიცებს უკვე წამოყენებულ დებულებას, რომ ქართულში დროის მიხედვით უღვლილებას წინ უსწრებდა ასპექტის მიხედვით ზმნის ცვლა: ზმნათა დიდ ნაწილში ერთმანეთს უპირისპირდებოდა პერმანსივით გადმოცემული განგრძობითი ასპექტის -ი სუფიქსიანი და აორისტიტ გამომხატული წყვეტილი (სრული) ასპექტის -ე სუფიქსიანი ფუძეები. თუმცა განგრძობითი ასპექტის სტატიკურ ზმნებში (წითხ, ღირს, ჰვამს, უკვრს, ავსოვს...) და აორისტის ზოგიერთი ზმნის ფუძეში (მოვსამ = მოვსაპე, დავდევ, მოვკალ...) ეს სუფიქსები შესაძლოა არც ყოფილიყო აუცილებელი.

3. სინონიმურ ზმნათა ურთიერთშედარებით მტკიცდება, რომ გარკვეული რაოდენობის ზმნები მხოლოდ ერთი ასპექტის ფუძეს აწარმოებდა, საპირისპირო ასპექტისათვის კი სუბლექტურ წარმოებას მიმართავდა; მაშასადამე, იმთავითვე არსებობდა ერთასპექტიანი ზმნები და სხვადასხვა ასპექტის გამომხატვა დამყარებული იყო სხვადასხვა ძირზე: განგრძობითი: უვის, ეტყუხ, ზის, ვარი... მაგრამ წყვეტილი (სრული): ესუა, ჰრქუა, ჯდა, ვიყავ...

დროის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ ამ ტიპის ზმნები ქმნიან დრონაკლ ზმნათა ერთ ჯგუფს.

4. ქართული ენის განვითარების შინაგან კანონზომიერებათა ძალით, თანდათანობითი და ხანგრძლივი ისტორიული ცვლილების შედეგად ასპექტს ცვლის უფრო აბსტრაქტული კატეგორია — დროის განვითარებული სისტემა. ძველ ქართულში არის დადასტურებული ნაშთები, როცა პერმანსივი აწმყოს მაგიერია, მისი მნიშვნელობით იხმარება. ეს ფაქტები პერმანსივის ფუძის აწმყოდ გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობაზე მიუთითებენ: პერმანსივი: იცის, იტყუხ, უწყის, მკის, ყრის... იგივე აწმყოა: იცის, იტყუხ, უწყის, მკის, ყრის...

5. მაგრამ განვითარება ასე სწორხაზოვანი როდი აღმოჩნდა. ზმნის ფუძეებმა რიგი ცვლილებები განიცადეს: თუ ერთ შემთხვევაში -ი სუფიქსი აწარმოებდა ჰგ-ი-ეს, იელტ-ი-ს, იც-ი-ს ტიპის ზმნათა ფუძეებს და შედეგ გამოყენებულ იქნა იგი აგრეთვე დგებ-ი-ს, ითქუ-მ-ი-ს, იმაღლ-ი-ს, შემირაცხ-ი-ეს, გამიკეთებ-ი-ეს ტიპის ზმნებში, ძველ ქართულში რიგ ზმნებში მას ენაცვლება სხვა სუფიქსები (-ავ, -ებ...): ითუალ-ი-ს → ითუალ-ავ-ს (შდრ. გათვალავს), ბორგ-ი-ს → ბორგ-ავ-ს, ს-ცელ-ი-ს → ს-ცვალ-ებ-ს (შდრ. ცვალ-ებ-ა)... ასე ყალიბდებოდა ძველ ქართულში აწმყოს ფუძე.

6. საერთო განვითარების მიუხედავად ენის გრამატიკული წყობის ცალკეული ფაქტები დიდ გამძლეობას და სიძველეს გვიჩვენებენ. ძველი ქართულის დრონაკლი ზმნების ერთი ნაწილი ოდინდელი ერთასპექტიანი ზმნებია, რომელთაც ახალი სისტემის — დროის კატეგორიის — შესაბამისი ფუძე ველარ განივითარეს, ძველი ფუძით შემორჩნენ. მაგრამ იქ, სადაც ამის საკიროება აღმოჩნდა, ამ ფუძეთაგან დროის გარკვეული ნაკეთები იწარმოვა. ამგვარად, ფუძის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს გვიჩვენებენ: წითს: წითლოვინ, აწითლებს, წითლდების; ახს: ახლავს, დაუახლოებს... (ზმნაში ფუძის დეტერმინანტის გადაყოლა აქ მერმინდელი ფაქტი ჩანს); ეჭუხს: ეექვება, დაექვდება, დააექვებს, ექვიანობს; ჰმარჯუხს: ემარჯვება, გაუმარჯვდა; ჰმატხს: უმატებს, ემატება, იმატებს, მატულობს; ყივისხს: იყივლებს, აყივლებს... და ასევე სონავს, კუშის (კუმოდა), ესავს ტიპის ზმნები.

7. დრონაკლ ზმნათა მეორე ჯგუფს ქმნიდა ნასახელარ ფუძე-ქთა (დენომინატივების) წყება, რომლებიც ახალი სისტემისადმი ჯერ კიდევ შეუგუებელი იყო. მართალია, ერთი მხრივ გვექონდა: მონა: ჰმონებს, ჰმონებდა, ჰმონა; მსახური: ჰმსახურებს, ჰმსახურებდა, ჰმსახურა; წინასწარმეტყუელი: წინასწარმეტყუელებს, წინასწარმეტყუელებდა, წინასწარმეტყუელა... მაგრამ მეორე სერიის ფუძის წარმოება ყველგან არ ხერხდებოდა: ჰმა: ჰმობს, ჰმობდა; ლადადი: ლადადებს, ლადადებდა... ასეთი ფუძეების მეორე სერიის უქონლობის კომპენსაციას ძველ ქართულში აღწერიითი (პერიფრასტული) ფორმები ეწეოდა: ჰმა-ყო, ლადად-ყო...

ნასახელარი ფუძეების წარმოება ზმნურ ფორმებად აწმყოშიც არ იყო ყოველთვის ადვილი შესაძლებელი და აღწერა გამოდიოდა ერთადერთ საშუალებად ძველ ქართულში აწმყოს წყების ფორმათა გამოსახატავად: ნათელი: ნათელს-იღებს, ნათელს-სცემს; ძალა: ძალ-უძს, ძალ-ედვა; სწორი: სწორ-ჰყოფს, სწორ-ჰყო... მაგრამ

სტანდარტი აქაც ჩამოყალიბდა: ორგანულმა წარმოებამ ამ ფუძეთა დიდი ნაწილიც მოიცვა, აღწერა თავისებურ პალიატივად დარჩა და მივიღეთ, ერთი მხრივ: მოუხმო, ი-ლაღაღა—უ-ლაღაღა... მეორე მხრივ: ნათლავს, ინათლებს, უძლავს (შეუძლია), [შე]ქძლო, დაასწორა ('გაუთანაბრა')...

დრონაკლ ზმნათა მეორე ჯგუფს ქმნიდნენ ისეთი ფუძეები, რომელთაც განივითარეს დროის კატეგორიის შესაბამისად პირველი სერიის ფორმები, მაგრამ ვერ აწარმოვეს მეორე სერიის ფუძე.

8. ძველ ქართულში პირნაკლ ზმნებად მიჩნეულია მეტე-ოროლოგიური მოვლენების ანუ ატმოსფერული მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები: წუმს, ქუხს, ქრის, ელავს. კსინავს, წითს, განთენე-ბის, დაღამნების, შემწუხრდების... ეს ზმნები მარტო მხოლ. რიცხვის მესამე პირში იხმარება. მესამე პირის ფორმის აუცილებლობა გამო-წვეულია მათი სემანტიკით. აქ თითქმის ყველა ნასახელარი ფუძეა, ზმნა ფაქტიურად სახელის მდგომარეობას აღნიშნავს და მასვე უკავშირდება: წუმა: წუმს; ქარი: ქრის (შდრ. კაცი: კაცობს...).

სპეციფიკური მოხმარების გამო პირნაკლადა ქცეული აგრე-თვე იყო (=იქმნა, მოხდა), ეგების (=შეიძლება), ჰვამს (=საქი-როა) ზმნები, რომელთაც დაკარგეს პირველი და მეორე სუბიექ-ტური პირის ფორმები.

9. ძველ ქართულ ზმნაში თანაბრად აღინიშნებოდა როგორც სუბიექტური, ისე პირდაპირი ობიექტური პირის რიცხვი. მაგრამ რამდენიმე ზმნა მრავლობითში, ჩვეულებრივი სუფიქსების გამოყენების მაგივრად, ინაცვლებს უძველესი დიალექტური წარმოშობის სინონიმურ ფუძეებს, რომლებშიც მრავლობითობის სუფიქსებიც იხმარება საერთო წესით. ამგვარად მიღებულია ოდენმხოლო-ობითისა და ოდენმრავლობითის ფუძეები. ტექსტებში ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა ზმნები, ერთი მხრივ, სუბიექტური პირის რიცხვთა მიხედვით, მეორე მხრივ, ობიექტური პირის რიცხვთა მიხედვით:

სუბიექტური პირში

მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
ზის	>	სხენან	ჯდა—სხდეს
ძეს			ვარდების—ცვიან
იდვა —	ისხნეს		კუღების—წყდებიან

ობიექტური პირში

მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
უვის	>	უსხენან	ესუა >
უღვს			ედვა >
დასუამს —	დასხამს		დასუა —
განაძებს —	განასხამს		დასხნა
განაღებს —	განახუამს		განაძო —
			განასხნა
			განაღო —
			განახუნა
დაღებს—დასხამს დასთხევს დააწყობს		დაღვა—დასხნა დააწყვნა დათხი(ვ)ნა	
შეაგდებს—შესხამს შეკყრის შესთხევს.		შეაგლო — შესხნა შეყარნა შეთხი(ვ)ნა-	

10. ძველ ქართულშივე ისახება აღნიშნულ რიცხვნაკლ ზმნათა პარალელური გამოყენების წესი: ოდენმხოლოობითის ფუძე ნახმარია მრავლობითისათვის და, პირიქით, ოდენმრავლობითისა — მხოლოობითში. ეს არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური რიცხვის მიხედვით ფუძეთა ნეიტრალური გამოყენებისაკენ, რაც უმეტესწილად დაკანონდა კიდევ ახალ ქართულში ამ ფუძეთა უფრო ზოგადი მნიშვნელობის განვითარებასთან დაკავშირებით.

11. ქცევანაკლი ზმნების ფუძეთა ანალიზით კიდევ ერთხელ მტკიცდება ის ფაქტი, რომ ქართულში ზმნისა და სახელის მორფოლოგიური კატეგორიების საწარმოებლად გამოიყოფა საზიარო ელემენტები. სახელთათვის დამახასიათებელი უძველესი ხმოვანთავსართოვანი წარმოება (ი-გავი, ი-სარი, ი-ფქლი... ა-დგილი, ა-ბანო, ა-კიდო... ე-ბანი, ე-რთი, სევან. პ-ე-ბ 'ზალი'... უ-ფალი, უ-ბანი, სევან. უ-დილ 'და დისთვის'...) დასტურდება ზმნებშიც: ი-ტყვ ზმნისა და ს-ი-ტყუა სახელის ი-პრეფიქსი საზიაროა. ასევე: ი-სარი და ი-სრვის (|| ი-სრევს); ი-ნანის და ს-ი-ნანული; ი-ვლტის და ს-ი-ვლტოლაჟ... ი-ქმს, ი-ცის, ა-ი-ძულა, უ-წყის, ა-რს...

12. ძველ ქართულში გვაქვს შემდეგი ქცევანაკლი ზმნები: მარტოოდენ ი-პრეფიქსიანი: ი-ცის, ი-ქმს, ი-ნანის, ი-ქადის... მარტოოდენ უ-პრეფიქსიანი: უ-წყის, უ-წყეს, უ-წოდს, და-უ-თმობს, და-უ-ტევებს, უ-ბრკუმის, უ-ფლებს... და მარტოოდენ ა-პრეფიქსიანი: ა-რს, ა-ქუ(ან)ს, შე-ა-შუს, ა-ქსოვს, ე-ა-რქუ...

13. ეს პრეფიქსები აქ ძველისძველია და იმდენად მკვიდრი, რომ ზოგ შემთხვევაში ფუძის უფუნქციო შენაზარდია. ასეთი ერთპრეფიქსიანობა გვაფიქრებინებს, რომ ზმნის, resp. სახელის ფუძეს (ერთი დიალექტის ფარგლებში) აწარმოებდა მარტო ერთი რომელიმე ხმოვანპრეფიქსი, რომელსაც საჭიროებისამებრ ერთოდა კლასკატეგორიის თანხმოდანპრეფიქსები: მ- (|| გ-); დ-, ნ- (→ ლ-), რ-, ს-, ზ- და წარმოქმნიდა ფინიტურ ფუძეს: ს-არ: ი-სარ, ს-ი-სრ-ა... ფუნქციის მოშლის გამო ძველ ქართულში ზოგჯერ ეს თანხმოდანპრეფიქსი ხმოვნითურთ შეუხორცდა ფუძეს და ახალი ფორმები ამ მთლიანი ფუძისაგან იწარმოვა: ი-ს-ი-ძვა, ი-ს-ა-თხევლიდა და სხვ.

14. თავდაპირველად ამ ხმოვნებს შესაძლოა ერთგვარი ემფატიკური პრეფიქსების მნიშვნელობა, ან, უკეთ, დეიქტური ნაწილაკების ფუნქცია ჰქონოდა. ასე რომ ეს პრეფიქსები უფრო ძველია, ვიდრე ქცევის კატეგორიის განვითარება. შემდეგში ქცევა ამ პრეფიქსების გამოყენებას დაემყარა. ი-პრეფიქსმა რეფლექსურ-უკუქცევითი შინაარსისაგან თანდათან გაიფართოვა მნიშვნელობა და

სათავისო ქცევა გამოხატა; უ- პრეფიქსი სასხვისო ქცევისათვის იქნა გამოყენებული, ხოლო ა-ს გამოყენება ძალიან ფართოდ გავრცელდა ზმნის ფორმარმოებაში.

15. ქცევის გრამატიკული კატეგორიის განვითარებასთან და ზეკეცვრებად ა-, ი-, უ- ხმოვანპრეფიქსების გამოყენებასთან დაკავშირებით თანდათან, ეპოქათა განმავლობაში იშლება ოდინდელი კონკრეტული დაყოფა. მაგალითად, მარტოოდენ ი- ხმოვანპრეფიქსიანი ზმნები ქართულში იცვლის ფუძეს და უფრო მოქნილი ხდება ახალი კატეგორიის საწარმოებლად. გექონდა მარტო ი-ყნოს-ს, განვითარდა: ყნოს-ავს, ი-ყნოს-ებ-ს, ა-ყნოს-ებ-ს, უ-ყნოს-ებ-ს; ი-ღრჭ-ენ-ს; ა-ღრჭ-ი-აღ-ებ-ს, და-უ-ღრჭ-ი-აღ-ებ-ს (მაგ. კბილებს); ი-ცის: ვ-ი-ც-ან, ს-ც-ნ-ობ-ს, ა-ც-ნ-ობ-ს, ი-ც-ნ-ობ-ს, ა-ც-ნ-ობ-ებ-ს... ძველ ქართულში გვხვდება პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფუძეების პარალელური ხმარების ნიმუშებიც: ი-ღუწის || ჰღუწის, ი-რეკს || ჰრეკს, ი-თხოვს || ხ-თხოვს... ასეთ ნიმუშებში ჩანს გარდამავალი საფეხური ფუძეთა კონკრეტული გამოყენებიდან უფრო ზოგადი შინაარსის შექმნისა. ამგვარად, ქცევანაკლად დარჩა ის ზმნა, რომლის ფუძე ახალი ვითარების შესაბამისად ვერ განვითარდა, ძველი წყობით შემორჩა.

✓ 16. ძველი ქართულის გვარნაკლო ზმნების შესწავლა გვარწმუნებს, რომ გვარის კატეგორიის საწარმოებლები უმკიდროეს გენეტურ კავშირშია ქცევის პრეფიქსებთან: ვნებიტი გვარი იყენებს მასალობრივად იმავე პრეფიქსებს, რასაც სახელებში *Yesp*. ზმნებში გამოყოფენ უძველეს საწარმოებლად. ესაა ხმოვანპრეფიქსი ე- (და ი-): ე-ბან-ი: ე-ბან-ებ-ა... როგორც სახელში არ შეიძლება ჰქონდეს მას ვნებითი გვარის საწარმოებლის ფუნქცია, ისევე უძველეს ეტაპზე ზმნაში არ განსხვავდებოდა იგი გამოყენებით. უძველესი სტრუქტურის ე-ძი-ებ-ს — ე-ძ-ი-ა, მი-ვ-ე-ც, ე-ტყ-ებ-ს, ე-კიცხევ-ს ტიპის ზმნები ადასტურებს, რომ ე- პრეფიქსის გამოყენებით არ ყალიბდებოდა მოქმედებითი და ვნებითი გვარი.

17. ე- პრეფიქსის გამოყენება სიტყვაწარმოებაში უფრო ძველია, ვიდრე გვარის კატეგორია. გარდამავალი და გარდაუვალი დინამიკურ-სტატიკური ზმნები უძველეს ქართულში შინაარსით და სუბიექტის ფორმით უნდა ყოფილიყო განსხვავებული. ძველ ქართულში, ჩამოყალიბებულია რა გვარის კატეგორიის წარმოება, დასტურდება მოქმედებითისა და ვნებითის სუბლექტური წარმოების ფაქტები: მოქმედებითი: სტყორცებს, უტევენბს, აგდებს, კლავს... ვნებითი: ეცემის, შთების, ვარდების, კულების... ეს ფაქტი სწო-

რედ მათ ოდინდელ უგვიარობას ამტკიცებს. ამ ზმნებში არ გამოიყოფა ვნებითი გვარის საწარმოებელი. ძველ ქართულში მათი ხმარება სინონიმურია. გვარის კატეგორიების მიხედვით განსხვავებული გამოყენება მათში რომ გარკვეულ საფუძველს არ ემყარებოდა, ამას ადასტურებს ამ ფუძეთაგან წარმოებული ფორმები: კუ-ედ (შდრ. მო-კ-ალ): კუდ-ებ-ი-ს, მო-ა-კუდ-ინ-ებ-ს და მისთანანი.

✓ 18. ძველი ქართულის კატეგორიანაკლ ზმნათა ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს განვითარების იმ ხანგრძლივ ისტორიულ გზას, რაც ეპოქათა განმავლობაში ქართული ენის გრამატიკულ წყობას გაუვლია, გვიდასტურებს ენის თვისებრიობაში მომხდარი ნელი და თანდათანობითი ცვლის საინტერესო პროცესს. ისტორიული შესწავლა გასაგებს ხდის იმას, თუ როგორ ვითარდებოდა თავისი შინაგანი კანონზომიერების ძალით ქართული ზმნის სტრუქტურა, როგორ იძენდა იგი აბსტრაქტულ შინაარსს და ამის შედეგად როგორ მდიდრდებოდა და უმჯობესდებოდა, რამდენად სრულყოფილი და დახვეწილი ხდებოდა თვით ენა. ✓

К ИСТОРИИ ОСНОВНЫХ ГРАММАТИЧЕСКИХ КАТЕГОРИЙ ГЛАГОЛА В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

1. Исследование глаголов древнегрузинского языка, недостаточных в отношении одной или нескольких грамматических категорий (времени, лица, числа, версии и залога), даёт весьма важный материал для изучения истории развития основных грамматических категорий грузинского глагола. Эти глаголы—древнейшие реликты того состояния языка, когда в нём не были ещё оформлены современные нормы спряжения, когда глаголы спрягались иначе, по другому принципу.

2. На основе анализа глаголов, недостаточных в отношении времени, подтверждается выдвинутое раньше положение о том, что в грузинском языке спряжению глаголов по временам предшествовало некогда изменение по аспектам. Различались два аспекта: дуративный, выраженный суффиксом пермансива -o -i, и моментный, передававшийся аористом при помощи суффикса -g -e (А. С. Чикобава). Следует отметить, что наличие этих суффиксов в ряде статических глаголов дуративного аспекта (წობს *çits* 'краснеет', ჰყავს *hqavs* 'нужно, надо', უკვრს... *ukvrs* 'удивляется') и в аористе некоторых глаголов (მოკლ... *movkal* 'я убил его') не всегда было обязательным.

3. Путём сравнительного изучения синонимичных глаголов устанавливается, что определённая группа глаголов имела только одну аспектную основу, для образования же другого аспекта применялась другая основа. Следовательно, имелись супплетивные формы: для дуративного аспекта უვის *uviv* 'имеется у него то', ეტყვს *eçqvs* 'говорит ему', ვარ *vari* 'есмы' и др., а для моментного аспекта ესვა *esva* 'имелось у него то', ჰრქვა *hrkva* 'он сказал ему', ვიყავ *viçav* 'я был' и др.

4. В результате долгого исторического изменения грузинского языка по внутренним законам своего развития аспект заменяется более абстрактной категорией—развитой системой времени. В древнегрузинском языке имеются пережитки применения пермансива в качестве настоящего времени (А. С. Чикобава).

Этот факт свидетельствует о возможности образования основы настоящего времени на базе пермансива. Таким путём получены, напр., глаголы *იცის icis* 'знает', *უწყის ucqis* 'ведает', *იტყვს itqvs* 'говорит', *შკის mkis* 'жнёт' и др.

5. Однако разные глагольные формы не всегда развивались прямолинейно. В образовании глагольных основ произошёл ряд изменений. Суффикс -*o* -*i*, при помощи которого образовалась основа в глаголах типа *იცის icis* 'знает', а также *დგების dgebis* 'встаёт', *იტკუშის itkwmis* 'говорится', *გამიკეთებინს gamiketebies* 'я, оказывается, сделаю', в ряде глаголов заменяется другими суффиксами (-*av* -*eb*...): *ითვალ-ი-ს itval-i-s* → *ითვალ-ავ-ს itval-av-s* 'считает' (ср. *გათვალ-ავ-ს gatval-av-s* 'считает'), *სცვლ-ი-ს scvl-i-s* → *სცვალ-ებ-ს scval-eb-s* 'заменяет' (ср. *ცვალ-ებ-ა cval-eb-a* 'замена'). Такая замена суффиксов формировала основу настоящего времени.

6. Несмотря на общую тенденцию развития языка, отдельные факты грамматического строя показывают большую устойчивость и древность некоторых глаголов. Древнегрузинские недостаточные глаголы в отношении времени — исконные одноаспектные статические глаголы, которые не были в состоянии образовать новую основу в соответствии с новой системой — развитием категории времени, хотя в случае необходимости удавалось образовать от отдельных глаголов временные основы. Этим объясняется различие основ нижеупомянутых глаголов, отражающих разные этапы своего развития: *წითს čits*, *წითლოვინ čitlovin* 'краснеет', *აწითლებს acitlebs* 'заставляет краснеть', *წითლდება čitldebis* 'краснеет'; *ახს axs*, *ახლავს axlavs* 'находится близко', *დაუახლოებს dauaxloebis* 'приближит', *დაუახლოვდება dauaxlovdeba* 'приближится' (наличие в этих глаголах детерминативного суффикса именной основы — вторичное явление); *ეჭვს ečws*, *ეეჭვება eečveba*, *ეეჭვიანობს ečvianobs* 'сомневается', *დააეჭვებს daaečvebs* 'заставит сомневаться', *დაეეჭვდება daečvdeba* 'усомнится' и глаголы типа *სთნავს stnavs* 'угрождает', *კუმის kumis* 'дымится', *ესავს esavs* 'уповает' и т. д.

7. Вторую группу недостаточных глаголов в отношении времени составляют отымённые (демонинативные) глаголы, часть которых ещё не приспособилась к нормам новой системы. Правда, в древнегрузинском языке известно беспрепятственное

ზგნების, სსხელების ფუძეთა და ძირთა საძიებელი¹

ა) ქართული

ბბანო იხ. ბან- 1

ადგილ-ი იხ. დ-გ-გ-

ადამ-: გააადამიანებს 247.

აკლ-ს იხ. კ-

ალოგი 276.

ათქ-ს იხ. დ-ე-გ-

ამბ-ობ: ვამბობ 4, 5.

ამბორ-ი: ამბორს 9; ვამბორებოდა 19.

ანჯშნ-ი: ანჯშნობდეს, ანჯშნობს 117.

არვე: არვეობდი, არვეობს 116.

არ- 1: ა(—არს) 44; არნ 44; არს 6, 8,

21, 43, 44, 45, 46, 49, 181, 192, 202,

276, 277, 281; არი 8; არიან 48; არი-

ვდ 44, 48; არსობა 181; ვარ 2, 3, 5,

6, 7, 43; ვართ 44; ვარი 43, 47, 48;

ხარ 43, 80; ხართ 44; ხარი 43, 47, 48.

არ- 2: აუვარებდეს 281; აღსაარება 277,

281; აღიარებს 277; აღმიაროს, აღუ-

ვარებდეს 281; საარება 273, 276; სა-

არებულნი 294; ჰარ 281; იარები 294.

არ- 3: განერა, განერებოდა, განრომაჲ

282; ვიარე, ვიარო 174; ჩამამრები

282.

აურეებს-ს იხ. ურავ-

აქუს იხ. ქუ-ან-

ალოჭუამ-ს იხ. ქუ-აშ-

აშორო იხ. შორ-

აც იხ. დ-

აძ-ს იხ. დ-

ან-ს იხ. ხ- 1

ან-: ალამალა 297; ალვამალეობთ 147;

ალამალის 6; აღმალდა 297; აღმა-

ლდეების, შალალი 147; მალლოვინ 147,

297; ჰმალლოვი, ვმალლოვით, მალ-

ლოვდეს 147.

ბ-: აბს, ჰბავის, ებნეს — 197; ვიბამ 8;

მიბმა, მიების 198; უბნ 197; შთაება

198.

ბად-: დაებადა 196. 311.

ბან- 1: აბანო 276; დაჰბანა 287, 292;

იბანს 248; დაუბანა 292.

ბან- 2: ბანი 300; ებანება 301; ებანი 300,

301; შებანება 300.

ბატკან-ი 276.

ბაძ-: ჰბაძავს 280.

ბედ-ი: იბედი, საიბედიო 264.

ბერ-: აბერებ 284.

ბერკ-: კუარცხლ-ბერკი 289, შდრ. ბორკ-

ბიჯ-: აბიჯებს, საბიჯტი 276.

ბნ-ელ-: დაუბნელდეს, დაუბნელნა 286.

ბორგ-: აღბორგდა, აღჰბორგენ. აღ-

ჰბორგდი—83; აღბორგნა 84; ბორგს

25; ბორგავს 118, 259; ებორგდ, ბორგ-

დეს, ჰბორგტი, ჰბორგით—83; ბორგის

17, 83, 85, 118. 259; იბორგის 259,

273; სიბორგილი-ი/ვ 25, 259.

¹ სიტყვები დალაგებულია ძირის მიხედვით (გ-: ეგების, ჰგიეს, მიაგებს...) ან ზოგჯერ ფუძითაც (გონ-: ჰგონებს, ეგონა...). მოხმარების გადავილების მიხედვით. თუ ტექნიკურ პირობებს არ ეწევა ანგარიში, ამა თუ იმ ძირისათვის ხშირადაა მითითება აწმყოს ფორმაზედაც (განაძებს, განძება—იხ. დ-...), აგრეთვე ეუთი ძირისაგან ნაწარმოები სხვადასხვა ფუძე გამორჩეულია ცალკე (ვ-: ვ-ალ-, ვ-ედ-, ვ-ლ-ენ-...). როცა რამდენიმე სხვადასხვა ფორმა ერთადაა, გვერდი მითითებულია ერთხელ.

ბორკ-: ბორკილი 289; ბრკოლ-, დაბრკო-
ლება 288; უბრკუმა 289, 296; უბრ-
კუმეს 289; უბრკუმის 288; შებორკავს,
შეუბრკუმეს, შეუბრკუმის—289.

ბომ-: უბომა 287.

ბრკ-ოლ- იხ. ბორკ-

ბრტყ-: იბრტყივ, სიბრტყივ 265.

ბრუნ-: ვაბრუნებ, ვებრუნავ 249.

ბრწყ-ენ-: ვაბრწყინებ 249; აბრწყინებ
237; აღმაბრწყინებ 127; ბრწყინა
118, 126; ბრწყინავ 118, 128; ჰბრწყინ-
ნავ 127; ბრწყინავს 127, 237; ბრწყინ-
ნეველ 127; ჰბრწყინევიდა 128; ბრწყინ-
ნევიდა 128; ბრწყინევენ 127; ბრწყინ-
ნიდა, ბრწყინივიდა 128; გამაბრწყინ-
ნივ, გამობრწყინდების 127.

ბრძ-ან-/-ენ-: ბრძანა, ებრძანე, ჰბრძანე
209; ბრძნობს, ბრძნობედ, განაბრძნის
110; უბრძანებს 24, 25, 93; უბრძანის
24, 93.

ბურ-: ჰბურავს, დაჰბურა, ებურა 136.

ბურტკ-: ბურტკო, ბურტკოვინ, გამობურტკოვინ,
გამობურტკოდეს—148.

ბჰ-: ბჰე 110; ბჰობს 109, ბჰეობ, განა-
ბჰეობ, განაბჰეობს—110.

მაღვალავს იხ. და-

გ-ავ-: ამგვანებს, ამსგავსებს 123; ჰგავს
4, 122, 123, 264; დაემგვანება, ემს-
გავსების 123; იგავი 264; მსგავსი,
მგავსებად 123; შეჰგავნ 122; შეჰგავს
4, 122; გვანა 6; ჰგვანდა 122, 153; შე-
ჰგვანდა 122; შეჰგვანდეს, შეგიგვანდა,
შეუგვანდა—123.

გალ-ობ-: გალობს, გალობნ 102; გალო-
ბაი 103; ვგალობდ, გალობდ, გალობდა,
ვგალობდეთ, გალობდენ, გალობდეს,
ჰგალობდი, გალობდინ—103; გალო-
ბედ 102, 216; გალობენ, გიგალობთ,
გიგალობს—102; ვიგალე 103; უგა-
ლობთ, უგალობს 102; უგალობდეს
103.

განაძლიერებ-ს იხ. ძ-

განერები-ს იხ. რ- 3

გან-ი იხ. გ-

განძებაჲ იხ. ძ-ებ- 1

გ-: განი 277; ვჰგებ 185; ჰგებს 99; გება
6; ჰგებდა, მგებდე, ვჰგებდი, მგებდით,
მგებდრ-რე—100; გებული 182. ვჰგი,
ჰგი, ვჰგივ, ჰგივ, ჰგის—183; ჰგიან 183,
186; ვჰგიე 8, 185; ვჰგიებ, ვჰგიებდი 6;
ჰგიე, ჰგიეთ, ჰგიენ 185; გიეს 8; ჰგიეს 22,
43, 155, 181, 182, 185; დაეგე 23; დაე-
გების 186; ეეგები 2; ეეგების 72, 99,
182, 185, 211; ეეგებოდა 72; ეეგებოდეს
182; ეეგებოდის 72; ეეგ 182; ეეგენით,
ეეგნეს 186; ეეგო 21, 22, 182, 183, 186;
ეეგო 158; ეეგოს 182, 186; მიაგებს, მი-
უგებს, მოიგებს 245; საგანი 277; უგი-
ან 186.

გდ-: აგდებ 232, 243, 297, 316; აგდებს
217; აგდია 180; განაგდე 244; გარდა-
იგდე 317; გარდამოაგდეს 244, 316;
დააგდის 244; დააგდო 243, 317; მი-
უგდე 244; შემაგდეს 243; შთააგდეს
243, 244; შთააგდო 317; შთაიგდო 317;
საგდოლი 292.

გ-ემ- იხ. გ-

გვ-ან- იხ. გავ-

გზ-: აგზავნის, გზავნის 283, 284; გაემგ-
ზავრა 311; იმოგზაურა 102; მოგზა-
ურობს 102, 109; მოგზაურობენ 109;
საგზალი 276.

გზ-: გზებ 191; დაგზება 316.

გლ-ოვ-: 146; გლოვის 145; გლოვებ,
ვგლოა, გლოავს, ეგლოვნ, ეგლოვდა 146;
იგლო 147; ვიგლოვ, იგლოვთ 146;
იგლოვს 142, 146; იგლოვა 147; იგ-
ლოვდა 146; იგლოვებს 147; ვიგლოი
147.

გოდ-: გოდებს, ვგოდებ, ჰგოდებთ, ჰგო-
დებდა, ვგოდებდე, გოდებდეს, ჰგოდებ-
დი, გოდებდით, გიგოდებდით—99.

გონ-: ჰგონა 188; ვჰგონებ 186, 187, 188;
ვჰგონებდ 188; ჰგონიეს, მგონიეს 186;
ვგონიე, გგონიე, გგონიეს, ჰგონიედ,
ჰგონიენ—187; მგონია 10; გგონიან 187;
ეგონა, შეგონა, გგგონე-ა, ეგონოს-ვე—
187.

გორ-: აგორებ 118; ანგორენის 119; გო-
რავ 118; გორავს 118, 136; გორავნ,
გორავენ, გორავიდა, ინგორის—119; მო-
ავროვა 118.

გრძენ-: აგრძენ, აგრძნა, აგრძნობნ, აგრძნობდა. გრძნობს, ვგრძნობდვ. იგოძნობს. უგრძნობს—284

გრძ-: იგრძივ, სიგრძივ 265.

გრ-ილ-ი: აგრილობდა 277; გრილი, გრილი 276; საგრილი 276, 277; განაგრილოს, განმიგრილოს—287.

გულე იხ. ვ-ალ-

გუარ-: მიჰგუარა 287.

გულ-: გული 243; გულობს 243; ეორგულოს 98; ორგულეზ 98, 101; ორგულეზს 98; ორგულეზდეს 99; ორგულეზობ 101; ორგულეზდეს 98; ეორგულედეს, შეორგულეზი—98.

გულისხმა, გულისჴმა იხ. ხუ-ამ.

ღ-: აღვეს 225; აღუღვა 234; მაე 8, 225; გუაე 225; გაე 226; ხაე 225; აე 151, 152, 225, 226, 227; გიე 19, 140, 227; მიე 10, 227; მიედა 10; გვე 227; დამიე 227; მიაე 224; უე 151, 152, 225, 227; უცე 227; აძა 151, 225; აძე 151, 225; აძეს 227; აძევს 151, 156, 225; დაუძს 227; განუძან 238; გაუძეაღვს, გაუძელული 235; დაუ 235; დაუდა 284; დასღვე 233, 335; დასღვა 43, 233; დაღვა 218, 233, 234, 239, 284; დასღვა 233; დაღვეს 233; დასღვოდის 93, 235; დასღვებს 238, 239; დაღვბად 42; დასღვბდეს 93; ღებ 9, 232, 235, 237; გღებთ, სღებს 42; ვღებ 224; ღებს 233; ღება 6, 7, 42, 235, 243; ღებად 42; ღვეს 224; ღვე 232, 235, 238; ჰღვე 235; ვსღვენ, სღვენ, სღვა 9, 42, 43; ღობს 235; (სახელ)ღობს 43; დაუღვა 233, 234; დაიღა 235; დაიღვე 243; დაიღვის 233, 239; შეღვა 8, 158; ეღვა 140, 151, 152, 226, 227, 243; გუღვა 226; მიღვბიეს 233; მიღვიან 9; იღვა 151, 152, 224, 225; იღვათ 233, (თანა)-მღები 235; მოუღვა 236; უღბი, უღვბი 235; შთაღვეს 214; ვღე 152, 224; ძეს 22, 152, 224, 225; ძენ 152, 224; ძევ 333; ძევს 8, 151, 224; უძს 151, 225; უძეს 227; უძევს 151, 225; წარმღვბი 116, 235; წარმღვბობს, წარმღვბობდეს

116; წარმოუღვა 234.

დაადგარბის იხ. დ-ე-გ-
დაამდაბლ-ის 6.

დ-ე-გ-: მაღვა, აღენ 156; აღვს 156, 157, 277; გაღან 226; აღვენს 153; აღვილი 276, 277, 308; ათქს 157; აღღვე 23; განუღვეთ 157; დაადგის 14; დავადგერ, დაადგარბის 155; ვსაღვა რ; ეღვა. ღვა, სღვა 4, 154, 155; ეღვათ, სღვათ 154; ღვას 22, 43, 153, 154, 155, 276; ღვან 154, 155, 156; ეღვათარ 7; ღვავს 155; ღვაშს 153; ეღვან. სღვან, ეღვანთ, სღვანთ 155; ღვანს 153, 167; ღვანე 155; ღვანა 155; ღვანან 154, 155; ღვანედ 153, 154, 155; ეღვე, ღვე, ღვენს 154; ღვენ 156; ღვების 144; ღვის, ღვიან 154; ვსაღვილი 6; ღვინება 243; ღვამო 6; ეღვე 151, 155; ღვა 154, 155, 277; ეღვეით, სღვეით 154; ეღვა 157, 243; შეღვა 158; ეღვენს 157; მიღვან 156; იღვინა 243; მოსღვამს 157, 158; მღვარე 296; უღვს 156, 157; უღვა 157; უღვანა 155; შესღვამს 158; შეგვღვს 157; შეუღვს 156; შეუღვა 251; შეუღვეს 23, 252; შეუღვიან 155; ჩასღვამს 158.

დ-ევ-: მისღვეს 252, 280; მისღვედა 251. დევეული იხ. კ-

დ-ენ-: აღინებს. გარდამოაღინა, გარდამოაღინებდა 68; ღენა 6; იღენს, იღინა 68.

ღიკეული იხ. კ-

ღ-ი-: აღმოღიოდა, დასღიოდა, მღის. სღის, გღის, ღის, ღიოდა, ღიოდეს, გარდამოღიოღიოდეს, მიღივილ-მოღივილი—68; მოღივიარ 7; წარსღიოდა 68.

ღიღ-: აღიღებს 18; ანღიღრებს 148; განამღიღრა, განამღიღრებდა 297; ღიღნების, იღიღების 18; განამღიღრებს, განამღიღრდების 18; მღიღარი 18; მღიღრღება 148; მღიღროვიან 18, 148, 297; მღიღროოდა 148.

ღრო-: სღროებს, სღროებთ, ღრო-შეკით, ღრო-უჴო—98.

ღრტუ-ენ-: ღრტუენავს, სღრტუენავთ, ღრტუენენ, ღრტუენიღვს, იღრტუენის, უღრტუენიღვს—129.

დუმ-: ადუმებს, დაადუმებს, დადუმენებს
—81; დუმს 25, 47, 48, 71, 81, 274;
დუმან 48, 81; დუმდენ, დუმენ 81;
ვდუმნე 81; დუმნა 81, 199; ვდუმი 25,
81; სდუმი 81; დუმის 47, 81; დუმიან
48; დუმილი 25, 47, 81, 274; იდუმალი
264, 274; საიდუმლო 274.

დულ-: ადულებს 248; ადულილებს 88;
დადულდა 89; დულს, დულნ 89, 274;
დულდა 89; იდულა 274.

დღე 110.

დღესასწაულობ-ს იხ. სწა(ვ)-ულ-

ე-ბ-ან-ი იხ. ბან- 2.

ე-ბ-ე 274.

ეგებ-ი-ს იხ. გ-

ელ-ავ-: დაელნება 122; ელაეს 121, 122,
210, 312; ელვენ, ელვიდა, ელვიდეს—
122.

ელმი-ს იხ. ლმ-

ენა 301.

ეოცებ-ი-ს იხ. ც- 2

ეპისკოპოს-: ეპისკოპოსობს, ეპისკოპოსო-
ბდა, ეპისკოპოსობდეს 109.

ეჟუან-: ეჟუან 58, 302; ეჟენის 58, 302;
ეჟუნიან 302.

ერთ-ი 292, 301; გუეთე, შემოგუერთე
137.

ეუბნება-ა იხ. უბან-

ეუფლები-ს იხ. ფ-

ექვს-ი 292, 301.

ეშინი-ს იხ. შ-

ეძიებ-ს იხ. ძი-ებ-

ეკუ-: დაეკუდება, ვეკი, ვეკუ 301; ეკუს
194, 196, 301; ეკვი 301; ეკუდ, ეკუ-
დეს 196; მეეკუება 301; მეკუული 196;
შეეკუდა 196, 301.

ვა-: ვაებს, ვაებდა 97.

ვ-ალ (|| ვ-ელ): ავლებს 176; ავლო 176;
ავალ 171; ავლნა 175; აღ-რე-გუალე
173; ვალ 5, 169, 170, 173, 174, 176;
ხვალ 170, 174; ხვალ 171; ვალს 169,
171, 174, 180; ვალნ 171, 174; ველ 173;
ვლვ 5, 169; ვლეს 175; ვლენ 170, 172;
ვლედ 172; ვლენან 171, 172; ვლენედ

170, 171, 172; გავა 170; გამოვალნ
148, 171; გამომივილეს 175; განვალ,
განვალ, განვალს 171; განვლე, გან-
ვკლენ. განვლის, განვკლის 174; გან-
ვლის 176; განვლო 174, 175; გარ-
დავლენ 171; გარდავლეს 175; გარდაე-
ლმ 174; გარდავლნის 175; გარდამო-
ვალს, გარდამოვლენან, გარდამოვლე-
ნედ, დავალნ—171; გუალე 173, 176;
ველო 176; ვივლი, ვლიდი 170; მივლე
175; მივლენან, მიმოვალნ 171; მიგუალე
173; მოვალ 320; მობუალ-ა 171; მო-
ველ 170, 174, 320; მოვლენ 171; მო-
ვლენან 172; მოვლიან 174; მოვლიდა,
მოვლიდეს, მოვლნა 175; მოგუალე 173;
მოსლელი, მოსრული 180; მოუვალ 171;
სვლა 6; სვლავ 174, 180; სლული 180;
უვლიეს 175; შევლენ, შევლენ 171;
შევლეს 175; შევლენან, შევლენედ 171;
შემოვალს 171, 172; წარვალ, წარვალს
171; წარვკლის 174, 175; წარვკლოს
175; წარგუალეთ 173.

ვალალა-ა: ვალალაებს, ვალალაებდა, ვა-
ლალაებენ, ვალალაებდ, ივალალა—96.

ვარდ-: გამოვარდებოდა 228, 317; გარ-
დამოვარდა 316; გარდავარდი, გარდა-
მოვარდი, განვვარდი 317; დავარდა
228, 298, 317; დაქვარდე 318; დავარ-
დეს, დავვარდით, ვარდ—228; ვარ-
დების 316, 227, 317; მივარდა 318;
შთავარდა 317; შთავარდეს 228, 318;
შთავარდებინ 227, 317; შთავარდები
317; შევარდა, შევვარდეთ 318; შევვარ-
დებოდა, შეგვვარდები 317; წარვვარდა
228, 318.

ვარცხნა-ა იხ. რეცხ-

ვასხება იხ. სხ-

ვაქარ-: განვვაკრი, განვვაკრის 111; ვა-
კარ 111, 261; ვაკრობ 261; ვაკრობა,
ვაკრობს, ვვაკრობდეთ, ვაკრობდეს 111;
ვაკრობდით 111, 261; ივაკრა, ივაკრეს
111; ივაკრობს 261; ივაკრობდენ 262;
ივაკრობდით 261.

ვ-ედ-: ალვიდა, ალვიდეს, ალვიდიან 179;
ალმოვიდოდა, გამოვიდოდეს, განვიდო-
დის 178; ვედ 170, 173, 176, 177, 299;

ვიდოდე 173; 177, 178; ხვლოდე, ვი-
დოდეთ 178; ვიდოდა 177; ვიდოდა 5,
169, 170; 178; ხვლოდი, ვიდოდით,
ვიდოდინან, ვიდოდოდე 178; მივედ 23,
173; მიხუედ 179; მივედინ 180; მივიდე,
მიხვდე 179; მივიდედ 180; მივიდი 171;
მოედ 171; მოხუედ 174; მოვედ 174,
178, 179, 320; მოვედინ 174, 177; მო-
ვიდა 174, 174; მოვიდინ 172; მოვიდეს
216; მოვიდის 177; მოვიდოდინ 178;
მოიდა 171; ხუვიდოდა, უვიდოდა 178;
შევედით 180; შემოედ 171; შემოხუედ
179; შევიჯეს, შევიდენ 179; შევიდო-
დეთ 178; შთავიდე 179; შთამოვიდო-
და 178; წარვედ 23, 178, 180; წარხუ-
ვდით, წარვიდე 179; წარვიდის 177;
წარვიდოდეს 178.

ვედრ-: დაჰვედრა, ვედრი, შეჰვედრებს 18.
ვ-: მივის 6, 17, 49, 221, 284; გვის 161,
221; გუვის 161; მივიოდა 6; უვის 25,
49, 220.

ვლდ-: ავლდა, აღმოვლდა 318; აღ-შვა-
ვზლდი, ახლდა 319; ვახტუნებ 249;
ვლდა, ვლდების, ვლდობა, ხლდებო-
და, ხლდებოდინან, ხლდობა, ხტობა—
318.

ვლ-ენ-: ავლენს, ავლინებს, ავლინებდეს—
176; მიგავლენ, მიგავლინებ 93; მიავ-
ლინა 287; მიუვლინეს 286; მოუვლენს
176; შეავლინეს 286.

ვლდ-ომ-ა იხ. ილდ-

ვლტ-: განველტის, განვილტოდა 61; ევლ-
ტის 309; ევლტიან 61; ვივლტი 60;
ვივლტი 9, 60, 254; ივლტით 61; ივლ-
ტის 25, 54, 60, 61, 182, 183, 256,
273, 309; ივლტინ 61; ივლტით 256;
ივლტიან, ივლტიედ 61; ივლტოდა 23,
61; ვივლტოდი 60; ივლტოდე 23, 61,
62; ვივლტოდე 61; ივლტოდეს, ივლტო-
დის, ვივლტოდი, ივლტოდითცა—62;
შეოტი, მიივლტიედ 61; მიივლტო-
დინან 62; მოვივლტი 61; მოივლტოდა
61; ოტება 60; სივლტოლა 60, 254,
256.

ზამ-: აზმნობს 200; ვზამ 9; ჰზამს 21, 192,
200, 251, 275; ჰზამთ 201, 252; ზმენ,

ზმიდი 201; ზმნა 200; ვიზამ 7, 8, 22;
იზამს 275.

ზარდა 282.

ზაზ-: აღიზანა, აღიზახებს, იზახდა, იზახ-
დეს, იზახის 269; ძახილი 269.

ზ-ი: მაზის 9; აზის 284; ვზი 2, 4, 9, 49,
185, 222, 224; ვზივარ 7, 8, 185;
ვზით 9; ჰზით 224; ჰზი 222, 223; ზის
8, 22, 49, 81, 217, 218, 222; ზიან 224;
ზე ზის 284; მიზის 9.

ზრუნ-: ზრუნავს, ზრუნავ, ვზრუნავ 129;
ჰზრუნავთ, ზრუნევდით, ზრუნვიდა,
ზრუნვიდეს—130; იზრუნა, შეზრუნდა,
129.

ზუ-: ნეხვი 308.

ზლუარ-: განასაზლურებს, ესაზლურების
ზლუარი, საზლუარი—282.

ზუე-: აღზუენა, ზუაობ, ზუაობს, ზუა-
ობნ—113.

ო-: თ-ევ-ათევს 214; ათიებს, განთიადი,
განვათიეთ 214; განვათიებთ 215; მთიე-
ბი 214; თ-ენ-: თენდების 3, 20; განთენა
214, 215; განთენდების 214; განთენდა
214; განთენებოდა 215; ნ-ა-თ-ელ: ნა-
თელი, ნათელ-სცა, ნათელ-ილო, განა-
ნათლებს, ინათლების, მონათლა, მო-
წანათლავს, ნათლდების 114. ნათ-ობ/-ოვ:
დაგვნათის 114, 142; ნათობს 114,
115, 214; ჰნათობ, ჰნათობნ, ჰნათო-
ბენ, ნათობდა, ჰნათობდი — 114; ნა-
თობდინ, უნათობდა 115; ნ-თ-ებ: აღან-
თის, ენთებინ, ენთო 191, 114; ვინ-
თებ 247; ჰნთიედ 191, 214; თოვ-ს 5,
6, 210.

თ-ავ-: გამოათავისუფლა, განათავისუფ-
ლებს, განათავისუფლებდა—18; განე-
თავისუფლენს, განეათავისუფლებდით,
განათავისუფლდით, განუთავისუფლე-
ბიეს—19; თავისუფალი 18; თაყუანის-
სცა 23; მთავრობს, მთავრობდ, მთავ-
რობდა—110.

თავვედობ-ს იხ. ეედ-
თაყუანის-ცემა იხ. თავ-
თარგმნებ-ს 315.

თ-ევ- იხ. თ-

თენ-ენ-ა იხ. თ-

თეს-: თესავ, სთესია თესლი, თესლოვინ, უთესია—149.

თვალ-: ითვლის, ითვალავს, ითვალვენ 25, თთუე 37.

თმ-ენ-, თმ-ობ-: დაითმენს 289; ითმენ 285, 292; ითმენდა 289; დაუთმეთ, დაუთმომო, დაუთმობს, დაუთმობ, დაუთმობდი 289; უთმობ 292.

თნ-: სთნავს 131, 132, 280; მთნავს, ჰსთნავს 131; მთნდა, გთნდა, სთნდა, სთნდეს, გთნდინ, შესთნდა 132. ითნო 132; სათნო 132; თნვეად 131; მოთნე (თავმოთნეობა) 131.

თოვ-ს იხ. თ-

თუთე იხ. თთუე.

თქუ-: ათქმევს 38, 149; ათქმევიებს 149; ათქმუმიის, ათქმუმიოს 39; ალთქუნეს 38; ალმიტქვ, ალგიტქვამს 37; გამოთქვა 38; გამოთქვამს 182; გამოითქუმის 38, 183; გამოითქუნეს 38; გამოუთქვამს 182; განსთქვამს 39; განთქუნეს 38; განსოქუმედ 14, 37; განიოქუმის 38; დაათქვა, ეთქვა 42; ვთქვი, თქვა 209; თქვი 33, 209; სთქუ, სთქუთ, თქუთ 36; თქუ 36, 39, 41, 42, 278; თქუა 16, 23, 25, 34, 35, 36, 277; თქუას 34, 36; ვთქვამ 1, 4, 37, 38; ვთქვამდი 4; მითქვიდით 35; ითქვა 38; მითქვამს 37; მითქვა, ვითქვამ, გითქვამს, ხითქუმის—38; მითქვამიდა 37; ითქუმოდა, ითქუმოდის 38; ითქუნა 38; მიმოგანიოთქვას, მიმოდაიოთქვა, შეიოთქუმის 38; შეიოთქუნეს 39; უთქვა 38; უთქუმიდეს 37; წართქვა 38, 103; წართქუეს 103.

თხარ-: გითხრობ 291; მოგუგუთხრა, მოუთხრობს 291; უთხარ 251, 287, 292; უთხრა 291; უთხრავს, უთხრობს 291; ვუთხრობ 3; უთხრობთ, უთხრობდეს წარმოუთხრა 291.

თხ-ევ-: ამონთხევა 239; განსთხიენ 244; განსთხიან 238; განითხინეს 237, 238; გარდამოსთხიენა 239; გარდამოსთხინა 238, 244; დასთხევის 217, 237, 238, 239; დასთხევეს, დასთხევედ 237; დასთხიენ 238; დასთხიენა 214; დათ-

ხია 234, 239; დათხიეა 239; დათხინა 218; დაითხევის 238; თხევა 233, 236, 238, 243, 289, 316; მუთხინის 244; შესთხინეს 238; შეუთხინა 234; შათხინა 234; შთანთხია 239; წარმოსთხინა 238.

თხ-ევ-ლ-: ითხევიდეს 282; ისათხევიებს, ისათხევიებდეს, ისათხევის—263; ისათხევიდეს 263, 282; მთხევარი, მთხევლარი, სათხევილი, სათხევილობა 263.

თხ-ოვ-: სთხოვს 142, 275; ჰთხოვოთ 275; სთხოვა 142; ითხოვს, ითხოვოთ 275.

თ-გ-ი 276.

იდავე-ი 264, 265.

ივერია 264.

ინაჯ-ი 264.

ინებებ-ს იხ. ნ-ისარ-ი იხ. სარ-ირუნცკა 264.

ისიძავს იხ. ძავე-იტრია 265.

იფელ-ი იხ. ფექ-ილია 259, 264, 276.

იყვან-ს იხ. ყ-ვ-ან-იყ-ო იხ. ყ-ოფ-ნ-ა.

იშიშეის-იხ. შ-

იცი-ს იხ. ც-2.

იძულეობა იხ. ძ-

იწრო 265.

იჭვი 301.

ძ-: დეკეული, დიაკეული, მაკე—308.

კათალიკოზ-: კათალიკოზობს, კათალიკოზობდა—109.

კ-ალ-, კუ-ედ-: დაიკალ, დაიკლვინ, დაიკლვის, დაკალთ, დაკლავნ, კალ—320; კლავს 297, 319, 320; კლვიდა 320; მოკლენ 218; მოკლეს 219; მოკლნეს 220; მოკლვად 219; მოსაკლავ- 262.

*იკლდის 260; კულების 219, 320; კუედ-299, 319, 320; ზოაკლდინე, მოაკლდინებს, მოაკლდინებდა—321; მოკუდავე-262; მოკუდა 218, 298, 321; მოკუდეები 321; მოკუდეობდა 219, 260, 321; მოკუდე 321; მოსიკლდიდ, მოსკუდა

- 262; სიკუდილი 253, 255, 260, 262, 276.
- კარ-: შემკრავ 3; შეუკრენით 286.
- კარგ-: დაეკარგა 299.
- კაცი-: განკაცნა 199; კაცობს 211; მკაცრ 213.
- კეთ-: მაკეთა, ვაკეთე 247; აკეთებს 248; მეკეთა 247; ვეკეთე 247-
- კ-ელ-: აკლს, გაკლს, მაკლს, გაკლდა, გუაკლდა—168; მაკლდეს 169; აკლია 168; დავაკალ 115, 168; დავაკელ 115; დააკლუნს 168; ეკლდა 311; კელობ 115; კელობდა 116; მკელობელი 115; მოვაკელ 168; მოაკლდა 25; მოაკლდების 168; უკლდა 311.
- კელ-ობ- იხ. კ-ელ.
- კილ-: აკილო 281; აღ-კა- იკიდებდეს, დამოჭიდავს, დამოგვიკიდვან—138; ეკიდა. ეკიდინან, ხკიდავ 139; ჰკიდავ 184; ჰკიდავს 138, 180; ჰკიდავენ 139; ჰკიდივს 139; ვკიდივარ 185; ვჰკიდივარ, ჰკიდინხარ 181; ჰკილია 180, 181, 185.
- კიგ-: აკიელდა, კიგილი 88.
- კითხ-: წაეკითხა, წაეკითხნა 299.
- კიცხ-: განკიცხეს, ეკიცხევს, ეკიცხეუდეს, ეკიცხეუდ, იკიცხვის—304; კიცხავს 131, 304; კიცხევა 131; ჰკიცხვიდეს, მოიკიცხა 304.
- კმ-ი იხ. კუამ-
- კს-ენ-: კსინავს 128; მკსინვარე 129; მკსინვარებაჲ, მკსინვარებასა 129.
- კვლ-: დაეკვლარე 113; მკვლრ, მკვლრობს 213.
- კვრ-: განჰკვრდი 205; განუკვრდებოდა 208; დამიკვრდა 205; უკვრს 192, 193, 194, 205; მიკვრს, გიკვრს, გიკვრნ, უკვრნ, გკვრდა, უკვრდა, გიკვრდეს 205.
- კუა-ლი-ი: კუალ 292; კულ-ავ 251; უკვენა 292; უკუნა 292.
- კუამ-: აკუამედ 62; ჰკუამი, ეკუამოდე, კუმოლან 10; კუამლი 62; კუმის 25, 62; კუმოდა, მკუმოლვარე 62; მოაკუამიე 63; უკუამიდეს 62.
- კუარცხლბერკ-ი იხ. ბერკ-კუდები-ს იხ. კ-ალ-
- კუეთ-: დააკუეთა, დაჰკუეთა 284; დაჰკუეთის 14; წარჰკუეთა 287.
- კუნეტ-: კუნეტ 249.
- კუნეს-: კუნესი, კუნესის, კუნესიან, კუნესოდა 58.
- კუს-ავ-: იკუსვის, ჰიკუსოდა, კუსოლა მკუსოლარე—74.
- ლაგ-: დალაგა 239.
- ლაჯ-: ალაჯებს 276.
- ლ-ამ-ი-ს იხ. ლ-ლაპარაკი 115.
- ლალ-: განლალნა. განლალნების 148; ლალოვინ 102, 148; ლალობს 102; გლალობდი, ჰლალოი 148.
- ლ-ევ-: დაელიე 4; დაილიენეს 149.
- ლევწ-: დალევწავს 217.
- ლ-: ალოდებს, დაალოდონ 67, 303; ევლი 4, 9; ელის 25, 66, 303; გელი 66; მელიან 67, 303; ელოდა, ევლოდმ, ელოდეს 67; ელოდების 67, 303; ევლოდი 4; ვლამი 9; ჰლამის 66, 67, 251; ჰლამოლიან 67; მიმელის, მოველი, მოველით, მოვლის—66; მოველით, მოვლიან 67; მოვლი 303; მოვლოდა, მოველოდეთ, მოველოდეს 67; მოველოდნეს 67, 303.
- ლმ-: ელმის 80, 298, 302; მელმის 298, 302; მელმიან 302; ელმიედ 302; ელმოდა 303, 311; გჟელმოდა 303; სალმოზა 276; შეელმნეს 303.
- ლოც-: ილოცევდით, ულოცევდით 286.
- ლუდ-ი, ა-ლუდი 276.
- ლულ-: ლული 79, იხ. რულ-ლტოლუა, ლტოლვილი 60, იხ. ელტ-
- მად-: მადლ-ი 102, 105; ჰმადლა 106; მადლობს 102; ვმადლობ 105; ჰმადლობ, ჰმადლობს, ჰმადლობდა, ვმადლობდეთ, ჰმადლობდეს, ვმადლობდით—105; ვმადლობთ 104; მიჰმადლდებოდა, მივმადლო, მოჰმადლებს, უმადლი—105.
- მალ- 1: ჰმალს, მალდა 208.
- მალ- 2: დაემალა 299; ემალვის 302; ემალება, იმალავს, იმალება—310; იმალევის, იმალვის—93.

- მარჯუ-: განემარჯუა, განემარჯუებოდა, გაუმარჯუდა, ჰმარჯულა—196; მარჯუენა 117; ჰმარჯუნ 196; ჰმარჯუს 194, 196.
- მატ, მეტ 195; გარდაჰმატე 196; იმატა 277; ჰმატს 195, 277, 310; მმატს, ჰმატლა, ჰმატლე, გმატლე—195; მეტი 310; ნამეტანი 277; სამატი, იმანტა 277; წარეტებოდა 195.
- მალალ-ი, მალლ-ოვ-ი-ნ იხ. აღ-მახე 264.
- მ-გვ-ან- იხ. გაე-მდიდარ-ი, მდიდრდები-ს იხ. დიდ-მლოგუ-ი: მლოგუსაჲ # მლოგუსაჲ 160.
- მეორ-ი იხ. ელტ-მეუფე იხ. ფ-მეფე იხ. ფ-
- მეკადინეობ-ს იხ. ცად- 2.
- მეოხნე 233, 264.
- მზალ-: მოგზადა 196, 311.
- მთავრობ-ს იხ. თავ-მიყუარ-ი იხ. ყუარ-მკაცრ- იხ. კაც-მკელობელ-ი იხ. კ-მკვდრობ-ს იხ. კვდ-
- მკლავ-ი: გაემკლავა, გაუმკლავდა 311.
- მნათობ-ს იხ. თ-
- მო- (ვედ) 173.
- მონა-: მონაჲ, ვამონებდი, ჰმონებს, ვამონებთ, ჰმონოს—94.
- მოს-: 189; ემოსა 190; გემოსა, იმოსდეს, იმოსების 189; ჰმოსია 190; ჰმოსიეს 181, 183, 189; გმოსიეს, მმოსიეს 2, 183, 189; მმოსიედ 189; ჰმოსიენ 189; მმოსის 183, 184; გმოსის 183; ჰმოსის 183; სა-მოსელნი 163; შეჰემოსა, შეიმოსებეს, შეემოსავს, შეჰმოსს—189; შეუმოსია 190.
- მოსრავ-ს იხ. სარ-მოქალაქობ-ს იხ. ქალაქ-ი
- მოქმედებ-ს იხ. ქამ-მოყუარე იხ. ყუარ-მოყუარ-ი იხ. ყუარ-მსახურ-: მსახურე, მსახურებს, ვამსახურებთ—94; მსახური 94, 296.
- მსგავს- იხ. გავ-
- მსტოვარ-: განიმსტურეს, იმსტრობს. იმსტრობდეს, იმსტრობს, სამსტრო—272.
- მტერ-: ჰემტერა, ემტერები, ჰმტერავს—134.
- მტერევა-: დაამტერევეს 217.
- მტკიც-: განემტკიცა 311; განემტკიცნეს 312; განუმტკიცნა 311; განუმტკიცნეს 312.
- მტკმ-: ემტკმო, უმტკმიედ—191.
- მუსრ-: დამუსრა 220; დამუსრავს 220; დამუსრნა 218; დამუსრნენ 220; დაუმუსრნეს 286; მუსრავს 3, 217; შთაუმუსრნეს 220.
- მღელ-: მღელელობს, მღელეობდა, მღელეობდეს—108.
- მღ-ერ-: ემღერს 310, 312; ემღერდა 309, 312; ემღერება 312; იმღერს 310; იმღერდა 309; იმღერის 259; მღერის 259, მზ-: ამშვეს 75; *იშშის 259; იშიშშილა 262; მოშივდა 310; შშვე- 75, 263; ჰმშვეს 259. [მოშშვეა 259; გშივა, მშივის, ჰმშივის 75; გმშიის 76, 259; ჰმშიის 75, 76, 259; გუმშიის 76; ჰმშინ 75; მშიოდის 76; სინშილი 75, 259, 262, 263; შეემშივა 75; შეემშია 75, 310; ჰშია 181; შიშშილი 262; შიოდეს 76; ჰშიოდის 76.
- მძლავრ- იხ. ძ-
- მწირ-: ჰმწირობ, მწირობს, მწირობდ 113.
- მწიფ- იხ. წიფ-
- მკნე 264.
- ნ-: ვანებებ 101; მენება 101, 134; გენება, გუენება, ენება—101; ენებუა, ენებოს 134; გენებოს 101; მინა 10, 100, 134, 165, 166; მინან 165; გინა, მინდა, გინდა, მინდანან, გინდეს—166; მინებს 100; 101, 134, 165, 166; ეინებებ 101, 165; მნებაეს 10, 134, 165, 166; გნებაეს 134, 135; ჰნებაეს, ჰნებაენ 134, 135; მნებვიდა, მნებაედის 135; მომინდება უნდა, უნდეს, უნდოდა—166; უნებს 101, 134.
- ნა-თ-ელ- იხ. თ-
- ნათ-ობ-ს იხ. თ-

ნან-: ანანებს, ენანება, დაუნანებია, ინანებს—259; ვინანი 257; ინანის 255, 257, 259; ინანიელ, ინანდა, ინანდით, ინანოდა—257; ნანობს 259; სინანული 255, 257; შეინანა, შეინანებს 257.

ნატრ-ა, ნეტარ-ი 310.

ნებაჲ-ს იხ. ნ-
ნეზე-ი იხ. ხუ-
ნერგ-ი იხ. რგ-
ნერწყვი იხ. რწყ-
ნესტი იხ. სტუ-
ნიდაყვი იხ. იდაყვი.
ნიტრია იხ. იტრია.
ნუკრ-ი 295.

ორგულეზ- იხ. გულ-

ორძ-: აალორძინა, ალაორძინა, ალაორძინებს, ალორძინდა, ალორძინდა, ალორძინდებინ, ალორძინდი, განაორძინდების, ორძინა, ორძინდებოდა—88; ორძის 87; სიოროძილი 88, 296.

ოტება იხ. ვლტ-

ობრა-: ობრა 57; ვობრაჲ 247; ობრაჲს, ობრაჲ 57; ობრის 18, 25, 57, 58; ობრიან, ობრიდა 58.

პარ-: მოიპარინ 14.

პერ-: მოპერაჲს 144; პერი 18, 144; პეროჲა 144; პეროვი 142; პეროვინ 18, 143, 144, 146, 182; პერონ 14, 143; პეროოდა 144, 145; პეროოდეს 145; პეროდა 144.

პ-ობ-: განაპის 14; მოაპის 13.

პოვ-: იპოვა 125; იპოვის, მიპოვინეს 275; პპოვეზს 125.

პყ-არ-: დააპყრის 14; ვეპყარ 188; ეპყრა 44, 158, 188; ეპყრას 189; გიპყრიეს 188; მიპყრიეს 188; უპყრის 184, 185; უპყრიედ 188, უპყრიეს 185; უპყრიან, გპყრიეს 188; შეუპყრა 288; შეუპყრენს 286.

ჟამ-ი-: მიჟამე, მიჟამებს 118; ეჟამობს, ეჟამობედ 117.

ჟენი იხ. ჯ-ედ.

ჟივ-: ჟივის, ჟიოდეს 28.

ჟუვ-: ჟუვის, ჟუოდა 29.

ჟღავ-: ალჟღავნეს, ჟღავის 28; ჟღავილი 29.

კათხ-: განირათხ 198.

კაცხ-: შემირაცხიეს 182.

კბ-: არბეეს 69, 149; გაურბის 311; ირბედეთ 69; მარბოლებსაჲ 84; რბევა 75; მირბიოდა 23, 69; მირბიოდეთ, მირბიოდით 69; რბის 16, 25, 26, 69, 185; ვრბივარ 185; რბიოდა 25, 26, 69; ჰრბიოდე, ვრბიოდი 69; რბოლა 259; სირბილი 75, 255, 259; სრბაჲ 253, 259; ურბიედ 69; შემორბიოდა 69; შეურბიოდა 69, 262; წარბიოდა, წინარბიოდეს 69, 70.

კრგ-: დაენერგე, დაჟნერგა, ენერგვის 309; ნერგი, ნერგავს 308, 309; რგავს 308.

კრეჲ-: მოვრია 311.

კრჲ-: ირჲეს, ირჲენ, ირჲეჲა, ირჲეჲავს, ირჲედეს, ირჲედინ, ჰრჲეჲა—260.

რეცხ-: არცხიებდეს, ნარცხი, რცხის, სარცხელი; ვარცხნა, ვარცხნის—255.

რთ-: დაპრთვიდა. ერთნეს 137; რთავს 137, 138; რთული, შემართო 137.

რთუ-: მიართუა 287; მოართუეს, მოართუეს 161.

რიდ-: ჰრიდებს 280.

რისხ-: განრისხნეს, განურისხნა 286.

რტყ-: 198; არტყს 197, 198; არტყამს 38; ერტყა, სარტყელი 198.

რულ-: 79; ზიერულა 79, 80; ჰრულის 78, 79; ჰრულინ, ჰრულოდა 79.

რქუ- 1: ვარქუ 40, 160; არქუ 251, 292; გარქუ 42; მარქუ 40; ვარქუთ 40; არქუთ 279, 287; არქუნ 40; ერქუა 40, 41, 42; ერქუნ 42; ერქუმინ 41; ერქუმის 41; ერქუნ 39; მიჰრქუა 39, 40, 64; მოჰრქუა 40; ჰირქუამთ 42; რქუ 39; ჰრქუა 39, 40, 160, 277, 278; გრქუა 40; ჰრქუაჲ 43; ჰრქუას, მრქუათ 40; ჰრქუეს 40, 42; მრქუეს 40; მრქჲ 39; ვჰრქჲ 39; ჰრქჲან-ა 39, 40, 41, 42; ჰრქჲს 39; ჰქეჲა 181.

რქუ- 2: დაარქუა 42, 43; დარქუნა 42; ერქუანი 300; რქუმად 42; სარქუელი 42, 43, 300.

რჩ-: არჩენს 314; არჩოდა 66; დაარჩო-
დებს 66, 303; დაემორჩილების, და-
ემორჩილა, დაემორჩილენით, დაარჩილი
65; ემორჩილების 303; ვერჩდ 64; ვერჩ-
დი 64, 65; ერჩდა, ერჩდეს, ერჩდი,
ერჩდე 65; ვერჩი 64; ერჩის 25, 64, 303;
მერჩი 64, 303; ერჩინ 64, 303; ერჩიან
64; მერჩიედ 65, 303; ვერჩოდი 64;
მიერჩდა 64, 65; მორჩილი 65; ურჩი 66.

რჩ-ებ-: იხ. შთ-ებ-

რჩულ-ი-: ურჩულოებს, ურჩულოებდეს ემ-
რცხუ-: არცხუნს 200, 259; არცხუნა
259; ირცხუს 259; ისირცხვილა 262;
რცხუ-ებ, რცხუ-ენ, ჰრცხუნა 259; ჰრც-
ხუნის 40, 259; ჰრცხუნოდა, ჰრც-
ხუსი, სირცხული, შერცხვა, შერცხვება
შერცხვების—259.

რწყ-: იხ. ძრწყ-

რწყამ-: არწყმუნებს 193; დაარწყმუნე, და-
მარწყმუნებთ, გერწყმუნა, ირწყმუნებდეს
200; მრწყამს 7, 9, 193, 198, 199, 200,
284; გურწყამს 199; მრწყამდის 9; რწყმე-
ნა 40, 199; ჰრწყმენა 199; მრწყმენა 9,
199, 200; ჰრწყმენს 200; ეჰრწყმენე, მრწყ-
მენეს, გრწყმენეს, ჰრწყმენეს, გრწყმენინ—
199; გურწყმენინ, მწყამს, გწყამს— 200.

რწყყ-: ჰნერწყყვედით, ნერწყყვი, ჰნერწყყუა,
ნერწყყუავს, ჰნერწყყვიდეთ, რწყყავს—
308.

ს - 1: ასერ, ასრე, ესე, ისი—256.

ს - 2: ვესავ 2, 4, 5, 6, 9, 121, 309; ესავს
120; 121, 303, 304; ესავთ 121; ვესავთ
121, 304; გესავ, ვესავდ 121; ვესვედი 5,
121; ვსვედი, ვესვედითო, გესვენ. ვსვენ,
ესვიდა, ესვიდეს — ესვიდენ 121, 304;
ვისესვე 2, 20; ვისესვები 2, 4; სასო 120.

საარებულ-ი იხ. არ- 2.

სათხველ-ი, სათხველობა იხ. თხ-ევლ-
საპ-: მოვსაპ (მოვსპე) 282.

სარ-: ესრევს 63, 304; ესრვის 25, 63,
257, 304, 305; ვესრვი 65; ესროდა 305;
ესროდეს 63; ესროდეს 63, 305; ვესროდი
63; ესროდის 63, 305; ესროლა 305,
309; ისარ 62, 65, 265; ისარი 257, 264;

ისრევს 257; ისრ(ვი)ს 305; ვისრი 257;
ისრი 265; ისრითა 62; მოსრეს 216;
სარი 265; სისრა 257, 305; სისრაჲ 63,
256, 265; სისრა-უყვეს, სისრა-უყო 64;
სრავს 63; სრევა 63, 256; სრევაჲ 257,
304; სროდა 305; სროლა 63, 156, 305.
სახ-ავ იხ. ხ- 2.

სახარება იხ. ხარ.

სახიობ-ა იხ. ხ- 2.

სემ-: ასმის 183, 184; მასმიეს 183; გას-
მიეს, გასმიესა, ასშია, ვასში, (ხ)ასში,
(ხ)ასმის 184; გუასმიეს 183; გასმიოდა,
ასმიოდა, ასმოდა 184; ასმენს 183, 184;
მესმის 4; გუესმენს 183; ვისმენ 249;
ისმის 93; ისმინის 303.

სენიან-ი 177.

სერ-: ისერის 267, 273; ვისერო, სერობს,
სერობაჲ—267.

სესხება იხ. სხ-

სეფე იხ. ფ-

სთუელი-: ისთუელის, ისთულის, მოისთუ-
ლებდეს—267; მოისთულის 268; მოვის-
თულით, მო-ნუ-ისთულიან, სთუელი
267.

სიყმილ-ი იხ. ყმ-

სიყუარულ-ი იხ. ყუარ-

სიჩქური იხ. ჩქურ-

სმემა იხ. სემ-

სოფელი იხ. ფ-

სრევა იხ. სარ-

სროლა იხ. სარ-

სტუ-: ნესტვი 308.

სუ- 1: აღსუა 230; დავსუ 216; დასუა
218, 230; დავსუამ 2. დასუს 230; ვსუა
6; ვსუა 25, 44, 49, 220, 221; მესუა 6,
17, 49, 158, 221; ვსუინ 221; სვა 6;
ჰსუად 2; სუამ 230, 232; სუამს 230;
სუს 283; სუმენ 216; სუმეიდა; უსუა, შე-
სუა 230; შთაისუა 231.

სუ- 2: ასუამს 38, 283; ასუმიდა 283;
სმა 242; ვსუამ 4; სმა, სუმა 242.

სულგარძლებ-ს 96; სულგარძლებდა 97.

სურ-: აღესურვა 78; სურ 274; მსურს 2,
10; სურს, სურინ 78; სურ(ი)ს 274; მსუ-
რას, მსუროდა, მსუროდა 78.

სუფრა, სიფრო 226.

სუფევა იხ. ფ-

სწავ-: აწწავებდა 23; აწწაველის, აწწაველი-
და, სწაველის 283.

სწავე(ვ)- ულ-: დღესასწაულობს 110; ვდღე-
სასწაულობთ 111; ვდღესასწაულობ-
დით, ვდღესასწაულობდეთ, დღესასწა-
ულობენ — 111; იდღესასწაულეს 110.

სწორ-: დამასწორენ, სწორ-ჰყვენ 19.

სხ-ამ-: ასხემდი 232; აღსხნა 231; განასხა
232, 237; განგუსახამ 236; განასხამ 232;
განასხამს 217; განასხემდ 236; განა-
სხმიდა 232; განგასხნენ 237; განისხნენ
238; განსხმად 236; გარდაასხ, გარდა-
ესხა 232; გარემოასხმიდა 230; დამასხ,
დაასხა 232; დამასხენ 234; დავასხნე
238; დავესხმოდა 232; დავესხნეს 234;
დაისხნეს 231, 234; დასხა 218, 233;
დასხამს 238; დავესხენ 216; დასხნა, და-
სხნეს 234; დაუსხნეს 231; ვისხამ 8;
მისხმან 233; ვისხენ 234; მოასხმიდეს
232; სხამ- 230, 232, 233, 236, 238,
243, 316; ჰსხამ 230; სხამს 231; სხნის,
შეგასხამთ, შეასხამს 231; შეასხმიდა,
შეგასხმიდეთ 232; შესასხმელნი 236;
შესხნეს 231, 244; შეუსხნით 234; შეეს-
ხნა 236. შთაასხიან, შთაასხის, შთა-
ასხმიდა, წარუასხნენ—232.

სხ-ედ/-ენ: ასხედეს 223; გასხენ, მასხენ 226;
დასხედეს, დასხედით, დავესხედით—223;
ესხნენ 226; ესხნეს 221, 226, 227, 236;
გესხნეს 221; გუესხნეს 221, 226; მესხ-
ნეს 221; ხესხნეს 226; ესხნიან 221; მი-
სხენ 221, 227; გისხენ 227; ისხნეს 225;
სხდა, სხდეს 223; სხედ 222, 223; სხე-
დან 218; ესხედით 7, 216, 223; სხენან
172, 217, 222, 224, 225; ესხენთ 222,
224; სხენედ, ჰსხენთ 222; უსხენ 227;
შესხედეს 223.

სხ-: ვასხება, სესხება 316.

სხ-ლრ-: ასხურა 296; ასხურებს, ჰსხუ-
რებს, ჰსხურებს 283.

თან-: მოიტანებენ 93.

ტევე-ტოვ-: აღმოუტევეა 289; გამოუტევე-
ბდეს, განუტეოს 290; გარდაჰუტეო 289;
დაგუტევე, დაგიტევებიეს, დაგიტეო —
313; დატევეა 289, 312, 314; დატევენეს,
დატევეოს, და-ვე-უტევენა, დაიტევა 315;
დამიტევა 289, 313; დაუტევა 314; და-
უტევენ 313; დაუტევეს 23; დაუტევებ 146;
დაუტევეებს 193, 289; დაუტევებდეს 313;
დაუტევებთ 314; დაუტევეთ 313; და-
უტევენ 312; დაუტევის, დაუტეოს 315;
დაუტია 146, 312; დაუტევა 312; დაუ-
ტეობდეს, დაუტეობთ, დაუტეობიან
313; დაუტევა 146; დაუტევებს 312;
მიუტევებთ 313; ტევე, ტოვ 146, 191;
უტევე 290; უტევეს 312; უტევებს 270,
297, 298, 312, 313, 314; უტეობ 312.

ტიფ-: ტეფობდეს 74.

ტივ-: განტევა 218, 220; განტეხს, განტე-
ხე, განტეხნა, განუტეხნეს—220.

ტირ-: ატირდების, აღტიროდა 92; იტი-
რა 92, 274; იტირებს 92; ვტირ 91;
სტირ 91; ტირ 274; ტირს 107; ტირ-ა
193; სტირ-ა 91; ვტირი 18; სტირი 25,
28; ჰტირით, ტირნ 91; ტირის 47, 48;
ტირ(ი)ს 274; ტირს 47; ტირილი 25, 47;
სტიროდა, ვტიროდეთ, ვტიროდეთ, ტი-
როდეთ, ტიროდის, მოსტიროდეს—91.

ტიკ-: ამტიკენებს, ატიკენს 80; დამამტიკე-
ნებ 80, 298; ეტიკინა, მტიკივანი, ტიკი-
ვ, გტიკივის, მტიკივის, სტიკიონ, სტიკივის,
სტიკიოდა—80.

ტიკნა იხ. ტკ-

ტიკივილ-ი იხ. ტკ-

ტიოხიკ-: ტოხიკი, ვტოხიკობ, ტოხიკობს,
ტოხიკობდეს—108.

ტიკრთ-: ატიკრთივის, გეტიკრთა, გიტიკრ-
თავს—138; მიტიკრთავს, სტიკრთავს 137.

ტიორტმან-: მიეტიორტმანებდი, ტორტმა-
ნი, ტორტმანებდეს — 97; ტორტმა-
ნებს 93.

ტყავ-: ატყავებს 198, 283; ტყავებს 283.
 ტყებ-, ტყეპ-: ეტყებს 305, 309, 310:
 ეტყებდა, იტყებდეს, იტყებდინ, ტყება,
 ტყება—305.

ტყორც-: აღტყორცა, აღხუტყორცებ 64;
 განეტყორცის, მეტყორცა 315; ტყორ-
 ცა 64; სტყორცა, ესტყორცე 315;
 სტყორცებს 297, 315, 316; ესტყორცე,
 ტყორცნის, შესტყორცნა 315.

ტყუ-: ატყუებს 30; აღეტყუას, აღიტყუა
 31; გამოიტყვს, გამოიტყვს, გამოიტყო-
 და—33; გამოსტყუა 31; გეტყვი 4; ვე-
 ტყვი 6; მეტყვი 4; ეტყვს 39; ეტყვედ 33;
 ეტყოდა 23, 34, 39, 271; ეტყუადეს 33;
 ჰეტყყოდე 310; ეტყუ 33; ისიტყუა 262;
 ვიტყვი 2, 3, 5, 7; ვიტყვ 2, 8, 32;
 ეტყვ 34, იტყვს 34, 36, 255, 273; იტ-
 ყვან 35; იტყვედ 32; იტყოდა 36; ვი-
 ტყოდე 33, 310; იტყოდე, ხეტყოდე,
 იტყოდიან—33; მითყუედიან 32; იტ-
 ყუის 25, 30, 182, 183, 250, 256; მო-
 არტყუებს 30; მოგატყუა 31; სიტყუა
 250, 255, 262; სიტყუაჲ 256; სიტყუა-
 ყო 33; სიტყუად 'იწყოს 34; ეტყუვი,
 ტყუოდიან, ეტყუოდით, ვეტყუოთ, ტყუა
 —32; შეატყუებდა, შეიტყუების 31;
 შეეტყუებოდა 32; შეიტყუებდა, შე-
 იტყუებენ 31; წარმოიტყოდე, წარმო-
 იტყოდის, წარმოიტყვთ 33; წინააწარ-
 მეტყუელ 16; წინასწარმეტყუელი 18;
 წინასწარმეტყუელებს 18; გწინასწარ-
 მეტყუელებდ 19, 116; ეწინასწარმეტ-
 ყუელებდით 19.

უბან-ი: დაგიუბნე 115, 293; ვეუბნენ 293;
 ეუბნება 291; ეუბნებოდეს 293; უბანი
 115, 293, 300, 301; უბნობს 115, 293,
 301; უბნობა 115; უბნობდეს 293.

უბე 295.

ულუფა, ულიფა 296.

უბრკემი-ი იხ. ბორკ-

ულიმელ-ი, ულუმელ-ი 296.

უმარილი-ი, უმარულ-ი 296.

ურავ-: აურავებს 73; აურავებ 74, 293; აურ-
 ვებდა 293; დაიურავა, დაიურავნა 74;
 მეურავების, ეურავების 73, 293; ეურავო-

დეს 74; იურავი 73, 293; იურავით 73;
 იურავის 73, 74; იურავინ, ვიურავი, ვი-
 ურავით, იურავოდა. იურავოდეთ 75;
 იურავოდეს 293, 294; *ურავს 73, 224;
 *ეურავ, ურავა, 293; საურავი 73; შეი-
 ურავებ, შეიურავა, შეურავებული 74.

ურდულ-ი 292.

ურთ-ი 301 (შდრ. ერთი).

ურჩ-ი იხ. რჩ-

ურჩელობს-ი იხ. რჩულ-

უფალ- იხ. ფ-

ულულ-ი 295.

ულმართობს-ი იხ. ღმერთ-

ულონობს-ი იხ. ღონ-

უყუარ-ს იხ. ყუარ-

უშუერ-ი იხ. შუ-

უც იხ. დ-

უწყი-ს იხ. წყ-

უზ-: ვასუფევებ 2, 20; ვასუფევებინებ 2; აუ-
 ფლა 100; აუფლებს, ეუფლა, ეუფლებს
 100, 295; იუფლო, მეუფლო 191; იმეთა 112;
 იმეფს 102, 112; იუფლა 100, 295; მეუფე
 112, 150, 190, 295; მეუფებს 111, 112; მე-
 უფებ 112; მიფლიეს, მიფლობს, მიფლო-
 ბიეს 190; მეფე 111, 112, 294; მეფობს
 102, 111, 112; მეფობ, მეფობდა ჰმე-
 ფობდეს, მეფობდეს 112; სეფე 150, 294;
 სოფელი 296; ვსუფეე 2, 255; სუფეეს
 18, 21, 43, 150, 274; ჰსუფეე, ჰსუფეეთ
 150; სუფევა 295; სუფევედა 21, 150;
 სუფევედეს, სუფევენ 150; უფალი 100,
 150, 190, 292; უფლო 190; უფლებს
 110, 294; უფლობა 190; უფლობდეს
 100, 294; უფლიედ 190; უფლიეს 191;
 ვჭფლობს 5; ფლობა 190; ვჭფლობდი 5.

ფარ-: ფარავს, ფარავის, იფარავის 297.

ფეკ-: იუქლი, ფეკავს 264.

ფენ-: დაუფენდა, დაჰფენდა 287,

ფენ-ი: იფენი. საიფენიო 264.

ფიცხ-: ფიცხობს, ფიცხობინ, ფიცხოლდის
 142.

ფრ-ენ-: აღაფრინეა, აღაფრინებდა, უფ-
 რინავს 126; ფრენა 126, 127; ფრთა,
 ფრთე 127; ფრინავს, ჰფრინავს, ფრინ-
 ევდით, ფრინვენ — 126. ფრინვიდა,
 ფრინვიდიან 127.

ფრთა იხ. ფრ-ენ-

ფსალმუნ-ი: ფსალმუნებს, ფსალმუნებ, ფსალმუნებდა, ფსალმუნებდეს 96.

ფუცა-: გაფუცებ 283; ფუცავს 280, 283.

ფშუ-: ფშუის, ფშოლა, ფშოლის, ფშუს. ფშუჯან—29.

ძ-: აქა 276.

ქადაგ-: ქადაგა, ქადაგე. ქადაგებს 94.

ქად-: დაქადება, იქადით, იქადინ, იქადის 257; იქადოდიან 258; სიქადული 257, 259; უქადებდა 262; ქადება, ქადილი 259.

ქალაქ-ი: მოქალაქობს, ჰმოქალაქობ, ჰმოქალაქობდა, მოქალაქობდენ—113.

ქამ-: მაქმენ, აქმნა 54; გაქმნეეს, აქმნეედა, აქმნია 57; აღუქმნეს, გამოქმნეს, გამოუქმნეს. გამოუქმნიეს 56; ექმნა 56; გუიქმნების 57; ვიქამ 54; ვიქამ 2, 8, 23, 54; იქმ 54; იქმთ 54, 252; იქმნ 54; იქმს 54, 200, 201, 251, 263, 266, 267, 277; იქმან 55, 216; იქმედ 55; იქმინ 54; გიქმენ 55; იქმოლა 266; ვიქმოლი 55; იქმოლით 55; იქმოლი 266; ვიქმოლით 267, იქმოლე 55, 267; იქმოლეს 55, იქმნა 46, 55, 74, 266; ვიქმნა 56, 57; ვიქმნე 56, 57; იქნეს 57; იქმნენით 74; გიქმნიეს, მიქმნიეს 56; გუქმნიეს, მიქმნიან, იქს 56; მოქმედებს, მოქმედებდეს 97; საქმე 263; უქმნ 55; უქმს 266; უქმოლა 55, 266; უქმოლეს 54; უქმნა 56; უქმნიეს 56; ქამ 54; ვქმენ 2, 7, 22, 23, 54, 55; ჰქმენით 55; ქმენ 200, 299; ვქმნე 23; ვქმნეთ 56; ქმნეს 56; ქმნის 54; ქმნა 54; ქნა 266; შეაქმნია 57; შეგექმნა 56; შექმნენ, შექმნა 55; შექმნა 56; შეიქმს 55; შეიქმნების, შეიქმნებოდა 57; შემიქმნიეს 56; შეიქმოლა 55.

ქარ-: ანქრეეს, ანქრეედეს. აქარეებ—70; განიქარდა, განაქარეებენ, განქარდების—71; განქარევა 70; დაქარავს, დაქარა 70; მიმოქროლის 71; მოჰქარდა 70, 71; მომქარდების 70; ქარი 70, 210, 211; ქრინ 70; ქრის 17, 47, 210, 211;

ქრისაგან 70; ქრიოლა 70, 184; ქრიოდეს 70, 71; ქროლა 70, 184; ქროლდეს 71.

ქვიც-: გაეკცა 311, იქცევისი 96.

ქს-: ქსელი, ქსოვს, ქსოვა 142.

ქველ-: ქველისმოქმედი 251.

ქვია იხ. რქუ-

ქუ-ამ-: აეკენ 271; აღგიქუნ 161, 271; აღიქუა 161; აღიქუამს 161, 271; აღმოიქუას, მიიქუ 271; მიიქუა 161; 271; მიიქუამს 271; მიიქუეს 161, 271; იქუამს 270, 273; ქუ- 271.

ქუ-ან-: მაქ 161; მაქვს 7; აქვის 161; მაქუს 21, 278, 284; აქუს 21, 156, 158, 251, 276, 277, 278, 281; გაქუს 158; გუაქუს 162; აქუნ 162; აქუნს 152, 158, 271; გაქუნს 158; გუაქუნს 158; აქუნნ 158; აქუნს 158; აქუნ 158; მაქუნან 160; მაქუნდა 159, 160; გუაქუნდა, გაქუნდა 159; ვაქუნდე 159, 268; მაქუნდეს 159; გაქუნდეს 159, 162; აქუნდეს 159; გაქუნდი, გაქუნდინ, აქუნდიოდ 159; მაქუს, გაქუს, აქუს 160; აღმოაქუნ 162; გამოგაქუს, გამო-რაა-გქონდა 162; დამაქუს 7; მიაქუს 161; მიაქუნ. მივაქუნდი, მიმოაქუნდეს 162; მოაქუს 161; მოგაქუს 162; მოაქუნდა 162; მოჰქონდა 161; მქონან 159; 160, 278; ჰქონან 159, 278; ჰონად 161; ჰქონდა 153, 159, 278; ქონებდა 161; მქონებოდა 160; ქუნ 162; წარაქუს, წარაგაქუნ 162.

ქურ-იგ-: 251.

ქუზ-: ქუზს 71, 210; ქუზან 71; ქუზდა, ქუზდი, ქუზიდა, ქუზილი 71; იქუზე 72.

ლ-: აღალო 23, 240; აღაღეს, აღებ 241; აღებს 239, 245; აღელა 240; აღიღეს, აღილო 240; გაალო 218; გამოილო 240, გამოილის 162; ილო, ილე 240, 242; იღებს 245; მოელთ, მოიღეს 240; მოილო 161, 162, 240; მომიღებთეს 240; ლ-ებ, ლება 161, 162, 239, 240, 241, 242, 245, 271; წარილო 162, 240; წარმოილო 240, 245.

ღამ-: დაღამდა, დაღამდეს, დაღამნა 215; დაღამნების 214, 215.

ღალად-ი: 18, 95, 96; ჰღალადღებ 95; ღალადღებს 18, 20, 94, 95, 99; ვღალადღებთ, ღალადღებენ, ღალადღებდ, ჰღალადღებდ, ღალადღებდა, ჰღალადღებდი, ღალადღებდით. ღალადღებდეს—95; ღალადღისი 96; ღალად-ყო 20, 23, 95; ვღალადღ-უყავ, ღალადღუყავისი, ღალადღუყავსა, ღალადღუყო — 95; უღალადღა, უღალადღებს 94.

ღებ-ა იხ. ღ-

ღელ-აგ: ღელავს, ჰღელუვედ, ჰღელუაედით, ღელუვიდიან, იღელუვების 119.

ღიმ-: იღიმის 263, 269; იღიმვოდეს 269.

ღირ-: აღირსებებს 204; ღირს 44, 192, 193, 194, 204, 205; ღირნ, ღირდა 205; ღირნი 204; მიღირს 2; გიღირს, გკღირს, გიღირდა 205.

ღლია იხ. ი-ღლია.

ღმერთ-: უღმერთობებ, უღმერთობებს 97.

ღონ-: უღონობებს, უღონობებდა, უღონობებდეს 97, 109; უღონო 109; ღონიერი, ღონიერობს, ღონიერობდეს—109.

ღრკ-ენ-: იღრკენნ 14, 273; იღრკენს, იღრკენთ, იღრკენდეს. უღრკენს, უღრკენა—273.

ღრკ-იალ-ი, აღრკიალებს, უღრკიალებს 273.

ღუაწ-: იღუაწის 260; იღუწის 260, 261; იღუწი, იღუწიდა, მოგიღუაწებდეს 261; ღუაწილი 260; ჰღუაწოდე, ღუწი, ღუწიდა 261.

ღუმ-ენ-: ღუმენ, ღუმინავს, ეღუმინევედ, დაიღუმინა—128.

ღჳძ-აგ: ჳანაღჳძებს, ჳაეღჳძა 133; მღჳძავს 4; ჰღჳძავს 118, 133, 280.

ქ-ავ-: დამყავს 4, 7; მიჰყავს 123, 125, 272; მოჰყავს 125; მყავს 7, 10, 124; ვჰყავ, ჰყავ, ვჰყავთ, გყავს 124; ჰყავს 123, 125, 272, 280; მყავის, გყავის, ჰყავის, ჰყავს, ჰყვეს 124; გუყვანან, მუყვანან 172; მყვის, გყვის, ჰყვის—124.

ყარ-: აყროლებს, დაყროლდა, დაყროლდის 204; ყარს 204, 243; ყარდა, ყროლდა, ყროლის, ყროლა—204.

ყარ-: აჰყრიდა. განუყარა, დაჰყარე, დაყარის, დაყარენს, დაყარეთ, დაუყარის—244; მოყვარა, მიოყარნეს 319; შეყარნეს 244; შთაყარნეს 319; ჰყარის 217, 244, 297, 317; ჰყარია 180.

ყ-ეე-: მიჰყევა, მიჰყევობდა, ჰყევე, წარჰყევი, წარჰყევს—125.

ყფუ-ს, ყფუდეს 208.

ყ-ე-ან-: აღჰყვანდა 125; იყვანებს 272, 273; მიიყვანს 152; მიიყვანა 273; მიიყვანებს 123, 272, 273; მიიყვანებდა 126; მიიყვანებდენ 272; მიიყვანის 123, 125; მიუყვანებს 272; მიჰყვანდა 272; მოხიყვა 124; მოიყვანა, მოიყვანებს 125; მოიყვანებ 126; მოჰყვანან. მოჰყვანდა 125; შეგიყვანებ 93; შემიყვანებ 126; წარაყვანა 272; წარიყვანა 273; წარიყვანე 23; წარშთაყვანა 126, 272; წარმოუყვანებია 126; წარჰყვანდა 125; ჰყვანდა 124, 153; ჰყვანდეს. ვჰყვანდი 124.

ყვ-ებ-ი იხ. ყვე-

ყივ-: ეყივლოს, ეყივნოს, იყივლა 27; ყივა 26; ყივის 26, 144; ყივილი 27.

ყილ-: სყილა 253.

ყმ-: მოგაყმო, მოაყმობს 76.

ყნოს-: აყნოსებ 270; იყნოსს 263, 269, 273; იყნოსებს 270; უყნოსიეს 270; ყნოსავს 270, 273.

ყონ-: აყონენებს, ყონენის 283.

ყოლ-ა 63, იხ. ყვე-, შღრ. ყავ-

ყ-ოფ-ს: ჳანიყოფედ 14; დაჰყავ, დაყო 46; უყოფდა 19; ჰყავ 45; ვყავ 46; ჰყვენ 19; ჰყვენიო 20; ყოფს 20, 45, 251 266; ჰყოფთ 252; ყოფად 131; ჰყოფდე 266.

ყ-ოფ-ნ-ა: ვიყავ 3, 44, 45; იყავ 44, იყვენიო, ვიყვენიო, იყვენეს 45; ვიყო 45, 46; იყო 44, 45, 46, 72; იყოფების 43, 45; ვიყოფებოლით 45; იყოფვის 43, 45; იყოფვინ, იყოფვოდა. იყოფვინ, იყოფის, იყოფოდა 45; ვიყოფოდა 5; ვემყოფობ 2; შეიყო, შეიყოფვის 46; ყოფნა 6; ყოფა 8.

ყვრ-: ყვრის 25, 29; ყვრილი 25; 30.

ყუავ-: აღჰყუავდით, აღჰყუავნების, აყუავენებს, ყუავის, ჰყუავი, ყუავიან, ჰყუაოდა, ჰყუაოდე—27.

ყუაე-ილ: ალაყვაილე 28, 88; ალყუაილ-
დი, ყუაილი 88.

ყუარ-: ყუარებოდეს 107; იმყუარნეს
203; მიყუარს 5, 10, 203, 296; გიყუ-
არს 203; მიყუარდა, გიყუარდა, გი-
ყუარდედ, გიყუარდეჲ—203; ვიყუარებ
5; იყუარებოდეთ 107; იყუარობდეთ 106;
მიყუარი 203, 254; მოყუარე 203, 254;
288; მოყუასი 288; სიყუარული 254;
296; უყუარს 192, 193, 202, 203, 296;
უყუარნ, უყუარან, უყუარდა, უყუარ-
დეს—203; ჰყუარობ 106; ჰყუარობს
106, 202; გყუარობენ, მყუარობენ, ჰყუა-
რობენ 106; გყუარობდა, ჰყუარობდა,
ჰყუარობდეს, ჰყუარობდით 106; შემიყ-
ვარებდი 2; შეუყვარდა 107.

ყუედრ-: აყუედრებს, ჰყუედრინ 283; ყუედ-
დრის 283, 284; აყუედრებდა 283.

შალ-: შალის, შლის 24.

შდ-ებ- იხ. შთ-ებ.

შეე-: იშეა, შეა 297.

შეაშუს იხ. შუ-ან/-ენ-
შემწეუხრდები-ის იხ. წუხ-

შენ-: აღეშენა, აღშენდა 310; ვაშენებ, მა-
შენებ 5, 246; აშენებს 248; გიშენდების,
მიშენდების 246; ვიშენებ 246, 247, 248;
იშენებ, გიშენებ, გიშენებთ, მიშენებ, მი-
შენებს 248; უშენდების 246; ვუშენებ
246, 248; ვჰშენდები 247; შენ 181.

შეშა 310.

შ-: ეშინის 263, 309; იშიშვის, იშიშ-
ვოლა, იშიშვოდეს 263; შეეშინა შეშინ-
და 310; შოში 263.

შეელ-: მიეშეელა 311.

შთ-ებ- დაითინა, დარჩა 314; დაუშ-
თეს 315; დაუშთებოდა, დაუშთებოდის
314; დაშდა, დაშდეს 315; დაშთა 298,
314, 315; დაეშთი, დაშთით 315; დაშ-
თების, შთების 314.

შიშ-ი იხ. შ-

შიშა 310.

შ-ობ- იხ. შეე-

შორ-: აშორო 281; განმაშორე, განმა-
შორებ, განეშორე, განეშორების, განეი-
შორებთ 136. ეშორა 22, 137; ჰშორავს
22, 136, 137; ხშორავს 136.

შუ-ან/-ენ-: განაშუენეს, განშუენდა, გან-
შუენდების, განშუენდებოდეს, განშუ-
ენდიან—86; გაშუნდეს 87; მოაშუნდეს
87, 288; უშუერი 86; შეაშუს 87, 280;
შეაშუა 87, 276, 277, 280; შეაშუნ-
და 87, 280; შემშუნის 87; შემშუ-
ენდის 87; შეენ- 86; ჰშუნის 4, 9, 86,
87, 122, 280; გშუნის, მშუნინან. შუე-
ნოდის, ჰშუნოდავე — 87: ჰშუნოის
142.

შუ-ებ-: განვიშვ 270; იშუებს, იშუებენ, მი-
შუა, მიშუებ—270.

შური-: ვშურები 7, 8, 22; შურების 200.

შურ-: აღიშურვა 274; გაეშურა, ეშურ-
ეე 311; შეიშურვა, შეეშურა, შემშურ-
და 207; ჰშურს 206, 251, 274; შურიც,
მშურს, ჰშურდა 206; შური 207.

შფოთ-ი 29.

ჩ-: აჩენს 163; აჩინებს 163, 165; აჩუნა
აჩუნე, აჩუნებდა 287; გამოჩანს 163;
გამოჩინდე, გამოჩინდი, გამოჩინდა 165;
განაჩინებს, განიჩინებს, განეჩინებს
245; გაჩაეება 163; გრუნების 165; ვიჩან
246; იჩინა 245; მიჩ, მიჩანს, გიჩ, გიჩანს,
გჩნდა, გიჩნდინ, უჩან, უჩთ, უჩნს, უჩნ-
და — 164; უჩუნდა 165; უჩუნა 163;
უჩუნებს 165; უჩუნნა 287; შეაჩუ-
ენებს 163; შჩათ 164; ჩამომიჩინდ 165;
ჩანს 163, 164; ჩან 163, 164; ჩანნ 164;
ჩანს 153, 163, 164, 165; ჩანედ 164; ჩე-
ნა 6; ჩნდა, ჩნდეს 164.

ჩერ-: ვაჩერებ, ვაჩერებიინებ, ეჩერდები 249.

ჩერთ იხ. ჩრდილი.

ჩრდილ-ი, ა-ჩრდილ-ი, ჩერთ 276.

ჩქურ-: იჩქურებენ, სიჩქურე 258; იჩქუ-
რის 259.

ჩიუ-: მოაჩუხს 287.

ც- 1: ვეც 3; მეც, გვეც 307; მეცა 315,
316; ვეცეს, ვეცინ, ვეცის მეცით 307; ვცე-
მის 307, 316; ვეცემოდინან 316; იცემე-
ბი, იცემოდა 93; მიეცა, მივეცე
მივეც 309; მიხუეც, მიეცემის, მიეე-
ცი 307; მიიციეს, მივიცი, მიიცი 1;
მისცა 105; მისცოლა 166, 177; მის-

- ოლიან 307; ცემა 1; ვსცემ 5; სცენ, ჰკის 307.
- ც- 2: მაცნო, მაცნობს, აცნობა, მაცნობე, ვაცნობე, აცნობებს — 53; აცნობებ 266; ამცნო 53; აუცნეს 53; მეცნა, გეცნა, გეცნა 52; ეცნობა, ეოცებინ, ეოცებოდა, ეუცნებდეს 53; იცან 25, 51, 152, ვიცან 51, 165; ვიცანი 52; ვიცი 4, 5, 9, 50; ვიციით 50, 51; იცი 25; იციით 50; იცის 25, 47, 50, 51, 60, 251, 255; 263, 266, 277, 294, 296; გიციით 50; მიცი 50, 51; მიცის 50; გიცი 51; იციან, გიციან, მიცინ, იციედ—50; იცნან, ვიცნათ, იცნეს, იცნი, იცნის 52; ვიცნი, იცნი 50; ვიცნობ, ვიცნობთ 51; მიცნობდეს 52; ვიცნობდი 51; იცნობა, იცნობები, იცნობების, იცნობებიან — 53; მიცნობიეს, გვცნობიეს 52; იცნოდა 50, 51; ვიცნოდე 54; ჰცოდე 50; იცოდეს იცოდე, იცოდი 51; ვიცოდი 4, 5; ვიცოდით, იცოდინ 51. იცოდნა 50. მცნება 53; უეცარი, უეცი, უეცი, უშეცარი 255; ცან 51, 52; 53, 266; ვცან 51, 52; ვცნათ 52; ცნა 51; ცნან 52; ცნეს, სცნი 53; ვცნი, ცნიან 52; ცნობა, ცოდნა 51.
- ცად- 1: მოუუცადე 4.
- ცად- 2: მეცადინეობს, მეცადინეობდის 109.
- ცავ- დავიცავ 149; დავიცავს, დავიცეინ, დავიცვან, დავიცევე, დაცვა, დაცვნა, იცავს, იცევის, მოიცავს, შეიცავს — 130; ვსცავ 149; სცავს, სცავნ, სცევდ, სცევდ, სცვიდა, სცვიდეს—131.
- ცალ-: აცალბდეს, მეცალა, მოგუეცალების, სცალს, ჰცალნ, სცალნ, სცალდა, მცალის, მცალია, მცალოდა—169.
- ცბ-ი: გავცებ, გავცებ 86; გავცეფი 85; გავცეფა 86; დავცბინ 85; შეცბონდა, შესცბუნდით, შეცბუნდეს — 85; სცბის, სცბი 85; ვცებები, სცებები, ცებების 86; სცბი, ცბის 259; ვცბოდე 85; სიცბილი 259; უცბი 54.
- ცემა იხ. ც- 1.
- ცვალ-: სცვლის, სცვალეს 315.
- ციცე: აციცა 277; მაციცებს 211; საციცი 277.
- ცი-ინ/-ილ: აცინებს, გაუცინებს, დასცინებს 258, დასცინის 304; ეცინის 255, 256, 258, 304, 309; იცინებს 258; იცინის 250, 256, 258, 309; იცინინ 258; სიცილი 250, 255, 256, 258; უცინის 258.
- ციონ-: დაციონა, დაციონებს 258; დაციონებ, დაციონოს 92; იციონის 258, 259; იციონოს 258; მციონის 92; გციონის 92, 258; სციონის 258; მციონიდა 92; სიციონილი 258.
- ცრემ-ლ-: იცრემლება, ცრემლავს, ცრემლევ, ცრემლევოდა, ცრემლვად, ცრემლოვად, ცრემლოვანება—145; ცრემლოვი 142; ვცრემლოვი, ცრემლოვინ; ცრემლოდა, გცრემლოდა, ცრემლოოდა, ცრემლოვოდა, ცრემლოოდის—145.
- ციობ-ნა: იციობნიდა 275.
- ცვი-: აცვენს 229, 319; განცვენებად 230; გარდამოსცვენს 228; დასცვენა 229; დასცვენს 228; დავცვენით 230; დავცვით 229; დაცვოდეს 229; დასცვოდეს, დაცვოდინ 228; დამოცვინ, მოსცვენა 229; შეცვენს 229; შეცვიან 227; შთაცვიან 227, 319; ჩამოცვენა 229, 319; ჩამოცვინდა 319; ცვენა 230; ცვივილი 230; ცვის 25, 227, 319; ცვიან 228, 229; ცვოდა, წარმოსცვენს 229; წარსცვენს 228.
- ციუ-: აციუა, ატუს 277; ატუსნ 163, 280; ატუნდა 280; ატუნდა 163 280; განუტუმიდა 280; ეტუა, სატო 163; შეხატუთ, შთაიტუა 280; შთაუტუამს, ტუამ 163.
- ცურ-ავ: ცურავს, ცურვიდა 120.
- ცხალ-: ვაცხადებ, ვაცხადებინებ, ვეცხადები, ვიცხადები, ვცხადდები—249.
- ცხოვრ-: იცხოვრა 274.
- ძაგ-: მძაგს 10; სძაგს, გძაგნ, სძაგდა, ვსძაგებდით—207.

ძ-ავ-: ისიძავ, "იძავს, ისიძვა, ისიძვეს, მე-
ძავი, სიძვა. ძე, ძეობა 262.

ძ-: ეძლო 140; იძალა 268; განაძლიერებს,
ძლიერი 139; გიძლავს 19. 140: მიძლავს
139, 140; გძლავს 140: მძლავრი,
ჰმძლავრა, მძლავრობს. გმძლავრობ-
დეს — 102; ძალ[გოც] 19, 139, 140,
167, 268; უძლავს 140, 167; უძლებს,
უძლის 140; უძლო 290; შევიძელ 167,
268; შეიძლებს, შეუძლებს, შეუძლებენ,
შეუძლია, შემიძლან, შეუძლოს, შეუ-
ძლოთ — 290.

(იძულება) აიძულა 269; აიძულებს, აი-
ძულებდეს 268; ეიძულების 263, 268;
იიძულა 268, 282; ვიძლევი, ვიძლიე,
იძლიე 139; ვიძლიენეთ 149; სძლევეს,
ვსძლიე, სძლიე 139; სძლიე, სძლო 140;
იძულებს, იძულებდენ, იიძულების, იძუ-
ლის — 268.

ძარ-: ანძრევეს 70, 239; იძრვისი 96, 239;
ძრავს 239.

ძარკუ-: განიძარკუავს, განუძარკუავს,
განძარკუავს — 245.

ძახ-ილ-ი იხ. ზახ-

ძ-ებ-: გააძევა, გააძევებს 237; გამოაძო,
განმაძეს 236; განაძეს, განაძო, განგა-
ძონ, განვაძო — 237; განაძებ 232; გა-
ნაძებს 236; განმაძებ 236; განაძებს 237;
განაძებდ 236; განძება 233; გაძევება
237; ძებ 233.

ძ-ენ-: იძენს, მოსძინა, მოგუძინეს, შეი-
ძინა, შესძინა 306.

ძელუ-: მოძლუარი 251, 291; (წინა)მძლუ-
არი 291; მიუძლუნა 287, 291; მიუძ-
ლუნ 290; უძლუნებს 291; უძლუების
290, 291; უძლეს 290, 291; უძოზნ 291;
უძლუნის 290; ძლუნ, ძლუნეი, ძლოლა
290; წარგიძლუნებდეს 290; წარუძლუ-
291; წარძლუნავდ 290; წარჰძლუ 287,
291.

ძ-ი-ებ-: გამოეძიებთ, გამოეძიებს, გამო-
იძიებთ 306; ეძიებ 309; ეეძიებ 306;
ეძებს 305, 306, 309; ზეძიებს, გეძიებს,
ზეძიებდ, ეძიებდეს, ეძიებდით, იძიებს,
იძიების, იძიოს — 306; იძიის 305; მოე-
ძიებება, მოიძიოს, ძებნიას — 306.

ძლ-ეე-: ეაძლევ 3, 5.

ძნ-ავ-: საძნაური, უძნს, უძნდა 167; მე-
უძნდა 168; მეზეჟანდა 178; ძნავს, ძნელი,
ძნიალ — 167;

ძნ-ობ-: ძნობს. ძნობი 116; ეძნობდეთ 117.
ძრწ-: აძრწოლებს, აძრწოლებდა. აძრწუ-
ნებ 84; ვაძრწუნებ 249; დაძრწია. რწი-
ან 85; შეაძრწუნა. შეაძრწუნებ, შეძრ-
წუნდა, შეაძრწუნდებით, შეაძრწუნდებო-
და — 84; ძრწის 17, 84; ზწ: ეძრწი, ეწი
84; სძრწი, ძრწიან, ძწიან, ძრწოდა,
ძრწოდეს 85; ძრწოლა 84.

ძულ-: მიძულს ი, 89, 90; ვსძულ, ვსძულთ,
სძულთ, ძულს, გეძულას, გძულდა,
ჰსძულდა, სძულდა, გძულდეს — 90;
სძულს 90, 209; მძულს 89; ეძულა:ბ
89, 90; სძულობ, სძულობს 90; გძულობს.
გძულობენ 91; ვსძულობდ 90.

ძლოლ-ა იხ. ძელუ-

წად-: ეწადა 77; მწადს ი, 77; სწადს,
გუწადის, სწადინ, სწადის, სწადდა, მწა-
დოდა, გწადოდა — 77; სწადოდა, სწა-
დოდის 78.

წამ-: იხ. რწამ-

წარმდებობს იხ დ-

წეე-: აწეწს 150; იწეა 151; წეეს 22, 150,
151; წეწს 151; ეწეწარ 7; წეა 150; წეა-
ნან 151, 172; წეის 151; წოლა 6, 150.
წეე-: მეწინეს, მიწეწიეე, მოწეწული — 149;
მწეწარი 177; წეე- 112.

წერ-: აწერს 251; ეაწერ 247; მაწერ 248;
დაწერა 299; დაგუწერენ, დაწერა
216; დამწერია 191; ეწეა 192; ეწე-
რების 297; მეწერები 248; ვიწერ 246,
247; გიწერთ, მიწერს, გიწერ, მიწერ
248; იწერს 251; ვიწერები 249; იწე-
რების 297; უწერს 248, 251; ეწერ 8,
249; წერს 251, 297; სწერია 181, 185,
192; სწერიან 192; სწერიეს 181, 191;

წეს-: გიწესს 288; უწესს 251, 288.

წეს-: დაწესვა, დაწესდა 310.

წვ-: იწვის 93.

წით-: გაუწითებს 197; წითს 149, 196,
197; წითულ 149; წითლოვინ 149, 197.

წირ-: შეიწირვის 183; შეუწირავს, შესწირავს 182; შესწირვიდა 183; შეწირე 23.

წიფ-: მიეწიფო, მოიწიფა, მწიფე, მწიფობს—112; კელ-მე-ეწიფების-ა 72; კელ-მწიფებს 112; კელმწიფებენ 113; კელ-მწიფებდა 113; კელმწიფებდ, კელმწიფობს, უკელმწიფებიეს—112.

წ-ად-: იწოდებით 42; მოუწოდა 251, 252; მოუწოდეთ, მოუწოდედ, უწოდს, უწოდა—288; უწოდეს 42. უწოდი 288; უწოდინ 43.

წალ-ა იხ. წევ-

წ-ოვ-: წოვს, წოვა 142.

წონწალ-: იწონწალი, წონწალობს, წანწალა 264.

წრთელ-ი 20.

წვ-: აწვმა, აწვბებს 213; იწვმა 9; უწვმა, წუმბ 213; წვბს 6, 9, 210, 211, 212, 213; წვბნ 213; წვმა 210, 211, 213; წვმდეს, ეწვმე, წვპოს 213.

წუ-ეთ- 212.

წუნ-: სწუნობს. სწუნობდეს 108.

წუხ-: დაიწუხნეს 83; დაწუხნა 82, 83; დასწუხნე 82; დამწუხარდა 214; იწუხა 274; მწუხარე 83; მწუხარი 213, 214; შემწუხარდა 214; შემწუხარდების 213, 214, 215; შემწუხარდებოდა, შემწუხარება 214; შეწუხნა 82, 83; შეეწუხნეთ 82; შეწუხებული 28; წუხს 26, 28, 71, 82, 83; წუხნ 82; ეწუხ 249; ეწუხვარ, სწუხ-ხარ 82; წუხდა 26, 82; წუხდეს, წუხდით, ჰწუხდეთ, ეწუხდითმცა 82; წუხის 26, 82, 274; წუხნა 82.

წყ-: აუწყა 59; აუწყებს 59, 294; მია-უწყებს 59; უწყის 16, 17, 25, 50, 51, 53, 58, 59, 60, 251, 294; უწყით, უწყინი, უწყინის, უწყოდა, უწყოდე, უწყოდე-მე, უწყოდეთ, უწყოდეს, უწყოდი, უწყოდინ, უწყოდინ—59.

წყ-ალ-: მეწყალს, მეწყალის, გეწყალი, მიწყალენ 107; შეეწყალა 108; შემეწყალე 107; წყალ 60, 107; სწყალობს, გწყალობ, სწყალობდ, სწყალობდა, სწყალობდით—107; სწყლავს, წყლვაჲ 280.

წყარო-: აღმოუწყაროდა 149; უწყაროვინ, წყაროვინ 148.

წყლავ-ს იხ. წყ-ალ-

წყალობ-ა იხ. წყ-ალ-

წყ-ებ-: დაიწყეს, დაიწყებდა 271; იწყებს 271, 273; იწყის, იწყიან 271; იწყო, უწყიენ 271.

წყ-ევ-: დასწყოს, ვსწყვე, ვსწყვეე 150; სწყვეს 280.

წყ-ობ-: აწყობს 217, 239; დააწყო 239; დაიწყენა 239; წყობ 233.

წყუ-ედ-: მოწყდეს 218, 219, 220; მოწყდეთ, მოწყდებოდეს 219; მოსწყუედს 220; მოწყუედად 219; მოწყვდა 218, 220; მოწყვდეს 220; მოსწყვდენ 219; მოწყვდნა 218; მოწყვდნეს 219; წყუედს 217; წყუედბიან 219.

წყ-ერ-: ეწყრები 249.

წყურ-: მოეწყურა 77, 310; მოსწყურდა 310; შეეწყურა 77; მწყურის 10, 76; გწყურის, სწყურის 76; სწყურინ 209; სწყურია 181; მწყუროდა 77; სწყუროდა; მწყუროდის 77.

ჭამ-: ამოიჭამნ, მოიჭამდა, ჭამა, ჭამნ, ჭამდა—175.

ჭერ-: შეჭერნა 287.

ჭივო 295.

ჭირ-: აჭირვებს, დამაჭირვავ, ვიჭირვით იჭირვის, შეგაჭირვებენ 206; მჭირს 10, 206; გჭირს 206; სჭირს 192, 193, 194; 206; ჰჭირნ, ჭირვეული, სჭირია, სჭიროდა, სჭირავ 206.

ჭიღვა 295.

ჭრკ-ენ-: ჭრკინავს 128; ეჭრკინავ 149; ეჭრკინედ 128, 149.

ქუვ-: შე-ცა-ქუვდა, შეკუვენებული, ქუვის—28.

ქუღელი 295.

ხ-1: ახს 194, 276, 277, 279; მახს 6, 9; ახან 194; ახალ-ი 194, 279; ახეზს 194; ახლა 135, 279; ახლავ 194; ახლავს 135, 279; გახლავს, გახლდა 136, 195; მახლვიდა 135; ახლვიდეს 135; ახლო 136, 194;

- ღებების 194; ეხლა 279; ეხლების 135; მიახლიან 135, 297; მიახლა, მიახნა 194, 195; მიახლნეს 279; მიჭებების 195; მიეხების 279; მიეხლებოდეს 135; მომეახლა, მომეახლებიან 135; მოეხო 195; შეახებს, შეახით 279.
- ზ-2: (ზ-ედ) ხედავ 141, 282; ვხედავთ 216; ხედავდნენ, ხედვით 141; (ზ-ელ/-ილ) აღ-თუ-ვინმე-უაილნა 286; ეხილა 141; იხილა 25; იხილვა; იხილვების 141; იხილონ 216; მოახილვა, მოიხილავნ 141; სახავ 108; მსახიობი, სახიობს, სახიობენ 108, 282; სახიერ 251; სასიობდეს 282; უხილავს, უხილვედ 141; ხილავ, ჰხილავნ 141.
- ზად-: მოჰადა 251, 252; მოხადეთ, მოხადიან 288; ჰხადით 42; ხადის 251, 252, 291, 280.
- ზან-: აზნეივნებს 149.
- ზარ-: აზარა 255; აზარებს ზი; გაეზარა, გაუზარდა 310; ეზარა, გუეზარა; ეზარების ზი; იზარის 273; მიზარის 10, 79; გიზარის, გიზარინ 79; მიზაროდა 10; გიზაროდენ ზი; საზარება 276; სიზარული 255; უზარის, უზარინ, უზაროდა, უზაროდინ—79.
- ზამ-, ზამს, იხ. ჯამს.
- ზატ-: დაეზატა 299; იზატების, იზატვის 93; ეზატავ, მზატავ 4, 209; ეზატავ, ჰზატავ 209.
- ზე-: აზევებ 284.
- ზღლომ-ა იხ. ვლდ-
- ზუამ-: აიხნა 243; აღეახუნ 240; აღახუნეს, აღესუნეს, აღიხუამს 241; აღეიხენ 243; აღეიხუენით 241; აღიხუნა 242, 243; აღხუხუნეს 241; ახნა 242; ახუმიდა, გამოეიხუენით 241; გამოიხუენ, გამოიხუემან, განახუნ 240; განახუნა 218; განმეხუნეს 241; განახუნეს 311; იხუამს 241, 242; იხუნა 242; მოეხუნეს; მიიხუამს 241; მოიხუნა, წარმოიხუნან, წარიხუენით 240; ხუამ 161, 240, 243; გულიხნა 242, 243; ხუამ 7, 242, 243.
- ზევე-: შეახვევს, შეხვევს 283.
- ზურ-ენ-: აურიანავს, ბურიანიდა 128.
- ზტ-ომ-ა იხ. ვლდ-
- ჯამ-: ჰჯამს 9, 156, 192, 193, 201, 202, 211, 212; ეჯამს 6, 211; გჯამს 211; ჯამსად, უჯამსი 201; უჯამს 156; მიჯამს 2, 201; გიჯამს, გჯამან აი: უჯამდა, უჯამდეს, გჯამდეს 202; ჯამდა, ჯამდეს 201; მეჯმარების, იჯმარებს. იჯმარებდეს, საჯმარი, ჯმარ-, ჯუმევა, ჯევა 202; იჯუმეგს 193, იჯუმეგდეს, იჯუმია 202.
- ქად-/-ედ-: გარდამოქედ 72, 174, 176; გარდამოქდა 116, 177; დაქდა 177; თაქედობს 23, 116; თაქედო, თაქედობდეს 116; მოქდა 72, 177; უქედების, უქედებით 73; ქედების 72. 116; ჰქედით, ჰქედობდეს 73.
- ქელმწიფობ-ს იხ. წიფ-
- ქმ-ა: გიქმობს 101; უქმობს 252; უქმობედ, უქმობდა, უქმობდით 101; ქმობს, 18, 20, 102, 103, 104; ექმობ, ჰქმობ, ჰქმობდეს, ჰქმობდა, ქმობდი, ქმობდეს, ქმობდოდეს 104; ქმა-ყო 18, 20, 26, 104, 105.
- ქმარებ-ა იხ. ჯამ-
- ქმ-ებ-: განქმებინ 14, განუქმეს 286.
- ქმეე-, იხ. ჯამ-
- ქორც-: განქორციელდა, განაქორციელებს, ქორციელი 18.
- ქსენ-: განქსენა 311; ქსენის 176.
- ქსენ-/-ოე-: აქსენა 142, 281; აქსენებს 143; ექსენა 144, 281; იქსენ 281; იქსენების 144; მოაქსენა 280; მოაქსენებს 143; მოეკსენა, მომეკსენა 144; მოიკსენა 280; მოეიკსენებთ 143; მოიკსენებდი, მოიკსენოდო 93; 144; მოიკსენოდი 166; მოუქსენებთ 280; უქსენა 281; მაქსოეს 9, 143, 281, 284; გაქსოეს 143, 281; გაქსოეთ 143; აქსოეს 21, 142, 143, 276, 280, 281; აქსოვდა 143; ახ3.
- ქაშ-: დაუქშნა 286.
- ქვე-: ქვეის, ქვე-ყო, მკობარი 30.
- ქუმ-ილ-: ჯუმოლ 120; ჯუმოლავ 120; ჯუმოლავს 120, 280; ჯუმოლდეს, ჯუმოლდოდ, ჯუმოლდიდეს, მჯუმოლი, საჯუმოლი—120.
- ჭურ-: აჭურვებს, აჭურვებდეს, იჭურვის, მიჭურვის, მიჭურვიდა, გამოიჭურვა. გამომაჭურვინ, განჭურდა. ჭურდების—89.

ჯ-ედ-: ვაჯდინებ 2; აეენს 222; დაეჯედ, დაშჯედ, გარდამოჯდა, გაჯდა 223; დაჯდა 81, 223; დაეჯექი 7; ვიჯექი 7, 8; ეის 222; ეჯედ 7, 49; ჯედ 222, 223;

ჯდა 81, 222, 223; ეჯდები 2; ჯდების- 49; ჯდომა 6.

ჯ-ობ-: აჯობებს 117; უმჯობეს 117, 293; უჯობნიეს, სჯობს 117.

ბ) მეგრულ-ქანური

გარ-: გარა 142.

დვ-: ბდვი, დელა, დვანს, მიბდვი 235.

ჯვოლ- 180.

თირ-: თირუა, გოთირუ 193.

ინწრო 265.

კიახ-: კითხირი 193.

ლურ-: ბლურს 79.

ლუბა 295.

ნინა 301.

ნ-: მინონ 165.

რ-: მირე 279; ვორე, ორე 48; ორენ 48,

49; რინა 49, 279.

რზ-: ღორზაფა 316.

რლია 264.

სქეამ 86; ოსქუ[ნ] 280.

ობიჯჯ 276.

ობორო- 276.

ლ-: ულუნ 241.

შქირ-: შქირენი 193.

ძირ-: ქოძირუ 306.

წიარ-ი 177.

წკ-: წყ-: ოწკ[ნ], ო(რ)წყ[ნ] 294.

კვიმა, მკვიმა, მკვიმს 213.

ხ-: გეხენ, ხენ 233.

ხთ-: მოხთუ 176.

ჯობ-: ჯობო 43, 269; მჯობონ 43.

ჯვირ-ი 117.

ცილ-: ციდირი 193.

გ) სვანური

ბ-: ბჳა, ბჳბ, ბჳბ, ბჳბ, ჳბ, ჳბ 197.

გუან-: ლიგუანი 142.

დ-: ადდე 235.

ჰ-ებ 301.

ეშუ 291.

ზობ-: იზბი, იზობდა 47.

თურ-: ითრე 275; ლათრა, ლეთრე, ლით-

რე 259; ჳთრე 275.

ი-: ლი 48, 221; ლიბ 48; ხი, ჳხტი 48, 221.

კ-: მეკლი 115.

ლატ-: ლილატ 254; 255; მალატ 254, 256.

ლაჯ 308.

მიტქტ-: მიმტქტა 185.

ნაფ-: ხაწაფა 185.

ნინ 301.

პერ-: ლიპერ, პერნი 127.

ქახე 269; ათქახ, ხაქახ 43.

რ-: მნრა, ჳნრა, ხნრა, ხნრაღანს, ხარღანს,

არდა; ხტწრი, ხწრი, წრი—47; მირი 48; 279; ჳირი, ხორი 48.

სგტ-: ისგტე 225; ისგტი 265.

ტტ-: იტტ 61.

უდილ 292.

უსგტა 292, 301.

უმხტწრა, უმხტუდ 292.

ქტ-: ლწქტ, რწქტ 278.

ღვარა, ლიდვრიელ 281.

ლლ-: ლალლაშ, ნანლლაშ 264.

ლტ-: მულტა, ჳულტა, ხულტა 296; ხუ-

ლტე, 241.

შგტ-: გტიშგტე, ნიშგტე 265.

ც-: ლიც 60.

ციხ-: ლიციხ, მიციხ 60.

წედ-: ლიწედ 294.

წუხ-: აწუხიბტ, აწუხტ, ოწუხტ 83.

ხალ-: ლიხალ. მახალ 254.

ქად-/ვედ-: ანქად 176.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ვ. თოფურია

ტექნორედაქტორი ა. თოდუა

კორექტორი გ. გოგიავა

გამომშვები ნ. ავალიანი

გადაეცა წარმოებას 4.5.54. ხელმოწ. დასაბეჭდად 1.2.55. ქალაქდ.

ზომა $60 \times 92\frac{1}{16}$. ქალაქდ. ფურც. 12,63. საბეჭდ. ფურც. 21,90.

სავეტროლო 21,1. საალრ.-საგამომც. ფურც. 18,84.

შეკვ. 714. უე 01542. ტირაჟი 1000.

ფასი 11 მან. 30 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა-
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.